თბილისი

ქუჩები
გამზირები
მოედნები

ენციკლოპედია

ქართული • ინგლისური • რუსული





თბილისი
2008

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი
სამეცნიერო რედაქცია

სარედაქციო კოლეგია ზურაბ აბაშიძე (კოლეგიის თავმჯდომარე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი)
გიორგი გათიაშვილი
თეიმურაზ ბერიძე
ავთანდილ საყვარელიძე
ზურაბ ჭელიძე

ძირითადი სარედაქციო
სამუშაო ჯგუფი ზურაბ ჭელიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი, ქართული ენციკლოპედიის პასუხისმგებელი მდივანი)
ნოდარ გიოშვილი
თედო გორგოძე
თამაზ დვალი
ცარო ვაშაკიძე
ეთერ ლოლუა
ნელი ქაფიანიძე

ფოტოსურათები თამაზ დვალი

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია. 2008.

ISBN 978-99928-20-35-3

თბილისი

ქუჩები
გამზირები
მოედნები

უნციკლოპედია

ენციკლოპედიის
„თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“
გამოცემა შესაძლებელი გახდა **თბილისის მერიის**
თანადგომითა და მხარდაჭერით

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია მუდმივი და უანგარო მხარდაჭერისათვის გულწრფელ მადლობას მოახსენებს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“.

რედაქციისაგან

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია მკითხველს სთავაზობს ენციკლოპედიას „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“, რომელიც გამოსაცემად მომზადდა დედაქალაქის მერიის მხარდაჭერით.

გამოცემაში დეტალურადაა ასახული თბილისის ქუჩების ადგილმდებარეობა, ისტორია, არქიტექტურული სახე და ღირსშესანიშნაობანი; მოცემულია ცნობები ტოპონიმთა და იმ პირთა შესახებ, ვისი სახელობისაც იყო და არის ესა თუ ის ქუჩა. წიგნს თან ახლავს სახელშეცვლილი ობიექტების სია, 117 სქემატური რუკა თავის საძიებლით, სადაც მითითებულია 2500-ზე მეტი ობიექტის კოორდინატი და 260-მდე ფოტოილუსტრაცია.

წინამდებარე გამოცემა 2002 წ. გამოქვეყნებული ენციკლოპედია „თბილისის“ ორგანული ნაწილი და იმავდროულად დამოუკიდებელი წიგნია, რომელშიც ასახულია ყველა ის ცვლილება, რაც განიცადა თბილისის ქუჩებმა, გამზირებმა და მოედნებმა XIX ს-იდან 2008 წ. 1 ნოემბრამდე.

გამოცემის სრულყოფისათვის დამუშავდა სხვადასხვა წლებში შედგენილი კავკასიის კალენდრები (თანდართული თბილისის გეგმებით), ქუჩების ცნობარები, თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალა და საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებული შესაბამისი ლიტერატურა.

ენციკლოპედიაში გათვალისწინებულია ასევე თბილისის საკრებულოს დადგენილებები ქუჩების სახელწოდებათა ცვლილებების შესახებ. ეს ცვლილებები მუდმივი და გარდაუვალი პროცესია, რაც დიდ სიფრთხილესა და ისტორიულ-ეთნოლოგიური წარსულის გათვალისწინებას მოითხოვს. ვფიქრობთ, წინამდებარე გამოცემა ხელს შეუწყობს ამ სფეროში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.

სქემატური რუკების მოსამზადებლად გამოყენებულია თბილისის მსხვილმასშტაბიანი გეგმები და ძველი ისტორიული რუკები. მათი პარამეტრების დასაზუსტებლად ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი ყველა ქუჩა, შესახვევი, ჩიხი თუ გასასვლელი ფეხით მოიარა ქართული ენციკლოპედიის პასუხისმგებელმა მდივანმა ზურაბ ჭელიძემ და მრავალი ბუნდოვანი და გაურკვეველი საკითხი თვალსაჩინო გახადა, რითაც დიდი წვლილი შეიტანა გამოცემის სრულყოფაში.

ენციკლოპედიაში შეტანილია XIX ს-ის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში გადაღებული თბილისის ფოტოსურათები, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

სარედაქციო ჯგუფი მადლობას უხდის ენციკლოპედიის იმ თანამშრომლებს, ვინც მონაწილეობა მიიღო წინამდებარე წიგნის მომზადებაში. განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს აწ გარდაცვლილი ქალბატონის შარლოტა საღარაძის დამსახურება და ღვაწლი.

ქართული ენციკლოპედიის რედაქცია ეტაპობრივად მიაწვდის მკითხველს თბილისის სქემატური რუკების განახლებულ კრებულს.

რედაქცია მადლიერებით გაითვალისწინებს ყველა შენიშვნას, რომლებიც ხელს შეუწყობს გამოცემის შემდგომ სრულყოფას.

როგორ ვისარგებლოთ ენციკლოპედიით

ენციკლოპედია „თბილისი. ქუჩები, გამზირები, მოედნები“ შედგება ხუთი ნაწილისაგან: ძირითადი ნაწილი (ქუჩები, გამზირები, მოედნები), სახელშეცვლილი ობიექტები, ბიოგრაფიული სტატიები, სქემატური რუკები და სქემებზე დატანილი ობიექტების საძიებელი.

წიგნში შეტანილი ობიექტები (ტერმინები) წარმოდგენილია შემდეგი თანამიმდევრობით: აღმართი, გამზირი, გასასვლელი, დასახლება, დაღმართი, მოედანი, უბანი, ქუჩა, შესახვევი, ჩიხი და ხიდი.

ტერმინები აწყობილია შავი მთავრული შრიფტით და განლაგებულია ანბანის მიხედვით, ხოლო ნუმერაციის შემცველი ტერმინები დალაგებულია რიცხვითი სიდიდის შესაბამისად: მაგ., აბანოს I ჩიხი, აბანოს II ჩიხი და სხვ.

ძირითადი ნაწილის სტატიები ეძღვნება თითოეულ ობიექტს და იწყება იმ ადმინისტრაციული რაიონისა და ისტორიული უბნის მინიშნებით, რომელსაც ეს ობიექტი განეკუთვნება. შემდეგ მითითებულია ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობა და მის შესახებ არსებული ინფორმაცია.

კურსივით (დახრილი შრიფტი) წარმოდგენილ ტერმინს ცალკე სტატია ეძღვნება. ტექსტში მოხსენიებული პერსონალია კურსივით იგზავნება ბიოგრაფიული სტატიებისაკენ, ტოპონიმები კი იქვე განიმარტება (მაგ., აბაშის ქუჩა, ტოპონიმი — აბაშა).

სახელშეცვლილ ობიექტებს ეძღვნება წიგნის ის ნაწილი, სადაც მოცემულია ობიექტის ძველი და ახალი სახელწოდებები. მაგ., საბურთალოს ქუჩის ნაცვლად ამჟამად გვაქვს ვახტანგ ჭაბუკიანის, სულხან ცინცაძისა და გივი კარტოზიას ქუჩები. ამ შემთხვევაში ახალი სახელწოდების ქუჩების ერთობლიობა ცვლის ძველი სახელწოდების ერთ ქუჩას, რომელსაც მითითებათა სისტემით ვაზუსტებთ. როდესაც ქალაქის სხვადასხვა უბანში მდებარე ერთი და იგივე ძველი სახელწოდების ქუჩა შეცვლილია ახალი დასახელებით, ვუთითებთ უბანს. მაგ., ბაღის ქუჩა (ვაკე), იხ. ბესიკ *ბურკიაშვილის ქუჩა*; ბაღის ქუჩა

(კალა, სოლოლაკი), იხ. ლადო *ასათიანის ქუჩა*; ბაღის ქუჩა (სოლოლაკი), იხ. ივანე *მაჩაბლის ქუჩა*. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სახელი შეცვლილი აქვს მხოლოდ ქუჩის ნაწილს, ძველ სახელწოდებას დამატებით ახლავს ნიშანი (*). მაგ., ვასილ ბარნოვის ქუჩა*, იხ. *ირაკლი აბაშიძის* ქუჩა.

სიძნელეები ახლდა როგორც ქუჩების, ასევე ჩიხების და გასასვლელების ადგილმდებარეობის დადგენას. ხშირად ჩიხები და გასასვლელები არ უკავშირდება თანამოსახელე ქუჩას, თუმცა მასთან საკმაოდ მიახლოებულია. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ობიექტები ცალკე ტერმინებითაა წარმოდგენილი.

გამოცემაში დაბეჭდილმა ფერადმა სქემატურმა რუკებმა თვალსაჩინო გახადა ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეები და საკმაო სიცხადე შეიტანა მათში.

შინაარსი

11 ქუჩები, გამზირები, მოედნები (ძირითადი ნაწილი)

215 სახელშეცვლილი ობიექტები

247 ბიოგრაფიული სტატიები

357 გამოყენებული ლიტერატურა

360 ძირითადი შემოკლებანი

365 სქემატური რუკები

თბილისი.
ქუჩები, გამზირები, მოედნები





თამარ **აბაკელიას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); მისასვლელი ძმები ზუბალაშვილების ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც არსენალის შეს., 1897 წ. გეგმაზე – როგორც მცირე სასამართლოს ქუჩა, 1923-იდან – ტრიბუნალის შეს., შემდეგ კი ახალტრიბუნალის ქუჩა ერქვა. ამ ქუჩაზე ცხოვრობდა მოქანდაკე თ. *აბაკელია*, რომლის გარდაცვალების შემდეგ ქუჩას მისი სახელი ეწოდა. შეტანილია თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში. ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით საინტერესოა XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლი №7.

აბანოთუბანი, აბანოების უბანი, ძველი თბილისის რ-ნი. უბანი მდ. მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე, ახლანდ. ვახტანგ გორგასლის, მ. ფ. ახუნდოვის, ი. გრიშაშვილის და აბანოს ქუჩების მიდამოები. ქალაქის უძველესი დასახლება. სახელი ეწოდა ცხელი მინერ. წყლების ბაზაზე ძველთაგანვე არსებული აბანოების გამო. ა-ს უკავშირდება ლეგენდა თბილისის წარმოშობის შესახებ და თვით სახელწ. „თბილისიც“ (1936-მდე – „ტფილისი“).

აბანოს ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*აბანოთუბანი*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან აბანოს I შესახვევამდე. სავარაუდოდ საფუძველი ჩაეყარა იმ დროს, როდესაც აქ პირველი აბანოები აიგო. ა. ქ-ის სახელწ. მიიღო არა უგვიანეს 1841-ისა (შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში). იწყებოდა ვახტანგ გორგასლის (ყოფ. თათრის) მოედნიდან. 1851, ვორონცოვის ქუჩის (ახლანდ. ვახტანგ გორგასლის ქუჩა) გაყვანის შემდეგ, მოედნიდან წავკისის-წყლამდე მდებარე ქუჩის მონაკვეთიც მას შეუერთდა. ა. ქ. დღეისათვის მთლიანად რესტავრირებულია. ქუჩის ერთ მხარეს განთავსებულია აბანოების კომპლექსი, მეორე მხარეს – სახლები (XIX ს. 50–70-იანი წლები), რომელთა ზედა სართულები საცხოვრებელია, პირველ სართულებზე კი სავაჭრო დაწესებულებებია (კაფეები, მაღაზიები). ქუჩას კეტავს ყოფ. „ჭრელი აბანო“ (ორბელიანების საგვარეულო აბანო; მოიხსენიება XVIII ს-იდან). აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსანიშნავად ქუჩაზე არსებულ სკვერს 2004 ეწოდა ჰ. *ალიევის* სახელი, სადაც 2007 დაიდგა მისივე ბიუსტი (მოქანდაკე ნ. ალიევი). აქვს 2 შეს. (II შესახვევს ადრე გოგირდის შესახვევი ერქვა).

აბანოს I ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*აბანოთუბანი*); დასაწყისი იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან.

აბანოს II ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*აბანოთუბანი*); დასაწყისი იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან.

აბასთუმნის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); მიზეილ წინამძღვრიშვილის ქუჩიდან ვაგზლის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. 1947-მდე მის ერთ მონაკვეთს საბაჟოს ქუჩა ერქვა (ორივე ქუჩა შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში).

აბასთუმანი, დაბა ადიგენის რ-ნში, სამთო-კლიმატური კურორტი; მახლობლად არის საქართველოს ე. ხარაძის სახ. ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია.

ალექსანდრე **აბაშელის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ტიციან ტაბიძის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე მცხეთის IV შესახვევი ერქვა. 1965 ა. *აბაშელის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

გიორგი **აბაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); კახეთის გზატკეცილიდან რომანოზ ხომლელის ქუჩამდე. კახეთის გზატკეცილის მიმდებარე უსახელო ქუჩას გ. *აბაშვილის* სახელი ეწოდა 1985.

აბაშის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ცხრა ძმის მოედნიდან კახა მანიჟაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის მონაკვეთი, სენაკის ქუჩიდან ლებარდის ქუჩამდე, დატანილია როგორც ზანის ქუჩა, ხოლო ლებარდის ქუჩიდან კახა მანიჟაშვილის ქუჩამდე – როგორც ურთის ქუჩა. 40-იან წლებში ა. ქ. დაერქვა.

აბაშა, ქალაქი და მდინარე დას. საქართველოში.

ზანა, მდინარე ხობის რ-ნში; სოფელი სენაკის რ-ნში.

ურთა, მთა ხობის რ-ნში; სოფლები ზუგდიდისა და ოჩამჩირის რ-ნებში.

ირაკლი **აბაშიძის გასასვლელი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ირაკლი აბაშიძის ქუჩიდან ტიციან ტაბიძის ქუჩამდე.

გრიგოლ **აბაშიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); ანტონ ფურცელაძის ქუჩიდან ალექსანდრე პუშკინის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. პირველ ნახევარში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც სამების ქუჩა, რადგან ამ ქუჩაზეა წმინდა სამების ეკლესია (1863). 1923 დაერქვა განათლების ქუჩა, 1983 – ე. *მანჯგალაძის*, 2001 გ. *აბაშიძის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. II ნახევრის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

დავით (დოდო) **აბაშიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დავით აღმაშენებლის გამზირიდან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. მას თავდაპირველად ფონის შეს. (დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე), შემდეგ კი ელექტრონის ქუჩა (აერთებდა ყოფ. პლეხანოვის პროსპექტზე გამავალ ტრამვაის ხაზს ქალაქის ტრამვაის ელექტროსადგურთან) ერქვა. თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია როგორც მეჩნიკოვის ქუჩა (იხ. ი. *მეჩნიკოვი*). 1990 დ. *აბაშიძის* სახელი ეწოდა.

ვასილ (ვასო) **აბაშიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); შოთა რუსთაველის გამზირიდან რევაზ თაბუკაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. დააპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ 1833–35. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბანკის შესახვევი. 1896, ოპერისა და ბალეტის თეატრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, თეატრალური შესახვევი დაერქვა. აქ ცხოვრობდა ვ. *აბაშიძე*. ქუჩას 1959 მისი სახელი ეწოდა. აქვს 2 ჩიხი.

ირაკლი **აბაშიძის ქუჩა,** ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მრგვალი ბაღიდან (ყოფ. ვაკის სკვერიდან) არჩილ მიშველაძის ქუჩამდე. ვასილ *ბარნოვის ქუჩის* მონაკვეთს ი. *აბაშიძის* სახელი ეწოდა 1992 (იგი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა). ქუჩის დასაწყისში დგას ი. აბაშიძის ბიუსტი (მოქანდაკე კ. არუნაშვილი. არქიტ. გ. ბათიაშვილი). აქვს 1 გას., 1 ჩიხი (ყოფ. ვ. ბარნოვის V ჩიხი).

კიტა **აბაშიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); მიზეილ წინამძღვრიშვილის ქუჩიდან გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ახალი კათოლიკეების ქუჩა, 1900 წ. გეგმაზე – როგორც მელიქოვის (მელიქიშვილის) ქუჩა. 1923 – ს. *რენინგერის,* 1983 – გ. *ჩუბინაშვილის*, 1990 კი კ. *აბაშიძის* სახელი ეწოდა.

მემედ **აბაშიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); ვლადიმერ ნანეიშვილისა და ნიკო (ნიკოლოზ) კეცხოველის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 80-იან წლებში. ქუჩას მ. *აბაშიძის* სახელი დაერქვა 1984. ერთხანს მ. აბაშიძის სახელი ერქვა *ნაფარეულის ქუჩასაც* (ვაკე-საბურთალოს რ-ნი).

ჰაიდარ **აბაშიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ლვოვის ქუჩიდან ვაზისუბნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ლვოვის II შესახვევი იყო, შემდეგ – ვ. ვოლოდარსკის ქუჩა (*ვოლოდარსკის* სახელი ათონელის ქუჩის ნაწილსაც ერქვა). 1990 ჰ. *აბაშიძის* სახელი ეწოდა.

ლვოვი, ქალაქი უკრაინაში.

მალხაზ **აბდუშელიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ალვანის ქუჩიდან ნიკო ლომოურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ჟანდარმის ქუჩა (ქუჩის მახლობლად, გრენადერთა სამეგრელოს პოლკის პოკროვსკის ყაზარმის ჩრდ. ფლიგელში, განთავსებული იყო ჟანდარმერიის სამმართველო). 1922 სამოქალაქო ქუჩა დაერქვა, 2000 მ. *აბდუშელიშვილის* სახელი ეწოდა. ჰქონდა 1 ჩიხი (ყოფ. სამეგრელოს ქუჩა, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში და 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“).

◄ აბანოთუბანი.



ირაკლი აბაშიძის ქუჩა.

გია **აბესაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან აბო თბილელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასაწყისში. ამ ქუჩაზე იდგა კათოლიკეთა ეკლესია, ამავე უბანში ჰქონდა სახლი ამ ეკლესიის მოძღვარ ფილიპეს, რის გამოც ქუჩას ჯერ ფრანგების (ქართველები კათოლიკეებს ფრანგებს უწოდებდნენ), შემდეგ კათოლიკეების ქუჩა ერქვა (ამ სახელითაა შეტანილი 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში). XX ს. 20-იან წლებში – ა. *საათნოვას*, შემდეგ პირველი მაისის ქუჩა დაერქვა, 1991 კი გ. *აბესაძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ამაღლების კათოლიკური კათედრალური ტაძარი (1804), სამეფო უბნის თეატრი, XIX ს. II ნახევრის საცხოვრ. სახლები. აქვს 2 ჩიხი (I ჩიხი – ყოფ. ა. საიათნოვას შეს., II ჩიხი – ყოფ. ი. ივანიძის ჩიხი).

პირველი მაისი, მშრომელთა სოლიდარობის დღე, საერთაშ. დღესასწაული (დაწესდა 1889 წ. II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე).

სოსო (კობა) **აბზიანიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორბელის დასახლება*); თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან გიორგი მუხაძის ქუჩამდე. უსახელო მონაკვეთს ს. *აბზიანიძის* სახელი დაერქვა 1995. ქუჩაზეა წმინდა ნინოს ეკლესია (2000).

ზაჩატურ **აბოვიანის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); აბო თბილელის ქუჩიდან კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩამდე. წარმოიქმნა არა უგვიანეს XVII ს. 40-იანი წლებისა, იმ დროს, როდესაც როსტომ მეფემ ამ მიდამოებში ახალი სამეფო სასახლე ააშენა. აღნიშნულია ალ. პაშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია აზნაურის ქუჩის სახელწოდებით. როგორც ჩანს, აქ ადრე ფეოდალები ცხოვრობდნენ. 1924 გლეხის ქუჩა ეწოდა, 1938 კი ხ. *აბოვიანის* სახელი დაერქვა. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები.

აბო თბილელის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); გია აბესაძის ქუჩიდან პურის მოედნამდე. აღნიშნულია ალ. პაშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც დიდი მრუდე ქუჩა (მოიცავდა ჰ. *თუმანიანის ქუჩასაც*). 1900 ქუჩის ნაწილს, აბასაბადის მოედნიდან (ახლანდ. ლადო *გუდიაშვილის მოედანი*) პურის მოედნამდე, ბ. *შულკოვნიკოვის* სახელი დაერქვა, 1922 – მ. *კაშენის*, 1990 – *აბო თბილელის*. ქუჩაზე შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

რენა **აბშანდაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); ვახტანგ ორბელიანის ქუჩიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე. ვ. *ორბელიანის ქუჩის* მიმდებარე უსახელო მონაკვეთს 1999 ეწოდა რ. *აბჟანდაძის* სახელი.

ზურაბ **აბულაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); ჯავახეთის ქუჩიდან აეროდრომის დასახლების XI ქუჩამდე. აეროდრომის დასახლების VII ქუჩას ზ. *აბულაძის* სახელი ეწოდა 2003.

თენგიზ **აბულაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ნიკოლოზ ყიფშიძისა და ნუგზარ სავჯაიას ქუჩებს შორის. ყოფ. სტუდქალაქის დასახლების უსახელო ქუჩას თ. *აბულაძის* სახელი ეწოდა 2003.

აბუსერისძე ტბელის I გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); აბუსერისძე ტბელის ქუჩიდან გუდარეხის ქუჩამდე.

აბუსერისძე ტბელის II გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); აბუსერისძე ტბელის ქუჩიდან გუდარეხის ქუჩამდე.

აბუსერისძე ტბელის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან სახალხო ქუჩის III ჩიხამდე. ადრე ძველი სასაფლაოს ქუჩა ერქვა, შემდეგ – ა. *მატროსოვისა*. 1992 *აბუსერისძე ტბელის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის კვების პროდუქტების მწარმოებელი შპს „სამგორი“. აქვს 2 გას., 2 ჩიხი.

აგარის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); აფხაზეთის I შესახვევიდან აფხაზეთის II ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 1938-მდე აფხაზეთის II ქუჩა ერქვა.

აგარა, დაბა ქარელის რ-ნში.

რაფიელ **აგლაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); ქუთაისის ქუჩიდან ალიო მირცხულავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 1963-მდე გასწვრივი ქუჩა ერქვა, შემდეგ – შ. *ელიავისა*. 1991 რ. *აგლაძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის ლუდის მწარმოებელი შპს „თბილლუდი“.

ადიგენის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ვეძათხევის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. ქუჩას 1938-

მდე თოფისწამლის შესახვევი ერქვა, იმის გამო, რომ ერთ-ერთი გზა არსენალისკენ აქედანაც მიდიოდა. ამ სახელითაა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘ, დაბა სამხრ. საქართველოში.

ᲐᲔᲠᲝᲓᲠᲝᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); კახეთის გზატკეცილსა და ვარკეთილის მასივს შორის.

ᲐᲔᲠᲝᲓᲠᲝᲛᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ:

I ᲤᲣᲩᲐ, კახეთის გზატკეცილიდან კალოუბნის ქუჩამდე. აქვს 1 გას.

II ᲤᲣᲩᲐ, I ქუჩიდან კალოუბნის ქუჩამდე. აქვს 1 გას.

III ᲤᲣᲩᲐ, შანდორ პეტეფის ქუჩიდან ჯავახეთის ქუჩამდე. აქვს 2 გას.

IV ᲤᲣᲩᲐ, დასაწყისი III ქუჩიდან. აქვს 2 გას.

V ᲤᲣᲩᲐ, იხ. *ჯავახეთის ქუჩა*.

VI ᲤᲣᲩᲐ, დასაწყისი შანდორ პეტეფის ქუჩიდან.

VII ᲤᲣᲩᲐ, იხ. ზურაბ *აბულაძის ქუჩა*.

VIII ᲤᲣᲩᲐ, დასაწყისი X ქუჩიდან.

IX ᲤᲣᲩᲐ, XII ქუჩიდან ზურაბ აბულაძის ქუჩამდე.

X ᲤᲣᲩᲐ, VIII ქუჩიდან რომანოზ ხომლელის ქუჩამდე.

XI ᲤᲣᲩᲐ, კალოუბნის ქუჩიდან რომანოზ ხომლელის ქუჩამდე.

XII ᲤᲣᲩᲐ, XIII ქუჩიდან რომანოზ ხომლელის ქუჩამდე.

XIII ᲤᲣᲩᲐ, კალოუბნის ქუჩიდან XIV ქუჩამდე.

XIV ᲤᲣᲩᲐ, XIII ქუჩიდან რომანოზ ხომლელის ქუჩამდე.

I ᲤᲣᲩᲘᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, I ქუჩიდან კალოუბნის ქუჩამდე.

I ᲤᲣᲩᲘᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, კალოუბნის ქუჩიდან III ქუჩამდე.

II ᲤᲣᲩᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, II ქუჩიდან კალოუბნის ქუჩამდე.

III ᲤᲣᲩᲘᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, III ქუჩიდან IV ქუჩამდე.

III ᲤᲣᲩᲘᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, დასაწყისი III ქუჩიდან.

IV ᲤᲣᲩᲘᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, IV ქუჩიდან VI ქუჩამდე.

IV ᲤᲣᲩᲘᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, IV ქუჩიდან VI ქუჩამდე.

ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი. დასახლება თბილისის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ბესარიონ ქებურიასა და ლილოს დასახლებებს შორის, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე (თბილისში აეროპორტი დაარსდა 1928. შემდგომ წლებში მოხდა მისი რეკონსტრუქცია, რითაც გაიზარდა აეროპორტის გამტარუნარიანობა. 2007 მწყობრში ჩადგა ახალი საერთაშორისო აეროპორტი).

ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ:

I ᲤᲣᲩᲐ, იხ. იაკობ *ხუცესელიანის ქუჩა*.

II ᲤᲣᲩᲐ, იხ. ლეო *დავითაშვილის ქუჩა*.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡ ᲤᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); მისასვლელი წავკისის I შესახვევიდან (თავდაპირველად გადიოდა წავკისის ქუჩამდე). თბილისის 1902 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ტერასის ქუჩა, 60-იან წლებში ვეფხისტყაოსნის პერსონაჟის ავთანდილის სახელი ეწოდა.

ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲘ, თბილისის ძვ. უბანი ქალაქის აღმ. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს. სახელი „ა.“ პირველად გვხვდება 1392 სვეტიცხოვლის მამულთა ნუსხაში. დაგეგმარების ხასიათი, რ-იც XIX ს. II ნახევარში ჩაისახა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, დღემდეა მოღწეული. ამჟამად მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები. იხ. აგრეთვე სტ. *ელიას მთა*.

ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ავლაბრის შესახვევიდან ლადო მესხიშვილის ქუჩამდე.

ᲐᲕᲚᲐᲑᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ღვინის აღმართს, მეტეხის ქუჩას, ქეთევან დედოფლის გამზირს, ნიკოფორე ირბახისა და ლადო მესხიშვილის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1828-იდან იხსენიება როგორც კახეთის მოედანი, თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია ავლაბრის მოედნის სახელწოდებით (აქ იყო ე. წ. „ავლაბრის ბაზარი“, გაუქმდა 1911). თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია როგორც კახეთის მოედანი, 30-იან წლებში ს. *შაუმიანის* სახელი დაერქვა, 1990 – ქეთევან წამებულის (იხ. *ქეთევან დედოფალი*). 2005 დაუბრუნდა ძვ. სახელი ა. მ. მოედანზეა ეწმიაძინის წმინდა გიორგის ეკლესია, რომლის ეზოში დგას 1989 წ. 9 აპრილის ტრაგედიის გამო სომხეთიდან ქართველი ხალხის თანაგრძნობის ნიშნად ჩამოტანილი ქვაჯვარი (მოქანდაკე ა. მარტიროსიანი). მოედანზეა მეტროს სადგური „ავლაბარი“.

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ, მხარე აღმ. საქართველოში.

ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲤᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ივრის ქუჩიდან ვარდის მოედნამდე. ქუჩა დააპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ 1833–35. თბილისის 1851 წ. გეგმაზე დატანილია ავლაბრის II ქუჩის სახელით, შემდეგ **ა. ქ.** დაერქვა. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. აქვს 2 ჩიხი.

ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); არმაზის ქუჩიდან ლადო მესხიშვილის ქუჩამდე. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები.

ᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის ჩრდ. ნაწილში, თბილისის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაგეგმარდა 1971. სახელწ. „ა.“ უკავშირდება მრავალწლოვან ბუჩქ-ბალახოვან მცენარე ავშანს.

ᲐᲕᲭᲐᲚᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის ჩრდ. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს. ა. ერთ-ერთი უძველესი ქალაქისპირა სოფელი იყო. თბილისს შემოუერთდა 1962. დაგეგ-



ავლაბრის მოედანი.





ანჩისხატის ეკლესია.



გიორგი ათონელის ქუჩა.

მარდა 1975. სახელწ. წარმოდგება „ავი ჭალისაგან“ (ხალხში გავრცელებული ცრუ რწმენის თანახმად ამ დაჭაობებულ და გაუვალ ადგილებში „ავი სულები“ ბინადრობდნენ).

ავჭალის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); დასაწყისი ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან.

გიორგი **ათონელის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან სიმონ (სოლიკო) ვირსალაძის ქუჩამდე. ადრე იგი ორბელიანის ქუჩის ნაწილს წარმოადგენდა. ქუჩის მიდამოები XVIII ს. შუა წლებამდე სამეფო საკუთრება იყო. 1751 ქართლის მეფე თეიმურაზ II-მ ეს მიდამოები „სახასო სასახლის ადგილითურთ“ სარდალ რევაზ ორბელიანს უბოძა. XIX ს. 60-იან წლებში ქუჩა გაიყო: ერთ ნაწილს ორბელიანის სახელი დარჩა, მეორეს მადათოვის ქუჩა ეწოდა (20-იან წლებში ორბელიანებმა კუთვნილი ადგილის ნაწილი, მ. შ. ყოფ. კუნძული მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე, ახლანდ. *მშრალ ხიდთან*, გენერალ ვ. *მადათოვს* მიჰყიდეს), ხოლო მესამეს – დიდი ვანქისა (იხ. *ვანქი*). 1922 მადათოვის ქუჩას *ვ. ვოლოდარსკის* სახელი ეწოდა, დიდი ვანქისას – პრესისა. 1958 პრესის ქუჩას, 1965 კი ორივე ქუჩას *გიორგი ათონელის* სახელი მიეკუთვნა. ქუჩას ესაზღვრება გ. ლეონიძის სახელობის ბაღი (ყოფ. ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილი). ადრე №31 სახლში სასტუმრო „ლონდონი“ იყო განთავსებული, ხოლო №29-ში – სასტუმრო „გრანდ-ოტელი“. შემონახულია: გალავნისა და ძვ. ეკლესიის ნაშთი (სამრეკლოზე მიშენებულია №2 სახლი); ვანქის სამრეკლო (XIX ს.); XIX ს. 50–70-იანი წლებისა და საუკუნის დასასრულის საცხოვრ. სახლები; ეკლექტიკური ხასიათის შენობა (№25), რომელშიც ამჟამად განთავსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, აგებულია XIX ს. დასასრულს (ადრე ამ ადგილზე იდგა გ. *ორბელიანის* სახლი). ქუჩას აქვს 1 ჩიხი.

აკეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); მდებარეობდა დავით გურამიშვილის გამზირსა და რკინიგზას შორის. დაარსდა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. მესამე ქუჩას ა. ქ. ეწოდა 50-იან წლებში (ამჟამად ქუჩა აღარ არსებობს).

აკეთი, ლანჩხუთის რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო აკეთის გავრცელებული სახელწოდება.

აკურის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ქვაყრელი*); დასაწყისი კონსტანტინე გამსახურდიას გამზირიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში, საბურთალოს ამ ნაწილის განაშენიანების დროს. ქუჩაზეა ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტი. აქვს 2 შეს.

აკურა, სოფელი თელავის რ-ნში.

ალექსანდრე **ალადაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*აღლაბარი*); კონსტანტინე ერისთავის ქუჩიდან ამავე ქუჩის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თავდაპირველად ნახიჩევანის შეს. ერქვა (ასეა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში). თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ნახიჩევანის ქუჩა. 60-იან წლებში ა. *ალადაშვილის* სახელი ეწოდა.

ნახიჩევანი, ქალაქი აზერბაიჯანში.

ალექსანდრე **ალადაშვილის შესახვევი**, ძველი თბილისის რ-ნი (*აღლაბარი*); კონსტანტინე ერისთავის ქუჩიდან მარტყოფის ქუჩამდე. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე როგორც ნახიჩევანის შეს.

ალაზნის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*აღლაბარი*); მდებარეობდა ალაზნისა და არარატის ქუჩებს შორის.

ალაზნის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*აღლაბარი*); გელათის ქუჩიდან არმაზის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX საუკუნეში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე აღნიშნულია ყაზარის ქუჩის სახელით. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ა. ქ. 1935, უბნის რეკონსტრუქციის დროს, ქუჩის დასაწყისში აღმოჩნდა ადრინდ. შუა საუკ. აკლდამები, რ-თაგან თითოეული რამდენიმე მიცვალებულის სამარხს წარმოადგენდა. აქვს 1 შეს.

ალაზანი, მდინარე აღმ. საქართველოში.

ალგეთის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); სოღანლუღის შესახვევიდან გიორგი მერჩულის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი. 20-იან წლებში ქუჩა გახდა. ა. ქ-ის №1-ში განთავსებულია ი. *გრიშაშვილის* ბიბლიოთეკა-მუზეუმი.

ალგეთი, მდინარე აღმ. საქართველოში.

ალექსეევკა, ისანი-სამგორის რ-ნი. დასახლება თბილისის სამხრ.-აღმ. ნაწილში. იხ. *ზემო ალექსეევკის დასახლება* და ბესარიონ *ქებურაის დასახლება* (ყოფ. ქვემო ალექსეევკის დასახლება).

ვლადიმერ (ლადო) **ალექსი-მესხიშვილის გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ალექსი-მესხიშვილის ქუჩიდან ლევან ქართლელიშვილის ქუჩამდე (ყოფ. ლოტკინის გასასვლელი).

ვლადიმერ (ლადო) **ალექსი-მესხიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ლიკანის ქუჩიდან ლოტკინის ხევამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ლოტკის ქუჩა. ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში კი შეტანილია ლოტკინის ქუჩის სახელწოდებით. 1996 ვ. შ. *ალექსი-მესხიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას., 2 შეს.

დიმიტრი (დოდო) **ალექსიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი-3*); სესილია თაყაიშვილისა და საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩებს შორის (I და II მიკრორაიონებს შორის). ყოფ. უსახელო ქუჩას დ. *ალექსიძის* სახელი ეწოდა 1990.

მერაბ **ალექსიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ქვაყრელი*); ტყვარჩელის ქუჩიდან თამარ მეფის გამზირამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში და ზ. *რუხაძის* სახელი დაერქვა. 1995 მ. *ალექსიძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე განთავსებულია გეოგრაფიის, გეოლოგიის, გეოფიზიკის, მათემატიკის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და ეროვნული სამეცნ. ბიბლიოთეკა (1970; არქიტექტორები: გ. ლეჟავა, ვ. ლიბერმანი).

ალვანის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მდებარეობდა მალაზ აბდუშელიშვილისა და კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც როსლავლიოვის ქუჩა (იხ. მ. *როსლავლიოვი*), 1902 წ. გეგმაზე – ყაზარმის ქუჩა (ამ ქუჩაზე იყო გრენადერთა სამეგრელოს პოლკის პოკროვსკის ყაზარმა და სახელწოდებაც აქედან მოდის). 1923 ა. ქ. დაერქვა.

ალვანი, ახმეტის რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო ალვანის გავრცელებული სახელწოდება.

ჰეიდარ **ალიევის სანაპირო**, *მარჯვენა სანაპიროს* მონაკვეთი აკაკი ბაქრაძის ქუჩიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე. ჰ. *ალიევის* სახელი ეწოდა 2007. ამავე წელს გაიხსნა მემორიალი და მონუმენტი, რომელზეც აღნიშნულია მანძილი თბილისიდან ბაქომდე (556 *კმ*).

ისააკ **ალიხანიანის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ნიკიფორე ირბახის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც განჯის შესახვევი; 20-იან წლებში – ელიზავეტპოლის ქუჩა, 30-იან წლებში მაჰაჩყალის ქუჩა დაერქვა. 1947 ი. *ალიხანიანის* სახელი ეწოდა.

განჯა (ქართ. წყაროებით – განძა), ქალაქი აზერბაიჯანში. 1904–18 ერქვა ელიზავეტპოლი, 1935–89 – კიროვაბადი.

მაჰაჩყალა (1922-მდე – პეტროვსკ-პორტი), დაღესტნის დედაქალაქი.

ამაღლების გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); ამაღლების ქუჩიდან კოჯრის ქუჩამდე. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ამაღლების ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); პაოლო იაშვილის ქუჩიდან მარო მაყაშვილის აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ამაღლების ქუჩა („ვოზნესენსკაია“) დაერქვა კოჯრის გზატკეცილთან მდებარე ამაღლების ეკლესიის გამო, რ-იც აიგო ისტორიკოს პ. *იოსელიანის* თაოსნობითა და თბილისის მოქალაქეთა მიერ შეგროვებული ფულით. ამ დასახელებით დატანილია ქალაქის 1867 წ. გეგმაზე. 1923 ი. *დავითაშვილის* სახელი დაარქვეს, 90-იან წლებში კვლავ ა. ქ. ეწოდა. შემორჩენილია ძვ. თბილისური (XIX ს-მდე) საცხოვრ. სახლის ნაწილი. ქუჩაზე XIX ს. II ნახევრის და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები და ამაღლების ახალი ეკლესიაა (2001). აქვს 1 გას., 1 შეს. (ყოფ. ელამის შეს., მრუდე შეს.), 3 ჩიხი (II ჩიხი – ყოფ. მრუდე ჩიხი, III ჩიხი – ყოფ. სწორი ჩიხი).

ამაღლება, ქრისტიანული დღესასწაული.

ამბროლაურის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ალექსანდრე ყაზბეგის გამზირიდან გურამ ფანჯიკიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

ამბროლაური, ქალაქი დას. საქართველოში.

პეტრე **ამირანაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); დასაწყისი ვასილ კაკაბაძის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. 1981 თემქის დასახლების 69-ე ქუჩას პ. *ამირანაშვილის* სახელი დაერქვა.

შალვა **ამირანაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან გიორგი მუხაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. უსახელო ქუჩას შ. *ამირანაშვილის* სახელი დაერქვა 80-იან წლებში.

კონსტანტინე **ამირაჯიბის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); ვლადიმერ მიქელაძის ქუჩიდან ყვარლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს დასახლების VI ქუჩა ერქვა, შემდეგ კ. *ამირაჯიბის* სახელი ეწოდა.

ანაკლიის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. ადრე ბათუმის შესახვევი ერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ა. ქ.

ანაკლია, სოფელი ზუგდიდის რ-ნში.

ბათუმი, ქალაქი დას. საქართველოში, აჭარაში (დედაქალაქი).

ანანურის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); იაკობ ნიკოლაძის ქუჩიდან ვარაზისხევის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. ქუჩის კონტური მონიშნულია თბილისის 1902 წ. გეგმაზე ანანურის შესახვევის პარალელურად (ანანურის შესახვევს შემდეგში შიო *მღვიმელის* სახელი ეწოდა).

ანანური, სოფელი დუშეთის რ-ნში.

ანაპის 414-ე ქართული დივიზიის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); დავით გურამიშვილის გამზირიდან თბილისის წყალსაცავამდე. დასახლების მთავარი მაგისტრალი. თემქის დასახლების ყოფ. „ე“ ქუჩას სახელი ეწოდა 1967.



ამაღლების ქუჩა №8.





ავჭალა.

ანაპის 414-ე წითელდროშოვანი ქართული დივიზია, სახელი გაითქვა სსრკ-გერმ. (1941–45) ომში. გმირულად იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში, კრასნოდარის მხარეში, ყირიმში და სხვ.

ანაპა, ქალაქი რუსეთში, კრასნოდარის მხარეში. მის მახლობლადაა 414-ე ქართული დივიზიის დაღუპული მებრძოლების ძმათა სასაფლაო.

ელეფთერ **ანდრონიკაშვილის გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აგჭალა*); ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან ამავე ქუჩის I შესახვევამდე.

ელეფთერ **ანდრონიკაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აგჭალა*); მდინარე გლდანისხევიდან სხვიტორის ქუჩამდე. ადრე ვ. *ლურინის* სახელი ერქვა, შემდეგ – ვ. *ულიანოვისა.* 1994 – ს. *ზალდასტანიშვილის*, 1995 ე. *ანდრონიკაშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა საავტომობილო საზ-ბა „სპეცხიდრომშენი“. აქვს 1 გას., 4 შეს., 8 ჩიხი.

დავით **ანდღულაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); კოტე ბაქრაძის ქუჩიდან სერგი დურმიშიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს დასახლების VII ქუჩა ერქვა, 1973 დ. *ანდღულაძის* სახელი ეწოდა.

ნიკოლოზ **ანთელავას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კუმისის ქუჩიდან ელენე ახვლედიანის ხევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია როგორც საპნის ქუჩა. 1960 – *პეტრე იბერის*, 1994 წ. *ანთელავას* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

ანთიმოზ ივერიელის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); ერეკლე II-ის ქუჩიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე. წარმოიქმნა XVII ს. 40-იან წლებში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ეგზარქოსის შეს., 1922 დაერქვა ა. ბებელის შეს. (იხ. ა. *ბებელი*). 1962 მიეკუთვნა *ანთიმოზ ივერიელის* სახელი. გასასვლელის მახლობლად 1959, სტამბის დაარსების 250 წლისთავის აღსანიშნავად აღმართული სტელა მიგვანიშნებს, რომ აქ იყო *ვახტანგ VI-ის* მიერ თბილისში დაარსებული პირველი ქართ. სტამბა (1709), სადაც დაიბეჭდა ოცზე მეტი დასახელების ასეულობით წიგნი, მათ შორის შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი.

ანტონ კათალიკოსის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); გია აბესაძის ქუჩიდან ერეკლე II-ის მოედნამდე. ქუჩა ადრეულ ხანაში წარმოიქმნა. თავდაპირველად ქუჩის მონაკვეთს ახლანდ. ერეკლე II-ის მოედნიდან კ. აფხაზის ქუჩამდე ერქვა ლილახანა, სამღებრო რიგი, რადგან აქ იყო სამღებრო სახელოსნოები. აღნიშნულია ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. 1817–20 წლებში აქ დასახლდნენ გერმ. კოლონისტები და სამღებრო რიგს ეწოდა გერმანელების ქუჩა (შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში). ქუჩის მე-2 მონაკვეთს, კ. აფხაზის ქუჩიდან გ. აბესაძის ქუჩამდე, ერქვა აკიმოვის ქუჩა („აკიმოვსკაია“), რაც „აქიმის“ ან „ექიმის“ დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს (ქუჩა დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე). შესაძლოა, ქუჩის სახელწ. უკავშირდებოდეს იქვე მდგარ ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოძღვრის – ფილიპე სახელს. „მოძღვართ მოღვაწეობის გარეშე იგი იყო შესანიშნავი მკურნალიც“ (ზ. ჭიჭინაძე, „კათოლიკოთა ეკკლესია საქართველოში“, ტფ., 1903). 1900 აკიმოვის ქუჩა გაიზარდა გერმანელების ქუჩის ხარჯზე. 1923 ქუჩას რევოლუციონერ იოსებ (სოსო) ივანიძის (დაიღუპა 1905) სახელი ეწოდა, 1990 – ანტონ კათალიკოსისა (იხ. *ანტონ I*). 1914 აშენებულ სინაგოგის შენობაში (№3) ამჟამად განთავსებულია საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწ. მუზეუმი. აქვს 1 ჩიხი (ყოფ. ი. ივანიძის ჩიხი; თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ა. ბებელის II ჩიხი).

ანა **ანტონოვსკაიას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვაჟა-ფშაველას გამზირიდან იპოდრომამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. 1974-იდან ა. *ანტონოვსკაიას* სახელი ჰქვია.

იური **ანუას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); დასაწყისი იური გაგარინის ქუჩიდან. შესახვევს ი. *ანუას* სახელი დაერქვა 2006.

ვერიკო **ანჯაფარიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ფიქრის გორა*); იაკობ ნიკოლაძის ქუჩიდან ვარაზისხევის ქუჩამდე. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია დუშეთის I ჩიხის სახელით. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ი. ნიკოლაძის I ჩიხი (იხ. ი. *ნიკოლაძე*). 1938 – ა. *სუმბათაშვილ-იუჟინის*, 1992 ვ. *ანჯაფარიძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა თეატრი „ვერიკო“ (დამაარსებელი კოტე მახარაძე), ა-ისა და მ. *ჭიაურელის* სახლ-მუზეუმი (მის.: ვ. ანჯაფარიძის 16).

ზურაბ **ანჯაფარიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან დოლაბაურის III ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. აღნიშნულია ქალაქის 1851 წ. გეგმაზე როგორც სალდათის ქუჩა. რევოლუციამდე ამ ქუჩის მახლობლად იდგა ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკის ყაზარმები. საბჭ. ხელისუფლების წლებში აქ წითელარმიელთა ნაწილები განლაგდნენ (აქვე იყო წითელარმიელთა კლუბიც). ამის გამო ქუჩას XX ს. 30-იან წლებში წითელარმიელის ქუჩა დაერქვა. 2007 ზ. *ანჯაფარიძის* სახელი ეწოდა.

შიო **არაგვისპირელის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ადიგენის ქუჩიდან ნესტორ კალანდარიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 70-იან წლებში. 1875 ქუჩას ეწოდა ქალაქისთავის – ი. თუმანოვის (*თუმანიშვილის*) სახელი, რომელიც ამ რაიონში მიწის დიდ ნაკვეთს ფლობდა. მის სახელს ატარებდა რამდენიმე ქუჩა. 1900 თუმანოვის III ქუჩას თამარის ქუჩა დაერქვა, როგორც ჩანს, თამარ მეფის პატივსაცემად. 1922 შ. *არაგვისპირელის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს. (ყოფ. თამარის შეს.), 1 ჩიხი.

არალეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ვაზიანის ქუჩიდან იფნის ქუჩამდე. უსახელო ქუჩას ა. ქ. დაერქვა XX ს. 50-იან წლებში. ზოგ ცნობარში არალეთის ნაცვლად მითითებულია არადეთის ქუჩა.

არადეთი, სოფ. ქარელის რ-ნში.

არარატის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); გელათის ქუჩიდან არმაზის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს.

არარატი, ქალაქი სომხეთში; ვულკანური მასივი თურქეთში; ვაკე სომხეთსა და თურქეთში.

დიმიტრი **არაყიშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ტიციან ტაბიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. მანამდე აქ იდგა აგურის ქარხნები, რაც ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. შემდეგ სამგორის ქუჩა დაერქვა. 1953 დ. *არაყიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

სამგორი, ვაკე ადგილი თბილისის აღმ-ით, ივრის ზეგნის ჩრდ.-დას. მონაკვეთი.

არაბოს ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. მე-9 ქუჩას ა. ქ. ეწოდა 1948.

არაბო, სოფელი გორის რ-ნში.

არაბოშვილის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*შავი სოფელი*); სამასი არაგველის მესამე შესახვევიდან არტემ ლუსინიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1961-მდე შესახვევი იყო.

არბოშიკი, სოფელი დედოფლისწყაროს რ-ნში.

არგვეთის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); წყაროს ქუჩიდან მანგლისის ქუჩამდე. ქუჩის კონტურები დატანილია თბილისის 1902 წ. გეგმაზე, თუმცა სახელი არაა აღნიშნული. 20-იან წლებში ტყეკულტურის III ქუჩა დაერქვა, 40-იან წლებში ა. ქ. ეწოდა.

არგვეთა, არგვეთი, 1) სოფლები დას. საქართველოში, ზესტაფონისა და საჩხერის რ-ნებში; 2) ისტ. პროვინცია დას. საქართველოში.

ლავრენტი **არდაზიანის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ხევიდან ზემო ვეძისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 60-იან წლებამდე საპროექტოს I ქუჩა ერქვა, შემდეგ ლ. *არდაზიანის* სახელი ეწოდა.

ქრისტეფორე **არეშიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ატენის ქუჩიდან ვერის ხეობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბაზალეთის

შესახვევი, შემდეგ ატენის შესახვევი დაერქვა. 1992 ქ. *არეშიძის* სახელი ეწოდა.

პეტრე **არველაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); ვლადიმერ მიქელაძის ქუჩიდან ემზარ ონიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს დასახლების IV ქუჩა ერქვა, შემდეგ პ. *არველაძის* სახელი ეწოდა.

ართვინის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); რკინიგზიდან ოთარ ჩხეიძეშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1922-მდე ანტონის (იხ. *ანტონ მარტყოფელი*) ქუჩა ერქვა (შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში), შემდეგ – *არაქელასი*. ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 50-იან წლებში ა. ქ. ეწოდა. აქვს 2 ჩიხი.

ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘ, საქართველოს ისტორიული პროვინციის – კლარჯეთის ქალაქი. ამჟამად ჩრდ.-აღმ. თურქეთშია.

არმაზის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ლადო მესხიშვილის ქუჩიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში, ადრე ეჩმიაძინის ქუჩა ერქვა. დატანილია თბილისის 1876 და 1934 წლების გეგმებზე. ქუჩის სახელწ. უკავშირდებოდა იქვე მდგარ XIX ს. ეჩმიაძინის წმინდა გიორგის ეკლესიას. 60-იან წლებში ა. ქ. დაერქვა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს.

ᲐᲠᲛᲐᲖᲘ, საქართველოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთის ერთ-ერთი უბანი. 1940 ა. და მისი მიდამოები არქეოლ. და არქიტ. ნაკრძალად გამოცხადდა.

ᲔᲩᲛᲘᲐᲫᲘᲜᲘ (1945-მდე და 1995-იდან – ვაღარშაპატი), სომხ.-გრიგორიანული ეკლესიის კათალიკოსის რეზიდენცია.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ (*ჩუღურეთი*), დასახლებული უბანი ჩუღურეთში. გაჩნდა XIX ს. 70-იან წლებში, მას შემდეგ, რაც არსენალი ღუნიბის მოედნიდან გადაიტანეს მტკვრის მარცხ. მხარეს მდებარე ჩუღურეთის გორაზე, რომელსაც არსენალის გორა შეერქვა, უბანს კი – „ა.“ დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. არსენალმა, როგორც სამხ. დაწესებულებამ, იარსება XX ს. 30-იან წლებამდე, თუმცა ტოპონიმი დღემდეა შემორჩენილი.

არსენალი თავდაპირველად მდებარეობდა გარეთუბანში. ადგილი, სადაც ამჟამად მთავრობის სახლის უკანა კორპუსია, 1816-იდან არსენალის შენობას ეჭირა, ხოლო ქვედა ტერასაზე მოწყობილი იყო მოედანი. 1846 პირველი იანვრიდან მეფისნაცვალ მ. *ვორონცოვის* ბრძანებით არსენალის მოედნიდან, 60-იანი წლებიდან კი – ალექსანდრეს ბაღიდან, ყოველდღიურად შუადღის აღსანიშნავად ისროდნენ ზარბაზნიდან. ეს ტრადიცია გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც „საათი-ზარბაზანი“ ჩუღურეთში, არსენალის (ახლანდ. შ. გამცემლიძის) ქუჩის მახლობლად გადაიტანეს (1882); მოიშალა მხოლოდ რევოლუციის შემდეგ.

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ, სამხ. დაწესებულება, სადაც ინახავენ, არემონტებენ და ანაწილებენ სამხ. ნაწილების შეიარაღებასა და საბრძოლო მასალას.

ᲦᲣᲜᲘᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ახლანდ. მთავრობის სახლის ადგილზე მდებარე მოედანი. სახელწ. უკავშირდება რუს. ჯარის მიერ 1859 წ. შამილის უკანასკნელი ფორპოსტის – ღუნიბის აღებას.

არსენალის მთის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*არსენალი*); რკინიგზიდან ახალარსენალის I ქუჩამდე.

არსენალის ხევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*არსენალი*);

არსენას ქუჩა, იხ. არსენა *ოძელაშვილის ქუჩა*.

სოკრატ **არშბას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); იური გაგარინის ქუჩიდან ჟიული შარტავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში, ადრე კოლხეთის IV შესახვევი ერქვა, 1968-იდან – ი. გაგარინის IV შესახვევი. 2006 ს. *არშბას* სახელი ეწოდა.

არჩილ მეფის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დიღომი*); დემეტრე თავდადებულის ქუჩიდან მირიან მეფის ქუჩამდე. ადრე უსახელო მონაკვეთი იყო. 1991 წმინდა არჩილ მეფის სახელი ეწოდა (იხ. *არჩილ* სტეფანოზის ძე).

გურამ **ასათიანის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); კისისხევის ქუჩიდან გურამ ასათიანის II შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ფარკოფელის შესახვევი. 20-იან წლებში ქუჩა გახდა. 1958 – ი. *სტურუას*, 2003 გ. *ასათიანის* სახელი ეწოდა. აქვს 2 შეს. (I შეს. – ყოფ. ფარკოფელის შეს.). თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის მონაკვეთი, გ. ასათიანის I შესახვევიდან II შესახვევამდე, დატანილია როგორც ფარკოფელის გასასვლელი.

გურამ **ასათიანის I შესახვევი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მიხეილ მესხის ქუჩიდან ძმობის ჩიხამდე.

გურამ **ასათიანის II შესახვევი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მიხეილ მესხის ქუჩიდან ომარ კელაპტრიშვილის შესახვევამდე.

ლადო **ასათიანის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა, სოლოლაკი*); პურის მოედნიდან კოჯრის ქუჩამდე. ფეოდ. პერიოდში აქაური მიწების დიდი ნაწილი ბებუთაშვილების გვარს ეკუთვნოდა. XVIII ს-ში ქუჩის დასაწყისში იდგა ბებუთაშვილების სასახლე, რომელსაც სხვადასხვა ნაგებობითა და ეზო-ბაღით საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეჭირა. ამ ტერიტორიაზე ყოფილა პატარა აუზი მარმარილოს ლომებით და, აგრეთვე, ქვის აუზი, რომლებშიც წყალი სოლოლაკის მთიდან მოდიოდა მილებით. ქუჩას ადრე კოჯრის აღმართი ერქვა, შემდეგ – კოჯრის ქუჩა, 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ბაღის ქუჩა. 1843 წ. სიაში შეტანილია გ. *ბებუთოვის* სახელით. 1922 – ფ. *ენგელსის*, 1991 ლ. *ასათიანის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის XIX ს. დასასრულის და XX ს. დასაწყისის შენობები, მ. შ. №28 – ახლანდ. 66-ე სკოლა-გიმნაზიის შენობა (1903, ინჟ. როტინოვი), №18 – არქიტ. კ. ტატიშჩევის საკუთარი სახლი (1897). აქვს 2 შეს. (I შეს. – ყოფ. ნ. მარის II ქუჩა, II შეს. – ყოფ. მცირე შეს.).

მიხეილ **ასათიანის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ალექსანდრე ყაზბეგის გამზირიდან შალვა ნუცუბიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე – კომინტერნის, 1961-იდან ვაჟა-ფშაველას შესახვევი ერქვა. 1966 მ. *ასათიანის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნ. ცენტრი.

ᲙᲝᲛᲘᲜᲢᲔᲠᲜᲘ, კომუნისტური ინტერნაციონალი, III ინტერნაციონალი (1919–43), საერთაშორისო ორგანიზაცია, რ-იც აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნის კომპარტიებს.

ასკანის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); ბეთლემის ქუჩიდან გომის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. ადრე ერქვა ფეთხაინის II აღმართი (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე), მეორეხარისხოვნად – მიძინების აღმართი. სახელწ. უკავშირდებოდა ბეთლემის (ფეთხაინი) მაცხოვრის შობის ზედა ეკლესიას (ყოფ. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია). 1925 ნ. მარის I ქუჩა დაერქვა (იხ. ნ. *მარი*), 1938 – ა. ქ. ქუჩაზე და ჩიხებში შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ქვემო გომის შესახვევი, ხოლო გომის ქუჩის მონაკვეთი ბეთლემის აღმართიდან ასკანის შესახვევამდე – როგორც ასკანის შესახვევი), 4 ჩიხი.

ᲐᲡᲙᲐᲜᲐ, სოფელი ოზურგეთის რ-ნში.

ასკერის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); მისასვლელი ჰქონდა თელეთის ქუჩის II შესახვევიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ასკერის გასასვლელი. ამჟამად შეს. აღარ არსებობს.

პავლე **ასლანიდის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ქვაყრელი*); ტყვარჩელის ქუჩიდან აკურისა და ბერბუკის ქუჩებამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე ერქვა ალმასიანის ქუჩა, 1993 პ. *ასლანიდის* სახელი ეწოდა.

ᲐᲚᲛᲐᲡᲘᲐᲜᲘ, სოფელი ყაზბეგის რ-ნში.

ასპინძის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); პაატა საკაძისა და გუმათის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

ასპინძის I ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დასაწყისი გუმათის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში (ადრე ასპინძის II შეს. ერქვა).





ქალაქის ხედი.

ასპინძის II ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დასაწყისი გუმათის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.
ასპინძის შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); პაატა სააკაძის ქუჩიდან ზეგანის ქუჩამდე (ადრე ასპინძის I შეს. ერქვა).
ასპინძა, დაბა ისტორიულ სამცხეში, ასპინძის რ-ნის ცენტრი.
ასურეთის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); გეგუთის ქუჩიდან სილიბისტრო თოდრიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.
ასურეთი, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში.
ასხის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ლებარდის ქუჩიდან ცაიშის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ადრე ერქვა ჩუღურეთის აგარაკის, შემდეგ – ასხინის ქუჩა, რაც ასხის რუსიფიცირებული ფორმაა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ასხის ქუჩა. 1939 დაერქვა პ. *ოსიპენკოს* სახელი, 1990 ეწოდა ჩულურეთის ქუჩა, შემდეგ დაუბრუნდა ძველი სახელი.
ასხი, ასხის მასივი, კარსტული მასივი ეგრისის ქედზე.
ატენის ჭუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ვერის ხეობამდე. ქუჩა წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია ვაკის ახალი ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის ბოლო მონაკვეთი (ახლანდ. ქრისტეფორე არეშიძის ქუჩის პარალელური) დატანილია როგორც ატენის შესახვევი, შემდეგ თბილისის საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის წევრის ვასილ ალექსის ძე ხომასურიძის (1856–1948) სახელი დაერქვა, 1959-იდან – ისევ ატენის, 1996 გ. *აბაშიძის* სახელი ეწოდა. 2001 დაუბრუნდა ძვ. სახელი. ქუჩაზეა ბანკი „რესპუბლიკა. ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი“.
ატენი, ქალაქი ფეოდ. საქართველოში. გორის რ-ნის სოფლების დიდი და პატარა ატენის გავრცელებული სახელწოდება.
ატოცის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); კახა მანიჟაშვილის ქუჩიდან ცაიშის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ნოღელას ქუჩა, შემდეგ, 40-იან წლებამდე, ქვალონის II ქუჩა ერქვა.
ატოცი, სოფელი ქარელის რ-ნში.
ნოღელა, მდინარე აბაშისა და მარტვილის რ-ნებში, რიონის მარჯვ. შენაკადი.
ქვალონი, ყოფ. სოფელი ხობის რ-ნში, რკინიგზის ბაქანი სენაკ–ხობის გადასარბენზე.
თედორე **აფანასიევის ჭუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); ვლადიმერ მიქელაძის ქუჩიდან გიორგი შარავაშიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს დასახლების V ქუჩა ერქვა, შემდეგ თ. *აფანასიევის* სახელი ეწოდა.
აფხაზეთის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი (გიგო) ზაზიაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 1923-მდე ვლადიმერის II შესახვევი ერქვა, შემდეგ – აფხაზეთის შესახვევი. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ქუჩა. აქვს 2 შეს. (II შეს. – ყოფ. ცხრა ძმის II შეს., III შეს. – ყოფ. ცხრა ძმის III შეს.).
აფხაზეთის I შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი (გიგო) ზაზიაშვილის ქუჩიდან აჭარის ქუჩამდე.
კოტე (კონსტანტინე) **აფხაზის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა, ზემო უბნისა* და *ქვემო უბნის* საზღვარი); თავისუფლების მოედნიდან ვახტანგ გორგასლის მოედნამდე. წარმოიქმნა შუა საუკუნეებში. „კოჯრის კარიდამ ჩამოსული დიდი ქუჩა“ იმთავითვე ცნობილი იყო შუა ბაზრის სახელით. ეს სახელი შეერქვა იმიტომ, რომ იგი ქალაქის (კალის) ორ უბანს – ზემო და ქვემო უბანს შუა მდებარეობდა. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სომხის ქუჩა და პ. *ციციანოვის* ქუჩა (ვერცხლის ქუჩასთან ერთად). თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც პ. ციციანოვის ქუჩა (სომხის ბაზარი, ქურქისა და იარაღის რიგები), 1876 და შემდგომი წლების გეგმებზე – როგორც სომხის ბაზარი. XX ს. 30-იან წლებში სარეწაო კოოპერაციის ქუჩა დაერქვა იქვე განთავსებული საქართვ. სარეწაო კოოპერაციის საბჭოს („სარეწაო საბჭო“) გამო. 1938 – ს. *თოდრიას*, 1944 – კ. *ლესელიძის*, 2006 კ. *აფხაზის* სახელი ეწოდა. ისტორიულად ეს იყო უძველესი საქარავნო გზის მონაკვეთი, რ-იც კოჯრის კართან იწყებოდა, დღევანდელი ა. ჭ-ის ხაზს გასდევდა და აკავშირებდა ქალაქის ცენტრს *აბანოთუბანთან*. შემდგომში იგი თანდათანობით იქცა ქალაქის ძირძველი ნაწილის – კალის სავაჭრო ცენტრად. კლაკნილი, ვიწრო, მაგრამ საკმაოდ გრძელი ქუჩის ორივე მხარე მჭიდროდ იყო განაშენიანებული სავაჭრო დუქნებით, სახელოსნოებით, საკულტო ნაგებობებით და, ფაქტობრივად, ქალაქის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს, თავისებურ ბირჟას წარმოადგენდა. პირველი რეკონსტრუქცია ქუჩას 1924–26 ჩაუტარდა (ინჟ. გ. ქურდიანის პროექტი), მეორე – 1986–88 (არქიტ. ჯგუფი გ. ბათიაშვილის ხელმძღვანელობით), რის შედეგადაც ქუჩა გადაიქცა მნიშვნელოვან სატრანსპ. მაგისტრალად, რ-იც აერთებს ქალაქის ცენტრს მის სამხრ.-აღმ. ნაწილთან და, ამავე დროს, რჩება კულტურულ-სავაჭრო ცენტრად. ძველ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში მრავალი თანამედროვე ნაგებობა აღიმართა, მოძველებულ, ამორტიზებულ სახლებს კი ჩაუტარდა ძირეული რეკონსტრუქცია, რამაც მრავალსახა ქალაქისათვის დამახასიათებელი იერის ამ უძველეს ქუჩას თანამედროვე სახე მისცა. იგი ერთნაირად იზიდავს როგორც თბილისელებს, ასევე ტურისტებსაც. ნაგებობათაგან აღსანიშნავია: უნივერმაღის შენობის კომპლექსი [XX ს. 80-იანი წწ., არქიტექტორები: გ. ბათიაშვილი (ხელმძღვ.), მ. ლეკვეიშვილი, დ. ჟღენტი, ი. ხელაია; გრან-პრი I საერთაშ. არქიტ. ბიენალეზე, თბილისი], რ-ის ხუროთმოძღვრება „პოსტმოდერნისტული“ სტილის თავისებური ინტერპრეტაციაა; სტომატოლოგიური პოლიკლინიკა (1988; არქიტ. ნ. ქვათელაძე, გ. თაყაიშვილი), რ-იც ორიგინალური, ფორმით არაორდინარული შენობაა. ა. ჭ-ზე არის თეკლეს ქარვასლა (ახლანდ. სასულიერო აკადემია და სემინარია; XIX ს. შუა წლები), ნორაშენის ღვთისმშობლის და ჯვარის მამის ეკლესიები, სინაგოგა. ვერცხლის ქუჩის კუთხეში, სკვერში, დგას კ. ლესელიძის ძეგლი (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე). აქვს 3 ჩიხი (თბილისის 1934 წ. გეგმაზე II ჩიხი დატანილია როგორც ქოშის ჩიხი).
ალდგომის მოედანი, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); იოანე შავთელის, ნინო და ილია ნაკაშიძეებისა და ჩახრუხაძის ქუჩებს შორის. სახელი ეწოდა 2006.
ალდგომა, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული.
აწყურის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); კასპის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 20-იან წლებამდე ფერმა-ავლაბრის დიდი პროსპექტი ერქვა. თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია როგორც აწყურის დიდი პროსპექტი, 1940 წ. ცნობარში – როგორც ა. ჭ. აქვს 1 შეს. (ყოფ. შირაქის III შეს., შემდგომ – აწყურის I შეს.).
აწყური, სოფელი, ტაძარი და ციხე ახალციხის რ-ნში.
აჭარის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი მარუაშვილის ქუჩიდან ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. ადრე ჯავახეთის ქუჩა ერქვა. 60-იან წლებში ა. ჭ. ეწოდა.
აჭარა, საქართველოს ავტ. რესპუბლიკა.
ჯავახეთი, მხარე სამხრ. საქართველოში.
ახალარსენალის I ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*არსენალი*); არსენალის მთის ქუჩიდან ასპინძის შესახვევამდე. ქუჩა წარმოიქმნა XIX ს. 60-იან წლებში ჩუღურეთის მიდამოებში განაშენიანების ზრდის გამო. ერთხანს ახალჩუღურეთის I ქუჩა ერქვა.
ახალარსენალის II ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*არსენალი*); არსენალის ხევიდან ზეგანის ქუჩამდე. ერთხანს ახალჩუღურეთის II ქუჩა ერქვა.

ᲐᲮᲐᲚᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*არსენალი*); დასაწყისი ახალარსენალის II ქუჩიდან.

ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲑᲐ, დაბა ბორჯომის რ-ნში.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲣᲙᲘᲐ, *კუკიის* მიკროუბანი. XIX ს. 40–50-იან წლებში ჩუღურეთიდან და ავლაბრიდან დაიწყო მოსახლეობის მასობრივი გადასვლა კუკიაზე დასასახლებლად, რის შედეგადაც ახლანდ. ა. ჩიქობავას ქუჩის გადაღმა, ჩრდ-ით და ჩრდ.-აღმ-ით, გაჩნდა ახალი დასახლება. 80–90-იან წლებში **ა. ჰ**-მ დაიკავა რკინიგზის გადაღმა, ძველი ნაძალადევისა და კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*). მოიცავდა ახლანდ. ერეკლე ტატიშვილისა (ყოფ. ყაზბეგის) და დიმიტრი ბაქრაძის ქუჩების მიდამოებს. იხსენიება XIX ს. II ნახევარში შედგენილ თბილისის გეგმებზე. აქ უწინ არსებობდა ტავერნა „ახალი ჰოლანდია“, ჩანს, უბნის სახელიც აქედან მოდის.

ᲐᲮᲐᲚᲣᲑᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან ფშავის ქუჩამდე. ქუჩის კონტურები თბილისის 1924 წ. გეგმაზეც არის მონიშნული.

ᲐᲮᲐᲚᲣᲑᲐᲜᲘ, ამ სახელწოდების რამდენიმე პუნქტია საქართველოში. შესაძლებელია სახელწოდება დაკავშირებული იყოს ახ. უბნის განაშენიანებასთან.

ᲐᲮᲐᲚᲫᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მერაბ ქავთარაძის ქუჩიდან ხევსურეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში და 40-იან წლებამდე საწყობის II ქუჩა ერქვა.

ᲐᲮᲐᲚᲫᲐᲚᲐᲫᲘ, ქალაქი სამხრ. საქართველოში.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე მთის ქუჩა ერქვა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ახალციხის შესახვევი. XX ს. 30-იან წლებში ქუჩა გახდა.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ, ქალაქი სამხრ. საქართველოში.

ელენე **ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კოსტა ხეთაგუროვის ქუჩიდან მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც სურბ-კარაპეტის აღმართი, 1923 ეწოდა ნ. *კიბალჩიჩის*, 1988 – ე. *ახვლედიანის* სახელი. აღმართზე დგას ყოველთა ქართველთა წმიდათა სახ. ეკლესია.

გიორგი **ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ლეო ქიაჩელის ქუჩიდან ნიკო ნიკოლაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ახალი ქუჩა, შემდეგ დაერქვა რუს. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ასულის ანასტასიას (1901–18) სახელი. ამ სახელითაა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 – ს. *პეროვსკაიას*, 1990 გ. *ახვლედიანის* სახელი ეწოდა.

ელენე **ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ელენე ახვლედიანის აღმართიდან სამრეკლოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. წარმოადგენდა სურბ-კარაპეტის აღმართის განშტოებას და სურბ-კარაპეტის ქუჩა ერქვა (სახელწოდება უკავშირდებოდა ავლაბარში მდგარ სურბ-კარაპეტის ეკლესიას). ძვ. სახელით ქუჩა ქალაქის გეგმაზე აღნიშნულია 1876-იდან. 1923 ეწოდა ნ. *კიბალჩიჩის*, 1988 – ე. *ახვლედიანის* სახელი. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 აღმ., 1 შეს., 1 ჩიხი.

ᲡᲣᲠᲑ-ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘ, ქართ. – წმინდა კარაპეტი.

ელენე **ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲕᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კოსტა ხეთაგუროვის ქუჩიდან მიხეილ ბუხაიძის ქუჩამდე. ყოფილი ჩუღურეთის, შემდეგ სურბ-კარაპეტის, 1923-იდან – ნ. *კიბალჩიჩის* ხევი. 1988 ა. ხ. ეწოდა.

ალექსანდრე (სანდრო) **ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დილომი*); ალექსანდრე ახმეტელისა და ევგენი მიქელაძის ქუჩებს შორის.

ალექსანდრე (სანდრო) **ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დილომი*); აკაკი ბელიაშვილის ქუჩასა და დავით აღმაშე-



აღდგომის მოედანი.

ნებლის ხეივანს შორის. ა. *ახმეტელის* სახელი ეწოდა 1963. ამ ქუჩაზეა კინოსტუდია – დღევანდელი სააქციო საზ-ბა „ქართული ფილმი“. აქვს 1 გას.

ახმეტის ჭუჩა, ისანი-სამგორისა და ძველი თბილისის რ-ნები (*აჯლაბარი*); ბადიაურის ქუჩიდან წინანდლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1902-მდე ზაქათალის ქუჩა ერქვა. ამ სახელითაა დატანილი თბილისის 1876 წ. გეგმაზე. შემდეგ **ა. ქ.** დაერქვა. 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც თიანეთის ქუჩა [იწყებოდა თელავის ქუჩიდან, ხოლო ქუჩის მონაკვეთი თელავის ქუჩიდან ზევამდე (ახლანდ. ი. ქურხულის შეს. ნაწილი) დატანილია როგორც ჩინგილის შეს.]. თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია როგორც **ა. ქ.** აქვს 1 ჩიხი (ყოფ. ჩინგილის ჩიხი).

ახმეტა, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ზაქათალა, ქალაქი აზერბაიჯანში. ზაქათალის ოკრუგი და ზ. 1860–1917 ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნიას ექვემდებარებოდა.

ბეგლარ **ახოსპირელის გასასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); ბეგლარ ახოსპირელის ქუჩასა და ლადო გუდიაშვილის მოედანს შორის.

ბეგლარ **ახოსპირელის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); ლადო გუდიაშვილის მოედნიდან ლადო ასათიანის ქუჩამდე. არსებობს ფეოდ. ხანიდან. ქუჩა აღნიშნულია ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. 1867 წ. გეგმაზე მოღნინის ქუჩად იწოდება აქ მდებარე მოღნინის ღვთისმშობლის სომხ.-გრიგორიანული ეკლესიის (1751) გამო. 1923 ქუჩას ეწოდა ბ. *ახოსპირელის* სახელი. ქუჩაზე, გასასვლელსა და ჩიხში შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 გას., 3 ჩიხი.

ახტალის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); მისასვლელი ახტალის ქუჩიდან.

ახტალის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ზიარის ქუჩიდან სანავარდოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებამდე ახტალის I ქუჩა ერქვა. აქვს 1 გას.

ახტალა, ტალახით სამკურნალო ბალნეოლ. კურორტი გურჯაანში.

ახუთის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დასაწყისი პაატა საакაძის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

ახ უთი, სოფელი ჩხოროწყუს რ-ნში.

მირზა ფათალი **ახუნდოვის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*აბანოთუბანი, ხარფუხი*); აბანოს ქუჩიდან ფირდოუსის ქუჩამდე. როგორც შესახვევი, წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში, ადრე მექვაბეთა ქუჩა ერქვა, სახელწ. დაკავშირებულია თბილისელ მექვაბეთა საქმიანობასთან. ქუჩას ესაზღვრებოდა მსხვილი ფეოდალების სუმბათოვების (სუმბათაშვილების) მამული და XX ს. დასაწყისიდან სუმბათოვის ქუჩა დაერქვა. 30-იან წლებში მ. ფ. *ახუნდოვის* სახელი ეწოდა. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. აქვს 1 შეს., რ-იც იმავე გეგმაზე დატანილია ქვაბის შესახვევის სახელწოდებით. აქვეა დატანილი სპილენძისა და ზედადგარის შესახვევები, რ-ებიც ამჟამად აღარ არსებობს.

აჯამეთის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); არნოლდ ჩიქობავას ქუჩიდან ნიკოლოზ გოცირიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. 80-იან წლებამდე შესახვევი იყო.



გიორგი ახვლედიანის ქუჩა.

გერცელ **ბაზოვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შუშის ქუჩა, ასევეა დატანილი თბილისის 1922 და 1934 წლების გეგმებზე. თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში შეტანილია როგორც შუშინის ქუჩა. 1995 გ. *ბაზოვის* სახელი დაერქვა.

შუშა, ქალაქი აზერბაიჯანში. გვიანდ. ფეოდ. ხანაში არსებობდა შუშის ანუ ყარაბაღის სახანო, რ-იც 1813 გულისტანის საზავო ხელშეკრულებით სპარსეთმა საბოლოოდ დაუთმო რუსეთს.

დავით **ბაზოვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ჰოვანეს თუმანიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ა. რიჟინაშვილის შესახვევი (იხ. ა. *რიჟინაშვილი*). შემდეგ იერუსალიმის შესახვევი ერქვა. თბილისის მთავარი რაბინის წინადადებით ქუჩას 1998 დ. *ბაზოვის* სახელი ეწოდა.

ბაგები, ვაკე-საბურთალოს რ-ნი. საცხოვრ. უბანი თბილისის დას. ნაწილში, *ვაკის* განაპირას, მთაწმინდის ქედსა და ვერის ხეობას შორის. ადრე აქ იყო სოფ. ბ., რ-ის სახელი ქალაქთან შემოერთების შემდეგ მხოლოდ უბანს შემორჩა. XX ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო ბ-ის ინტენს. განაშენიანება. მიკრორაიონი წარმოადგენს სამ ტერასაზე განლაგებულ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპლექსს. გარდა საცხოვრ. სახლებისა, ბ-ში აშენდა თსუ-ის საერთო საცხოვრებლის მაღლივი კორპუსები, რ-ებიც ხიდით უკავშირდება მდ. ვერის მარცხ. ნაპირზე მდებარე სასწავლო კორპუსებს.

ბაგინეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მიხეილ ხვინგიას ქუჩიდან გრიგოლ ნათაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ბაგინეთი, არმაზციხე, საქართველოს ძვ. დედაქალაქის მცხეთის შიდაციხე. მდებარეობს ქალაქის სამხრ. ნაწილში.

ვახუშტი **ბაგრატიონის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); ვახუშტი ბაგრატიონის ხიდიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. 1898 დაერქვა ს. *შერემეტევის* სახელი, 1923 – ვახუშტის, 1973 – ვახუშტი ბაგრატიონის (იხ. *ვახუშტი ბატონიშვილი*). ქუჩის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ვახუშტი *ბაგრატიონის ხიდის* აშენების შემდეგ.

ირაკლი (ვჯანო) **ბაგრატიონის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); დავით გამრეკელის ქუჩიდან ტაშკენტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე უსახელო იყო. შემდეგ მ. *ტოროშელიძის* სახელი ერქვა. 1992 ი. *ბაგრატიონის* სახელი ეწოდა.

პეტრე **ბაგრატიონის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთის უბანი*); რამაზ დავითაშვილის ქუჩიდან პაატა საკაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში, 60-იან წლებამდე შრომის შესახვევი ერქვა, შემდეგ პ. *ბაგრატიონის* სახელი ეწოდა. აქვს 4 ჩიხი (ყოფ. თამარაშენის ჩიხები).

ვახუშტი **ბაგრატიონის ხიდი**, გიორგი საკაძის მოედნისა და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდი მდ. მტკვარზე (1976; არქიტ. ნ. ლომიძე. ინჟინრები: გ. ბრეგვაძე, ი. კოშკაძე). ხიდის აშენებამდე ამ ადგილას იყო 1936 აგებული საცალფეხო ხიდი – ვიადუკი (ინჟ. მ. მიზრახი).

ბაგრატ III-ის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დილომი*); თეიმურაზ I-ისა და მირიან მეფის ქუჩებს შორის. მშენებარე ქუჩას *ბაგრატ III-ის* სახელი ეწოდა 1990.

ბადიაურის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*აგლაბარი*); ფოსტის ქუჩიდან ალექსანდრე წურწუმიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში, 1957-მდე ქართველთა ქუჩა ერქვა. აქვს 1 შეს.

ბადიაური, სოფელი საგარეჯოს რ-ნში.

ბაზალეთის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ირაკლი აბაშიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია ვაკის ახალი ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმის მიხედვით იწყებოდა ახლანდ. ქ. არეშიძის ქუჩიდან (ყოფ. ბაზალეთის შეს.).

ბაზალეთი, სოფელი და ტბა დუშეთის რ-ნში.

ბათუმის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); რკინიგზიდან დავით ყიფიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ბათუმი, ქალაქი დას. საქართველოში, აჭარაში (დედაქალაქი).

ბაკურიანის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია საბურთალოს ახალი ქუჩების სიაში.

ბაკურიანი, დაბა ბორჯომის რ-ნში, კურორტი და მნიშვნელოვანი სამთო-სათხილამურო ცენტრი.

ბაკურციხის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); უსახელო ქუჩიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩამდე (თავდაპირველად იწყებოდა ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან). წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია საბურთალოს ახალი ქუჩების სიაში.

ბაკურციხე, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

ბალადანის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ქედის კომუნის ქუჩიდან ციხისძირის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბალანდანის შესახვევი, თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია როგორც კომკავშირის III შეს., 1960 და შემდგომი წლების ცნობარებში – როგორც ბ. ქ.

მელიტონ და ანდრია **ბალანჩივაძეების ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ოცდაექვსი მაისის მოედნიდან ვიქტორ დოლიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1938-მდე მას ახალშენის III ქუჩა ერქვა, შემდეგ – ბეშთაშენის, 1967-იდან – მელიტონ ბალანჩივაძისა. 1992 მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების სახელი ეწოდა (იხ. ა. *ბალანჩივაძე*, მ. *ბალანჩივაძე*).

ბეშთაშენი, სოფელი წალკის რ-ნში.

ჯორჯ **ბალანჩინის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დილომი*); გიორგი მინდელის ხიდიდან დავით აღმაშენებლის ხეივნამდე. ქუჩას ჯ. *ბალანჩინის* სახელი ეწოდა 2005. ქუჩაზეა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო.

ბამბის რიგი, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); სიონის ქუჩიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე. თბილისის ერთ-ერთი უძველესი ქუჩა. წარმოიქმნა XIX ს-მდე. მისი სახელწ. დაკავშირებულია ადრე ამ ქუჩაზე განლაგებულ ბამბეულის, მატყლის, ჩითის, ფარჩისა და სხვ. ნაწარმის სავაჭრო დუქნებსა და საწყობებთან. მოვაჭრეთა ასეთ რიგს ბაზაზხანა (არაბ.-სპარს. – ბაზაზხანე; ფართლეულის სავაჭრო სახლი) ერქვა. თბილისში 2 ბაზაზხანა იყო: დიდი (კ. აფხაზის ქუჩის იმ მონაკვეთზე, რ-იც სიონის ქუჩის პარალელური იყო) და მცირე ანუ ქვემო ბაზაზხანა, რ-იც ბ. რ-ის სახელით არის ცნობილი. შემდეგ კიდევ ერთი ბაზაზხანა გაჩნდა ბნელ რიგში (ახლანდ. ჟან *შარდენის ქუჩა*). 1981 ჩატარდა ქუჩის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია (არქიტ. ჯ.გუფი; ხელმძღვ. გ. ბათიაშვილი). აღდგენილია არქიტ. ღაზარ სარქსიანის პროექტით 1903 აგებული მანთაშევისეული მაღაზიები („მანთაშევსკიე რიადი“). შენობის სანაპიროსკენ მიმართულ კედელზე მიმაგრებულია კინორეჟისორ ს. ფარაჯანოვის ძეგლი (მოქანდაკე ვ. მიქაბერიძე).

ბანაკის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება ავლაბარსა და საბარგოს დასახლებას შორის. მეფის რუსეთის დროს აქ განთავსებული იყო სამხ. ბანაკები.

ბანაკის დასახლების:

I ქუჩა, მელაანის VI შესახვევიდან ხევამდე.

II ქუჩა, მელაანის VI შესახვევიდან მელაანის V შესახვევამდე.

III ქუჩა, მელაანის V შესახვევიდან ხევამდე.

I შესახვევი, დასაწყისი მელაანის VI შესახვევიდან.

ვაჟა **ბანძთიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); დავით კაკაბაძის ჩიხიდან იოანე პეტრიწის ქუჩამდე. ადრინდელი ს. *ესენინის ქუჩის* მონაკვეთს ვ. *ბანძთიშვილის* სახელი დაერქვა 1999.

ნიკოლოზ **ბარათაშვილის აღმართი**, ძველი თბილისის რ-ნი (*რიყისა* და *ავლაბრის* მიჯნა); ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდიდან ღვინის აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ეს იყო ვიწრო ბილიკი, რ-იც 1803, 1845 და 80-იან წლებში თანდათან გააფართოვეს. 50-იან წლებში უწოდეს პ. *ციციანოვის*, 1923 – ი. *კალიაევის*, 1945 – ნ. *ბარათაშვილის* სახელი. 1935 ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და მიიღო დღევანდელი სახე. დღეს იგი ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ქუჩაა. ცალ მხარეს გასდევს კლდეზე გადმოკიდებული სახლები, მეორე მხარეს მოჩანს ქალაქის ხედი ძველი უბნების მომხიბლავი პანორამით. პლ. *იოსელიანის* ცნობით ციციანოვის აღმართის კლდის წვერზე გაშენებული ყოფილა 2 სასახლე, რომელთაგან ერთი გურიის, მეორე – სამეგრელოს მთავარს ეკუთვნოდა. ეს სასახლეები აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაუნგრევიათ. ბ. ა. ქალაქის ცენტრს ნ. ბარათაშვილის ხიდით უკავშირდება. აღმართის დასაწყისში დგას ნ. ბარათაშვილის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ციბაძე. არქიტ. შ. *ყავლაშვილი*).

პოეტ ი. *გრიშაშვილის* „ლიტერატურულ ნარკვევებში“ (1957) გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღმართი ატარებდა არა მთავარმართველ პავლე ციციანოვის, არამედ ფარსადან თეიმურაზის ძე ციციშვილის (1786–1845) სახელს, რომელსაც ამ მიდამოებში საკუთარი მამულები ჰქონია და პირველი ბილიკიც მას გაუყვანია. „მემამულე ფარსადან ციციშვილი, რომლის სახელიც რევოლუციამდე ამ აღმართს ჰქონდა შერჩენილი, შეძლებული თავადიშვილი იყო, იგი დაახლოებული ყოფილა ბატონიშვილებთან და საკმაოდ დიდი გავლენითაც სარგებლობდა“ – წერს პოეტი. იგივე მოსაზრებაა გამოთქმული ისტორიკოს მაქსიმე ბერძნიშვილის წიგნში „მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის“ (თბ., 1983).

ნიკოლოზ **ბარათაშვილის მოედანი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდს, ზვიად გამსახურდიას სანაპიროსა და ნიკოლოზ ბარათაშვილისა და იოანე შავთელის ქუჩებს შორის, ყოფ. მუხრანის მოედანი. 1945 ბ. მ. უწოდეს.

ნიკოლოზ **ბარათაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); კარლო მებაღიშვილის ქუჩიდან ვასილ გულისაშვილის ქუჩამდე. იხ. ნ. *ბარათაშვილი.*

ნიკოლოზ **ბარათაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი, ზემო უბანი*); ალექსანდრე პუშკინის ქუჩიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდამდე. ადრე „ციხის ბულვარი“ ერქვა, 1843-იდან – მუხრანის ქუჩა, 1945 ნ. *ბარათაშვილის* სახელი უწოდეს. ადრე აქ ავანაანთხევი ჩამოედინებოდა. ხევს ტეხილი ხაზით მიჰყვებოდა ბურჯებითა და კოშკებით გამაგრებული ქალაქის გალავნის ჩრდ. კედელი. XVIII ს. შუა წლებში ხევი გადახურეს, მიწით ამოავსეს, გალავანი კი ააფეთქეს. ასე გაჩნდა თბილისის ერთ-ერთ ძველ, მუხრანბატონების უბანში (*მუხრანთუბანი*) ქუჩა, რ-საც მუხრანის ქუჩა დაარქვეს. იგი ეშვებოდა მტკვრის ნაპირისკენ, სადაც მოწყობილი იყო ბორანი (შემდგომში აქ აშენდა მუხრანის ხიდი). დროთა ვითარებაში ვიწრო მუხრანის ქუჩა და ხიდი ვეღარ ერეოდა მზარდ სატრანსპ. მოთხოვნებს და წარმოიქმნა მაგისტრალის ძირფესვიანი რეკონსტრუქციის საჭიროება. ბ. ქ-ის რეკონსტრუქცია ძვ. ქალაქის ისტ. ნაწილის კომპლ. გარდაქმნის თვალსაჩინო ნიმუშია (1978; არქიტ. შ. *ყავლაშვილი*). ქუჩის მარცხ. მხარე განაშენიანებული იყო თანამედროვე მრავალსართულიანი შენობებით, ხოლო მარჯვ. მხარე – უღიმღამო, მეტწილად ერთსართულიანი ნაგებობებით, რ-თა რეკონსტრუქციის საფუძველზეც შეიქმნა ამ უბნის ახლანდ. იერ-სახე.



ბამბის რიგი.



ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა.

70-იან წლებში პროფ. თ. კვირკველიამ ჩაატარა მეცნ. აზომვითი სამუშაო. ზუსტად განსაზღვრა ციხესიმაგრის კედლის, კოშკების, ბურჯების, ციხის კარებისა და სხვათა ადგილმდებარეობა. გადაწყდა ქუჩის გაფართოება ძვ. გალავნის ხაზამდე. ციხის კედლები გაათავისუფლეს მრავალფენოვანი დანაშრევებისაგან და ნაწილობრივ აღადგინეს, ხოლო გალავანზე მიბჯენილ თუ შეკიდებულ XIX ს. კოლორიტულ-აივნებიან საცხოვრ. სახლებს ჩაუტარდა სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები განაშენიანების მასშტაბისა და საერთო ხასიათის გათვალისწინებით. თანამედროვე **ბ. ძ.** იქცა განივ სატრანსპ. მაგისტრალად, რ-იც აკავშირებს გრძივად გაშენებული ქალაქის მარცხ. და მარჯვ. მხარეებს. სამუშაოების მიმდინარეობის დროს აღმოჩნდა ქალაქის ერთ-ერთი კარის — დიღმის კარისა და სათოფურებით აღჭურვილი ძვ. ციხის კედლის ფრაგმენტები. თბილისური საცხოვრ. სახლების რეკონსტრუქციისას შენარჩუნებულია ძვ. იერი და ტრად. აივნები. **ბ. ძ**-ის მარჯვ. მხარესაა: ფეშენებელური რესტორანი, რ-ის ვრცელი დარბაზის კამარები ნაწყობია აგურით; რესტორანი „მუხრანთუბანი“ (1981; არქიტ. შ. ყავლაშვილი); მარიონეტების თეატრი (ახლანდ. თეატრ-სტუდია რ. გაბრიაძის ხელმძღვანელობით); სტილიზებული ჩარდახ-მოსაცდელი „კონკა“; ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა, რ-ის გვერდით ფასადზე, იოანე შავთელის ქუჩის მხარეს, ჩასმულია დიდი ბარელიეფი ქალაქურ თემაზე; ფიროსმანის ნახატის მიხედვით გამოძერწილი „მეეზოვე“ (მოქანდაკე ე. ამაშუკელი); სკულპტურული კომპოზიცია „ბერიკაობა“ (მოქანდაკე ა. მონასელიძე. არქიტ. გ. ვანბერიძე). ქუჩაზე დგას იოანე პეტრიწისა (მოქანდაკე დ. მიქატაძე. არქიტ. რ. ბერიძე) და შ. ყავლაშვილის (მოქანდაკე თ. კიკალიშვილი. არქიტ. ი. ყავლაშვილი) ძეგლები. **ბ. ძ**-ის მარცხ. მხარეზეა 6-სართულიანი (84-ბინიანი) საცხოვრ. სახლი (№8–10), რ-შიც ჩანს კლასიკური ფორმებისა და ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრების მოტივების შერწყმის მცდელობა (XX ს. 40-იანი წლები; არქიტექტორები: ს. დემჩინელი, ა. ქურდიანი, გ. ვანდიერი).

ნიკოლოზ **ბარათაშვილის ხიდი**, ქალაქის ცენტრისა და ისტ. უბნების — *აღმაბრისა* და *ჩუღურეთის* დამაკავშირებელი ხიდი მდ. მტკვარზე, ნ. ბარათაშვილის ქუჩის გაგრძელებაზე (1965; არქიტექტორები: შ. *ყავლაშვილი*, ვ. ქურთიშვილი. ინჟ.: გ. ქარცივაძე). ადრე **ბ. ხ**-ის ადგილას იყო ლითონის ერთმალიანი მუხრანის ხიდი (1911; აკად. ევგენი პატონის პროექტი).

ბარალეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აგჭალა*); მიხაკო წერეთლის ქუჩიდან ლიბანის I ჩიხამდე. ადრე ფ. *ენგელსის* ქუჩა ერქვა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ბარალეთი, სოფელი ახალქალაქის რ-ნში.

ალექსანდრე **ბარამიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); დავით გურამიშვილის გამზირიდან ჩარგლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე თემქის დასახლების 68-ე ქუჩა ერქვა. 1971 — ძმები *გარიშვილების*, 1996 ა. *ბარამძის* სახელი ეწოდა.

ბარისახოს ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აგჭალა*); ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან უწერის ქუჩამდე. ადრე ალ. *ყაზბეგის* სახელი ერქვა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ბარისახო, სოფელი დუშეთის რ-ნში.

ვასილ **ბარნოვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*კერე, ვაკე*); ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან მრგვალ ბაღამდე (ყოფ. ვაკის სკვერამდე). წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. 1884 მას ღუნიბის ქუჩა ეწოდა (სახელი დაერქვა ღუნიბის ციხესიმაგრის დაცემისა და შამილის დატყვევების 25 წლისათავთან დაკავშირებით). ადრე მხოლოდ ვერის უბანს მოიცავდა. ვაკის უბნის განაშენიანების შემდეგ ქუჩაც გაიზარდა და 1922 ვ. *ბარნოვის* სახელი დაერქვა (იგი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა). გრძელდებოდა ვაკის პარკამდე. 1992 მის ერთ მონაკვეთს, მრგვალი ბაღიდან არჩილ მიშველაძის ქუჩამდე ეწოდა ი. *აბაშიძის* სახელი. ქუჩაზეა XIX ს. საცხოვრ. სახლები; ყოფ. ლევან-დოვსკის კერძო გიმნაზიის შენობა (№10; XIX ს. 90-იანი წლები). ბ-ისა და ი. აბაშიძის ქუჩების შესაყართან, მრგვალ ბაღში, დგას რ. ერისთავის ბიუსტი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტ. გ. მირია-

ნაშვილი) და სკულპტურული კომპოზიცია „პატარა უფლისწული“ (მოქანდაკე ი. ჟვანია). აქვს 3 ჩიხი.

ღუნიბი, ციხესიმაგრე დაღესტანში, კავკასიის მთის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთაურის – შამილის ერთ-ერთი რეზიდენცია.

ბაქოს ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი; დავით აღმაშენებლის გამზირიდან მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. შუა წლებში. 1862 მიხეილის ქუჩაზე (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირი) აშენდა თბილისის გეოფიზ. (ყოფ. მაგნ.-მეტეოროლ.) ობსერვატორიის შენობა და ფასადიდან ჩრდ-ით მიმართულ ქუჩას დაერქვა ობსერვატორიის ქუჩა, შემდეგ ასათიანის ქუჩა ერქვა. 1900 სახელი შეეცვალა და ეწოდა ბ. ქ. შემონახულია XIX ს. II ნახ. საცხოვრ. სახლები, მ. შ. გამოირჩევა სახლი №2 (არქიტ. პ. შტერნი).

ბაქო, აზერბაიჯანის დედაქალაქი.

აკაკი **ბაქრაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო, დიღომი*); ჰაიდარ ალიევის სანაპიროდან აკაკი ბელიაშვილის ქუჩამდე (მტკვრის მარჯვენა სანაპირო). ქუჩას ა. *ბაქრაძის* სახელი ეწოდა 2001.

დავით **ბაქრაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); რაფიელ აგლაძის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. უსახელო ქუჩას დ. *ბაქრაძის* სახელი ეწოდა 1983.

დიმიტრი **ბაქრაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); თამარ ჭოველიძის ქუჩიდან ერეკლე ტატიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 60-იან წლებში. მას ჯერ I უბნის ბოქაულის კონსტანტინე იოსების ძე სვიმონოვის სახელი ერქვა (მან 1877 იტალ. კონსულის მკვლელი დააკავა), 1900 დაერქვა აგურის ქუჩის (ბ. *ბელინსკის ქუჩა*) შესახვევი ამ მიდამოებში მდებარე აგურის ქ-ნების გამო. 1922 დ. *ბაქრაძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს. (ყოფ. II შეს.), 1 ჩიხი.

კოტე **ბაქრაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბურთალოს დასახლება*); ვლადიმერ მიქელაძის ქუჩიდან სერგი დურმიშიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს დასახლების IX ქუჩა ერქვა, 1971 კ. *ბაქრაძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

ბაღდათის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ნავთლუღის ქუჩიდან სოლომონ დოდაშვილის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. ამ ქუჩაზე XIX ს. 60-იან წლებში ცხოვრობდა ი. *პრიბილი* და ქუჩასაც მისი სახელი დაერქვა. დატანილია თბილისის 1895 წ. რუკაზე. 1923 ბ. ქ. ეწოდა.

ბაღდათი, ქალაქი დას. საქართველოში (1940–90 – მაიაკოვსკი).

ბაღის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); მდებარეობდა სამტრედიისა და ალიო მირცხულავას ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ამ მიდამოებში ძველთაგანვე იყო გაშენებული ბაღები (ამჟამად აღარ არსებობს, ჩაიკარგა ახ. განაშენიანებაში).

ბაღნარის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); რკინიგზიდან ალექსანდრე მანაგაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. სახელწ. დაკავშირებულია აქ არსებულ ბაღებთან. ადრე სანაპირო ქუჩა ერქვა.

ნათია **ბაშალეიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); იაკობ გოგებაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე, ი. გოგებაშვილის ყოფ. III შესახვევი. 1994 – ა. *შენგელაიას*, 2006 წ. *ბაშალეიშვილის* სახელი ეწოდა.

ბაჩანას ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ავლაბრის ქუჩიდან ლადო მესხიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე მარიამის ქუჩა ერქვა (სახელწ. უკავშირდება წმინდა მარიამის ეკლესიას). დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1923 დაერქვა *ბაჩანას* სახელი. აქვს 1 ჩიხი.

ბახვის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ელენე ახვლედიანის ქუჩიდან სპარტაკის გასასვლელამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ნაზაროვის შესახვევი. 20-იან წლებში ბ. შ. დაერქვა.

ბახვი, ოზურგეთის რ-ნის სოფლების ზედა და ქვედა ბახვის გავრცელებული სახელწოდება.



ვასილ ბარნოვის ქუჩა.

ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝᲡ ᲮᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გომარეთის ქუჩიდან დიმიტრი ჟღენტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. აქვს 1 შეს.

ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝ, მაღალმთიანი კლიმ. კურორტი ჩოხატაურის რ-ნში.

ᲑᲐᲮᲢᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); დავით გამრეკელის ქუჩიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1925 წ. ცნობარში. თავდაპირველად იწყებოდა ახლანდ. კ. გამსახურდიას გამზირიდან. ადრინდ. ბ-ის ქუჩის მონაკვეთს 1999 ა. *სულაკაურის* სახელი ეწოდა.

ᲑᲐᲮᲢᲠᲘᲝᲜᲘ, ციხესიმაგრე შუა საუკ. კახეთში, მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. 1660, ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის ავჯანყების დროს აქ მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რ-იც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

ერმილე **ᲑᲔᲓᲘᲐᲡ ᲮᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ნუცუბიძის პლატო*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. ქუჩას ე. *ბედიას* სახელი ეწოდა 1978.

ᲑᲔᲗᲐᲜᲘᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან გალავნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ᲑᲔᲗᲐᲜᲘᲐ, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ღვთისმშობლის შობის ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი (XII ს. შუა ათეული წლები). მდებარეობს მდ. ვერის მარჯვ. მხარეს, ტყიან ხეობაში. ტაძარში შემონახულია გიორგი III-ის, თამარ მეფის და ლაშა გიორგის ფრესკული გამოსახულებანი.

ᲑᲔᲗᲚᲔᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); ლადო ასათიანის ქუჩიდან გომის ქუჩამდე. სახელი ეწოდა აქ მდებარე ბეთლემის (ფეთხაინის) მაცხოვრის შობის ეკლესიის გამო. თბილისის 1867 წ. გეგმაზე ეს მონაკვეთი აღნიშნულია ფეთხაინის I აღმართის სახელით. 1923 დაერქვა მ. აზიზბეკოვის აღმართი (იხ. მ. *აზიზბეკოვი*), 40-იან წლებში კვლავ – ფეთხაინის აღმართი, 1990 – ბ. ა. ეკლესიის წინა ბაქნიდან იწყება კლდისუბნისთვის დამახასიათებელი კიბე-ქუჩა, რ-საც თბილისელები ფეთხაინის კიბეს უწოდებენ. კიბის პროექტი 1850 შეადგინა თბილისის საგუბერნიო არქიტ. ტიმოთე ბელოიმ. ადრე ამ ტრასაზე მხოლოდ ბილიკი იყო გაჭრილი. პროექტის მიხედვით კიბეს მიუყვებოდა სვეტებზე მოწყობილი სახურავი. კიბეზე გამოდის საცხოვრ. სახლებში შესასვლელები და პატარა შუკები. დაახლ. მის შუაწელზე დგას მაცხოვრის შობის ეკლესია (ბეთლემის ქვედა ეკლესია), ყოფ. წმ. სტეფანეს დედათა მონასტერი (XVIII ს.). ეკლესია ძირფესვიანად არის განახლებული XIX ს-ში, რესტავრირებულია XX ს. 90-იან წლებში. აღმართზე შემორჩენილია XIX ს. საცხოვრ. სახლები.

ᲑᲔᲗᲚᲔᲛᲘ, სახარების მიხედვით, იესო ქრისტეს დაბადების ადგილი. იგივეა, რაც ბეით-ლახმი, ქალაქი იორდანიაში.

ᲑᲔᲗᲚᲔᲛᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); პურის მოედნიდან ორპირისა და სამღებროს ქუჩებამდე. ქუჩის კონტური გვიანდ. შუა საუკუნეებში გამოიკვეთა, ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე აღნიშნულია უსახელოდ, 1867 წ. გეგმაზე – ფეთხაინის ქუჩის სახელით. სახელწ. წარმოდგება სოლოლაკის ფერდობზე მდგარ ბეთლემის (ფეთხაინის) ზედა და ქვედა ეკლესიებიდან. 1923 ფეთხაინის ქუჩას – მ. *აზიზბეკოვის* სახელი, 1990 კი ბ. ქ. დაერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩა გრძელდებოდა მხოლოდ ორპირის ქუჩამდე, ხოლო ქუჩის მონაკვეთი ორპირის შესახვევიდან სამღებროს ქუჩამდე დატანილია როგორც საქარის შეს. აქვე, საადისა და ბეთლემის ქუჩებს შორის, მდებარეობდა აზიზბეკოვის II შეს. (I შეს. – ახლანდ. ქვემო გომის II ჩიხი); ქუჩას ჰქონდა აგრეთვე ორი ჩიხი. I ჩიხი (გომის ქუჩის დასაწყისი ასკანის IV ჩიხამდე) შეუერთდა გომის ქუჩას, II ჩიხი იწყებოდა ქვემო გომის II ჩიხიდან.

ᲑᲔᲗᲚᲔᲛᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); გომის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ვიწრო ჩიხი; შემდეგ მ. აზიზბეკოვის ჩიხი დაერქვა. 1990-იდან ბ. ჩ. ჰქვია.



ბეთლემის აღმართი.

აკაკი **ᲑᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); აკაკი ბაქრაძის ქუჩიდან ჯორჯ ბალანჩინის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. 1963-იდან ა. *ბელიაშვილის* სახელი ჰქვია.

ბესარიონ **ᲑᲔᲚᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მიხეილ ზანდუკელის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს. 60-იან წლებში. ადრე აგურის ქუჩა ერქვა (აქ მდებარე აგურის ქ-ნების გამო). დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე. 1898, ბ. *ბელინსკის* გარდაცვალებიდან 50-ე წლისთავზე, ქუჩას უწოდეს მისი სახელი. დატანილია თბილისის 1904 წ. გეგმაზე. ადრე იწყებოდა ახლანდ. მერაბ კოსტავას ქუჩიდან. 1992-იდან ქუჩის ქვედა მონაკვეთს, მერაბ კოსტავას ქუჩიდან მიხეილ ზანდუკელის ქუჩამდე, 1989 წ. 9 აპრილს დაღუპული თ. *ჭოველიძის სახელი* დაერქვა. ქუჩაზე არის XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

ანდრია **ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ანდრია ბენაშვილის ქუჩიდან გიორგი ერისთავის ქუჩამდე.

ანდრია **ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია ი. *კოჩეტკოვის* სახელით. 1992 ა. *ბენაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას.

ჭიჭიკო **ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩიდან ვლადიმერ ლუბოვსკის ქუჩამდე. იხ. ჭ. *ბენდელიანი*.



ზაზა **ბენდელიანის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); დასაწყისი კონსტანტინე გამსახურდიას გამზირიდან. ზ. *ბენდელიანის* სახელი დაერქვა 1994.

ჭიჭიკო **ბენდელიანის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი ჭყონდიდელის ქუჩიდან ჭიჭიკო ბენდელიანის გორამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში, 1948-მდე ავიაქიმის ქუჩა ერქვა. სახელწ. დაკავშირებულია საზ-ბა „ავიაქიმთან“ (ოსოავიაქიმი – თავდაცვის, საავიაციო და ქიმ. მშენებლობის ხელშემწყობი საზ-ბა), შემდეგ ჭ. *ბენდელიანის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს., 2 ჩიხი.

ეკა **ბეჭანიშვილის I გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ეკა ბეჭანიშვილის ქუჩიდან სერგო ქსოვრელის ქუჩამდე.

ეკა **ბეჭანიშვილის II გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ეკა ბეჭანიშვილის ქუჩიდან ამავე ქუჩამდე.

ეკა **ბეჭანიშვილის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მექანიზაციის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კოლექტივიზაციის ქუჩა, შემდეგ ელმავლის ქუჩა ერქვა (სახელწ. დაკავშირებულია აქ მდებარე ელმავალშემკეთებელ ქ-ნასთან), 1972 კომუნისტური შრომის ქუჩა დაერქვა, 1991 ე. *ბეჭანიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 2 გას., 1 შეს., 1 ჩიხი.

ბერაბუკის ჭუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ჭაყრელი*); ტყვარჩელის ქუჩიდან საგარეჯოსა და პავლე ასლანიდის ქუჩებამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე.

ბერაბუკი, სოფელი გორის რ-ნში.

გიორგი **ბერიაშვილის ჭუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*სამგორის II დასახლება*); გიორგი აბაშვილის ქუჩიდან მიხეილ გახოკიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. კახეთის გზატკეცილის პარალელურ ქუჩას გ. *ბერიაშვილის* სახელი ეწოდა 1982.

დავით **ბერიაშვილის ჭუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთის უბანი*); პაატა საკაძის ქუჩიდან პეტრე ბაგრატიონის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის დასაწყისი ნ. და კ. სალიების ქუჩამდე დატანილია როგორც უწერის ქუჩა, ხოლო მონაკვეთი ნ. და კ. სალიების ქუჩიდან ბერიაშვილის II ჩიხთან ერთად დატანილია როგორც კრამიტის შესახვევი, შემდეგ კრამიტის ქუჩა დაერქვა (ამ უბანში ადრე კრამიტის საწარმოები იყო). ამ ქუჩაზე ცხოვრობდა დ. *ბერიაშვილი* და მცხოვრებთა თხოვნით 1961 ქუჩას მისი სახელი მიაკუთვნეს. აქვს 2 ჩიხი.

ივანე **ბერიტაშვილის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*გეძისი*); ბუდაპეშტის ქუჩიდან ლისის ტბის დასახლებამდე. ლისის აღმართს და ზემო ვეძისის დასახლების უსახელო ქუჩას ივ. *ბერიტაშვილის* სახელი ეწოდა 1982.

ვუკოლ **ბერიძის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩიდან შიო ჩიტაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში, აღნიშნულია თბილისის 1867 წ. გეგმაზე. ადრე მას ახალბებუთოვის ქუჩა ერქვა (ამ ქუჩაზე იდგა ვ. *ბებუთოვის* სახლი). 1923 – მ. *ცხაკაიას*, 1990 ვ. *ბერიძის* სახელი ეწოდა. შემორჩენილია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

ნიკოლოზ **ბერძენიშვილის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ირაკლი აბაშიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მეტალურგიის ქუჩა, XX ს. 70-იანი წლებიდან ნ. *ბერძენიშვილის* სახელი ჰქვია.

ბერძენთა დასახლება, ძველი თბილისის რ-ნი (*ორთაჭალა*); ბერძნისა და ბეჟან (ჟანი) კალანდაძის ქუჩებსა და მთის ფერდობს შორის.

ბერძნის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ორთაჭალა, ხარფუხი*); დეკაბრისტების მოედნიდან ბეჟან (ჟანი) კალანდაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ბერძნის დასახლება ერქვა, ასეა დატანილი



ბეთლემის ქუჩა.

◄ ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა.

თბილისის 1876 წ. გეგმაზე. შემდეგ წარმოიქმნა მოედანი, ქუჩა და შესახვევი. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ბ. ქ. 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბერძნების ქუჩა, ერთხანს ნადიკვრის II ქუჩა ერქვა, 50-იანი წლებიდან ბ. ქ. ჰქვია. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ნადიკვარი, თელავის უბანი, ყოფ. სოფელი.

ბესიკის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ბესიკის ქუჩიდან დიმიტრი ყიფიანის ქუჩამდე.

ბესიკის მოედანი, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ბესიკის, ვახტანგ მოსიძის, კირილე უკლებასა და ვახტანგ კოტეტიშვილის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. აღნიშნულია მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ შედგენილ ქალაქის 1833–35 წლების გეგმაზე. 1923-მდე – დავითის, ერთ-ერთი ასურელი მამის (იხ. *დავით გარეჯელი*) სახელი ერქვა (ამ მოედნიდან მიდიოდა გზა მამადავითის ეკლესიისაკენ), შემდეგ *ბესიკის* სახელი ეწოდა. მოედნის ნაწილი ჯერ კიდევ 1900 გადაკეთდა სკვერად. ძველად, მამადავითობის დროს, მოედანზე იმართებოდა სახალხო სეირნობა და ჭიდაობა. მოედნის ცენტრში დგას სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი (მოქანდაკე ტ. სიხარულიძე. არქიტ. ნ. ლასარეიშვილი).

ბესიკის ჭუჩა, დიდგორის რ-ნი (*ოქროყანა*); ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე. იხ. *ბესიკი*.

ბესიკის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. დააპროექტა პოლკ. ბანოვმა 1809. 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც დავითის ქუჩა, 1923 დაერქვა *ბესიკის* ქუჩა. შემონახულია XIX ს. 80–90-იანი წლების საცხოვრ. სახლები. აქვს 1 გას.

ბექა და ბეშქენ ოპიზრების ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან ნიკო ლორთქიფანიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც აღსთაფის შესახვევი, 60-იან წლებში – ბექა ოპიზრის ქუჩა, შემდეგ *ბექა და ბეშქენ ოპიზრების* სახელი დაერქვა.

აღსთაფა, ქალაქი აზერბაიჯანში.

ბეძას ჭუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას გამზირებს შორის.

ბელლეთის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან თამაზ მუჯირიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1938-მდე გარგალის ქუჩა ერქვა.

ბელლეთი, სოფელი ხაშურის რ-ნში.

ბზიფის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან ბზიფის შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 1 შეს.

ბზიფი, მდინარე და დაბა დას. საქართველოში, აფხაზეთში.

ბიჭვინთის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აეკალა*); ალექსანდრე მანაგაძის ქუჩიდან მტკვრის ნაპირამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ი. *ჭავჭავაძის* სახელი ერქვა. ქუჩაზეა წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის ეკლესია (XVIII ს.), ზაქარიას და ელისაბედის დედათა მონასტერი. აქვს 1 შეს., 4 ჩიხი.

ბიჭვინთა, დაბა დას. საქართველოში, აფხაზეთში. აქ მდებარეობს X ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ბიჭვინთის ტაძარი.

ბნელი ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); მისასვლელი ჰოვანეს თუმანიანის III ჩიხიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ბოგდან ხმელნიცკის ჭუჩა, იხ. ბოგდან *ხმელნიცკის ქუჩა*.

ბოგვის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ხევიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. მე-8 ქუჩას ბ. ქ. ეწოდა 50-იან წლებში.

ბოგვი, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში.

ბოდავის I ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); პაატა სააკაძის ქუჩიდან არსენალის ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

ბოდავის II ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დასაწყისი გუმათის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებში მ. *კოდოპიანოვის* სახელი ერქვა.

ბოდავი, სოფელი დუშეთის რ-ნში.

ბოდბის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*შავი სოფელი*); სამასი არაგველის III შესახვევიდან შავსოფლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 1960-მდე შესახვევი იყო.

ბოდბე, ისტორიული სოფელი კახეთში.

ბოლნისის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩიდან სოლომონ დოდაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სახელოსნოს ქუჩა, 60-იან წლებში ა. *აბაშელის* სახელი დაერქვა. ბ. ქ. ეწოდა 1965. აქვს 1 ჩიხი.

ბოლნისი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ბოლო ალმართი, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); წავკისის II შესახვევიდან მთის ფერდობამდე. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე.

ზაურ **ბოლქვაძის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); პეკინის შესახვევიდან ნატახტრის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე ერქვა ახალშენის V ქუჩა, თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ენგურის ქუჩა. 2003 ეწოდა ზ. *ბოლქვაძის* სახელი.

ენგური, მდინარე დას. საქართველოში.

ბორბალოს ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ცხემის ქუჩიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. თავდაპირველად ქეთევანის შესახვევი ერქვა, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 გ. *ზინოვიევის* სახელი ეწოდა, თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბორბალოს შესახვევი, თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში – როგორც ბ. ქ.

ბორბალო, დიდი ბორბალო, პატარა ბორბალო, მთები თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში.

ალექსანდრე **ბოროდინის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*აეკლარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ალექსანდრე წურწუმიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია ხაზოვანი I ქუჩის სახელწოდებით. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ნუხის ქუჩა, 60-იან წლებში ა. *ბოროდინის* სახელი დაერქვა.

ნუხა, ქალაქი აზერბაიჯანში, ახლანდ. შაქი.

ბორჯომის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*დიდუბე*); დავით აღმაშენებლის გამზირიდან მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. ქალაქის 1895 წ. გეგმაზე ქუჩა აღნიშნულია ფერდინანდ კოტრინის (მსხვილი კაპიტალისტი და მეწარმე, საქორწინო ეტლების მფლობელი) სახელით (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირისა და ბორჯომის ქუჩის კუთხეში იდგა მისი სახლი), შემდეგ ერქვა კოტრინი-როლოვის ქუჩა. 1900 ეწოდა ბ. ქ. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ბორჯომი, ქალაქი და ბალნეოლ.-კლიმ. კურორტი საქართველოში.

ბოტანიკური ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან ბოტანიკურ ბაღამდე. ამ ქუჩით შეიძლება ავსვლა ნარიყალის ციტადელში; ქუჩის ბოლოში, დაახლ. იქ, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია აბანოების მხრიდან, კლდის ძირში მდებარეობდა ქალაქის ერთ-ერთი კარი – განჯის კარი, ხოლო ამ ქუჩის ხაზზე გამავალ გზას ერქვა განჯის გზა. ამ გზის სავაჭრო-სატ-





ბოტანიკური ქუჩა.

რანზიტო მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა XIX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებში კი, ვორონცოვის (ახლანდ. ვახტანგ გორგასლის) ქუჩის გაყვანის შემდეგ, მისი მნიშვნელობა შემცირდა. სწორედ მაშინ დაერქვა ქუჩას ბოტანიკური. **ბ. ქ.** შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში, დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე. ქუჩაზე შემონახულია რამდენიმე ტიპური ძველთბილისური სახლი. ზოგ მათგანს დღესაც ამშვენებს მეზონინები (ზედა ნახევარსართული) და ფასადებზე გამოტანილი ღია ორიარუსიანი აივნები. აივნებით შემოფარგლული ეზო თავისებური ვესტიბიული და მეზობელთა შეხვედრის ადგილია. ნარიყალის ციხის ძირში დგას ორ საფეხურად აგებული ოთხსართულიანი სახლი, რ-ის ქვედა სართულის სახურავი იმავდროულად ზედა სართულის ეზოა. ეს ქალაქის განაშენიანების მეტად გავრცელებული ტრად. ხერხია სივიწროვესა და ციცაბო რელიეფზე აშენებული თბილისური სახლების გეგმარებაში. ქუჩიდან იწყება ბოტანიკური ბაღი, რ-იც გაშენებულია XVII ს. II ნახევარში ნარიყალის, ე. წ. „ციხის ბაღის“ და „სეიდაბადის“ ბაღების ტერიტორიაზე. ბაღს 1845 ოფიციალურად ეწოდა თბილისის ბოტანიკური ბაღი. ქუჩაზეა XIX ს. მეჩეთი. აქვს 1 ჩიხი.

ზეინაბ **ბოცვაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მისასვლელი ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ადლერის შესახვევი. XX ს. 70-იანი წლებიდან ქუჩაა. 1995 ზ. *ბოცვაძის* სახელი ეწოდა.

ადლერი, ქ. სოჭის ერთ-ერთი რ-ნი. ზღვისპირა კლიმ. კურორტი.

ლუარსაბ **ბოცვაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მისასვლელი მერაბ კოსტავას ქუჩიდან. ქუჩა XX ს. 20-იან წლებში გაჩნდა და ლ. *ბოცვაძის* სახელი დაერქვა.

ანგია **ბოჭორიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); ილია ვეკუას ქუჩიდან ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩამდე. 1984 გლდანის დასახლების I მიკრორაიონის I ქუჩას ა. *ბოჭორიშვილის* სახელი ეწოდა.

ვახტანგ **ბოჭორიშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ქვაყრელი*); დასაწყისი აკურის ქუჩის I შესახვევიდან. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თავდაპირველად შევარდენის ქუჩა ერქვა. 40-იან წლებში ფიზკულტურის ქუჩა დაერქვა. 2006 ვ. *ბოჭორიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 4 შეს.

„შევარდენი“, ტანმოვარჯიშეთა საზოგადოება საქართველოში (1918–23).

ბოჭორმის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან შავი ზღვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ნავთლულის (ძველი) ქუჩა, ასეა თბილისის 1895 წ. რუკაზეც. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ალავერდის ქუჩა. **ბ. ქ.** ეწოდა 1946. ქუჩაზეა ყოფ. რიტუალების სასახლე (1985; არქიტექტორები: ვ. ჯორბენაძე, ვ. ორბელაძე), რ-ის წინ დგას ბრინჯაოს ქანდაკება – „დიონისე“ (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე. არქიტ. ვ. ჯორბენაძე).

ბოჭორმა, სოფელი თიანეთის რ-ნში.

ალავერდი, სოფელი ახმეტის რ-ნში, სადაც დგას ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ალავერდი (XI ს.).

ნოდარ **ბოხუას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიღომი*); აკაკი ბელიაშვილის ქუჩასა და დავით აღმაშენებლის ხეივანს შორის. უსახელო ქუჩას ნ. *ბოხუას* სახელი ეწოდა 2007.

ბჟოლიეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); არალეთის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ბჟოლიეთი, სოფელი ჩოხატაურის რ-ნში.

ბროლოსნის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩიდან თინა იოსებიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

ბროლოსანი, ხაშურის რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო ბროლოსნის გავრცელებული სახელწოდება.

მარი **ბროსეს ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); რევაზ ლაღიძის ქუჩიდან სიმონ ვირსალაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. დააპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ 1833–35. 1902-მდე წარმოადგენდა დიდი წყალსაზიდი ქუჩის (ახლანდ. რ. *ლაღიძის ქუჩა*) ნაწილს. 1902, მ. *ბროსეს* დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ი. *ჭავჭავაძის* ინიციატივით, ქუჩის ამ მონაკვეთს მ. ბროსეს სახელი ეწოდა (თბილისში ყოფნის დროს იგი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა). აქვს 1 ჩიხი.

თენგიზ **ბუაჩიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვაჟა-ფშაველას გამზირიდან შალვა ნუცუბიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე გ. *ტერეშჩენკოს* ქუჩა ერქვა. თბილისის 1982 წ. რუკაზე დატანილია როგორც ვაჟა-ფშაველას I შესახვევი. 1995 თ. *ბუაჩიძის* სახელი ეწოდა.

სამუელ (ნოე) **ბუაჩიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); გუდამაყრის ქუჩიდან თიანეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში და 23-ე ქუჩა დაერქვა. 1955 ს. *ბუაჩიძის* სახელი ეწოდა.

ბუგეულის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); წერონისის ქუჩიდან სილიბისტრო თოდრიას ქუჩამდე. მე-9 ქუჩას ბ.

ქ. ეწოდა 1968.

ᲑᲣᲒᲔᲣᲚᲘ, სოფელი ამბროლაურის რ-ნში.

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*კეძისი*); გურამ ფანჯიკიძის ქუჩიდან ივანე ბერიტაშვილის ქუჩამდე. ყოფ. ლისის ქუჩის მონაკვეთი. ადრე ერქვა ტბის, შემდეგ – ლისის ქუჩა, XX ს. 70-იან წლებში კი ბ. ქ. დაერქვა. იწყებოდა პეკინის ქუჩიდან. 1998 ადრინდ. ბ. ქ-ის I მონაკვეთს გ. *ფანჯიკიძის ქუჩა* ეწოდა.

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ, უნგრეთის დედაქალაქი.

ᲑᲣᲚᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ჟიული შარტავას ქუჩიდან დავით გამრეკელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲑᲣᲚᲐᲩᲐᲣᲠᲘ, სოფელი დუშეთის რ-ნში.

ᲑᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); მაცესტის შესახვევიდან ელენე ახვლედიანის ხევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი, 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ – როგორც ჩიხი. ზოგ სქემაზე საბუის სახელითაა დატანილი.

ᲑᲣᲠᲔᲑᲘ, სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ხალხი (ჰოლანდიელთა შთამომავლები). ინგლისელებისა და ბურების ომში (1899–1902) ინგლისელების წინააღმდეგ მოხალისედ იბრძოდა ქართლის ბაგრატიონთა შთამომავალი ნიკო ბური (ნიკო გიორგის ძე ბაგრატიონი; 1868–1933). ტყვედ ჩავარდნილი ინგლისელებმა არ დახვრიტეს, როგორც საქართვ. სამეფო გვარის წარმომადგენელი და გადაასახლეს წმინდა ელენეს კუნძულზე, სადაც გაუსაძლის პირობებში გაატარა 10 თვე. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაწერა მოგონებების წიგნი „ბურებთან“ (თბ., 1951). მისი სახელი და ფოტოსურათები შეტანილია ბურების გამოცემულ ინგლის-ბურების ომის ამსახველ ორტომეულში.

ᲡᲐᲑᲔᲭᲔ, სოფლები ახმეტისა და ყვარლის რ-ნებში.

ბესიკ **ᲑᲣᲠᲙᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მცხეთის ქუჩიდან მარაბდის ქუჩამდე. 1946-მდე – ბაღის ქუჩა, შემდეგ მცხეთის I შეს. ერქვა. 1992 ბ. *ბურკიაშვილის* სახელი ეწოდა. მიხეილ **ᲑᲣᲠᲫᲒᲚᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); სიმონ სხირტლაძის ქუჩიდან საირმის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში და ო. *შმიდტის* სახელი დაერქვა. 1995 მ. *ბურძგლას* სახელი ეწოდა.

ჯორჯ **ᲑᲨᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); მელაანის I შესახვევიდან კახეთის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 20-იან წლებამდე ფერმა-ავლაბრის IX ქუჩა ერქვა, შემდეგ მელაანის ქუჩა დაერქვა. 2005 ჯ. *ბუშის* სახელი ეწოდა.

ᲛᲔᲚᲐᲐᲜᲘ, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

მიხეილ **ᲑᲣᲮᲐᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); მაქსიმ გორკის ქუჩიდან სამრეკლოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 70-იან წლებში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ჩუღურეთის ქუჩა, 1934 წ. გეგმაზე – როგორც არსენალის გზატკეცილი. მ. *ბუხაიძის* სახელი ეწოდა 1965. აქვს 1 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც არსენალის შეს., შემდეგ ჩუღურეთის I შეს. ერქვა). მიმდინარეობს ქუჩის რეკონსტრუქცია.

მიხეილ **ᲑᲣᲮᲐᲘᲫᲘᲡ II ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); წმინდა ნიკოლოზის ქუჩიდან დოქის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ჩუღურეთის შესახვევი, შემდეგ ჩუღურეთის II შეს. ერქვა.



ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა. სკულპტურული კომპოზიცია „ბერიკაობა“.





ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა.



გიორგი (გიგო) **გაბაშვილის მოედანი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვაჟა-ფშაველას გამზირსა და გიორგი გაბაშვილის ქუჩას შორის. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. 1962 გ. *გაბაშვილის* სახელი ეწოდა. მოედანზე გამოდის მეტროს სადგური „დელისი“; მოწყობილია მიწისქვეშა გადასასვლელი.

გიორგი (გიგო) **გაბაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ალექსანდრე ყაზბეგის გამზირიდან ვაჟა-ფშაველას გამზირამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. 1962 გ. *გაბაშვილის* სახელი ეწოდა.

ეკატერინე **გაბაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მისასვლელი ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში ამ უბნის განაშენიანებასთან ერთად. ძველთაგან მიწის დიდი ნაკვეთი, ახლანდ. მ. კოსტავასა და პ. მელიქიშვილის ქუჩებს შორის, გაბაშვილების მამული იყო. შემდგომში მათი სახელი შეინარჩუნა მხოლოდ ერთმა პატარა გაბაევის შესახვევმა (შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში), რ-საც 1923 ე. *გაბაშვილის* სახელი უწოდეს.

ვლადიმერ **გაბაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მისასვლელი ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩიდან. ნ. ყიფშიძის ქუჩის მიმდებარე უსახელო ქუჩას ვ. *გაბაშვილის* სახელი ეწოდა 2003.

ვიქტორ **გაბესკირიას მოედანი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); სპარტაკის, ვიქტორ გაბესკირიას, ტირიფონის ქუჩებსა, გრემის შესახვევსა და სპარტაკის გასასვლელს შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების და მოედნების სიაში შეტანილია როგორც თრდატოვის მოედანი. 1923 – ს. *ბალმაშევის*, 1992 ვ. *გაბესკირიას* სახელი დაერქვა.

ვიქტორ **გაბესკირიას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ვიქტორ გაბესკირიას მოედნიდან სამრეკლოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც თრდატოვის შესახვევი. 1923 – ს. *ბალმაშევის*, 1992 ვ. *გაბესკირიას* სახელი დაერქვა. აქვს 1 ჩიხი.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩიდან ალაზნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც პ. ციციანოვის ქუჩა (იხ. პ. *ციციანოვი*). 1923 ი. *კალიაევის* სახელი დაერქვა, 1990 – *გაბრიელ* ეპისკოპოსისა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

იური **გაგარინის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ზურაბ ჟვანიას მოედნიდან მარშალ გელოვანის გამზირამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში და კოლხეთის ქუჩა ერქვა. 1968 ი. *გაგარინის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე დგას ყოფ. საავტ. გზების სამინისტროს შენობა (№29. 1974; არქიტექტორები: გ. ჩახავა, ზ. ჯალაღანია; კონსტრუქტორები: ა. კიმბერგი, თ. თხილავა), რ-იც შეტანილია 1982 აშშ-ში გამოცემულ მსოფლიოს საუკეთესო ნაგებობათა კატალოგში. ბ. ქ-ისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს შესაყარზე დგას სკულპტურული კომპოზიცია „ვეფხი და მოყმე“ (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტ. ვ. დავითაია).

კოლხეთი, სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთის სახელწოდება (კოლხი ტომების სახელის მიხედვით).

გაგრის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); მდებარეობდა ელეფთერ ანდრონიკაშვილისა და ლიბანის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თავდაპირველად მ. *გორკის* სახელი ერქვა. ამჟამად ქუჩა აღარ არსებობს. იგი ჩაიკარგა ახ. განაშენიანებაში (შემორჩენილია ამ მისამართის მხოლოდ ერთი შენობა).

გაგრა, ქალაქი დას. საქართველოში, აფხაზეთში.

გალავნის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); შილდის ქუჩიდან მამკოდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში.

გალავანი, სოფელი მცხეთის რ-ნში.

გალაკტიონის ხიდი, *ვერისა* და *კუკიის* დამაკავშირებელი ხიდი მდ. მტკვარზე (1952; არქიტ. მ. მელია. ინჟ. გ. ჩომახიძე). ადრე ბ. ხ-ის ადგილას იყო რკინის სამმალიანი ვერის ხიდი (1885; ინჟ. ს. უმანსკი). საბჭოთა ხელისუფლების წლებში ხიდს ა. *ელბაქიძის*, შემდეგ ი. *სტალინის* სახელი ერქვა, 1990 დაუბრუნეს ძვ. სახელი. 1999 გალაკტიონის ხიდი ეწოდა.

◄ ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთი კუთხე.



გაგარინის ქუჩა №29.

გალის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); ლარსის ქუჩიდან გურამ რჩეულიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ყიზლარის შესახვევი. 50-იან წლებში ყიზლარის ქუჩა გახდა, შემდეგ ვარძიის ქუჩა ერქვა, 60-იან წლებში ბ. ქ. ეწოდა. ბ. ქ-ზე მდებარე „კოლხური კოშკის“ ეზოში დაკრძალულია *კ. გამსახურდია*. აქვს 1 ჩიხი.

გალი, ქალაქი დას. საქართველოში, აფხაზეთში.

ყიზლარი, ქალაქი დაღესტანში.

ვარძია, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი (XII ს.) სამხრ. საქართველოში.



გალაკტიონის ხიდი.

დავით **გამრეკელის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ბახტრიონის ქუჩიდან ალექსანდრე ყაზბეგის გამზირამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1941 მ. *კუტუზოვის* სახელი დაერქვა, 1992 – დ. *გამრეკელის*. აქვს 1 შეს.

ირაკლი **გამრეკელის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); მამია გურიელის ქუჩიდან შალვა ნუცუბიძის ქუჩამდე. არსებობს 1963-იდან და ი. *გამრეკელის* სახელი ჰქვია.

კონსტანტინე **გამსახურდიას გამზირი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); გმირთა მოედნიდან გიორგი სააკაძის მოედნამდე. მ. *კოსტავას ქუჩის* მონაკვეთს კ. *გამსახურდიას* სახელი ეწოდა 2006. ქუჩაზე განლაგებულია საცხოვრ. სახლები, სასწ. და ადმ.-საზ. დანიშნულების მრავალი შენობა: ასბინიანი საცხოვრ. სახლი (1939; არქიტ. მ. კალაშნიკოვი); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწ. კორპუსები (I კორპუსი აშენდა 1940–56. არქიტ. მ. ნეპრინცევი; მთავარი ადმ. კორპუსი – 1954. არქიტ. მ. შავიშვილი); ენერგეტიკის ინ-ტი; საზოგადოებრივი მაუწყებლის, ყოფ. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ადმ. კორპუსი (1966; არქიტ. ა. ქურდიანი); სპორტის სასახლე (1961; არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე. კონსტრუქტორი დ. ქაჯაია), რ-ის წინ დგას სკულპტურული კომპოზიცია „მზეჭაბუკი“ (მოქანდაკე დ. მიქატაძე. არქიტ. ვ. ალექსი-მესხიშვილი); ზოოლოგიური პარკი (დაარსდა 1927). ქუჩაზე გამოდის მეტროს სადგური „ტექნიკური უნივერსიტეტი“.



კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი.

ზვიად **გამსახურდიას სანაპირო**, *მარჯვენა სანაპიროს* მონაკვეთი ჰეიდარ ალიევის სანაპიროდან სამასი არაგველის ხიდამდე. ი. *სტალინის* სახ. სანაპიროს ზ. *გამსახურდიას* სახელი ეწოდა 2004.

ირაკლი **გამყრელიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ლვოვის ქუჩიდან ვაზისუბნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ლვოვის I შესახვევი იყო. 70-იან წლებში მ. *ლევანდოვსკის* სახელი ეწოდა, 1999 – ი. *გამყრელიძის*.

ლვოვი, ქალაქი უკრაინაში.

პეტრე **გამყრელიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); თიანეთის ქუჩიდან ურეკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60–70-იან წლებში. ადრე თემქის დასახლების მე-60 ქუჩა ერქვა. 1983 პ. *გამყრელიძის* სახელი ეწოდა.

შოთა **გამცემლიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კოსტა ხეთაგუროვის ქუჩიდან მიხეილ ბუხაიძის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს. 70-იან წლებში, მას შემდეგ, რაც არსენალი გადმოვიდა ჩუღურეთის ტერიტორიაზე. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ახალარსენალის ქუჩა. 1900-იან წლებში არსენალის ქუჩა დაერქვა (ასეა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში), 40-იან წლებში – ახალჩუღურეთის ქუჩა. 1957 შ. *გამცემლიძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

შოთა **გამცემლიძის შესახვევი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კუმისის ქუჩიდან დოქის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ქოთნის შესახვევი.

განთიადის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან სომხეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ელფინის ქუჩა. თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში შეტანილია ელფინის ქუჩის სახელწოდებით, 1972 წ. ცნობარში – როგორც **გ. ქ.**

განთიადი, დაბა დას. საქართველოში, აფხაზეთში. ამ სახელით კიდევ 6 სოფელია ცნობილი საქართველოში.

ელფინა, ყოფ. სოფელი კიკეთის მახლობლად. ამჟამად განაშენიანებულია საბაგარაკო სახლებით.

განჯელის ქუჩა, იხ. *ნიზამი განჯევის ქუჩა*.

გარდაბნის გზატკეცილი, ისანი-სამგორის რ-ნი; ქინძმარაულის შესახვევიდან ქალაქის საზღვრამდე. თბილისიდან გარდაბნისკენ მიმავალი ძირითადი მაგისტრალი. **გ. გ.** დაერქვა 1967.

გარემოუბანი, ძველი თბილისის რ-ნი. შუა საუკ. უბანი მტკვრის მარჯვ. მხარეს, *კალის* გალავნის გარეთ, ახლანდ. შ. დადიანის, ა. პუშკინისა და ნ. ბარათაშვილის ქუჩების ხაზის ჩრდ-ითა და დას-ით – მთაწმინდის ქედსა და მტკვარს შორის. ქალაქის სანახებში ადგილის გეოგრ. სახელწ. „გ.“ პირველად XVI ს-ში, კერძოდ, 1562 წ. შედგენილ სიგელში გვხვდება. *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილ თბილისის 1735 წ. გეგმაზე ამ ადგილას დატანილია მეფის, დედოფლის, მამასახლისის ბაღები, ბეჟანას ქარვასლა და სხვ. დროთა განმავლობაში გ. იზრდებოდა დას-კენ და XIX ს. 50-იან წლებში ახლანდ. ძმები კაკაბაძეების ქუჩამდე აღწევდა. 60-იანი წლებიდან ქალაქის ოფიც. ტოპონიმიკაში აღარ იხსენიება.

გარეკახეთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

გარეკახეთი, ისტორიული მხარე მდ. ივრის შუა დინებაზე, ერწოდან ქიზიყამდე; ემთხვევა ახლანდ. საგარეჯოს რ-ნს.

მარიამ **გარიყულის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ივანე სიხარულიძის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე თემქის დასახლების 56-ე ქუჩა ერქვა, 70-იან წლებში მ. *გარიყულის* სახელი ეწოდა.

ზეზვა **გაფრინდაულის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); დავით ყიფიანის ქუჩიდან რაფიელ აგლაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ადრე დიდუბის XI შესახვევი იყო, 60-იან წლებში ზ. *გაფრინდაულის* სახელი დაარქვეს.

ნონა **გაფრინდაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მტკვრის მარცხენა სანაპიროს მონაკვეთი შოთა შალიკაშვილის ხიდიდან ფეიქართა ქუჩამდე. ქუჩას ნ. *გაფრინდაშვილის* სახელი ეწოდა 2001.

მიხეილ **გახოკიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*სამგორის II დასახლება*); დასაწყისი კახეთის გზატკეცილიდან. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე სამგორის II დასახლების I ქუჩა იყო. მ. *გახოკიძის* სახელი ეწოდა 1981. აქვს 3 შეს.

გეგუთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ ლუბოვსკის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

გეგუთი, სოფელი წყალტუბოს ზონაში.

გიორგი **გედევანიშვილის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ელია*); ფშავის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. II ნახევარში. გ. *გედევანიშვილის* სახელი დაერქვა 60-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.

გეზათის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბურთალოს დასახლება*); ყვარლის ქუჩიდან კონსტანტინე ამირაჯიბის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

გეზათი, სოფელი აბაშის რ-ნში.

გელათის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ავლაბრის ქუჩიდან ალაზნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა სურბ-მინასის შესახვევი. სახელწ. უკავშირდებოდა მახლობლად მდებარე სურბ-მინასის ეკლესიას. შეტანილია თბილისის გამგეობის

მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 გ. გელფმანის ქუჩა დაერქვა (იხ. გ. *გელფმანი*), 1938 – ზ. ქ. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 2 ჩიხი.

ᲒᲔᲚᲐᲗᲘ, სოფელი ტყიბულის ზონაში. მის მახლობლადაა XII ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – გელათის სამონასტრო კომპლექსი. სოფ. გელათი არის ლაგოდეხის რ-ნშიც.

ᲡᲣᲠᲑ-ᲛᲘᲜᲐᲡᲘ, ქართ. – წმინდა მინასი.

მარშალ **ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო, დიღომი*); იური გაგარინის ქუჩიდან დავით აღმაშენებლის ხეივნამდე. *საქართველოს სამხედრო გზის* მონაკვეთს მარშალ ა. *გელოვანის* სახელი ეწოდა 1985. გამზირზეა ყოფ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის შენობა.

არჩილ **ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვაჟა-ფშაველას გამზირსა და შალვა ნუცუბიძის ქუჩას შორის. ვაჟა-ფშაველას VI შესახვევს ა. *გელოვანის* სახელი ეწოდა 1981.

მირზა **ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); სიმონ კანდელაკის ქუჩიდან ზემო ვეძისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე რ. *ლუქსემბურგის* სახელი ერქვა. 1992 – ს. *ცინცაძის*, 1993 მ. *გელოვანის* სახელი ეწოდა.

ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); დანიელ ჭონქაძის ქუჩიდან ამაღლების ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. იყო კონსულის ქუჩის (ახლანდ. პ. *ჩაიკოვსკის ქუჩა*) გაგრძელება და თავდაპირველად ერქვა კონსულის შეს.; 1908, რუსი პოეტის ვ. *ჟუკოვსკის* დაბადებიდან 125 წლის გამო ეწოდა მისი სახელი. 1923 *ვაჟა-ფშაველას* სახელი დაერქვა. 1948 ზ. ქ. ეწოდა.

ᲒᲔᲠᲒᲔᲢᲘ, ყოფ. სოფელი. 1966 შეუერთდა დაბა ყაზბეგს (2006-იდან – სტეფანწმინდა). გერგეტი ჰქვია აგრეთვე ხუროთმოძღვრულ კომპლექსს (XIV ს.) და მყინვარის მყინვარწვერის სამხრ.-აღმ. კალთაზე.

ᲒᲕᲐᲖᲐᲣᲠᲘᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან გვაზაურის ქუჩამდე და გვაზაურის II გასასვლელამდე.

ᲒᲕᲐᲖᲐᲣᲠᲘᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); გვაზაურის ქუჩიდან გვაზაურის II შესახვევამდე.

ᲒᲕᲐᲖᲐᲣᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 2 გას., 2 შეს., 3 ჩიხი.

ᲒᲕᲐᲖᲐᲣᲠᲘ, სოფელი ხონის რ-ნში.

ᲒᲕᲐᲖᲐᲣᲠᲘᲡ I ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან გვაზაურის II გასასვლელამდე.

ᲒᲕᲐᲖᲐᲣᲠᲘᲡ II ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); ზიგზაგის I ქუჩიდან მთის ფერდობამდე.

ᲒᲕᲐᲖᲐᲣᲠᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); გვაზაურის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

რაჟდენ **ᲒᲕᲔᲢᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან რაფიელ აგლაძის ქუჩამდე. ქუჩას რ. *გვეტაძის* სახელი ეწოდა 1962.

დავით **ᲒᲘᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ლაილაშის ქუჩიდან ლებარდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის დასაწყისი (ლაილაშის ქუჩიდან სენაკის ქუჩამდე) დატანილია როგორც პიატიგორსკის ქუჩა, ხოლო ბოლო მონაკვეთი (სენაკის ქუჩიდან ლებარდის ქუჩამდე) – როგორც გორდის ქუჩა. შემდეგ სამოქალაქოს II ქუჩა ერქვა, 60-იან წლებში დ. *გივიშვილის* სახელი ეწოდა.

ᲒᲝᲠᲚᲘ, სოფელი ხონის რ-ნში.

ᲞᲘᲐᲢᲘᲒᲝᲠᲡᲙᲘ, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲗᲝᲜᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, იხ. გიორგი *ათონელის ქუჩა*.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დიღომი*); ფარნავაზ მეფის გამზირიდან პეტრე იბერის ქუჩამდე. უსახელო ქუჩას *გიორგი V* ბრწყინვალის სახელი ეწოდა XX ს. 90-იან წლებში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲠᲩᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, იხ. გიორგი *მერჩულის ქუჩა*.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲭᲧᲝᲜᲓᲘᲓᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დეპოს შესახვევიდან თორნიკე ერისთავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ერქვა ხუთწლედის ქუჩა, შემდეგ – გ. *მაზნიაშვილის*, 1991 *გიორგი ჭყონდიდელის* სახელი ეწოდა.

ᲒᲚᲓᲐᲜᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. ერთ-ერთი უდიდესი საცხოვრ. რ-ნი თბილისის ჩრდ. ნაწილში. გ. მინდელის ხიდით უკავშირდება დიდი დიღმის საცხოვრ. რ-ნს. დაგეგმარდა 1970. აქვს 9 მიკრორაიონი. სახელი ეწოდა სოფელ გლდანთან სიახლოვის გამო, რ-ის ნაწილიც თბილისს შემოუერთდა 1979, ახალი ადმ. დაყოფით კი მთლიანად თბილისის საზღვრებშია.

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანისხევი*); თიანეთის გზატკეცილიდან გლდანისხევის ქუჩამდე.

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡᲮᲔᲕᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. დასახლება პატარა გლდანსა და სოფ. გლდანს შორის. მოსახლეობაში ცნობილია გლდანულის სახელწოდებით.

ᲒᲚᲓᲐᲜᲣᲚᲐ, იხ. *გლდანისხევი*.

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანისხევი*); ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩიდან გლდანის ქუჩამდე.

მიხეილ **ᲒᲚᲘᲜᲙᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); მუხრანის ქუჩიდან გუდამაყრის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. 42-ე ქუჩას მ. *გლინკას* სახელი დაერქვა 50-იან წლებში.

ჰერმან **ᲒᲛᲐᲘᲜᲔᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი; მხატვართა დასახლებიდან „ბავშვთა სოფელში“ მიმავალი ქუჩა. ჰ. *გმაინერის* სახელი დაერქვა 1998.

ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე, საბურთალო*); თამარ მეფისა და კონსტანტინე გამსახურდიას გამზირებს, ვარაზისხევისა და მერაბ კოსტავას ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. სახელი ეწოდა საბჭოთა კავშირის პირველი გმირების (წოდება შემოიღეს 1934), გემ „ჩელიუსკინის“ ეკიპაჟის გადამრჩენი მფრინავების პატივსაცემად. მდებარეობს მდ. ვერის ხეობაში, იქ, სადაც ადრე ცნობილი ვერის ბაღები იყო. ძვ. ნაგებობებიდან მოედნის ფარგლებში შემორჩენილი იყო XVII ს. ბრტყელი, ე. წ. ქართული აგურით ნაშენი ხიდის ნაშთი. XIX ს. ბოლოს აქ თავდებოდა ქალაქი და იწყებოდა *საქართველოს სამხედრო გზა*. XIX–XX სს. მიჯნაზე ზ. მ-ის ტერიტორია ითვლებოდა თბილისელ მოქეიფეთა საყვარელ ადგილად, სადაც მრავლად იყო პატარა სამიკიტნოები ეგზოტიკური სახელებით: „ფანტაზია“, „ედემი“, „რასსვეტი“, „ნე უეზჟაი, გოლუბჩიკ მოი“.

ზ. მ. ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანსპ. კვანძია. 1935, მოედნის ჩრდ.-აღმ-ით არსებული კლდოვანი ბორცვის გაჭრის შემდეგ, წარმოიქმნა ჩელიუსკინელების ქუჩა (ახლანდ. *თამარ მეფის გამზირი*) და მის გაგრძელებაზე აიგო ხიდი (ახლანდ. *თამარ მეფის ხიდი*). 1957 მოედნის სამხრ. მონაკვეთში ვარაზისხევის ქვედა ნაწილის ამოვსების შედეგად წარმოიქმნა *ვარაზისხევის ქუჩა*, კიდევ ერთი მძლავრი განივი სატრანსპ. მაგისტრალი, რ-იც ჩამოდის ზ. მ-ზე და თამარ მეფის ხიდითა და გამზირით უკავშირდება მტკვრის მარცხენა სანაპიროს, დავით აღმაშენებლის გამზირსა და ვაგზლის მოედანს. 1927 მოედნის სამხრ.-დას. ნაწილში განთავსდა ზოოლოგიური პარკი. მოედანზე გამოდის ასბინიანი საცხოვრ. სახლის 11-სართულიანი კოშკურა (1939; არქიტ. მ. კალაშნიკოვი), ხოლო ბორცვზე აღმართულია ცირკის შენობა (1940; არქიტექტორები: ნ. ნებრინცევი, ს. სატუნცი, ვ. ურუშაძე). 70-იან წლებში, განტვირთვის მიზნით, მოხდა მოედნის რეკონსტრუქცია (არქიტ. კ. ნახუცრიშვილი), აშენდა საკმაოდ მოზრდილი კომპლექსის ნაწილი – მიწისქვეშა სატრანსპ. გვირაბი და გადასასვლელი ფეხით მოსიარულეთათვის. 2003 წ. 27 სექტემბერს მოედანზე გაიხსნა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი. დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება ქანდაკება „ამაღლება“ (მოქანდაკე გ. შხვაცაბაია). მოედნის ცენტრში მოწყობილია შადრევანი.



გლდანი.





გმირთა მოედანი.

გმირ კურსანტთა ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); დასაწყისი ქერჩის ქუჩიდან. ქერჩის ქუჩის I შესახვევს მ. პ. ქ. დაერქვა 2003, აფხაზეთში დაღუპული პოლიციის აკადემიის კურსანტების პატივსაცემად.

ალექსი (ალეკო) **გობრონიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*მუხიანი*); დასაწყისი ილია ვეკუას ქუჩიდან. მუხიანში გამავალი ცენტრალური ქუჩა. ქუჩას ა. *გობრონიძის* სახელი ეწოდა 2000.

გოგაშენის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); არაღეთის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 შეს.

გოგაშენი, სოფელი ახალქალაქის რ-ნში.

იაკობ **გოგებაშვილის I განსასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); იაკობ გოგებაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე.

იაკობ **გოგებაშვილის II განსასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); იაკობ გოგებაშვილის ქუჩიდან გაიოზ იმედაშვილის ქუჩამდე.

იაკობ **გოგებაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); კოტე მაყაშვილის ქუჩიდან ვასილ პეტრიაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მთისძირის I ქუჩა, 1900 წ. გეგმაზე – როგორც პეტრეს ქუჩა. 1922 ი. *გოგებაშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 2 გას., 1 შეს., 1 ჩიხი.

იაკობ **გოგებაშვილის I ჩიხი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მისასვლელი ნათია ბაშალეიშვილის ქუჩიდან.

იაკობ **გოგებაშვილის II ჩიხი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მისასვლელი ნათია ბაშალეიშვილის ქუჩიდან.

მოსე **გოგიბერიძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); ევგენი მიქელაძისა და ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში და მ. *გოგიბერიძის* სახელი ეწოდა. ქუჩას მიუყვება *ტექსელის ხეივანი*.

მოსე **გოგიბერიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკიისა და ჩუღურეთის* საზღვარი); ზაარბრიუკენის მოედნიდან ივანე ჯავახიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 40-იანი წლების ბოლოს. მისი მნიშვნელობა, როგორც მარცხ. სანაპიროს მე-2 მაგისტრალისა, გაიზარდა თბილისის რკინიგზის სადგურის აშენებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად ქუჩას დღევანდელი გიორგი ათონელის ქუჩიდან ი. ჯავახიშვილის ქუჩამდე ერქვა ხიდის ქუჩა (სახელწ. უკავშირდება *ჩუღურეთის ხიდს*). ქუჩა დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე. 1903 დაერქვა ნ. *ნეკრასოვის* სახელი (პოეტის გარდაცვალების 25-ე წელთან დაკავშირებით). 1990 მონაკვეთს ზაარბრიუკენის მოედნიდან ი. ჯავახიშვილის ქუჩამდე მ. *გოგიბერიძის* სახელი ეწოდა. ქუჩის დასაწყისში დგას არქიტ. თვალსაზრისით საინტერესო XIX ს. საცხოვრ. სახლი №1.

ვიქტორ **გოგლიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მერაბ კოსტავას ქუჩიდან გიორგი ქუჩიშვილის ქუჩამდე. ყოფ. კოსტავას II შესახვევი. 1995 ვ. *გოგლიძის* სახელი დაერქვა.

ალექსი **გოგოლაურის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან რაფიელ აგლაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. 1961-მდე დიდუბის III შესახვევი იყო, შემდეგ ა. *გოგოლაურის* სახელი დაარქვეს.

ნიკოლოზ **გოგოლის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ოქროსუბანი*); კონსტიტუციის ქუჩიდან ვაგზლის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. 40–50-იან წლებში. XIX ს. შუა წლებამდე ეს ტერიტ. დასახლებული იყო გერმ. კოლონისტებითა და მოლოკნებით. აქედან მომდინარეობდა ქუჩის სახელწ. – მოლოკნების I ქუჩა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე). 1900 ეწოდა ნ. *გოგოლის* სახელი. ადრე გრძელდებოდა დ. კლდიაშვილის ქუჩამდე. 2000 მონაკვეთს

კონსტიტუციის ქუჩიდან დ. კლდიაშვილის ქუჩამდე გ. *დოლიძის* სახელი დაერქვა.

მოლოკნები, ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა რუსეთში.

ლევან **გოთუას გასასვლელი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ლევან გოთუასა და ჟიული შარტავას ქუჩებს შორის.

ლევან **გოთუას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); გიორგი სააკაძის მოედნიდან ჰეიდარ ალიევის სანაპირომდე. ადრე *საქართველოს სამხედრო გზის* საწყისი მონაკვეთი იყო. 1973-იდან ლ. *გოთუას* სახელი ჰქვია. ქუჩაზეა გ. ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის და ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინ-ტები, შპს „ჯეოსელი“. აქვს 1 გას., 1 შეს.

ივანე **გოკიელის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან იოანე პეტრიწის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე ს. კიროვის ქუჩა ერქვა (იხ. ს. *კიროვი*), 1973 ი. *გოკიელის* სახელი ეწოდა.

გომარეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ლეჩხუმის ქუჩიდან დიმიტრი ყიფიანის გასასვლელამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 1 შეს.

გომარეთი, დმანისის რ-ნის სოფლების დიდი და პატარა გომარეთის გავრცელებული სახელწოდება.

გომბორის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ლიკანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

გომბორი, სოფელი საგარეჯოს რ-ნში.

გომის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); ბეთლემის აღმართიდან ბეთლემის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ორთაჭალის ქუჩა ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ქვემო გომის შესახვევი (იწყებოდა ასკანის ქუჩიდან და მოიცავდა ახლანდელ ასკანის შესახვევს), 40-იან წლებში ბ. ქ. ეწოდა. ქუჩას დღემდე შენარჩუნებული აქვს ძვ. თბილისური კოლორიტი. ბ. ქ-ზე შემონახულია ცეცხლთაყვანისმცემელთა უძველესი სამლოცველოს ათეშგას (IV–VII სს.) ნაშთი, XIX ს. 60–80-იანი წლების საცხოვრ. სახლები. აქვს 2 შეს. (I შესახვევი წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე საღამის შესახვევი ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. II შესახვევი წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც აღდგომის შესახვევი, 20-იან წლებში კოდმანის შესახვევი დაერქვა. ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზეც).

გომი, ამ სახელწოდებით 4 სოფელია ცნობილი საქართველოში.

ჰამლეტ **გონაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ლადო მესხიშვილის ქუჩიდან ვარდის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა ხოჯავანქის ქუჩა (*ხოჯავანქის* ეკლესიისა და სასაფლაოს მიხედვით). დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. იწყებოდა ყოფ. კახეთის (ახლანდ. ავლაბრის) მოედნიდან და მიდიოდა ხოჯავანქის სასაფლაომდე. 1900 ხოჯავანქის ქუჩის მონაკვეთს კახეთის მოედნიდან ყოფ. თხემის მოედნამდე (ახლანდ. ვარდის მოედანი) დაერქვა ვარდის ქუჩა, დანარჩენმა შეინარჩუნა ძვ. სახელი. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ოცდაექვსი კომისრის ქუჩა (იხ. *ბაქოელი კომისრები*). 1992 ჰ. *გონაშვილის* სახელი დაერქვა.

გორგასლის მოედანი, იხ. *ვახტანგ გორგასლის მოედანი*.

გორდის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ზედამზის ქუჩიდან კლდეკარის ქუჩამდე. ლოტკინის დასახლების VI ქუჩას გორდის ქუჩა ეწოდა 1968.

გორდი, სოფელი ხონის რ-ნში.

გორის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 შეს.

გორი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

მაქსიმ **გორკის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ივანე ჯავახიშვილის მოედნიდან ზურაბ ქვლივიძის ქუჩამდე.



გომის ქუჩა №5/12.

წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. 70-იან წლებამდე ამ ადგილას იყო „დიდი ხევი“, მისი ამოვსების შემდეგ გაიყვანეს ქუჩა, რ-საც კრასნოგორსკის ქუჩა დაარქვეს. აქ, გორაზე, იდგა კვირაცხოვლის ეკლესია (*ვახუშტი ბატონიშვილის* თბილისის 1735 წ. გეგმაზე დატანილია №63-ით). რუს. მართლმადიდებლური ტრადიციის მიხედვით, ყოველ კვირაცხოვლობა დღეს გორიდან აგორებდნენ სააღდგომო კვერცხებს, რის გამოც გორას „წითელი გორა“ („კრასნაია გორკა“) შეარქვეს და ქუჩამაც აქედან მიიღო სახელწოდება. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1923 დაერქვა ვასერის (ძვ. რევოლუციონერი) სახელი, 30-იან წლებში – მ. *გორკის* (მ. გორკი თბილისში ყოფნის დროს, 1891–92, ამ ქუჩაზე რკინიგზის სახელოსნოების საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა). შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 2 ჩიხი.

მაქსიმ **გორკის შესახვევი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); მიხეილ ბუხაიძის ქუჩიდან ვეძათხევის შესახვევამდე.

გოძჩის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); გიორგი ათონელის ქუჩიდან ნიკო სულხანიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ვანქის შესახვევი (იხ. *ვანქი*). 1923 დაერქვა ბ. ქ. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლი №9.

გოქჩა (თურქ. – ლურჯი წყალი), სევანის ტბის (სომხეთი) თურქ. სახელწოდება. ქართ. წყაროებში მას გელაქუნის ტბას, გელაქუნის ზღვას უწოდებდნენ.

ნიკოლოზ (ნიკო) **გოცირიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ზურაბ ქვლივიძის ქუჩიდან ტერენტი გრანელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 60-იან წლებში. 1875-იდან ქალაქისთავის – ი. თუმანოვის (*თუმანიშვილის*) სახელი ერქვა. თბილისის

1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც თუმანოვის II ქუჩა, 1900 კავკასიის ჯანდარმერიის უფროსის, გენ.-ლეიტენანტ იული თედორეს ძე მინკვიცის სახელი ეწოდა. 1922 დაერქვა ს. *მცირიშვილის*, 1926 – ნ. *გოცირიძის* სახელი.

ვასო **გოძიაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაშლივკარი*); პეტრე სარაჯიშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. ვაშლივკარის დასახლების ცენტრალური ქუჩა. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. ადრე უსახელო ქუჩა იყო. 80-იან წლებში ვ. *გოძიაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 2 შეს., 4 ჩიხი.

გრაჯულის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); მდებარეობდა ადრინდელი კოტე მესხისა და რიწის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს. 60-იან წლებში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი, თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში – როგორც ქუჩა. ამჟამად კ. მესხის ქუჩაა (ადრინდელი კ. მესხის ქუჩის გაგრძელება რიწის ქუჩამდე).

გრაკალი, სოფელი კასპის რ-ნში.

ტერენტი **გრანელის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას მოედნიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ლუთერანთა შესახვევი (გერმანელ ლუთერანთა სასაფლაოს გამო, რ-იც ქუჩას ჩრდ.-დას-ით ესაზღვრებოდა), 1923 ცხრა იანვრის ქუჩა დაერქვა. 1990 ტ. *გრანელის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესია (1996–97; არქიტექტორები: უ. კრეპტი, გ. მეტრეველი), დგას მაქსიმ გორკის ძეგლი (მოქანდაკე ა. თოფურიძე. არქიტ. ო. ლითანიშვილი). აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ცხრა იანვარი, 1905 წლის „სისხლიანი კვირა“. ამ დღეს რუსეთის მთავრობამ მასობრივად დახვრიტა იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან პეტიციის მისართმევად მშვიდობიანად მიმავალი პეტერბურგელი მუშები.

გრემის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); საბუის შესახვევიდან ვიქტორ გაბესკირიას მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 2 ჩიხი.

გრემი, სოფელი ყვარლის რ-ნში. XV–XVI სს-ში – კახეთის მეფეთა რეზიდენცია.

ალექსანდრე **გრიბოედოვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ბესიკის ქუჩიდან შოთა რუსთაველის გამზირამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასაწყისში. დააპროექტა პოლკ. ბანოვმა 1809. 1843-იდან კომენდანტის ქუჩა ერქვა (აქ იდგა ქალაქის კომენდანტის სახლი), ამ სახელითაა შეტანილი 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაშიც. 1879 ა. *გრიბოედოვის* გარდაცვალებიდან 50-ე წლის აღსანიშნავად ქუჩას ეწოდა მისი სახელი. ქუჩაზე არის ა. ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემია (XIX ს. 50-იანი წლები, არქიტ. გ. ივანოვი; შენობის მარცხ. ნაწილი გადაკეთდა 1902, არქიტ. ს. კლდიაშვილი), ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (1904; არქიტ. ა. შიმკევიჩი), ტ. *ტაბიძის* ბინა-მემორიალი (№18). XIX ს. 40-იანი წლებიდან ახლანდ. ა. გრიბოედოვისა და ა. ჭავჭავაძის ქუჩების კუთხეში იდგა ა. *ჭავჭავაძის* სახლი. ამჟამად ამ ადგილას ბაქოს I გილდიის ვაჭრის გრ. არაფელოვის ყოფ. სახლია (1897; არქიტ. პ. შტერნი). სამხატვრო აკადემიის წინ, სკვერში, დგას მიხაი ზიჩის ქანდაკება (მოქანდაკე შ. კიში. არქიტექტორები: ჯ. ვადაში, ნ. მგალობლიშვილი). შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს.

გრიგოლ ხანძთელის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აფჭალა*); ალექსანდრე მანაგაძის ქუჩიდან ზაჰესის დასახლებამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე – *ვაჟა-ფშაველას*, შემდეგ *გრიგოლ ხანძთელის* სახელი ეწოდა.

გრიგოლ ხანძთელის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); ხოდაშნის ქუჩიდან პურის მოედნამდე. აღნიშნულია აღ. პაშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. ქალაქის 1867 წ. გეგმაზე დატანილია ნორაშენის ქუჩის სახელით (სახელწ. უკავშირდება ნორაშენის ღვთისმშობლის სომხ.-გრიგორიანულ ეკლესიას). 1923 – *ჰაზირას*, 30-იან წლებში – ა. *მიასნიკოვის*, 1991 კი *გრიგოლ ხანძთელის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 2 ჩიხი.

ნორაშენი, ქართ. – ახალშენი.

იოსებ **გრიშაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); აბანოს ქუჩიდან ვახტანგ გორგასლის ქუჩამდე. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც საბაჟოს ქუჩა (ქვემო საბაჟოს ქუჩა), თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია სურბ-სარქისის ქუჩის სახელწოდებით. 1925-იდან ა. *ტაგი-ზადეს* სახელი ერქვა, შემდეგ – ბოლნისის ქუჩა. 1948 ი. *გრიშაშვილის* სახელი ეწოდა. **ბ. ქ.** თბილისის უძველესი ქუჩაა, ხელოვნებათმცოდნეები, აღნიშნავენ რა ხაზგასმით ამ ქუჩის მნიშვნელობას ძვ. ქალაქისთვის, ხშირად ადარებენ რომის სახელგანთქმულ ქუჩას – „ვია აპია ანტიკას“. ადრე ამ ქუჩას განჯის გზა ერქვა (მოემართებოდა განჯის მხრიდან) და ერთადერთი გზა იყო, რ-იც აკავშირებდა დასავლეთს აღმოსავლეთთან (სპარსეთი, ინდოეთი, ჩინეთი). განჯასა და თბილისზე გამავალი ამ გზით სარგებლობდა მტერიცა და მოყვარეც, გადიოდა სავაჭრო ქარავნები და ამავე გზით შემდიოდა აღმ-იდან ურიცხვ დამპყრობელთა დამანგრეველი ურდოები. გზაზე იყო ქალაქის ორი ჭიშკარი: ერთი ციხესიმაგრის კედელში, იქ, სადაც ამჟამად 300 არაგველის მემორიალია, მეორე – ქალაქის მთ. ციტადელის – ნარიყალის შესასვლელთან, იქ, სადაც ამჟამად ბოტანიკური ბაღის შესასვლელია. შემორჩენილია ძვ. ხიდის ბურჯები. **ბ. ქ**-ისა და ვეზიროვის ქუჩის გადაკვეთაზე დგას XIX ს. წმინდა ნიკოლოზის ბერძნ. ეკლესია (ამჟამად წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობს), ხოლო თვით ქუჩა გოგირდის აბანოების კომპლექსიდან იწყება. შემორჩენილია ე.წ. „ბებუთას აბანო“ (XVII ს.), სახაზინო აბანო (XIX ს.). აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის (1795) დროს **ბ. ქ**-ის თითქმის მთელი განაშენიანება განადგურდა, მაგრამ დარჩა საერთო გაბარიტები, ძვ. მიმართულება, გეგმარებითი კონტურები. ამჟამად ქუჩა განაშენიანებულია ძირითადად XIX ს. დაბალსართულიანი საცხოვრ. სახლებით (არის აგრეთვე რამდენიმე თანამედროვე სახლი და საზ. ნაგებობა), რ-ებიც შემკულია ხის ნაკეთობებით, ტრად. ორნამენტებით, გამოყენებულია ქართული კვადრ. აგური. საცხოვრ. სახლები, თბილისური მწვანე ეზოებითა და აივნებით, როგორც წესი, შეჭრილია თაბორის ქედის კალთებში. შემორჩენილია ბრტყელი ბანური სახურავები, რ-ებიც ერთდროულად მათ ზემოთ განლაგებული ბინების ტერასაცაა.

ბოლნისი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

სურბ-სარქისი, ქართ. – წმინდა სარქისი.



ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა.
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

ᲒᲠᲝᲖᲜᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ოთარ ქინქლაძის ქუჩიდან თეთნულდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. **Ბ. Ქ.** შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 ს. *ბუაჩიძის* სახელი ეწოდა, 50-იან წლებში ისევ **Ბ. Ქ.** დაერქვა. აქვს 1 შეს. (ყოფ. თემრუკის შეს.).

ᲒᲠᲝᲖᲜᲘ, ჩაჩნეთის დედაქალაქი.

პეტრე **ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩიდან ჯავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 1938-მდე მას იმერეთის III ქუჩა ერქვა, შემდეგ ი. *აბუშკინის* სახელი ეწოდა. 1992 პ. *გრუზინსკის* სახელი დაერქვა. აქვს 1 შეს.

ᲒᲣᲓᲐᲛᲐᲧᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ყოფ. 22-ე ქუჩას **Ბ. Ქ.** დაერქვა 1955. ქუჩაზეა შპს „თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფო“. აქვს 1 შეს., სადაც განთავსებულია მ. წინამძღვრიშვილის სახ. კარდიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ცენტრი.

ᲒᲣᲓᲐᲛᲐᲧᲐᲠᲘ, მხარე აღმ. საქართველოში.

ᲒᲣᲓᲐᲠᲔᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); გუდარეხის ქუჩიდან გუდარეხის შესახვევამდე.

ᲒᲣᲓᲐᲠᲔᲮᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); მეველის შესახვევიდან დიდგორის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ახალი სასაფლაოს ქუჩა ერქვა. 50-იან წლებში **Ბ. Ქ.** ეწოდა. აქვს 1 გას., 1 შეს., 4 ჩიხი.

ᲒᲣᲓᲐᲠᲔᲮᲘ, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში.

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); რაფიელ აგლაძის ქუჩიდან კოსმონავტების სანაპირომდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. სახელი დაერქვა 1961.

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲐ, ქალაქი დას. საქართველოში, აფხაზეთში.

ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); ივანე თარხნიშვილის ქუჩიდან სიმონ ჯანაშიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი. 70-იანი წლებიდან ქუჩაა. აქვს 1 ჩიხი.

ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘ, სოფელი ყაზბეგის რ-ნში. სამთო-სათხილამურო კურორტი.

ლადო **ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); აბო თბილელის, გია აბესაძის, ბორის კუფტინის, მიხეილ ლერმონტოვის, ბეგლარ ახოსპირელის ქუჩებსა და ახოსპირელის გასასვლელს შორის. თბილისის უძველესი უბნის — კალის — მოედანი. აღნიშნულია ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე, 1828-იდან იხსენიება როგორც აბასაბადის მოედანი [სახელი დაერქვა რუს.-ირანის ომის (1826–28) დროს სპარსეთის ციხესიმაგრის — აბასაბადის აღების აღსანიშნავად]. ამ სახელითაა აღნიშნული მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ შედგენილ ქალაქის 1833–35 წლების გეგმაზე. მოედანს ერთხანს მოღნინის სახელი ერქვა ახლომდებარე მოღნინის ღვთისმშობლის სომხ.-გრიგორიანული ეკლესიის (1751) გამო. XIX ს-ში ამ ტერიტორიაზე რუს. ჯარის ოფიცერთა სასტუმრო და ჰაუპტვახტი იყო განთავსებული. გადმოცემით თბილისში ყოფნის დროს ამ სასტუმროში ცხოვრობდა მ. *ლერმონტოვი*. 1923 მოედანს ს. *ალავერდოვის* სახელი უწოდეს, 1988 კი — ლ. *გუდიაშვილის*. მოედნის შუაგულში პატარა ბაღია, სადაც დგას ქანდაკება-შადრევანი „პირველი წვიმა“ (მოქანდაკე ი. წულაძე). ბ. კუფტინის ქუჩისა და მოედნის გადაკვეთაზე დგას XIX ს. 30–40-იან წლებში აშენებული, შიგა ეზოთი გაერთიანებული 2 საცხოვრ. სახლი, საუკეთესო ნიმუში ძვ. თბილისური საცხოვრ. სახლებისა (რესტავრირებულია არქიტ. გ. ბათიაშვილის ხელმძღვანელობით), რ-თა ცალკეულ დეტალებში მოხდენილად არის შერწყმული აღმოსავლური და დასავლური ხუროთმოძღვრული ფორმები (აივნები, დორიული სვეტები).

ლადო **ᲒᲣᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); თავისუფლების მოედნიდან არჩილ ჯორჯაძის ქუჩამდე. XIX ს.



ლადო გუდიაშვილის მოედანი.



ლადო გუდიაშვილის ქუჩა.
შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი.



გმირთა მოედანი.





ლადო გუდიაშვილის ქუჩა. ეროვნული ბიბლიოთეკა.

დასაწყისში ქუჩის მიმდებარე ტერიტორია დაუსახლებელი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა-იქ გაფანტულ რამდენიმე შენობას, რ-თა შორის გამოირჩეოდა ახლანდ. ა. ფურცელაძისა და ნ. ვაჩნაძის ქუჩების მონაკვეთზე მდგარი ლორის-მელიქოვების სახლი, რ-იც გადაურჩა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას (1795). 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ატამანის ქუჩა – მ. *ლორის-მელიქოვის* თერგის ოლქის ატამანად ყოფნის აღსანიშნავად. 1877 ქუჩას დაერქვა ლორის-მელიქოვის სახელი. ასევეა დატანილი თბილისის 1900 წ. გეგმაზეც. 1922 ლ. *კეცხოველის* სახელი დაარქვეს. ამ ქუჩაზე ცხოვრობდა ლ. *გუდიაშვილი* და 1992 ქუჩას მისი სახელი ეწოდა.

ქუჩაზე არის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი (ყოფ. სასულიერო სემინარია. XIX ს. 30-იანი წლები; არქიტ. ჯ. ბერნარდაცი), საქართვ. პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის კორპუსები [ყოფ. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი (1916; არქიტ. ა. კალგინი, მხატვარი ჰ. ჰრინევსკი) და ყოფ. ვოლგა-კამის საზ-ბის ბანკი (1915)], ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმი (№11). შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები, მ. შ. მუხრანბატონის ყოფ. სახლი (№9, არქიტ. კ. ტატიშჩევი). ქუჩაზე გამოდის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწიფო მუზეუმის ადმ. კორპუსი. ქუჩის ბოლოს, ცხრა აპრილის სახ. ბაღში, დგას ლ. გუდიაშვილის ძეგლი (მოქანდაკე დ. მიქატაძე. არქიტ. რ. ბერიძე). აქვს 1 შეს. (ყოფ. ლ. კეცხოველის შეს.).

გათვალისწინებულია ბ. ქ-ის რეკონსტრუქცია. პროექტის თანახმად იგი უნდა გახდეს ხიდი თბილისის ისტ. ნაწილსა და ქალაქის თანამედროვე ცენტრს შორის, გადაიქცეს კულტურის ცენტრად და სამუზეუმო, ფეხით მოსიარულეთა ქუჩად.

ᲑᲣᲗᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორისა და ძველი თბილისის რ-ნები (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან წინანდლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ფალავანდოვის ქუჩა (იხ. ნ. *ფალავანდიშვილი*). 1923 დაერქვა ბ. ქ. აქვს 2 შეს., 2 ჩიხი.

დიმიტრი **ᲑᲣᲚᲘᲐᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); ვახტანგ გორგასლის, დიმიტრი გულიასა და გია გულუას ქუჩებს შორის. მოედანს დ. *გულიას* სახელი დაერქვა 1978.

დიმიტრი **ᲑᲣᲚᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი, ორთაჭალა*); დიმიტრი გულიას მოედნიდან დიმიტრი გულიას ხიდაკვედუკამდე. დ. *გულიას* სახელი დაერქვა 1978. მნიშვნელოვანი სატრანსპ. არტერიაა. ქუჩაზეა ცენტრალური ავტოვაგზალი (1970; არქიტექტორები: რ. კიკნაძე, ვ. ქურთიშვილი, შ. *ყავლაშვილი*. კონსტრუქტორი რ. შიოლაშვილი), სავაჭრო ცენტრი „ჭუინი“. ქუჩის დასაწყისში დგას დ. გულიას ძეგლი (მოქანდაკე ვ. ივანბა. არქიტ. ნ. ხვედელიანი).

დიმიტრი **ᲑᲣᲚᲘᲐᲡ ᲮᲘᲓᲘ-ᲐᲙᲕᲔᲓᲣᲙᲘ**, ვახტანგ გორგასლისა და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდი მდ. მტკვარზე (1961; არქიტ. შ. *ყავლაშვილი*. ინჟ. გ. ჭუბაბრია).

ვასილ **ᲑᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან გლდანის პატარა ტბამდე. ადრე შ. *ნუცუბიძის* სახელი ერქვა, 1981 ვ. *გულისაშვილის* სახელი ეწოდა.

ᲑᲣᲚᲚᲠᲘᲤᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ლიკანის ქუჩიდან რაჭის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 1958-მდე საზღვრის ქუჩა ერქვა, შემდეგ – ვ. *კურნატოვსკისა*. 1999 ა. *შატილოვის* სახელი ეწოდა, 2007 ბ. ქ. დაერქვა. აქვს 1 შეს.

ᲑᲣᲚᲚᲠᲘᲤᲘ, ქალაქი დას. საქართველოში, აფხაზეთში.

გია **ᲑᲣᲚᲣᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); სამასი არაგველის მოედნიდან დიმიტრი გულიას მოედნამდე. *დიდი ხევნის ქუჩის* მონაკვეთს გ. *გულუას* სახელი ეწოდა 1994.

ᲑᲣᲛᲐᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ასპინძის ქუჩიდან პაატა საკაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 70-იან წლებამდე აზმაგის (აზმაგის) ქუჩა ერქვა. აქვს 1 შეს.

ᲑᲣᲛᲐᲗᲘ, სოფელი წყალტუბოს ზონაში.

ᲑᲣᲛᲐᲗᲰᲔᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*საჰიდროენერგომშენის დასახლება*); ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩიდან ნავთლუღის II დასახლების VII ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. სახელი დაერქვა 70-იან წლებში.

ᲑᲣᲛᲐᲗᲰᲔᲡᲘ, ჰიდროელექტროსადგური მდ. რიონზე, გუმათის წყალსაცავზე.

ᲑᲣᲛᲑᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); სამრეკლოს ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ალექსანდროპოლის ქუჩა. 1923 დაერქვა ბ. ქ. აქვს 1 შეს., 2 ჩიხი.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘ, სომხეთის ქ. გიუმრის (1924–92 – ლენინაკანი) გავრცელებული სახელწოდება.

ვალერიან **ᲒᲣᲜᲘᲐᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ვალერიან გუნიას ქუჩიდან მთის ფერდობამდე.

ვალერიან **ᲒᲣᲜᲘᲐᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); იაკობ გოგებაშვილის I გასასვლელიდან მთის ფერდობამდე.

ვალერიან **ᲒᲣᲜᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); კოტე მაყაშვილის ქუჩიდან იაკობ გოგებაშვილის I გასასვლელამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ბაიაზეთის შესახვევი, 1938 ვ. *გუნიას* სახელი დაერქვა. აქვს 2 გას., 1 შეს. (1903 – ანაპის შეს.).

ᲑᲐᲘᲐᲖᲔᲗᲘ, ბ ა ი ა ზ ი დ ი, თურქეთის ქალაქის დოღუბაიაზიდის ძვ. სახელწოდება.

დავით **ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი, ღრმაღელე*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან დავით სარაჯიშვილის ქუჩამდე. ქალაქის ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალის – ავჭალის გზატკეცილის ნაწილი. ეს გზა ცნობილია შუა საუკუნეებიდან. *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილ თბილისის 1735 წ. გეგმაზე დატანილია „ავჭალის გზის“ სახელით. იწყებოდა ავლაბრის გალავანში დატანებული „პატარა კარიდან“ და მიემართებოდა მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე სოფლებისაკენ, კერძოდ, ავჭალისაკენ. თბილისის 1851 და 1900 წლების გეგმებზე დატანილია როგორც ავჭალის ქუჩა. 1930 დაერქვა კ. *მარქსის* ქუჩა (ასეა თბილისის 1934 წ. გეგმაზე), შემდეგ – ავჭალის გზატკეცილი. 1990 გზატკეცილის ერთ ნაწილს უწოდეს დ. *გურამიშვილის*, მეორე ნაწილს – დ. *სარაჯიშვილის* სახელი. გამზირზე არის წმინდა ბარბარეს ეკლესია, სააქციო საზ-ბა „ელმავალმშენებელი“, თბილაბრეშუმი „ცისარტყელა“, მეტროს 2 სადგური: „ღრმაღელე“ და „დავით გურამიშვილი“. აქვს 1 ჩიხი.

გიორგი **ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ლალიონის შესახვევიდან ზაალ ვეშაპურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც კულტურის ქუჩა. 1938 – მ. *გრომოვის*, 90-იან წლებში კი გ. *გურგენიძის* სახელი დაერქვა. აქვს 1 შეს.

ინოლა **ᲒᲣᲠᲒᲣᲚᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); ვასილ ბარნოვის ქუჩიდან ერეკლე ტატიშვილის ჩიხამდე. ადრე ვ. ბარნოვის II შესახვევი იყო, 1999 ი. *გურგულიას* სახელი ეწოდა.

მამია **ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან ირაკლი გამრეკელის ქუჩამდე. ქუჩას მ. *გურიელის* სახელი ეწოდა 1962.

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ვასილ ბარნოვის ქუჩიდან ამავე ქუჩის I ჩიხამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც გურიის შესახვევი. 70-იანი წლებიდან ქუჩაა.

ᲒᲣᲠᲘᲐ, მხარე დას. საქართველოში.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ვარდის მოედნიდან ნიკიფორე ირბახის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბეგლაროვის ქუჩა. 1923 დაერქვა ბ. ქ. შემორჩენილია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლი №18. აქვს 1 შეს. (ყოფ. სამკუთხედი ქუჩა), 1 ჩიხი.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ᲒᲣᲯᲐᲠᲔᲗᲘᲡ I ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); მელაანის I შესახვევიდან საბარგოს ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ᲒᲣᲯᲐᲠᲔᲗᲘᲡ II ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); მელაანის I შესახვევიდან მელაანის IV შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ᲒᲣᲯᲐᲠᲔᲗᲘ, სოფელი ბორჯომის რ-ნში.


KING
DAVID THE BUILDER
VOLKSWAGEN

„დ“ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); კალოუბნისა და წნორისწყლის ქუჩებს შორის.

ᲓᲐᲑᲐᲮᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*აბანოთუბანი*); აბანოს ქუჩიდან აბანოს I შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი.

ᲓᲐᲑᲐᲮᲐᲜᲐ, დაბახანა, ტყავის დასამუშავებელი სახელოსნო.

შალვა **ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა-სოლოლაკის* და *კალის* თანამედროვე საზღვარი); თავისუფლების მოედნიდან ლადო ასათიანის ქუჩამდე. სოლოლაკის ერთ-ერთი უძველესი ქუჩა. შუა საუკუნეებში აქ გადიოდა ქალაქის ზღუდე-გალავანი, რ-იც XIX ს. I ნახევარში დაინგრა. *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილ თბილისის 1735 წ. გეგმაზე დატანილია კოჯრის გზის სახელწოდებით. ქუჩა დააპროექტა პოლკ. ბანოვმა 1809. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ა. *კელიამინოვის* ქუჩა. 1922 – ლ. *დუმბაძის*, 1932 – ამიერკავკასიის ფედერაციის, 1947 ი. *ჭავჭავაძის* სახელი დაერქვა. 1959 შ. *დადიანის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

ცოტნე **ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან დავით გურამიშვილის გამზირამდე. თბილისის 1851 და 1900 წლების გეგმებზე დატანილია ავჭალის ქუჩის სახელით. 1910 ეწოდა ვ. ჩერქეზოვის (*ჩერქეზიშვილის*) სახელი, 1922 – საბჭოს ქუჩა, 1930 – კ. *მარქსის*, 1938 – კვლავ საბჭოს ქუჩა, რ-ის ერთ მონაკვეთს 1957 ოქტომბრის ქუჩა დაერქვა, 1990 კი ცოტნე *დადიანის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესია, სააქციო საზ-ბა „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა“. დგას პ. ჩანჩიბაძის ბიუსტი (მოქანდაკე ბ. სახვაძე. არქიტ. ა. ჯიბლაძე). გამოდის მეტროს სადგური „ნაძალადევი“ (ყოფ. „ოქტომბერი“). აქვს 2 შეს.

თეოფანე **ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); I–II და III–IV მიკრორაიონებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 70–80-იან წლებში. ქუჩას თ. *დავითაიას* სახელი ეწოდა 1983.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); ზაარბრიუკენის მოედნიდან გიორგი ცაბაძის ქუჩამდე. შოთა რუსთაველის გამზირთან ერთად წარმოადგენს თბილისის ცენტრის მთავარ მაგისტრალს. მტკვრის მარჯვ. სანაპიროს უკავშირდება ჩულურეთის, გალაკტიონისა და თამარ მეფის ხიდებით. როგორც ქუჩა წარმოიქმნა XIX ს-ში. იმ ხანებისთვის ეს იყო ქალაქის უგრძესი ქუჩა. თავდაპირველად მიხეილის (დიდი მთავრის *მიხეილ ნიკოლოზის ძის*) სახელი ერქვა, 1918 – გ. *ლეონიძის*, 1988 *დავით IV* აღმაშენებლის სახელი ეწოდა.

XVIII ს-ში აქ იყო დასახლება – სოფ. *კუკია*, რ-ის ტერიტორიაზე 1818–20 წლებში დასახლდნენ ვიურტემბერგიდან გადმოსახლებული გერმ. მოახალშენეები, რ-ებმაც აქ დააარსეს ე. წ. „თბილისის კოლონია“, ააგეს მცირე ზომის საცხოვრ. სახლები, გააშენეს ბაღ-ბოსტნები, ბაღები, რ-თა ნაწილი დღემდეა შემონახული (რამდენიმე სკვერი და გამწვანებული შიგა ეზო). მათვე ააშენეს ახლანდ. *მარჯანიშვილის ქუჩის* გადაკვეთაზე ეკლესია – „კირხე“ (აქედან მოდიოდა მარჯანიშვილის ქუჩის ძვ. სახელი „კირიჩნი“). XIX ს. 50-იანი წლებიდან გერმანელთა დასახლება უკვე ექვემდებარებოდა ქალაქის განაშენიანების წესებს. ამ დროს ქუჩას მიხეილის სახელი ერქვა (დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე), 60-იანი წლებიდან ქუჩას მიენიჭა პროსპექტის სტატუსი (ასეა თბილისის 1867 წ. გეგმაზე). XIX ს. 40-იან წლებში წარმოქმნილი მისი მიმდებარე პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩების ქსელი დღემდეა შენარჩუნებული. საკუთრივ პროსპექტის ხუროთმოძღვრულმა სახემ ჩამოყალიბება დაიწყო XIX ს. 80-იანი წლებიდან. მის განაშენიანებაში დიდი წვლილი შეიტანეს არქიტექტორებმა: პ. შტერნმა, ა. შიმკევიჩმა, ა. ზალცმანმა და სხვ. პროსპექტზე გან-



დავით აღმაშენებლის გამზირი.

◄ დავით აღმაშენებლის ძეგლი.



დიდი დიღომი.





დავით აღმაშენებლის გამზირი №166.

ლაგებული იყო სასტუმროები, კინოთეატრები, კლუბები, რუს. და გერმ. საკრებულოები, ტურისტების თავშესაფარი (სახლი №5), აფთიაქები, მრავალი მაღაზია და სახელოსნო. მაშინდელ ნაგებობათაგან შემონახულია სასტუმრო „ვეტცელი“ (1880; არქიტ. ლ. ბილფელდი), კინოთეატრები „აპოლო“ (1909), „პალასი“ (1914; ახლანდ. ჯ. კახიძის სახ. თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი), თბილისის ფოსტამტი, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს შენობა (ახლანდ. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის კლინიკური საავადმყოფო), ახლანდ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს შენობა (XX ს. დასაწყისი), XIX ს. ძვ. თბილისური საცხოვრ. სახლები მოხარატებული, შეკიდული აივნებით და სხვ. XX ს. 20-იანი წლებიდან პროსპექტის სახე საფუძვლიანად შეიცვალა – აიღეს ტრამვაის ხაზი (გადიოდა კ. მარჯანიშვილის ქუჩაზე). 50-იან წლებში კ. მარჯანიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მოეწყო კ. *მარჯანიშვილის მოედანი.* აშენდა ახ. ნაგებობები: კინოსტუდია (1930; არქიტ. მ. ბუზოღლი; ამჟამად აქ განთავსებულია მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრი), რკინიგზელთა კულტურის სახლი (1950; არქიტ. გ. ტერ-მიქელოვი), ყოფ. პოლიტგანათლების სახლი (1970; არქიტექტორები: ვ. აბრამაშვილი, გ. მირიანაშვილი, გ. სალუქვაძე. რელიეფური მოზაიკა ეკუთვნის ზ. წერეთელს), მონუმ. საცხოვრებელი სახლი (№147; 1935, არქიტ. მ. კალაშნიკოვი) და სხვ. **დ. ა. გ**-ზე დგას სკულპტურული კომპოზიცია „აპოლონი და მუზა“ (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე. არქიტექტორები: ლ. მეძმარიაშვილი, მ. ჩაჩანიძე), მ. თუმანიშვილის ძეგლი (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე. არქიტ. თ. ჯორჯაძე), პ. კაკაბაძის (მოქანდაკე ს. გირკელიძე. არქიტ. ვ. დავითაია), გ. მუხაძის (მოქანდაკე ს. კაკაბაძე), ი. ბაგრატიონის (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე, არქიტ. გ. ბათიაშვილი), გ. დოლიძის (მოქანდაკე თ. აბრამიშვილი. არქიტ. დ. მახარობლიშვილი), ვ. ბოჭორიშვილის (მოქანდაკე გ. ზაქარაია. არქიტ. გ. ავსაჯანიშვილი) ბიუსტები. გამზირზე გამოდის მეტროს სადგური „მარჯანიშვილის მოედანი“. აქვს 1 ჩიხი.

დავით აღმაშენებლის ხეივანი, დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს რ-ნები (*დიღომი*); მარშალ გელოვანის გამზირიდან ქალაქის ძველ საზღვრამდე. მცხეთიდან ქალაქში შემოსასვლელი გზა. *საქართველოს სამხედრო გზის* მონაკვეთი. 1995 ეწოდა *დავით IV* აღმაშენებლის სახელი. ხეივნის მე-13 კმ-ზეა საქართველოს სახელმწ. აგრარული უნივერსიტეტის კორპუსები (არქიტ. კომპლექსი დამთავრდა 1969; არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, გ. გაბაშვილი; სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია); წმინდა ილია მართლის ეკლესია. ხეივნის დასაწყისში დგას დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. ო. კალანდარიშვილი), რ-იც 2005 ვარდების რევოლუციის მოედნიდან გადმოიტანეს. ხეივანს გადმოჰყურებს სკულპტურული კომპოზიცია „წმინდა ნინო“ (ავტორი ზ. წერეთელი).

რამაზ **დავითაშვილის I გასასვლელი**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); რამაზ დავითაშვილის ქუჩიდან სიღნაღის ქუჩამდე.

რამაზ **დავითაშვილის II გასასვლელი**, მდებარეობდა რამაზ დავითაშვილისა და მნათობის ქუჩებს შორის.

რამაზ **დავითაშვილის III გასასვლელი**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); რამაზ დავითაშვილის ქუჩიდან თამარაშენის ქუჩამდე.

ლეო **დავითაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*აეროპორტის დასახლება*); უსახელო ქუჩიდან იაკობ ხვედელიანის ქუჩამდე. აეროპორტის დასახლების II ქუჩას ლ. *დავითაშვილის* სახელი ეწოდა 1981.

რამაზ **დავითაშვილის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ლამის ქუჩიდან მნათობის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია როგორც თვითნებობის ქუჩა, თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია შრომის ქუჩის სახელწოდებით. 1995 რ. *დავითაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 2 გას.

შრომა, ამ სახელით საქართველოში ცნობილია რამდენიმე სოფელი.

დავით გარეჯელის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); მუხრანის ქუჩიდან თიანეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 44–47-ე ქუჩებს 50-იან წლებში ი. *ჩერნიახოვსკის* სახელი დაერქვა, 1990 – *დავით გარეჯელის.*

დაისის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); მდებარეობდა დაისისა და ცნოლევის ქუჩებს შორის (ამჟამად აღარ არსებობს, ჩაიკარგა ახალ განაშენიანებაში).

დაისის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ეკა ბეჟანიშვილის ქუჩიდან ღრმაღელის I ჩიხამდე. უსახელო ქუჩას **დ. ქ.** დაერქვა 1938. აქვს 2 შეს.

დამპალოს დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი. დასახლება ვარკეთილის ზემო პლატოსა და სამგორის II დასახლებას შორის. ადრე აქ პირუტყვის სასაკლაოები იყო მოწყობილი და ანტისანიტარიის გამო ირგვლივ მძაფრი სუნი იდგა. აქედან წარმოდგა ადგილის სახელწოდებაც.

ვიტალი **დარასელიას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*გუძისი*); იური გაგარინის ქუჩიდან ჟიული შარტავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე კოლხეთის I შეს. ერქვა, 1968-იდან – ი. გაგარინის I შესახვევი. ვ. *დარასელიას* სახელი ეწოდა 2006. ქუჩაზეა სასტუმრო „სიმპათია“.

დარიალის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილო მოსაშვილის ქუჩიდან ნიკოლოზ ცხვედაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. **დ. ქ.** დაერქვა 1938.

დარიალი, დარიალის ხეობა, მდ. თერგის ხეობის მონაკვეთი.

დარკვეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ ლუბოვსკის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იანი წლების დასაწყისში.

დარკვეთი, სოფელი ჭიათურის რ-ნში.

დახურული დალმართი, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); სიონის ქუჩასა და ზვიად გამსახურდიას სანაპიროს შორის. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე.

ორდე **დგებუაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი; დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა გადასასვლელი ქუჩა. 1900 ტექნიკური ქუჩა ეწოდა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 70-იან წლებში ო. *დგებუაძის* სახელი დაერქვა.



დავით აღმაშენებლის ხეივანი.

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ბადიაურის ქუჩიდან დედოფლისწყაროს II შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 და 1884 წლების გეგმებზე დატანილია როგორც წმინდა ანტონის ქუჩა (იხ. *ანტონ მარტყოფელი*), 1897 წ. გეგმაზე – როგორც ანტონის ქუჩა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია დაღესტნის ქუჩის სახელწოდებით, შემდეგ – წითელწყაროს, 1991 კი დ. ქ. დაერქვა. აქვს 2 შეს. (I შეს. – ყოფ. ი. ფიოლეტოვის ქუჩის ნაწილი, II შეს. – ყოფ. ნასაკირალის ქუჩა).

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ, ქალაქი აღმ. საქართველოში (1925–91 – წითელწყარო).

ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲐᲜᲘ, რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციაში.

ᲜᲐᲡᲐᲙᲘᲠᲐᲚᲘ, სოფელი ოზურგეთის რ-ნში.

ᲓᲔᲙᲐᲑᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); მირ ვეზიროვის ქუჩიდან დეკაბრისტების მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში.

ᲓᲔᲙᲐᲑᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); დეკაბრისტების გასასვლელსა და ნიკო ლორთქიფანიძის, იოანე საბანისძის, ბერძნისა და ეფრემ მცირის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. ადრე ეკატერინეს მოედანი ერქვა (სახელწ. უკავშირდება წმინდა ეკატერინეს ეკლესიას), შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 *დეკაბრისტების* მოედანი დაერქვა.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*). ერთ-ერთი ახალი უბანი თბილისის დას. ნაწილში, მდ. ვერის მარცხ. მხარეს და ლისის ტბის მიდამოებში, ვაჟა-ფშაველას გამზირის ჩათვლით. სოფ. დ. ქალაქს შეუერთდა 1922. მისი თავდაპირველი სახელი იყო გდელისი, რაც დადასტურებულია XVIII ს. წყაროებში.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის გამზირებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. სახელი დაერქვა 1963.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); დასაწყისი მიხეილ ასათიანის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ I ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან დელისის II ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ II ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან დელისის III ჩიხამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ III ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ III ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან მთის ფერდობამდე.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ I ᲩᲘᲮᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); მისასვლელი შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ II ᲩᲘᲮᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); მისასვლელი შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან.

ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ III ᲩᲘᲮᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); დელისის II ქუჩიდან მთის ფერდობამდე.

ᲓᲔᲓᲔᲤᲐᲢᲠᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დიღომი*); ფარნავაზ მეფის გამზირიდან არჩილ მეფის ქუჩამდე. ყოფ. უსახელო ქუჩას *დემეტრე II* თავდადებულის სახელი ეწოდა XX ს. 90-იან წლებში.

ᲓᲔᲞᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მიხეილ მრევლიშვილის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც საყუდის ქუჩა. ქუჩის მახლობლადაა რკინიგზის სადგური და დეპო, ქუჩამაც აქედან მიიღო სახელწოდება. აქვს 1 შეს.

ᲓᲔᲞᲝ, საწარმო, რ-იც უზრუნველყოფს რკინიგზისა და მეტროპოლიტენის მოძრავი შემადგენლობის ექსპლუატაციას და რემონტს.

ᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი-3*); რაფიელ ვიქტორ კუპრაძისა და სესილია თაყაიშვილის ქუჩებს შორის (III და III[ა] მიკრორაიონებს შორის). ადრე ვარკეთილის დასახლების VI გზა იყო. 1987 რ. *დვალის* სახელი ეწოდა.

ᲓᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დასაწყისი არალეთის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲓᲕᲘᲠᲝ, სოფელი ბორჯომის რ-ნში.

ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაშლიჯვარი*); დასაწყისი დავით აღმაშენებლის ხეივნიდან.

ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ბოგდან ხმელნიცკის ქუჩიდან ციხისძირის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თავდაპირველად სამეურნეო ქუჩა ერქვა, 1958 დ. ქ. ეწოდა. აქვს 2 ჩიხი.

ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲘ, თბილისთან ახლოს მდებარე ველი, სადაც 1121 გაიმართა ბრძოლა, რ-ის დროსაც საქართველოს ლაშქარმა დავით აღმაშენებლის სარდლობით სასტიკად დაამარცხა სელჩუკიან თურქთა კოალიციური ჯარები.

ᲓᲘᲓᲘ ᲓᲘᲦᲝᲛᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი. საცხოვრ. მასივი თბილისის დას. ნაწილში. დიღმის მასივისაგან გამოყოფილია დავით აღმაშენებლის ხეივნით. დაგეგმარდა XX ს. 70-იან წლებში. მშენებლობა დაიწყო 1985. აქვს 4 მიკრორაიონი.

ᲓᲘᲦᲝᲛᲘ, სოფელი ქ. თბილისის შემადგენლობაში.





დიღმის მასივის ერთ-ერთი კუთხე.

დიდი ხეივნის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); გია გულუას ქუჩიდან დიმიტრი გულიასა და ხეივნის II ქუჩებამდე. წარმოიქმნა XX ს. II ნახევარში ხეივნის ქუჩის სახელწოდებით, რაც ამ მიდამოებში არსებულ ხეივნებთან არის დაკავშირებული. სახელი დაერქვა 1958. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „ეკრანი“. 1994 დ. ხ. ქ-ის მონაკვეთს გ. *გულუას ქუჩა* ეწოდა.

დიდი ჯიხაიშის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დასაწყისი დიდი ჯიხაიშის ქუჩიდან.

დიდი ჯიხაიშის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); იმერეთის I შესახვევიდან ჭოლა ლომთათიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 1938-მდე იმერეთის II ქუჩა ერქვა. აქვს 1 გას., 2 შეს., 2 ჩიხი.

დიდი ჯიხაიში, სოფელი სამტრედიის რ-ნში.

დიდუბე, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი. თბილისის ძვ. უბანი მტკვრის მარცხ. სანაპიროზე, ქალაქის ჩრდ.-დას. ნაწილში. სახელი დაერქვა დაცემული ადგილმდებარეობის გამო – „დიდი დუბე“ (სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, დუბე ნიშნავს დაბალ ადგილს). დ. ისტ. წყაროებში პირველად იხსენიება თამარ მეფისა და დავით სოსლანის ქორწილთან დაკავშირებით. XVII–XVIII სს-ში დ. ქალაქისპირა სოფელი იყო. XIX ს. 50-იანი წლებიდან ქალაქის შემადგენელი ნაწილია.

დიდუბის დასახლების ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); თორნიკე ერისთავისა და მოლითის ქუჩებს შორის.

დიდუბის II შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); დიდუბის V შესახვევსა და ალექსი გოგოლაურის ქუჩას შორის.

დიდუბის III შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); დიდუბის V შესახვევსა და ალექსი გოგოლაურის ქუჩას შორის.

დიდუბის V შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირსა და დიდუბის III შესახვევს შორის.

დიდუბის ყოფილი შესახვევები:

I შესახვევი, იხ. არჩილ *კერესელიძის ქუჩა.*

II შესახვევი, იხ. ზეზვა *გაფრინდაულის ქუჩა.*

III შესახვევი, იხ. ალექსი *გოგოლაურის ქუჩა.*

III შესახვევი, იხ. ნადირა *ხოშარაულის ქუჩა.*

IV შესახვევი, იხ. აკაკი *წერეთლის გამზირი.*

V შესახვევი, იხ. *დიდუბის III შესახვევი.*

VI შესახვევი, იხ. ნადირა *ხოშარაულის ქუჩა.*

VII შესახვევი, იხ. აკაკი *წერეთლის გამზირი.*

VIII შესახვევი, იხ. *დიდუბის V შესახვევი.*

IX შესახვევი, იხ. ნადირა *ხოშარაულის ქუჩა.*

X შესახვევი, იხ. აკაკი *წერეთლის გამზირი.*

XI შესახვევი, იხ. ზეზვა *გაფრინდაულის ქუჩა.*


დიდუბის ხიდი, იხ. შოთა *შალიკაშვილის ხიდი.*

დიდხევის დაღმართი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კოსტა ხეთაგუროვის ქუჩიდან ნოე ჟორდანიას სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. თავდაპირველად ამ ადგილას იყო „დიდი ხევი“, რ-ზედაც გადიოდა წყლის მზიდავებისათვის მტკვარზე ჩასასვლელი საგანგებო ბილიკი. შემდეგ ხევი ამოავსეს და წარმოიქმნა ქუჩა, რ-საც დ. დ. დაარქვეს.

დირსიჭალა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); უბანი თბილისის აღმ. ნაწილში, ნავთლუღის ხევის მარჯვ. მხარეს, მტკვრის მარცხ. ნაპირზე, ორთაჭალის მოპირდაპირედ. ეს სახელი თბილისის სანახებში XVIII ს-ში გაჩნდა. აღნიშნულია თბილისის 1876 და 1910 წლების გეგმებზე. დ-ში ბაღები არსებობდა XX ს. 50-იანი წლების ბოლომდე.

დირსიჭალის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩიდან მანავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მიდამოებში არსებულ დირსიჭალის ბაღებთან. იმავე სიაში და 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია დირსიჭალის მოედანიც.

ალექსანდრ **დიუმას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ვერცხლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასაწყისში. ძველად მაცხოვრის ქუჩა ერქვა, რაც უკავშირდებოდა ქუჩაზე მდგარ მაცხოვრის სახელზე აგებულ სამლოცველოს, სადაც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ესვენა. პ. იოსელიანის ცნობით, აქ ძველთაგანვე, ყოველ შაბათს, სალოცავად სომეხი გრიგორიანელებიც კი დადიოდნენ. 1818 საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ ხატი საზეიმოდ გადაიტანა სიონის ტაძარში, რის შემდეგ ქუჩას სახელი შეეცვალა. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში დ. ქ. შეტანილია ტალახიანი ქუჩის სახელწოდებით. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც დიდი ტალახიანი ქუჩა, 1900 წ. გეგმაზე – როგორც სოლომონის ქუჩა. სახელი დაერქვა იმერეთის მეფის *სოლომონ II-*



ალექსანდრ დიუმას ქუჩა.

ის პატივსაცემად. 1923 – ა. *ჟულიაბოვის,* 1989 ა. *დიუმას* (მამა) სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. 80-იანი წწ. საცხოვრ. სახლები. აქვს 2 ჩიხი.

დილმის ხიდი, იხ. გიორგი *მინდელის ხიდი.*

დილომბარის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ლამის ქუჩიდან მნათობის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. თბილისის 1924 წ. გეგმაზე აღნიშნულია 2 ქუჩა: ერთი – დილმის, მეორე – ბარისახოს სახელით. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც დილომ-ბარისახოს ქუჩა, შემდეგ ეს ქუჩები გაერთიანდა და შემოკლებით „დილომბარის“ ქუჩა ეწოდა. აქვს 1 შეს. (ყოფ. დილომ-ბარისახოს ჩიხი).

დილომი, სოფელი ქ. თბილისის შემადგენლობაში.

ბარისახო, სოფელი დუშეთის რ-ნში.

ᲓᲘᲓᲚᲝᲛᲘ, დიდუბე-ჩულურეთის რ-ნი. საცხოვრ. მასივი თბილისის ჩრდ.-დას. ნაწილში, მტკვრის მარჯვ. სანაპიროსა და დავით აღმაშენებლის ხეივანს შორის. დაგეგმარდა XX ს. 60-იან წლებში. აქვს 6 კვარტალი.

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); კონსტანტინე ერისთავის ქუჩიდან მარტყოფის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ნორიოს ქუჩა, XX ს. 30-იან წლებში თ. *შუშიაშვილის* სახელი ეწოდა, 1946 – დ. ქ. აქვს 1 შეს.

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ, ქალაქი სამხრ. საქართველოში.

ᲜᲝᲠᲘᲝ, სოფელი თბილისის მახლობლად, გარდაბნის რ-ნში.

ნიკოლოზ **ᲓᲝᲑᲠᲝᲚᲘᲣᲑᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ლევან ქართლელიშვილის ქუჩიდან დიმიტრი ჟღენტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც წევის ქუჩა („ტიაგოვაია“). ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე, 60-იან წლებში ნ. *დობროლიუბოვის* სახელი დაერქვა.

სოლომონ **ᲓᲝᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის, გიორგი რთველაძის, ბაღდათის ქუჩებსა და დიმიტრი გულიას ხიდ-აკვედუკს შორის. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში როგორც ბარბარეს მოედანი (სახელწ. უკავშირდება წმინდა ბარბარეს ეკლესიას). 1923 ს. *დოდაშვილის* სახელი ეწოდა.

სოლომონ **ᲓᲝᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); გიორგი რთველაძის ქუჩიდან სახალხო ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბარბარეს I ქუჩა (სახელწ. უკავშირდება წმინდა ბარბარეს ეკლესიას). 1923 ს. *დოდაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 2 ჩიხი.

ᲓᲝᲔᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); კასპის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 20-იან წლებამდე ფერმა-ავლაბრის V ქუჩა ერქვა.

ᲓᲝᲔᲡᲘ, სოფელი კასპის რ-ნში.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); უბანი და ხევი ნავთლულსა და შავ სოფელს შორის.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); დოლაბაურის I ქუჩიდან დოლაბაურის მოედნამდე.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); ბოჭორმის, დოლაბაურის I ქუჩებსა და დოლაბაურის გასასვლელს შორის. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. ᲓᲛ-ისა და დოლაბაურის სამივე ქუჩის სახელწ. უკავშირდება ამ მიდამოებში არსებულ დოლაბაურის ხევს.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ I ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); ბოჭორმის ქუჩიდან დოლაბაურის III ჩიხამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. აქვს 3 ჩიხი.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ II ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); უჯარმის ქუჩიდან დავით კაჭარავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ III ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); პატარძეულის ქუჩიდან დოლაბაურის ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲕᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); დასაწყისი წერნაქის ქუჩიდან.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ I ᲮᲔᲕᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); ბოჭორმის ქუჩასა და მარცხენა სანაპიროს შორის.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ II ᲮᲔᲕᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); დოლაბაურის II ქუჩიდან დავით კაჭარავას ქუჩამდე და დოლაბაურის III ხევამდე.

ᲓᲝᲚᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡ III ᲮᲔᲕᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); დოლაბაურის III ქუჩიდან შავი ზღვის ქუჩამდე და დოლაბაურის II ხევამდე.

გიორგი (გოგი) **ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ოქროსუბანი*); დავით კლდიაშვილის ქუჩიდან კონსტიტუციის ქუჩამდე. ადრინდ. *გოგოლის ქუჩის* მონაკვეთი. ამ ქუჩაზე ცხოვრობდა გ. *დოლიძე*. ქუჩას მისი სახელი ეწოდა 2000.

ვიქტორ **ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ოცდაექვსი მაისის მოედნიდან სიმონ ჩიქოვანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1938-მდე ახალშენის IV ქუჩა ერქვა, შემდეგ ვ. *დოლიძის* სახელი ეწოდა.

სიმონ (სიკო) **ᲓᲝᲚᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); წყნეთის გზატკეცილიდან ირაკლი უჩანეიშვილის II გასასვლელამდე. წყნეთის გზატკეცილის IV ჩიხს ს. *დოლიძის* სახელი ეწოდა 2003.

ხათუნა **ᲓᲝᲜᲓᲣᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩულურეთის რ-ნი (*ნაძალადევი*); დასაწყისი პეტრე მამრაძის ხევიდან. თბილისის 1940 წ. ცნობარში შეტანილია როგორც *მონტინის* I შეს., 1990 – გ. ზაზიაშვილის I შეს. (იხ. გ. *ზაზიაშვილი*). 2005 ხ. *დონდუას* სახელი ეწოდა.

ᲓᲝᲥᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); დავით სულიაშვილის ქუჩიდან მიხეილ ბუხაიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. იგი ძირითადად თიხის ჭურჭლის დამამზადებლებით – მეთუნეებით იყო დასახლებული. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კოკის შესახვევი.

ნოდარ **ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*მუხიანი*); ალექსი გობრონიძის ქუჩიდან ხევამდე. მუხიანის დასახლების მთავარი მაგისტრალი. ყოფ. უსახელო მონაკვეთს ნ. *დუმბაძის* სახელი ეწოდა 1986.

ზაალ **ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); გერგეტის ქუჩიდან დანიელ ჭონქაძის ქუჩამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც გერგეტის გასასვლელი. ზ. *დუმბაძის* სახელი ეწოდა 2003.

სერგი **ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); გიორგი შარვაშიძის ქუჩიდან მესხეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე 17 იანვრის ქუჩა ერქვა (ქუჩის სახელწოდება სავარაუდოდ დაკავშირებულია 1906 წ. 17 იანვართან, როდესაც ა. *ჯორჯიაშვილმა* მოკლა გენ. გრიაზნოვი). 1992 ს. *დურმიშიძის* სახელი ეწოდა.

ᲓᲣᲠᲜᲣᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); მდებარეობდა მოსე ხონელის ქუჩასა და სოღანლუღის შესახვევს შორის.

ᲓᲣᲠᲜᲣᲙᲘ, თეთრი წყაროს რ-ნის სოფლების დიდი და პატარა დურნუკის გავრცელებული სახელწოდება.

ᲓᲣᲢᲣ ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ღვინის აღმართიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1938-მდე მასაც ღვინის აღმართი ერქვა, შემდეგ *დუტუ მეგრელის* სახელი ეწოდა. ამ მოკლე, რეკონსტრუირებულ ქუჩაზე (არქიტ. გ. ბათიაშვილი) მდებარეობს საინტერესოდ აღდგენილი საცხოვრ. სახლი და ორიგინალური, პატარა სასტუმრო თავისი შიდა ეზოთი. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); გელათის ქუჩიდან ლადო მესხიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე სურბ-მინასის ქუჩა ერქვა. სახელწ. უკავშირდებოდა ქუჩაზე მდგარ სურბ-მინასის ეკლესიას. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1925 ნატახ ტრის ქუჩა დაერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ᲔᲨ. ქუჩაზეა XIX ს. წმინდა მარინეს ეკლესია. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ᲜᲐᲢᲐᲮᲢᲐᲠᲘ, სოფელი მცხეთის რ-ნში.

ᲡᲣᲠᲑ-ᲛᲘᲜᲐᲡᲘ, ქართ. – წმინდა მინასი.



ᲔᲚᲓᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ორმაღლე-ლე*); დასაწყისი არალეთის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲔᲚᲓᲘᲡᲐ, სოფელი ქარელის რ-ნში.

იროდიონ **ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); რკინიგზიდან დავით ყიფიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1890-იდან ა. *დონდუკოვ-კორსაკოვის* სახელი ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 ი. *ევდოშვილის* სახელი ეწოდა.

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*რიყე*); მეტეხისა და ღვინის აღმართებს, ნოე ჟორდანიას სანაპიროსა და მეტეხის ხიდს შორის. რიყის სამხრ. ნაწილში წარმოქმნილ მოედანს Ე. მ. ეწოდა 2005. მოედანზე დგას დ. *სარაჯიშვილის* ძეგლი (მოქანდაკე თ. კიკალიშვილი).

ია **ᲔᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მერაბ კოსტავას ქუჩიდან გიორგი ახვლედიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ჯერ ოლღას შეს. იყო, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 ლენინის შესახვევი დაერქვა, 60-იან წლებში ი. *ეკალაძის* სახელი ეწოდა.

ᲔᲚᲓᲐᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); კახეთის გზატკეცილიდან კალოუბნის ქუჩამდე. ყოფ. „ე“ ქუჩას Ე. ქ. დაერქვა XX ს. 70-იან წლებში.

ᲔᲚᲓᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘ, ელდარის ველი, ვაკე-დაბლობი მდ. ივრის ქვემო დინების ორივე ნაპირზე. ელდარი ერქვა აგრეთვე დასახლებას, შირაქის საზამთრო საძოვრების ცენტრს.

ᲔᲚᲘᲐ, ქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული მიკროუბანი მტკვრის მარცხ. მხარეს, მახათას მთის კალთაზე, ავლაბრის ჩრდ.-დას-ით. უბანმა სახელწ. მიიღო მახათას მთაზე მდგარი ელია წინასწარმეტყველის ეკლესიის (არ შემორჩენილა) გამო.

ᲔᲚᲘᲐᲡ ᲛᲗᲐ, *ავლაბარში*, Ე. მ-ზე დგას წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, ივერიის ღვთისმშობლის და წმინდა ილია თეზბიტელის (წინასწარმეტყველის) ეკლესიები.

ფრიდრიხ **ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*თეთრიხევის ჰესის დასახლება*); დასაწყისი თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან.

ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*საქჰიდროენერგომშენის დასახლება*); გუმათჰესის ქუჩიდან ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. სახელი დაერქვა 70-იან წლებში.

ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘ, ჰიდროელექტროსადგური მდ. ენგურზე.

ნუგზარ **ᲔᲜᲓᲔᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამზირსა და ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწ. მუზეუმისა და კუს ტბისკენ მიმავალ საავტ. გზას შორის. ნ. *ენდელაძის* სახელი ეწოდა 1994.

ᲔᲜᲘᲡᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); კაჭრეთის ქუჩიდან დიმიტრი ჟღენტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

ᲔᲜᲘᲡᲔᲚᲘ, სოფელი ყვარლის რ-ნში.

აბელ **ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ჟან ჟორესის ქუჩიდან ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. თავდაპირველად იყო უსახელო მონაკვეთი. ქუჩას ა. *ენუქიძის* სახელი დაერქვა 1977.

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ლადო მესხიშვილის ქუჩიდან სამრეკლოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე.

ᲔᲠᲔᲕᲜᲘ, სომხეთის დედაქალაქი.

ᲔᲠᲔᲙᲚᲔ II-ᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); ერეკლე II-ის, იოანე შავთელის, ჩახრუხაძის, შოთა ყავლაშვილისა და ანტონ კათალიკოსის ქუჩებს შორის. ძველი თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი. აკავშირებს იოანე შავთელისა და სიონის ქუჩებს. XVII ს. I ნახევარში დაახლ. ამ ადგილზე ააგო სამეფო სასახლე მეფე როსტომმა. ასე გაჩნდა ბატონის (მეფის) მოედანი. მას ზემო მოედანიც ერქვა. იგი განაშენიანებული იყო სამეფო რეზიდენციის კორპუსებითა და ფლიგელებით. მოედნის ზემო მხარეს სალაყბო ერქვა. აქ თითქმის მთელი დღის განმავლობაში ირეოდა ხალხი და ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკი, ლაყბობა (აქედან მოდის სახელწ. „სალაყბო“). 1795 აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ ეს ტერიტორია იმდენად იყო გაპარტახებული (თითქმის XIX ს. 20-იან წლებამდე), რომ ახ. განაშენიანებისას შეუძლებელი გახდა ქუჩების



ევროპის მოედანი.

◄ ერეკლე II-ის მოედნის ერთ-ერთი კუთხე.



ელიას მთა. წმინდა სამების საკათედრო ტაძარი.

ძვ. ქსელისა და ნაგებობების აღდგენა ძვ. საძირკვლების გამოყენებით. ამიტომ ეს უბანი დღეს გარკვეულწილად სახეშეცვლილია. ძვ. სასახლის ნანგრევებზე XIX ს. დასაწყისში ააგეს 2 შენობა: ერთი სამოქალაქო გუბერნატორს ეკუთვნოდა, მეორე – ადმ. დაწესებულებას. XIX ს. შუა წლებში ეს ადგილი სასულიერო უწყებას გადაეცა. მ. II მ-ის აღმ. ნაწილი ესაზღვრება ყოფ. ეგზარქოსის, ახლა – სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციას, დას. მხარე მთლიანად უკავია XIX ს. ორსართულიან სახლს (№3), რ-შიც რეკონსტრუქციის (არქიტ. გ. ჯაფარიძე, ვ. ორბელაძე) შემდეგ საქართვ. ჟურნალისტთა ფედერაცია განთავსდა. მოედანზე დგას წმინდა გიორგის კარის ეკლესია (1710/12; *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილ თბილისის 1735 წ. გეგმაზე დატანილია როგორც „კარის საყდარი“). XIX ს-ში წარმოქმნილ მოედანს რამდენჯერმე შეეცვალა სახელი: 1828-იდან იხსენიება როგორც გუბერნატორის მოედანი, ასევეა დატანილი თბილისის 1851 და 1867 წლების გეგმებზეც. 1876 წ. გეგმაზე კი დატანილია 2 მოედანი – გუბერნატორის და ეგზარქოსის, 1885 წ. გეგმაზე – ეგზარქოსის. 1922 მოედანს – ა. *ბებელის*, 1948 *ერეკლე II-ის* სახელი ეწოდა. მოედნის სკვერში 1956–57 გათხარეს და შეისწავლეს ფეოდ. ხანის მრავალფენიანი არქეოლ. ძეგლი (ხელმძღვ. ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი).

სკვერში დგას შადრევანი – ე. წ. „ვალასის წყარო“ (ინგლისელთა მიერ პარიზისთვის ნაჩუქარ შადრევანთაგან ერთ-ერთი), რ-იც შეისყიდა და თბილისს გადასცა კარლო ინასარიძემ (ემიგრანტი, „მებრძოლი საქართველოს“ გამომცემელი. მიღებული აქვს საქართვ. მოქალაქეობა).

ერეკლე II-ის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); ერეკლე II-ის მოედნიდან სიონის ქუჩამდე. ადრინდელი *სიონის ქუჩის* მონაკვეთი. 1900 *ერეკლე II-ის* პატივსაცემად დაერქვა ირაკლის ქუჩა. ასეა დატანილი თბილისის 1902 და 1934 წლების გეგმებზე. 1948 ერეკლე II-ის ქუჩა ეწოდა. იგი ქალაქის ერთ-ერთი უძველესი ქუჩაა. XVII–XVIII სს-ში ქუჩის დასაწყისში განლაგებული იყო სავაჭრო რიგები – რასტაბაზარი. 1795, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, შენობათა დიდი ნაწილი განადგურდა. XIX ს-ში ხელმეორედ განაშენიანდა. ქუჩაზე შემორჩენილ ნაგებობათა შორის აღსანიშნავია სახლი №11, რ-იც 1896 არქიტ. ა. ოზეროვმა დ. *სარაჯიშვილისათვის* ააშენა, სადაც გამოყენებულია ქართ. ხუროთმოძღვრული მოტივები. აგურით ნაგები სახლის II სართულის შუა ნაწილი მთლიანად უჭირავს ხის აივანს, მას საკმაოდ ლამაზი ჩუქურთმა ამშვენებს. სახლი №21 კი გამოირჩევა რკინის აჟურული აივნით. მოპირდაპირე მხარეს, ერეკლე II-ის ქუჩასა და ერეკლე II-ის შესახვევს შორის იყო ქარვასლა, რ-შიც შემდეგ კომუნალური ბინები განათავსეს. შემონახულია XIX ს. II ნახევრის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს., 2 ჩიხი (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ნ. ბარათაშვილის შეს. და ჩიხები).

გიორგი **ერისთავის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ერისთავის ქუჩა. 1923-იდან გ. *ერისთავის* სახელი ჰქვია.

თორნიკე **ერისთავის ქუჩა**, იხ. *თორნიკე ერისთავის ქუჩა*.

კონსტანტინე **ერისთავის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ვარდის მოედნიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ხოჯავანქის ქუჩა ერქვა (იხ. *ხოჯავანქი*). დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1923 რაბადის ქუჩა დაერქვა (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე), შემდეგ იან *ფაბრიციუსის* სახელი ეწოდა, 2000 კი – კ. *ერისთავის*. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი. იხ. აგრეთვე ჰ. *გონაშვილის ქუჩა*.

რაბადი, არაბ. – გარეუბანი (*გარეთუბანი*).

რაფიელ **ერისთავის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან მრგვალ ბაღამდე (ყოფ. ვაკის სკვერამდე). წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში და რაფიელის ქუჩა უწოდეს, 40-იან წლებში რ. *ერისთავის* სახელი დაერქვა. ქუჩაზე განთავსებულია გაეროს სახლი საქართველოში.



ერეკლე II-ის მოედანი. საქართველოს საპატრიარქო.

ანასტასია **ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕ-ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); დასაწყისი ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე გ. *არწრუნის* სახელი ერქვა (შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში), 1922-იდან – ტასო (ანასტასია) *აბაშიძის*, 30-იანი წლებიდან – ა. ხოშტარია-ერისთავის. 50-იან წლებში ა. *ერისთავ-ხოშტარიას* სახელი დაერქვა. აქვს 1 ჩიხი (1903 – ყარსის შესახვევი).

ᲔᲠᲬᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); დასაწყისი დავით გურამიშვილის გამზირიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 50-იან წლებში მე-4 ქუჩას ე. ქ. დაერქვა.

ᲔᲠᲬᲝ, სოფ., ტბა და უღელტეხილი ჯავის რ-ნში.

სერგეი **ᲔᲡᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); იოანე პეტრიწის ქუჩიდან (თავდაპირველად – დავით კაკაბაძის ჩიხიდან) გიორგი სააკაძის ქუჩამდე და გიორგი მუხაძის ჩიხამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ვ. *ლენინის* სახელი ერქვა, 1973 ს. *ესენინის* სახელი ეწოდა. 1999 ე. ქ-ის ნაწილს ვ. *ბანთიშვილის* სახელი დაერქვა.

სანდრო **ᲔᲨᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან უნივერსიტეტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში და ს. *ეულის* სახელი დაერქვა. ქუჩაზეა მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის და კიბერნეტიკის ინ-ტები.

ᲔᲤᲠᲔᲛ ᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ორთაჭალა*); მირ ვეზიროვის ქუჩიდან დეკაბრისტების მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც დილიჯანის შესახვევი, თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში – როგორც დილიჯანის ქუჩა. 1960 ქუჩას *ეფრემ მცირის* სახელი დაერქვა.

ᲓᲘᲚᲘᲯᲐᲜᲘ, ქალაქი სომხეთში.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ნავთლუღის ქუჩიდან სოლომონ დოდაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩიდან მანავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ე. ქ. და ექიმის მოედანი შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ქუჩის სახელი დაკავშირებულია აქ მდებარე სამხ. ჰოსპიტალსა და სამხ.-საფერშლო სკოლასთან.

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); დასაწყისი ექიმის გასასვლელიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ეფრემ **ᲔᲨᲑᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); დასაწყისი ნიკოლოზ მუსხელიშვილის ქუჩიდან. უსახელო ქუჩას ე. *ეშბას* სახელი ეწოდა 1983.



ერეკლე II-ის ქუჩა.



ვაგზლის მოედანი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია, დიდუბე*); თამარ მეფის გამზირსა და ნიკოლოზ გოგოლის, ნიკო ფიროსმანისა და აბასთუმნის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში, 1872 ფოთი–თბილისის რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით. რკინიგზის ვაგზლის შენობა და საბაჟო დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე, მოედანი შეტანილია თბილისის 1900 წ. მაგიდის კალენდარში განთავსებულ ქუჩებისა და მოედნების სიაში. 3. მ-ის მიმდებარე ქუჩების რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ სსრკ-გერმ. (1941–45) ომამდე დაიწყო. აიღეს მთელი კვარტალი და საგრძნობლად გააფართოვეს მოედანი. ჩრდ.-აღმ. ნაწილში აღმართულია რკინიგზის ვაგზლის შენობა (1988; არქიტექტორები: რ. ბაირამაშვილი, ი. ყავლაშვილი, გ. შავდია, ა. ჯიბლაძე. ინჟინერი შ. გაზაშვილი), ჩრდ.-დას. ნაწილში – მეტროპოლიტენის ადმინისტრაციული შენობა (1969; არქიტექტორები: ე. კვერნაძე, გ. მელქაძე), რომელშიც ჩაშენებულია მეტრო „ვაგზლის მოედანი – 1-ის“ ზედა სადგური. აქვეა შპს „თბილისის მეტრო“. მიმდინარეობს მოედნის რეკონსტრუქცია.

ვაგზლის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (ქვემო *ფონიჭალა*); რუსთავის გზატკეცილიდან რკინიგზამდე.

ვაზეჰის ქუჩა, იხ. *მირზა შაფის ქუჩა.*

ვაზიანის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); არაღლეთის ქუჩიდან ბჟოლიეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ვაზიანი, სოფელი გარდაბნის რ-ნში.

ვაზისუბანი, ისანი-სამგორის რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის აღმ. ნაწილში, თბილისის წყალსაცავის სამხრ-ით. დაგეგმარდა XX ს. 80-იან წლებში. აქვს 4 მიკრორაიონი. მესამე მიკრორაიონი მოიცავს 2 კვარტალს, მეოთხე მიკრორაიონი – 3 კვარტალს. 3-ს მიეკუთვნება აგრეთვე ვაზისუბნის დასახლება (ყოფ. ვარკეთილის V მიკრორაიონი).

ვაზისუბნის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ტაშკენტის ქუჩიდან ბუდაპეშტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 60-იან წლებამდე პერეკოპის ქუჩა ერქვა, შემდეგ – ა. *ინაშვილისა*. 3. ქ. დაერქვა 70-იან წლებში. 2001 ქუჩის I მონაკვეთს გ. *ისაკაძის* სახელი ეწოდა.

ვაზისუბანი, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

პერეკოპი, პერეკოპის ყელი, ხმელეთის ზოლი, რ-იც ყირიმის ნახევარკუნძულს აერთებს კონტინენტთან.

ვაკე, ვაკე-საბურთალოს რ-ნი. ერთ-ერთი დიდი საცხოვრ. რ-ნი თბილისის სამხრ.-დას. ნაწილში, მტკვრის მარჯვ. მხარეს, ვარაზისხევიდან ბაგებამდე. სახელწოდება გაჩნდა XIX ს-ში, ნიშნავს დაცემულ ადგილს. 3. ძვ. *ჯერის* (საგაბაშვილოს) ტერიტორიაზე წარმოშობილი დასახლ. პუნქტია. თბილისს შემოუერთდა 1907. დატანილია თბილისის 1910 წ. გეგმაზე, რ-ის მიხედვითაც 3-ის საზღვრებია: აღმ-ით – ვარაზისხევი, ჩრდ-ით – მდ. ვერე, სამხრ-ით და სამხრ.-დას-ით – მთის კალთები. გეგმაზე აღნიშნულია ერთადერთი ქუჩა (წყნეთის ქუჩა). 3-ის ინტენს. განაშენიანება დაიწყო XX ს. 20-იანი წლებიდან.

იონა **ვაკელის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან ალექსანდრე ყაზბეგის გამზირამდე. უსახელო ქუჩას 1975 – ლ. *ქართველიშვილის*, 1993 ი. *ვაკელის* სახელი ეწოდა.

ვანის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ტრანსპორტის ქუჩა ერქვა. 50-იან წლებში 3. ქ. დაერქვა. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „თელასი“.

ვანი, ქალაქი დას. საქართველოში.

ვანქი, ფაშავანქი, ძველი თბილისის რ-ნი. უბანი ძვ. თბილისის ჩრდ.-დას-ით, *გარეთუბანში*, მტკვრის მარჯვ. მხარეს. სახელი მიიღო აქ მდგარი ფაშავანქის (ფაშას მონასტერი) სომხ.-გრიგორიანული მონასტრის გამო. ვანქის ეკლესია დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში ნ. ბარათაშვილის (ყოფ. მუხრანის) ქუჩის რეკონსტრუქციისას.

ვაჟა-ფშაველას გამზირი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); პეკინის გამზირიდან სანდრო ეულის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე კომინტერნის ქუჩა ერქვა, 1961 *ვაჟა-ფშაველას* სახელი ეწოდა. წარმოადგენს საბურთალოს ცენტრალურ მაგისტრალს. ოთხკილომეტრიანი გამზირი განაშენიანებულია საცხოვრ. და საზ.-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობებით: საქართვ. საისტორიო არქივი, ნ. ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, თბილისის სახელმწ. სამედიცინო უნ-



ვაჟა-ფშაველას გამზირი.

◄ სკულპტურული კომპოზიცია „ვეფხი და მოყმე“.

ვაკის პარკი.



ტის სასწავლო-სამეცნ. კომპლექსი, მრავალსართულიანი საცხოვრ. სახლები. გამზირი დასრულებულია ბუნებრივ ამფითეატრზე შეფენილი სამეცნ. ქალაქით, რ-იც მოიცავს მრავალ სამეცნ.-კვლ. დაწესებულებას, ინ-ტს, ლაბორატორიას. გამზირის ორივე მხარეს, სიღრმეში, განლაგებულია საცხოვრ. კვარტლები. გამზირზე დგას წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების, წმინდა ნინოსა და წმინდა ბარბარეს ეკლესიები. 1973 დაიდგა ვაჟა-ფშაველას ძეგლი (მოქანდაკე გ. ოჩიაური. არქიტექტორები: რ. კიკნაძე, თ. მიქაშავიძე), რამაც ახ. საცხოვრ. რ-ნის განაშენიანებას თავისებური იერი მიანიჭა. გამზირზე დგას ი. თარხნიშვილის (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი) ძეგლი, დ. ბოლქვაძის (მოქანდაკე ბ. სულხანიშვილი) და ა. გელოვანის (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. გ. მოწონელიძე) ბიუსტები. გამოდის მეტროს სადგურები: „სამედიცინო უნივერსიტეტი“, „დელისი“ და „ვაჟა-ფშაველა“. შესახვევებით უშუალოდ უკავშირდება შ. ნუცუბიძისა და ს. კანდელაკის ქუჩებს. აქვს 3 შეს., 1 ჩიხი (ყოფ. განივი ქუჩა).

ვაჟა-ფშაველას ქუჩა, დიდგორის რ-ნი (*ოქროყანა*); ილია ჭავჭავაძის ქუჩიდან ბესიკის ქუჩამდე. იხ. *ვაჟა-ფშაველა*.

ვაჟა-ფშაველას ქუჩა ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილის დასახლება*); მეგობრობის გამზირიდან ზემო სამგორის არხამდე.

ვარაზისხევის ქუჩა, ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რ-ნების საზღვარი (*ვაკე, ვერე*); გმირთა მოედნიდან ილია ჭავჭავაძის გამზირამდე. წარმოიქმნა 1957 ვარაზისხევის ქვედა ნაწილის ამოვსების (1948-იდან) შედეგად. 1884 წ. გეგმაზე ეს ხევი ვარდისხევის სახელითაა დატანილი. XX ს. დასაწყისში ახლანდ. პ. მელიქიშვილის ქუჩასა და ი. ჭავჭავაძის გამზირს ხევზე გადებული ხიდი აკავშირებდა. აქ გადიოდა წყნეთისკენ მიმავალი გზა. ამ მოკირწყლულ განივ ქუჩას (სიგრძე 500 *მ*-მდე, სიგანე – 30 *მ*) აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია – აკავშირებს ვაკესა და საბურთალოს. ქუჩას ცალ მხარეს, მთელ სიგრძეზე, გასდევს უნ-ტის მთავარი კორპუსის ბაღი (დენდროპარკი), რ-საც კიბით უკავშირდება, და ზოოპარკი, მეორე მხარეს – *ფიქრის გორაზე* გაშენებული სახლები.

ვარდების რევოლუციის მოედანი, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); შოთა რუსთაველის გამზირს, რევაზ თაბუკაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ლეო ქიაჩელისა და მერაბ კოსტავას ქუჩებს შორის. მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი ქალაქის ცენტრში, მტკვრის მარჯვენა მხარეს. მოედანი წარმოიქმნა XX ს. 80-იან წლებში (არქიტექტორები: ო. კალანდარიშვილი, გ. ფოცხიშვილი; კონსტრუქტორი გ. ჩუბინაშვილი). ამავე წლებში ეწოდა რესპუბლიკის მოედანი, 2005 კი – ვ. რ. მ. მოწყობილია საკმაოდ ღრმა ხევის ადგილას, გახსნილია ქალაქისა და მტკვრისაკენ და ქალაქის მრავალი წერტილიდან კარგად აღიქმება მთაწმინდის ფონზე. 1998 მოედანზე, ყოფ. სასტუმრო „ივერიის“ (1967; არქიტ. ო. კალანდარიშვილი, თანაავტორი ი. ცხომელიძე; სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1972) წინ დაიდგა დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. ო. კალანდარიშვილი), რ-იც 2005 გადაიტანეს დავით აღმაშენებლის ხეივნის დასაწყისში. ამჟამად მიმდინარეობს მოედნის რეკონსტრუქცია.

ვარდევანის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აჯვარა*); უწერის II შესახვევიდან მთის ფერდობამდე. ადრე ფ. *ძერჟინსკის* სახელი ერქვა. აქვს 1 ჩიხი.

ვარდევანი, სოფელი ბორჯომის რ-ნში.

ვარდის მოედანი, ძველი თბილისის რ-ნი (*აკლაბარი*); ავლაბრის, ჰამლეტ გონაშვილის, გურჯაანის, კონსტანტინე ერისთავისა და ვახტანგ VI-ის ქუჩებს შორის. თბილისის 1850, 1884, 1887 და 1897 წლების გეგმებზე, *აკლაბრის მოედნის* ჩრდ-ით, *ბოჯაღანის* ეკლესიისკენ მიმავალ გზასთან დატანილია „ლობნაია პლოშჩად“, რ-ის ქართ. შესატყვისია თხემის მოედანი, ადგილი, სადაც დამნაშავეებს სიკვდილით სჯიდნენ. XIX ს-ში ავლაბრის უბანში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის (ჩამოხრჩობის) შესახებ ცნობას ვხვდებით მწერლების ალექსანდრ დიუმასა და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში. მოგვიანებით აქ ხდებოდა მსჯავრდებულთა გაროზგვა, აქედან მოდის მოსახლ. მიერ შერჩეული სახელწოდებაც „როზგოვაია პლოშჩად“. XIX ს. ბოლოს დაერქვა „როზოვაია პლოშჩად“ – „ვარდის მოედანი“. დატანილია ნ. კლემენტიევის მიერ შედგენილ თბილისის 1898 წ. გეგმაზე. ასეა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩებისა და მოედნების სიაშიც. მოედნის ვარდთან დაკავშირება აქ დაღვრილი სისხლის სიმბოლური გამოხატულებაა. 30-იან წლებში ოცდაექვსი კომისრის მოედანი დაერქვა (იხ. *ბაქოელი კომისრები*). ამჟამად ისევ ვ. მ. ჰქვია.

ვარდისუბანი, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); XIX ს-ში ძვ. ვერის (საგაბაშვილოს) ტერიტორიაზე გაჩენილი სოფლური დასახლება. სახელწ. მიიღო აქ გავრცელებული ასკილის ბუჩქნარის გამო. გადმოცემით ეს ადგილები მდიდარი ყოფილა გარეული ფრინველებით და კურდღლებით. ეკავა მდ. ვარაზისხევის (ვარდისხევის) მარჯვ. მხარე, მელიქიშვილის (ყოფ. წყნეთის) ქუჩიდან *ზემო ვერის* დასახლებამდე. ამ ტერიტორიას ქალაქური დასახლების სახე XIX ს. 80-იანი წლებიდან მიეცა.

ვარდისუბნის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. მეექვსე ქუჩას ვ. ქ. ეწოდა 50-იან წლებში. ქუჩის სახელი უკავშირდება ვარდის ბაღებს.

იპოლიტე **ვართაგავას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); სამამულო ომის გმირების ქუჩიდან შოთა მიქატაძის ქუჩამდე. გ. *ტაბიძის* ქუჩას ი. *ვართაგავას* სახელი ეწოდა 1982. აქვს 1 შეს.

ვარკეთილი, ისანი-სამგორის რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის აღმ. ნაწილში, თბილისის წყალსაცავის სამხრ-ით. ვ. თბილისს შემოუერთდა 1973. შედგება 3 მასივისაგან: ვარკეთილის მასივი (ვარკეთილი-1) მოიცავს 8 კვარტალს (I, III, IV, VI, VII, VIII, IX, X), IV და V მიკრორაიონებს, ვარკეთილის ზემო პლატო (ვარკეთილი-2) – 2 მიკრორაიონს, ვარკეთილი-3 – 5 მიკრორაიონს (I, II, III, III', IV).

ვარკეთილის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; ვარკეთილსა და ორხევის დასახლებას შორის.

ვარციხის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. თბილისის 1851 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ვ. *სემიონოვის* ქუჩა. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია როგორც არაზინდოს ქუჩა. 1926 დაერქვა ვ. ქ. შემონახულია XIX ს. I ნახევრის საცხოვრ. სახლები.

ვარციხე, სოფელი ბაღდათის რ-ნში.



ვარციხის ქუჩა.



ვაშლოვნის ქუჩა.

აკაკი **ᲕᲐᲡᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); ქერჩისა და ომარ ხიზანიშვილის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. „ა“ და „ბ“ ქუჩას ა. *ვასაძის* სახელი დაერქვა 1978.

ᲕᲐᲨᲚᲘᲯᲕᲐᲠᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის დას. ნაწილში, მტკვრის ხეობის მარჯვ. მხარეს, დიღმისწყლის გაყოლებით მდებარე ფერდობზე. სახელწ. მიიღო სოფ. ვაშლივჯვრიდან, რ-იც ამ ტერიტორიაზე მდებარეობდა. ქალაქს შეერწყა 1972, დაგეგმარდა 90-იან წლებში. გამოყენებულია ტერასული განაშენიანება.

ᲕᲐᲨᲚᲝᲕᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მერაბ კოსტავას ქუჩიდან გიორგი ახვლედიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია ვ. *სლეპცოვის* სახელით. ᲕᲘ. ᲫᲔ. დაერქვა 1923. შემონახულია XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლი №6, სადაც 2003 გაიხსნა ე. *თაყაიშვილის* სამლოცველო ბინა-მუზეუმი.

ᲕᲐᲨᲚᲝᲕᲜᲘᲡ, ამ დასახელების 4 პუნქტია საქართველოში.

ნატო (ნატალია) **ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); ლადო გუდიაშვილის ქუჩიდან რევაზ თაბუკაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასაწყისში. ქუჩა შედგება ორი მონაკვეთისაგან. ერთ მონაკვეთს ერქვა გრაფის ქუჩა (შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში), მეორეს – ნიკოლოზის შესახვევი. 1827 გენ. ი. *პასკევიჩმა* ერევნის აღებისათვის გრაფის წოდება მიიღო და ქუჩის სახელიც აქედან მომდინარეობს, ნიკოლოზის შესახვევის სახელწ. კი – იქვე მდებარე ყოფ. ნიკოლოზის მოედნიდან. გაერთიანებულ ქუჩას 1922 მუზეუმის ქუჩა დაერქვა, 1953 ნ. *ვაჩნაძის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. II ნახევრის საცხოვრ. სახლები.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); მეტეხის ხიდსა და ჟან შარდენის, კოტე (კონსტანტინე) აფხაზისა, ჰოვანეს თუმანიანისა და ვახტანგ გორგასლის ქუჩებს შორის. *ვახტანგ I* გორგასლის სახელი ეწოდა 1958. თბილისის ძველთაძველი სავაჭრო მოედანი ცნობილია XVII ს-იდან. მდებარეობს ქალაქის ორ უძველეს ნაწილს – აბანოთუბანსა და კალას შორის, ხოლო მეტეხის ხიდით დაკავშირებულია მესამე ძვ. უბანთან – ისანთან. მოედანი რამდენიმე სახელითაა ცნობილი: თავდაპირველად, დაბლა ციხესთან სიახლოვის გამო, ერქვა ციხის მეიდანი (ასეა დატანილი *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილ თბილისის 1735 წ. გეგმაზე). 1750, ქალაქისა და ციხის გამყოფი კედლის აღების შემდეგ, იხსენიება როგორც ქვემო მეიდანი, მეიდანი (შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩებისა და მოედნების სიაში), თათრის მაიდანი (დატანილია თბილისის 1851, 1867, 1897, 1934 წლების გეგმებზე), მაიდანი (ასეა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში; ასევეა თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარშიც). იყო კალის სამხ. (აქ იმართებოდა სამხ. აღლუმები), საზ. და სავაჭრო ცენტრი. ყოველდღიური ბაზრობის გარდა აქ ეწყობოდა საკვირაო და სადღესასწაულო ბაზრობაც, სადაც ქარავნები აღმ. ქვეყნებიდანაც ჩამოდიოდნენ. მოედნის შუაში გამართულ ჩარდახში იდგა დიდი სასწორი – აქედან ხდებოდა პროდუქტების გადანაწილება ბაზრის ტერიტორიაზე („სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ – ქორვაჭრებს“. ი. გრიშაშვილი). მოედნის ჩრდ.-დას. ნაწილში შადრევნიანი წყალსატევი იყო (იარსება XIX ს. დასასრულამდე), რ-შიც კერამიკული მილებით ჩაედინებოდა თაბორის ქედის კალთებიდან გამოყვანილი წყაროს წყალი. მოედანზევე იყო სამეფო დუქნები, ყავახანები, სასადილოები (აშპაშხანა). მოედნის რეკონსტრუქცია დაიწყო XX ს. 20-იან წლებში ყოფ. შუა ბაზრის (ახლანდ. კ. *აფხაზის ქუჩა*) გაფართოებასა და კეთილმოწყობასთან დაკავშირებით. შემდეგი რეკონსტრუქციის დროს (1940–50) მოედანი გაიხსნა მტკვრის მხარეს. რეკონსტრუქციების შედეგად მოისპო მეტად კოლორიტული განაშენიანება მეტეხის ხიდის გარშემო – შაჰ-ისმაილის მეჩეთი (XVI–XVIII სს.) და მინარეთი, ქარვასლა, შეკიდებულაივნიანი სახლები, რ-თა პირველი სართულები სავაჭროებს ჰქონდა დათმობილი. ამჟამად მოედანი საკმაოდ გადატვირთული მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძია. ძვ. მოედნის კოლორიტი ასახულია მრავალ დოკუმენტსა თუ მხატვრულ ნაწარმოებში (ჟ. *შარდენი*, ჟ. ტურნეფორი, გ. გაგარინი და სხვ.). იხ. აგრეთვე *ვახტანგ გორგასლის I შესახვევი*.





ვერის უბანი.

ვახტანგ გორგასლის ქუჩა, ძველი თბილისისა და ისანი-სამგორის რ-ნები (*ორთაჭალა*); ვახტანგ გორგასლის მოედნიდან რუსთავის გზატკეცილამდე. ფაქტობრივად მარჯვენა სანაპიროს გაგრძელებაა, რ-იც უერთდება რუსთავის გზატკეცილს (მიემართება სომხეთისა და აზერბაიჯანისკენ). XIX ს. დასაწყისში აქ გაჩნდა ქალაქის ცენტრიდან გადმოტანილი ხელოსანთა (მკალავთა, მჭედელთა, ხარაზთა) რიგები. 1850-თვის მან უკვე ქუჩის სახე მიიღო და მ. *ვორონცოვის* სახელი ეწოდა. ამასთან დაკავშირებით მისი ერთ-ერთი შენობის კედელში ჩასვეს საგანგებო დაფა წარწერით: „ვორონცოვის ქუჩა გაიხსნა 1850 წ. მისი უმაღლესობის თავად მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის მეფისნაცვლად ყოფნის დროს“. ქუჩის მოწყობა მთლიანად დამთავრდა 1851. მისი სიგანე მაშინ 8–9 *მ* აღწევდა. ქუჩის ორივე მხარე განაშენიანებული იყო ქარვასლებით, ჩაიხანებით და სხვ. გამოირჩეოდა მსხვილი მესაკუთრის ხალათოვის 3-სართულიანი, მოზაიკური აგურით ნაშენი ქარვასლა (365 ოთახი და რამდენიმე გუმბათოვანი დარბაზი. ქარვასლის სარდაფი გამოიყენებოდა აქლემთა ქარავნის სადგომად. 1929 წ. წყალდიდობის დროს ქარვასლის ფუნდამენტი გამოირეცხა, შენობა ნაწილობრივ დაინგრა და უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით საერთოდ აიღეს). ამ გზით შემოდიოდნენ ქარავნები ერევნის მხრიდან, ალბათ ამით აიხსნება, რომ თბილისის 1876 წ. გეგმაზე ახლანდ. ვ. გ. ქ-ის ადგილზე დატანილია 2 ქუჩა: ვორონცოვისა და ერევნის. 1922 კომუნალური ქუჩა დაარქვეს, 30-იან წლებში – ა. *მაისურიანის* (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე), 1958 *ვახტანგ I* გორგასლის სახელი უწოდეს. საბჭ. ხელისუფლების წლებში ქუჩა გააფართოვეს და კეთილმოაწყვეს. ქუჩაზე არის: თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი (1937; არქიტექტორები: ი. ჟიტკოვსკი, მ. კალაშნიკოვი, ბ. კარბინი) – საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი; ოფთალმოლოგიის და ნევროლოგიის ეროვნ. ცენტრი; ადმ. შენობების ორთაჭალის კომპლექსი; რესტორანი და სასტუმრო „ნიკალა“; რესტორანი „მარაბდა“; 300 არაგველის მემორიალი (არქიტ. ა. ბაქრაძე); არქიტექტურულ-სკულპტურული კომპოზიცია „მაჩაბლის კედელი“ (მოქანდაკე თ. ჭყონია. არქიტ. ნ. მგალობლიშვილი); პეტრე ბაგრატიონის მონუმენტი (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი. არქიტ. ნ. მგალობლიშვილი); ნ. ფიროსმანაშვილის (ფიროსმანის) ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტ. ნ. მგალობლიშვილი); სკულპტურული კომპოზიცია „სულის ამაღლება“ (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე. არქიტექტორები: ა. მინდიაშვილი, დ. ახვლედიანი). შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 3 შეს. (II შეს. – ყოფ. საფეიქრო შეს., III შეს. – ყოფ. ფაბრიკის ჩიხი), 1 ჩიხი.

ვახტანგ გორგასლის I შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); ვახტანგ გორგასლის მოედნიდან ბეთლემის ქუჩამდე, თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მოედნის შესახვევი მოედნის I და II ჩიხებითურთ.

ვახტანგ გორგასლის I ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); მისასვლელი იბრაჰიმ ისფაჰანლის ქუჩიდან. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ტყავის შესახვევი.

ვახტანგ გორგასლის II ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); მისასვლელი იბრაჰიმ ისფაჰანლის ქუჩიდან. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კომუნალური ჩიხი.

ვახტანგ VI-ის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*აკლაბარი*); კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩიდან ვარდის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. 60-იან წლებში. ადრე ვახტანგის ქუჩა ერქვა, დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1948 *ვახტანგ VI-ის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. აქვს 1 ჩიხი.

ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა, იხ. ვახუშტი *ბაგრატიონის ქუჩა.*

მერ **ვეზიროვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან ბერძნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში.



ვახტანგ გორგასლის ქუჩა. 300 არაგველის მემორიალი.

თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სოფიოს ქუჩა, 1923 მ. *კეზიროვის* სახელი დაარქვეს. ქუჩაზეა XIX ს. წმინდა ნიკოლოზის ბერძნ. ეკლესია (ამჟამად წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობს).

ვლადიმერ (ვოვა) **ᲕᲔᲙᲣᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან გიორგი ათონელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე რუსის ქუჩა ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ვ. *კეკუას* სახელი ეწოდა 1991. ქუჩაზე დგას ყოფ. „პირიმზის“ შენობა (1971; არქიტ. თ. ფოცხიშვილი). შემონახულია XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

ილია **ᲕᲔᲙᲣᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); დასაწყისი თენგიზ შეშელიძის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. გლდანში გამავალ ცენტრალურ ქუჩას ი. *კეკუას* სახელი ეწოდა 1982.

ᲕᲔᲚᲘᲡᲪᲘᲮᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); 67-ე ქუჩიდან ჩარგლის ქუჩამდე. ადრე თემქის დასახლების 58-ე ქუჩა ერქვა, 1968 მ. ქ. ეწოდა.

ᲕᲔᲚᲘᲡᲪᲘᲮᲔ, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

ᲕᲔᲠᲔ, ვერა, ძველი თბილისის რ-ნი. უბანი თბილისის სამხრ.-დას. ნაწილში, მტკვრის მარჯვ. მხარეს. სახელწ. წარმოდგება ამ ტერიტორიაზე მდებარე სოფ. ვერიდან, რ-იც გაბაშვილების მამულს წარმოადგენდა, ამიტომ მ-ს საგაბაშვილოსაც უწოდებდნენ. XVIII ს-ში მ. იწყებოდა გაბაანთხევთან (ახლანდ. მ. ჯავახიშვილის ქუჩა და ე. გაბაშვილის ქუჩის ნაწილი), მოიცავდა მდ. ვერის ქვემო დინების ნაწილს და *ზემო ვერის* დასახლებას. მ-ზე გადიოდა ქალაქიდან წამოსული „დიღმის გზა“ (ახლანდ. მ. კოსტავას ქუჩა) და „წყნეთის გზა“ (ახლანდ. პ. მელიქიშვილის ქუჩა და ი. ჭავჭავაძის გამზირი). XIX ს-ში აქ გაჩნდა ახ. უბანი – *ვარდისუბანი*. მ-ის ინტენს. განაშენიანება დაიწყო XIX ს. 80-იან წლებში. იხ. აგრეთვე *ზემო ვერე*.

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲑᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ვერის ბაღიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე.

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მდებარეობდა მიხეილ ჯავახიშვილისა და ლეო ქიაჩელის ქუჩებს შორის.

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); დასაწყისი მერაბ კოსტავას ქუჩიდან და ამავე სახელწოდების I შესახვევიდან. სახელი დაკავშირებულია ქალაქის ძვ. უბანთან – ვერესთან.

XIX–XX სს. მიჯნაზე, დაახლ. იქ, სადაც დღეს საწყლოსნო კომპლექსი „ლაგუნა ვერე“ მდებარეობს, იყო ტივმისადგომი, აქვე მდებარეობდა ძვ. ვ ე რ ი ს შ ე ს ა ხ ვ ე ვ ი. უბანს კი ერქვა ს ა ტ ი ო (სატივე). შიდა ქართლიდან მტკვარზე დაცურებული ტივებით მოჰქონდათ თბილისში ხეტყე, ხილი, ბოსტნეული, გადმოჰყავდათ მგზავრები. სატიოსთან შეჩერებულ ტივებს შლიდნენ და მორები ხარ-კამეჩით გადაჰქონდათ ქალაქში. ვაჭრობას, ტრადიციულად, პურმარილიც მოსდევდა. გადმოცემით ეს არემარე ჰყვარებიათ პოეტებს *ბესიკს* და ნ. *ბარათაშვილს*. დროთა განმავლობაში აქ წარმოქმნილ შესახვევს ჯერ სატივის შესახვევი დაერქვა, შემდეგ – მორსაზიდი ქუჩა, XX ს. 20-იან წლებში კი – ვ. შ. ეწოდა. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. შესახვევი იწყებოდა ახლანდ. მ. კოსტავას ქუჩიდან და მიუყვებოდა მდ. ვერის დინებას მტკვართან შეერთებამდე.

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ალექსანდრე პუშკინის ქუჩამდე. იგი თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში მდებარეობს. სახელწ. დაკავშირებულია ამ მიდამოებში თბილისელ ოქრომჭედელთა საქმიანობასთან. თავდაპირველად მას ზარგარხანის (ვერცხლისა და ოქროს სახელოსნოების რიგი) ქუჩა ერქვა. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც პ. *ციციანოვის* ქუჩა (კ. აფხაზის ქუჩის ნაწილთან ერთად), 1843 წ. სიაში კი – როგორც ვერცხლის რიგი, თბილისის ქუჩების 1925 წ. ცნობარში – როგორც მ. ქ. ქუჩამ სახე და ტრადიციები შეინარჩუნა თითქმის საბჭ. ხელისუფლების დამყარებამდე. შემონახულია XIX ს. დასასრულის და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს., 4 ჩიხი.

ემილ **ᲕᲔᲠᲮᲐᲠᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ემილ ვერჰარნის შესახვევიდან ნესტორ კალანდარიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც რევაზოვის შესახვევი. 1923 ქართველი სიმბოლისტების წინადადებით ქუჩას ე. *ვერჰარნის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს., 2 ჩიხი.

ზაქარია **ᲕᲔᲨᲐᲞᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ზაქარია ვეშაპურის ქუჩიდან იონა მეუნარგიას შესახვევამდე.

ზაქარია **ᲕᲔᲨᲐᲞᲣᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); დასაწყისი ცოტნე დადიანის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე დაპროექტებული II ქუჩა ერქვა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ყუბანის ქუჩა, 1923-იდან – ნ. *ლულაშვილის*, 1938-იდან გ. *ლულაშვილის* სახელი ერქვა. 1995 ზაქარია *ვეშაპურის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას., 1 შეს., 1 ჩიხი.

ᲕᲧᲣᲑᲐᲜᲘ, მდინარე რუსეთში, ერთვის აზოვის ზღვას, სათავეს იღებს იალბუზის კალთებზე.

ᲕᲔᲙᲐᲗᲮᲔᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ლოჭინის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია როგორც ტიტველი მთის ქუჩა, ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 40-იან წლებში მ. ქ. დაერქვა. აქვს 1 შეს.

ᲕᲔᲙᲐᲗᲮᲔᲕᲘ, სოფელი დუშეთის რ-ნში; მდინარე ახმეტის რ-ნში.

ᲕᲔᲙᲘᲜᲘᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ვეძინის ქუჩიდან ელიზბარ ზედგინიძის ქუჩამდე.

ᲕᲔᲙᲘᲜᲘᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ვეძინის ქუჩიდან ელიზბარ ზედგინიძის ქუჩამდე.

ᲕᲔᲙᲘᲜᲘᲡ III ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ვეძინის ქუჩიდან ელიზბარ ზედგინიძის ქუჩამდე.

ᲕᲔᲙᲘᲜᲘᲡ IV ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ვეძინის ქუჩიდან ელიზბარ ზედგინიძის ქუჩამდე.

ᲕᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); დიმიტრი ყიფიანის ქუჩიდან კოტე მესხის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა ხევის I შესახვევი, 1900 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ვეძისის ქუჩა ამავე სახელწოდების 6 გასასვლელით. თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია როგორც ვეძინის ქუჩა (ასევე 6 გასასვლელით), 1972 წ. ცნობარში ვეჯინის ქუჩად იხსენიება. აქვს 4 გას.

ᲕᲔᲯᲘᲜᲘ, სოფ. გურჯაანის რ-ნში.

ᲕᲔᲙᲘᲡᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); უბანი თბილისის დას. ნაწილში, მტკვრის მარჯვ. მხარეს. სახელი წარმოდგება ქართ. სიტყვიდან „ვეძა“, რაც, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „მომჟაო წყაროს“ ნიშნავს. XX ს. 30-იან წლებში ამ ტერიტორიაზე იყო ორი სოფელი – ქვემო ვ. და ზემო ვ. ქალაქს შემოუერთდა 40–50-იან წლებში. იხ. *ზემო ვეძისი* და *ქვემო ვეძისი*.

სიმონ (სოლიკო) **ᲕᲘᲠᲡᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარეთუბანი*); გიორგი ათონელის ქუჩიდან მარი ბროსეს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ინჟინრის ქუჩა (ამ ტერიტორიაზე განთავსებული იყო სამხ. უწყების დაწესებულებები, მ. შ. საინჟინრო სამმართველო). 1922 პარიზის კომუნის ქუჩა დაერქვა. 80-იან წლებში დაუბრუნდა ძვ. სახელი. 1992 ს. *ვირსალაძის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები, მხატვართა სახელოსნოები, ს. ვირსალაძის მემორიალური სახელოსნო (№2/4).

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, პროლეტარიატის პირველი რევოლუციური მთავრობა, რ-იც შეიქმნა საფრანგეთში 1871 წ. 18 მარტს. იარსება 72 დღე.

ვლადიმერ **ᲕᲝᲠᲝᲜᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); ეგნატე და ვახტანგ ფიფიების ქუჩიდან გორის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ტრამვაის შესახვევი, 70-იან წლებში ვ. ვორონინის შესახვევი დაერქვა, 1997 – მ. ქ. (იხ. ვ. *ვორონინი*).



ზაარბრიუკენის მოედანი, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია, ჩულურეთი*); დავით აღმაშენებლის გამზირსა და დიმიტრი უზნაძის, პლატონის, ლევ ტოლსტოისა და მოსე გოგიბერიძის ქუჩებს შორის. XIX ს. 50-იან წლებში მტკვრის მარცხ. მხარეს წარმოქმნილ მოედანს თავიდან მ. *ვორონცოვის*, 1925-იდან – კ. *მარქსის* სახელი ერქვა. 1978 მოედანს ზაარბრიუკენის სახელი ეწოდა. 1867 კავკასიის თავადაზნაურობის ნებაყოფლობითი შენაწირებით ალგეთის ქვით მოპირკეთებულ კვარცხლბეკზე დაიდგა კავკასიის პირველი მეფისნაცვლის, გენ.-ფელდმარშლის მ. ვორონცოვის პეტერბურგში ჩამოსხმული ძეგლი. ეს იყო სამხრ. კავკასიაში დადგმული პირველი ქანდაკება (მოქანდაკეები: ნ. პიმენოვი, ვ. კრეიტანი. არქიტ. ო. სიმონსონი). 1922 წ. ძეგლი აიღეს.

ზაარბრიუკენი, ქალაქი გერმანიაში. ზაარის მხარის ცენტრი. თბილისთან დაძმობილებულია 1975-იდან.

კირიაკ **ზავრიევის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღის I დასახლება*); ვასილ კოპცოვის ქუჩიდან დიმიტრი უზნაძის ქუჩამდე. ნავთლუღის I დასახლების XII ქუჩას კ. *ზავრიევის* სახელი ეწოდა 1983.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ბახტრიონის ქუჩიდან იყალთოს გორამდე. წარმოიქმნა XX ს. 70–80-იან წლებში. 1983 – კ. *გამსახურდიას*, 1990 *ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის* სახელი ეწოდა.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); თრიალეთის ქუჩიდან გიორგი აბაშვილის ქუჩამდე (იხ. *ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი*).

გიორგი (გიგო) **ზაზიაშვილის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან აფხაზეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც პავლეს ქუჩა. 1923 – პ. *მონტინის*, 1990 კი გ. *ზაზიაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 2 შეს.

გიორგი (გიგო) **ზაზიაშვილის II შესახვევი**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); დასაწყისი პეტრე მამრაძის ხევიდან.

გიორგი (გიგო) **ზაზიაშვილის III შესახვევი**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); პეტრე მამრაძის ხევიდან გიორგი მარუაშვილის ქუჩამდე.

სოლომონ **ზალდასტანიშვილის გასასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე.

სოლომონ **ზალდასტანიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. ქუჩის განაშენიანება დაიწყო XIX ს. II ნახევარში. ძირითადად დასახლდნენ მაშინდელი მთავარმმართველის მიერ რუსეთიდან ჩამოყვანილი გადამდგარი ჯარისკაცები და ხელოსნები. თბილისის 1900 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მოსკოვის ქუჩის (ახლანდ. ძმები *კაკაბაძეების ქუჩა*) განშტოება – ფერხულის შესახვევი. 30-იან წლებში კ. *ლიბკნეხტის* სახელი დაერქვა (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე), 1990 დაუბრუნდა ძვ. სახელი – ფერხულის ქუჩა. 1994 ს. *ზალდასტანიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას. (ყოფ. მოსკოვის ჩიხი, შემდეგ – კ. ლიბკნეხტის გასასვლელი), 1 შეს. (ყოფ. მოსკოვის შეს., შემდეგ – კ. ლიბკნეხტის შეს.).

ქუჩაზე დგას წმინდა მიხეილ ტვერელის ეკლესია (1913). ეს ადგილი თბილისის 1900 წ. გეგმაზე დატანილია როგორც „ფერხულის გორა“, მოგვიანებით „ფერხულის გორას“ სახელი შეეცვალა და „პურის გორაკი“ დაერქვა. იხ. აგრეთვე *კურსკის ქუჩა.*

მიხეილ **ზანდუკელის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან ვასილ ბარნოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1885 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ახალი ქუჩა, 1900-იან წლებში დაერქვა ქალაქისთავის პავლე ალექსანდრეს ძე იზმაილოვის სახელი (შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში). 1923 – ე. *ლომინაძის*, 1938 – კოლხიდის, 1946 – ი. *ჯავახიშვილის*, 1991 მ. *ზანდუკელის* სახელი ეწოდა. №1-ში განთავსებულია მ. *კოსტავას* მემორიალური სახლ-მუზეუმი.



ზაარბრიუკენის მოედანი.

კოლხიდა, სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთის ბერძნ. სახელწოდება.

ზარაბაზნის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); იწყებოდა კუმისის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს, მას შემდეგ, რაც გარეთუბნიდან აქ გადმოიტანეს „საათი-ზარბაზანი“, საიდანაც ყოველდღიურად შუადღის აღსანიშნავად ისროდნენ. რევოლუციის შემდეგ ეს ტრადიცია მოიშალა, **ზ. შ**-ის სახელი კი კარგა ხანს შემორჩა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში, 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ და თბილისის ქუჩების 1959 წ. ცნობარში. ამჟამად შეს. აღარ არსებობს.

ზარზმის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (კონიაკის ქარხნის დასახლება); მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის I ჩიხიდან ამავე სახელწოდების ქუჩამდე. ყოფ. „ა“ ქუჩა. **ზ. ქ**. დაერქვა XX ს. 70-იან წლებში.

ზარზმა, სოფელი ადიგენის რ-ნში. აქ მდებარეობს XIV ს. ზარზმის მონასტერი.

ეფრემ **ზაქარაიას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ლევან ცქიტიშვილის ქუჩიდან ინტერნატისა და სამღერეთის ქუჩებამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში და პროლეტარის ქუჩა დაერქვა. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 1993 ე. *ზაქარაიას* სახელი ეწოდა. აქვს 3 შეს.

სერგო **ზაქარიაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); მიხეილ ასათიანის ქუჩიდან ფერდინანდ თავაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე უსახელო ქუჩა იყო. 1972 ს. *ზაქარიაძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

გლახო **ზახაროვის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*შავი სოფელი*); არბოშიკის ქუჩიდან იალბუზის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე *იალბუზის ქუჩის* შესახვევი იყო, რ-ის ნაწილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც საქობოს შესახვევი. 1993 გ. *ზახაროვის* სახელი დაერქვა.

ზაჰესის ხიდი-პეველკი, დიდმისა და გლდანის დამაკავშირებელი ხიდი (1952; ინჟ. მ. კობახიძე) მდ. მტკვარზე (ზემო ავჭალა), დავით აღმაშენებლის ხეივნის გაგრძელებასა და გრიგოლ ხანძთელის ქუჩას შორის.

ზეგანის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ასპინძისა და ზეგანის შესახვევებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1924 წ. თბილისის გეგმაზე და 1923 „თბილისის საბჭოს მოამბეში“ ზეგანის სახელითაა შეტანილი (იგი მართლაც ზეგანზე მდებარეობს). მომდევნო წლებში არასწორად ძეგამის ქუჩა ეწოდა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ზედაზნის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); ზედაზნის ქუჩიდან დიდი ჯიხაიშის II შესახვევამდე.

◄ ზემელი.



მიხეილ ზანდუკელის ქუჩის დასაწყისი.

ზედაზნის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 1 გას., 1 ჩიხი.

ზედაზენი, მთა საგურამოს ქედზე, სადაც VI ს. ზედაზნის მონასტერია.

ზედამზის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ზედამზის II შესახვევიდან გორდის ქუჩამდე.

ზედამზის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ჟღენტის ქუჩიდან სილიბისტრო თოდრიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 გას., 2 შეს.

ზედაუბნის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ჟღენტის ქუჩიდან ზედაუბნის II შესახვევამდე. ქუჩა წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. მდებარეობს ლოტკინის დასახლების ზედა ნაწილში. აქვს 2 შეს.

ელიზბარ **ზედგინიძის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); თხინვალის ქუჩიდან კოტე მესხის აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე თხინვალის შეს. ერქვა, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1998 ე. *ზედგინიძის* სახელი ეწოდა. აქვს 2 ჩიხი.

ზეკარის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); გეგუთის ქუჩიდან ასურეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

ზეკარი, რკინის ჯვარი, უღელტეხილი მესხეთის ქედზე.

ზემელი, XIX ს. თბილისის ერთ-ერთი მიკროუბანი, ახლანდ. რუსთაველის მოედნის მიმდებარე ტერიტორია. სახელი ეწოდა პროვიზორ-აფთიაქარის ევგენი იაკობის ძე ზემელის გამო, რ-საც XIX ს. 90-იან წლებში ვერის მოედანზე, ახლანდ. მ. კოსტავასა და მ. ჯავახიშვილის ქუჩების შესაყარზე, ჰქონდა ოვალური ფორმის აფთიაქი (აიღეს XX ს. 30-იან წლებში რუსთაველის მოედნის გაფართოებისას).

ზემო ალექსეევკის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება თბილისის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ბესარიონ ქებურაის დასახლების მოპირდაპირე მხარეს, კახეთის გზატკეცილის მარცხნივ.

ზემო ვაკის დასახლება, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო ვერე*); წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ზემო ვერე, ძველი თბილისის რ-ნი. თბილისის მიკროუბანი მტკვრის მარჯვ. მხარეს, მთაწმინდის ქედის ფერდობზე, ი. გოგებაშვილის და გ. რჩეულიშვილის ქუჩებისა და ვერის ახალი სასაფლაოს მიდამოები. მისი ადრინდ. სახელია „ვარდისუბნის მთა“, „ვარდიგორა“. სახელწ. მიიღო აქ გავრცელებული ასკილის ბუჩქნარის გამო. XIX–XX სს. მიჯნაზე დაერქვა „სემიონოვკა“ ამ ადგილებში დისლოცირებული „სემიონოვკის“ პოლკის მიხედვით.

ზემო ვეძისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); დასახლება თბილისის დას. ნაწილში, *ქვემო ვეძისსა* და *ლისის ტბის დასახლებას* შორის.

ზემო ვეძისის ჭუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ზემო ვეძისი*); ხევიდან ტაშკენტის, ოსეთისა და ბუდაპეშტის ქუჩებამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 2 ჩიხი.

ზემო მეტალურგების დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); დასახლება *საქჰიდროენერგომშენის დასახლებასა* და *ქვემო მეტალურგების დასახლებას* შორის.

ზემო უბანი, ძველი თბილისის რ-ნი. თბილისის ისტ. უბანი, *კალის* ნაწილი. შემოსაზღვრულია ახლანდ. კ. აფხაზისა და ნ. ბარათაშვილის ქუჩებით და მტკვრის კალაპოტით. მდებარეობს კალის ცენტრალური არტერიის – კ. *აფხაზის ქუჩის* – მარცხნივ. სახელი ეწოდა *ქვემო უბანთან* შედარებით ზემო მდებარეობის გამო. ზ. უ-ის ისტ. ცენტრია ახლანდ. *ერეკლე II-ის მოედანი.*

ზესტაფონის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან მეტროს სადგურ „ელექტროდეპომდე“. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 1 შეს.

ზესტაფონი, ქალაქი დას. საქართველოში.

ზვარეთის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲖᲕᲐᲠᲔᲗᲘᲡ, სოფელი ონის რ-ნში.

ᲖᲘᲐᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ჟღენტის ქუჩიდან ახტალის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ᲖᲘᲐᲠᲘ, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

ᲖᲘᲒᲖᲐᲒᲘᲡ I ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.

ᲖᲘᲒᲖᲐᲒᲘᲡ II ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ზიგზაგის I ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.

ᲖᲘᲜᲓᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); აწყურის ქუჩიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ადრე მას ფერმის ქუჩა ერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ფერმა-ავლაბრის მე-14 ქუჩა. 40-იან წლებში ფერმა-ავლაბრის I ქუჩა დაერქვა, 60-იან წლებში ზ. ქ. ეწოდა.

ᲖᲘᲜᲓᲘᲡᲘ, ადრე სოფელი იყო, ამჟამად უბანია დაბა სურამში. აქ ცხოვრობდა ლესია *უკრაინკა*. იქვეა მისი სახლ-მუზეუმი.

მიხაი **ᲖᲘᲩᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ვახტანგ კოტეტიშვილის ქუჩიდან ბესიკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 და 1934 წლების გეგმებზე დატანილია როგორც I პარალელური ქუჩა, შემდეგ მ. *ზიჩის* სახელი დაერქვა.

ᲖᲝᲕᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); სოფრომ მგალობლიშვილის ქუჩიდან ტაშკენტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

ᲖᲝᲕᲠᲔᲗᲘ, სოფელი ზესტაფონის რ-ნში.

ძმები **ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ბესიკის ქუჩიდან ალექსანდრე გრიბოედოვის შესახვევამდე. ადრე იწყებოდა ცხრა აპრილის ქუჩიდან. 2005 ყოფ. **ზ. ქ**-ის ნაწილს ბესიკის ქუჩამდე **ზ. *ყვანიას*** სახელი ეწოდა. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც არსენალის ქუჩა. აქ იდგა არსენალის საუწყებო ყაზარმის შენობები. 1894 აიგო თბილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს შენობა (ახლანდ. საქართველოს უზენაესი სასამართლო; არქიტ. ა. შიმკევიჩი), რის გამოც 1895 სასამართლოს ქუჩა დაარქვეს. დატანილია თბილისის 1897 წ. გეგმაზე. საბჭ. ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სასამართლოს დაერქვა სახალხო ტრიბუნალი და ქუჩასაც ტრიბუნალის ქუჩა უწოდეს. 1926 – გ. *ათარბეგოვის*, 1990 ძმები *ზუბალაშვილების* სახელი დაერქვა. ქუჩაზე შემონახულია XIX ს. დასასრ. და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები; შენობა (№48), რ-შიც დღეს პ. ყურაშვილის სახ. ბავშვთა I კლინიკური საავადმყოფოა, აგებულია 1906 სტეფანე და ნიკოლოზ ზუბალაშვილების მიერ როგორც უპოვართა, უმწეოთა და უსახლკაროთა თავშესაფარი (არქიტ. მ. ოჰანჯანოვი). ქუჩას აქვს 1 ჩიხი.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩიდან თემურ ფიფიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ, ქალაქი დას. საქართველოში.

ავლიპი **ᲖᲣᲠᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); თელავის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 20-იან წლებამდე ფერმა-ავლაბრის VII ქუჩა ერქვა, შემდეგ კობარეთის ქუჩა დაერქვა. 1996 ა. *ზურაბაშვილის* სახელი ეწოდა.

ᲖᲚᲕᲘᲡᲣᲑᲐᲜᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის ჩრდ. ნაწილში, თბილისის წყალსაცავის მიდამოებში. მოიცავს ლოტკინის გორის დასახლებას და ავჭალის მიმდებარე ტერიტორიას. ადრე *თემქის* დასახლება ერქვა. 1999 ზ. ეწოდა. რ-ნის განაშენიანება დაიწყო XX ს. 60-იან წლებში. დაგეგმარდა 1971 და 1988 წლებში. შედგება ოთხი მიკრორაიონისაგან: I მიკრორაიონი მოიცავს IV, IX, X, X^ა კვარტლებს, III მიკრორაიონი – I, II, III, IV, V კვარტლებს, XI მიკრორაიონი – I, II, III კვარტლებს.



ძმები ზუბალაშვილების ქუჩა. უზენაესი სასამართლო.


COURTYARD Marriott

ლუკიანე **თაბუკაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); მდებარეობდა ჟიული შარტავასა და ლევან გოთუას ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე განჯის შესახვევი ერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც განჯის ქუჩა. 1958 დაერქვა ლ. *თაბუკაშვილის* სახელი. ამჟამად ქუჩა აღარ არსებობს. იგი ჩაიკარგა ახალ განაშენიანებაში.

განჯა (ქართ. წყაროებით – გ ა ნ ძ ა), ქალაქი აზერბაიჯანში. 1904–18 ერქვა ელიზავეტპოლი, 1935–89 – კიროვაბადი.

რევაზ **თაბუკაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); გრიგოლ ორბელიანის მოედნიდან ვარდების რევოლუციის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ქუჩა 1809 დააპროექტა პოლკ. ბანოვმა. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მესანგრეთა ქუჩა (ამ ქუჩაზე მდებარეობდა მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმა). XX ს. 30-იან წლებში ორი ქუჩის – ბაზრისა (დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე) და მესანგრეთა ქუჩების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ ქუჩას დაერქვა ბ. *ძნელაძის* სახელი (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე). 1990 – *იოანე პეტრიწის*, 1992 რ. *თაბუკაშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის ყოფ. ძეგლთა დაცვის მთ. სამმართველოს შენობა (XX ს. დასაწყისი), აგრეთვე XIX ს. დასასრულის და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს., 2 ჩიხი.

ფერდინანდ **თავაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვაჟა-ფშაველას გამზირიდან შალვა ნუცუბიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ყოფ. ვაჟა-ფშაველას I შესახვევი. 1977 – პ. *კაკაბაძის*, 1995 ფ. *თავაძის* სახელი ეწოდა.

თავისუფლების მოედანი, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); რუსთაველის გამზირსა და გიორგი ლეონიძის, გალაკტიონის, შალვა დადიანის, კოტე (კონსტანტინე) აფხაზის და ალექსანდრე პუშკინის ქუჩებს შორის. ქალაქის მთავარი მოედანი და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი. XIX ს-მდე მოედნის ტერიტ. მოქცეული იყო *გარეთუბანში*, ქალაქის საზღვრებს გარეთ და ეკვროდა ქალაქის კედელს ახლანდ. პუშკინის ქუჩის მხრიდან (კ. აფხაზის ქუჩის დასაწყისში სიმბოლურად აღნიშნულია ამ კედლის მდებარეობა). XVII ს. ბოლოს ახლანდ. ხელოვნ. მუზეუმის ადგილზე იდგა მეფის ქარვასლა, რ-იც 1724 დააგრიეს თურქებმა. ალ. პაშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმის მიხედვით მოედნის მიმდებარე ტერიტორია ეჭირა მეფის ოჯახის წევრთა ბაღებს. მოედნის მიჯნები განისაზღვრა 1809 გარეთუბნის დაგეგმარების დროს (პოლკ. ბანოვის გეგმა). დაიწყო მოედნის რეგულარული განაშენიანება – ამოავსეს და გადახურეს ავანაბთხევი, გაიყვანეს წყლის მილსადენები. თავისი არსებობის მანძილზე მოედნის სახელი მრავალჯერ შეიცვალა: თავდაპირველად ერქვა შტაბის მოედანი, 1828 რუს. ჯარის მიერ ერევნის აღების აღსანიშნავად (1827) ჯარის სარდალს, გენ. ი. *პასკევიჩს* უბოძეს ერევნის გრაფის წოდება, ხოლო მოედანს თბილისში პასკევიჩ-ერივანსკის (ერევანსკის) მოედანი დაარქვეს, შემდგომში სიმოკლისთვის მოედანს შერჩა ერევანსკის (მოსახლეობაში – ერევნის) სახელი (ამ სახელითაა აღნიშნული მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ შედგენილ ქალაქის 1833–35 წლების გეგმაზე). 1918–21 წლებში, საქართვ. დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში, თავისუფლების მოედანი ეწოდა; 1922, როცა თბილისი ამიერკავკ. ფედერაციის (შედიოდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) დედაქალაქი გახდა, მოედანს დაერქვა ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანი; 1938 – ლ. *ბერიას*, 1953 ვ. *ლენინის* სახელი ეწოდა, 1990 კი თ. მ-ის სახელი დაუბრუნდა.

მოედნის მთავარ ღერძზე გამოდის ყოფ. მერიის შენობა საათიანი კოშკით (ამჟამად აქ განთავსებულია თბილისის საკრებულო). შენობა აგებულია XIX ს-ში. მას დღემდე შემორჩა პირვანდელი სახე, თუმცა არაერთხელ იყო რეკონსტრუირებული. თავდაპირველად, 40-იან წლებში, ააგეს ქალაქის პოლიციის ორსართულიანი შენობა, 1882–86 წლებში ჩატარდა შენობის რეკონსტრუქცია (არქიტექტორები: ა. ოზეროვი, პ. შტერნი) ე. წ. „ფსევდომავრიტანული სტილით“. 1884 დაყენეს საათი. 1910 არქიტ. კ. ტატიშჩევის პროექტის მიხედვით მიაშენეს მარჯვ. ფრთა (გ. ტაბიძის ქუჩიდან), 1912 – მარცხ. ფრთა (შ. დადიანის ქუჩიდან). მოედნის აღმ. მხარეს განლაგებულია ყოფ. საქალაქო საკრედიტო საზ-ბის სამსართულიანი შენობა (ახლანდ. საქართველოს ბანკი. 1903) და ძვ. საცხოვრ. სახლები, რ-თა პირველ სართულებზე სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებაა განთავსებული. დასავლეთის მხარე, მერიიდან ყოფ. „კავკასიის არმიის შტაბამდე“ (1824; გვიანი კლასიციზმი) დაინგრა 1991, ე. წ. თბილისის ომის დროს.

უნდა აღინიშნოს მოედანზე განლაგებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტ. ნაგებობა, რ-ებიც საინტერესო იყო გარკვეული არქიტექტურული, კულტურული და ისტორიული თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ესენია: ქარვასლა, XIX ს. I ნახ. ყველაზე დიდი საზ. ნაგებობა. ამ კომპლექსში, რ-ის მშენებლობა 1851



თავისუფლების მოედანი. თბილისის საკრებულო.

◄ თავისუფლების მოედანი. წმინდა გიორგის მონუმენტი.





თბილისის წყალსაცავი.

დამთავრდა, შედიოდა შესანიშნავი თეატრი, მაღაზიები, სასტუმრო და სხვ. არქიტ. ჯ. სკუდიერიმ ფასადების დაპროექტებისას გამოიყენა იტალიის ქალაქ ვიჩენცის ბაზილიკის (არქიტ. ანდრეა პალადიო) ხუროთმოძღვრული მოტივები. თანამედროვეები აღფრთოვანებული იყვნენ თბილისის ქარვასლის მხატვრული ღირსებებით. „...თეატრი, – წერდა რუსი მწერალი ვ. სოლოგუბი, – ტოლს არავის უდებს თავისი შიდა მორთულობით... იგი ჰგავს უზარმაზარ სამჯერურს სხვადასხვა აღმოსავლური ნახატით შექმნილი მინანქრებით“. ალექსანდრ *დიუმა* (მამა), რ-იც ეწვია თეატრს 1858, აღნიშნავს: „ჩემი ცხოვრების მანძილზე მე ნანახი მაქვს თითქმის ყველა თეატრი, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ შეედრება სილამაზით ტფილისის თეატრს“. 1874 თეატრი დაიწვა. მისი კედლები გამოიყენეს ახ. ქარვასლაში, რ-იც 1934 მოედნის რეკონსტრუქციის დროს აიღეს. დანგრეული ქარვასლის ადგილას აღლუმებისა და დემონსტრაციების ჩასატარებლად აშენდა ტრიბუნა, რ-ის დემონტაჟი მოხდა 1938. მერიის შენობის პირდაპირ, პუშკინის სკვერთან აშენდა ახ. ტრიბუნა. 50-იან წლებში ეს ტრიბუნაც მოშალეს; 1956 გაიხსნა ვ. ლენინის 18,5 *მ*-იანი მონუმენტი (მოქანდაკე ვ. თოფურიძე. არქიტექტორები: გ. მელქაძე, კ. ჩხეიძე, შ. *ყავლაშვილი*, გ. ხეჩინაშვილი). 1990 იგი აიღეს. ეს იყო საბჭ. კავშირში ლენინის ძეგლის მოხსნის ერთ-ერთი პირველი აქცია, რასაც მოჰყვა სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში ათასობით ძეგლის ნგრევა; **თ.** მ-ის დას. მხარეს, 1858 აგებულ ორსართულიან შენობაზე, 1876 დაშენეს მესამე სართული და მთლიანი რეკონსტრუქციის შემდეგ შეიქმნა სასტუმრო „გრანდ ოტელ კავკაზი“, იგი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე კომფორტულ სასტუმროდ ითვლებოდა (ინჟ. ი. ალექსეევი). სასტუმროს ფასადი, რ-იც მოედანზე გამოდიოდა, შემორჩა 1991-მდე, ე. წ. თბილისის ომის ტრაგიკულ მოვლენებამდე. უკანასკნელ პერიოდში მოედანზე აშენდა რამდენიმე ახალი შენობა, მ. შ. სასტუმრო „ქორთიარდ-მარიოტი“. ჩრდ. მხარეს, ტრად. საკვირაო ბაზრობის ადგილზე 1886 გაშენებულ სკვერში, დგას ა. *პუშკინის* ბიუსტი (1892; მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი). 2006 მოედანზე აღიმართა ოქროთი დაფერილი წმინდა გიორგის მონუმენტი (ავტორი ზ. წერეთელი).

დავით **თავხელიძის ჯუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვაჟა-ფშაველას გამზირსა და პეტრე ქავთარაძის ჯუჩას შორის. ჯუჩას დ. *თავხელიძის* სახელი ეწოდა 2001.

თამარაშენის გასასვლელი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); თამარაშენის ჯუჩიდან რამაზ დავითაშვილის ჯუჩამდე.

თამარაშენის ჯუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); რამაზ დავითაშვილის ჯუჩიდან პეტრე ბაგრატიონის III ჩიხამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. შეტანილია 1925–26 წლების ცნობაარა წიგნში „მთელი ტფილისი“. აქვს 1 გას.

თამარაშენის ჩიხი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დასაწყისი რამაზ დავითაშვილის ჯუჩიდან.

თამარაშენი, სოფლები გორისა და ქარელის რ-ნებში.

მიხეილ **თამარაშვილის ჯუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე, დელისი*); ილია ჭავჭავაძის მოედნიდან ალექსანდრე ყაზბეგის გამზირამდე. ჯუჩა წარმოადგენს ვაკე-საბურთალოს შემაერთებელ მაგისტრალს. გაყვანილია 1958 (სიგრძე 1600 *მ*). 1965 ეწოდა დ. *გურამიშვილის*, 1990 – მ. *თამარაშვილის* სახელი. ჯუჩის მარჯვენა მხარესაა იპოდრომი (გაიხსნა 1959; არქიტ. ი. კასრაძე), მარცხენა მხარეს – ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი. ჯუჩაზე, ხეივანში, დგას კ. *შჩოლკინის* ბიუსტი (მოქანდაკე გ. თოიძე. არქიტ. გ. ჩიჩუა).

თამარ მეფის გამზირი, ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რ-ნების საზღვარი; გმირთა მოედნიდან ვაგზლის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1935-მდე სადგურის ჯუჩა ერქვა, შემდეგ – ჩელიუსკინელებისა. ჯუჩას სახელი დაერქვა 1933–34 წლებში გემ „ჩელიუსკინით“ ჩატარებული პოლარული ექსპედიციის წევრების მიერ გამოჩენილი გმირობის აღსანიშნავად (1933 დანიაში აგებულ გემს სახელი ეწოდა XVIII ს. პოლარეთის რუსი მკვლევრის სემიონ ივანეს ძე ჩელიუსკინის პატივსაცემად). 1989 ჯუჩას *თამარ* მეფის სახელი ეწოდა. იგი ქალაქის შედარებით მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი მაგისტრალია, რ-იც გრძივად გაშენებულ ქალაქში ამყარებს მეტად საჭირო განივ კავშირებს – ვაგზლის მოედანს თამარ მეფის ხიდისა და გმირთა მოედნის გავლით აკავშირებს ქალაქის ცენტრთან და სხვა რ-ნებთან. თავდაპირველად ჯუჩა, რ-იც თბილისის 1900 წ. გეგმაზე ვაგზლის (ყოფ. ბულვარის ჯუჩის) და პასაჟ „კროშკას“ ჯუჩების სახელით იყო დატანილი, იწყებოდა რკინიგზის სადგურიდან და აღწევდა ყოფ. ელისაბედის (ახლანდ. მ. წინამძღვრიშვილის) ჯუჩამდე. პლეხანოვის პროსპექტის (ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირის) კუთხეში იდგა მთელ ქალაქში ცნობილი სავაჭრო პასაჟი – „კროშკა“ (დაანგრიეს ჯუჩის გაფართოების დროს) და ჯუჩის სახელიც მას უკავშირდებოდა. გზის გაყვანა აქ ჯერ კიდევ 1925 დაიწყო. ჯუჩის რეკონსტრუქციის დროს მტკვრის მარჯვ. მაღალ ნაპირზე გაიჭრა უზარმაზარი, განივად გაწოლილი კლდის მასივი. გამზირზე განლაგებულია საცხოვრ. და ადმ. დანიშნულების შენობები. 2007 დაიდგა ბერძნ. მითოსის გმირის, პრომეთეს ქანდაკება (მოქანდაკე დ. ხმალაძე).

თამარ მეფის ხიდი (ყოფ. ჩელიუსკინელების ხიდი), დიდუბე-ჩუღურეთის, ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რ-ნების დამაკავშირებელი ხიდი მდ. მტკვარზე, თამარ მეფის გამზირის გაგრძელებაზე ვაგზლის მოედნის მიმართულებით (1935; არქიტ. ნ. სევეროვი. ინჟინრები ვ. სალუქვაძე, ნ. სლოვინსკი).

ივანე **თარხნიშვილის გასასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); ივანე თარხნიშვილის ჯუჩიდან აკაკი ხორავას ჯუჩამდე.



თამარ მეფის ხიდი.

ივანე **თარხნიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); პეტრე მელიქიშვილის ქუჩიდან ვასილ ბარნოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თავდაპირველად კობის ქუჩა ერქვა (შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში). 1948 ეწოდა ი. *თარხნიშვილის* სახელი. ქუჩაზეა „წმიდა იოაკიმესა და ანას სახელობის“ სამშობიარო სახლი. აქვს 1 გას., 1 ჩიხი.

კობი, სოფელი ყაზბეგის რ-ნში.

ოთარ **თაქთაქიშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ირაკლი აბაშიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია როგორც საყარაულოს ქუჩა, 60-იან წლებში რიგის ქუჩა დაერქვა, 1992 ო. *თაქთაქიშვილის* სახელი ეწოდა.

რიგა, ლატვიის დედაქალაქი.

ექვთიმე **თაყაიშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); დასაწყისი ილია ჭავჭავაძის გამზირიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია როგორც კავშირის ქუჩა, 1963 ე. *თაყაიშვილის* სახელი ეწოდა.

სესილია **თაჭაიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი-3*); ვიქტორ კუპრაძისა და დიმიტრი (დოდო) ალექსიძის ქუჩებს შორის. ყოფ. უსახელო ქუჩას ს. *თაყაიშვილის* სახელი ეწოდა 1990.

თბილისის გასასვლელი, დიდგორის რ-ნი (*ოქროყანა*); თბილისისა და აკაკი წერეთლის ქუჩებს შორის.

თბილისის ქუჩა, დიდგორის რ-ნი (*ოქროყანა*); კოჯრის გზატკეცილიდან ბესიკის ქუჩამდე. აქვს 1 გას., 3 შეს.

თევდორე მღვდლის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); თამარ მეფის გამზირიდან სპირიდონ კედიას ქუჩამდე. ყოფ. სერგო ორჯონიკიძის ქუჩის მონაკვეთი. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. 1922-მდე ანდრიას ქუჩა ერქვა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე), შემდეგ – ს. *ორჯონიკიძის*, 1930 კ. *მარქსის* სახელი დაერქვა, შემდეგ – ისევ ორჯონიკიძის. 1990 ორჯონიკიძის ქუჩის ერთ მონაკვეთს *თევდორე მღვდლის* სახელი ეწოდა, მეორეს – გ. *ჩუბინაშვილისა*. ქუჩაზეა შპს საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, სააქციო საზ-ბა „ბავშვთა სამყარო“. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. ქუჩაზე დგას ე. ფიფიას ბიუსტი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი. არქიტ. გ. ჯაფარიძე). აქვს 2 ჩიხი (I ჩიხი – ყოფ. ორჯონიკიძის გას., შემდეგ – ორჯონიკიძის I ჩიხი; II ჩიხი – ყოფ. ოზურგეთის ჩიხი, შემდეგ – ორჯონიკიძის II ჩიხი).

არსებობს მოსაზრება, რომ ქუჩა 1922-მდე ატარებდა ე. *ანდრეევსკის* სახელს.

თეზამის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); ბეთანიის ქუჩიდან ბზიფის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

თეზამი, სოფელი მცხეთის რ-ნში.

თეთნულდის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ოთარ ქინქლაძის ქუჩიდან როსტოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც *თემრუკის* ქუჩა, თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში – როგორც **თ. ქ.** აქვს 2 ჩიხი.

თეთნულდი, მწვერვალი სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ენგურის სათავეებთან.

თეთრი წყაროს ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ბალადანის ქუჩიდან ციხისძირის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სიდონიას ქუჩა, შემდეგ გ. *ტაბიძის* სახელი ეწოდა. 1958-იდან **თ. წ. ქ.** ჰქვია. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

თეთრი წყარო, ქალაქი აღმ. საქართველოში.

თეთრიხევის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება თბილისის აღმ. ნაწილში. *ორხევის დასახლების* გაგრძელება.

თეთრიხევის ჰესის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება თბილისის აღმ. ნაწილში. *ორხევის დასახლების* გაგრძელება.

თეიმურაზ I-ის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დიღომი*); დემეტრე თავდადებულისა და პეტრე იბერის ქუჩებს შორის. უსახელო ქუჩას *თეიმურაზ I-ის* სახელი ეწოდა 1989.

თეკლათის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); სენაკის ქუჩიდან ლებარდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

თეკლათი, სოფელი სენაკის რ-ნში.

თელავის ქუჩა, ისანი-სამგორისა და ძველი თბილისის რ-ნების საზღვარი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. ქუჩაზეა ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „შერატონ-მეტეხი-პალასი“ (1991; არქიტექტორები: ე. ჩაკმანი, შ. *ყვლაშვილი*). აქვს 1 ჩიხი.

თელავი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

თელავის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); გუთნის ქუჩიდან ახმეტის ქუჩამდე.

თელეთის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); იაკობ ცურტაველის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 2 შეს. (II შეს. – ყოფ. აღმართის შეს., III შეს. – ყოფ. თელეთის შეს.), 1 ჩიხი.



თელავის ქუჩა. „შერატონ-მეტეხი-პალასი“.





თამარ მეფის გამზირი.

თელეთი, გარდაბნის რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო თელეთის გავრცელებული სახელწოდება.

თელეთის I შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); იაღლუჯის ქუჩასა და იაკობ ცურტაველის შესახვევს შორის (ყოფ. სარვანის შეს.).

თემქა, დასახლება წარმოიქმნა თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით. სახელწოდებაც აქედან მოდის. 1999 ეწოდა *ზღვისუბანი*.

თერგის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); ვასილ პეტრიაშვილის ქუჩიდან კორნელი კეკელიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი, თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში – როგორც ქუჩა.

თერგი, მდინარე საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში.

ალექსანდრე **თევალჭრელიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*სამგორის II დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან ევგენია მაისურაძის ქუჩამდე. ყოფ. უსახელო ქუჩას ალ. *თევალჭრელიძის* სახელი ეწოდა 1982. აქვს 3 შეს., 1 ჩიხი.

თიანეთის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ჩარგლის გასასვლელიდან პეტრე გამყრელიძის ქუჩამდე.

თიანეთის გზატკეცილი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); ქერჩის ქუჩიდან თიანეთისკენ მიმავალი გზა. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. გლდანის საცხოვრებელი მასივის განაშენიანებამდე (70-იანი წლები) იწყებოდა ავჭალის გზატკეცილიდან.

თიანეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); მუხრანის ქუჩიდან სამუელ (ნოე) ბუაჩიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. 45-ე ქუჩას თ. ქ. ეწოდა 50-იან წლებში.

თიანეთი, დაბა აღმ. საქართველოში.

თიხის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); მიხეილ ბუხაიძის I შესახვევიდან მიხეილ ბუხაიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

სარგის **თმოგველის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ორთაჭალა*); ეფრემ მცირის ქუჩიდან ბერძნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სანაინის შესახვევი, 60-იან წლებში სარგის *თმოგველის* სახელი დაერქვა.

სანაინი, შუა საუკუნეების მონასტერი სომხეთში, სოფ. სანაინში (ახლანდ. ქ. ალავერდი).

თმოგვის I გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); თმოგვის ქუჩიდან სერგო ქსოვრელის II გასასვლელამდე.

თმოგვის II გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); თმოგვის ქუჩიდან ქართლის II შესახვევამდე.

თმოგვის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი, ღრმაღელე*); ეკა ბეჟანიშვილის ქუჩიდან ღრმაღელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ელმავლის I შესახვევი ერქვა. აქვს 2 გას., 1 ჩიხი.

თმოგვი, სოფელი ასპინძის რ-ნში.

სილიბისტრო **თოდრიას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ასურეთის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. ლოტკინის დასახლების VIII ქუჩას ს. *თოდრიას* სახელი დაერქვა XX ს. 70-იან წლებში.

მოსე **თოიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); ალექსანდრე ციმაკურიძის ქუჩიდან სანთლის შესახვევამდე. ჩულურეთის ერთ-ერთი ძვ. ქუჩა. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მექოთნის (მეთუნეთა) ქუჩა (ქუჩაზე განლაგებული იყო კრამიტისა და თიხის ჭურჭლის დამამზადებელი კუსტარული საწარმოები). 1953 მ. *თოიძის* სახელი დაერქვა. აქვს 1 შეს.

თოლენჯის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*მეტრომშენებელთა დასახლება*); წალენჯიხის ქუჩიდან ყვარლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

თოლენჯი, სოფელი თიანეთის რ-ნში.

დავით **თორაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გურე*); მისასვლელი მიხეილ ზანდუკელის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1923-მდე იყო ევგენის ჩიხი, შემდეგ ძველი რევოლუციონერის დიმიტრი მირსკის სახელი დაერქვა. ასეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. ბოლოს მ. ზანდუკელის ჩიხი ერქვა. 1992 დ. *თორაძის* სახელი ეწოდა.

თორნიკე ერისთავის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევისა და დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნები; *დიდუბის, ნაძალადევისა* და *ღრმაღელის* შემაერთებელი ქუჩა (საზღვარი ნაძალადევსა და ღრმაღელეს შორის); აკაკი წერეთლის გამზირიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში როგორც ყოფ. ბრძოლისა და საბჭოს ქუჩების შემაერთებელი მაგისტრალი. 1935 მაგნიტოგორსკის ქუჩა დაერქვა, 1990 *თორნიკე ერისთავის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა საავტო საზ-ბები: „ჩარხმშენებელი“ და „ჩარხი-ხაზი“. აქვს 1 ჩიხი.

მაგნიტოგორსკი, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში.

ვარლამ **თოფურიას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); პეტრე ქავთარაძის ქუჩიდან შალვა ნუცუბიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. ადრე მეორე უსახელო ქუჩა ერქვა, 70-იან წლებში ვ. *თოფურიას* სახელი ეწოდა.

ვალენტინ **თოფურიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაშლიჯვარი*); ვასო გოძიაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. ვაშლიჯვრის დასახლებაში არსებულ ვ. გოძიაშვილის II შესახვევს ვ. *თოფურიძის* სახელი ეწოდა 1983.

თრიალეთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); კახეთის გზატკეცილიდან რომანოზ ხომლელის ქუჩამდე. სახელი დაერქვა XX ს. 70-იან წლებში.

თრიალეთი, მხარე ქვემო ქართლში.

ჰოვანეს **თუმანიანის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); იერუსალიმის მოედნიდან ვახტანგ გორგასლის მოედნამდე. აღნიშნულია ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც დიდი მრუდე ქუჩა (მოიცავდა *აბო თბილელის ქუჩასაც*). ქუჩის ნაწილს 1900 წ. *არღუთინსკის* სახელი დაერქვა, 1922 – ჰ. *თუმანიანის*. შემონახულია XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს., 4 ჩიხი.

თხინვალის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); არსენა ოძელაშვილის ქუჩიდან ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მთის III ქუჩა. 1900 თ. ქ. დაერქვა. შემონახულია XIX ს. 50-იანი წლების საცხოვრ. სახლები.

თხინვალი, სოფელი ქ. თბილისის შემადგენლობაში.



ჰოვანეს თუმანიანის ქუჩა.

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲪᲣᲠᲢᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, იხ. იაკობ *ცურტაველის ქუჩა.*

ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*შავი სოფელი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ნოე ჟორდანიას სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘ, კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი.

შოთა **ᲘᲐᲛᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე კოოპერაციის ქუჩა ერქვა. 1990 შ. *იამანიძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა ომის ვეტერანთა კლინიკური ჰოსპიტალი.

ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕᲡᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ანდრია ბენაშვილის ქუჩიდან ტერენტი გრანელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც იაროსლავსკის შესახვევი, თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში – როგორც ქუჩა.

ᲘᲐᲡᲚᲣᲜᲯᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); მდებარეობდა მუხათის შესახვევსა და შავნაბადას ქუჩას შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი, თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში – როგორც ქუჩა. ამჟამად ქუჩა აღარ არსებობს.

ᲘᲐᲡᲚᲣᲯᲐ, მაღლობი ქვემო ქართლში.

პაოლო **ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩიდან ლადო ასათიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1835–50 წლებში ინტენსიურად განაშენიანდა ძირითადად 2–3-სართულიანი საცხოვრ. სახლებით. ადრე ერქვა გენერალ ნ. *რტიშჩევის* სახელი. ასევეა დატანილი თბილისის 1867 წ. გეგმაზე. 1922 ი. *ჯუღაშვილის* სახელი დაერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც პ. *ჯაფარიძის* ქუჩა. 1990 პ. *იაშვილის* სახელი ეწოდა (იგი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა). ქუჩაზეა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინ-ტი. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები.



პაოლო იაშვილის ქუჩა.

ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*საქჰიდროენერგომშენის დასახლება*); ენგურჰესის ქუჩიდან გუმათჰესის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში.

ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲐ, სოფელი ასპინძის რ-ნში.

ᲘᲔᲗᲘᲛ ᲒᲣᲠᲯᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); ნინო და ილია ნაკაშიძეების ქუჩის შესახვევიდან ამავე სახელწოდების ქუჩამდე. თბილისის 1876 და 1934 წლების გეგმებზე დატანილია როგორც საზოგადოებრივი ქუჩა, თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში შეტანილია საზოგადოების ქუჩის სახელწოდებით. 1964 *იეთიმ გურჯის* სახელი ეწოდა. მოკლე და ვიწრო თბილისური ქუჩა განაშენიანებულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლებით. აქვს 1 ჩიხი.

ᲘᲔᲠᲣᲨᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); იერუსალიმისა და ჰოვანეს თუმანიანის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩებისა და მოედნების სიაში შეტანილია როგორც გეორგიევსკის მოედანი (სახელწ. უკავშირდებოდა გეორგიევსკის ტრაქტატს). 1925 თონეთის მოედანი დაერქვა, 1994 – ი. მ. შემონახულია XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. იხ. აგრეთვე *იერუსალიმის შესახვევი, იერუსალიმის ჩიხი.*

ᲘᲔᲠᲣᲨᲐᲚᲘᲛᲘ, ქალაქი წინა აზიაში.

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘ, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში, სტავროპოლის მხარეში.

ᲗᲝᲜᲔᲗᲘ, თეთრი წყაროს რ-ნის სოფლების დიდი და პატარა თონეთის გავრცელებული სახელწოდება.

ᲘᲔᲠᲣᲨᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); პურის მოედნიდან კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ჯვარის მამის ქუჩა ერქვა (სახელწ. უკავშირდებოდა აქ მდგარ ჯვარის მამის ეკლესიას), შემდეგ – იერუსალიმის (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე), 1923-იდან – ა. *რიჟინაშვილის.* 1990 დაუბრუნდა ძვ. სახელი.

ᲘᲔᲠᲣᲨᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); იერუსალიმის მოედანსა და ბეთლემის ქუჩას შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ᲘᲔᲠᲣᲨᲐᲚᲘᲛᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); მისასვლელი იერუსალიმის მოედნიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე გეორგიევსკის ჩიხი ერქვა, 1925 თონეთის ჩიხი ეწოდა, შემდეგ – ი. ჩ.

ვაჟა **ᲘᲕᲔᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ალექსანდრე ხახანაშვილის ქუჩიდან კასპის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ახალი სამების ქუჩა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც საბადურის ქუჩა. 2003 დაერქვა ვ. *ივერიელის* სახელი.

ᲡᲐᲑᲐᲓᲣᲠᲝ, მთები საბადურისა (ქართლის ქედის მონაკვეთი) და თრიალეთის ქედებზე.

ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ხოდაშნის ქუჩამდე. ერთ-ერთი უძველესი ქუჩაა. აღნიშნულია ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. თბილისის 1844 წ. გეგმაზე დატანილია მაზრის ქუჩის სახელწოდებით. ეს ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული ქუჩა გრძელდებოდა ნორაშენის ღვთისმშობლის ეკლესიამდე, რის გამოც მას, 1867 წ. გეგმის მიხედვით, ნორაშენის ქუჩა ერქვა. 70-იან წლებში ქუჩა გაგრძელდა პურის მოედნამდე. შემდეგ ქუჩის ერთ ნაწილს ნახშირის ქუჩა ეწოდა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე), მეორეს ნორაშენის სახელი დარჩა. 1960 ნახშირის ქუჩას ი. ქ. დაერქვა. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. აქვს 1 ჩიხი.

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ (იბერია), საქართველოს (ქართლის) სამეფოს გავრცელებული სახელწოდება.

ᲘᲕᲠᲔᲗᲘᲡ (ᲘᲕᲚᲔᲗᲘᲡ) ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); დასაწყისი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX

ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ივლიტას შეს., თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია ივლეთის შესახვევის სახელწოდებით. შემდეგ ი. ჟ. დაერქვა.

ივრის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩიდან გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1851 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ავლაბრის I ქუჩა. XIX ს. ბოლოს ი. ჟ. დაერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

იორი, მდინარე აღმ. საქართველოში.

ნიკოლოზ **იზაშვილის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ალექსანდრე წურწუმიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ხაზოვანი II ქუჩა, თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია ყუბის ქუჩის სახელწოდებით. 1923 – პ. *კროპოტკინის*, 1998 წ. *იზაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

ყუბა, ქალაქი და ძვ. სახანო აზერბაიჯანში.

ილორის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (კონიაკის ქარხნის დასახლება); დასაწყისი დავით სარაჯიშვილის ქუჩიდან. ყოფ. „ბ“ ქუჩას ი. ჟ. დაერქვა XX ს. 70-იან წლებში.

ილორი, სოფელი დას. საქართველოში, აფხაზეთში. სოფელშია ილორის წმინდა გიორგის ეკლესია (XI ს.).

კონსტანტინე **ილურიძის I გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); კონსტანტინე ილურიძის ქუჩიდან ჭოლა ლომთათიძის ქუჩამდე.

კონსტანტინე **ილურიძის II გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); კონსტანტინე ილურიძის ქუჩიდან კონსტანტინე ილურიძის I შესახვევამდე.

კონსტანტინე **ილურიძის III გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); კონსტანტინე ილურიძის ქუჩიდან ამავე ქუჩამდე.

კონსტანტინე **ილურიძის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ჭოლა ლომთათიძის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე კოლექტივიზაციის ქუჩა ერქვა. 1990 ეწოდა კ. *ილურიძის* სახელი. აქვს 3 გას., 3 შეს., 3 ჩიხი.

გაიოზ **იმედაშვილის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); იაკობ გოგებაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ი. გოგებაშვილის II შესახვევი იყო. 1996 გ. *იმედაშვილის* სახელი ეწოდა.

იოსებ **იმედაშვილის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); იური გაგარინის ქუჩიდან ზემო ვეძისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში და ი. *იმედაშვილის* სახელი ეწოდა.

იმედის ხეივანი, დასახლება „იმედის ხეივანი“, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება ბოგდან ხმელნიცკის ქუჩასა და საავიაციო ქარხანას შორის (ყოფ. საავიაციო საწარმოო გაერთიანების დასახლება).

იმერეთის I გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); იმერეთის II შესახვევიდან ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩამდე.

იმერეთის II გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); იმერეთის II შესახვევიდან ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩამდე.

იმერეთის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); შალვა ცინცაძის II შესახვევიდან ჭოლა ლომთათიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 2 გას., 3 შეს.

იმერეთი, მხარე დას. საქართველოში.

რევაზ **ინანიშვილის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მუშათა ქუჩიდან ძმობის II ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ადრე ძმობის, შემდეგ ძმობის I ქუჩა ერქვა. სახელი დაერქვა სხვადასხვა ეროვნების მუშათა ერთობის აღსანიშნავად. 1995 რ. *ინანიშვილის* სახელი ეწოდა.

სანდრო **ინაშვილის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); მდებარეობდა რევაზ თაბუკაშვილის ქუჩასა და რუსთაველის გამზირს შორის. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. დააპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ (1833–35). 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც არტილერიის ქუჩა (ამ ქუჩაზე იდგა გარნიზონის არტილერიის ყაზარმა). თბილისის 1867 წ. გეგმაზე სალდათის ქუჩის სახელწოდებითაა დატანილი, ხოლო არტილერიის ქუჩის სახელი შერჩა იქვე მდებარე *კვალის ქუჩას*. სალდათის ქუჩას 1905 შემდეგ – სამხედრო ქუჩა, XX ს. 70-იანი წლებიდან კი ს. *ინაშვილის* სახელი ერქვა. ამჟამად ქუჩა აღარ არსებობს, მისი ერთი ნაწილი თაბუკაშვილის ქუჩას შეუერთდა, ხოლო მეორე – ვარდების რევოლუციის მოედანს.

პავლე **ინგოროყვას ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); გიორგი ლეონიძის ქუჩიდან ვახტანგ კოტეტიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ქალაქის გეგმაზე პირველად დაიტანა (1833–35) მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ. იმ დროს ქუჩის აღმ. ნაწილში გაშენებული იყო ბაღები, რ-იც ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის ოჯახს ეკუთვნოდა. 30-იან წლებში ქუჩაზე დაფუძნდა საფთიაქო სამმართველო, რის გამოც მას ლაბორატორიის ქუჩა დაერქვა. ამავე სახელითაა შეტანილი 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში. 1903, პეტერბურგის დაარსების 200 წლისთავთან დაკავშირებით, ქუჩას ეწოდა პეტრე დიდის (იხ. *პეტრე I*), 1923 – ლ. *ტროცკის*, 30-იან წლებში – ფ. *ძერჟინსკის*, 1990 – პ. *ინგოროყვას* სახელი. ამ ქუჩაზეა საქართველოს სახელმწ. კანცელარიის შენობა (1981; არქიტექტორები: ვ. აბრამაშვილი, გ. მირიანაშვილი, ლ. ჯანდიერი; შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემია, 1985). შემონახულია XIX ს. დასასრულის და



პავლე ინგოროყვას ქუჩა.

XX ს. დასაწყისის საცხოვრ. და ადმ. შენობები. №8-ში XX ს. დამდეგს განთავსებული იყო მეფისნაცვლის კანცელარია, ამჟამად ა. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტია. ძმები *ზუბალაშვილების* თაოსნობითა და სახსრებით აგებულია სახლი №14, რ-შიც ცხოვრობდა მხატვარი ი. *გამრეკელი*. ქუჩას აქვს 1 შეს.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან სამღერეთის ქუჩამდე. სახელწ. მიიღო სკოლა-ინტერნატიდან, რ-იც აქვე მდებარეობდა. აქვს 1 შეს.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დიღომი*); ფარნავაზ მეფის გამზირიდან პეტრე იბერის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. 1990 *იოანე პეტრიწის* სახელი ეწოდა.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორბელის დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან გიორგი მუხაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე შოთა *რუსთაველის* სახელი ერქვა, 1973 *იოანე პეტრიწის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე დგას ყოველთა ქართველთა წმიდათა სახ. ეკლესია.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲡᲐᲑᲐᲜᲘᲡᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, იხ. იოანე *საბანისძის ქუჩა*.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲨᲐᲕᲗᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘ, იხ. იოანე *შავთელის დალმართი*.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲨᲐᲕᲗᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, იხ. იოანე *შავთელის ქუჩა*.

ᲘᲝᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, იხ. *ივრის ქუჩა*.

თინა **ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); არჩილ სულაკაურის ქუჩიდან პეკინის გამზირამდე (თავდაპირველად იწყებოდა იყალთოს ქუჩიდან). წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე კომბაინის ქუჩა ერქვა. თ. *იოსებიძის* სახელი ეწოდა 1965.

პლატონ **ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); საქართვ. ტექ. უნ-ტის I კორპუსიდან სულხან ნასიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1938-მდე ახალშენის II ქუჩა ერქვა, შემდეგ პ. *იოსელიანის* სახელი ეწოდა.

მიხეილ **ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲝᲕ-ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩიდან ივანე კაჭარავას I შესახვევამდე.

მიხეილ **ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲝᲕ-ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); ქერჩის ქუჩიდან დავით სარაჯიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1953-მდე ლაგერის (ბანაკის) ქუჩა ერქვა, შემდეგ მ. *იპოლიტოვ-ივანოვის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას., 1 შეს., 1 ჩიხი.

მიხეილ **ᲘᲞᲝᲚᲘᲢᲝᲕ-ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ II ᲩᲘᲮᲘ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); მისასვლელი ქერჩის ქუჩიდან.

ნიკიფორე **ᲘᲠᲑᲐᲮᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, იხ. *ნიკიფორე ირბახის ქუჩა*.

ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); ორპირის ქუჩიდან იმავე ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია წრის შესახვევის სახელწოდებით, შემდეგ ი. შ. დაერქვა.

გიორგი **ᲘᲠᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); უსახელო ქუჩიდან შატილის ქუჩამდე. ყოფ. თემქის დასახლების 50-ე ქუჩა. XX ს. 70-იან წლებში – თ. *ყლენტის*, 1995 გ. *ირემაშვილის* სახელი ეწოდა.

ავეტიქ **ᲘᲡᲐᲐᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ანაპის 414-ე ქართული დივიზიის ქუჩიდან სტეფანე ლეკიშვილის ქუჩამდე. ქუჩას ა. *ისაკიანის* სახელი ეწოდა XX ს. 90-იან წლებში.

გაბრიელ **ᲘᲡᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ჟიულ შარტავას ქუჩიდან ტაშკენტის ქუჩამდე. ადრინდელი *კაზისუბნის ქუჩის* I მონაკვეთს გ. *ისაკაძის* სახელი ეწოდა 2001.

ᲘᲡᲐᲜᲘ, ძველი თბილისის უბანი ქალაქის აღმ. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს. IX ს-ში არაბებმა აქ ააგეს ციხესიმაგრე „ისანჰისარი“, რის შემდგომაც მიმდებარე ტერიტორიას ი. დაერქვა. XII–XIII სს-ში ი-ში იდგა სამეფო სასახლე, XIII ს-ში ღვთისმშობლის სახელზე ააგეს მეტეხის ეკლესია, რის გამოც გვიანდ. შუა საუკუნეებიდან ისნის უბანი და „ისნის ციხე“ *მეტეხის* სახელით იხსენიება, ხოლო „ისნის ველმა“ *ავლაბრის* სახელი დაიმკვიდრა. ი. განსაკუთრებით მჭიდროდ განაშენიანდა XIX ს-ში. XX ს. 80-იან წლებში ჩატარდა ი-ის ისტ. განაშენიანების აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ᲘᲡᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ისნისა და ანტონ ჩეხოვის ქუჩებს შორის.

ᲘᲡᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ურბნისის ქუჩიდან ანტონ ჩეხოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც შამქორის ქუჩა. აქ იდგა შამქორის ღვთისმშობლის ეკლესია – შამქორელთა ეკლესია და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობდა. 1958 ი. ქ. ეწოდა. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. აქვს 1 გას.

ᲨᲐᲛᲥᲝᲠᲘ, ქალაქი აზერბაიჯანში.

იბრაჰიმ **ᲘᲡᲤᲐᲰᲐᲜᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან იოსებ გრიშაშვილის ქუჩამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კომუნალური შესახვევი, თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში შეტანილია ვახტანგ გორგასლის II შესახვევის სახელწოდებით, შემდეგ IV შესახვევი დაერქვა. 1997 ი. *ისფაჰანლის* სახელი ეწოდა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); გიორგი ათონელის ქუჩიდან მშრალ ხიდამდე. წარმოიქმნა XIX ს. 40-იანი წლების ბოლოს. თავდაპირველად ერქვა ხიდის ქუჩა (სახელწ. უკავშირდება *ჩულურეთის ხიდს*). იწყებოდა ახლანდ. გიორგი ათონელის ქუჩიდან და გრძელდებოდა ი. ჭავჭავაძის ქუჩამდე. დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე. 1903 დაერქვა ნ. *ნეკრასოვის* სახელი. 1948 მონაკვეთს გიორგი ათონელის ქუჩიდან მშრალ ხიდამდე ეწოდა კ. *მარქსის* სახელი, 1978 – ზაარბრიუკენის ქუჩა. 1990 ქუჩას აღუდგა ძვ. დასახელება – ხიდის ქუჩა. 2006 საქართველოსა და იტალიას შორის მეგობრული და კულტ. ურთიერთობების გაღრმავების მიზნით ხიდის ქუჩას ი. ქ. ეწოდა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ, სახელმწიფო ევროპაში.

ᲖᲐᲐᲠᲑᲠᲘᲣᲙᲔᲜᲘ, ქალაქი გერმანიაში. ზაარის მხარის ცენტრი. თბილისთან დაძმობილებულია 1975-იდან.

ივანე **ᲘᲣᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან მარიამ ორახელაშვილის ქუჩამდე. უსახელო ქუჩას ი. *იუმაშევის* სახელი ეწოდა 1985.

ივანე **ᲘᲣᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); მისასვლელი კახეთის გზატკეცილიდან.

ᲘᲤᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ᲘᲤᲮᲐᲜᲘ, კ ო პ ი ტ ი, ხის ჯიში.

ᲘᲧᲐᲚᲗᲝ-ᲑᲐᲮᲢᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ, ი ყ ა ლ თ ო ს მ თ ა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); უბანი ბახტრიონისა და ვიქტორ დოლიძის ქუჩებს შორის. მისი მრავალსართულიანი საცხოვრ. სახლებით განაშენიანება დაიწყო XX ს. 70–90-იანი წლებიდან.

ᲘᲧᲐᲚᲗᲝ, სოფელი თელავის რ-ნში.

ᲑᲐᲮᲢᲠᲘᲝᲜᲘ, ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი ს ც ი ხ ე ს ი მ ა გ რ ე, შუა საუკ. ციხესიმაგრე კახეთში, მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. 1660 ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის ავჯანყების დროს აქ მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, რ-იც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

ᲘᲧᲐᲚᲗᲝᲡ ᲒᲝᲠᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); იყალთოს ქუჩიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩამდე.

ᲘᲧᲐᲚᲗᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); კონსტანტინე გამსახურდიას გამზირიდან იყალთოს გორამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ცხენისწყლის ქუჩა, თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია ი. ქ-ის სახელწოდებით. აქვს 1 შეს., 2 ჩიხი.

ᲪᲮᲔᲜᲘᲡᲬᲧᲐᲚᲘ, მდინარე დას. საქართველოში.


აღდგი



მერაბ კოსტავას ქუჩის დასაწყისი.

კავთისხევის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მახინჯაურის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

კავთისხევი, სოფელი კასპის რ-ნში.

ვლადიმერ (ლადო) **კავსაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ირაკლი აბაშიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 60-იან წლებამდე ზოოვეტერინარული ქუჩა ერქვა, შემდეგ ვ. *კვესაძის* სახელი ეწოდა.

კაიშაურის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან თამაზ მუჯირიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

კაიშაური, სოფელი დუშეთის რ-ნში.

ძმები **კაკაბაძეების ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); შოთა რუსთაველის მოედნიდან მთის ფერდობამდე. XIX ს-მდე ქალაქის მიჯნა იყო. ამავე საუკ. შუა წლებამდე აქედან მიემართებოდა გზა, მცხეთის გავლით, რუსეთისკენ. ადრე იქ იყო ხევი, რ-იც მტკვრისკენ ჩადიოდა. ახლანდ. რუსთაველის მოედნის სიახლოვეს იყო ე.წ. მოსკოვის საგუშაგო („მოსკოვსკაია ზასტავა“) – ქალაქისპირა საპოლიციო პუნქტი შლაგბაუმით. საგუშაგო მოწყობილი იყო ხევზე გადებულ ხის ხიდზე – აქედან მოდის მეორე რუს. სახელწ. „მოსკოვსკაია ბალკა“. XIX ს. 70-იან წლებში ხევი ამოავსეს. საგუშაგოს მახლობლად გაჩნდა გადამდგარ სამხ. მოსამსახურეთა დასახლება, შემდგომში – მოსკოვის ქუჩა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე) და ვერის დაღმართი (ახლანდ. მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა). 1967 ქუჩას გ. *ლეონიძის* სახელი დაერქვა, 1990 – დ. *კაკაბაძის*, შემდგომ – ძმები კაკაბაძეებისა, რ-ებიც ამავე ქუჩაზე ცხოვრობდნენ (იხ. ს. *კაკაბაძე*). შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. ქუჩის დასაწყისში დგას სწრაფი სერვისის რესტორანი „მაკდონალდსი“ (1999; არქიტექტორები ვ. და ზ. ორბელაძეები).



ძმები კაკაბაძეების ქუჩა.

ვასილ **კაკაბაძის გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); დასაწყისი ვასილ კაკაბაძის ქუჩიდან.

დავით **კაკაბაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან სერგეი ესენინის ქუჩამდე. ადრე „პრავდის“ ქუჩა ერქვა, 1973 დ. *კაკაბაძის* სახელი ეწოდა.

ვასილ **კაკაბაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); დავით გურამიშვილის გამზირიდან ჩარგლის გასასვლელამდე. თემქის დასახლების 57-ე ქუჩას ვ. *კაკაბაძის* სახელი ეწოდა 1968. აქვს 1 გას.

პოლიკარპე **კაკაბაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); მთაწმინდის ქუჩიდან კოტე მაყაშვილის ქუჩამდე. მთაწმინდა–ვერეს დამაკავშირებელი ქუჩა გაიყვანეს 1963 და *დავით IV* აღმაშენებლის სახელი უწოდეს, 1995 – პ. *კაკაბაძის*.

დავით **კაკაბაძის ჩიხი**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); დასაწყისი ვაჟა ბანეთიშვილის ქუჩიდან.

კაკაბეთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*მეტრომშენებელთა დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან მესხეთის ქუჩამდე. მეტრომშენებელთა დასახლების ცენტრალური ქუჩა. კახეთის გზატკეცილის I ჩიხს პ. ქ. დაერქვა XX ს. 40-იან წლებში. 1992 ქუჩას ეწოდა გ. *ყარყარაშვილის* სახელი, 1997 დაუბრუნდა ძვ. სახელწოდება. აქვს 1 ჩიხი.

კაკაბეთი, სოფელი საგარეჯოს რ-ნში.

კაკლიანის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*სამგორის II დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან დამპალოს სასაფლაომდე. ყოფ. სამგორის II დასახლების II ქუჩას პ. ქ. დაერქვა 1995.

კალა, ძველი თბილისის რ-ნი. ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქის ბირთვი, მთავარი უბანი მტკვრის მარჯვ. მხარეს, აქვე მდებარეობდა შუა საუკ. თბილისის ციხესიმაგრე. პ. წყაროებში პირველად იხსენიება V ს-ში. იყოფოდა *ზემო უბნად* (ცენტრი – *ერეკლე II-ის მოედანი*) და *ქვემო უბნად* (ცენტრი – *კახტანგ გორგასლის მოედანი*). მათი გამყოფი საზღვარი გადიოდა ახლანდ. *კ. აფხაზის ქუჩაზე*. XX ს. 80-იან წლებში ჩატარდა პ-ის ისტ. განაშენიანების აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ნესტორ **კალანდარიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); არნოლდ ჩიქობავას ქუჩიდან ემილ ვერჰარნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 60-იან წლებში. 1875 დაერქვა ქალაქისთავის – ი. თუმანოვის (*თუმანიშვილის*) სახელი. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც თუმანოვის I ქუჩა, 1900 იაზონის სახელი ეწოდა. ასეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. 40-იან წლებში – ფეოდოროვის, 1957 კი ნ. *კალანდარიშვილის* სახელი დაერქვა.

ალექსანდრე **კალანდაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); დასაწყისი საბარგოს ხევიდან. ადრე საბარგოს დასახლების X შესახვევი ერქვა, 1999 ა. *კალანდაძის* სახელი ეწოდა.

ბეჟან (ჟანი) **კალანდაძის ქუჩა**, ისანი-სამგორისა და ძველი თბილისის რ-ნების საზღვარი (*ორთაჭალა*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან ნადიკვრის III ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. თავდაპირველად ნადიკვრის ქუჩა, შემდეგ – ნადიკვრის I ქუჩა ერქვა. 40-იან წლებში ბევრეთის ქუჩა დაერქვა, 70-იან წლებში – ნ. *ნარიმანოვის*. 1990 კვლავ დაუბრუნდა ბევრეთის ქუჩის სახელი. 2005 ბ. *კალანდაძის* სახელი ეწოდა. აქვეა მისი სახელობის სკვერი.

ბევრეთი, სოფელი მცხეთის რ-ნში.

ნადიკვარი, თელავის უბანი, ყოფ. სოფელი.

კალატოზის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); სამრეკლოს II შესახვევიდან ელენე ახვლედიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. სახელი დაკავშირებულია ამ უბანში მოსახლე კალატოზ-ხელოსნებთან. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი, თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში – როგორც ქუჩა.

კალისტრატე ცინცაძის ქუჩა, იხ. კალისტრატე *ცინცაძის ქუჩა*.

კალოუბნის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); ალექსანდრე წულუკიძის ქუჩიდან გიორგი აბაშვილის ქუჩამდე. წარმო-

იქმნა XX ს. 60-იან წლებში. **პ. ქ.** მნიშვნელოვანი სატრანსპ. მაგისტრალია.

კალოუბანი, კალობანი, ქალაქის ისტორიული *გარეთუბნის* ერთ-ერთი მიკროუბანი ახლანდ. რუსთაველის გამზირის დასაწყისში.

კამოს ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); უსახელო ქუჩიდან ჭირნახულის ქუჩამდე. იხ. *კამო*.

სანდრო (ალექსანდრე) **კანდელაკის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან მიხეილ ხერგიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში და ს. *კანდელაკის* სახელი დაერქვა.

სიმონ **კანდელაკის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ჟიული შარტავას ქუჩიდან შალვა ნუცუბიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1957-მდე ვ. ი. *ნანეიშვილის* სახელი ერქვა, შემდეგ ს. *კანდელაკის* სახელი ეწოდა.

ვლადიმერ **კანკავას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); არნოლდ ჩიქობავას ქუჩიდან ივანე ჯავახიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც კუკიის შესახვევი. 1961 ქუჩას ვ. *კანკავას* სახელი დაერქვა.

ოთარ **კაპანაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ართვინის ქუჩიდან ნორიოს აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. 1965-მდე ერქვა ართვინის შესახვევი (დატანილია თბილისის 1900 წ. გეგმაზე), შემდეგ ო. *კაპანაძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე არის თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი.

ართვინი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტ. პროვინციის – კლარჯეთის ქალაქი (ახლანდ. თურქეთის ტერიტორია).

კარალეთის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); ტრანსპორტის ქუჩიდან ნონა გაფრინდაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

კარალეთი, სოფელი გორის რ-ნში.

ია (ილია) **კარგარეთელის ქუჩა** №6.



30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კოლმეურნის ქუჩა, შემდეგ გეგუთის ქუჩა დაერქვა. 1958 დ. *კაჭარავას* სახელი ეწოდა.

გეგუთი, სოფელი წყალტუბოს ზონაში.

ივანე **კაჭარავას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*პატარა გლდანი*); დავით სარაჯიშვილის ქუჩიდან ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევამდე. პატარა გლდანის დასახლების V ქუჩას ი. *კაჭარავას* სახელი ეწოდა 1983. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

კაჭრეთის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); კაჭრეთისა და ეფრემ ზაქარაიას ქუჩებს შორის.

კაჭრეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ჟღენტის ქუჩიდან ეფრემ ზაქარაიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. აქვს 1 გას.

კაჭრეთი, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

კახეთის გზატკეცილი, ისანი-სამგორის რ-ნი; ქეთევან დედოფლის გამზირიდან ქალაქის საზღვრამდე. წარმოადგენს თბილისიდან კახეთისკენ მიმავალ ცენტრალურ მაგისტრალს. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1895 წ. რუკაზე დატანილია როგორც ნავთლულის გზატკეცილი. **პ. ბ-ზეა** სამეცნ.-საწარმოო გაერთიანება „ანალიზსაწყო“, შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“, შპს „კასტელი-საქართველო“ და შპს „ელსავაკო“ (ლილოს ბაზრობა), სკულპტურული კომპოზიცია „კოსმონავტი“ (მოქანდაკე კ. ტაბატაძე). **პ. ბ-ისა** და აეროპორტისაკენ მიმავალი გზის გადაკვეთაზე აღმართულია სტელა „კაცი და მზე“ (ავტორი ზ. წერეთელი. არქიტექტორები: ნ. მგალობლიშვილი, გ. ჯაფარიძე, დ. სულთანიშვილი). გზატკეცილზე გამოდის მეტროს სადგური „სამგორი“. აქვს 1 შეს.

კახეთის გზატკეცილის ჩიხი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ჯავახეთის ქუჩიდან ქიზიყის ქუჩამდე.

კახეთის შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან აწყურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს.

კახეთის ხევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ალექსანდრე წურწუმიას შესახვევიდან შორაპნის II ქუჩამდე. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

კახეთი, მხარე აღმ. საქართველოში.

ნიკოლოზ **კახიანის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის ქუჩიდან უიარაღოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ტულის ქუჩა. 1958 წ. *კახიანის* სახელი ეწოდა. აქვს 3 შეს., 2 ჩიხი.

ტულა, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში.

სპირიდონ **კედიას ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს.

40-იან წლებში. ადრე კახოვკის ქუჩა ერქვა, 1994 ს. *კედიას* სახელი ეწოდა.

კახოვკა, ქალაქი უკრაინაში.

კორნელი **კეკელიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რ-ნების საზღვარი (*ვაკე, ვერე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან მთის ფერდობამდე. ქუჩა წარმოიქმნა ვარაზისხევის ამოვსების შემდეგ. 1962 დაერქვა კ. *კეკელიძის* სახელი. 60–70-იან წლებში ქუჩაზე აიგო მაღლივი შენობები. 2007 ქუჩის დასაწყისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის გადაკვეთაზე მდებარე ტ. *შევჩენკოს* სახ. სკვერში, დაიდგა მისი ძეგლი (მოქანდაკეები ვ. და ო. ჩეპელიკები. არქიტ. ვ. სკულსკი), რ-იც უკრაინის დედაქალაქ კიევის საჩუქარია.

ომარ **კელაპტრიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გურამ ასათიანის I შესახვევიდან ნიკოლოზ ხუ-



კორნელი კეკელიძის ქუჩა.

დადოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1958-მდე დურგლის ქუჩა ერქვა, შემდეგ – გ. *თელიას*, 1994 ო. *კელაპტრიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მუშის შეს.).

არჩილ **პერესელიძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან რაფიელ აგლაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ყოფ. დიდუბის I შესახვევი. 1992 ა. *კერესელიძის* სახელი დაერქვა.

ივანე **პერესელიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მიხეილ ზანდუკელის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს. 70-იან წლებში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე დატანილია როგორც აგურის II ქუჩა, 1900 დ. *სვიატოპოლკ-მირსკის* სახელი დაერქვა (დატანილია თბილისის 1901 წ. გეგმაზე), 1923 – ი. *კერესელიძის*.

ნიკო (ნიკოლოზ) **პეცხოველის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); გლდანის მასივის III და V მიკრორაიონებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ქუჩას ნ. *კეცხოველის* სახელი ეწოდა 1984.

კვალითის მოედანი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); ახალუბნის, შილდისა და კვალითის ქუჩებს შორის.

კვალითის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან კვალითის მოედნამდე. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

კვალითის II შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); დასაწყისი ახალუბნის ქუჩიდან.

კვალითი, ზესტაფონის რ-ნის სოფლების ზედა, ქვედა და შუა კვალითის გავრცელებული სახელწოდება.

კვალის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარეთუბანი*); მდებარეობდა შოთა მესხიას ქუჩასა და ყოფ. რესპუბლიკის (ახლანდ. ვარდების რევოლუციის) მოედანს შორის. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. დააპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ 1833–35. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც არტილერიის ქუჩა. 1893–1904 წლებში ამ ქუჩაზე მდებარეობდა გაზ. „კვალის“ რედაქცია, ამიტომ ქუჩას 1923 ჰ. ქ. დაერქვა. ქუჩამ იარსება 2006 წლამდე. ჰქონდა 1 ჩიხი. იხ. აგრეთვე ს. *ინაშვილის ქუჩა*.

აკაკი **კვანტალიანის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაშლიჯვარი*); პეტრე სარაჯიშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. 80-იან წლებში ეწოდა ა. *კვანტალიანის* სახელი.

დავით **კვაჭანტირაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილის ქუჩამდე. ქუჩას დ. *კვაჭანტირაძის* სახელი ეწოდა 2003.

კვერნაულის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

კვერნაული, სოფელი თიანეთის რ-ნში.

კვესეთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); ნიაბის ქუჩიდან განთიადის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

კვესეთი, სოფელი ქ. თბილისის შემადგენლობაში.

გიორგი **კვინიტაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*დიდუბე*); თამარ მეფის გამზირიდან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია როგორც ხვამლის ქუჩა. გ. *კვინიტაძის* სახელი ეწოდა 2006.

ხვამლი, მთიანი მასივი დას. საქართველოში.

კიევის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დავით აღმაშენებლის გამზირიდან მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 20-იან წლებში აქ დასახლდნენ გერმ. მოახალშენეები და ქუჩასაც გერმანელების ქუჩა ეწოდა (დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე). 1914 ბელგიის ქუჩა დაერქვა (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე). სახელწ. უკავშირდება I მსოფლიო ომის დასაწყისში, კერძოდ, 1914 გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევასა და მისი ტერიტორიის დაკავებას. 50-იან წლებში ჰ. ქ. დაერქვა.

კიევი, უკრაინის დედაქალაქი.

კიკეთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“.

კიკეთი, სოფელი ქ. თბილისის შემადგენლობაში.

ვასილ **კიკვიძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); პალიასტომის ქუჩიდან როსტოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 30-იან წლებში საფრანგეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის გენერალური მდივნის ჟ. დორიოს სახელი ერქვა (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე). 1938 ვ. *კიკვიძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

ძმები **კიკნაველიძეების ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); დარიალის ქუჩიდან არჩილ მიშველაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. დარიალის შესახვევს ძმები *კიკნაველიძეების* სახელი დაერქვა 2005.

კისისხევის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გურამ ასათიანის ქუჩიდან წრომის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებამდე კისისხევის II ქუჩა ერქვა. აქვს 1 შეს.

კისისხევი, სოფელი და მდინარე თელავის რ-ნში.

კიშინიოვის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); გეგუთის ქუჩიდან ბუგეულის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1958-მდე მოლდავეთის ქუჩა ერქვა ბოშათა დასახლების მისანიშნებლად.

კიშინიოვი, მოლდავეთის (მოლდოვის) დედაქალაქი.

კლარჯეთის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მდებარეობდა ნუკრიანისა და ლადო მესხიშვილის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში როგორც ვაღარშაპატის შესახვევი. 20-იან წლებში ქუჩა გახდა, 50-იან წლებში ჰ. ქ. დაერქვა. ქუჩა აღარ არსებობს ახლომდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის გამო.

კლარჯეთი, მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ახლანდ. თურქეთის ტერიტორია.

ვალარშაპატი, ქალაქი სომხეთში (1945–95 – ეჩმიაძინი).
კლდეკარის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); სამღერეთის ქუჩიდან გორდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. ადრე ლოტკინის დასახლების II ქუჩა ერქვა.
კლდეკარი, ისტორიული ციხესიმაგრე შუა საუკ. საქართველოში, თრიალეთში.
დავით **კლდიაშვილის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ოქროსუბანი*); მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩიდან გიორგი ჩიტაიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 40–50-იან წლებში. ქალაქის 1876 წ. გეგმაზე აღნიშნულია მოლოკნების ქუჩის სახელით, შემდეგ მისიონერის ქუჩა ერქვა. 1900 ქალაქის სათათბირომ მიანიჭა გენერალ დ. *მილიუტინის* სახელი. 1923 დ. *კლდიაშვილის* სახელი ეწოდა.
მოლოკნები, ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა რუსეთში.
ნიკოლოზ (კოკა) **კლდიაშვილის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ვერის ხეობამდე. ნ. *კლდიაშვილის* სახელი დაერქვა 1994.
კლდისუბანი, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*). ძველი თბილისის ერთ-ერთი მიკროუბანი *კალის* სამხრ. ნაწილში. შეფენილია სოლოლაკის ქედის კლდოვან კალთაზე, აქედან მოდის მისი სახელწ. „კ.“
კნოლევის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი, ღრმაღელე*); ეკა ბეჟანიშვილის ქუჩიდან ღრმაღელის I ჩიხამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 40-იან წლებამდე დეპუტატის II ქუჩა ერქვა. აქვს 2 შეს.
კნოლევი, სოფელი ქარელის რ-ნში.
კნოლევის II შესახვევი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ღრმაღელის შესახვევიდან მთის ფერდობამდე.
მამუკა **კობალაძის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის ქუჩიდან გულრიფშის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა კალუგის ქუჩა, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. შემდეგ ეწოდა მუშა-რევოლუციონერ ა. *კალუჟნის*, 2000 – მ. *კობალაძის* სახელი.
კალუგა, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში.
პიერ **კობახიძის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ვაშლოვნის ქუჩიდან ია ეკალაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ვაშლოვნის შესახვევი. 70-იან წლებში პ. *კობახიძის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.
ერმალოზ **კობერიძის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*პატარა გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან ანდრია რაზმაძის ქუჩამდე. ქუჩას ე. *კობერიძის* სახელი ეწოდა XX ს. 70-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.
კოდალოს ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დასაწყისი კაჭრეთის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.
კოდალო, გურჯაანის რ-ნის სოფ. ქოდალოს სახეცვლილი ფორმა.
კოდის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); მდებარეობდა იაკობ ცურტაველისა და მოსე ხონელის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ამჟამად აღარ არსებობს.
კოდა, სოფლები თეთრი წყაროსა და ქარელის რ-ნებში.
კოდორის ჭუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ქვაყრელი*); საგარეჯოს ქუჩიდან ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.
კოდორი, მდინარე და ხეობა დას. საქართველოში, აფხაზეთში.
ვლადიმერ **კოკინაკის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დასაწყისი ჯავის II შესახვევიდან. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 40-იან წლებამდე ჯავის II ქუჩა ერქვა, შემდეგ ვ. *კოკინაკის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.
ჯავა, დაბა ცხინვალის რეგიონში.
კონდოლის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ქუჩიდან ეფრემ ზაქარაიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. აქვს 1 შეს.
კონდოლი, სოფელი თელავის რ-ნში.



კლდისუბანი. წმიდა გიორგის ეკლესია.



მერაბ კოსტავას ქუჩა.

კონსტიტუციის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ოქროსუბანი*); მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩიდან გიორგი ჩიტაიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ფეიერვერკის ქუჩა, 1923 ე. *სართანიას* სახელი ეწოდა. 1938-იდან **პ. ქ.** ჰქვია. ქუჩაზეა შპს მრავალპროფილური №2 კლინიკური საავადმყოფო და ქალაქის კანისა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერი.

ვასილი **კოპცოვის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლულის I დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან მთის ფერდობამდე. ნავთლულის I დასახლების I ქუჩას ვ. *კოპცოვის* სახელი ეწოდა 1983.

კოსმონავტების სანაპირო, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს, შოთა შალიკაშვილისა (ყოფ. დიდუბის) და თამარ მეფის (ყოფ. ჩელიუსკინელების) ხიდებს შორის. სანაპიროს კოსმონავტების სახელი ეწოდა 1965 წ. 12 აპრილს.

მერაბ **კოსტავას ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); დასაწყისი კახეთის გზატკეცილიდან. იხ. მ. *კოსტავა*.

მერაბ **კოსტავას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); შოთა რუსთაველის მოედნიდან გმირთა მოედნამდე. კონსტანტინე *გამსახურდიას გამზირის* გამოყოფამდე (2006) გრძელდებოდა გიორგი საკაძის მოედნამდე. შუა საუკუნეებში აქ გადიოდა „დიღმის გზა“. XVIII ს. ბოლოს ცნობილი გახდა როგორც „რუსეთისკენ მიმავალი გზა“. აღნიშნულია ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. XIX ს. 60-იან წლებში მონაკვეთს ყოფ. ფოსტის მოედნიდან (მდებარეობდა ახლანდ. ვ. სარაჯიშვილისა და ა. გრიბოედოვის ქუჩების შესაყარზე) წყნეთის (ახლანდ. პ. მელიქიშვილის) ქუჩამდე *ოლღას* სახელი დაერქვა (დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე). 90-იან წლებში ქუჩის ბოლოში იდგა ღმის გასათევი სახლი და მსროლელთა ბატალიონის ყაზარმები. შემდგომ ქუჩა გაიზარდა *ჯვრის დაღმართამდე*. 1921 წ. 21 სექტემბერს ვ. *ლენინის* სახელი ეწოდა (თბილისი იყო ერთ-ერთი პირველი ქალაქი მთელ მსოფლიოში, რ-ის ქუჩასაც ვ. ლენინის სახელი დაერქვა). ამავე დღეს ქუჩის დასაწყისში გაიხსნა ვ. ლენინის სკულპტურული მონუმენტი (მოქანდაკე ვ. სერგეევი). **პ. ქ.** თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ლენინის პროსპექტი. 30-იან წლებში ქუჩა მთავრდებოდა ყოფ. აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან, საიდანაც იწყებოდა *საქართველოს სამხედრო გზა*. 1932 ლენინის ქუჩის გაგრძელებაზე, მდ. ვერეზე ქვის ახალი ხიდი აიგო და ქუჩა გასწორდა, ამაღლდა. 50–60-იან წლებში დამთავრდა ქუჩის გაფართოება გმირთა მოედნიდან გ. საკაძის მოედნამდე. 1989 ქუჩას მ. *კოსტავას* სახელი ეწოდა.

პ. ქ. ქალაქის ერთ-ერთი მძლავრი სატრანსპ. მაგისტრალია. ქუჩის დასაწყისში, მარცხ. მხარეს, მაღალი საყრდენი კედლის ფონზე არის მეტროს სადგური „შოთა რუსთაველის მოედანი“. XX ს. 80-იან წლებში მარცხ. მხარეს მდებარე XIX–XX სს. საცხოვრ. სახლებში გამოათავისუფლეს პირველი სართულები და მოაწყვეს გადახურული გალერეა-პასაჟი, რ-შიც შეიტანეს ტროტუარი, რის შედეგადაც გაგანიერდა საკმაოდ ვიწრო სატრანსპ. გზა. ქუჩაზე განლაგებულია საცხოვრ. სახლები, სასწ. და ადმ.-საზ. დანიშნულების მრავალი შენობა: ყოფ. გამომცემლობა „სამშობლო“, ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი (ვერის ბაღი), კინოთეატრი „ამირანი“, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის, ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის, კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ინ-ტები. ქუჩაზე მდებარე



მერაბ კოსტავას ქუჩა. ვერის ბაღი.

XIX ს. დასასრულის და XX ს. დასაწყისის სახლები №№13, 27, 35, 38, 41, 43 აყვანილია აღრიცხვაზე როგორც არქიტ. ძეგლები. დგას სკულპტურული კომპოზიცია „მუზა“ (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. ი. ჩხენკელი), „სწრაფვა“ (მოქანდაკე გ. თვრინელი), ე. თაყაიშვილის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი. არქიტექტორები: ა. გურული, მ. ყრუაშვილი), მ. კოსტავას ბიუსტი (მოქანდაკე კ. არუნაშვილი. არქიტ. მ. იორდანიშვილი). 2007 ქუჩის დასაწყისში გაშენდა ყვავილნარი, კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია. აქვს 1 შეს., სადაც განთავსებულია შპს „თბილისის წყალი“ და სააქციო საზ-ბა „ლაგუნა ვერე“.

ვახტანგ **პოტეტიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); პავლე ინგოროყვას შესახვევიდან ბესიკის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1923-მდე მთაწმინდის ქუჩა ერქვა (დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე), შემდეგ – ა. *ობოლაძისა*. 1990 ვ. *კოტეტიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

პოშკოვანის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); შირაქის ქუჩიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

შალვა **პოხრეიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი ჭყონდიდელის ქუჩიდან რიონჰესის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ხარატის ქუჩა ერქვა, 70-იან წლებში შ. *კოხრეიძის* სახელი ეწოდა.

პოჯრის ახალი გზა, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); მისასვლელი მარო მაყაშვილის აღმართიდან.

პოჯრის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); კოჯრის ქუჩიდან სოლოლაკის ხეივნამდე.

პოჯრის გზატკეცილი, მარო მაყაშვილის აღმართიდან კოჯორში მიმავალი გზატკეცილი. №1-ში განთავსებულია ნ. კეცხოველის სახ. ბოტანიკის ინ-ტი.

პოჯრის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); ლადო ასათიანის ქუჩიდან ამაღლების გასასვლელამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. გზა მიემართებოდა კოჯრისაკენ და სათავეს იღებდა თბილისში კოჯრის კართან. XIX ს. 40-იან წლებში გზის საწყის მონაკვეთს ახლანდ. ლადო



კოჯრის ქუჩა.

ასათიანის ქუჩამდე ეწოდა ა. *გელიამბოვის* სახელი (ახლანდ. შალვა *დადიანის ქუჩა*), ქუჩის შუა ნაწილს – ბაღის ქუჩა (ახლანდ. ლ. *ასათიანის ქუჩა*), ხოლო ბოლო მონაკვეთს შერჩა გაფრცელებული სახელწოდება – კოჯრის გზა. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც პ. ქ. ქუჩაზე შემონახულია XIX ს. II ნახევრის საცხოვრ. სახლები.

პოჯორი, დაბა ქ. თბილისის შემადგენლობაში.

ივანე **პრილოვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი; დავით აღმაშენებლის გამზირიდან დიმიტრი უზნაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. 1894, ი. *კრილოვის* გარდაცვალების 50-ე წლისთავის აღსანიშნავად მისი სახელი ეწოდა. დატანილია თბილისის 1897 წ. გეგმაზე.

პრწანისი, ისანი-სამგორის რ-ნი. უბანი (შუა საუკუნეებში – სოფელი) თბილისის სამხრ.-აღმ. ნაწილში, მტკვრის მარჯვ. მხარეს, ახლანდ. კრწანისის ქუჩის მიდამოებში. წყაროებში პირველად იხსენიება 1392 წ. შედგენილ სვეტიცხოვლის კუთვნილ მამულთა ნუსხაში. 1795 აქ გაიმართა კრწანისის ბრძოლა. კრწანისის საცხოვრ. რ-ნი განაშენიანებულია მთის ორ ფერდობს შორის. განაშენიანება იყოფა ზედა და ქვედა კომპლექსებად.

პრწანისის I გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*კრწანისი*); კრწანისის ქუჩიდან კრწანისის II გასასვლელამდე.

პრწანისის II გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*კრწანისი*); კრწანისის ქუჩიდან კრწანისის I გასასვლელამდე.

პრწანისის III გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*კრწანისი*); მისასვლელი კრწანისის ქუჩიდან.

პრწანისის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*კრწანისი*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 3 გას., 1 ჩიხი.

ჟუკია, თბილისის ძველი მიკროუბანი. გვიანდ. შუა საუკუნეებში – ქალაქისპირა სოფელი. *ვახუშტი ბატონიშვილს* თბილისის გეგმაზე (1735) ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირის დასაწყისში, დაახლ. ზაარბრიუკენის მოედნის მიდამოებში, დატანილი აქვს მცირე დასახლება „ახალი სოფელი“. იგივე სოფელი ნაჩვენებია შედარებით გვიანდელ გეგმებზეც. სოფელი პ-ის სახელით ამ ადგილზე პირველად გვხვდება პეტერბურგის მეცნ. აკად. წევრის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის 1772 წ. რუკაზე. შემდგომ წლებში პ. გაიზარდა და დაიკავა მტკვრის აღმა, ჩრდ-ით მდებარე ტერიტორია. პ. 1824 თბილისს მიაკუთვნეს (იხ. აგრეთვე *ახალი კუკია, ძველი კუკია*).

ჟუმისის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კუმისის შესახვევიდან მიხეილ ბუხაიძის ქუჩამდე.

ჟუმისის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ნინო ჩხეიძის ქუჩიდან მიხეილ ბუხაიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ამატუნის ქუჩა (მეფე ერეკლე II-მ ამ ადგილას მდებარე სოფ. ჩუღურეთი 1795 თავად გიორგი ამატუნს უწყალობა). 1923 პ. ქ. დაერქვა. აქვს 1 გას., 1 შეს.

ჟუმისი, სოფელი და ტბა გარდაბნის რ-ნში.

ვიქტორ **კუპრაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი-3*); ჯავახეთის ქუჩასა და 406^{3} კორპუსს შორის. ქუჩას ვ. *კუპრაძის* სახელი ეწოდა 1990.

კურსების ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ ლუბოვსკის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იანი წლების დასაწყისში.

კურსები, სოფელი ტყიბულის ზონაში.

კურსკის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მდებარეობდა სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევსა და რვა მარტის ქუჩას შორის; ამჟამად სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩის ნაწილია. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კურსკის შესახვევი.

კურსკი, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში.

ბორის **კუფტინის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); გია აბესაძის ქუჩიდან მიხეილ ლერმონტოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც აბასაბადის შესახვევი. სახელწ. უკავშირდება იქვე მდებარე აბასაბადის, ახლანდ. ლ. *გუდიაშვილის მოედანს*. 1923 ს. ალავერდოვის შესახვევი დაერქვა (იხ. ს. *ალავერდოვი*), 60-იან წლებში – პ. ქ. (იხ. ბ. *კუფტინი*). შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლი №7. აქვს 1 ჩიხი.



ივანე კრილოვის ქუჩა.



მერაბ კოსტავას ქუჩა.



ლაგოდეხის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ნიკიფორე ირბახის ქუჩიდან ისააკ ალიხანიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა ლაიბ-გვარდიის ჰუსართა პოლკის როტმისტრის მიხეილ დიმიტრის ძე მასლოვის სახელი. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც **ლ. ქ.** აქვს 1 შეს.

ლაგოდეხი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

სერგეი **ლაზოს ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); დავით სარაჯიშვილის ქუჩიდან წყალსადენის ქუჩამდე. ქუჩას ს. *ლაზოს* სახელი დაერქვა XX ს. 60-იან წლებში.

ლაითურის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); მაჩხაანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

ლაითური, დაბა ოზურგეთის რ-ნში.

ლაილაშის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); აბაშის ქუჩიდან დავით გივიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

ლაილაში, სოფელი ცაგერის რ-ნში.

ლალიონის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან სოლომონ ქურდიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ბუფერის შესახვევი. 60-იან წლებში ა. *ლალიონის* სახელი დაერქვა.

ლალიონის შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); სოლომონ ქურდიანის ქუჩიდან გიორგი გურგენიძის შესახვევამდე.

ლამის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დიღომბარის ქუჩიდან დავით ბერიაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის დასაწყისი, დიღომბარის ქუჩიდან ლამის I შესახვევამდე, დატანილია როგორც ლამის ქუჩა, ხოლო ბოლო მონაკვეთი – როგორც ლამის II ქუჩა. აქვს 3 შეს. (II შეს. – ყოფ. ლამის შეს.), 2 ჩიხი.

ლამისყანის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); წერონისის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. ადრე ლოტკინის დასახლების V ქუჩა ერქვა.

ლამისყანა, სოფელი კასპის რ-ნში.

ნიკოლოზ **ლანდიას ჭუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი-3*); დასაწყისი დიმიტრი ალექსიძის ქუჩიდან (II მიკრორაიონის მე-14 და 29-ე კორპუსებს შორის). 1987 ქუჩას ნ. *ლანდიას* სახელი ეწოდა.

ლანჩხუთის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ხონის ქუჩიდან ლაილაშის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

ლანჩხუთი, ქალაქი დას. საქართველოში.

ლარეხის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ართვინის ქუჩიდან ნორიოს აღმართამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც არაქელას ქუჩის ნაწილი. თბილისის 1940 წ. ცნობარში შეტანილია **ლ. ქ**-ის სახელწოდებით. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ლარეხის I შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ნორიოს აღმართსა და ლარეხის I ჩიხს შორის.

ლარეხის I ჩიხი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დასაწყისი ნორიოს აღმართიდან.

ლარსის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); ვასილ პეტრიაშვილის ქუჩიდან ბარნოვის III ჩიხამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 შეს.

ლარსი, გასასვლელი (ვიწრობი) და სოფელი დარიალის ხეობაში, საქართვ.-რუსეთის სასაზღვრო პუნქტი.

მიტროფანე **ლალიძის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); შოთა რუსთაველის გამზირიდან ძმები ზუბალაშვილების



მიტროფანე ლალიძის ქუჩა.

ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 40-იან წლებში. 50-იან წლებში ამ ქუჩაზე ცხოვრობდა კავკ. მეფისნაცვლის კანცელარიის მმართველი ა. *კრუზენშტერნი* და ქუჩასაც მისი სახელი დაერქვა, დატანილია ქალაქის 1867 წ. გეგმაზე. 1923 – ა. გ. *წულუკიძის*, 1990 მ. *ლალიძის* სახელი ეწოდა.

რევაზ **ლალიძის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); შოთა რუსთაველის გამზირიდან მარი ბროსეს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. დააპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ 1833–35. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც დიდი წყალსაზიდი ქუჩა. ამ ქუჩით თულუხჩები ეშვებოდნენ მტკვრის სანაპიროზე, იღებდნენ წყალს ხარის ან კამეჩის ტყავისაგან დამზადებული რუმბებით (თულუხები) და ქალაქში მოჰქონდათ. 1896, ოპერისა და ბალეტის თეატრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ქუჩას თეატრალური ეწოდა. 1905 ყოფ. ქალაქისთავის გიორგი გრიგოლის ძე ევანგულოვის (ივანგულაშვილის) სახელი დაერქვა, 1923 – ა. *ლუნაჩარსკისა*. ქუჩას რ. *ლალიძის* სახელი ეწოდა 1990. შემონახულია XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. რ. ლალიძის ქუჩა იყო, აგრეთვე, დიღომში (ახლანდ. კ. *ჩაჩავას ქუჩა*).

ლებარდის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); სენაკის ქუჩიდან ცაიშის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ლებარდე, კურორტი დას. საქართველოში, მარტვილის რ-ნში.

სტეფანე **ლეკიშვილის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ჩარგლის ქუჩიდან ავეტიქ ისააკიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ქუჩას ს. *ლეკიშვილის* სახელი ეწოდა 1978.

ლენტეხის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ტერენტი გრანელის ქუჩიდან ლენტეხის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ალაგირის გასასვლელი.

ლენტეხის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); იაროსლავსკის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ალაგირის შესახვევი. 60-იან წლებში **ლ. ქ.** დაერქვა. აქვს 1 გას.

ლენტეხი, დაბა დას. საქართველოში, ქვემო სვანეთში.

ალაგირი, ქალაქი ჩრდ. ოსეთში.

გიორგი **ლეონიძის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); თავისუფლების მოედნიდან პაოლო იაშვილის ქუჩამდე. ალ. პიშჩევიჩის თბილისის გეგმის (1785) მიხედვით ამ ადგილას ყოფილა „ერეკლეს ბაღი“. ქუჩა წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. ადრე მთის ქუჩა ერქვა, 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სოლოლაკის ქუჩა, 1922 აღმასკომის ქუჩა დაერქვა, ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 1935 –

ს. *კიროვის*, 1990 გ. *ლეონიძის* სახელი ეწოდა (იგი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა). ქუჩის ხუროთმოძღვრული სახე XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა. სახლების უმეტესობა რენესანსულ-ბაროკოული სტილისაა. ცალკეულ შენობათაგან საინტერესოა ახლანდ. ეროვნული ბანკის შენობა (1913; არქიტ. მ. ოჰანჯანოვი. „მოდერნი“). ქუჩაზეა ფულის მუზეუმი, ა. ხორავას სახ. მსახიობის სახლი, XIX ს. დასასრულის და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 ჩიხი.

ვახტანგ **ლეჟავას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამზირიდან სოლიკო ხაბეიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ქუჩას ვ. *ლეჟავას* სახელი ეწოდა 1977.

მიხეილ **ლერმონტოვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა, სოლოლაკი*); ლადო გუდიაშვილის მოედნიდან დანიელ ჭონქაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 20–30-იან წლებში. 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მთის ქუჩა. 1900 დაერქვა მ. *ლერმონტოვის* სახელი და მაშინვე მიიერთა ყოფ. დიდი მრუდე (ახლანდ. აბო თბილელის) ქუჩის პატარა მონაკვეთი (გადმოცემით, თბილისში ყოფნისას ქუჩის ამ მონაკვეთზე მდებარე სახლში ცხოვრობდა მ. ლერმონტოვი). ქუჩა განაშენიანებულია XIX ს. II ნახ. და XX ს. დასაწყისის რენესანსულ-ბაროკოული სტილისა და თბილისური საცხოვრ. სახლის ტიპის შენობებით.

ლერწმის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); მტკვრის მარცხენა სანაპიროდან მანავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია როგორც შესახვევი, თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში – როგორც ქუჩა.

ლესია უკრაინკას ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); შოთა რუსთაველის გამზირიდან ზურაბ ჟვანიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც გიმნაზიის შესახვევი (სახელწ. უკავშირდება თბილისის კლასიკურ გიმნაზიას), 1923 მაქსიმ *გორკის* სახელი დაერქვა, შემდეგ – სახკომსაბჭოს ქუჩა (ასეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე). 50-იანი წლებიდან ლესია *უკრაინკას* სახელი ჰქვია. ლ. უკრაინკა თბილისში პირველად 1903 ჩამოვიდა და ამ ქუჩის მახლობლად ცხოვრობდა.

ლეჩხუმის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მახინჯაურის ქუჩიდან გომარეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. აქვს 3 შეს.

ლეჩხუმი, მხარე დას. საქართველოში.

ლვოვის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); სოფრომ მგალობლიშვილის ქუჩიდან ბუდაპეშტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში და ლვოვის ქუჩა დაერქვა. 1992 ვ. ყუშიტაშვილის სახელი ეწოდა. 2006 დაუბრუნდა ძვ. სახელი – ლ. ქ. აქვს 2 შეს. (I შეს. – ყოფ. IV შეს., II შეს. – ყოფ. V შეს.).

ლვოვი, ქალაქი უკრაინაში.

ლიახვის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ორმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. მე-12 ქუჩას ლ. ქ. ეწოდა 50-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.

ლიახვი (დიდი ლიახვი), მდინარე აღმ. საქართველოში.

ლიბანის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აგჭალა*); დავით სარაჯიშვილის ქუჩიდან ჭრებალოს I შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე *ვახტანგ I* გორგასლის სახელი ერქვა. 70-იან წლებში ლ. ქ. ეწოდა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ლიბანი, სოფელი ბორჯომის რ-ნში.

ლითონკონსტრუქციების ქარხნის დასახლება („ზმკ“), იხ. *წმინდა პარპარეს დასახლება.*

ლიკანის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის ქუჩიდან ეროსი მანჯგალაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე სამხრეთის ქუჩა ერქვა. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 50-იან წლებში ლ. ქ. ეწოდა.

ლიკანი, კურორტი, ყოფ. სოფელი (შეუერთდა ბორჯომს).

ლილოს დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი. დასახლება თბილისის სამხრ.-აღმ. ნაწილში, *აეროპორტის დასახლების* შემ-



გიორგი ლეონიძის ქუჩა. საქართველოს ეროვნული ბანკი.

დეგ. პირველად იხსენიება XVII ს. წყაროებში, თუმცა ერთ-ერთი უძველესი დასახლებაა. აქვს 2 მიკრორაიონი. მეორე მიკრორაიონი მოიცავს 4 კვარტალს (I, II, IV, V).

ლილოს შესასხვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); ტირიფონის ქუჩიდან სამრეკლოს ქუჩის I შესასვევამდე. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც გოგამის შესასვევი. 50-იან წლებში ლ. შ. დაერქვა.

იაკინთე **ლისაშვილის გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); იაკინთე ლისაშვილის ქუჩიდან სანავარდოს ქუჩამდე და იაკინთე ლისაშვილის შესასვევამდე. ყოფ. ბერძენულის გასასვლელი.

იაკინთე **ლისაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ჟღენტის ქუჩიდან იაკინთე ლისაშვილის შესასვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე – ახტალის II ქუჩა, 40-იანი წლებიდან ბერძენულის ქუჩა ერქვა. 1973 ი. *ლისაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას., 1 შეს. (ყოფ. ბერძენულის შეს.).

ახტალა, ტალახით სამკურნალო ბალნეოლ. კურორტი გურჯაანში.

ბერძენაული, სოფ. ქარელის რ-ნში.

ლისის ტბის დასახლება, ვაკე-საბურთალოს რ-ნი; დასახლება ზემო ვეძისსა და ლისის ტბას შორის.

ლიუბლიანის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); დასაწყისი სანდრო ახმეტელის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. ყოფ. დიღმის ქუჩას ლიუბლიანის ქუჩა ეწოდა 1975. ქუჩაზეა შპს „თბილისის საიუველირო ქარხანა“. განთავსებულია სამკურნ. დაწესებულებები: მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნ. სამედ. ცენტრი, თბილისის სახელმწ. სამედ. უნ-ტის გ. ჟვანიას სახ. პედიატრიული კლინიკა, ჯო ენ-ის სახ. სამედიცინო ცენტრი.

ლიუბლიანა, სლოვენიის დედაქალაქი, თბილისთან დაძმობილებული ქალაქი.

ლიხაურის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ლიხაური, სოფელი ოზურგეთის რ-ნში.

ლიხაურის შესასხვევი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ლიხაურის ჩიხი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ლიხის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); კოტე მესხის ქუჩასა და შესასვევს შორის.

ლიხის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ვეძინის ქუჩიდან ლიხის შესასვევამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. აქვს 1 გას., 1 შეს.

ლიხის ქედი, სურამის ქედი, საქართველოს ყოფს აღმ. და დას. ნაწილებად. შავი და კასპიის ზღვის აუზების წყალგამყოფი.

ჭოლა **ლომთათიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კრემატორიუმის ქუჩა, 60-იან წლებში ჭ. *ლომთათიძის* სახელი ეწოდა. აქვს 2 შეს., 3 ჩიხი.

ბესარიონ **ლომინაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (ზემო *ფონიჭალა*); რკინიგზიდან მარნეულის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ა. *პუშკინის*, შემდეგ ბ. *ლომინაძის* სახელი ეწოდა.

მიხეილ **ლომონოსოვის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ლვოვის ქუჩიდან ვაზისუბნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ლვოვის III შესასვევი ერქვა. 1964 ქუჩას მ. *ლომონოსოვის* სახელი ეწოდა.

ლვოვი, ქალაქი უკრაინაში.

ნიკო **ლომოურის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ქედის შესასვევიდან კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც პოკროვსკის ქუჩა (სახელწ. დაკავშირებულია აქ მდებარე „ოფიცერთა პოკროვსკის ყაზარმასთან“). 1923 ნ. *ლომოურის* სახელი დაერქვა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

გრიგოლ **ლორთქიფანიძის გასასვლელი**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩიდან მოსკოვის გამზირამდე.

გრიგოლ **ლორთქიფანიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); მოსკოვის გამზირიდან ნავთლულის II დასახლების VII ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრინდელი *ქინძმარაულის ქუჩის* ერთ მონაკვეთს 1967 – კაიროს, 1996 გ. *ლორთქიფანიძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა შპს „რკინაბეტონის შპალის ქარხანა“ და შპს „უშბა დისტილერი“. ქუჩას აქვს 1 გას.

კაირო, ეგვიპტის დედაქალაქი.

ქინძმარაული, ადგილი აღმ. საქართველოში, ყვარლის რ-ნში.

ნიკო **ლორთქიფანიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); დეკაბრისტების მოედნიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ხარლამპიევის შესასვევი. 1923 ქუჩას – კასუმ ისმაილოვის (რევოლუციონერ-ბოლშევიკი, მოკლეს ბაქოში), 40-იან წლებში – გ. *პაიდუკოვის*, 60-იან წლებში ნ. *ლორთქიფანიძის* სახელი ეწოდა.

ლოტკინი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. თბილისის ერთ-ერთი უბანი მტკვრის მარცხ. მხარეს, თბილისის წყალსაცავის მახლობლად. ტოპონიმმა ლ-მა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. 1848 წ. შედგენილ თბილისის მიდამოების გეგმაზე დატანილია როგორც ლოტიკი („ლოტიკის თავის გორა“, „ლოტიკის გორა“). 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია ლოტკის ქუჩა (ახლანდ. ვ. *ალექსი-მესხიშვილის ქუჩა*), ლოტკის მოედანი და შესასვევი.

ლოტკინის მთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის ქუჩიდან სამღერეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ლოტკინის ხევი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის ქუჩიდან ლოტკინის მთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ლოჭინი, ისანი-სამგორის რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის აღმ. ნაწილში, მდ. ლოჭინს, კახეთის გზატკეცილსა და რკინიგზას შორის. დაგეგმარდა XX ს. 70-იან წლებში.

ლოჭინი, ლოჭინისხევი, მდინარე, მტკვრის მარცხ. შენაკადი.

ლოჭინის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ლოჭინის შესასვევიდან შიო არაგვისპირელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ლოჭინის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); მაქსიმ გორკის ქუჩიდან ვეძათხევის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესასვევი. აქვს 1 გას., 1 შეს.

ვლადიმერ **ლუბოვსკის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); სანავარდოს ქუჩიდან გეგუთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ავიაქიმის ქუჩა ერქვა. სახელწ. დაკავშირებულია საზ-ბა „ავიაქიმთან“ (ოსოავიაქიმი – თავდაცვის, საავიაციო და ქიმ. მშენებლობის ხელშემწყობი საზ-ბა). 1995 ვ. *ლუბოვსკის* სახელი ეწოდა.

არტემ **ლუსინიანის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*შავი სოფელი*); სამასი არაგველის ქუჩიდან ბოჭორმის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე დატანილია როგორც შავსოფლის შესასვევი, შემდეგ შირაქის I შესასვევი ერქვა. XX ს. 70-იან წლებში ა. *ლუსინიანის* სახელი ეწოდა.

შირაქი, შირაქის ვაკე, ვაკე ალაზან-ივრის შუამდინარეთში.

გიორგი **მაზნიაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დავით აღმაშენებლის გამზირიდან არნოლდ ჩიქობავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. მ. ქ. ერთ-ერთია იმ 32 ქუჩიდან, რ-ებიც გაყვანილია 1846 შექმნილი „თბილისის გარეუბნების მომწყობი კომისიის“ მიერ გენ.-ლეიტენანტ ი. *რეუტის* თავმჯდომარეობით. თავდაპირველად რეუტის ქუჩა ერქვა (დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე), 1923-იდან — ა. *მერკვილაძის*, შემდეგ — *გიორგი ჭყონდიდელის*. ამ ქუჩაზე ცხოვრობდა გენერალი გ. *მაზნიაშვილი*, რის გამოც 1991 ქუჩას მისი სახელი ეწოდა. შემონახულია XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.



გიორგი მაზნიაშვილის ქუჩა №12.

გრიგოლ **მათიაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლულის I დასახლება*); მესხეთის ქუჩიდან ვასილი კოპცოვის ქუჩამდე. ნავთლულის I დასახლების VI ქუჩას პროფესიონალი რევოლუციონერის გ. მათიაშვილის სახელი ეწოდა 1983.

ვლადიმერ **მაიაკოვსკის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთისა და ძველი თბილისის რ-ნები (*დიდუბე*); გიორგი ცაბაძის ქუჩიდან დავით ყიფიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ადრე ერქვა მუშთაიდის სავალი (გასასვლელი). სახელი უკავშირდება იქვე მდებარე „მუშთაიდის“ ბაღს (იხ. *მუშთაიდი*). 40-იან წლებში ვ. *მაიაკოვსკის* სახელი დაერქვა.

ევგენია **მაისურაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილის დასახლება*); მიხეილ გახოკიძის ქუჩიდან მეგობრობის გამზირამდე. ყოფ. უსახელო ქუჩას ე. *მაისურაძის* სახელი ეწოდა 1982.

ზაქარია **მაისურაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან გლდანის პატარა ტბამდე. ადრე ერქვა ვ. ლენინის ქუჩა, 1991 ზ. *მაისურაძის* სახელი ეწოდა.

მალხაზის შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩიდან მანავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

მერაბ **მამარდაშვილის გასასვლელი**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); მერაბ მამარდაშვილისა და მნათობის ქუჩებს შორის.

მერაბ **მამარდაშვილის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთისა და ძველი თბილისის რ-ნები (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან ართვინის ქუჩამდე. თბილისის 1902 წ. გეგმაზე დატანილია როგორც არდონის შესახვევი, 1934 წ. გეგმაზე — როგორც არდონის ქუჩა. 1996 მ. *მამარდაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას., 2 შეს.

არდონი, მდინარე და ქალაქი ჩრდ. ოსეთში.

ვაგან **მამასახლისოვის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); უნივერსიტეტის ქუჩიდან მიხეილ შავიშვილის ქუჩამდე. ქუჩა წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში და ვ. *მამასახლისოვის* სახელი დაერქვა.

მამკოლის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); იპოლიტე ვართაგავას ქუჩიდან კარლო მორეტისა და ანდრია რაზმაძის ქუჩებამდე, გლდანის მასივის IV მიკრორაიონსა და თიანეთის გზატკეცილს შორის. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

მამკოლა, სოფელი მცხეთის რ-ნში, თბილისის მახლობლად.

მამკოლის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); ბზიფის შესახვევიდან გალავნის ქუჩამდე. მოიცავს ყოფილ მებრძოლის ქუჩას (თეზმის ქუჩიდან გალავნის ქუჩამდე); რევოლუციამდე ამ მიდამოებში რუს. არმიის შენაერთების — ტფილისისა და სამეგრელოს პოლკების ბანაკები იყო განლაგებული. ყოფ. სახელწოდებაც, როგორც ჩანს, აქედან მოდის.

პეტრე **მამრაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); დასაწყისი ცხრა ძმის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ადრე სუნჯის ქუჩა ერქვა, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში, 60-იან წლებში პ. *მამრაძის* სახელი ეწოდა.

სუნჯა, მდინარე ჩრდ. კავკასიაში, თერგის მარჯვ. შენაკადი.

პეტრე **მამრაძის ხევი**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ცხრა ძმის ქუჩამდე. ადრე სუნჯის ხევი ერქვა. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე.

მამუკას სოფელი, ისანი-სამგორის რ-ნი. შუა საუკ. სოფელი თბილისის აღმ. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს, ახლანდ. საავიაციო ქ-ნის მიდამოებში. ისტ. წყაროებში პირველად იხსენიება 1721.

მამუკას შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); დასაწყისი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

„მამულიშვილთა ხიდი“, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი; რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გადასასვლელი ხიდი. სახელი ეწოდა 2003, სოხუმის მისადგომებთან დაღუპულ რკინიგზის მე-8 სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლთა უკვდავსაყოფად.

ავთანდილ **მანაგაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); შოთა მიქატაძის ქუჩიდან კისისხევის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც იურიევის შესახვევი. 1923-იდან მ. ჩოდრიშვილის შესახვევი ერქვა (იხ. მ. *ჩოდრიშვილი*). 1991 ა. მანაგაძის სახელი ეწოდა.

იურიევი, ქალაქი ესტონეთში, 1919-იდან — ტარტუ.

ალექსანდრე **მანაგაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); ბაღნარის ქუჩიდან გრიგოლ ხანთელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ჯერ გ. *საკაძის* სახელი ერქვა, შემდეგ — ე. *ჩიქვანაიასი*. 1996 ა. *მანაგაძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა წმინდა ქეთევან წამებულის სახ. ტაძარი, სადაც დაბრძანებულია ქ. სერგიევ-პოსადიდან 2003 ჩამოსვენებული ქეთევან წამებულის ნეშტის წმინდა ნაწილები. ქუჩას აქვს 5 ჩიხი.

სერგიევ-პოსადი (1930–91 — ზაგორსკი), ქალაქი რუსეთის ფედერაციაში. ცნობილია სერგის სამების ლავრით (XIV ს.).

მანავის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); დასაწყისი ლერწმის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

მანავი, სოფელი საგარეჯოს რ-ნში.

მანგლისის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ტყეკულტურის I შესახვევიდან ტყეკულტურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებამდე ტყეკულტურის II ქუჩა ერქვა.

მანგლისი, დაბა თეთრი წყაროს რ-ნში.

კახა **მანიჭაშვილის ჭუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ასხის ქუჩიდან ცაიშის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თავდაპირველად ქვალონის ქუჩა ერქვა, შემდეგ – ქვალონის I ქუჩა, 40-იან წლებში კვლავ ქვალონის ქუჩა დაერქვა. 1998 კ. *მანიჭაშვილის* სახელი ეწოდა.

ქვალონი, ყოფ. სოფელი ხობის რ-ნში, რკინიგზის ბაქანი სენაკ – ხობის გადასარბენზე.

ეროსი **მანჯგალაძის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ნაძლადევი*); ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მაგისტრალის ქუჩა, 50-იან წლებში ვ. *თოფურიძის* სახელი დაერქვა, 1990-იან წლებში – ე. *მანჯგალაძის*. აქვს 2 შეს. ქუჩაზეა ივერიის ღვთისმშობლის ხატის და წმინდა სამების ეკლესიები.

ეროსი **მანჯგალაძის I შესახვევი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ნაძლადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან გიორგი სააკაძის ქუჩამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მაგისტრალის III შეს. (მაგისტრალის I შეს., რ-იც მდებარეობდა ახალქალაქისა და მაგისტრალის ქუჩებს შორის, აქვე მდებარე ნატანების ქუჩასთან ერთად გაუქმდა მომდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის გამო).

მარაბდის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვაკე*); ნინა ჟვანიას ქუჩიდან მთის ფერდობამდე. ქუჩაზეა წმინდა გიორგის სახ. ეკლესია.

მარაბდა, თეთრი წყაროს რ-ნის სოფლების ახალი და ძველი მარაბდის გავრცელებული სახელწოდება.

რევაზ **მარგიანის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან მხატვრის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. თავდაპირველად პ. *ათშვილის* სახელი ერქვა. 1990 რ. *მარგიანის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

მარელისის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ქინძმარაულის ქუჩიდან ნაკადულის ქუჩამდე. ავეჯის კომბინატის მიმდებარე უსახელო ქუჩას მ. ქ. ეწოდა 1964.

მარელისი, სოფელი ხარაგაულის რ-ნში.

ნიკო **მარის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძლადევი*); ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ქუჩიდან შალვა ცინცაძის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ზაჰესის ქუჩა ერქვა. 1995 ნ. *მარის* სახელი ეწოდა. აქვს 2 ჩიხი.

ზაჰესი, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, ჰესი მდ. მტკვარზე.

მარიჯანის ჭუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); პეტრე ქავთარაძისა და შალვა ნუცუბიძის ქუჩებს შორის. ადრე ვაჟა-ფშაველას VII შესახვევი ერქვა. ქუჩას მ. *მარიჯანის* სახელი ეწოდა 1981.

მარნეულის გზატკეცილი, ისანი-სამგორის რ-ნი. ყოფ. ბორჩალოს გზატკეცილი. იწყება რუსთავის გზატკეცილიდან.

მარნეულის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (ქვემო *ფონიჭალა*); რუსთავის გზატკეცილიდან მტკვრის სანაპირომდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე კ. *მარჯანიშვილის* სახელი ერქვა. 1938 მ. ქ. ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

მარნეული, ქალაქი ალმ. საქართველოში. 1947-მდე – ბორჩალო.

მარტვილის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); ბეჟან (ჟანი) კალანდაძის ქუჩიდან ვახტანგ გორგასლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებამდე ნადიკვრის II ქუჩა ერქვა, შემდეგ მ. ქ. ეწოდა.

მარტვილი, ქალაქი დას. საქართველოში (1936–89 – გეგეჭკორი).

ნაღიკვარი, თელავის უბანი, ყოფ. სოფელი.

მარტყოფის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*აკლაბარი*); ნიკიფორე ირბახის ქუჩიდან კონსტანტინე ერისთავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. აქვს 1 შეს., 2 ჩიხი.

მარტყოფი, სოფელი გარდაბნის რ-ნში.



მარცხენა სანაპირო.

გიორგი **მარუაშვილის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი (გიგო) ზაზიაშვილის ქუჩიდან წყაროს ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 1969-მდე პ. მონტინის IV შესახვევი ერქვა, შემდეგ – ა. *ზაკომოლდინის*, 1990 გ. *მარუაშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნ. ცენტრი.

მარუხის გმირების ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ტიციან ტაბიძის ქუჩიდან ბესიკ ბურკიაშვილის ქუჩამდე. ადრე მცხეთის ჩიხი იყო, 1965 *მარუხის გმირების* სახელი ეწოდა.

მარუხი, უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთავარ ქედზე. აქ სასტიკი ბრძოლები მიდიოდა გერმ. ფაშისტთა წინააღმდეგ. ბრძოლის ადგილზე აღმართულია კავკასიის დამცველთა მემორიალი (1968; არქიტექტორები ვ. დავითაია, ა. ჩიქოვანი. მოქანდაკე გ. კალაძე).

მარცხენა სანაპირო, თბილისის ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი. მიუყვება მდ. მტკვრის მარცხ. მხარეს. მ. ს-ს კეთილმოწყობის სამუშაოები დაიწყო XX ს. 30-იან წლებში, რაც განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ომის შემდგომ პერიოდში. 1948–49 დამთავრდა საყრდენი კედლის მშენებლობა ელბაქიძის (ახლანდ. გალაკტიონის) და ნ. ბარათაშვილის ხიდებს შორის. მ. ს-ს ექსპლუატაციაში შესვლით შეიქმნა მნიშვნელოვანი სატრანზიტო მაგისტრალი, რ-მაც განაპირობა მოხერხებული და უმოკლესი კავშირი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე რაიონებთან. აიღეს სანაპიროზე განლაგებული წვრილი კუსტარული (უმთავრესად ხის სახერხი) საწარმოები, წყლის წისქვილები, ძველი, 1- და 2-სართულიანი სახლები, მკვეთრად შეიცვალა *რიყის* მიდამოები.

მ. ს-ზე მდებარეობს წმინდა ნიკოლოზისა (XIX ს.) და წმინდა აბო თბილელის ეკლესიები. სანაპიროს ამშვენებს ფასადით მდინარისკენ მიმართული მრავალსართულიანი სახლები. განსაკუთრებით გამოირჩევა საცხოვრ. სახლები გალაკტიონისა და ჩუღურეთის ხიდებს შორის. იქვე წარმოქმნილია პატარა მოედანი, რომლის ცენტრში დგას ა. გრიბოედოვის ძეგლი (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი. არქიტ. გ. მელქაძე). მოედნის ერთ მხარესაა 123-ბინიანი (1955; არქიტ. მ. მელია), მეორე მხარეს – 200-ბინიანი (1960; არქიტექტორები შ. *ყავლაშვილი*, გ. მელქაძე, ლ. ხარაშვილი) საცხოვრ. სახლები. სანაპიროსა და კ. მარჯანიშვილის ქუჩის კუთხეში დგას ყოფ. წიგნის სასახლე (1939; არქიტექტორები: ნ. ბარათაშვილი, ნ. მიქაელიანი). თამარ მეფის ხიდთან გვერდითი ფასადით გამოდის 16-სართულიანი საცხოვრ. სახლები (XX ს. 70-იანი წლები; არქიტექტორები: მ. გუგუნავა, შ. *ყავლაშვილი*).

სანაპირო გამწვანებულია, გაშენებულია ბაღები და სკვერები. მისი ცალკეული მონაკვეთი ატარებს კოსმონავტების, ნ. *გაფრინდაშვილისა* და ნ. *ჟორდანიას* სახელებს. ბარათაშვილის ხიდის მახლობლად, სკვერში, დგას ნ. ბარათაშვილის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ციბაძე. არქიტ. შ. *ყავლაშვილი*).

კონსტანტინე (კოტე) **მარჯანიშვილის მოედანი**, ძველი თბილისის რ-ნი; დავით აღმაშენებლის გამზირსა და კ. მარჯანიშვილის ქუჩას შორის. XIX ს-ში ამ ტერიტორიაზე იდგა ლუთერანული ეკლესია (გერმ. „კირხე“). 1947–48 წლებში, *მარჯანიშვილის ქუჩის* რეკონსტრუქციის დროს, ეკლესია დაანგრიეს და ქუჩაც გააგანიერეს. წარმოიქმნა გეგმით მართკუთხა მოედანი, რომელსაც კ. ა. *მარჯანიშვილის* სახელი ეწოდა. 1948 მოედნის ორ კუთხეში აშენდა ორი საცხოვრ. სახლი, ხოლო 1956 – მესამე კუთხეში – საპროექტო ინ-ტის „თბილქალაქპროექტის“ შენობა (სამივე შენობის არქიტექტორია მ. მელია; სსრკ სახელმწ. პრემია), რ-ის I სართულზე მეტროს სადგური „მარჯანიშვილის მოედანია“.

კონსტანტინე (კოტე) **მარჯანიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); უშანგი ჩხეიძის ქუჩიდან რკინიგზამდე. ადრე ერქვა კირკა, 1921 – ჟან *ჟორესის*, 1938 კ. ა. *მარჯანიშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩა გეგმით გრძივად განლაგებული ქალაქის მთავარი განივი ღერძის ერთ-ერთი მონაკვეთია. ეს სატრანსპ. ფუნქციური ღერძი იწყება ვარდების რევოლუციის მოედნიდან, გადის გალაკტიონის ხიდზე, მ. ძ-ზე, მოედანზე და მიემართება ზევით.

ახლანდ. მ. ძ. ადრე შედიოდა კუკიის დასახლებაში, 1818–20 ქუჩასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლდნენ ვიურტემბერგელი გერმ. მოახალშენეები, რ-ებმაც აქ დააარსეს ე. წ. „თბილისის კოლონია“, გააშენეს ბაღები და აქაურობა კეთილმოაწყვეს.



კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილის მოედანი.



კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილის ქუჩა. მარჯანიშვილის თეატრი.

ახლანდ. მარჯანიშვილის მოედნის ტერიტორიაზე ააშენეს ლუთერანული ეკლესია (გერმ. „კირხე“), რამაც ამ ქუჩას კირკის სახელი დაუმკვიდრა (აქედან სახელწ. „კირიჩნი“). თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც „კიროჩნაია“. 1863–64 „კირიჩნისა“



და ნიკოლოზის (ახლანდ. ივანე *ჯავახიშვილის ქუჩა*) ქუჩის გადაკვეთაზე აშენდა წმინდა ალექსანდრე ნეველის რუს. ეკლესია. 1885 აიგო ვერის (ახლანდ. გალაკტიონის) ხიდი, რ-მაც ერთმანეთთან დააკავშირა მტკვრის ორივე მხარეს განლაგებული ცენტრ. უბნები. ქუჩაზე ძირითადად განლაგებული იყო ხორცის, ხილისა და ბოსტნეულის სავაჭრო რიგები, პატარა ფანჩატურ-დუქნები. განაშენიანება განსაკუთრებით გაცხოველდა XX ს. დასაწყისიდან. 1901-იდან აიგო საცხოვრ. სახლები, რ-ებშიც გამოყენებულია რენესანსულ-ბაროკოული ხუროთმოძღვრული მოტივები. 1910 სანაპირო ქუჩის (ახლანდ. დიმიტრი *უზნაძის ქუჩა*) გადაკვეთაზე აშენდა „ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების სახლი“ (ყოფ. ცენტრალური უნივერმაღი, ახლანდ. „თიბისი ბანკი“; არქიტ. ა. როგოისკი), მის მოპირდაპირედ – კ. ზუბალაშვილის სახ. საქალაქო „სახალხო სახლი“ (ახლანდ. მარჯანიშვილის თეატრი; 1909. არქიტ. ს. კრიჩინსკი). ორივე შენობა „მოდერნის“ სტილისაა. 1939 ქუჩის დასაწყისში აშენდა წიგნის სასახლე (არქიტექტორები: ნ. ბარათაშვილი, ნ. მიქაელიანი). 1947–48 ქუჩის ცენტრ. ნაწილი, სატრანსპ. კვანძის მოწესრიგების მიზნით, მ. ქ-ისა და დავით აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთაზე გაფართოვდა და შეიქმნა *მარჯანიშვილის მოედანი*, რ-ის ჩრდ. კუთხეში განთავსებულ საპროექტო ინ-ტის „თბილქალაქპროექტის“ I სართულზე 1966 გაიხსნა მეტროს I ხაზის სადგური „მარჯანიშვილის მოედანი“. ქუჩაზე დგას სწრაფი სერვისის რესტორანი „მაკდონალდსი“ (2000; არქიტექტორები ი. ვაჩეიშვილი, ბ. გოცაძე), კ. მარჯანიშვილის ბიუსტი (მოქანდაკე ს. გირკელიძე. არქიტ. ვ. დავითაია). აქვს 1 შეს.

კონსტანტინე **მარჯანიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის ქუჩიდან მიხეილ ხერგიანის ქუჩამდე. ყოფ. ა. პუშკინის ქუჩას კ. კ. *მარჯანიშვილის* სახელი ეწოდა 1982.

კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილის ქუჩა. თიბისი ბანკი.

მარჯვენა სანაპირო, თბილისის ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი. მიუყვება მდ. მტკვრის მარჯვ. მხარეს. მ. ს-ს მშენებლობა დაიწყო 1933. 1935 წ. ოქტ-ში უკვე მზად იყო პირველი რიგი – მონაკვეთი კარლ მარქსისა (ახლანდ. ჩულურეთის) და ელბაქიძის (ახლანდ. გალაკტიონის) ხიდებს შორის. შემდეგ წლებში სანაპირო გაგრძელდა ნ. ბარათაშვილის ხიდამდე, მდინარის დინების საპირისპიროდ კი – გმირთა მოედნამდე. სანაპიროს მშენებლობასთან ერთად ჩატარდა სამუშაო ორბელიანების კუნძულთან (მადათოვის კუნძული) მდინარის დაჭაობებული ტოტის ამოსაშრობად, ყოფ. კუნძულზე კი გაშენდა პარკი. წლების მანძილზე სანაპიროს სიგრძე გაიზარდა. მან სატრანსპორტო მოძრაობისაგან მნიშვნელოვნად განტვირთა ქალაქის ცენტრი – რუსთაველის გამზირი, მ. კოსტავასა და კ. აფხაზის ქუჩები.

მ. ს-ზე მდებარეობს ანჩისხატის ეკლესია (VI ს.), სიონის ტაძარი (VI–VII სს.), საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. სანაპიროს გადმოჰყურებს ყოფ. საავტ. გზების სამინისტროს შენობა (1974; არქიტექტორები: გ. ჩახავა, ზ. ჯალაღანია; კონსტრუქტორები: ა. კიმბერგი, თ. თხილავა. შენობა შეტანილია 1982 აშშ-ში გამოცემულ მსოფლიოს საუკეთესო ნაგებობათა კატალოგში), ნ. ბარათაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე დგას 6-სართულიანი (84-ბინიანი) საცხოვრ. სახლი (XX ს. 40-იანი წწ.; არქიტექტორები: ს. დემჩინელი, ა. ქურდიანი, გ. ჯანდიერი). მ. ს-ზე 2006-მდე იყო რესტორანი „არაგვი – XXI საუკუნე“ (1970; არქიტექტორები: ო. მაჩაბელი, ა. რევაზიშვილი, ა. ჩხიკვაძე), რ-ის ნაცვლად შენდება უმაღლესი დონის სასტუმრო და ბიზნეს-ცენტრი. სანაპიროზეა სპორტული საწყლოსნო კომპლექსი – „ლაგუნა ვერე“ (1978; პროექტის ავტორები: შ. *ყავლაშვილი*, რ. კიკნაძე, გ. აბულაძე); სკულპტურული კომპოზიციები: „ვეფხი და მოყმე“ (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტ. ვ. დავითაია), „დედაენა“ („ცოდნის ზარი“; მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტ. ნ. მგალობლიშვილი); მ. აბაშიძისა (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტექტორები: ვ. დავითაია, ნ. მგალობლიშვილი) და იეთიმ გურჯის (მოქანდაკე დ. მიქატაძე. არქიტ. შ. ყავლაშვილი) ძეგლები; ტ. ტაბიძის ბიუსტი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი). 1956-მდე, ყოფ. ი. *სტალინის* სახ. სანაპიროზე, ახლანდ. ცხრა მარტის სახ. ბაღში, იდგა ი. სტალინის ძეგლი (მოქანდაკე ს. კაკაბაძე. არქიტ. მ. გოზალიშვილი).

მ. ს. გამწვანებულია, გაშენებულია ბაღები და სკვერები. მისი ცალკეული მონაკვეთი ატარებს ა. *ბაქრაძის*, ჰ. *ალიევისა* და ზ. *გამსახურდიას* სახელებს.

ქეთევან **მაღალაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ვასილ კაკაბაძის გასასვლელიდან პეტრე გამყრელიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე თემქის დასახლების 73-ე ქუჩა ერქვა. 1978 ქ. *მაღალაშვილის* სახელი ეწოდა.

მაღაროს ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დასაწყისი კაჭრეთის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 შეს.

მაღარო, სიღნაღის რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო მაღაროს გავრცელებული სახელწოდება.

მარო **მაჟაშვილის აღმართი**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); ამაღლების ქუჩიდან კოკჯრის გზატკეცილამდე. ადრე კოკჯრისკენ მიმავალი გზის უსახელო მონაკვეთი იყო. 1991 მ. *მაჟაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

კონსტანტინე (კოტე) **მაჟაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მიხეილ ზანდუკელის ქუჩიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე აგურის III ქუჩა ერქვა, 1900



მეტეხის ხიდი.



მტკვრის მარჯვენა სანაპირო. აბანოთუბნის ერთ-ერთი კუთხე.



– გენერალ ა. *ტერ-გუკასოვის* (დატანილია თბილისის 1900 წ. გეგმაზე), 1923 – დ. *გურამიშვილის*, 1965 კ. *მაყაშვილის* სახელი ეწოდა. შემონახულია XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 ჩიხი.

1900-იან წლებში მ. ქ-ის ბოლოდან იწყებოდა წმინდა მიხეილ ტვერელის ეკლესიამდე მისასვლელი გზა. ეკლესია აშენდა კავკ. მეფისნაცვლის (1905–15) ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლის გრაფინია ელისაბედის თაოსნობითა და ფულადი შემწეობით. ახალგაყვანილ გზას მის პატივსაცემად „ელისაბედის პროსპექტი“ ერქვა (დატანილია თბილისის 1913 წ. გეგმაზე).

მაშხალის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მდებარეობდა საქანელას დაღმართსა და ყოფ. სასტუმრო „ივერიას“ შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მაშხალის შესახვევი, ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზეც [აქვე იყო კანონირის (მეზარბაზნის) და ვაზნის შესახვევები, რ-ებიც ამჟამად აღარ არსებობს]. თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში შეტანილია როგორც ქუჩა. რევოლუციამდე ამ ქუჩის მიდამოებში იდგა სამხ.-საინჟინრო, საარტ. უწყებები. როგორც ჩანს, აქ ამზადებდნენ შუშხუნებს (მაშხალებს).

ივანე **მაჩაბლის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); ლეონიძის ქუჩიდან ლადო ასათიანის ქუჩამდე. ქუჩის განაშენიანება XIX ს. 30–40-იან წლებში დაიწყო. თავდაპირველად ბაღის ქუჩა ერქვა, შემდეგ ეწოდა იმპერატორ *ნიკოლოზ I-ის* შვილიშვილის, დიდი მთავრის სერგის სახელი. შეტანილია 1851 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში. 1923-იდან ივ. *მაჩაბლის* სახელი ჰქვია. ქუჩის ზუროთმოძღვრული სახე XIX ს. ბოლო ათეულ წლებსა და XX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა და ამ პერიოდის თბილისის ზუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშად იქცა. შენობები ძირითადად რენესანსულ-ბაროკოული და მავრიტანული სტილისაა, მათგან აღსანიშნავია დ. *სარაჯიშვილის* საცხოვრ. სახლი №13 (შემდგომში მწერალთა კავშირის შენობა, 1905; არქიტ. კ. ცაარი), XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლი №17 და სხვ. ქუჩაზე დგას ს. ახმეტელის (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. შ. *ყვლაშვილი*) და გ. ტაბიძის (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი) ბიუსტები.

მაჩხაანის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ჟღენტის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. ლოტკინის დასახლების VII ქუჩას მ. ქ. დაერქვა XX ს. 70-იან წლებში.

მაჩხაანი, სოფლების ზემო მაჩხაანის (დედოფლისწყაროს რ-ნი) და ქვემო მაჩხაანის (სიღნაღის რ-ნი) გავრცელებული სახელწოდება.

მაცესტის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); გრემის შესახვევიდან ელენე ახვლედიანის ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მაცეხის შესახვევი. ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზე. თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში შეტანილია მ. შ-ის სახელწოდებით. აქვს 1 ჩიხი.

მაცესტა, კურორტი ქალაქ სოჭის მახლობლად (რუსეთის ფედერაცია).

ალექსი **მაჭავარიანის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); დიმიტრი ბაქრაძის ქუჩიდან ვასილ ბარნოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც არაგვის შესახვევი. 20-იან წლებში ქუჩა გახდა. 2007 ა. *მაჭავარიანის* სახელი ეწოდა.

არაგვი, მდინარე აღმ. საქართველოში.

მაჭრის შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან მდინარე მტკვრამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ამ უბანში იყო ღვინის დუქნები.

მახათას აღმართი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დასაწყისი ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან.

მახათას ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მახათას შესახვევიდან მარტყოფის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1901 წ. გეგმაზე. აქვს 1 შეს.

მახათა, მთა თბილისში.

მახათას შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); გურჯაანის ქუჩიდან დმანისის ქუჩამდე.

ვახტანგ **მახალდიანის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); რკინიგზის ქუჩიდან ოთარ ღუდუშაურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ბრიგადირის ქუჩა, ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 1961 – შ. *ასკურავას*, 1997 ვ. *მახალდიანის* სახელი ეწოდა.

ვახტანგ **მახალდიანის შესახვევი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან რკინიგზის ქუჩამდე (ყოფ. ბრიგადირის შეს., შემდეგ – ასკურავას შეს.).

მახინჯაურის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ხევსურეთის ქუჩიდან საყვირის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც წითელი ქუჩა. თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია მახინჯაურის შესახვევის სახელწოდებით.

მახინჯაური, დაბა დას. საქართველოში, აჭარაში.

სოფრომ **მგალობლიშვილის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ზურაბ ჟვანიას მოედნიდან ზემო ვეძისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. 1958-მდე ბესარაბიის ქუჩა ერქვა, შემდეგ ს. *მგალობლიშვილის* სახელი ეწოდა.

ბესარაბია, ტერიტორია მდინარეების დნესტრის, პრუტისა და დუნაის ქვემო დინებაში. ეკუთვნის მოლდავეთს და უკრაინას.

კარლო **მებაღიშვილის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან მიხეილ ხერგიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. ადრე დ. *ჭონქაძის* სახელი ერქვა, 1981 კ. *მებაღიშვილის* სახელი ეწოდა.

მეგობრობის გამზირი, ისანი-სამგორის რ-ნი (*კარკეთილის დასახლება*); შოთა რუსთაველის ქუჩიდან სამგორის ქუჩამდე.

მეგობრობის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*). დასაწყისი თიანეთის გზატკეცილიდან.

ავქსენტი **მეგრელიძის ჭუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ბუდაპეშტის ქუჩიდან ვახტანგ ჩიქოვანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. 1964-მდე საპროექტოს ქუჩა ერქვა, შემდეგ ა. *მეგრელიძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

მეველის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); მოსკოვის გამზირიდან ციხისძირის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 1964-მდე ბაზრის ქუჩა ერქვა, შემდეგ *მეველის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „კრისტალი-1887“. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

მელაანის ჭუჩის (ახლანდ. ჯ. *ბუშის ქუჩის*) **შესახვევები** (წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში):

მელაანის I შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ჯორჯ ბუშის ქუჩიდან მთის ფერდობამდე.

მელაანის II შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ჯორჯ ბუშის ქუჩიდან გუჯარეთის II ქუჩამდე.

მელაანის III შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ჯორჯ ბუშის ქუჩიდან გუჯარეთის II ქუჩამდე და მელაანის IV შესახვევამდე.

მელაანის IV შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ჯორჯ ბუშის ქუჩიდან მელაანის III და V შესახვევებამდე.

მელაანის V შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ჯორჯ ბუშის ქუჩიდან მთის ფერდობამდე.

მელაანის VI შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ჯორჯ ბუშის ქუჩიდან ბანაკის დასახლების I ქუჩამდე.

მელაანის I ჩიხი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); დასაწყისი მელაანის III შესახვევიდან (ყოფ. მელაანის III ჩიხი).

მელაანის II ჩიხი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); დასაწყისი მელაანის III შესახვევიდან (ყოფ. მელაანის IV ჩიხი).

მელაანი, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

პეტრე **მელიქიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მერაბ კოსტავას ქუჩიდან ილია ჭავჭავაძის გამზირამდე. ამ ქუჩაზე გადიოდა წყნეთისკენ მიმავალი გზა, რ-საც სამხრ-ით მიუყვებოდა მთის ფერდობი და *ვარდისუბნის* პატარა დასახლება, ხოლო ჩრდ.-აღმ-ით სოფელი ვერე მდებარეობდა. ქალაქის ამ ნაწილის განაშენიანება დაიწყო XIX ს. II ნახევარში. 1867 „წყნეთის გზას“ ეწოდა წყნეთის ქუჩა (დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე). განაშენიანებაში დიდი როლი ითამაშა ვაკეში XX ს. დასაწყისში სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის, შემდეგ კი, მართლმადიდებელი სემინარიის აშენებამ. 1924 ქუჩას ეწოდა პ. *მელიქიშვილის* სახელი. XX ს. შუა წლებამდე ეს იყო ერთ- და ორსართულიანი სახლებით განაშენიანებული ვიწრო ქუჩა. 1948 სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ იგი საფუძვლიანად გაფართოვდა, მისი სიგანე თითქმის 35 მ-მდე გაიზარდა. აიგო მრავალსართულიანი სახლები. დღეისათვის ეს არის ქალაქის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ქუჩა, რ-იც ი. *ჭავჭავაძის გაშზირს* ცენტრთან აკავშირებს. ქუჩაზე არის ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ი. ფაღავას სახ. პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტი, სახელმწიფო ფილარმონია (1971; არქიტ. ი. ჩხენკელი. კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი), ყოფ. სასტუმრო „საქართველო“ (1958; არქიტექტორები: გ. თავდგირიძე, ნ. ფირცხალაიშვილი); ვ. პეტრიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზეა ღვინის №1 ქარხნის შენობა და სხვ. სახელმწიფო ფილარმონიასთან დგას გ. ცაბაძის ბიუსტი (მოქანდაკე გ. წულაძე), დ. აბაშიძის სახ. სკვერში – მისივე ბიუსტი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. გ. გოგოლაშვილი), მეორე სკვერში – სკულპტურული კომპოზიცია „რესტავრაცია“ (მოქანდაკე გ. ოჩიაური. არქიტ. ო. ლითანიშვილი).

პეტრე **მელიქიშვილის ჩიხი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); დასაწყისი სიმონ ჯანაშიას ქუჩიდან.

მერვე ლეგიონის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება კახეთის გზატკეცილსა და ალექსანდრე წულუკიძის II შესახვევს შორის (სამგორის დასახლებამდე).

გიორგი **მერჩულის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); იაკობ ცურტაველის ქუჩიდან სოღანლუღის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც თაუზის შესახვევი, შემდეგ ქუჩა გახდა. 1958 *გიორგი მერჩულის* სახელი ეწოდა.



პეტრე მელიქიშვილის ქუჩა.

თაუზი, ქალაქი აზერბაიჯანში.

მესხეთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); კახეთის გზატკეცილიდან თედორე უშაკოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

მესხეთის შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); კონსტანტინე ამირავჭიბისა და ყვარლის ქუჩებს შორის.

მესხეთი, ისტორიული სამხრ.-დას. საქართველოს (ზემო ქართლი) ზოგადი სახელწოდება.

შოთა **მესხიას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარეთუბანი*); შოთა რუსთაველის გამზირიდან აპოლონ ქუთათელაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ქუჩა 1809 დააპროექტა პოლკ. ბანოვმა, შემდგომ – მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ (1833–35). თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც უსახელო შეს. („ბეზიმენნი“), შემდეგ კადეტის ქუჩა ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ქუჩის თავში, გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდ. შოთა რუსთაველის გამზირი №27), იდგა კადეტთა კორპუსის შენობა, ქუჩის სახელწოდებაც მას უკავშირდებოდა. 1923 კურსანტების ქუჩა დაერქვა, 30-იან წლებში – ა. *გერცენისა*. 1990 ქუჩას შ. *მესხიას* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.



პეტრე მელიქიშვილის ქუჩა. სახელმწიფო ფილარმონია.


FOR RENT



მეტეხის აღმართი.



მეტეხის ხიდი.

კოტე **მესხის I ალმართი**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ელიზბარ ზედგინიძის ქუჩიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ტყის I აღმართი. ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 1938 დაერქვა კ. *მესხის* სახელი.

კოტე **მესხის II ალმართი**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); კოტე მესხის ქუჩიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ტყის II აღმართი. ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. 1938 დაერქვა კ. *მესხის* სახელი.

კოტე **მესხის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); დიმიტრი ყიფიანის ქუჩიდან რიწის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მთის II ჭუჩა. 1900 თავშესაფრის ქუჩა დაერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 30-იან წლებში დაერქვა კ. *მესხის* სახელი. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე (გრძელდებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩამდე, ხოლო ქუჩის ბოლო მონაკვეთი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩიდან რიწის ქუჩამდე, დატანილია როგორც გრაკლის შესახვევი). აქვს 2 აღმ., 1 ჩიხი.

ბრაკალი, სოფელი კასპის რ-ნში.

მიხეილ **მესხის ჭუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მიხეილ მესხის I შესახვევიდან ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დამდეგს. ქუჩას, მოსახლეობის მოთხოვნით, იმთავითვე დაერქვა შოთა *რუსთაველის* სახელი. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. შემდეგ „პრავდის“ ქუჩა ერქვა. ასეა შეტანილი თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში. 1992 მ. *მესხის* სახელი ეწოდა. აქვს 3 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე II შესახვევი დატანილია როგორც მორის ქუჩა).

„**პრავდა**“, ყოველდღიური გაზეთი, სკკპ ცენტრ. კომიტეტის ორგანო. დააარსა ვ. ლენინმა 1912.

სერგეი **მესხის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); გერგეტის ქუჩიდან შხეფის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 60-იან წლებში. თავდაპირველად ერქვა კ. *ორლოვსკის* სახელი. ასეა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1921 ს. *მესხის* სახელი ეწოდა.

კოტე **მესხის I შესახვევი**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); დიმიტრი ყიფიანის ქუჩიდან ლიხის შესახვევამდე (ყოფ. შეს.).

კოტე **მესხის II შესახვევი**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); კოტე მესხის I შესახვევიდან ლიხის ქუჩამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც დიღმის შესახვევი (ყოფ. III შეს.).

ლადო **მესხიშვილის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ავლაბრის მოედნიდან სამრეკლოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 50-იან წლებში. აღნიშნულია ქალაქის 1867 წ. გეგმაზე. 1923-მდე ი. *ლაზარევის* სახელი ერქვა, შემდეგ ქუჩის ერთ მონაკვეთს მ. *ქ*. დაერქვა (იხ. ვ. ს. *ალექსი-მესხიშვილი*), მეორეს – მ. *ურიცკის* სახელი (ახლანდ. *სამრეკლოს ქუჩა*). აქვს 1 შეს. (ყოფ. ყაღიზმანის შეს.).

ყაღიზმანი, დასახლებული პუნქტი ჩრდ.-აღმ. თურქეთში (ძვ. ქართ. – აღზევანი).

მეტეხი, ძველი თბილისის რ-ნი. ძვ. უბანი თბილისში, მტკვრის მარცხ. მხარეს. შუა საუკუნეებში – ციხესიმაგრე. მოიცავს ახლანდ. მეტეხის პლატოს, ღვინის აღმართს, მეტეხისა და ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩების მიდამოებს. მ. იგივეა, რაც ადრინდ. საუკუნეების *ისანი*. პირველად იხსენიება XII ს. წყაროებში. XX ს. 80-იან წლებში ჩატარდა მეტეხის ისტ. განაშენიანების აღდგენითი და სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

მეტეხის ალმართი, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); ევროპის მოედნიდან მეტეხის ქუჩამდე. შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში. დასახლებული იყო წვრილი ვაჭარ-ხელოსნებით. XIX ს-ში აღმართის დასაწყისში რამდენიმე ქარვასლა იდგა (ზუბალაშვილის, ძმები ხეროდინოვების, კვეზერელ-კოპაძის),

აქვე იყო მეიარაღეთა, სირაჯთა და მეთევზეთა რიგები. 1899 მონაკვეთს მეტეხის ხიდიდან ღვინის აღმართამდე საბაყლო ეწოდა. XX ს. 20-იან წლებში მ. ა-ის ნაწილს, რ-იც ახლანდ. ავლაბრის მოედანზე გადიოდა, მეტეხის ქუჩა დაარქვეს. 1981 ჩატარდა მ. ა-ის განაშენიანება-რეგენერაციის სამუშაოები. აღმართის მარჯვ. მხარეს, პლატოზე, დგას მეტეხის ღვთისმშობლის შობის ეკლესია. მის წინ, მტკვრის პირას, კლდეზე აღმართულია ვახტანგ გორგასლის მონუმენტი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტექტორები: თ. კანდელაკი, დ. მორბედაძე).

მეტეხის I გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); მდებარეობდა მეფე სოლომონ ბრძენისა და ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩებს შორის (ამჟამად აღარ არსებობს).

მეტეხის II გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); მეფე სოლომონ ბრძენისა და ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩებს შორის.

მეტეხის III გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); მეფე სოლომონ ბრძენისა და ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩებს შორის.

მეტეხის IV გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); მეფე სოლომონ ბრძენისა და ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩებს შორის.

მეტეხის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი, ავლაბარი*); მეტეხის აღმართიდან ავლაბრის მოედნამდე. ადრინდელი *მეტეხის აღმართის* ნაწილი. ქუჩაზე შემონახულია XIX ს. 80-იანი წწ. საცხოვრ. სახლები.

მეტეხის ხიდი, ა ვ ლ ა ბ რ ი ს ხ ი დ ი, ხიდი მდ. მტკვარზე, *გახტანგ გორგასლის მოედანსა* და *ევროპის მოედანს* შორის, მეტეხის კლდის ძირში. ამ ადგილას ხიდი უძველესი დროიდან არსებობდა და დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა ქალაქის ერთადერთ ხიდად. თანამედროვე ორმალიანი რკინაბეტონის ხიდი აიგო 1951 (არქიტ. ს. დემჩინელი. ინჟ. გ. ჩომახიძე).

სლავა **მეტრეველის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. ადრე ერქვა საგურამოს ქუჩა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 2007 ეწოდა ს. *მეტრეველის* სახელი.

საგურამო, სოფელი მცხეთის რ-ნში.

მეტროშენებელთა დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); დასახლება *საბარგოს დასახლებასა* და *ვაზისუბანს* შორის.

იონა **მეუნარგიას ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან გიორგი (გიგო) ზაზიაშვილის III შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე დაპროექტებული I ქუჩა ერქვა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სტავროპოლის ქუჩა. 1958 ი. *მეუნარგიას* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

სტავროპოლი, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში.


მეფე სოლომონ ბრძენის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); დასაწყისი მეტეხის ქუჩიდან. ადრე მეტეხის შესახვევი ერქვა, 2006 მ. ს. ბ. ქ. ეწოდა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. იხ. *სოლომონი.*

მეფრინველეთა ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); ჭირნახულის ქუჩიდან ლილოს დასახლების I მიკრორაიონამდე.

მეფსალმუნე დავით მეფის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); ანტონ ჩეხოვის ქუჩიდან მეტეხის ქუჩამდე. ადრე მეტეხის II შესახვევი ერქვა, შემდეგ – ჩეხოვის შესახვევი, 2006 მ. დ. მ. ქ. ეწოდა. იხ. *დავითი.*

მექანიზაციის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ეკა ბეჟანიშვილის ქუჩიდან თორნიკე ერისთავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ქუჩის სახელი დაკავშირებულია ამ მიდამოებში ხელსაწყო-იარაღების დამამზადებელი საწარმოების არსებობასთან. აქვს 1 შეს.

მეჩეთის ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); იწყებოდა ბოტანიკური ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.



მთაწმინდის ქუჩა.

მეჯვრისხევის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); იუსტინე ჯანელიძის ქუჩიდან გიორგი საკაძის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

მეჯვრისხევი, გორის რ-ნის სოფლების დიდი და პატარა მეჯვრისხევის გავრცელებული სახელწოდება.

მთავარანგელოზის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ირაკლი ფაღავას ქუჩიდან თომა ჩუბინიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მთავარანგელოზის ქუჩა („არხანგელსკაია"; აქ იდგა მთავარანგელოზის ეკლესია). 1923 მ. *რობესპიერის* სახელი დაერქვა. 1990-იდან ისევ მთავარანგელოზის ქუჩაა.

მთაწმინდა, ძველი თბილისის რ-ნი. უბანი თბილისის სამხრ. ნაწილში, მტკვრის მარჯვ. მხარეს. ადრე ძვ. თბილისის *გარეთუბნის* ერთ-ერთი მიკრორაიონი იყო. უჭირავს ტერიტორია სოლოლაკს, ვერეს, შოთა რუსთაველის გამზირსა და მთაწმინდის ქედს შორის. განაშენიანება დაიწყო XIX ს. 20–30-იან წლებში. სახელი მიიღო XIX ს-ში ამავე სახელწოდების მთის მიხედვით.

მთაწმინდის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ბესიკის ქუჩიდან მთაწმინდის პანთეონამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1960-მდე *ბესიკის ქუჩა* ერქვა. აქვს 1 შეს. (ყოფ. ბესიკის I შეს.). შესახვევში შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

მთისძირის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*მეტროშენებელთა დასახლება*); თედორე უშაკოვის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. აქვს 2 შეს.

ვანო **მიდელაურის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); იპოლიტე ვართაგავას ქუჩიდან მიხეილ ხერგიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში და ვ. *მიდელაურის სახელი დაერქვა.*



მთაწმინდის უბანი.



შოთა **მილორავას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მიხეილ ზანდუკელის ქუჩიდან დიმიტრი ბაქრაძის ქუჩამდე. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც იზმაილოვის შესახვევი. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ე. ლომინაძის შესახვევი, შემდეგ კოლხიდის, ი. ჯავახიშვილის, მ. ზანდუკელის შესახვევი ერქვა. შ. *მილორავას* სახელი ეწოდა 1992. აქვს 1 ჩიხი.

რომან **მიმინოშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მერაბ კოსტავას ქუჩიდან გიორგი ახვლედიანის ქუჩამდე. გ. *ახვლედიანის ქუჩის* ყოფ. შესახვევი. 1999 რ. *მიმინოშვილის* სახელი ეწოდა.

ელიზბარ **მინდელის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან ვლადიმერ ჯიქიას ქუჩამდე. ქუჩის ეს მონაკვეთი ადრე უსახელო იყო, 1994 ე. *მინდელის* სახელი დაერქვა. ქუჩაზე განთავსებულია გ. წულუკიძის სახ. სამთო, ვ. გულისაშვილის სახ. სატყეო, რ. დვალის სახ. მანქანათა მექანიკის, რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინ-ტები.

გიორგი **მინდელის ხიდი** (ყოფ. დიღმის ხიდი), დიღმისა და ზღვისუბნის (ყოფ. თემქა) მიმდებარე ტერიტორიების დამაკავშირებელი ხიდი მდ. მტკვარზე (1989; კონსტრუქტორი ხ. ხაჭაპურიძე). ხიდს ინჟინერ-მშენებელ გ. *მინდელის* სახელი დაერქვა 1994.

მირზაანის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); იაკინთე ლისაშვილის ქუჩიდან მაჩხაანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.

მირზაანი, სოფელი დედოფლისწყაროს რ-ნში.

მირზა შაფის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც თათრის შესახვევი, ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზე, 1938 მირზა შაფის სახელი დაერქვა (იხ. *კაზეჰი*).

მირიან მეფის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დიღომი*); არჩილ მეფისა და ბაგრატ III-ის ქუჩებს შორის. უსახელო ქუჩას *მირიან III-ის* სახელი ეწოდა 1991.

გიორგი **მიროტაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ქვაყრელი*); კონსტანტინე გამსახურდიას გამზირიდან ვახტანგ ბოჭორიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე ოჟიოს ქუჩა ერქვა. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია საბურთალოს ახალი ქუჩების სიაში. გ. *მიროტაძის* სახელი ეწოდა 1994.

ოჟიო, სოფ. ახმეტის რ-ნში.

ალიო **მირცხულავას ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან კოსმონავტების სანაპირომდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ძველეთის ქუჩა ერქვა. 1972 ა. *მირცხულავას* სახელი ეწოდა.

ძველეთი, სოფელი ქარელის რ-ნში.

დიდიმ **მირცხულავას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ირაკლი აბაშიძის ქუჩამდე. ყოფ. ზ. ფალიაშვილის II შესახვევი. ქუჩას დ. *მირცხულავას* სახელი ეწოდა 2001.

მიტინგის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); კაჭრეთის ქუჩიდან ნიკოლოზ დობროლიუბოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. 1925-მდე საეკლესიო ქუჩა ერქვა.

XX ს. დასაწყისში ნაძალადევი რევ. მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი კერა იყო თბილისში, სადაც ხშირად იმართებოდა მიტინგები. ქუჩის სახელწოდებაც ამ ფაქტთანაა დაკავშირებული.

შოთა **მიქატაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან მიხეილ ხერგიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე დ. *გურამიშვილის* სახელი ერქვა. ქუჩას შ. *მიქატაძის* სახელი ეწოდა 1981.

შოთა **მიქატაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ავთანდილ მანაგაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1958-მდე ყორღნის, შემდეგ ნ. *კეკნაძის* სახელი ერქვა. 1995 შ. *მიქატაძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

ევგენი მიქელაძის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); აკაკი ბელიაშვილის ქუჩასა და დავით აღმაშენებლის ხეივანს შორის. ქუჩას ე. *მიქელაძის* სახელი ეწოდა 1963.

ვლადიმერ **მიქელაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); ჯორჯ ბუშის ქუჩიდან ყვარლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს ქუჩა (საბარგოს დასახლების I ქუჩა) ერქვა, 70-იან წლებში ვ. *მიქელაძის* სახელი ეწოდა.

შალვა **მიქელაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვაჟა-ფშაველას გამზირსა და შალვა ნუცუბიძის ქუჩას შორის. ვაჟა-ფშაველას V შესახვევს შ. *მიქელაძის* სახელი ეწოდა 1981.

არჩილ **მიშველაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ძმები კიკნაველიძეების ქუჩამდე. ქუჩა წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1955-მდე პარკის, შემდეგ მ. *ჯაჯანაშვილის* სახელი ერქვა. 1995 ა. *მიშველაძის* სახელი ეწოდა.

ივანე **მიჩურინის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ართვინის ქუჩიდან როსტოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც არდაგანის შესახვევი, 20-იან წლებში დაერქვა არტაანის ქუჩა და გრძელდებოდა ნორიოს აღმართამდე. ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. 40-იან წლებში ი. *მიჩურინის* სახელი ეწოდა და 90-იან წლებამდე გრძელდებოდა ვ. კიკვიძის ქუჩამდე, ხოლო მონაკვეთს ამ ქუჩიდან როსტოვის ქუჩამდე როსტოვის გასასვლელი ერქვა. აქვს 1 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ფარავნის შეს.), 1 ჩიხი.

არდაგანი, თურქ. არდაჰანი, იგივეა, რაც არტაანი.

არტაანი, ისტ. მხარე სამხრ. საქართველოში.

ადამ **მიცკევიჩის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); პეკინის გამზირიდან ტანძიის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 50-იან წლებში ა. *მიცკევიჩის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

მნათობის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დასაწყისი დიღომბარის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

მოლითის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან დიდუბის დასახლების ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე აგურის მთა ერქვა. 60-იან წლებში მ. ქ. ეწოდა.

მოლითი, სოფლები ბორჯომისა და ხარაგაულის რ-ნებში.

ვასილი **მოლოკოვის გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ვასილი მოლოკოვის ქუჩიდან ჯავის II შესახვევამდე.

ვასილი **მოლოკოვის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დასაწყისი ჯავის II შესახვევიდან. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 40-იან წლებამდე ჯავის III ქუჩა ერქვა, შემდეგ ვ. *მოლოკოვის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას.

კარლო **მორეტის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); იპოლიტე ვართაგავას ქუჩიდან სამამულო ომის გმირების ქუჩამდე. ყოფ. ი. *გავარინის* ქუჩა. 1981-იდან კ. *მორეტის* სახელი ჰქვია. აქვს 2 შეს.

კარლო **მორეტის II შესახვევი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); სამამულო ომის გმირების ქუჩიდან მამკოდის ქუჩამდე.

იოსებ **მოსაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ნიკო ბერძენიშვილის ქუჩიდან არჩილ მიშველაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. 1954-მდე საპროექტოს III ქუჩა ერქვა, შემდეგ ი. *მოსაშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „საქწყალპროექტი“.

მოსე ხონელის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); ხარფუხის ქუჩიდან სოღანლუღის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე მუღანის შეს. ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1960 *მოსე ხონელის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

მოსე ხონელის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); სოღანლუღის შესახვევსა და მოსე ხონელის ჩიხს შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სოღანლუღის ჩიხი. ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე.

ვახტანგ **მოსიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); კირილე უკლებას ქუჩიდან მთაწმინდის შესახვევამდე. წარმოიქმნა

XIX ს-ში. ადრე იყო მთის შეს., 50-იან წლებში ბესიკის II შესახვევი დაერქვა. 2001 ვ. *მოსიძის* სახელი ეწოდა.

მოსკოვის გამზირი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ქინძმარაულის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. II ნახევარში. სახელი დაერქვა 1960. გამზირზეა სააქციო საზ-ბები „ქაშანური“ და „თბილხელსაწყო“; შპს „მზეკაბანი (TG)“. გამოდის მეტროს სადგური „სამგორი“.

მოსკოვი, რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი.

ფორე **მოსულიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); გლდანის მასივის „ა“ და II მიკრორაიონებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში და ფ. *მოსულიშვილის* სახელი დაერქვა. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „კარტოგრაფია“.

ალექსანდრე **მრევლიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დეპოს ქუჩიდან ზესტაფონის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც საწყობის ქუჩა, 1954 ალ. *მრევლიშვილის* სახელი ეწოდა.

მიხეილ **მრევლიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); თამაზ მუჯირიშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ადრე კავთისხევის ქუჩა ერქვა, 1933-იდან – ზნაურისა. 1994 მ. *მრევლიშვილის* სახელი ეწოდა.

კავთისხევი, სოფელი კასპის რ-ნში.

ზნაური, ახლანდელი ყორნისი, დაბა აღმ. საქართველოში.

მტკვრის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); გიორგი ათონელის ქუჩიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს. 30-იან წლებში. ის მტკვრისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა იყო და სახელიც მას უკავშირდება. ამ ქუჩით თულუზჩები მტკვრიდან ეზიდებოდნენ სასმელ წყალს მოსახლეობისათვის. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მცირე წყალსაზიდი ქუჩა, 1900 წ. გეგმაზე – როგორც მ. ქ. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

მუკუზნის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მუკუზნის შესახვევიდან მაჭრის შესახვევამდე.

მუკუზნის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან მდინარე მტკვრამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 გას.

მუკუზანი, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

ნიკოლოზ (ნიკო) **მუსხელიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*კაზისუბანი*); დავით კვაჭანტირაძის ქუჩიდან თეოფანე დავითაიას ქუჩამდე. ვაზისუბნის დასახლებაში გამავალ ცენტრალურ უსახელო ქუჩას ნ. *მუსხელიშვილის* სახელი ეწოდა 1982.

როსტომ **მუსხელიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); ამაღლების ქუჩიდან კოჯრის ქუჩამდე. *კოჯრის ქუჩის* ყოფ. შესახვევი. ქუჩას რ. *მუსხელიშვილის* სახელი დაერქვა 1996. აქვს 1 ჩიხი.

მუშათა ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მიხეილ მესხის ქუჩიდან ბესარიონ ქებურიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

მუხათგვერდის დასახლება, ვაკე-საბურთალოს რ-ნი; იწყება დავით აღმაშენებლის ხეივნის ბოლოდან.

მუხათის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); იაკობ ცურტაველის ქუჩიდან თელეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

მუხათი, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში.

გიორგი **მუხაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან გიორგი მუხაძის ჩიხამდე და სოსო აბზიანიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე *ბესიკის* სახელი ერქვა, 1973 გ. *მუხაძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

გრიგოლ **მუხაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ნიკო ბერძენიშვილის ქუჩიდან არჩილ მიშველაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა



მშრალი ხიდი.

XX ს. 50-იან წლებში. ადრე ზ. ფალიაშვილის შესახვევი ერქვა, 60-იან წლებში გრ. *მუზაძის* სახელი ეწოდა.

მუხიანი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის ჩრდ. ნაწილში, მდ. ხევმხარის მარცხ. მხარეს, გლდანის მასივსა და თბილისის წყალსაცავს შორის. დაგეგმარდა XX ს. 80-იან წლებში. აქვს 5 მიკრორაიონი.

მუხრანთუბანი, ძველი თბილისის რ-ნი; უბანი ახლანდ. ნ. *ბარათაშვილის ქუჩის* ქვემო ნაწილის მიდამოებში. აქ იდგა მუხრანბატონთა სასახლე, რ-მაც XIX ს. მიწურულამდე იარსება.

მუხრანის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ჩარგლის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. 51-ე ქუჩას მ. ქ. დაერქვა 1955. აქვს 3 შეს. (I შეს. – ყოფ. 41-ე ქუჩა, II შეს. – ყოფ. 41ª ქუჩა).

მუხრანი, სოფელი მცხეთის რ-ნში.

თამაზ **მუჯირიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); ფშავის ქუჩიდან მიხეილ მრევლიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 2003-მდე ბაბისხევის ქუჩა ერქვა, შემდეგ თ. *მუჯირიშვილის* სახელი ეწოდა.

შიო **მღვიმელის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გერე*); იაკობ ნიკოლაძის ქუჩიდან ვარაზისხევის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში, ქუჩის კონტური მონიშნულია თბილისის 1902 წ. გეგმაზე. ადრე ანანურის შესახვევი ერქვა. 1923 შ. *მღვიმელის* სახელი ეწოდა.

მშენებელთა დასახლება, ტრანსმშენის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი. გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩასა და კახეთის გზატკეცილის ჩიხს შორის.

შალვა **მშველიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); მხატვართა დასახლების ქუჩიდან სიმონ ყაუხჩიშვილის ქუჩამდე. XX ს. 90-იანი წლებიდან შ. *მშველიძის* სახელი ჰქვია.

მშრალი ხიდი, აიგო 1851 (იტალ. არქიტ. ჯ. სკუდიერი). XIX ს-ში მ. ხ-ს ერქვა მიხეილის მცირე ხიდი. იგი ყოფ. ალექსანდრეს ბაღის მიდამოებს აკავშირებდა მადათოვის (ორბელიანების) კუნძულთან და მტკვარზე გადებული მიხეილის დიდი ხიდით (ახლანდ. *ჩუღურეთის ხიდი*) გზა კუკიაზე გადადიოდა. ხიდის ქვეშ მიედინებოდა მტკვრის მარჯვ. ტოტი, რ-იც XX ს. 30-იან წლებში ამოაშრეს – მის ადგილას დღეს სანაპირო ტრასა გადის (ამის გამო დაერქვა მშრალი ხიდი).

მცხეთის გასასვლელი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მცხეთის ქუჩიდან მცხეთის II შესახვევამდე.

მცხეთის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მრგვალი ბაღიდან ტიციან ტაბიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ქობულეთის ქუჩა, შემდეგ ირიბის II ქუჩა დაერქვა, 1938 მცხეთის ქუჩა ეწოდა. აქვს 1 გას., 1 შეს.

მცხეთა, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ქობულეთი, ქალაქი დას. საქართველოში, აჭარაში.

მცხეთის ჩიხი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მისასვლელი ბესიკ ბურკიაშვილის ქუჩიდან.

მხატვართა დასახლება, ვაკე-საბურთალოს რ-ნი; შ. ნუცუბიძის პლატოს IV მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორია.

მხატვართა დასახლების ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); შალვა მშველიძის ქუჩიდან ვაზისუბნის I მიკრორაიონამდე.

მხატვრის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); გიორგი ძოწენიძის ქუჩიდან ბესარიონ ჟღენტის ქუჩამდე. შ. ნუცუბიძის II და III მიკრორაიონების მიმდებარე უსახელო ქუჩას მხატვრის ქუჩა ეწოდა 2003.



მცხეთის ქუჩა.

მეტეხის ღვთისმშობლის შობის ეკლესია. ▶







ვაკე-საბურთალო. ხედი კუს ტბიდან.

ნაგომარის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმა-ღელე*); ბოგვის ქუჩიდან მუხრანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. ადრე საპროექტოს II ქუჩა ერქვა. 60-იან წლებში ნ. ქ. ეწოდა.

ნაგომარი, სოფელი ოზურგეთის რ-ნში.

ნადიკვრის I დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); წინანაურისა და ორთაჭალის ქუჩებსა და მთის ფერდობს შორის.

ნადიკვრის II დასახლება, ბერძენთა დასახლებასა და მთის ფერდობს შორის.

ნადიკვრის I ქუჩა, იხ. ბეჟან (ჟანი) *კალანდაძის ქუჩა.*

ნადიკვრის II ქუჩა, იხ. *ბერძნის ქუჩა.*

ნადიკვრის II ქუჩა, იხ. *მარტვილის ქუჩა.*

ნადიკვრის III ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან მთის ფერდობამდე.

ნადიკვრის IV ქუჩა, იხ. *ორთაჭალის ქუჩა.*

ნადიკვარი, თელავის უბანი, ყოფ. სოფელი.

კოლაუ **ნადირაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); გიორგი მაზნიაშვილის ქუჩიდან ივანე ჯავახიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც თევდორეს ქუჩა, 1925 ლენინაშენის ქუჩა დაერქვა. 1996 კ. *ნადირაძის* სახელი ეწოდა.

ჯ ურ ხა **ნადირაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); მიხეილ შავიშვილის ქუჩიდან პეტრე ქავთარაძის ჩიხამდე. ქუჩას ჯ. *ნადირაძის* სახელი ეწოდა 2002.

ნავთლუღი, ე რ ე კ ლ ე ს ც ი ხ ე, ისანი-სამგორის რ-ნი. ქალაქის ძვ. უბანი მტკვრის მარცხ. მხარეს, თბილისის სამხრ.-აღმ. ნაწილში. დაახლ. საზღვრავს: დას-ით — დირსიჭალის, ბაღდათისა და ს. დოდაშვილის ქუჩები, აღმ-ით — მდ. ლოჭინი, ჩრდ-ით — ივრის ზეგნის სერები, სამხრ-ით — მდ. მტკვარი. ნ. თურქ. სიტყვაა და ნავთიან ადგილს ნიშნავს. „მუნ დის ნავთი“, — ასე ახასიათებს ნ-ს ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.) ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. XVII–XVIII სს-ში იგი ქალაქისპირა სოფელი იყო და ეკუთვნოდა თავად სუმბათაშვილებს. ნ-ის შესამჩნევი განაშენიანება დაიწყო XIX ს. 30-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც აქ განლაგებული სამხ. ნაწილების მომსახურებისათვის აიგო სამხ. ჰოსპიტალი. წარმოიქმნა ჰოსპიტლის მოედანი და მიმდებარე ქუჩები. 1883 ნ-ზე გაიარა ბაქოსკენ მიმავალმა პირველმა მატარებელმა. შემდეგ მოჰყვა კახეთისკენ მიმავალი მატარებელი. *კახეთის გზატკეცილის* გასწვრივ XX ს. 60-იანი წლებიდან ვრცელი საცხოვრ. მასივი გაშენდა.

ნავთლუღის I დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); კახეთის გზატკეცილს, ნავთლუღის ხევსა და მთის ფერდობს შორის.

ნავთლუღის I დასახლების:

I ქუჩა, იხ. ვასილი *კოპცოვის ქუჩა.*

II ქუჩა, იხ. სერგი *ჯიქიას ქუჩა.*

III ქუჩა, იხ. ათანასე *ხარაბაძის ქუჩა.*

IV ქუჩა, იხ. დიმიტრი *უზნაძის ქუჩა.*

V ქუჩა, კახეთის გზატკეცილიდან დიმიტრი უზნაძის ქუჩამდე.

VI ქუჩა, იხ. გრიგოლ *მათიაშვილის ქუჩა.*

VII ქუჩა, იხ. იოსებ და ლეონ *ორბელების ქუჩა.*

VIII ქუჩა, იხ. ირაკლი *ტატიშვილის ქუჩა.*

IX ქუჩა, იხ. თეოფილე *ჩოჩუას ქუჩა.*

X ქუჩა, იხ. ალექსანდრე *ჯანელიძის ქუჩა.*

XI ქუჩა, იხ. სერგო *ქობულაძის ქუჩა.*

XII ქუჩა, იხ. კირიაკ *ზავრიევის ქუჩა.*

XIII ქუჩა, დასაწყისი ნავთლუღის I დასახლების VIII შესახვევიდან.

I შესახვევი, კახეთის გზატკეცილიდან ვასილი კოპცოვის ქუჩამდე.



კოლაუ ნადირაძის ქუჩა.

II ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ნავთლულის I დასახლების I შესახვევიდან თეოფილე ჩოჩუას ქუჩამდე.
VI ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ვასილი კოპცოვის ქუჩიდან გრიგოლ მათიაშვილის ქუჩამდე.
VII ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან გრიგოლ მათიაშვილის ქუჩამდე.
VIII ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, დასაწყისი ნავთლულის I დასახლების VII შესახვევიდან.
ᲜᲐᲕᲗᲚᲣᲚᲘᲡ II ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ქინძმარაულისა და აბელ ენუქიძის ქუჩებს შორის.
ᲜᲐᲕᲗᲚᲣᲚᲘᲡ II ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ:
II ᲤᲣᲜᲯᲘ, დასაწყისი გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩიდან.
III ᲤᲣᲜᲯᲘ, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩიდან VI ქუჩამდე.
IV ᲤᲣᲜᲯᲘ, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩიდან V ქუჩამდე. აქვს 1 ჩიხი.
V ᲤᲣᲜᲯᲘ, IV ქუჩიდან რკინიგზამდე.
VI ᲤᲣᲜᲯᲘ, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩიდან III და V ქუჩებამდე.
VII ᲤᲣᲜᲯᲘ, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩიდან რკინიგზამდე. აქვს 2 შეს.
ᲜᲐᲕᲗᲚᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ბაღდათის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 და 1895 წლების გეგმებზე დატანილია როგორც ვაისენჰოფის ქუჩა (სტანისლავ ალფონსის ძე ვაისენჰოფი იყო ქალაქის გამგეობის კოლეგიის წევრი). თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ნ. ქ. აქვს 1 ჩიხი.
გრიგოლ **ᲜᲐᲗᲐᲫᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი ჭყონდიდელის ქუჩიდან ეკა ბეჟანიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ყენისის ქუჩა ერქვა. შემდეგ გ. *ნათაძის* სახელი ეწოდა.
ალექსანდრე **ᲜᲐᲗᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); არნოლდ ჩიქობავას ქუჩიდან მაქსიმ გორკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ანდრონიკოვის ქუჩა (იხ. ი. *ანდრონიკაშვილი*). 1923 – გ. *გერშუნის*, 1959 ა. *ნათიშვილის* სახელი ეწოდა.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); ნაკადულის ქუჩიდან ნაკადულის II გასასვლელამდე.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); ნაკადულის ქუჩიდან ნაკადულის I და III გასასვლელებამდე.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ III ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); ნაკადულის ქუჩიდან ნაკადულის II და IV გასასვლელებამდე.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ IV ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); ნაკადულის ქუჩიდან ნაკადულის III და V გასასვლელებამდე.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ V ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); ნაკადულის ქუჩიდან ნაკადულის IV გასასვლელამდე.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ VI ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); ნაკადულის ქუჩიდან გარდაბნის გზატკეცილამდე.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); მარელისის ქუჩიდან გარდაბნის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. აქვს 6 გას., 2 ჩიხი.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ I ᲩᲘᲮᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); დასაწყისი ნაკადულის III გასასვლელიდან.
ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘᲡ II ᲩᲘᲮᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წმინდა ბარბარეს დასახლება*); დასაწყისი ნაკადულის III გასასვლელიდან.
ნინო და ილია **ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); კალისტრატე ცინცაძის ქუჩიდან იოანე შავთელის ქუჩამდე. ქუჩის ჩანასახი უკვე ჩანს ვახუშტი ბატონიშვილის თბილისის 1735 წ. გეგმაზე, მაგრამ როგორც ქუჩა, ჩამოყალიბებული სახით, წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. ქუჩაზე იდგა კვირაცხოვლის (ვახუშტის გეგმაზე – №63), იგივე წმ. თომას ეკლესია, რის გამოც მას თავდაპირველად კვირაცხოვლის, შემდეგ კი *თომას* ქუჩა დაერქვა (შეტანილია 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში). 1922 ავლევის ქუჩა ეწოდა (40-იან წლებში შეუერთდა ჩახრუხაძის გასასვლელი). 1996-იდან – ნ. *ნაკაშიძის*, 2003-იდან ნ. და ი. ნაკაშიძეების სახელი ჰქვია (იხ. ი. *ნაკაშიძე*). ქუჩას მთავარეპისკოპოსის ქუჩასაც უწოდებდნენ, რადგან ქუჩაზე მდგარი კვირაცხოვლის ეკლესია სამთავროს მთავარეპისკოპოსის ადგილსამყოფლად ითვლებოდა. აქვე იყო აგრეთვე ქაიხოსრო აბაშიძის, ქსნის ერისთავის, გედევანიშვილისა და ციციშვილის სასახლეები. შემონახულია XIX ს. II ნახევრის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.
ᲐᲕᲚᲔᲕᲘ, სოფელი ქარელის რ-ნში.
ვიქტორ **ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); ვლადიმერ მიქელაძის ქუჩიდან ჯორჯ ბუშის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს დასახლების II ქუჩა ერქვა, 70-იან წლებში ვ. *ნანეიშვილის* სახელი ეწოდა.
ვლადიმერ **ᲜᲐᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); გლდანის მასივის I და III მიკრორაიონებს შორის. ქუჩას ვლ. *ნანეიშვილის* სახელი დაერქვა 1984.
ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); ივრეთის (ივლეთის) ქუჩიდან ნარგიზის ჩიხამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. ადრე შესახვევი იყო. ასეა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.
ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); დასაწყისი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.
ᲜᲐᲡᲐᲙᲘᲠᲐᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მთავარანგელოზის ქუჩიდან ნიკიფორე ირბახის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ნ. მურავიოვის ქუჩა (იხ. ნ. *მურავიოვი*). ნ. ქ. ეწოდა 1923. ადრე გრძელდებოდა ალექსანდრე წურწუმიას შესახვევამდე.
ᲜᲐᲡᲐᲙᲘᲠᲐᲚᲘ, სოფელი ოზურგეთის რ-ნში.
სულხან **ᲜᲐᲡᲘᲫᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); საქართვ. ტექ. უნ-ტის I კორპუსიდან პლატონ იოსელიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1938-მდე ახალშენის I ქუჩა ერქვა, შემდეგ – ახალშენის ქუჩა, 1998 ს. *ნასიძის* სახელი ეწოდა.
ᲜᲐᲢᲐᲮᲢᲠᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ზაურ ბოლქვაძის ქუჩიდან იყალთოს ქუჩამდე (თავდაპირველად იწყებოდა ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან). წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.
ᲜᲐᲢᲐᲮᲢᲐᲠᲘ, სოფელი მცხეთის რ-ნში.
ᲜᲐᲤᲐᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ვასილ ბარნოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია ვაკის ახალი ქუჩების სიაში (ერთხანს მემედ *აბაშიძის* სახელი ერქვა).
ᲜᲐᲤᲐᲠᲔᲣᲚᲘ, სოფელი თელავის რ-ნში.
ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲫᲔᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დასაწყისი ორბეთის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს-ში. ადრე ლოტკინის დასახლების IV ქუჩა ერქვა.
ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲫᲔᲕᲘ, სოფელი ასპინძის რ-ნში. ამ სახელწოდების კიდევ რამდენიმე სოფელია საქართველოში.
ᲜᲐᲫᲔᲠᲐᲚᲐᲡ ᲤᲣᲜᲯᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); დასაწყისი შილდის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.
ᲜᲐᲫᲔᲠᲐᲚᲐ, მთა და უღელტეხილი რაჭის ქედზე.
ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. თბილისის ძვ. უბანი ქალაქის ჩრდ. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს. უბანი გაჩნდა



იაკობ ნიკოლაძის ქუჩა.

თბილისი–ფოთის რკინიგზის გაყვანის (1872) შემდეგ, რ-მაც *დიდუბის* ტერიტ. ორ ნაწილად გაყო. ნ. გაშენდა რკინიგზის გადაღმა. სახელწ. მიიღო რკინიგზის მუშების მიერ სამოსახლოების ყოველგვარი ნებართვის გარეშე (ძალით) დაკავების გამო. არის ძველი და ახალი ნ. ძველი ნ. აღმოცენდა XIX ს. 80-იან წლებში, მოიცავს გ. ჩიტაიას და ო. ქინქლაძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიას (კუკიის ძვ. სასაფლაომდე). ახალი ნ. გაშენდა XX ს. დასაწყისში და მოიცავს რკინიგზის გადასასვლელი ხიდის (ახლანდ. „მამულიშვილთა ხიდი“) მიმდებარე ტერიტორიას.

ნიაბის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 5 შეს.

ნიაბი, სოფელი კასპის რ-ნში.

ნიალვრის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); პავლე ინგოროყვას ქუჩიდან შიო ჩიტაძის ჩიხამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე დატანილია სასწავლებლის ქუჩის სახელწოდებით, რადგან აქ მდებარე წმ. ნინოს კეთილშობილ ქალთა სასწავლებელს თითქმის მთელი კვარტალი ეკავა. შემდეგ მთის IV ქუჩა ერქვა. 1900 წ. ნ. ქ. ეწოდა (ასეა დატანილი თბილისის 1900 წ. გეგმაზე). ამ ქუჩაზე მოედინებოდა მთაწმინდის ფერდობებიდან ჩამონადენი ნიაღვრის დიდი ნაწილი (სახელიც აქედან მომდინარეობს). ქუჩაზეა ლ. დავითაშვილის სახ. პალეობიოლოგიის ინ-ტი. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

ნიზამი განჯევის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); გიორგი მერჩულის ქუჩიდან თელეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. XX ს. 30-იან წლებში *ნიზამი განჯევის* შესახვევი იყო.

ნიკიფორე ირბახის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ავლაბრის მოედნიდან ნასაკირალისა და დედოფლისწყაროს ქუჩებამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც პეტრე-პავლეს ქუჩა (მიემართებოდა პეტრე-პავლეს ეკლესიისკენ), 1923 – ი. *ფიოლეტოვის* (გრძელდებოდა ალექსანდრე წურწუმიას შესახვევამდე), 1993 ნ. 0-ის (ნ. *ჩოლოყაშვილის*) სახელი ეწოდა.

იაკობ **ნიკოლაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მერაბ კოსტავას ქუჩიდან პეტრე მელიქიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ქუჩა დაიგეგმა XIX ს. 90-იან წლებში. 1899 ქუჩის მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას, ა. პუშკინის იუბილესთან დაკავშირებით ქუჩისთვის ეწოდებინათ პუშკინის II ქუჩა, მაგრამ თხოვნა არ შესრულდა და დუშეთის ქუჩა დაერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1922 ი. *ნიკოლაძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე დგას ი. ნიკოლაძის ბიუსტი (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი. არქიტ. კ. ნახუცრიშვილი).

ნუშეთი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ნიკო **ნიკოლაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ლეო ქიაჩელის ქუჩიდან მერაბ კოსტავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თავიდან დაპროექტებული ქუჩა ერქვა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ღვთისმეტყველის ქუჩა („ბოგოსლოვსკაია“). სახელწ. უკავშირდება იქვე მდგარ იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიას (აკურთხეს 1901). 30-იან წლებში კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტეტის წევრის ანდრე მარტის სახელი დაერქვა. ასეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 50-იან წლებში ნ. *ნიკოლაძის* სახელი ეწოდა. აღსანიშნავია საცხოვრ. სახლი №3 (1949; არქიტ. ა. მიმინოშვილი. სსრკ სახელმწ. პრემია).

იაკობ **ნიკოლაძის I ჩიხი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); დასაწყისი ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩიდან. XX ს. 20-იან წლებში ერქვა ერთობის ქუჩა, როგორც სიმბოლო მეწშევიკების ერთიანობისა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია დემიან ბედნის ქუჩის სახელწოდებით (იხ. *ბედნი* დემიან).

ნიკორწმინდის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ადრე თემქის დასახლების III ქუჩა იყო. ქუჩა მოიხსენიება ცნობარებში, მაგრამ ამ სახელწოდებით ამჟამად აღარ არსებობს.

ნიკორწმინდა, სოფელი ამბროლაურის რ-ნში. დგას XI ს. ქართ. ხუროთმოძღვრების ძეგლი – ნიკორწმინდის ტაძარი.

ვიქტორ **ნინიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*წავთლული*); სერგი წულაძის ქუჩიდან სახალხო ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში როგორც სალოცავის შესახვევი, 1923 კომკავშირის შესახვევი დაერქვა, შემდეგ – კომკავშირის I შესახვევი, მოგვიანებით – ს. წულაძის I გასასვლელი, ხოლო 1994 ვ. *ნინიძის* სახელი ეწოდა.

ეგნატე **ნინოშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ოქროსუბანი*); გიორგი მაზნიაშვილის ქუჩიდან თამარ მეფის გამზირამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. ნ. ქ. ერთ-ერთია იმ 32 ქუჩიდან, რ-იც გაყვანილია 1846 წ. შექმნილი „თბილისის გარეუბნების მოწყობი კომისიის“ მიერ. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ალექსანდრეს ქუჩა. სახელწ. უკავშირდება იქვე მდგარ წმინდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიას. 1922 დაერქვა ე. *ნინოშვილის* სახელი. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის მონაკვეთი, კონსტანტინე ფოცხვერაშვილის ქუჩიდან თამარ მეფის გამზირამდე, დატანილია როგორც ყვირილას ქუჩა. ქუჩაზეა კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები.

ვახტანგ **ნინუას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ზესტაფონისა და ეკა ბეჟანიშვილის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში და ტრიკოტაჟის ქუჩა დაერქვა. სახელი ეწოდა ამ ქუჩაზე მდებარე ტრიკოტაჟის კომბინატის გამო. 2007 დაერქვა ვ. *ნინუას* სახელი.

გიორგი **ნიორაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); გუთნის ქუჩიდან თელავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სალიანის შესახვევი, თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში – როგორც ნიორაძის ქუჩა (იხ. გ. *ნიორაძე*). აქვს 1 შეს. და 1 ჩიხი (ყოფ. სალიანის გას. და ჩიხი).

სალიანი, ქალაქი აზერბაიჯანში, მტკვრის მარჯვ. ნაპირზე. განთქმულია თევზის სარეწებით.



ე. ნინოშვილისა და გ. მაზნიაშვილის ქუჩების კუთხე.

შოთა **ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); შოთა ნიშნიანიძის შესახვევიდან ნინო და ილია ნაკაშიძეების ქუჩამდე.

შოთა **ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); ვერცხლის ქუჩიდან ჩახრუხაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სინოდის ქუჩა, 1923 ი. *ნაკაშიძის* სახელი დაერქვა. 40-იანი წლებიდან – მილიციის, შემდეგ – ნ. *ნაკაშიძის*, 1996-იდან ისევ ი. ნაკაშიძის ქუჩა ერქვა. 2003 შ. *ნიშნიანიძის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. 90-იანი წწ. საცხოვრ. სახლები. აქვს 1 გას., 1 შეს.

ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ეროსი მანჯგალაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ᲜᲝᲕᲝᲠᲝᲡᲘᲘᲡᲙᲘ, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში, ნავსადგური შავ ზღვაზე.

იოსებ **ᲜᲝᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*მუხიანი*); ალეკო გობრონიძის ქუჩიდან ზევამდე. უსახელო მონაკვეთს ი. *ნონეშვილის* სახელი ეწოდა 1987.

ᲜᲝᲠᲘᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ოთარ კაპანაძის ქუჩიდან კუკიის სასაფლაომდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ქუჩაზეა წმინდა ნინოს ეკლესია (XIX ს.). აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ᲜᲝᲠᲘᲝ, სოფელი გარდაბნის რ-ნში.

ᲜᲝᲡᲘᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); აწყურის ქუჩიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. 20-იან წლებამდე ფერმა-ავლაბრის IV ქუჩა ერქვა.

ᲜᲝᲡᲘᲠᲘ, სოფელი სენაკის რ-ნში.

ᲜᲝᲡᲢᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მუშათა ქუჩიდან უიარალოს III გასასვლელამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კისისხევის I შეს., 40-იან წლებში ი. *თარხნიშვილის* სახელი დაერქვა, 1946 – ნ. ქ. აქვს 1 შეს.

ᲜᲝᲡᲢᲔ, სოფელი კასპის რ-ნში.

ᲜᲣᲙᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მდებარეობდა დუშეთის ქუჩასა და არმაზის შესახვევს შორის. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც აშტარაკის შესახვევი. 1956 ნ. ქ. დაერქვა (ამჟამად ქუჩა აღარ არსებობს ახლომდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის გამო).

ᲜᲣᲙᲠᲘᲐᲜᲘ, სოფელი სიღნაღის რ-ნში.

ᲐᲨᲢᲐᲠᲐᲙᲘ, ქალაქი სომხეთში.

შალვა **ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ ᲞᲚᲐᲢᲝ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); საცხოვრებელი მასივი შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან მთის ფერდობისაკენ, ლისის ქედის სამხრ. კალთაზე (ე. წ. უზუმბარის სერზე). განაშენიანება დაიწყო XX ს. 80-იანი წლებიდან. 9 და 16-სართულიანი მსხვილპანელიანი საცხოვრ. სახლები ფერდობზე „კასკადურად“ არის განლაგებული. აქვს ხუთი მიკრორაიონი, აქედან I მიკრორაიონი მოიცავს 1, II მიკრორაიონი – 5, III მიკრორაიონი – 4, V მიკრორაიონი – 1 კვარტალს (IV მიკრორაიონს კვარტალი არ აქვს).

შალვა **ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისა, დელისი*); სიმონ კანდელაკის ქუჩიდან ელიზბარ მინდელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ს. *კანდელაკის ქუჩის* მონაკვეთს შ. *ნუცუბიძის* სახელი ეწოდა 1969. 70-იან წლებში დაიწყო ნ. ქ-ის მიმდებარე ფერდობების განაშენიანება (არქიტ. ო. კალანდარიშვილი).





ობსერვატორიის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მარტყოფის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1851–62 ახლანდ. ობსერვატორიისა და მარტყოფის ქუჩების კუთხეში განთავსებული იყო თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია. ქუჩის სახელწოდებაც აქედან მოდის.

ოდესის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); სოფრომ მგალობლიშვილის ქუჩიდან ტაშკენტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

ოდესა, ქალაქი უკრაინაში, ნავსადგური შავ ზღვაზე.

გოჩა **ონაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*მერვე ლეგიონის დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან ალექსანდრე წულუკიძის II შესახვევამდე. მერვე ლეგიონის დასახლების უსახელო ქუჩას გ. *ონაშვილის* სახელი ეწოდა 2003.

ემზარ **ონიანის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); კონსტანტინე ამირაჯიბის ქუჩიდან საბარგოს ხევამდე. ადრე საბარგოს დასახლების VIII შესახვევი იყო, 1995 ე. *ონიანის* სახელი ეწოდა.

ოთარ **ონიაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ზურაბ ჟვანიას მოედნიდან ბუდაპეშტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ვიბორგის ქუჩა ერქვა. 1969 ო. *ონიაშვილის* სახელი ეწოდა.

ვიბორგი, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში.

ონის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); იერუსალიმის ქუჩიდან გრიგოლ ხანძთელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. ადრე იორდანის შესახვევი ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 ო. შ. დაერქვა.

ონი, ქალაქი დას. საქართველოში.

ოპიზრის ქუჩა, იხ. *ბეჭა და ბეშქენ ოპიზრების ქუჩა.*

მარიამ **ორახელაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); დასაწყისი ჭირნახულის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე შოთა რუსთაველის ქუჩა ერქვა. მ. *ორახელაშვილის* სახელი ეწოდა 1977.

ორბეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დასაწყისი ნაქალაქევის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს-ში. ადრე ლოტკინის დასახლების III ქუჩა ერქვა.

ორბეთი, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში.

იოსებ და ლეონ **ორბელების ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლულის I დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან ალექსანდრე წულუკიძის ქუჩამდე. ნავთლულის I დასახლების VII ქუჩას ძმები ორბელების (იხ. ი. *ორბელი*, ლ. *ორბელი*) სახელი ეწოდა 1983. აქვს 1 ჩიხი.

ორბელიანთუბანი, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*). გარეთუბნის მიკროუბანი გიორგი ათონელის ქუჩასა და მტკვრის მარჯვ. სანაპიროს შორის. ტოპონიმი გაჩნდა XVIII ს. II ნახევარში. შემორჩენილია გალავნის კოშკი და XIX ს. საცხოვრ. სახლები. XX ს. 80-იან წლებში ჩატარდა ო-ის ისტ. განაშენიანების აღდგენითი სამუშაოები.



ვახტანგ ორბელიანის ქუჩა №18

გრიგოლ **ორბელიანის მოედანი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვლადიმერ (ვოვა) ვეკუას, გიორგი ათონელის, ანტონ ფურცელაძის, რევაზ თაბუკაშვილისა და ალექსანდრე პუშკინის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. იყო ქალაქის ერთ-ერთი პირველი საბაზრო მოედანი. 1828-იდან იხსენიება როგორც ფოსტის მოედანი. თბილისის 1876, 1884, 1897 წლების გეგმებზე დატანილია სალდათის ბაზრის სახელწოდებით. კვირა დღეებში აქ იმართებოდა დიდი ბაზრობები, სადაც სალდათებს გასაყიდად გამოჰქონდათ ტყავისა და ნაბდის ჩექმები, თეთრეული, ფარავჯები და სხვ. შესაბამისად ადგილსაც სალდათის ბაზარი შეერქვა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩებისა და მოედნების სიაში შეტანილია როგორც რუსის ბაზრის მოედანი ანუ რუსის ბაზარი, მოედანს ცალ მხარეს მიუყვებოდა რუსის ქუჩა (ახლანდ. ვ. *ვეკუას ქუჩა*). XX ს. 30-იან წლებში ამ მოედნის ქვემოთ ბაზარი აიგო და მოედანს კოლმეურნეობის მოედანი დაარქვეს. 1992 გ. *ორბელიანის* სახელი ეწოდა. 1979 მოედანზე, ა. პუშკინისა და ნ. ბარათაშვილის ქუჩათა გადაკვეთის ადგილზე, მოეწყო ვარსკვლავისებური მიწისქვეშა გადასასვლელი სავაჭრო რიგებით.

ვახტანგ **ორბელიანის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); ვახტანგ ორბელიანის შესახვევიდან მტკვრის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ორბელიანის ქუჩა, 1923 ვ. *ორბელიანის* სახელი დაერქვა. ქუჩაზე და ჩიხში შემორჩენილია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აღსანიშნავია სახლი №4/6, სადაც 1888 დაიბეჭდა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი მიხაი *ზიჩის* ილუსტრაციებით. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

სულხან-საბა **ორბელიანის ქუჩა**, იხ. *სულხან-საბას ქუჩა.*

ორთაჭალა, თბილისის ძვ. უბანი მტკვრის მარჯვ. მხარეს, ქალაქის სამხრ.-აღმ. ნაწილში. მდებარეობს 300 არაგველის ბაღის, 300 არაგველის ხიდის, ვახტანგ გორგასლისა და ორთაჭალის ქუჩებისა და დ. გულიას ხიდ-აკვედუკის მიდამოებში. სახელწ. „ო.“ ორი სიტყვის ნაერთია: თურქ. – ორთა (ქართ. – შუა) და ქართ. – ჭალა, ე. ი. შუაჭალა. თავდაპირველად „ო.“ ერქვა კუნძულს, რ-საც ორად განტოტებული მტკვარი წარმოქმნიდა. იგი მარჯვენა ნაპირს ხის საცალფეხო ხიდით უკავშირდებოდა. კუნძულზე იყო შემდეგი დასახელების მოკლე და ვიწრო ქუჩები: ბოსტნის, ხილის, ბაღჩის, ყურის, ორთაჭალის სანაპირო, სანაპიროს ჩიხი, ორთაჭალის ჩიხი და სხვ. მოგვიანებით ო. ეწოდა მტკვრის მარჯვენა მხარის მიმდებარე უბანსაც. XIX ს-ში ო. იყო თბილისელთა დასასვენებელი და გასართობი ადგილი, განთქმული ორთაჭალის ბაღებით.

ორთაჭალის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. ყოფ. ნადიკვრის IV ქუჩას ო. ქ. ეწოდა 1965. აქვს 4 შეს., 5 ჩიხი.

ნადიკვარი, თელავის უბანი, ყოფ. სოფელი.

ორპირის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); სამღებროს ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1902 წ. გეგმაზე დატანილია როგორც რუბენის შესახვევი. 1923-იდან ო. ქ. ჰქვია.

ორპირი, სოფელი ტყიბულის რ-ნში.

ორპირის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); დასაწყისი ბეთლემის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სურენის შესახვევი. 1923-იდან ო. შ. ჰქვია.

ორპირის ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); მისასვლელი ბეთლემის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამ-



ორთაჭალა.

გეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სურენის ჩიხი. 1923-იდან **ო. ჩ.** ჰქვია.

ორხევის I გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); ორხევის ქუჩიდან მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩამდე (ყოფ. ორხევის შესახვევი).

ორხევის II გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); ორხევის I გასასვლელიდან ყოფ. ორხევის II შესახვევამდე (**ო. II გ-ს** ადრე ორხევის გასასვლელი ერქვა).

ორხევის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი. დასახლება თბილისის აღმ. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს, სამგორის II დასახლებასა და ზემო ალექსეევკის დასახლებას შორის.

ორხევი, მდინარე თბილისის მიდამოებში.

ორხევის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); ელენე ახვლედიანის აღმართიდან ყოფ. ორხევის II შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც წრიული ჩიხი, თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში – როგორც **ო. ჭ.** შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 2 გას., 1 შეს. (წრიულის II შესახვევი).

ორხევის I შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); მისასვლელი ელენე ახვლედიანის აღმართიდან (ყოფ. „ობვოდნის“ შესახვევი).

ორხევის II შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); მდებარეობდა ორხევისა და ალვანის ქუჩებს შორის (ყოფ. „პროხოდნის“ შესახვევი); ამჟამად აღარ არსებობს.

ოსეთის ჭუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); სიმონ კანდელაკის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში.

ოსიაურის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ოსიაურის შესახვევიდან ლენტეხის ქუჩამდე (ადრე გადიოდა ოსიაურის ქუჩამდე).

ოსიაურის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); იაროსლავსკის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. ადრე ლაბინის I შესახვევი ერქვა. 60-იან წლებში **ო. ჭ.** ეწოდა.

ოსიაურის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); ლენტეხის გასასვლელიდან ტერენტი გრანელის ქუჩამდე. ადრე ლაბინის II შესახვევი ერქვა.

ოსიაური, სოფელი ახმეტის რ-ნში, აგრეთვე ხაშურის რ-ნის სოფლების – ზემო და ქვემო ოსიაურის გავრცელებული სახელწოდება.

ოფრემის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ორთაჭალა*); ეფრემ მცირის ქუჩიდან ბერძნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ოფრეთი, სოფელი მარნეულის რ-ნში.

ოქრომჭედელთა გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან კალისტრატე ცინცაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში.

ოქრომჭედელთა ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); კალისტრატე ცინცაძის ქუჩიდან ვერცხლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც იუველირის შესახვევი. ამ ძველთბილისურ, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაზე იყო ოქრომჭედლების სახელოსნოები და დუქნები. **ო. ჭ.** დაერქვა 1960. აქვს 1 გას.

ოქროსუბანი, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); უბანი მტკვრის მარცხ. მხარეს, კონსტანტინე (კოტე) მარჯანიშვილის ქუჩას, თამარ მეფის გამზირს, ნიკო ფიროსმანისა და მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩებს შორის. წინათ აქ ცხოვრობდნენ მეეტლეები და ოქრომჭედლები.

ოქროყანა, თბილისის უბანი და სააგარაკო ადგილი მთაწმინდის ქედის აღმ. კალთებზე. ყოფ. სოფელი. თბილისს შეუერთდა 1973.

ოქროყანის აღმართი, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); იწყებოდა ამაღლების ქუჩიდან. ცნობილია XIX ს-იდან. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია



გრიგოლ ორბელიანის მოედანი.





ოცდაექვსი მაისის მოედანი.
სპორტის სასახლე.

როგორც განაპირა ალმართი („კრაინი პოდიომ“). თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც **ო. ა.**

ოქრომყანის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); შხეფის ქუჩიდან წავკისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 ჩიხი.

ოჩამჩირის ჭუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ხევიდან ჟიული შარტავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე კოლხეთის III შეს. ერქვა, 1968-იდან – ი. გაგარინის III შესახვევი. **ო. ჭ.** დაერქვა 2001.

ოჩამჩირე, ქალაქი დას. საქართველოში, აფხაზეთში.

ოცდაექვსი მაისის მოედანი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); კონსტანტინე გამსახურდიასა და პეკინის გამზირებს, ვიქტორ დოლიძის, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქუჩებს შორის. 1977-მდე ერქვა ს. *ორჯონიკიძის* სახელი, შემდეგ – კონსტიტუციის მოედანი. **ო. მ. მ.** ეწოდა 1992 საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღის აღსანიშნავად. მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძი. მის ხუროთმოძღვრულ სახეს ქმნის საქართვ. ტექნიკური უნ-ტის I კორპუსის შენობა (1940–56; არქიტ. მ. ნეპრინცევი), საცხოვრ. სახლი პეკინის ქუჩის დასაწყისში (1956; არქიტექტორები ქ. ფორაქიშვილ-სოკოლოვა, ი. ჩხენკელი), სპორტის სასახლე (1961; არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. კასრაძე. კონსტრუქტორი დ. ქავჭაია), ყოფ. სასტუმრო „აჭარა“ (1975; არქიტ. მ. მელია). სპორტის სასახლის წინ დგას ქანდაკება „მზეჭაბუკი“ (მოქანდაკე დ. მიქატაძე. არქიტ. ვ. ალექსი-მესხიშვილი). მოედანზე გამოდის მეტროს სადგური „ტექნიკური უნივერსიტეტი“. მიმდინარეობს მოედნის რეკონსტრუქცია.

პეტრე და იოსებ **ოცხელების ჭუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლური*); ქინძმარაულის ქუჩიდან ნაკადულის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში და **ო. ჭ.** დაერქვა. იხ. ი. *ოცხელი*, პ. *ოცხელი*.

არსენა **ოძელაშვილის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ვახტანგ კოტეტიშვილის ქუჩიდან რიწის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 30-იანი წლებიდან იყო ლაბორატორიის ქუჩის (ახლანდ. *ინგოროყვას ქუჩა*) ნაწილი. 1900 დაერქვა სამივწნო, მივწნის ქუჩა („მეჟეევაია“). 1923 – არსენას, 1958 ა. *ოძელაშვილის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. აქვს 1 ჩიხი.

ოძისის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან ბელღეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ოძისი, სოფელი დუშეთის რ-ნში.

ბორის **პაიჭაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); გრიგოლ რობაქიძის გამზირსა და ევგენი მიქელაძის ქუჩას შორის. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. 1963 – ივანე (მამია) *ორახელაშვილის*, 1992 ბ. *პაიჭაძის* სახელი დაერქვა.

პალიასტომის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); რკინიგზიდან ვასილ კიკვიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში. აქვს 1 ჩიხი.

პალიასტომი, ტბა დას. საქართველოში.

პანკისის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან ჩაილურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში. აქვს 1 შეს.

პანკისი, პანკისის ხეობა, ალაზნის ხეობის ზემო ნაწილი.

ლუი **პასტერის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი. დავით აღმაშენებლის გამზირიდან დიმიტრი უზნაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თავდაპირველად აფთიაქის ქუჩა ერქვა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე). 1902, ქალაქის სამედ. საზ-ბის ინიციატივით, ეწოდა ლ. *პასტერის* სახელი. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ამ მიდამოებში იყო პასტერიზაციის დისპანსერი.

პატარა გლდანი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი; დასახლება ავჭალისა და გლდანისხევის დასახლებებს შორის.

ზურაბ **პატარიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); მდებარეობს III და IV მიკრორაიონებს შორის. 1983 ზ. *პატარიძის* სახელი ეწოდა.

პატარაძეულის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან დოლაბაურის ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

პატარაძეული, სოფელი საგარეჯოს რ-ნში.

პატარაძეულის შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩიდან უჯარმის ქუჩამდე.

პეკინის ალმართი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); მდებარეობდა პეკინის ქუჩასა და იყალთოს შესახვევს შორის. ყოფ. კ. *გამსახურდიას* აღმართი. ამჟამად აღარ არსებობს, ჩაიკარგა ახალ განაშენიანებაში.

პეკინის გამზირი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ოცდაექვსი მაისის მოედნიდან ზურაბ ჟვანიას მოედნამდე. თავდაპირველად ეს იყო სოფ. ლისში მიმავალი შარაგზა. XX ს. 20-იან წლებში ჩამოყალიბდა როგორც ქუჩა, რ-საც 1959-მდე – ლისის, შემდეგ – პეკინის ქუჩა, 1981-იდან კი მშვიდობის გამზირი ერქვა. 1990 კ. *გამსახურდიას* სახელი ეწოდა, 2006 პ. ბ. დაერქვა. გამზირზეა ა. ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინ-ტი, წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას ტაძარი. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

პეკინი, ჩინეთის დედაქალაქი.

ლისი, სოფელი თბილისის მახლობლად, მცხეთის რ-ნში.

პეკინის II ჩიხი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); დასაწყისი იყალთოს ქუჩიდან.

შანდორ **პეტეფის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); ალექსანდრე წულუკიძის ქუჩიდან თეოფანე დავითაიას ქუჩამდე. ადრე კახეთის გზატკეცილის შესახვევი იყო, 1993 შ. *პეტეფის* სახელი ეწოდა.

პეტრე იბერის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დიღომი*); გიორგი ბრწყინვალისა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩებს შორის. *ფარნავაზ მეფის გამზირის* პარალელურად არსებულ უსახელო ქუჩას *პეტრე იბერის* სახელი ეწოდა 1994.

ვასილ **პეტრიაშვილის გასასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); ვასილ პეტრიაშვილის ქუჩიდან კორნელი კეკელიძის ქუჩამდე.



პეკინის გამზირი. კაფე „ნიკალა“.



პეკინის გამზირი.



პურის მოედანი.

ვასილ **პეტრიაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); პეტრე მელიქიშვილის ქუჩიდან გურამ რჩეულიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე მას ვარდისუბნის III ქუჩა ერქვა, 1901 გეგმაზე – საუფლისწულო ქუჩა („უდელნაია"), 1923 ვ. *პეტრიაშვილის* სახელი დაერქვა. ვ. პეტრიაშვილისა და პ. მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, კუთხეში, ღვინის №1 ქარხანაა (შენობა აგებულია 1896; არქიტ. ა. ოზეროვი). XIX ს. 90-იან წლებში მიწის ფართი ღვინის ქარხნის ასაშენებლად შეისყიდა საუფლისწულო მამულების უწყებამ („უდელი"), მას უკავშირდება ქუჩის ადრინდელი სახელწოდებაც. აქვს 1 გას.

იოანე **პეტრიწის ქუჩა**, იხ. *იოანე პეტრიწის ქუჩა.*

პიატიგორსკის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); როსტოვის ქუჩიდან ცხრა ძმის ქუჩამდე. ქუჩა წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე გრძელდება სენაკის ქუჩამდე.

პიატიგორსკი, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში, სტავროპოლის მხარეში.

პაბლო **პიკასოს ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ნუცუბიძის პლატო*); დასაწყისი გიორგი ძოწენიძის ქუჩიდან, ნუცუბიძის პლატოს II და III მიკრორაიონებს შორის. უსახელო ქუჩას პ. *პიკასოს* სახელი ეწოდა 2006.



ალექსანდრე პუშკინის ქუჩა №10.

პირველი მაისის ქუჩა, დიდგორის რ-ნი (*ოქროყანა*); დასაწყისი ილია ჭავჭავაძის ქუჩიდან. აქვს 2 შეს.

პლატონის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); დიდხევის დაღმართიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მონუმენტის შესახვევი. სახელწ. უკავშირდება ახლანდ. ზაარბრიუკენის მოედანზე 1867 წ. დადგმულ კავკ. მეფისნაცვლის მ. *ვორონცოვის* მონუმენტს. 1923 *პლატონის* სახელი დაერქვა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

პურის მოედანი, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); იერუსალიმის, გრიგოლ ხანძთელის, აბო თბილელის, ლადო ასათიანისა და ბეთლემის ქუჩებს შორის. მოედანი აღნიშნულია ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. პ. მ-ის სახელითაა შეტანილი 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩებისა და მოედნების სიაში. სახელი შეერქვა იმის გამო, რომ ეს ადგილი პურ-პროდუქტების ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, აქვე იყო განლაგებული ფქვილის საწყობები და ფურნეები. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. იხ. აგრეთვე *პურის ჩიხი.*

პურის ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); დასაწყისი პურის მოედნიდან.

ალექსანდრე **პუშკინის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩამდე. ეს სახელი ქუჩას ეწოდა 1880 თბილისის თვითმმართველობის ხმოსნის, ნ. *ნიკოლაძის* წინადადებით. ა. *პუშკინი* 1829, თბილისში ყოფნის დროს, ახლანდ. №5 შენობის ადგილას მდგარ 2-სართულიან, ხის მოჩუქურთმებულაივნიან ტრაქტირში ცხოვრობდა. ადრე აქ ავანაანთხევი ჩაედინებოდა, რ-ის აღმ. ნაპირს ქალაქის კედელი გასდევდა (შემონახულია ფრაგმენტები). XIX ს. 20–30-იან წლებში დაიწყო ხევის ამოვსება და ქუჩის განაშენიანება. ქუჩაზე მრავლად იყო ჩაიხანები და სამიკიტნოები. შემდეგ აშენდა ყოფ. საქალაქო საკრედიტო საზოგადოების შენობა (ახლანდ. საქართველოს ბანკი). 1885 საკვირაო ბაზრობის ტრადიციულ ადგილზე გაშენდა სკვერი, სადაც 1892 დაიდგა პუშკინის ბიუსტი (მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი). ა. პუშკინისა და ლ. გუდიაშვილის ქუჩების კუთხეში დგას შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობა (ყოფ. სასულიერო სემინარია. XIX ს. 30-იანი წლები; არქიტ. ჯ. ბერნარდაცი). შემონახულია XIX ს. დასასრულის და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

ზურაბ **ჟვანიას მოედანი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); პეკინის გამზირს, სიმონ კანდელაკის, იური გაგარინის, სოფრომ მგალობლიშვილისა და ოთარ ონიაშვილის ქუჩებს შორის. XX ს. 70-იან წლებში – ი. *გაგარინის*, 2005 ზ. ჟვანიას სახელი ეწოდა.

ზურაბ **ჟვანიას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ცხრა აპრილის ქუჩიდან ბესიკის ქუჩამდე. ადრინდელი ძმები *ზუბალაშვილების ქუჩის* ნაწილი. ზ. *ჟვანიას* სახელი ეწოდა 2005. ქუჩაზე შემონახულია XIX ს. დასასრულის და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ნინა **ჟვანიას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რ-ნების საზღვარი (*ვაკე, ვერე*); დასაწყისი კორნელი კეკელიძის ქუჩიდან. უსახელო მონაკვეთს ნ. *ჟვანიას* სახელი ეწოდა 1996.

ჟველაურის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დასაწყისი არალეთის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲟᲕᲔᲚᲐᲣᲠᲘ, ჟ ვ ე ლ უ რ თ ა, ყოფ. სოფელი ახმეტის რ-ნში.

ჟინვალის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ჭოპორტის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. მე-7 ქუჩას ჟ. ქ. ეწოდა 50-იან წლებში.

ᲟᲘᲜᲕᲐᲚᲘ, ჟ ი ნ ვ ა ნ ი, დაბა დუშეთის რ-ნში.

ჟონეთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); საინგილოს ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ᲟᲝᲜᲔᲗᲘ, სოფელი წყალტუბოს ზონაში.

ნოე **ჟორდანიას სანაპირო**, *მარცხენა სანაპიროს* მონაკვეთი ჩუღურეთის ხიდიდან ორთაჭალახესამდე. ნ. *ჟორდანიას* სახელი ეწოდა 2004.

ანდრო **ჟორდანიას ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (ზემო *ფონიჭალა*); რკინიგზიდან მარნეულის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე თბილისის ქუჩა ერქვა. 1977 ა. *ჟორდანიას* სახელი ეწოდა.

თედო **ჟორდანიას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ვახტანგ კოტეტიშვილის ქუჩიდან ბესიკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც II პარალელური ქუჩა. 1992 თ. *ჟორდანიას* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

ჟან **ჟორესის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩიდან ქიზიყის ქუჩამდე. ყოფ. უსახელო ქუჩას ჟ. *ჟორესის* სახელი დაერქვა 1967. აქვს 1 შეს.

დიმიტრი **ჟღენტის გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ჟღენტის ქუჩიდან ბუგეულის ქუჩამდე.

სულიკო **ჟღენტის გასასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); სულიკო ჟღენტის II შესახვევიდან ტყის შესახვევამდე (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ჩაბალის აღმართი).

ბესარიონ (ბესო) **ჟღენტის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ნუცუბიძის პლატო*); დასაწყისი შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. ნუცუბიძის პლატოზე მდებარე უსახელო ქუჩას ბ. *ჟღენტის* სახელი ეწოდა 1981.

დიმიტრი **ჟღენტის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); გულრიფშის ქუჩიდან ხერთვისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის დასაწყისი დატანილია როგორც ტორბლერის (კაჭრეთის ქუჩამდე) და ძეთა-მშენის ქუჩები, შემდეგ პიონერის I ქუჩა დაერქვა. დ. *ჟღენტის* სახელი ეწოდა 1995. აქვს 1 გას., 1 შეს.

სულიკო **ჟღენტის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩიდან ელიზბარ ზედგინიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ლევანის შესახვევი. 1923 დაერქვა ჩაბალის ქუჩა. ასეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. შემდეგ დაერქვა ჩაბანოს ქუჩა. 2003 ს. *ჟღენტის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას., 2 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე I შეს. დატანილია როგორც ჭალის ქუჩა, II შეს. – როგორც ჩაბალის შეს.).

ᲩᲐᲑᲐᲜᲝ, სოფელი თიანეთის რ-ნში, ივრის ხეობაში.



ზურაბ ჟვანიას ქუჩა №2.



შოთა რუსთაველის გამზირი.



შალვა **რადიანის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ირაკლი აბაშიძის ქუჩიდან ბადრი შოშიტაიშვილის ქუჩამდე. ადრე ვ. ბარნოვის IV ჩიხი იყო. ქუჩას შ. *რადიანის* სახელი დაერქვა 1981.

თედო **რაზიკაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); სამრეკლოს ქუჩიდან გუმბრის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ყარაქლისის ქუჩა, ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზეც, 60-იან წლებში თ. *რაზიკაშვილის* სახელი დაერქვა. აქვს 1 შეს.

ყარაქლისი, სწორია ყარაქილისა, სომხეთის ქალაქ ვანაძორის (1935–92 – კიროვაკანი) ძველი სახელწოდება.

თედო **რაზიკაშვილის ჩიხი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); დასაწყისი სამრეკლოს ქუჩიდან. თბილისის 1934 წ. რუკაზე დატანილია როგორც ყარაქლისის ჩიხი.

ანდრია **რაზმაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან მამკოდის ქუჩამდე. იხ. ა. *რაზმაძე*.

ანდრია **რაზმაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); დიმიტრი არაყიშვილის ქუჩიდან ირაკლი აბაშიძის გასასვლელამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში და ა. *რაზმაძის* სახელი ეწოდა.

ნინო **რამიშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ვერის ხეობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია როგორც უნივერსიტეტის I შეს., 1940 წ. – როგორც ნ. მარის შეს., 1955 წ. ცნობარით უნივერსიტეტის I ჩიხია, 1974 წ. ცნობარით – ი. ჭავჭავაძის პროსპექტის I ჩიხი, ბოლოს ჭავჭავაძის გამზირის I შეს. დაერქვა. 2007 წ. *რამიშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე, №2 სახლში, განთავსებულია ნ. *დუმბაძის* სახლ-მუზეუმი.

რატევნის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); ჩარგლის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 50-იან წლებში ყოფ. მე-11 ქუჩას **რ. ქ.** ეწოდა. აქვს 2 შეს., 2 ჩიხი.

რატევანი, სოფელი ბოლნისის რ-ნში.

იოსებ **რატილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ტვიშის ქუჩიდან ალექსანდრე კალანდაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე მესხეთის II შესახვევი ერქვა. 1973 ი. *რატილის* სახელი ეწოდა.

რაჭის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ჟღენტის ქუჩიდან ზიარის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ტორბლერის II ქუჩა, შემდეგ პიონერის II ქუჩა დაერქვა. თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია **რ. ქ**-ის სახელით.

რაჭა, მხარე დას. საქართველოში.

რევოლუციის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); ალექსანდრე მანაგაძის ქუჩიდან მტკვრის ნაპირამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 70-იან წლებამდე კომუნის ქუჩა ერქვა. აქვს 1 შეს.

რეხის I ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან მახათას აღმართამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 შეს.

რეხის II ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან რეხის I ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

რეხის III ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დასაწყისი ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

რეხა, სოფელი წალკის რ-ნში.

რვა მარტის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ვანო სარაჯიშვილის ქუჩიდან სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში და 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია როგორც დიაცთა მინდორი („ბაბი ლუგ“). სახელი შეერქვა იმის გამო, რომ მდელოზე საღამოობით გასართობად გამოდიოდნენ იქ მცხოვრები გადამდგარი ჯარისკაცების ცოლები და ბავშვები. 40-იან წლებში რვა მარტის ქუჩა დაერქვა.

რვა მარტი, ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. დაწესდა 1910 კოპენჰაგენში (დანია) ქალთა II საერთაშ. კონფერენციაზე კ. *ცეტკინის* წინადადებით.

გიორგი **რთველაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ნავთლუღის ქუჩიდან სოლომონ დოდაშვილის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1895 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მთისძირის ქუჩა, შემდეგ ეწოდა მთავარმმართველობის საბჭოს წევრის იუსტინე ვასილის ძე მინკევიჩის სახელი. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 30-იან წლებში გ. *რთველაძის* სახელი დაერქვა.

რიონის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); რიონის ქუჩიდან დავით სარაჯიშვილის ქუჩამდე.

რიონის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან დავით სარაჯიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ს. *ორჯონიკიძის* სახელი ერქვა. თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში შეტანილია როგორც **რ. ქ**. აქვს 1 გას., 2 შეს.

რიონი, მდინარე დას. საქართველოში.

რიონჰესის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); შალვა ცინცაძის ქუჩიდან ზედაზნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში და **რ. ქ**. დაერქვა.

რიონჰესი, ჰიდროელექტროსადგური მდ. რიონზე.

რიყე, ძველი თბილისის უბანი მტკვრის მარცხ. სანაპიროზე, ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის. ეს სახელი გვიანდ. შუა საუკუნეებში ეწოდა „ავლაბრის ჭალას“ მტკვართან სიახლოვის გამო. პოლკ. ბანოვის მიერ შედგენილ თბილისის 1809 წ. გეგმაზე ამ ადგილას დატანილია კუნძული, რ-იც მტკვრისგან მარცხ. ტოტით იყო გამოყოფილი. დროთა განმავლობაში ტოტში წყალმა იკლო, რამაც საშუალება მისცა 20–30-იან წლებში აქ დასახლებულ გერმანელ მოახალშენეებს და მოლოკნებს (რომლებიც შემდეგ ახალ კუკიაზე გადავიდნენ) სახელდახელოდ გაემაგრებინათ ნაპირები. მათ დიდი შრომით მოახერხეს მტკვრისთვის წაერთმიათ მიწის ნაკვეთი, რითაც **რ**-ის ტერიტორია გაიზარდა. XIX ს. 30-იან წლებში აქ იდგა „ზალცმანის სასტუმრო“ (ეკუთვნოდა ფრიდრიხ ზალცმანს, თბილისელი არქიტექტორის ალბერტ ზალცმანის მამას), შემდგომ – ზუბალაშვილების, მელიქიშვილების, ხოსროევისა და მირზოევის ქარვასლები. **რ**-ზე ეწყობოდა საკვირაო ბაზრობები. ქარვასლების მახლობლად საგანგებოდ იყო გამოყოფილი ადგილი თბილისში შემოსული სავაჭრო ქარავნების პირუტყვისათვის, სადაც ღამის გასათევად გაჩერებულ პირუტყვს უყრიდნენ თივას, შვრიას და სხვ. ამ ადგილს ერქვა თივის (ბზის) მოედანი. ორივე მოედანი (რიყის და თივის) შეტანილია როგორც 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩებისა და მოედნების სიაში, ასევე თბილისის 1934 წ. გეგმაზეც (აქვე დატანილია ბზის შესახვევი). **რ**-ზე გადიოდა ავლაბრის პატარა კარიდან რუსეთში მიმავალი „ავჭალის გზა“.

რ. მდებარეობს ქალაქის ყველაზე დაბალ ნაწილში, უშუალოდ მტკვრის ნაპირზე, ამიტომ ხშირად ზარალდებოდა წყალდიდობების და წყალმოვარდნების დროს. ტრაგიკული იყო 1896 წ. 3(15) მაისის წყალდიდობა, რ-ის დროსაც წყლის დონემ 6 *მ*-ით აიწია. მიმოსვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ ნავებით, დაზიანდა 300 საცხოვრ. სახლზე მეტი. XX ს. 60-იან წლებში ჩატარდა ამ უბნის რეკონსტრუქცია, რასაც თითქმის მთელი განაშენიანება შეეწირა. 70-იან წლებამდე იარსება თივის მოედანმა, პეტრიწის მოედანმა (1923-მდე – დესიმონის მოედანი; შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩებისა და მოედნების სიაში), პეტრიწის ქუჩამ (1923-მდე – დესიმონის ქუჩა; დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე), თოლუხჩის ქუჩამ (1900-მდე – რიყე-წყალსაზიდის ქუჩა; დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე), რიყის, ახლანდ.

ხეთაგუროვის ქუჩისა და ღვინის აღმართის დამაკავშირებელმა ტიკის (რუმბის) შესახვევმა (დატანილია თბილისის 1900 წ. გეგმაზე), სადაც განლაგებული იყო ღვინის საბითუმო სავაჭრო სარდაფები და ტიკების დამამზადებელი სახელოსნოები (იხ. ა. *დესიმონი, იოანე პეტრიწი*).

რეკონსტრუქციის შემდეგ დარჩა მოზრდილი თავისუფალი სივრცე, სადაც ხშირად იმართება მასობრივი ღონისძიებები, კერძოდ, „თბილისობა“. **რ**-ის სამხრ. ნაწილში წარმოქმნილ მოედანს 2005 *ევროპის მოედანი* დაერქვა.

რიწის ჭუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); არსენა ოძელაშვილის ქუჩიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. 1959-მდე სამრეცხაოს ქუჩა ერქვა.

რიწა, დიდი რიწა, ტბა დას. საქართველოში, აფხაზეთში.

რკინიგზის ჭუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დასაწყისი ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

რკინის რიგი, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); ბამბის რიგიდან ვახტანგ გორგასლის მოედნამდე. XIX ს-მდე **რ**. **რ**-ის უმეტესი ნაწილი ეჭირა ყასაბხანას (ხორცის რიგს). 10-იან წლებში კავკ. მთავარმმართველის (1809–11) ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვის ბრძანებით სასაკლაოები გადაიტანეს გარეთუბანში. შემდგომ წლებში აქ განლაგდა რკინის ნაწარმის ოსტატ-ხელოსანთა სავაჭრო-სახელოსნოები. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1981 ჩატარდა **რ**. **რ**-ის განაშენიანება-რეგენერაციის სამუშაოები.

გრიგოლ **რობაქიძის გამზირი**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); შოთა შალიკაშვილის (ყოფ. დიდუბის) ხიდსა და დავით აღმაშენებლის ხეივანს შორის. ადრე უსახელო ქუჩა იყო. 1967, თბილისში მიმდინარე საბჭ. ხალხების მეგობრობის კვირეულის დროს, ეწოდა მეგობრობის პროსპექტი. 1990-იდან გ. *რობაქიძის* სახელი ჰქვია. გამზირზე დგას ვ. *მაიაკოვსკის* ძეგლი (მოქანდაკე გ. კორძახია. არქიტ. გ. ჯაფარიძე).

ოგიუსტ **როდენის ჭუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); პეტრე მელიქიშვილის ქუჩიდან გიორგი ქუჩიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის 1897 წ. გეგმაზე დატანილია როგორც წყნეთის შესახვევი. 1925 ი. *ნიკოლაძის* წინადადებით ო. *როდენის* სახელი დაერქვა. №6-ში გახსნილია ი. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

როსტოვის ჭუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ოთარ ქინქლაძის ქუჩიდან ნორიოს აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ჰქონდა 1 გას. (როსტოვისა და ვასილ კიკვიძის ქუჩებს შორის; ამჟამად ივანე მიჩურინის ქუჩაა).

როსტოვი, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში.

ივანე **როსტომაშვილის ჭუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ქედის კომუნის ქუჩიდან სერგი წულაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მაკრინეს ჩიხი, შემდეგ ი. *როსტომაშვილის* სახელი დაერქვა. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

რუისპირის ჭუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); შილდის ქუჩიდან ფშავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.

რუისპირი, სოფელი თელავის რ-ნში.

შოთა **რუსთაველის გამზირი**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); თავისუფლების მოედნიდან შოთა რუსთაველის მოედნამდე. ქალაქის ცენტრალური ქუჩა. რელიეფზე მორგებული, ოდნავ დაკლაკნილი გამზირი გასდევს მთაწმინდის კალთის მაღალ ტერასას და მთავრდება ვარდების რევოლუციისა და შოთა რუსთაველის მოედნების კომპლექსით. ე. *გოლოვინის* სახელი მიეკუთვნა არა უგვიანეს 1841 წლისა (შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში). 1918 შოთა *რუსთაველის* სახელი ეწოდა. „1918 წელს სამხედრო მიტინგზე, რომელიც გაიმართა თურქეთის წინააღმდეგ ტფილისში, მე წამოვაყენე ლოზუნგი: რუსთაველის პროსპექტი დაგვერქმია გოლოვინის ქუჩისათვის...“ (კ. გამსახურდია). „ამ საქმეში ღვაწლი მიუძღვით იმ დროის ახალგაზრდა



გრიგოლ რობაქიძის გამზირი.



ქართველ მწერლებსა და პოეტებს; ისინი რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტზე ორ ჯგუფად შეგროვილნი, ფეხით მოსიარულეთ ულოცავდნენ: გიხაროდეთ, დღეიდან ჩვენი პროსპექტი რუსთაველის პროსპექტიაო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოეფინა მთელ ქალაქს. რაღა დარჩენოდა ქალაქის მაშინდელ „მამებს“, ისინი იძულებულნი იყვნენ დაეკანონებინათ ეს სახელწოდება“ (გ. ბეჟანიშვილი. რუსთაველის პროსპექტი და მოედანი. თბ., 1967). **რ. პ.** წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპ. მაგისტრალს (სიგანე 44 *მ*). მოედნიდან იწყება მერაბ კოსტავას ქუჩა, რ-იც გმირთა მოედნით და თამარ მეფის ხიდით უკავშირდება რკინიგზის სადგურს, და მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა (ყოფ. ვერის დაღმართი), რ-იც გალაკტიონის (ყოფ. ვერის) ხიდით ასევე გადის მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. *კახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილი თბილისის 1735 წ. გეგმით გამზირის ხაზზე გადის „დიღმის გზა“, რ-იც ქალაქის გალავნის დიღმის კარიბჭესთან იწყება. გზის აღმ-ით რუკაზე აღნიშნულია ფერდობზე შეფენილი დასახლ. უბანი (*კარეთუბანი*), გზის გასწვრივ კი – არაგვის ერისთავისა და ციციშვილის სახლები და გალავანშემოვლებული 3 ეკლესია – სომხური („ქამოანთი“), კალოუბნისა და ქაშვეთის (ახლანდ. ეკლესია აგებულია 1904–10). პორუჩიკ ვ. ჩუიკოს 1800 წ. გეგმაზე ვითარება უცვლელია, მხოლოდ 1802 წ. გეგმაზე გამზირის დასაწყისში, ახლანდ. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ადგილას, დატანილია დიდი ზომის ადმ. შენობა. 20-იანი წლებისთვის ამ ტერიტორიაზე ჩანს 2 მოედანი – ნიკოლოზისა (სასახლის წინ) და ალექსანდრესი (9 აპრილის ხახ. ბაღის ადგილას). ნიკოლოზის მოედანი ითვლებოდა ქალაქის მთავარ მოედნად (სახელი ეწოდა *ნიკოლოზ I-ის* პატივსაცემად). აქ ტარდებოდა საზეიმო ცერემონიალები, აღლუმები, ფეიერვერკები. 20-იანი წლებიდან დაიწყო „რუსეთისკენ მიმავალი გზის“ ინტენს. განაშენიანება. სასახლის პირდაპირ აიგო სტამბისა და ჰაუპტვახტის შენობები, გვერდით, შემაღლებაზე – არსენალი (1816). 1845–47 აიგო ახალი სასახლე (1844-იდან – კავკ. მეფისნაცვლის სასახლე. ახლანდ. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე; არქიტ. ი. სემიონოვი), რ-იც ძირფესვიანად გადაკეთდა 1865–68 წლებში (არქიტ. ო. სიმონსონი). 1837–39 აშენდა ვაჟთა გიმნაზიის შენობა (ახლანდ. №1 საჯარო სკოლა. რეკონსტრუირებულია XX ს. 60-იან წლებში, აღდგენილია 1992–93). „ქალაქის ბულვარზე“ ძირითადად მეფის მოხელეები, სამხ. პირები და თავად-აზნაურები სახლდებოდნენ (შენობის აგება პროსპექტის გაყოლებით ხდებოდა მხოლოდ კავკ. მთავარმმართველის ნებართვით). 50-იანი წწ. ბოლოსათვის გოლოვინის პროსპექტი, რ-იც ადრე იწყებოდა ახლანდ. ცხრა აპრილის ქუჩიდან და გრძელდებოდა ვ. სარაჯიშვილის ქუჩამდე, მთლიანად განაშენიანებული იყო. 1848 მოეწყო ტროტუარები, 1862 გაიყვანეს კერამიკულმილებიანი წყალსადენი, 1892 შემოიღეს სახლების ნუმერაცია, 1897 პროსპექტი გაანათა ელექტროფარნებმა. იგი მოკირწყლული იყო რიყის ქვით, ტროტუარები – ფილებით.

XIX ს. 60-იანი წლებიდან გოლოვინის პროსპექტის განაშენიანებამ მკვეთრად იცვალა სახე. აშენდა საზ. დანიშნულების მონუმ. შენობები, რ-ებმაც ძირფესვიანად შეცვალა ძველი მასშტაბები: სასტუმრო „ორიენტი“ (90-იანი წლები; არქიტ. ა. ზალცმანი. შემდგომ – მხატვრის სახლი; დაიწვა 1991 ე. წ. თბილისის ომის დროს), სასტუმრო „მაჟესტიკი“ (ახლანდ. „თბილისი-მარიოტი“; 1915. არქიტ. გ. ტერ-მიქელოვი), დიდების ტაძარი (ახლანდ. სურათების ეროვნ. გალერეა; 1885–88. არქიტ. ა. ზალცმანი), „არტისტული საზოგადოების“ შენობა (ახლანდ. რუსთაველის თეატრი; 1898–1901. არქიტექტორები: კ. ტატიშჩევი, ა. შიმკევიჩი), სახაზინო თეატრი (ახლანდ. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი; 1896. არქიტ. ვ. შრეტერი), „ტიფლისსკი კრუჟოკის“ შენობა (1857. არქიტ. გ. ივანოვი; გადაკეთებულია 1916. არქიტ. დ. ჩისლიევი. ამჟამად აქ განთავსებულია ანსამბლი „ერისიონი“). პროსპექტის დასაწყისში დიდი ადგილი ეკავა მეფის რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის აღსანიშნავად აღმართულ ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარს (1897; არქიტექტორები: დ. გრიმი, რ. გედიკე); საცხოვრ. სახლებიდან აღსანიშნავია: ა. ზალცმანის პროექტით აგებული ზუბალაშვილის სახლი (გამზირისა და ბესიკის ქუჩის კუთხე), კ. ტატიშჩევის პროექტით აგებული გრ. არაფელოვის



შოთა რუსთაველის გამზირი. საქართველოს პარლამენტის შენობა.

◄ შოთა რუსთაველის გამზირის დასაწყისი.



შოთა რუსთაველის გამზირი. ოპერისა და ბალეტის თეატრი.

სახლი (გამზირისა და ა. ჭავჭავაძის ქუჩის კუთხე), ნ. ობოლონსკის პროექტით აგებული მელიქ-აზარიანცის სახლი (№37). 1884 პასკევიჩ-ერივანსკის მოედნიდან (ახლანდ. თავისუფლების მოედანი) გაიყვანეს „კონკა“, რ-იც 1905 შემდეგ ტრამვაიმ შეცვალა. XX ს. 20-იანი წლების შემდეგ დაიწყო პროსპექტის კეთილმოწყობა. 30-იან წლებში გაფართოვდა ყოფ. *სასახლის ქუჩა*, რ-იც ვიწრო ყელს ქმნიდა გოლოვინის პროსპექტსა და ერევანსკის მოედანს შორის (მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ბაღიდან მოედნამდე), რის შედეგადაც პროსპექტი უშუალოდ შეუერთდა მოედანს. აიღეს ტრამვაის ხაზები და მოაასფალტეს. კეთილმოწყობისა და გამწვანების მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა 1965. რუსთაველის პროსპექტის მასშტაბისა და არქიტ. სახის ჩამოყალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ მონუმ. შენობებს, როგორიცაა საქართველოს ეროვნული მუზეუმი (1929; არქიტ. ნ. სევეროვი), ყოფ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობა (1928; არქიტ. დ. ჩისლიევი), კავშირგაბმულობის სახლი (1934; არქიტ. კ. სოლომონოვი. რეკონსტრუქცია –



შოთა რუსთაველის გამზირი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.



შოთა რუსთაველის გამზირი. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს თ ე ა ტ რ ი.

1953–54. არქიტ. ი. ჩხენკელი), კინოთეატრი „რუსთაველი“ (1939; არქიტ. ნ. სევეროვი), ყოფ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობა (1938; არქიტ. ა. შჩუსევი), მთავრობის სახლი (1938–53; არქიტექტორები: ვ. კოკორინი, გ. ლეჟავა, ვ. ნასარიძე), საცხოვრ. სახლი №1 (1939, არქიტექტორები მ. მელია, ა. ქურდიანი, ს. ყუბანეიშვილი), ახლანდ. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობა (1953; არქიტექტორები: კ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძე), ყოფ. უნივერმაღი „თბილისი“ (1975; არქიტექტორები: რ. ბაირამაშვილი, დ. მორბედაძე, ლ. მეძმარიაშვილი; კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი), ყოფ. ცენტრალური ტელეგრაფის შენობა (1978; არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, თ. მიქაშავიძე). განლაგებულია სახელმწ.-ადმ. და კულტ.-საზ. დაწესებულებები, ინ-ტები, შემოქმედებითი კავშირები, რედაქციები, მუზეუმები, თეატრები, მაღაზიები, კაფე-რესტორნები და სხვ. გამზირზე დგას სკულპტურული კომპოზიცია „ილია და აკაკი“ (მოქანდაკეები: ვ. თოფურიძე, შ. მიქატაძე. არქიტ. გ. მელქაძე); ე. ახვლედიანის (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი), დ. კაკაბაძის (მოქანდაკე დ. ა. კაკაბაძე. არქიტ. თ. ჯორჯაძე), ზ. ფალიაშვილის (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. ა. ბაქრაძე), ჯ. ბალანჩინის (მოქანდაკე ვ. მიქაბერიძე), მ. მამარდაშვილის (მოქანდაკე ე. ნეიზვესტნი) ძეგლები; ა. წერეთლის (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე), ე. ნინოშვილის (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე), ე. მიქელაძის (მოქანდაკე გ. შხვაცაბაია. არქიტ. თ. მიქაშავიძე), ვ. სარაჯიშვილის (მოქანდაკე ო. ფარულავა. არქიტ. ა. ბაქრაძე), ზ. ანჯაფარიძის (მოქანდაკე ო. ფარულავა, არქიტ. ა. ბაქრაძე) ბიუსტები; „პლასტიკური ფორმა“ (მოქანდაკე კ. გრიგოლია). გამზირზეა მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი“. აქვს 1 გას. (ყოფ. „იმელის“, შემდეგ – „იმელისის“ გასახვევი), 1 შეს. (ყოფ. „ზარია ვოსტოკას“ შეს.).

შოთა **რუსთაველის გასასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); შოთა რუსთაველის გამზირიდან ყოფ. კვალის ქუჩამდე.

შოთა **რუსთაველის მოედანი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); რუსთაველის გამზირსა და მერაბ კოსტავასა და ძმები კაკაბაძეების ქუჩებს შორის. შოთა *რუსთაველის* სახელი ეწოდა 1959. ადრე ამ ადგილს *ზემელი* ერქვა იქვე მდებარე ე. ზემელის აფთიაქის გამო. **რ. მ.** ქალაქის ცენტრის მნიშვნელოვანი სატრანსპ. კვანძია. 1980–83 ჩატარდა მისი გენერალური რეკონსტრუქცია. მოედანზე გვერდითი ფასადითა და კოშკურა ნაგებობით გამოდის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობა. მის მოპირდაპირე მხარეს არის მოდერნის სტილის შემოსავლიანი სახლი (1913; არქიტ. ნ. ობოლონსკი), რ-იც მოსახლეობაში დიდი მეწარმის ა. მელიქ-აზარიანცის სახლის სახელითაა ცნობილი. ადრე ამ ადგილას გადიოდა ხევი, რ-იც ქალაქის გამგეობის განკარგულებით ნაგვით ივსებოდა. მოედანზე დგას შოთა რუსთაველის ძეგლი (1942; მოქანდაკე კ. მერაბიშვილი. არქიტ. შ. თულაშვილი; 1989 ძეგლი ჩამოისხა ბრინჯაოში და ჩატარდა არქიტ. ნაწილის რეკონსტრუქცია. არქიტექტორები: გ. ჯაფარიძე, ზ. ზაალიშვილი, რ. ამაშუკელი). გამოდის მეტროს სადგური „შოთა რუსთაველის მოედანი“.

შოთა **რუსთაველის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*კარკეთილის დასახლება*); დასაწყისი მეგობრობის გამზირიდან.

რუსთავის გზატკეცილი, ისანი-სამგორის რ-ნი; დასაწყისი ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან. სახელი დაერქვა 1963. აქვს 3 გას., 6 ჩიხი.

რუსთავის გზატკეცილის I გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი; მისასვლელი რუსთავის გზატკეცილის I ჩიხიდან.

რუსთავის გზატკეცილის II გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი; რუსთავის გზატკეცილიდან მარნეულის ჩიხამდე.

რუსთავის გზატკეცილის III გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი; რუსთავის გზატკეცილიდან მარნეულის ქუჩამდე.

რუსთავი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

რუსუდანის შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); დასაწყისი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

გურამ **რჩეულიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო ვერე*); იაკობ გოგებაშვილის ქუჩიდან რევაზ ჯაფარიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ვარდისუბნის შესახვევი, შემდეგ – ზედაუბნის გასასვლელი, 1956-იდან სევასტოპოლის ქუჩა ერქვა. 1990 გ. *რჩეულიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 დაღმ., 4 ჩიხი.

სევასტოპოლი, ქალაქი უკრაინაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე.





შოთა რუსთაველის მოედანი.

საადლის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); ბეთლემის ქუჩიდან ორპირის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი, ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში შეტანილია როგორც ქუჩა (იხ. *საადი*). აქვს 1 ჩიხი.

გიორგი **სააკაძის მოედანი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); კონსტანტინე გამსახურდიას გამზირს, ჟიული შარტავასა და ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩებს შორის. გ. *სააკაძის* სახელი დაერქვა 1960. მოედანზე გამოდის საქართვ. ტექნიკური უნ-ტის ადმ. შენობის ნაწილი, აქვეა სკვერი და მიწისქვეშა გადასასვლელი. მოედანზე დგას გ. სააკაძის ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. გ. ჯაფარიძე).

გიორგი **სააკაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გულრიფშის ქუჩიდან ზედაზნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე ერქვა ახალშენის ქუჩა. შეტანილია 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“. 1938 ახალშენისა და საგეგმოს ქუჩებს კ. *ვოროშილოვის* სახელი დაერქვა. 1957 გ. *სააკაძის* სახელი ეწოდა. აქვს 3 შეს.

გიორგი **სააკაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); იოანე პეტრიწის ქუჩიდან ნიკო ფიროსმანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. იხ. გ. *სააკაძე*.

პაატა **სააკაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ლამის II შესახვევიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ხრამჰესის ქუჩა. 1999 ეწოდა პ. *სააკაძის* სახელი. შემონახულია XIX ს. დასასრულის შენობა (№1; ყოფ. სემინარია).

ხრამჰესი, ჰიდროელექტროსადგური მდ. ხრამზე.

გიორგი **სააკაძის III შესახვევი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ნიკო მარის ქუჩამდე.

იოანე **საბანისძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); დეკაბრისტების მოედნიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ახპატის შესახვევი. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ქუჩა, 60-იან წლებში *იოანე საბანისძის* სახელი დაერქვა.

ახპატი, X–XIII სს. სამონასტრო კომპლექსი სომხეთში, სოფ. ახპატში.

საბარგოს დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); დასახლება თბილისის აღმ. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. წინათ აქ ცხოვრობდნენ ნავთლულის საბარგო სადგურის მუშები და სახელწოდებაც აქედან მიიღო.

საბარგოს დასახლების:

I ქუჩა, იხ. *ვლადიმერ მიქელაძის ქუჩა.*

II ქუჩა, იხ. *ვიქტორ ნანეიშვილის ქუჩა.*

III ქუჩა, იხ. გიორგი *შარვაშიძის ქუჩა.*

IV ქუჩა, იხ. პეტრე *არველაძის ქუჩა.*

V ქუჩა, იხ. თედორე *აფანასიევის ქუჩა.*

VI ქუჩა, იხ. კონსტანტინე *ამირაჯიბის ქუჩა.*

VII ქუჩა, იხ. დავით *ანდღულაძის ქუჩა.*

VIII ქუჩა, იხ. არამ *ხაჩატურიანის ქუჩა.*

IX ქუჩა, იხ. კოტე *ბაქრაძის ქუჩა.*

IV შესახვევი, ვორვ. ბუშის ქუჩიდან პეტრე არველაძის ქუჩამდე.

VI შესახვევი, საბარგოს დასახლების IV შესახვევიდან პეტრე არველაძის ქუჩამდე.

VIII შესახვევი, იხ. ემზარ *ონიანის ქუჩა.*

X შესახვევი, იხ. ალექსანდრე *კალანდაძის ქუჩა.*

XII შესახვევი, ალექსანდრე კალანდაძის ქუჩიდან საბარგოს ხევამდე.

საბარგოს ხევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); ვიქტორ ნანეიშვილის ქუჩიდან საბარგოს დასახლების XII შესახვევამდე.

მიხეილ **საბაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); იპოლიტე ვართაგავას ქუჩიდან მიხეილ ხერგიანის ქუჩამდე.



გიორგი სააკაძის მოედანი.

წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე ი. *ჭავჭავაძის* ქუჩა ერქვა. 1981 მ. *საბაშვილის* სახელი ეწოდა.

ᲡᲐᲑᲣᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); მდებარეობს გრემისა და ბურების შესახვევებს შორის. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ᲡᲐᲑᲣᲔ, სოფელი ახმეტის რ-ნში.

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი. უბანი ქალაქის დას. ნაწილში, მტკვრის მარჯვ. მხარეს, გმირთა მოედნიდან შ. *ნუცუბიძის პლატოს* ჩათვლით, მდ. ვერესა და მტკვარს შორის. XVII–XVIII სს-ში შედიოდა *ვერის* ფარგლებში. 1917 უშუალოდ ქალაქის ტერიტ. ნაწილი გახდა. უბანში ინტენს. მშენებლობა დაიწყო XX ს. 60-იანი წლებიდან. აქვს 7 კვარტალი. ს-ს მიკროუბნებია *დელისი* და *ვეძისი*. 70-იანი წლებიდან დაიწყო შ. ნუცუბიძის პლატოს, *იყალთო-ბახტრიონის გორისა* და *საირმის გორის* ინტენს. განაშენიანება.

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ყოფ. ქუჩა გიორგი სააკაძის მოედნიდან ალექსანდრე ყაზბეგის გამზირამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1946-მდე ახმეტის ქუჩა ერქვა. 1992 ქუჩა ორად გაიყო: I მონაკვეთს დაერქვა ვ. *ჭაბუკიანის*, II მონაკვეთს – ს. *ცინცაძის* სახელი. 1998 ს. ცინცაძის ქუჩის ნაწილს გ. *კარტოზიას* სახელი ეწოდა.

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ქვაყრელი*); ბერბუკის ქუჩიდან კოდორის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია საბურთალოს ახალი ქუჩების სიაში.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ᲡᲐᲓᲓᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ვასილ კაკაბაძის ქუჩიდან ჩარგლის ქუჩამდე. 1968-მდე თემქის დასახლების 59-ე ქუჩა ერქვა.

ᲡᲐᲓᲓᲔᲚᲘ, სოფელი ამბროლაურის რ-ნში.

ხარლამპი **ᲡᲐᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); გერგეტის ქუჩიდან შხეფის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია როგორც სოფლის შესახვევი, შემდეგ სასოფლო ქუჩა დაერქვა. თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში შეტანილია ს. ჟ-ის სახელწოდებით. აქვს 1 ჩიხი.

ᲡᲐᲗᲔᲛᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); ჟონეთის ქუჩიდან განთიადის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სტეპანოვის ქუჩა. 1923 დაერქვა მიშა დავიდოვის (რევოლუციონერი, ემიგრანტი) სახელი. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც სათემო ქუჩა.

ᲡᲐᲗᲔᲛᲝ, სოფელი თერჯოლის რ-ნში.

არუთინ **ᲡᲐᲘᲐᲗᲜᲝᲕᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); გია აბესაძის ქუჩიდან გრიგოლ ხანძთელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია „მეშჩანსკაიას“ ქუჩის სახელწოდებით, თბილისის 1900 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კათოლიკეების შესახვევი. 1923 ა. *საიათნოვას* სახელი ეწოდა. აქვს 2 ჩიხი.

ᲡᲐᲘᲜᲒᲘᲚᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); კვალითის ქუჩიდან საინგილოს ჩიხამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ტიბაანის, შემდეგ გურჯაანის II ქუჩა ერქვა. 50-იან წლებში ს. ჟ. დაერქვა. აქვს 1 ჩიხი.

ᲡᲐᲘᲜᲒᲘᲚᲝ, კახეთის ისტორიული ნაწილი. 1921-იდან შედის აზერბაიჯანის შემადგენლობაში.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ᲢᲘᲑᲐᲐᲜᲘ, სოფელი სიღნაღის რ-ნში.

ᲡᲐᲘᲠᲛᲘᲡ ᲒᲝᲠᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); იწყება საირმის ქუჩიდან. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით უბნის განაშენიანება დაიწყო XX ს. 90-იანი წლებიდან.

ᲡᲐᲘᲠᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); დავით გამრეკელის ქუჩიდან კახაბერ შევარდენიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე პარკის ქუჩა ერქვა, 1958 ს. ჟ. ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

ᲡᲐᲘᲠᲛᲔ, კურორტი ბაღდათის რ-ნში.

ნინო და კალისტრატე **ᲡᲐᲚᲘᲔᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ლამის ქუჩიდან პაატა საკაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. ადრე იზმირლიანოვის ქუჩა ერქვა, 1923-იდან – დ. *პისარევისა*. 1999 წ. *სალიას* და კ. *სალიას* სახელი ეწოდა.

ᲡᲐᲚᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); ბახვისა და მაცესტის შესახვევებს შორის.

ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); თეკლათის ქუჩიდან ცხრა ძმის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ᲡᲐᲚᲮᲘᲜᲝ, სოფლები გალის, მარტვილისა და ვანის რ-ნებში.

ᲡᲐᲛᲐᲒᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); გლდანის მასივის II და IV მიკრორაიონებს შორის.

ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); ვახტანგ გორგასლის და გია გულუას ქუჩებსა და ზვიად გამსახურდიას სანაპიროს შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ი. მნაცაკანოვის მოედანი. 1923 *სამასი არაგველის* სახელი ეწოდა.

ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორისა და ძველი თბილისის რ-ნები (*შავი სოფელი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან იალბუზის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ივანე მნაცაკანოვის ქუჩა. ადრე გადიოდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. 1923 *სამასი არაგველის* სახელი დაერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც სამასი არაგველის დაღმართი და გრძელდებოდა სამასი არაგველის ხიდამდე. აქვს 3 შეს. (I შეს. – ყოფ. სამასი არაგველის შეს., II შეს. – ყოფ. ლიხაურის ქუჩა, III შეს. – ყოფ. ჩარსკის შეს.), 1 ჩიხი.

ᲚᲘᲮᲐᲣᲠᲘ, სოფელი ოზურგეთის რ-ნში.

ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ, ორთაჭალისა და ავლაბრის დამაკავშირებელი ხიდი მდ. მტკვარზე, გია გულუას ქუჩის გაგრძელებაზე. ამ მიდამოებში სხვადასხვა დროს 3 ხიდი იდგა: კახეთის ხიდი და ე. წ. მნაცაკანოვის ორი ხიდი. 1852 აშენებული ხის ერთმალიანი თაღოვანი ხიდი თბილისელმა ვაჭარმა ივანე მნაცაკანოვმა გამოისყიდა და ქალაქს გადასცა. ამ ფაქტის გამო მის პატივსაცემად ხიდს მნაცაკანოვის სახელი დაერქვა. აქვე გაჩნდა მისი სახელობის ქუჩა და აღმართი. თანამედროვე რკინაბეტონის ორმალიანი ხიდი აიგო 1956 (არქიტექტორები: ო. ბაგრატიონი, თ. მარგველაშვილი. ინჟინრები: გ. ქარცივაძე, გ. და ა. მენაბდეები), რომელსაც ს. ა. ხ. ეწოდა.

ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი. მერვე ლეგიონის დასახლებასა და შანდორ პეტეფის ქუჩას შორის. ერთ-ერთი ახალი დასახლება თბილისის აღმ. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს.

ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ II ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი. ვარკეთილის მასივსა და ორხევის დასახლებას შორის.

ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილის დასახლება*); დასაწყისი მეგობრობის გამზირიდან.

ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); მოსკოვის გამზირიდან ციხისძირისა და სამრეწველო დასახლების II ქუჩებამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 50-იან წლებამდე თბილსოფმრეწვის ქუჩა ერქვა. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბები: თბილისის მაკარონის ფ-კა და საკონდიტრო ნაწარმის დამამზადებელი „საამო“. აქვს 1 ჩიხი.

ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ I ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*თეთრიწყვის დასახლება*); დასაწყისი თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან.

ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ II ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ისანი-სამგორის რ-ნი (*თეთრიწყვის დასახლება*); დასაწყისი თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან.





საბურთალო.

სამგორის III შესასხვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*თეთრიწყვის დასახლება*); დასაწყისი თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან.
სამგორის IV შესასხვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*თეთრიწყვის დასახლება*); დასაწყისი თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან.
სამთავისის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კერე*); მდებარეობდა ყოფ. სასტუმრო „ივერიასა“ და მაშხალის ქუჩას შორის. ადრე ერქვა მესანძრეთა ქუჩა.
სამთავისი, სოფ. კასპის რ-ნში. დგას XI ს. გუმბათოვანი ტაძარი.
სამოცდამეშვიდე ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); პეტრე ამირანაშვილისა და სადმელის ქუჩებს შორის.
სამრეკლოს ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ნიკო ლომოურის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს. 50-იან წლებში. აღნიშნულია ქალაქის 1867 წ. გეგმაზე. 1923-მდე ი. *ლაზარევის* სახელი ერქვა, შემდეგ ქუჩის ერთ მონაკვეთს მ. *ურიცკის*, ხოლო მეორეს ლ. მესხიშვილის (იხ. ვ. ს. *ალექსი-მესხიშვილი*) სახელი ეწოდა. მ. ურიცკის ქუჩას 2007 ს. ძ. დაერქვა. აქვს 2 შეს. თბილისის 1934 წ. გეგმაზე I შესახვევი დატანილია როგორც მ. ურიცკის შეს., II შეს. – როგორც კობოზევის (ძვ. რევოლუციონერი) შესახვევი.
სამრეკლო, ტაძარზე დაშენებული ან ცალკე აღმართული მაღალი კოშკისებრი ნაგებობა, რ-იც განკუთვნილია ზარების ჩამოსაკიდებლად.
სამრეწველო დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); მოსკოვის გამზირსა და ბოგდან ხმელნიცკის ქუჩას შორის.
სამრეწველო დასახლების:
I ქუჩა, სამგორის ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩამდე. აქვს 6 გას., 1 ჩიხი.
I ქუჩის I გასასვლელი, I ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩამდე.
I ქუჩის II გასასვლელი, I ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩამდე.
I ქუჩის III გასასვლელი, I ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩამდე.
I ქუჩის IV გასასვლელი, I ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩამდე.
I ქუჩის V გასასვლელი, I ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩამდე.
I ქუჩის VI გასასვლელი, I ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩამდე.
I ქუჩის I ჩიხი, სამრეწველო დასახლების I ქუჩიდან.
II ქუჩა, სამგორის ქუჩიდან ბოგდან ხმელნიცკის ქუჩამდე. აქვს 3 გას., 1 შეს., 3 ჩიხი.
II ქუჩის I გასასვლელი, I ქუჩის II გასასვლელიდან I ქუჩის I გასასვლელამდე.
II ქუჩის II გასასვლელი, II ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩის I შესასვევამდე.
II ქუჩის III გასასვლელი, II ქუჩიდან სამრეწველო დასახლების II ქუჩის I შესასვევამდე.
II ქუჩის I შესასხვევი, დასაწყისი სამრეწველო დასახლების II ქუჩიდან.
II ქუჩის I ჩიხი, სამრეწველო დასახლების II ქუჩიდან.
II ქუჩის II ჩიხი, სამრეწველო დასახლების II ქუჩიდან.
II ქუჩის III ჩიხი, სამრეწველო დასახლების II ქუჩიდან.
სამტრედიის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან კოსმონავტების სანაპირომდე. XIX ს-ში აქ იყო გერმ. მოახალშენეების დასახლება ალექსანდერდორფი (გერმ. – ალექსანდრეს სოფელი). სახელწ. მიიღო რუს. იმპ. ალექსანდრე I-ის პატივსაცემად. მოახალშენეები ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, რ-ის პროდუქციითაც (ხილი, ბოსტნეული და სხვ.) ამარაგებდნენ თბილისის ბაზარს. ქუჩად ჩამოყალიბდა XX ს. 30-იან წლებში. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. შემორჩენილია ტიპური, სოფლური (ფერმერული) სახლები.
სამტრედია, ქალაქი დას. საქართველოში.
სამშრომყანოს ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); აფხაზეთის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.
სამშრომყანო, მხარე დას. საქართველოში.
სამშრის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); კონსტანტინე ცუცქირიძის შესახვევიდან ლადო მესხიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი.
სამშრი, დაბა აზერბაიჯანში, მდინარე დაღესტანსა და აზერბაიჯანში.
სამღებროს ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); ვახტანგ გორგასლის I შესახვევიდან ბოტანიკურ ქუჩამდე. თბილისის ერთ-ერთი უძველესი ქუჩა. XIX ს. დასაწყისში აქ გადმოიტანეს სამღებრო სახელოსნოები უძველესი სამღებრო რიგიდან – ლილახანიდან (ახლანდ. *ანტონ კათალიკოსის ქუჩა*), რაც გამოწვეული იყო დიდი ხანძრით, რ-იც მოხდა 1808 სიონის ქუჩაზე და მიმდებარე შესახვევებზე. დაიწვა ბევრი სახელოსნო, მ. შ. სამღებრო. ახალი სადგომი ხელსაყრელი იყო იმით, რომ ის მდებარეობდა გოგირდის



სამღებროს ქუჩა.

აბანოებთან ახლოს. ბუნებრივი თბილი წყალი ჩაედინებოდა მდ. დაბახანაში (წავკისისწყალში), სადაც მღებავები რეცხავდნენ ქსოვილებს. სამღებრო რიგს ს. ძ. დაერქვა 70-იან წლებში. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. მიემართება ვახტანგ გორგასლის ქუჩის პარალელურად სოლოლაკის ქედის კალთაზე. 1981 ჩატარდა ქუჩის რეკონსტრუქცია და ნაწილობრივი განაშენიანება (არქიტ. ვ. ორბელაძე). ვახტანგ გორგასლის ქუჩის მხრიდან აიღეს

ამორტიზებული სახლები, ხოლო ქუჩის მეორე მხარის ფასადი გაიხსნა ქალაქისაკენ. სახლების ეს რიგი კარგად აღიქმება მტკვრის მარცხ. სანაპიროდან და მეტეხის პლატოდან. მთელი ანსამბლი ხატოვნად შეერწყა ციხის ძირის განაშენიანებას. ქუჩაზე დგას სურბ-გევორქის ეკლესია (ციხის დიდი ეკლესია). შემორჩენილია XIX ს. საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს. (ყოფ. ციხის შეს.). II შეს. (ყოფ. სამღებროს შეს.) და ჩიხი ამჟამად აღარ არსებობს.

ᲡᲣᲠᲑ-ᲒᲔᲕᲝᲠᲥᲘ, ქართ. – წმინდა გიორგი.

ᲡᲐᲛᲚᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დიმიტრი ყიფიანის ქუჩიდან ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე პიონერის II ქუჩა ერქვა. 1990 ს. ქ. ეწოდა.

ᲡᲐᲛᲚᲔᲠᲔᲗᲘ, სოფელი თეთრი წყაროს რ-ნში.

ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); დასაწყისი წყაროს ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 40-იან წლებამდე ტყეკულტურის IV ქუჩა ერქვა.

ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲓᲔ, ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ციხე-ქალაქი აღმ. საქართველოში.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); დასახლება ზღვისუბანსა და *მუხიანს* შორის.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ 202, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება *ელიას* ჩრდ-ით.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); დასახლება თბილისის აღმ. ნაწილში, *ორხევის დასახლებასა* და *საქჰიდროენერგომშენის დასახლებას* შორის.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ:

I ᲥᲣᲩᲐ, დასაწყისი ქიზიყის ქუჩიდან.

II ᲥᲣᲩᲐ, დასაწყისი ქიზიყის ქუჩიდან.

ᲡᲐᲜᲐᲕᲐᲠᲓᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ ლუბოვსკის ქუჩიდან ზედამზის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲡᲐᲜᲐᲕᲐᲠᲓᲝ, სოფელი ყვარლის რ-ნში.

ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲥᲣᲩᲐ, იხ. ზვიად *გამსახურდიას სანაპირო*.

ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); შალვა ცინცაძის I შესახვევიდან ჭიჭიკო ბენდელიანის გორამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 3 შეს., 2 ჩიხი.

ᲡᲐᲜᲖᲝᲜᲐ, სანიტარიული ზონა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); უბანი თბილისის ჩრდ.-დას. ნაწილში, მტკვრის მარცხ. მხარეს, ახლანდ. დ. გურამიშვილის გამზირის (ყოფ. ავჭალის გზატკეცილი) მიდამოებში. უწინ აქ გაშენებული იყო ხეხილის ბაღები. ს. შეერქვა განსაკუთრებული მიკროკლიმატის გამო.

ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ნინო ჩხეიძის ქუჩიდან ელენე ახვლედიანის ხევამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ეს უბანი იყო სანთლის (საეკლესიო და სხვა დანიშნულების) წარმოების ერთ-ერთი კერა.

ᲡᲐᲜᲥᲢ-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დავით აღმაშენებლის გამზირიდან დიმიტრი უზნაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის 1897 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მადერის ქუჩა (ქუჩის სახელწ. უკავშირდება გერმ. ლუდის მწარმოებლის – მადერის სახელს). 1900-იდან – პეტერბურგის (სანქტ-პეტერბურგის), 1914-იდან – პეტროგრადის, 1924-იდან ლენინგრადის ქუჩა ერქვა. 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მოგილევსკის ქუჩა (იხ. ს. *მოგილევსკი*). 1948 – ისევ ლენინგრადის, 1991 ს.-პ. ქ. ეწოდა.

ᲡᲐᲜᲥᲢ-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში (1924–91 – ლენინგრადი).

დავით **ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); დავით გურამიშვილის გამზირიდან ლიბანის ქუჩამდე. ყოფ. ავჭალის გზატკეცილის ნაწილი. 1990 დაერქვა დ. *სარაჯიშვილის* სახელი. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბები: „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“ და „ბაგრატიონი 1882“; გამოდის მეტროს სადგური „დავით სარაჯიშვილი“ (ყოფ. „თემქა“). იხ. აგრეთვე დ. *გურამიშვილის გამზირი*.

ვანო **ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); შოთა რუსთაველის გამზირიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დააპროექტა პოლკ. ბანოვმა 1809. თბილისის 1867 და 1884 წლების გეგმებზე დატანილია როგორც ეკლესიანი ხევი. 60–70-იანი წლებიდან აქ ჩნდება სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცების პატარა სახლები. 1910 ეკლესიანი ხევისა და ა. გრიბოედოვის ქუჩის შესაყარზე, ყოფ. ფოსტის მოედანზე, აშენდა წმ. ფეოდოსი ჩერნიგოველის ეკლესია და ქუჩასაც ფეოდოსის ქუჩა დაერქვა. 1923 – ე. საზონოვის (*საზონოვის*), 40-იან წლებში – ი. *პაპანინის*, 60-იან წლებში ვ. *სარაჯიშვილის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. 40–50-იანი წწ. და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 3 ჩიხი.

პეტრე **ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაშლივაკარი*); დასაწყისი მარშალ გელოვანის გამზირიდან. ქუჩას პ. *სარაჯიშვილის* სახელი ეწოდა 1984. ქუჩაზეა ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინ-ტი.

ᲡᲐᲠᲒᲘᲡ ᲗᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, იხ. სარგის *თმოგველის ქუჩა*.

ექვთიმე **ᲡᲐᲠᲗᲐᲜᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); გულრიფშის ქუჩიდან ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ვატმანის ქუჩა, შემდეგ ე. *სართანიას* სახელი დაერქვა.

ᲡᲐᲠᲗᲘᲭᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ისააკ ალიხანიანის ქუჩიდან ფოსტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა ლაიბგვარდიის ჰუსართა პოლკის როტმისტრის მიხეილ დიმიტრის ძე მასლოვის სახელი. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შემახის ქუჩა, ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზე. შემდეგ სტალინგრადის ქუჩა ერქვა. 1958-იდან ს. ქ. ჰქვია. აქვს 1 შეს.

ᲡᲐᲠᲗᲘᲭᲐᲚᲐ, სოფელი გარდაბნის რ-ნში.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ (1961-იდან – ვოლგოგრადი), ქალაქი რუსეთის ფედერაციაში. სსრკ-გერმანიის ომის (1941–45) დროს სტალინგრადის ბრძოლა (1942–43) გახდა შემობრუნების ეტაპი ომის მსვლელობაში.

ᲨᲔᲛᲐᲮᲐ, ქალაქი აზერბაიჯანში.

ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); აფხაზეთის I შესახვევიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲔᲗᲘ, სოფელი დმანისის რ-ნში.

ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ყოფ. ქუჩა გოლოვინის პროსპექტსა და ერევანსკის მოედანს შორის. ქუჩის განაშენიანება დაიწყო XIX ს. 20-იან წლებში. ისტორიკოს მაქსიმე ბერძნიშვილის ცნობით: „1828 წ. გეგმის ექსპლიკაციებში ამ ქუჩას ეწოდება არწრუნის ქუჩა, რომელიც მთავარმართებლის მოედნიდან გადის კეთილშობილთა სასწავლებლის და არწრუნის სახლებს შორის და უერთდება ერევნის მოედანს“.

აქ ნახსენები მთავარმართებლის მოედანი იგივე ნიკოლოზის მოედანი იყო, კეთილშობილთა სასწავლებელი კი იდგა იქ, სადაც დღეს საცხოვრ. სახლია (შოთა რუსთაველის გამზ., №1). ქუჩას არწრუნის სახელი ერქვა, ალბათ, იმიტომ, რომ აქ იდგა ერემია არწრუნის სახლი, შემდგომში – ქარვასლა. XIX ს. 50-იან წლებში ქუჩას დაერქვა სასახლის ქუჩა კავკ. მეფისნაცვლის სასახლის აქვე მდებარეობის გამო. დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე. 1923 ეწოდა კომინტერნის ქუჩა. ეს იყო ძალზე ლამაზი, მოკლე ქუჩა, სადაც განთავსებული იყო მდიდრული მაღაზიები, კაფე-რესტორნები, სასტუმროები და სხვ. 30-იან წლებში ქუჩა გაფართოვდა და შოთა რუსთაველის პროსპექტი უშუალოდ დაუკავშირდა ყოფ. ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანს (ახლანდ. თავისუფლების მოედანს).

ᲡᲐᲥᲐᲜᲔᲚᲐᲡ ᲓᲐᲚᲛᲐᲠᲗᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩიდან საქანელას ქუჩამდე. წარმოიქმნა



შოთა რუსთაველის გამზირი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.



XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც კარუსელის დაღმართი (აღდგომის დღეებში აქ მოსახლეობა კარუსელით ერთობოდა). 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ანდეზიტის დაღმართი. თბილისის ქუჩების 1960 ცნობარში შეტანილია ს. დ-ის სახელწოდებით.

საქანელას ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც კარუსელის დაღმართი, 20-იან წლებში ეწოდა კარუსელის ქუჩა. 1934 წ. გეგმაზე დატანილია ანდეზიტის ქუჩის სახელწოდებით. თბილისის ქუჩების 1960 წ. ცნობარში შეტანილია როგორც ს. ქ.

საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*-3); ჯავახეთის ქუჩიდან მიხეილ გახოკიძის ქუჩამდე. ვარკეთილის დასახლების უსახელო ქუჩას ზემოხსენებული სახელი ეწოდა 1999, აფხაზეთში დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად.

საქართველოს სამხედრო გზა, ისტორიული სახელწოდება გზისა, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედზე გადადის ჯვრის უღელტეხილით (2379 *მ*) და ქ. თბილისს აკავშირებს ქ. ვლადიკავკაზთან (ჩრდილოეთი ოსეთი; ალანია). სახელწ. ს. ს. გ. გაჩნდა XVIII–XIX სს. მიჯნაზე. „რუსეთისკენ მიმავალი გზა“ თავდაპირველად იწყებოდა „დიღმის კართან“ (დაახლ. იქ, სადაც ვერცხლის ქუჩა პუშკინის ქუჩაზე გამოდის) და მიუყვებოდა შუა საუკუნეების „დიღმის გზას“. XIX ს. 20–40-იან წლებში, გოლოვინის პროსპექტის გაჭრის შემდეგ, გზის საწყისმა პუნქტმა „მოსკოვის საგუშაგოსთან“ (ახლანდ. რუსთაველის მოედნის მახლობლად) გადაინაცვლა, ოლღას ქუჩის (ახლანდ. მ. კოსტავას ქუჩა) გაყვანის შემდეგ – ახლანდ. გმირთა მოედანთან. ასეა დატანილი თბილისის 1897 და 1934 წლების გეგმებზე. XX ს. 60–70-იან წლებში ს. ს. გ. იწყებოდა გ. სააკაძის მოედნიდან. 80–90-იან წლებში სამხედრო გზის მონაკვეთს ლ. გოთუას ქუჩა, მარშალ ა. გელოვანის გამზირი და დავით აღმაშენებლის ხეივანი ეწოდა და ს. ს. გ. საერთოდ გავიდა ქალაქის საზღვრიდან.

თბილისის 1900 წ. მაგიდის კალენდარში ს. ს. გ. შეტანილია სახელშეცვლილი ქუჩების სიაში და მას ჯვრის ქუჩა ეწოდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სახელი არ დამკვიდრდა. სახელწ. უკავშირდებოდა *ჯვრის დაღმართის* მარჯვ. მხარეს აღმართულ ჯვარს.

საქარის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ართვინის ქუჩიდან ნორიოს აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ს. ქ. დაერქვა XX ს. 20-იან წლებში.

საქარა, ზესტაფონის რ-ნის სოფლების ზედა და ქვედა საქარის გაერცელებული სახელწოდება.

საქნავთობის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება *კახეთის გზატკეცილსა* და *ლილოს დასახლებას* შორის.

საქსოფმანქანის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; დასახლება ჭირნახულის, თენგიზ სტურუასა და მეფრინველეთა ქუჩებს შორის.

საქჰიდროენერგომშენის დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი; *სამხედრო დასახლებასა* და *ზემო მეტალურგების დასახლებას* შორის.

საყვირის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მიხეილ მრევლიშვილის ქუჩიდან გიორგი ჭყონდიდელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ყოფ. გუდოკის ქუჩა. ს. ქ. დაერქვა 50-იან წლებში. ადრე ქუჩის მახლობლად მდებარე ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებს სამუშაო დღის დაწყებას, შესვენებას და დამთავრებას საყვირით ატყობინებდნენ. აქედან მოდის ქუჩის სახელიც.

საჩხერის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); უსახელო ქუჩიდან შატილის ქუჩამდე. ყოფ. თემქის დასახლების 65-ე ქუჩა. ს. ქ. დაერქვა XX ს. 60-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია ამავე სახელწოდების ქუჩა; მდებარეობდა ახალქალაქისა და ახლანდ. ცოტნე დადიანის ქუჩებს შორის, გაუქმდა მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის შედეგად.

საჩხერე, ქალაქი დას. საქართველოში.

საცხენისის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); ჯავახეთის ქუჩიდან წნორისწყლის ქუჩამდე. სახელი დაერქვა XX ს. 70-იან წლებში.

საცხენისი, სოფელი გარდაბნის რ-ნში.

საჭილაოს ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ლიკანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

საჭილაო, ადგილი დას. საქართველოში, მდ. რიონსა და ცხენისწყალს შორის.

სახალხო ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*წავთლული*); სერგი წულაძის ქუჩიდან ციხისძირის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში. აქვს 2 ჩიხი.

თედო **სახოკიას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); იოსებ იმედაშვილის ქუჩიდან ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე საპროექტოს ქუჩა ერქვა, 60-იან წლებში თ. *სახოკიას* სახელი ეწოდა.

ნუგზარ **სავჯაიას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ვერის ხეობამდე. ნ. ყიფშიძის ქუჩის მონაკვეთს ნ. *სავჯაიას* სახელი დაერქვა 2003.

სევანის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მთავარანგელოზის ქუჩიდან მარტყოფის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც გოქჩის ჩიხი, თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში – როგორც სევანის შესახვევი.

სევანი, გოქჩა, ტბა სომხეთში, უდიდესია კავკასიაში.

სეიდაბადი, თბილისის ძვ. უბანი ქალაქის სამხრ.-აღმ. ნაწილში, მდ. წავკისისწყლის მარჯვ. მხარეს, თაბორის ქედის ძირში. მისი ადრინდ. სახელია „ტფილისი“. ს. შეერქვა XVII ს. 30-იან წლებში, როსტომ მეფის მიერ სპარსეთიდან სეიდების ჩამოსახლების შემდეგ. ს-ს XVIII–XIX სს. მიჯნაზე *ბარფუხი* ეწოდა.

„სემიონოვკა“, იხ. *ზემო ვერე*.

სენაკის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ლებარდის ქუჩიდან ცხრა ძმის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

სენაკი, ქალაქი დას. საქართველოში (1933–89 – ცხაკაია).

სვანეთისუბანი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ქალაქის ძვ. მიკროუბანი მტკვრის მარცხ. მხარეს. სახელწ. „ს.“ XIX ს. II ნახევარში გაჩნდა.

სვანეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მახინჯაურის ქუჩიდან ლეჩხუმის II შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის მონაკვეთი, ცოტნე დადიანის ქუჩიდან ნიკო მარის ქუჩამდე, დატანილია როგორც ორთქლმავლის ქუჩა.

სვანეთი, საქართველოს ერთ-ერთი მხარე.

სვანეთისხევის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი საკაძის ქუჩიდან შალვა ცინცაძის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს-ში.

გივი **სვანიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მიხეილ თამარაშვილის ქუჩიდან ვერის ხეობამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. 1965 დ. გურამიშვილის შესახვევი დაერქვა, 1990 – მ. თამარაშვილისა. გ. *სვანიძის* სახელი ეწოდა 2003. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „ვაკე“.

ტარიელ **სვანიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); აკაკი ხორავას ქუჩიდან გუდაურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა გუდაურის შესახვევი. ტ. *სვანიძის* სახელი ეწოდა 1991.

გუდაური, სოფელი ყაზბეგის რ-ნში. სამთო-სათხილამურო კურორტი.



სიონის ქუჩა.

სვირის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); იაკინთე ლისაშვილის შესახვევიდან გეგუთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

სვირი, ზესტაფონის რ-ნის სოფლების – პირველი, მეორე და ახალი სვირის გავრცელებული სახელწოდება.

სიონის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); ერეკლე II-ის ქუჩიდან კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩამდე. ამ სახელწოდების ქუჩა ჯერ კიდევ 1769 წ. საბუთშია მოხსენიებული, სახელი დაკავშირებულია აქ აღმართულ სიონის ტაძართან (VI–VII სს.). შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში. 1921 ქუჩას ნ. *ბარათაშვილის* სახელი უწოდეს, 1946-იდან – ისევ სიონისა. ქუჩის ბოლოში თავს იყრის მეტად კოლორიტული ქუჩები: *ბამბის რიგი* და *შარდენის ქუჩა*. აქ ერთ დროს პატარა სირაჯხანაც – ღვინით მოვაჭრეთა რიგი – იყო, რ-იც რეკონსტრუქციის დროს აიღეს (თბილისის 1934 წ. გეგმაზე ამ ქუჩის ბოლო მონაკვეთი, ბამბის რიგიდან კ. აფხაზის ქუჩამდე, დატანილია როგორც ღვინის გასასვლელი). შუა საუკუნეებში აქ განლაგებული ყოფილა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო რიგი – ქვემო ბაზარი. ს. ქ. გადიოდა იმ დროის საზ. ცენტრში – „ბატონის მოედანზე“ (დაახლ. იქ, სადაც დღეს *ერეკლე II-ის მოედანია*). ს. ქ-ზე განლაგებული იყო მეფეთა და დიდ თავადთა სასახლეები, ქარვასლები, ეკლესიები. აღსანიშნავია ბატონიშვილ თეკლეს – ერეკლე II-ის ასულის ქარვასლა (ახლანდ. სასულიერო აკადემია და სემინარია; ნაგებობა განეკუთვნება XIX ს. შუა წლებს), არწრუნის ქარვასლა (ახლანდ. ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი; XIX ს., გადაკეთებულია 1912 და 1984). ქუჩაზე დგას ვანში აღმოჩენილი ძვ. წ. VII ს. ბრინჯაოს ქანდაკების ასლი და კონკა. აქვს 1 შეს. (ყოფ. სიონის II შეს., თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც წითელი ვარსკვლავის შეს.).

სილნაღის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); ლამის ქუჩიდან გიორგი ჯაბაურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

სილნაღი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ივანე **სიხარულიძის გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ივანე სიხარულიძის ქუჩიდან ალექსანდრე ბარამიძის ქუჩამდე.

ივანე **სიხარულიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ივანე სიხარულიძის გასასვლელიდან ჩარგლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე თემქის დასახლების 55-ე ქუჩა ერქვა, 70-იან წლებში ი. *სიხარულიძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას.

სკოლის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აეჯალა*); ბიჭვინთის შესახვევიდან მტკვრის ნაპირამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.

ანატოლი **სობჩაკის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); რევაზ თაბუკაშვილის ქუჩიდან გიორგი ათონელის ქუჩამდე. ყოფ. გიორგის (წმინდა გიორგის) ქუჩას (ახლანდ. ა. *ჯორჯაძის ქუჩა*) გამოეყო XIX ს. ბოლოს. თავდაპირველად მას – ალექსანდრეს, 1900 კი, აქ მდებარე თბილისის სახაზინო პალატის გამო, ხაზინის ქუჩა დაარქვეს. 2004 ა. *სობჩაკის* სახელი ეწოდა. ქუჩას მარცხ. მხარეს მიუყვება გ. ლეონიძის სახ. ბაღი (ყოფ. ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილი).

სოლოლაკი, სალალაკი, ძველი თბილისის რ-ნი. ქალაქის ძვ. უბანი მტკვრის მარჯვ. მხარეს. უჭირავს სოლოლაკის ქედის დას. და მთაწმინდის ქედის სამხრ. კალთებს შორის მდებარე ტერიტორია, ახლანდ. კოჯრის, ლ. ასათიანის, ამაღლების, დ. ჭონქაძისა და გ. ლეონიძის ქუჩების მიდამოები. ს. ისტ. *გარეთუბნის* შემადგენელი ნაწილია. ადრე ეს ტერიტ. ეჭირა ქართლის მეფის, დედოფლის, ბატონიშვილებისა და სხვათა ბაღებს. მისი განაშენიანება დაიწყო XIX ს. 30–40-იან წლებში. თანდათანობით გაიჩეხა ს-ის ბაღები და





კალა, ქვემო უბანი, სიონის, ჯვარის მამის და ნორაშენის ეკლესიები.



სოლოლაკის ერთ-ერთი კუთხე.

მათი ადგილი დაიკავა თბილისის მაღალი ფენის წარმომადგენელთა საცხოვრ. სახლებმა.

სოლოლაკის ხეივანი, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); მარო მაყაშვილის აღმართიდან თბილისის ციხემდე. გაშენდა სოლოლაკის ქედის თხემზე 1935 და მას კომკავშირის ხეივანი ეწოდა. ს. ხ. დაერქვა 1990. ხეივნის 1 კმ სიგრძის მოასფალტებული გზა იმ ძველი კერამიკული წყალსადენის ტრასას მიუყვება, რ-საც სათავე წავკის-ოქროყანის მიდამოებში ჰქონდა და რ-ითაც ფეოდ. ხანაში სასმელი წყლით მარაგდებოდა თბილისის „დედა ციხე“ (ნარიყალა). ს. ხ-ის შუა ნაწილში შემორჩენილია შუა საუკ. თბილისის ზღუდის ერთ-ერთი ბასტიონის – შაჰტახტის ნანგრევები. გადმოცემით, თბილისის ერთ-ერთ დამპყრობ შაჰს იგი თავის სადგომად აურჩევია – ტახტი დაუდგამს (აქედან მოდის სახელწ. „შაჰტახტი“). ვარაუდობენ, რომ ქართლში არაბების ბატონობის ხანაში (VII–X სს.) ციხის ამ ნაწილში მოწყობილი იყო ობსერვატორია.

ხეივანზე აგებულია რამდენიმე გადმოსახედი ბაქანი, საიდანაც იშლება ქალაქის შესანიშნავი ხედი. მეორე მხარეს, წავკისისწყლის ხეობის ფერდობზე, გაშენებულია ბოტანიკური ბაღი. ხეივანზე აღმართულია მონუმენტი „ქართვლის დედა“ (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტ. ს. მეგრელიშვილი). აქვეა ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწ. მუზეუმი. XX ს. 90-იან წლებში ძვ. ნაფუძარზე აშენდა წმინდა ნიკოლოზის ახ. ეკლესია.

სოლომონ ბრძენის ქუჩა, იხ. *მეფე სოლომონ ბრძენის ქუჩა.*

სომხეთის I გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); სომხეთის ქუჩიდან განთიადის ქუჩამდე.

სომხეთის II გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); სომხეთის ქუჩიდან მამკოდის ქუჩამდე.

სომხეთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); შილდის ქუჩიდან ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. თავდაპირველად ურბნისის ქუჩა ერქვა, თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც სომხის ქუჩა. თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია ს. ქ-ის სახელწოდებით. აქვს 2 გას.

სომხეთი, სახელმწიფო სამხრ. კავკასიაში.

შრბნისი, სოფელი ქარელის რ-ნში.

სოღანლუღი, ყოფ. სოფელი თბილისის სამხრ-ით, მტკვრის მარჯვ. მხარეს. მისი ადრინდ. სახელია „ყურყუთა“. იხსენიება XVII–XVIII სს. სიგელ-გუჯრებში. ს-ს 1973 *ფონიჭალა* დაერქვა.

სოღანლუღის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); იაკობ ცურტაველის ქუჩიდან გიორგი მერჩულის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

სოხუმის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩიდან თემურ ფიფიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

სოხუმი, ქალაქი დას. საქართველოში, აფხაზეთში (დედაქალაქი).

სურენ **სპანდარიანის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); შირაქის ქუჩიდან შორაპნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. ადრე ერქვა განზრახის ქუჩა. 40-იან წლებში ს. *სპანდარიანის* სახელი ეწოდა.

სპარტაკის გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ელენე ახვლედიანის ქუჩიდან ვიქტორ გაბესკირიას მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა სპარტაკის შესახვევი და გრძელდებოდა სპარტაკის ქუჩამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე გასასვლელის მონაკვეთი, სპარტაკის ქუჩიდან ბახვის შესახვევამდე, დატანილია როგორც ბობოთის შესახვევი.

ბობოთი, სოფლები მარტვილისა და ტყიბულის რ-ნებში.

სპარტაკის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ვიქტორ გაბესკირიას მოედნიდან ელენე ახვლედიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ

ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ასატურის შესახვევი. 1922 *სპარტაკის* სახელი დაერქვა. აქვს 1 გას.

სტამბის ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); დასაწყისი რევაზ თაბუკაშვილის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში.

კონსტანტინე **სტანისლავსკის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); რაფიელ აგლაძის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში და კ. *სტანისლავსკის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „დიდუბის წისქვილქარხანა“.

თენგიზ **სტურუას ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასაწყისი*); დასაწყისი მეფრინველეთა ქუჩიდან. ქუჩას თ. *სტურუას* სახელი დაერქვა 2001.


ალექსანდრე **სუვოროვის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ლამისყანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში და ა. *სუვოროვის* სახელი ეწოდა.

არჩილ **სულაკაურის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); კონსტანტინე გამსახურდიას გამზირიდან დავით გამრეკელის ქუჩამდე. ადრინდელ *ბახტრიონის ქუჩის* მონაკვეთს ა. *სულაკაურის* სახელი დაერქვა 1999.

დავით **სულიაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კოსტა ხეთაგუროვის ქუჩიდან მოსე თოიძის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც წყალსაყვანი ქუჩა, 1934 წ. გეგმაზე – როგორც წყალსაქაჩი ქუჩა. დ. *სულიაშვილის* სახელი დაერქვა 1965. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

ნიკო **სულხანიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან გიორგი ათონელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1900 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მცირე ვანქის ქუჩა. 1923-იდან ნ. *სულხანიშვილის* სახელი ჰქვია. ჩიხში შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 2 ჩიხი (მეორე ჩიხი მოიცავს სულხანიშვილის შესახვევის ნაწილს, რ-იც გოქჩის ქუჩამდე გადიოდა).

სულხან-საბას ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); დასაწყისი გიორგი ლეონიძის ქუჩიდან. თბილისის 1876 წ. გეგმაზე აღნიშნულია როგორც ირაკლის შესახვევი (ადრე ამ ადგილებში მეფე



სულხან-საბას ქუჩა.

ერეკლე II-ის ბაღები იყო). ამ ქუჩაზე სეირნობდნენ მეფისნაცვლის სასახლის სეფექალები, ამიტომ XIX ს. 80-იანი წლებიდან დაერქვა ფრეილინის (ფრეილინა – სეფექალი) ქუჩა. 1923 – საბა-სულხანის, 1948 სულხან-საბას ქუჩა ეწოდა. ძირითადად განაშენიანებულია ძვ. თბილისის ბურჟუაზიის წარმომადგენელთა სახლებით. ქუჩის ბოლოში აღმართულია სკულპტურული კომპოზიცია „ცოდნის სვეტი“ (მოქანდაკე ვ. ონიანი. არქიტ. ვ. აბრამაშვილი). სვეტი დაიდგა 1981 იმ ადგილას, სადაც ადრე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის შენობა იყო. იხ. ს.-ს. *ორბელიანი*.

ალექსანდრე **სუმბათაშვილ-იუჟინის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ლიკანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მუშკორის ქუჩა. 1992 ა. *სუმბათაშვილ-იუჟინის* სახელი ეწოდა.

მუშკორი, მუშა-კორესპონდენტი.

გაბრიელ **სუნდუკიანის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დავით აღმაშენებლის გამზირიდან მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 20-იან წლებში. დაიგეგმა 40-იან წლებში. თბილისის 1851 წ. გეგმაზე დატანილია ვ. *კორბუტის* სახელით. XX ს. 30-იან წლებში ა. *მრავიანის* სახელი დაერქვა (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე), 40-იან წლებში – გ. *სუნდუკიანის*. აქვს 1 შეს.

სურამის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ოქროსუბანი*); კოტე ფოცხვერაშვილის ქუჩიდან თამარ მეფის გამზირამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

სურამი, დაბა და კლიმ. კურორტი აღმ. საქართველოში.

სურაბ-ნიშანის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); შოთა ყავლაშვილის ქუჩიდან იეთიმ გურჯის ქუჩამდე. აღნიშნულია ალ. პაშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია ახალი ქუჩის სახელწოდებით. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც სურბ-ნიშანის ქუჩა. სახელწ. უკავშირდება იქვე მდგარ სურბ-ნშანის ეკლესიას, რ-იც 1703 (ზოგიერთი ცნობით 1701) ძვ. მართლმადიდებელი ეკლესიის ნანგრევებზე აუშენებიათ სომეხ გრიგორიანელებს. ქუჩას 1925 ეწოდა ა. *აკოფიანის* სახელი, 2007 დაუბრუნდა ძვ. სახელი. ქუჩაზე და შესახვევში შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს. (ყოფ. სურბ-ნიშანის, 1925-იდან – ა. აკოფიანის შეს.).

სურბ-ნშანი, ქართ. – წმინდა ჯვარი.

აკაკი **სურგულაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ეროსი მანჯგალაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც კონდუქტორის ქუჩა, 1961 – ა. *გეგეჭკორის*, 1993 ა. *სურგულაძის* სახელი დაერქვა.

სერგო **სურგულაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ზემო ფონიჭალა*); რკინიგზიდან მარნეულის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე გ. ე. *წერეთლის* სახელი ერქვა, 80-იან წლებში ს. *სურგულაძის* სახელი ეწოდა.

ილია (ილიკო) **სუხიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*გარკვეთილი-3*); ვიქტორ კუპრაძისა და დიმიტრი ალექსიძის ქუჩებს შორის. ადრე უსახელო ქუჩა იყო. 1985 ი. *სუხიშვილის* სახელი ეწოდა. 2007 ს-ის სახელი დაერქვა ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერსაც.

სხვიტორის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აეჭალა*); ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან სხვიტორის შესახვევამდე. XX ს. 50-იან წლებამდე ა. *წერეთლის* სახელი ერქვა. აქვს 1 შეს.

სხვიტორი, სოფელი საჩხერის რ-ნში, სადაც დაიბადა ა. წერეთელი.

ირინე **სხირტლაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ალექსანდრე ყაზბეგის გამზირიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ქუჩას ი. *სხირტლაძის* სახელი ეწოდა 1977.

სიმონ **სხირტლაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ადამ მიცკევიჩის ქუჩიდან საირმის ქუჩამდე. ქუჩა წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე ბელოსტოკის ქუჩა ერქვა. ს. *სხირტლაძის* სახელი ეწოდა 1993.

ბელოსტოკი, ქალაქი პოლონეთში.

გრიგოლ **სხულუხიას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასასრულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მსროლელთა ქუჩა, 60-იან წლებში გ. *სხულუხიას* სახელი დაერქვა.



ძველი თბილისი. 1890-იანი წლები.





ტაბახმელის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); დასაწყისი ბარფუხის შესახვევიდან. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ყარაიის შესახვევი, 40-იან წლებში ტ. ქ. დაერქვა.

ტაბახმელა, სოფელი ქ. თბილისის შემადგენლობაში.

ყარაია, ყარაიაზი, მტკვრისპირა ველი ქ. რუსთავის სამხრ.-აღმ-ით, ისტორიულად ცნობილი იყო როგორც ზამთრის საძოვრები და ქართველ მეფეთა სანადირო ადგილი.

გალაკტიონ **ტაბიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); თავისუფლების მოედნიდან ლადო ასათიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 20-იან წლებში. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც განის ქუჩა. სავარაუდოა, რომ ამ ქუჩაზე ცხოვრობდა სენატორი *განი* (*ჰანი*). 1923 ეწოდა ა. *წერეთლის*, 1959 – გ. *ტაბიძის* სახელი. 1984-იდან გალაკტიონის ქუჩა ერქვა. ამჟამად ისევ ტ. ქ. ჰქვია. ძვ. შენობათაგან აღსანიშნავია სახლი №22 (1883, არქიტ. ა. ზალცმანი), რ-იც ეკლექტიკური ხასიათისაა, ფასადებზე XIX ს. ევრ. არქიტ. ელემენტები ოსტატურადაა შეხამებული ქართ. ეროვნ. მოტივებთან. №20 სახლში განთავსებულია კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“, რ-ის შემადგენელი ნაწილია სმირნოვების საგვარეულო მუზეუმი – ალექსანდრე პუშკინის მემორიალი.

ტიციან **ტაბიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მარუხის გმირების ქუჩიდან ვაკის პარკამდე. ადრინდელ *მცხეთის ქუჩის* მონაკვეთს ტ. *ტაბიძის* სახელი დაერქვა XX ს. 70-იან წლებში. აქვს 2 შეს. (I შეს. – ყოფ. მცხეთის III შეს., II შეს. – ყოფ. მცხეთის V შეს.).

ტანძიის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ალექსანდრე ყაზბეგის გამზირიდან საირმის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე ბაშკიჩეთის ქუჩა ერქვა. 1960 ტ. ქ. დაერქვა.

ტანძია, სოფელი ბოლნისის რ-ნში, სადაც დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი.

ბაშკიჩეთი, დაბა დმანისის სახელწოდება 1947-მდე.

ტარიელის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ცხემის ქუჩიდან პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში და ვეფხისტყაოსნის პერსონაჟის ტარიელის სახელი ეწოდა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი.

ერეკლე **ტატიშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); პეტრე მელიქიშვილის ქუჩიდან ვასილ ბარნოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 70-იან წლებში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე იხსენიება *ახალი ჰოლანდიის* ქუჩის სახელწოდებით. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ყაზბეგის ქუჩა, 1991 ე. *ტატიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

ყაზბეგი, მწვერვალი კავკასიონზე (მყინვარწვერი). ყოფ. დაბა აღმ. საქართველოში, 2006 დაუბრუნდა ძვ. სახელწოდება – სტეფანწმინდა.

ირაკლი **ტატიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლულის I დასახლება*); ნავთლულის I დასახლების VIII შესახვევიდან II შესახვევამდე. ნავთლულის I დასახლების ყოფ. VIII ქუჩა. 1983 ი. *ტატიშვილის* სახელი ეწოდა.

ტაშირის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ხონის ქუჩიდან დავით გივიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 1923-მდე ვლადიმერის VI შესახვევი ერქვა, შემდეგ – ტაშირის შესახვევი. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 40-იან წლებში ქუჩა გახდა.

ტაშირი, ერთ-ერთი უძველესი კუთხე აღმ. საქართველოში, ქვემო ქართლში (ამჟამად სომხეთის ტერიტორია).

ტაშკენტის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); საირმის ქუჩიდან ზემო ვეძისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. 60-იან წლებამდე რიონის ქუჩა ერქვა. აქვს 1 შეს.

ტაშკენტი, უზბეკეთის დედაქალაქი.

რიონი, მდინარე დას. საქართველოში.



გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა.

◄ სიონის ტაძარი.

ტელეგრაფის ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); დასაწყისი ვახტანგ ორბელიანის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. ამ უბანში იყო ფოსტა-ტელეგრაფი, აქედან მოდის ქუჩის სახელიც. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

გიორგი (გია) **ტეტელაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი; დავით აღმაშენებლის გამზირიდან დიმიტრი უზნაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თვდაპირველად მიხეილის ქუჩის, 1923-იდან პლეხანოვის შესახვევი იყო, 30-იანი წლებიდან – ზ. *ჩოდრიშვილის*, 1991 გ. *ტეტელაშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩას ადრე ძაღლის შესახვევიც ერქვა.

ტექსელის ხეივანი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); ხეივანი ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელისა და ევგენი მიქელაძის ქუჩებს შორის, მოსე გოგიბერიძის ქუჩის გასწვრივ. ხეივანს კ. ტექსელის სახელი ეწოდა 1999.

ტექსელი, კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში. ეკუთვნის ნიდერლანდს. II მსოფლიო ომის დროს 1945 წ. (6 აპრ. – 21 მაისი) ტ-ზე მოხდა ქართვ. ტყვეთა ბატალიონის აჯანყება გერმ. დამპყრობთა წინააღმდეგ. უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა 522 ქართვ. მებრძოლი. ადგილ. მოსახლ. დახმარებით შესაძლებელი გახდა 228 კაცის გადარჩენა.

ტეხილი შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); მდებარეობდა იაკობ ცურტაველის ქუჩასა და დურნუკის შესახვევს შორის.

ტეხურის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); სიმონ ჩიქოვანის ქუჩიდან იყალთოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში შეტანილია 2 ქუჩა, ტეხურისა და ჭაობის. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია მხოლოდ ჭაობის ქუჩა. 40-იან წლებში ჭაობის ქუჩას ტეხურის ქუჩასთან ერთად **ტ. ქ.** დაერქვა.

ტეხური, მდინარე დას. საქართველოში, რიონის მარჯვ. შენაკადი.

ტვიშის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*მეტროშენებელთა დასახლება*); მესხეთის ქუჩიდან თედორე უშაკოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში.

ტვიში, სოფელი ცაგერის რ-ნში.

ტიბაანის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ტიბაანის ქუჩიდან გუდამაყრის ქუჩამდე.

ტიბაანის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); მუხრანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე იყო 46-ე ქუჩა. 60-იან წლებში **ტ. ქ.** დაერქვა. აქვს 1 გას.

ტიბაანი, სოფელი სიღნაღის რ-ნში.

ტირიფონის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ვიქტორ გაბესკირიას მოედნიდან სამრეკლოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სალომეს შესახვევი. **ტ. ქ.** დაერქვა 1958.

ტირიფონი, ველი აღმ. საქართველოში, შიდა ქართლში.

ივანე **ტიულენევის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); მდებარეობს გლდანის მასივის VI და VIII მიკრორაიონებს შორის. ყოფ. უსახელო ქუჩას ი. *ტიულენევის* სახელი ეწოდა 1980.

ნიკოლოზ **ტიხონოვის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან გლდანის პატარა ტბამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე მაქსიმ *გორკის* სახელი ერქვა, 1981 წ. *ტიხონოვის* სახელი ეწოდა.

გიორგი **ტოვსტონოგოვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი; დავით აღმაშენებლის გამზირიდან ივანე ჯავახიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. მანამდე აქ იყო გერმ. მოახალშენეების ბაღები. ქუჩას იმთავითვე დაერქვა რუს. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ასულის ტატიანას (1897–1918) სახელი. ამ სახელითაა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923-იდან – 25 თებერვლის, შემდეგ 26 მაისის ქუჩა ერქვა. 1992 გ. *ტოვსტონოგოვის* სახელი ეწოდა.

ტოლენჯის ქუჩა, იხ. თოლენჯის ქუჩა.

ლევ **ტოლსტოის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ივანე ჯავახიშვილის ქუჩიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ასაქცევი ქუჩა. XX ს. 20-იანი წლებიდან ლ. *ტოლსტოის* სახელი ჰქვია. აქვს 1 შეს.

თამაზ **ტოროშელიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი, ღრმაღელე*); ალბერტ ქართველიშვილის ქუჩიდან ღრმაღელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე დეპუტატის ქუჩა ერქვა. 1995 თ. *ტოროშელიძის* სახელი ეწოდა.

ტრანსპორტის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან კარალეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ივანე **ტურგენევის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); ივანე ჯავახიშვილის ქუჩიდან არნოლდ ჩიქობავას ქუჩამდე. XIX ს. 60-იან წლებში ბაღის (ზემო ბაღის) ქუჩა ერქვა, დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1900 ქუჩას ი. *ტურგენევის* სახელი ეწოდა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

იონა **ტუსკიას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან იყალთოს გორამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 1963-მდე ნუნისის ქუჩა ერქვა, შემდეგ ი. *ტუსკიას* სახელი ეწოდა.

ნუნისი, სოფელი ხარაგაულის რ-ნში.

ტყავის I ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); მისასვლელი კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ტყავის II ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); მისასვლელი კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ტყეკულტურის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ტყეკულტურის I შესახვევიდან ტყეკულტურის III შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებამდე ტყეკულტურის I ქუჩა ერქვა. აქვს 3 შეს.

ტყეკულტურა, სახელი დაკავშირებულია ექიმ ნ. *ხუდადოვის* მიერ აქ გაშენებულ ტყეპარკთან, რ-საც მოსახლეობა დღესაც „ხუდადოვის ტყეს“ უწოდებს.

ტყეკულტურის IV შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); არგვეთის ქუჩიდან სამშვილდის ქუჩამდე.

ტყვარჩელის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ქვაყრელი*); მერაბ ალექსიძის ქუჩიდან აკურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ტყვარჩელი, ქალაქი დას. საქართველოში, აფხაზეთში.

ტყვიავის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დავით აღმაშენებლის გამზირიდან მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა ეკლესიის ქუჩა (აქ იდგა ეკლესია, რ-ის ადგილზეც ახლა საცხოვრ. სახლია), 1923 ეწოდა კოლხიდის ქუჩა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ნარიყალის ქუჩა. **ტ. ქ.** დაერქვა 40-იან წლებში. აქვს 1 ჩიხი.

ტყვიავი, სოფელი გორის რ-ნში.

კოლხიდა, სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთის ბერძნ. სახელწოდება.

ტყიბულის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); უსახელო ქუჩიდან შატილის ქუჩამდე. ყოფ. თემქის დასახლების 64-ე ქუჩა. **ტ. ქ.** დაერქვა XX ს. 60-იან წლებში. თბილისის 1934 რუკაზე დატანილია ამავე სახელწოდების ქუჩა, რ-იც მდებარეობდა ახალქალაქისა და ახლანდ. ცოტნე დადიანის ქუჩებს შორის, გაუქმდა მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის შედეგად.

ტყიბული, ქალაქი დას. საქართველოში.

ტყის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩიდან კოტე მესხის I აღმართამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ელიზბარ და ვლადიმერ **ᲣᲑᲘᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); აწყურის ქუჩიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ფერმა-ავლაბრის II ქუჩა. 70-იან წლებში – აწყურის II შეს., 1995 – ვ. *უბილავას*, 1997 ე. *უბილავას* და ვ. უბილავას სახელი ეწოდა.

დიმიტრი **ᲣᲖᲜᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ნავთლულის I დასახლების V ქუჩიდან მთის ფერდობამდე. ნავთლულის I დასახლების IV ქუჩას დ. *უზნაძის* სახელი ეწოდა 1983.

დიმიტრი **ᲣᲖᲜᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); ზაარბრიუკენის მოედნიდან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს. 20-იან წლებში მტკვრის მარცხ. სანაპიროზე გერმანელი მოახალშენეების დასახლების შემდეგ და თავდაპირველად სანაპირო ქუჩა ერქვა. ამ სახელითაა შეტანილი 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში. ვორონცოვის (ახლანდ. ჩუღურეთის) ხიდის აშენების შემდეგ ქუჩას ეწოდა ვორონცოვის სანაპირო – ამ სახელით აღნიშნულია ქალაქის 1876 წ. გეგმაზე. 1899 ქუჩას მიენიჭა დიდი მთავრის *ნიკოლოზ მიხეილის ძის* სახელი და დაერქვა დიდი მთავრის ქუჩა. 1922 – *კამოს*, 1990 დ. *უზნაძის* სახელი ეწოდა. ქუჩის სამხრ.-დას-ით განლაგებული იყო სამხერხაოები, მტკვრის ნაპირთან კი – წისქვილები, რ-თაც XX ს. 20-იან წლებამდე მოაღწიეს. იმ ადგილას, სადაც გერმ. ვეტცელის მიერ 1865 დაარსებული ლუდის ქ-ნა იყო, ამჟამად მუშაობს ლუდის საწარმო „ყაზბეგი 1881“. ქუჩაზეა „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (ყოფ. „გაერთიანებული ქართული ბანკი“), სრულიად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა გიორგის სახ. კარდიოლოგიური საავადმყოფო, ვ. წითლანაძის სახ. რევმატოლოგიის სამეცნ.-პრაქტ. ცენტრი, თბილისის სახელმწ. სამედ. უნ-ტის ა. ალადაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა, მ. შენგელიას სახ. ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახ. ეკლესია. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. დგას ა. ალადაშვილის ბიუსტი (მოქანდაკე ო. მელიქიშვილი).

ᲨᲘᲐᲠᲐᲚᲝᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); უიარაღოს ქუჩიდან წრომის ქუჩამდე.

ᲨᲘᲐᲠᲐᲚᲝᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); უიარაღოს ქუჩიდან ნოსტის ქუჩამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კისისხევის II და III შესახვევები.

ᲨᲘᲐᲠᲐᲚᲝᲡ III ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); უიარაღოს ქუჩიდან ნოსტის ქუჩამდე.

ᲨᲘᲐᲠᲐᲚᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მუშათა ქუჩიდან ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ძმობის ქუჩა (დასაწყისი) და აგარაკის ქუჩა. 1958 *უიარაღოს* სახელი ეწოდა. აქვს 3 გას.

ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ, სოფლები მცხეთისა და გუდაუთის რ-ნებში.

კირილე **ᲣᲚᲚᲔᲑᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ნიაღვრის ქუჩიდან ბესიკის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე იყო *ნიაღვრის ქუჩის* I შესახვევი. დატანილია თბილისის 1900 წ. გეგმაზე. კ. *უკლებას* სახელი ეწოდა 1999. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 ჩიხი.


ლესია **ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲙᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, იხ. *ლესია უკრაინკას ქუჩა.*

პეტრე **ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); გალის ქუჩიდან თერგის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მოზდოკის შესახვევი, ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 60-იან წლებში პ. *უმიკაშვილის* სახელი ეწოდა.

ᲛᲝᲖᲓᲝᲙᲘ, ქალაქი ჩრდ. ოსეთში.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); მიხეილ თამარაშვილის ქუჩიდან ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზამდე. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. სახელი ეწოდა 1977, თსუ-ის მაღლივი კორპუსის აშენების შემდეგ. ქ. თბილისის მთავრობის 2003 დადგენილებით ქუჩას დაემატა ნაფეტვრებისაკენ მიმავალი გზის მონაკვეთი. უ. ქ-ის ნაწილს ორივე მხარეს მიუყვება საბურთალოს სასაფლაო.

ᲜᲐᲤᲔᲢᲕᲠᲔᲑᲘ, სააგარაკო ადგილი თბილისის დას. ნაწილში.



დიმიტრი უზნაძის ქუჩა.





დიმიტრი უზნაძის ქუჩა. საცხოვრებელი სახლები.



ურბნისის ქუჩა. დარეჯანის სასახლე.

ურბნისის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ღვინის აღმართიდან ისნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თავდაპირველად – ციხის, შემდეგ მაცხოვრის ქუჩა ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 უ. ქ. ეწოდა. ქუჩაზე არის *ერეკლე II-ის* მეუღლის დარეჯანის სასახლის კომპლექსი „საჩინო“ (XVIII ს., გადაკეთებულია XIX ს-ში), ციხის გალავნის ნაშთი (XVII ს.).

ურბნისი, სოფელი ქარელის რ-ნში.

ურეკის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); პეტრე გამყრელიძის ქუჩიდან ჩარგლის ქუჩამდე. თემქის დასახლების ყოფ. „ბ“ ქუჩას უ. ქ. დაერქვა 1967.

ურეკი, დაბა ოზურგეთის რ-ნში.

რევაზ **ურიდიას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); რკინიგზის ქუჩიდან ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც იურიევის ქუჩა. 1923 – მ. *ჩოდრიშვილის*, 1991 რ. *ურიდიას* სახელი დაერქვა. აქვს 1 ჩიხი.

იურიევი, ქალაქი ესტონეთში, 1919-იდან – ტარტუ.

ურმის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); იწყებოდა ელენე ახვლედიანის აღმართიდან. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც საზიდრის ქუჩა, შემდეგ უ. შ. დაერქვა. რევოლუციამდელ თბილისში იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ საურმე გზას.

უფლისციხის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); საქარის ქუჩიდან ნორიოს აღმართამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. შეტანილია 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“.

უფლისციხე, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, ერთ-ერთი უძველესი დასახლება კავკასიაში. მდებარეობს გორის რ-ნში.

თედორე **უშაკოვის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*მეტრომშენებელთა დასახლება*); მესხეთის ქუჩიდან ხევამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში და თ. *უშაკოვის* სახელი დაერქვა.

ირაკლი **უჩანეიშვილის I გასასვლელი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩიდან ირაკლი უჩანეიშვილის III გასასვლელამდე.

ირაკლი **უჩანეიშვილის II გასასვლელი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩიდან ირაკლი უჩანეიშვილის IV გასასვლელამდე.

ირაკლი **უჩანეიშვილის III გასასვლელი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩიდან ირაკლი უჩანეიშვილის I გასასვლელამდე.

ირაკლი **უჩანეიშვილის IV გასასვლელი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); დასაწყისი წყნეთის გზატკეცილიდან.

ირაკლი **უჩანეიშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); დასაწყისი წყნეთის გზატკეცილიდან. ადრე ს. *კიროვის*, შემდეგ გ. *იმედაძის* სახელი ერქვა. 1993 ი. *უჩანეიშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 4 გას., 3 ჩიხი.

უწერის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს-ში. ადრე ფ. *მახარაძის* სახელი ერქვა, 50-იან წლებში უ. ქ. ეწოდა. აქვს 2 შეს., 1 ჩიხი.

უწერა, სოფელი ონის რ-ნში, კურორტი.

უჯარმის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*დოლაბაური*); დოლაბაურის II ქუჩიდან უჯარმის II შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 2 შეს., 1 ჩიხი.

უჯარმა, სოფელი საგარეჯოს რ-ნში.

ფაბრიკის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან ვახტანგ გორგასლის II შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. სახელი დაკავშირებულია წინათ აქ არსებულ ტყავის ფაბრიკა-ქარხნებთან.

ზაქარია **ფალიაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); კორნელი კეკელიძის ქუჩიდან არჩილ მიშველაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე – ვაკის ქუჩა, თბილისის 1926 წ. ცნობარის მიხედვით ვაკის პროსპექტი ერქვა. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია ვაკის ახალი ქუჩების სიაში. 30-იან წლებში ზ. *ფალიაშვილის* სახელი დაერქვა. ქუჩაზეა ალ. თვალჭრელიძის სახ. კავკასიის მინერალური ნედლეულის ინ-ტი. ქუჩაზე, მისივე სახელობის სკვერში, დგას კ. *გამსახურდიას* ძეგლი (მოქანდაკე თ. კიკალიშვილი, არქიტ. თ. თევზაძე).

ზაზა **ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა**, იხ. *ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა.*

გურამ **ფანჯიკიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); პეკინის გამზირიდან ბუდაპეშტის ქუჩამდე. ადრინდელი *ბუდაპეშტის ქუჩის* ნაწილი (I მონაკვეთი). ქუჩას გ. *ფანჯიკიძის* სახელი ეწოდა 1998. აქვს 2 შეს.

ფარავნის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ოთარ კაპანაძის ქუჩიდან ივანე მიჩურინის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. აქვს 1 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც არტაანის შეს.), 3 ჩიხი.

ფარავანი, ტბა ჯავახეთის ზეგანზე, ნინოწმინდის რ-ნში.

არტაანი, ისტ. მხარე სამხრ. საქართველოში.

ფარნავაზ მეფის გამზირი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიდი დილომი*); გიორგი ბრწყინვალისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩებს შორის. უსახელო მონაკვეთს *ფარნავაზ I-ის* სახელი ეწოდა 1989. გამზირზეა შპს ჰიპერმარკეტი „გუდვილი“.

ფასანაურის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); იაკობ ნიკოლაძის ქუჩიდან ვარაზისხევის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი. ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია როგორც ქუჩა.

ფასანაური, დაბა დუშეთის რ-ნში.

ირაკლი **ფალავას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ლადო მესხიშვილის ქუჩიდან ალექსანდრე ბოროდინის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1923-მდე დიდი მთავრის *კონსტანტინეს* (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე), შემდეგ ლენის ქუჩა ერქვა (ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზე). სახელწ. დაკავშირებულია მეფის მთავრობის მიერ 1912 ლენის ოქროს საბადოების მუშათა დახვრეტასთან. ქუჩას ი. *ფალავას* სახელი ეწოდა 1990.

ლენა, რუსეთისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე.

ფეიქართა ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ნონა გაფრინდაშვილის ქუჩიდან თენგიზ შეშელიძის ქუჩამდე. ყოფ. უსახელო ქუჩას ფ. ქ. დაერქვა 1966. სახელწ. უკავშირდება 1963 ამუშავებულ შალის სართავ ფაბრიკას. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „ქართული შალი“.

გრიგოლ **ფერაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დილომი*); დასაწყისი დავით აღმაშენებლის ხეივნიდან. აგრარული უნივერსიტეტის დასახლების ცენტრალურ უსახელო ქუჩას გ. *ფერაძის* სახელი ეწოდა 2007.

ფერისცვალების გასასვლელი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ფერისცვალების ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში.

ფერისცვალების ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ურბნისის ქუჩიდან ისნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1867 წ. გეგმაზე. ქუჩის თავში დგას XVIII ს. ფერისცვალების დედათა მონასტერი (ირაკლისა და დარიას ეკლესია) და ქუჩის სახელწოდებაც მას უკავშირდება. 1923 ქუჩას ვ. *ფიგნერის* სახელი ეწოდა, 1990 კვლავ დაუბრუნდა ძვ. სახელი.



ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა №15.

ქუჩაზე და შესახვევში შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. აქვს 1 გას., 1 ჩიხი.

ფერისცვალება, მაცხოვრის ფერისცვალება. ქრისტიანული დღესასწაული.

ფერისცვალების შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ურბნისის ქუჩიდან მეტეხის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში.

ფერშლის შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ბაღდათის ქუჩიდან გიორგი რთველაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე აქ იყო სამხედრო ჰოსპიტალი და სამხედრო-საფერშლო სკოლა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

მელიტონ **ფილიას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); დასაწყისი სამღერეთის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს-ში. ადრე ლოტკინის დასახლების I ქუჩა ერქვა, 70-იან წლებში მ. *ფილიას* სახელი ეწოდა.

ფირდოუსის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); ვახტანგ გორგასლის ქუჩიდან იოსებ გრიშაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ბორჩალოს შესახვევი, თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია ა. *ტაკო-ზადეს* შესახვევის სახელწოდებით. 40-იან წლებში *ფირდოუსის* სახელი დაერქვა. აქვს 1 ჩიხი.

ბორჩალო, ისტ. მხარე ქვემო ქართლში. სახელწ. მოდის XVII ს-ში დებედის ხეობაში ჩასახლებული თურქმანული ტომის ბორჩალუსაგან.

ნიკო **ფიროსმანის მოედანი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ოქროსუბანი*); გიორგი ჩიტაიასა და ნიკო ფიროსმანის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე – მოლოკნების ქუჩა, შემდეგ მოლოკნების მოედანი ეწოდა. XX ს. 30-იანი წლებიდან ნ. ფიროსმანის (*ფიროსმანაშვილი*) მოედანი ჰქვია.

ნიკო **ფიროსმანის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთისა და ძველი თბილისის რ-ნები (*ოქროსუბანი*); ფიროსმანის მოედნიდან ვაგზლის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. 40–50-იან წლებში. აღნიშნულია თბილისის 1876 წ. გეგმაზე მოლოკნების II ქუჩის სახელით. 1900-იდან – მოლოკნების, 30-იანი წლებიდან ნ. ფიროსმანის (*ფიროსმანაშვილი*) სახელი ჰქვია.

მოლოკნები, ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა რუსეთში.

ნიკო **ფიროსმანის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); იოანე პეტრიწის ქუჩიდან გიორგი სააკაძის ქუჩამდე. იხ. ნ. *ფიროსმანაშვილი*.

თემურ **ფიფიას ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან რკინიგზამდე. ადრე უსახელო მონაკვეთი იყო, შემდეგ თ. *ფიფიას* სახელი ეწოდა.

ეგნატე და ვახტანგ **ფიფიების ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); რკინიგზიდან აკაკი წერეთლის გამზირამდე. წარმოიქმნა XIX ს. მიწურულს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ტრამვაის ქუჩა, 70-იან წლებში – ვ. *კოროლენკოს*, 1997 ე. *ფიფიას* და ვ. *ფიფიას* სახელი ეწოდა.

ფიქრის გორა, ძველი თბილისის რ-ნი; თბილისის მიკროუბანი მტკვრის მარჯვ. მხარეს, *ვერის* უბნის ნაწილი, ახლანდ. მ. კოსტავას, ი. ნიკოლაძის და ვარაზისხევის ქუჩებს შორის. მიკროუბანი გაჩნდა XX ს. 20-იან წლებში.

ფოთის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); რკინიგზიდან დავით ყიფიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ფოთი, ქალაქი დას. საქართველოში.

ფონიჭალა, ისანი-სამგორის რ-ნი. საცხოვრ. რ-ნი თბილისის სამხრ. ნაწილში, მტკვრის მარჯვ. მხარეს, მარნეულისკენ მიმავალ რკინიგზასა და მტკვარს შორის. ფ-ს 1973-მდე *სოფლური* ერქვა. დაგეგმარდა 1970. გამოიყოფა ზემო და ქვემო ფონიჭალის დასახლება და ფონიჭალა-3.

ფოსტის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ალექსანდრე წურწუმიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. რევოლუციამდე ამ ქუჩის მახლობლად მდებარეობდა თბილისის II საფოსტო განყოფილება. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

კონსტანტინე (კოტე) **ფოცხვერაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ოქროსუბანი*); მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩიდან ნიკო ფიროსმანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც არტილერიის ქუჩა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია ბატარეის ქუჩის სახელწოდებით. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ხეჩუაშვილის ქუჩა (იხ. გ. *ხეჩუაშვილი*). 1959 კ. *ფოცხვერაშვილის* სახელი ეწოდა.

მორის **ფოცხიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აგჭალა*); ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან დავით სარაჯიშვილის ქუჩამდე. ადრე ვ. *კუიბიშევის* ქუჩა ერქვა. 1995 მ. *ფოცხიშვილის* სახელი ეწოდა.

ივანე **ფრანგულიანის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); ჭირნახულის ქუჩიდან ლილოს დასახლების II მიკრორაიონამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე ა. *წერეთლის* სახელი ერქვა. 1977 ი. *ფრანგულიანის* სახელი ეწოდა.

ანტონ **ფურცელაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); რუსთაველის გამზირიდან ვახტანგ ორბელიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 30-იან წლებში. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ბარონის ქუჩა. სახელწ. უკავშირდება კავკასიის მთავარმმართველის გ. *როზენის* ტიტულს. 1922 ა. *ფურცელაძის* სახელი დაერქვა. ქუჩაზე გამოდის ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. ეროვნული მუზეუმის ადმ. კორპუსი. შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

ფშავის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთისა და ისანი-სამგორის რ-ნები (*ელია*); რკინიგზის ლიანდაგიდან თამაზ მუჯირიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ერქვა კიბალჩიჩის ხევი. 1953-იდან **ფ. ქ.** ჰქვია. იხ. ნ. *კიბალჩიჩი*.

ფშავი, მხარე აღმ. საქართველოს მთიანეთში.

ომარ **ფხაკაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); დასაწყისი უნივერსიტეტის ქუჩიდან. ნაფეტვრებისკენ მიმავალი გზის პარალელურად არსებულ უსახელო მონაკვეთს ო. *ფხაკაძის* სახელი ეწოდა 2003.

ნაფეტვრები, სააგარაკო ადგილი თბილისის დას. ნაწილში.

ფხოვის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ორბელიანთუბანი*); ანატოლი სობჩაკის ქუჩიდან ანტონ ფურცელაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ფოსტის ქუჩა, 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში კი – როგორც ნერსესოვის ქუჩა. 1925 დაერქვა **ფ. ქ.** შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლი.

ფხოვი, ფხოეთი, ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე აღმ. საქართველოში. ფშავისა და ხევსურეთის უძველესი სახელწოდება.



ფიქრის გორა.

მერაბ **ქავთარაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ახალქალაქის ქუჩამდე. უსახელო მონაკვეთს მ. *ქავთარაძის* სახელი ეწოდა 1995. ქუჩაზეა შპს „ნიკორა“.

პეტრე **ქავთარაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ვლადიმერ ვჯიქიას ქუჩიდან ალექსანდრე ყაზბეგის გამზირამდე. ყაზბეგის გამზირის გაგრძელება. ქუჩას პ. *ქავთარაძის* სახელი დაერქვა XX ს. 70-იან წლებში. ქუჩაზეა საქართვ. მაღალი ტექნოლოგიების ეროვნ. ცენტრი, შპს სამკურნალო კომბინატი. აქვს 1 ჩიხი.

მელიტონ **ქანთარიას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); იური გაგარინის ქუჩიდან ჟიული შარტავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე კოლხეთის II შეს. ერქვა, 1968-იდან – ი. გაგარინის II შესახვევი. 1999 ა. *გახოკიძის* სახელი ეწოდა, 2006 – მელიტონ *ქანთარიასი*.

ქარელის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან იყალთოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ქარელი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ქართველთა და ებრაელთა ძმობის ხეივანი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); ქერჩისა და ომარ ხიზანიშვილის ქუჩებს შორის. სახელი დაერქვა 1999.

ალბერტ **ქართველიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან თამაზ ტოროშელიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში და მ. *რასკოვას* სახელი დაერქვა. 1995 ა. *ქართველიშვილის* სახელი ეწოდა.

ლევან **ქართლელიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის ქუჩიდან ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა დიდი მთავრის *დიმიტრის* სახელი. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 – თ. *კამალოვის*, 1999 ლ. *ქართლელიშვილის* სახელი ეწოდა.

ქართლის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი, ღრმაღელე*); ეკა ბეჟანიშვილის ქუჩიდან ღრმაღელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 2 შეს., 4 ჩიხი.

ქართლი, მხარე აღმ. საქართველოში.

ბესარიონ **ქებურიას დასახლება**, ისანი-სამგორის რ-ნი. დასახლება თბილისის სამხრ.-აღმ. ნაწილში, სამხედრო და აეროპორტის დასახლებებს შორის. ადრე ერქვა ქვემო ალექსეევკის დასახლება. 1999 მიენიჭა ბ. *ქებურიას* სახელი.

ბესარიონ **ქებურიას დასახლების**:

I ქუჩა, III ქუჩიდან II ქუჩამდე.

II ქუჩა, დასაწყისი I ქუჩიდან.

III ქუჩა, V ქუჩიდან ლეო დავითაშვილის ქუჩამდე.

IV ქუჩა, III ქუჩიდან იაკობ ხვედელიანის ქუჩამდე.

V ქუჩა, დასაწყისი III ქუჩიდან.

ბესარიონ **ქებურიას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ნოე ჩხიკვაძის ქუჩიდან ნიკოლოზ კახიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებამდე კისისხევის I ქუჩა ერქვა, შემდეგ ბ. *ქებურიას* სახელი ეწოდა.

კისისხევი, მდინარე და სოფელი თელავის რ-ნში.

ქედის კომუნის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ბოგდან ხმელნიცკის ქუჩიდან თეთრი წყაროს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მამუკას ქუჩა. 30-იან წლებში ქ. კ. ქ. დაერქვა. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. აქვს 1 შეს.

ქედა, დაბა დას. საქართველოში, აჭარაში.

ქედის კომუნა, ერთ-ერთი პირველი (ჯერ კიდევ კოლექტივიზაციის დაწყებამდე) მსხვილი სას.-სამ არტელი, რ-იც ჩამოყალიბდა ნინოწმინდის რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო ქედის ბაზაზე.

ქედის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); ელენე ახვლედიანის ქუჩიდან ნიკო ლომოურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ქედაბეკის შესახვევი, თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში – როგორც ქ. შ. აქვს 2 ჩიხი.

ქეთევან დედოფლის გამზირი, ისანი-სამგორისა და ძველი თბილისის რ-ნები (*ავლაბარი, ნავთლუღი*); ავლაბრის მოედნიდან მოსკოვის გამზირამდე. მაგისტრალური ქუჩა, რ-იც ნავთლუღს აკავშირებს ქალაქის ცენტრ. რ-ნებთან. ძველთაგანვე ცნობილი იყო კახეთის გზის სახელით. ასეა დატანილი *ვახუშტი ბატონიშვილის* მიერ შედგენილ თბილისის 1735 წ. გეგმაზეც. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კახეთის ქუჩა, 1895 წ. გეგმაზე



პეტრე ქავთარაძის ქუჩა.



ქეთევან დედოფლის გამზირი.

– როგორც კახეთის დიდი ქუჩა. 1923 – ს. *შუმიანის*, 1990 – ქეთევან წამებულის, 2005 *ქეთევან დედოფლის* სახელი დაერქვა. გამზირზე დგას პ. ადამიანის სახ. სომხური სახელმწ. დრამ. თეატრის შენობა (1936; არქიტ. მ. ტერ-მიქელოვი), **ქ. დ. გ**-ისა და თელავის ქუჩის კუთხეში – ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „შერატონ-მეტეხი-პალასი“ (1991; არქიტექტორები: ე. ჩაკმანი, შ. *ყავლაშვილი*). **ქ. დ. გ**-ისა და კახეთის გზატკეცილის შესაყართანაა შპს „ისანი“. შემონახულია XIX ს. II ნახევრის საცხოვრ. სახლები. გამზირზე დგას მეფე ფარნავაზ I-ის ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტექტორები: შ. ყავლაშვილი, ვ. რცხილაძე). გამოდის მეტროს სადგურები „ავლაბარი“, „300 არაგველი“, „ისანი“, „სამგორი“.

კახეთი, მხარე აღმ. საქართველოში.

ქერჩის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); დავით სარაჯიშვილის ქუჩიდან თიანეთის გზატკეცილამდე. *თიანეთის გზატკეცილის* მონაკვეთს ქერჩის ქუჩის სახელი დაერქვა 1973.

ქერჩი, ქალაქი უკრაინაში, ყირიმში. სსრკ-გერმანიის ომის (1941–45) დროს აქ გამართულ ბრძოლებს მრავალი ქართველი მეომრის სიცოცხლე შეეწირა.

ქვალონის I ქუჩა, იხ. *კახა მანიაშვილის ქუჩა*.

ქვალონის II ქუჩა, იხ. *ატოცის ქუჩა*.

ქვაყრელი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); საბურთალოს ტერიტორიაზე XIX ს-ში წარმოშობილი სოფლური დასახლება. მდებარეობდა მტკვრის მარჯვ. მხარეს. ეკავა დაახლ. ახლანდ. სპორტის სასახლისა და მისი მიმდებარე ტერიტორია. განაშენიანება დაიწყო XX ს. 30-იანი წლებიდან.

ქვემო ალექსეევკის დასახლება, იხ. *ბესარიონ ქებურიას დასახლება*.

ქვემო გომის ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); ბეთლემის ქუჩიდან ასკანის ქუჩამდე.

ქვემო გომის II ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*კლდისუბანი*); გომის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც აზიზბეკოვის I შესახვევი (შემდეგ – აზიზბეკოვის შესახვევი).

ქვემო ვეძისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); დასახლება თბილისის დას. ნაწილში. ჟიული შარტავასა და იური გაგარინის ქუჩებსა და ჰეიდარ ალიევის სანაპიროს შორის.

ქვემო მეტალურგების დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); დასახლება ზემო მეტალურგების დასახლებასა და გარდაბნის გზატკეცილს შორის.

ქვემო უბანი, ძველი თბილისის რ-ნი; თბილისის ისტ. უბანი, *კალის* ნაწილი. შემოსაზღვრულია ახლანდ. კ. აფხაზისა და შ. დადიანის ქუჩებითა და სოლოლაკის ქედით. მდებარეობს კალის ცენტრალური არტერიის – კ. *აფხაზის ქუჩის* მარჯვნივ. სახელი ეწოდა *ზემო უბანთან* შედარებით ქვემო მდებარეობის გამო. **ქ. უ**-ის ისტ. ცენტრია ახლანდ. *ვახტანგ გორგასლის მოედანი*.

ქვიშხეთის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. პირველ ქუჩას **ქ. ქ**. ეწოდა 50-იან წლებში.

ქვიშხეთი, სოფელი ხაშურის რ-ნში, კურორტი.

ზურაბ **ქვლივიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); არნოლდ ჩიქობავას ქუჩიდან ტერენტი გრანელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 40-იან წლებში. ადრე ერქვა აგურის ქუჩა (სახელწ. უკავშირდება ქუჩაზე მდგარ აგურის ქარხანას). 1875 დაერქვა ქალაქისთავის – ი. თუმანოვის (*თუმანიშვილის*) სახელი (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე). 1923 – მიხეილ ბოჭორიშვილის (ძვ. რევოლუციონერი), 1958 – მ. *ბოჭორიძის*, 1992 – ვ. *ჩერქეზიშვილის*, 2007 ზ. *ქვლივიძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

ლეო **ქიაჩელის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ვარდების რევოლუციის მოედნიდან ვერის ბაღამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც გ.

ქეთევან დედოფლის გამზირი. ფარნავაზ I-ის ძეგლი. ▶



ყორღანოვის ქუჩა. აქ, ოლღას (ახლანდ. მ. კოსტავას) ქუჩისა და ვერის დაღმართის კუთხეში, ცხოვრობდა მსხვილი მესაკუთრე გ. გ. *ყორღანოვი* და ქუჩაც მის სახელს ატარებდა. 1923 დაერქვა გ. ნ. *ყორღანოვის*, შემდეგ – კ. *საჯაიას*, 1948 – *ვაჟა-ფშაველას*, 1964 კი – ლ. *ქიაჩელის* სახელი. ქუჩაზეა ლურჯი მონასტერი (ანდრია პირველწოდებულის ეკლესია), ქ. ქ-ისა და ნ. ნიკოლაძის ქუჩის გადაკვეთაზე – იოანე ღვთისმეტყველის ეკლესია. შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

ქიზიყის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); დასაწყისი კახეთის გზატკეცილიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ქიზიყი, ისტორიული მხარე აღმ. საქართველოში, კახეთში.

ოთარ **ქინქლაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან პიატიგორსკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ანას ქუჩა. 1923-იდან – ა. *ეგოროვის* (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე), შემდეგ პ. *შირშოვის* სახელი ერქვა. ო. *ქინქლაძის* სახელი ეწოდა 1997.

ქინძმარაულის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ზემო მეტალურგების დასახლება*); პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩიდან გარდაბნის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1967 ქუჩის ერთ მონაკვეთს – კაიროს, 1996 კი გ. *ლორთქიფანიძის* სახელი დაერქვა. ქუჩაზეა თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის ბაზაზე შექმნილი სააქციო საზ-ბა „საკარცხული“.

ქინძმარაულის შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ქინძმარაულის ქუჩასა და გარდაბნის გზატკეცილს შორის. შესახვევშია შპს №5 საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანება, წმინდა ბარბარეს ქვემო ეკლესია (VIII ს.).

ქინძმარაულის II შესახვევი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); მოსკოვის გამზირსა და ქინძმარაულის ქუჩას შორის. ადრე ქინძმარაულის ქუჩა ერქვა.

ქინძმარაულის ჩიხი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); დასაწყისი ქინძმარაულის II შესახვევიდან.

ქინძმარაული, ადგილი აღმ. საქართველოში, ყვარლის რ-ნში.

გერონტი **ქიქოძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); გიორგი ლეონიძის ქუჩიდან ლადო ასათიანის ქუჩამდე. XVIII ს-ში ამ ადგილებში დარეჯან დედოფლის ბაღი იყო. ქუჩა წარმოიქმნა XIX ს. 20-იან წლებში. აქ მდებარეობდა კეთილშობილ ქალთა ინ-ტი (დაარსდა 1840) და ქუჩამაც აქედან მიიღო სახელწოდება – ინსტიტუტის ქუჩა (შეტანილია 1843 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში). ინ-ტის გადატანის შემდეგ (1857) დაერქვა ძველი ინსტიტუტის ქუჩა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე). 1900-იდან – ი. *პასკევიჩის*, 1923-იდან – ფ. *მახარაძის*, 1990-იდან გ. *ქიქოძის* სახელი ჰქვია. ქუჩაზეა თ. წერეთლის სახ. სახელმწიფოსა და სამართლის და პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინ-ტები. ნაგებობათაგან აღსანიშნავია XIX ს. 50-იანი, 90-იანი წწ. (ყოფ. შ. დადიანის სახ. ხელოვნების მუშაკთა სახლი) და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

სერგო **ქობულაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლულის I დასახლება*); ნავთლულის I დასახლების VIII შესახვევიდან დიმიტრი უზნაძის ქუჩამდე. ნავთლულის I დასახლების XI ქუჩას ს. *ქობულაძის* სახელი ეწოდა 1983.

ქობულეთის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); გიორგი შატბერაშვილის ქუჩიდან მცხეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მეორე შროშის ქუჩა. 40-იან წლებში ქ. ქ. დაერქვა. აქვს 1 შეს.

ქობულეთი, ქალაქი და კურორტი დას. საქართველოში, აჭარაში.

ქსნის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან ნონა გაფრინდაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. მე-3 ქუჩას ქ. ქ. ეწოდა 50-იან წლებში.

ქსანი, მდინარე აღმ. საქართველოში; სოფელი მცხეთის რ-ნში.

სერგო **ქსოვრელის I გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); თმოგვის ქუჩიდან სერგო ქსოვრელის ქუჩამდე.

სერგო **ქსოვრელის II გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); სერგო ქსოვრელის ქუჩიდან ეკა ბეჟანიშვილის ქუჩამდე.

სერგო **ქსოვრელის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ეკა ბეჟანიშვილის ქუჩამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ელმავლის ქუჩა. 1938 დაერქვა ა. *სტახანოვის*, 1995 – ს. *ქსოვრელის* სახელი. აქვს 2 გას., 3 ჩიხი.

ალექსანდრე **ქუთათელაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი ჭყონდიდელის ქუჩიდან ცისარტყელას შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია ტრაქტორის ქუჩის სახელწოდებით. იხ. ა. *ქუთათელი*.

აპოლონ **ქუთათელაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეთუბანი*); რევაზ ლაღიძის ქუჩიდან შოთა მესხიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც სალდათის შესახვევი. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია კადეტის შესახვევის სახელწოდებით; 1923-იდან – კურსანტების შესახვევი, 30-იანი წლებიდან ა. გერცენის შესახვევი ერქვა (იხ. ა. *გერცენი*). 1992 ა. *ქუთათელაძის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

იოველ **ქუთათელაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მოსე ჯანაშვილის ქუჩიდან მრგვალ ბაღამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ირიბის ქუჩა, შემდეგ ირიბის I ქუჩა დაერქვა. 50-იან წლებში – კლუხორის ქუჩა, 70-იან წლებში კი ი. *ქუთათელაძის* სახელი ეწოდა.

კლუხორი, ქალაქ კარაჩაევსკის სახელწ. 1944–57 წლებში (სტავროპოლის მხარე; რუსეთის ფედერაცია).

კალისტრატე **ქუთათელაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); დასაწყისი ალექსანდრე ყაზბეგის გამზირიდან. ადრე ა. ყაზბეგის გამზირის ჩიხი იყო. 1999 კ. *ქუთათელაძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა სააქციო საზ-ბა „საქსაშენმეცნიერება“.

ალექსანდრე **ქუთათელის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ჟიული შარტავას ქუჩიდან თინა იოსებიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში და ნ. *შჩორსის* სახელი დაერქვა. 1993 ა. *ქუთათელის* სახელი ეწოდა.

ქუთაისის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); კოსმონავტების სანაპიროდან აკაკი წერეთლის გამზირამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 შეს.

ქუთაისი, ქალაქი დას. საქართველოში.

ნიკოლოზ (ნიკო) **ქუმსიაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ბარფუხი*); იაკობ ცურტაველის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1900 წ. კალენდარში შეტანილია როგორც მირზოევის ქუჩა (იხ. *მირზოევები*), 1923-იდან აბილოვის ქუჩა ერქვა, 60-იან წლებში ნ. *ქუმსიაშვილის* სახელი

ეწოდა. აქვს 2 შეს. (I შეს. – ყოფ. მეშედოვსკის შეს., II შეს. – ყოფ. სათარის შეს.; შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში).

სოლომონ **ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); სოლომონ ქურდიანისა და ცოტნე დადიანის ქუჩებს შორის.

არჩილ **ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩიდან აკაკი წერეთლის გამზირამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც გლდანის ქუჩა. 1990 ა. *ქურდიანის* სახელი ეწოდა.

ზაქარია **ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 30-იან წლებში. ადრე ალექსის ქუჩა ერქვა. სახელი დაერქვა 1850 დიდი მთავრის ალექსის (ალექსი ალექსანდრეს ძე) დაბადებასთან დაკავშირებით. დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე. 1923 ეწოდა ნ. *ჩერნიშევსკის* სახელი, 2000 ადრინდელი ნ. *ჩერნიშევსკის ქუჩის* ნაწილს ზ. *ქურდიანის* სახელი დაერქვა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 3 ჩიხი.

სოლომონ **ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); სოლომონ ქურდიანის I შესახვევიდან ხუდადოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც პარკის ქუჩა, სახელი ეწოდა ხუდადოვის ტყე-პარკთან სიახლოვის გამო. 1925 კ. *ცინცაძის* სახელი დაერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ლადო ქუთათელაძის (ბოლშევიკი) ქუჩა. 40-იან წლებში – ს. *ზაქარაძის*, 1992 ს. *ქურდიანის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას., 2 შეს.

ᲥᲣᲗᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); კუკიის ძმათა სასაფლაოსთან.

ილიკო **ᲥᲣᲠᲮᲣᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ნიკოლოზ იზაშვილის ქუჩიდან გუთნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ეტაპის ქუჩა ერქვა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე), XX ს. 60-იან წლებში ი. *ქურხულის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც დაღესტნის გას.).

გიორგი **ᲥᲣᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); შალვა ღამბაშიძის ქუჩიდან იაკობ ნიკოლაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე მატერიალური ქუჩა ერქვა (დატანილია თბილისის 1897 და 1934 წლების გეგმებზე), XX ს. 50-იან წლებში გ. *ქუჩიშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა სასტუმროები „პრიმავერა“ და „ვერე-პალასი“. აქვს 1 შეს.



ლეო ქიაჩელის ქუჩა.

შალვა **ღამბაშიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მერაბ კოსტავას ქუჩიდან პეტრე მელიქიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე დატანილია როგორც შეშის საზიდი ქუჩა („დროვოზნაია“), თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია წილკნის ქუჩის სახელწოდებით. 1958 შ. *ღამბაშიძის* სახელი ეწოდა.

წილკანი, სოფელი მცხეთის რ-ნში.

ღვინის აღმართი, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი, ავლაბარი*); ევროპის მოედნიდან ავლაბრის მოედნამდე. „საჩინოს“ სასახლის ციხის ძირზე გამავალი მოკლე, ციცაბო, მოხვეული აღმართი მტკვრის მარცხ. სანაპიროზე. ძვ. თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული ქუჩა. აქ განლაგებული იყო ღვინითა და არყით მოვაჭრეთა რიგები. ადრე დიდი სირაჯხანა და სირაჯხანის აღმართი ერქვა (სპარს. „სირაჯ“, „სირაჩ“ მეღვინეს ნიშნავს, „ხანა“ – სახლს). ამ აღმართზევე იყო ძვ. თბილისის ღვინის მთავარი ბაზარი, რ-იც კახეთიდან ტიკებით (მოგვიანებით ხის კასრებით) ჩამოტანილი ღვინით მარაგდებოდა. ქუჩას **ღ. ა.** ეწოდა XIX ს. 70-იან წლებში და ეს სახელი დღემდე შემორჩა. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. განაშენიანება ძირითადად XIX ს. ბოლო ათწლეულში დაიწყო. უბნის რეკონსტრუქციის დროს (XX ს. 80-იანი წწ., ხელმძღვ. არქიტ. გ. ბათიაშვილი) ქუჩის ერთ-ერთ სარდაფში აღადგინეს ღვინის მცირე დუქანი (არქიტ. ვ. ორბელაძე). აღმართის დასაწყისში იყო დ. *სარაჯიშვილის* ღვინისა და სპირტის მიწისქვეშა სარდაფები. შემონახულია XIX ს. II ნახევრის საცხოვრ. სახლები.

მიხეილ **ლლონტის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); დასაწყისი ჭირნახულის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ა. *ყაზბეგის* სახელი ერქვა. 1977 მ. *ლლონტის* სახელი ეწოდა.

ავთანდილ **ღოღობერიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი, ღრმაღელე*); კონსტანტინე ილურიძის ქუჩიდან ღრმაღელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ინდუსტრიალიზაციის ქუჩა. 1992 ა. *ღოღობერიძის* სახელი ეწოდა.

ლევან **ღოღობერიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (ზემო *ფონიჭალა*); რკინიგზიდან ფონიჭალა-3-მდე. ქუჩა წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე ფ. *მახარაძის* სახელი ერქვა, 90-იან წლებში ლ. *ღოღობერიძის* სახელი ეწოდა.

ღრმაღელე, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი. თბილისის ძვ. უბანი მტკვრის მარცხ. მხარეს, *დიდუბესა* და *აგჭალას* შორის, ახლანდ. ღრმაღელის ქუჩის მიდამოები. სახელწ. მიიღო ჩახრამული რელიეფის გამო. ადრე აქ გადიოდა მშრალი ხევი, რ-იც დიდი წვიმების დროს ღელედ იქცეოდა. XX ს. 80-იან წლებში **ღ.** დამტკიცებული პროექტის მიხედვით განაშენიანდა.

ღრმაღელის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ღრმაღელის ქუჩიდან დავით გურამიშვილის გამზირამდე.

ღრმაღელის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დავით გურამიშვილის გამზირიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 1 გას., 1 შეს., 3 ჩიხი (I ჩიხი – ყოფ. II ჩიხი, II ჩიხი – ყოფ. I ჩიხი).

ოთარ **ღუდუშაურის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გურამ ასათიანის I შესახვევიდან რევაზ ინანიშვილის ქუჩამდე. ქუჩა წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თავდაპირველად ძმობის ქუჩა ერქვა. სახელი დაერქვა სხვადასხვა ეროვნების მუშათა ერთობის აღსანიშნავად. 1938 ეწოდა ვ. *გრიზოდუბოვას*, 1993 – ო. *ღუდუშაურის* სახელი. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ქუჩის მონაკვეთი, მიხეილ მესხის II შესახვევიდან გურამ ასათიანის I შესახვევამდე, დატანილია როგორც მორის შესახვევი.



ღვინის აღმართი.

შოთა **ყავლაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ერეკლე II-ის მოედნამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც უწყების ქუჩა („პრიკაზნაია“). 1923 ჩალაუბნის ქუჩა დაერქვა, 1996 წ. *ყავლაშვილის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე, შესახვევსა და ჩიხში შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს. (1934 წ. თბილისის გეგმაზე დატანილია როგორც პირველი მაისის შეს.), 1 ჩიხი.

ჩალაუბანი, სოფელი გურჯაანის რ-ნში.



შოთა ყავლაშვილის ქუჩა.

ალექსანდრე **ყაზბეგის გამზირი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); პეკინის გამზირიდან პეტრე ქავთარაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1941 დაერქვა ი. *პავლოვის*, 1990 – ა. *ყაზბეგის* სახელი. ყ. ზ. ვაჟა-ფშაველას გამზირთან ერთად წარმოადგენს საბურთალოს ცენტრალურ მაგისტრალს. მისი განაშენიანება დაიწყო 1956. გარდა საცხოვრ. სახლებისა, გამზირზე განლაგებულია სასწ., სამეცნ., ადმ., კულტ.-საგანმ. და სხვა საზ. დანიშნულების შენობები. ქუჩაზეა ფ. თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინ-ტი, ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი, ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნ.-პრაქტ. ცენტრი, ვ. ბოჭორიშვილის სახ. სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი. 2006 ყ. ზ-ზე მდებარე წითელ ბაღს მიენიჭა ვ. *გოძიაშვილის* სახელი.

ალექსანდრე **ყაზბეგის ქუჩა**, დიდგორის რ-ნი (*ოქროყანა*); ილია ჭავჭავაძის ქუჩიდან ბესიკის ქუჩამდე. იხ. ა. *ყაზბეგი*.



ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი.

ალექსანდრე **ყაზბეგის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); ჭირნახულის ქუჩიდან მიხეილ ღლონტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. იხ. ა. *ყაზბეგი*.

სიმონ **ყაუხჩიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); დასაწყისი თეოფანე დავითაიას ქუჩიდან. უსახელო მონაკვეთს ს. *ყაუხჩიშვილის* სახელი ეწოდა 1983.

ყვარლის მოედანი, ისანი-სამგორის რ-ნი (*მეტრომშენებელთა დასახლება*); კაკაბეთისა და ყვარლის ქუჩებს შორის. სახელი დაერქვა XX ს. 70-იან წლებში. ადრე უსახელო მოედანი იყო.

ყვარლის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*მეტრომშენებელთა დასახლება*); კაკაბეთის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. აქვს 3 შეს., 2 ჩიხი.

ყვარელი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

ყირიმის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ოთარ ქინქლაძის ქუჩიდან პიატიგორსკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 შეს.

ყირიმის II შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); დასაწყისი პიატიგორსკის ქუჩიდან.

ყირიმი, ნახევარკუნძული უკრაინაში. დას-ით და სამხრ-ით აკრავს შავი ზღვა, აღმ-ით – აზოვის ზღვა.

დავით **ყიფიანის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩიდან ზეზვა გაფრინდაულის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. თავდაპირველად ახალი მოლოკნეების ქუჩა ერქვა. სახელწოდება უკავშირდება მოლოკნებს, რ-ებიც აქ გადმოსახლდნენ თბილისის სხვადასხვა უბნებიდან და რუსეთიდან, შემდეგ დიდუბის ქუჩა დაერქვა. დატანილია თბილისის ქუჩების 1895 წ. გეგმაზე. 2007 დ. *ყიფიანის* სახელი ეწოდა.

მოლოკნები, ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა რუსეთში.

დიმიტრი **ყიფიანის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); არსენა ოძელაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე ქუჩის დასაწყისი – ხევის ქუჩის, ხოლო ბოლო მონაკვეთი მთის I ქუჩის სახელით არის დატანილი. 1900-იდან – ყიფიანის, 1923-იდან დ. *ყიფიანის* სახელი ჰქვია. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 ჩიხი.

ნიკოლოზ **ყიფშიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან ნუგზარ საყვაიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე იპოდრომის ქუჩა ერქვა. 1963 წ. *ყიფშიძის* სახელი ეწოდა.

ვასილ **ყუშიტაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აჭალა*); მთის ფერდობიდან შემოსავლელ გზამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ადრე ნ. *ვაჩნაძის* სახელი ერქვა. 60-იან წლებში ვ. *ყუშიტაშვილის* სახელი ეწოდა.



დიმიტრი ყიფიანის ქუჩა.





ყვავილის მთა. მხატვრულ-
არქიტექტურული კომპლექსი
„საქართველოს მაცნე“.

გიორგი **შავგულიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); დასაწყისი შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში და გ. *შავგულიძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზე დგას სკულპტურული კომპოზიცია „ალერსი“ (მოქანდაკე გ. შხვაცაბაია).

იოანე **შავთელის დაღმართი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); იოანე შავთელის ქუჩიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე. 1923-მდე ანჩისხატის დაღმართი ერქვა. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე.

იოანე **შავთელის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); ერეკლე II-ის მოედნიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩამდე. შუა საუკ. თბილისის ერთ-ერთი ძირითადი მაგისტრალი. აქ, ახლანდ. შავთელის, ერეკლე II-ისა და სიონის ქუჩების გასწვრივ, მიემართებოდა ძვ. თბილისის ძირითად ქუჩათა სისტემა. ამ ღერძის გაყოლებით იყო განლაგებული უმნიშვნელოვანესი სას., საზ. და საცხოვრ. ნაგებობები. XVII–XVIII სს-ში ქუჩის მონაკვეთს, ახლანდ. *ბარათაშვილის ქუჩიდან* ანჩისხატის ეკლესიამდე, წყლის კარის ქუჩა ერქვა (აქ მდებარე ქალაქის ერთ-ერთი კარის – წყლის კარის გამო). ქუჩის ინტენს. განაშენიანება როსტომ მეფის სასახლის აშენებით დაიწყო. ძირითადად ცხოვრობდნენ ფეოდ. არისტოკრატიისა და უმაღლესი სას. იერარქიის წარმომადგენლები. XIX ს. 30-იანი წლებიდან მთელ ქუჩას ანჩისხატის ქუჩა ეწოდა (დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე). სახელწ. უკავშირდება აქ აღმართულ ანჩისხატის ეკლესიას (VI ს.), 1923 *იოანე შავთელის* სახელი დაარქვეს. XIX ს-იდან შ. ქ-ზე დაიწყო 2–3-სართულიანი საცხოვრ. სახლების მშენებლობა. XX ს. 20–30-იან წლებში ზოგი ისტ. შენობა აიღეს. დღეისათვის შ. ქ. გამოცხადებულია არქიტ. ნაკრძალად. სარესტავრაციო სამუშაოების დროს ჩატარებული არქეოლ. გათხრების შედეგად (1956–57) დადასტურდა გვიანდ. შუა საუკ. საკანალიზაციო სისტემის არსებობა შ. ქ-ის იმ მონაკვეთზე, რ-იც ბარათაშვილის ქუჩასა და ანჩისხატის ეკლესიას შორის არის მოქცეული და არსებითად ფეხით მოსიარულეებს ეთმობა. დღემდე შემონახულია მრავალი საინტერესო შენობა, მათ შორის XIX ს. I ნახ. საცხოვრ. სახლები (№15, 17), რ-თაც შესასვლელი ქუჩიდან აქვთ, ხოლო ეზოები გახსნილია სანაპიროსკენ. 1981 წ. რეკონსტრუქციის შემდეგ (არქიტ. გ. ჯაფარიძე) ერთ-ერთი საცხოვრ. სახლი გადაკეთდა მარიონეტების თეატრად



იოანე შავთელის ქუჩა.

(ახლანდ. თეატრ-სტუდია რ. გაბრიაძის ხელმძღვანელობით). თეატრის წინ გაგანიერებული ქუჩის ნაწილი შემდეგ საგრძნობლად ვიწროვდება (10 *მ*-მდე და უფრო ნაკლები ტროტუარებიანად) და ამ სახით აღწევს ერეკლე II-ის მოედნამდე. განსაკუთრებით საინტერესოა ქუჩის მარცხენა (ბაზილიკის მოპირდაპირე) მხარე, რ-ზედაც გამოდის ჩახრუხაძის ქუჩის სახლების უკანა ფასადები, მ. შ. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლიც – ქუჩისკენ გახსნილი ეზოთი და აივნების რიგით. ქუჩის თავში, ერეკლე II-ის მოედანზე, დგას წმინდა გიორგის კარის ეკლესია (1710/12). ქუჩაზეა თ. თუმანიშვილის სახ. საბავშვო სათამაშოების მუზეუმი. აქვს 1 დაღმ., 1 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც შავთელის ჩიხი).

შავი ზღვის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*აგლაბარი*); ბოჭორმის ქუჩიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

შავი სოფელი (იგივე *ძაღლის სოფელი, ძაღლის უბანი*), ისანი-სამგორის რ-ნი (*აგლაბარი*); თბილისის ძვ. მიკროუბანი (ადრე სოფელი) მტკვრის მარცხ. მხარეს, ორთაჭალჰესის ჩრდ-ით, სამასი არაგველისა და ლუსინიანის ქუჩების მიდამოები. ტოპონიმი „შ. ს.“ გაჩნდა XIX ს-ში.

მისნაირ **შავიშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დელისი*); ჯ. ჯუღაშვილის ქუჩიდან შალვა ნუცუბიძის ქუჩამდე. უსახელო ქუჩას მ. *შავიშვილის* სახელი ეწოდა 1966.

შავნაბადას ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); გიორგი მერჩულის ქუჩიდან თელეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი. XX ს. 40-იან წლებში შავნაბადას შესახვევს, ვ. ხუცისშვილის (*ცურტაველის ქუჩის*) II შესახვევთან ერთად, შ. ქ. დაერქვა. აქვს 1 ჩიხი.

შავნაბადა, მთა თელეთის ქედზე.

შავსოფლის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*შავი სოფელი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან სამასი არაგველის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1884 წ. გეგმაზე.

ჯონ (მალხაზ) **შალიკაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*დიღომი*); ჯორჯ ბალანჩინის ქუჩიდან დავით აღმაშენებლის ხეივნამდე. ქუჩას ჯ. *შალიკაშვილის* სახელი ეწოდა 2005.

შოთა **შალიკაშვილის ხიდი** (ყოფ. *დიდუბის ხიდი*), გრიგოლ რობაქიძისა და აკაკი წერეთლის გამზირების დამაკავშირებელი ხიდი მდ. მტკვარზე (1953; არქიტ. ა. ქურდიანი. ინჟ. ვ. დიდიძე). ხიდს ინჟინერ-მშენებელ შ. *შალიკაშვილის* სახელი დაერქვა 1995.

აკაკი **შანიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); პეტრე მელიქიშვილის ქუჩიდან იაკობ გოგებაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1884 წ. გეგმაზე მას ვარდისუბნის II ქუჩა ერქვა. 1900 ქუჩას ყოფ. ქალაქისთავის ა. *მატინოვის* სახელი დაარქვეს, 1923-იდან – ი. *კალანდაძის*. 1990 ა. *შანიძის* სახელი ეწოდა.

სანდრო **შანშიაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*აეროპორტის დასახლება*); აეროპორტის ტრასასა და აეროპორტის დასახლების 105-ე კორპუსს შორის. ავტოსტრადიდან შესასვლელ ცენტრ. უსახელო ქუჩას ს. *შანშიაშვილის* სახელი ეწოდა 1981.

„შანხაის“ დასახლება, ისანი-სამგორის რ-ნი. დასახლება თბილისის სამხრ.-აღმ. ნაწილში.

ლუარსაბ **შარაშიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); იაკობ ნიკოლაძის ქუჩიდან ვარაზისხევის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც დუშეთის შესახვევი. 1922 ი. ნიკოლაძის შესახვევი დაერქვა. 1992 ლ. *შარაშიძის* სახელი ეწოდა.

ჟან **შარდენის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*კალა*); სიონის ქუჩიდან ვახტანგ გორგასლის მოედნამდე. ძვ. თბილისის ერთ-ერთი სავაჭრო ქუჩა, იწყებოდა სიონის ქუჩის ბოლოში ქუჩების (რიგების) გადაკვეთით შექმნილი პატარა მოედნიდან – ჩორსუდან და გრძელდებოდა თათრის მოედნამდე. თავდაპირველად ეს იყო მექვაბეების რიგი, ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე „მექვაბეების დუქნების“ სახელითაა დატანილი. XIX ს-ში ბაზაზხანა (ფართლეულით მოვაჭრეთა რიგი) გახდა. თბილისის 1828 წ. გეგმაზე აბრეშუმის ქუჩის სახელითაა მოხსენიებული. ქუჩაზე



ჟან შარდენის ქუჩა.

გამოტანილი საქონელი საჩრდილობლებით იყო გადახურული, რის გამოც მას ბნელი რიგი შეერქვა (ამ სახელითაა შეტანილი 1843 წ. შედგენილ ქუჩების სიაში), მას „დახურულ ბაზარსაც“ უწოდებდნენ. დახურული ბაზაზხანა – ბნელი რიგი – XX ს. დასაწყისშიც არსებობდა. ქუჩას 1958 ეწოდა ფრანგი მოგზაურის ჟ. *შარდენის* სახელი. ამ პატარა ქუჩის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია, ისევე როგორც მიმდებარე ბაბის რიგისა და სხვა ქუჩებისა, ჩატარდა 1981 (არქიტ. ჯგუფი; ხელმძღვ. გ. ბათიაშვილი) და ფეხით მოსიარულეებისთვისაა განკუთვნილი. ქუჩის ორივე მხარეს ძვ. ორსართულიანი სახლების (ყოფ. სავაჭრო სახლები) პირველ სართულზე განლაგებულია პატარა საფირმო მაღაზიები, კაფეები, სახელოსნოები.

გიორგი **შარვაშიძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); ვლადიმერ მიქელაძის ქუჩიდან კახეთის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს დასახლების III ქუჩა ერქვა, შემდეგ – ი. *კაკაბაძის*, 1992 გ. *შარვაშიძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ჟიული **შარტავას ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); გიორგი საკაძის მოედნიდან გაბრიელ ისაკაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე ანაგის ქუჩა ერქვა. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია საბურთალოს ახალი ქუჩების სიაში. ჟ. *შარტავას* სახელი ეწოდა 1994. ქუჩაზეა ყოფ. საქართვ. გაერთიანებული პროფკავშირის შენობა (1982; არქიტექტორები: შ. დავითაშვილი, თ. ნაცვლიშვილი, მ. ლორთქიფანიძე), სადაც 2008-იდან განთავსდა თბილისის მერია.

ანაგა, სოფელი სიღნაღის რ-ნში.

გიორგი **შატბერაშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); მოსე ჯანაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 1965-მდე ქობულეთის აღმართი ერქვა, შემდეგ გ. *შატბერაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 2 შეს., 1 ჩიხი.

გიორგი **შატბერაშვილის ხევის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); გიორგი შატბერაშვილის ქუჩიდან ნინა ჟვანიას ქუჩამდე. ყოფ. ქობულეთის აღმართის ხევი.

შატილის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); დავით გურამიშვილის გამზირიდან ჩარგლის ქუჩამდე. თემქის დასახლების ყოფ. „ა“ ქუჩას შ. ქ. ეწოდა 1967.

შატილი, სოფელი დუშეთის რ-ნში.

შაქრიანის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); ახალუბნის ქუჩიდან ოძისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში.

შაქრიანი, სოფელი ყვარლის რ-ნში.

კახაბერ **შევარდნიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); სულხან ცინცაძის ქუჩიდან ალექსანდრე ყაზბეგის გამზირამდე. უსახელო მონაკვეთს კ. *შევარდნიძის* სახელი ეწოდა 1998.

ტარას **შევჩენკოს ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ზაქარია ჭიჭინაძის ქუჩიდან ბესიკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 30-იან წლებში. ადრე ერქვა კლასიკური ქუჩა (სახელი ეწოდა თბილისის კლასიკური გიმნაზიის გამო), 1923 დაერქვა ს. *შანლობლიშვილის*, 40-იან წლებში – ტ. *შევჩენკოს* სახელი.

შემოსავლელი გზა თბილისისა, დაბა ზაჰესიდან თბილისი – წითელი ხიდის საავტ. გზის მე-18 *კმ*-მდე. აიგო ტრანზიტული ტრანსპ. გასატარებლად. გზის საერთო სიგრძეა 49 *კმ*. მშენებლობა მიმდინარეობდა 1982 – 87 წლებში.

დემნა **შენგელაიას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); მდებარეობს გლდანის მასივის IV და VI მიკრორაიონებს შორის. 1984 ვ. *სანკოევის* სახელი დაერქვა, 1993 – დ. *შენგელაიასი*.

ნიკოლოზ **შენგელაიას ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ბოგვის ქუჩიდან მუხრანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1958-მდე საპროექტოს I ქუჩა ერქვა, შემდეგ ნ. *შენგელაიას* სახელი ეწოდა.





შოთა რუსთაველის გამზირი. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე.



ჟიული შარტავას ქუჩა. თ ბ ი ლ ი ს ი ს მ ე რ ი ა .

გიორგი **შერვაშიძის ქუჩა**, იხ. გიორგი *შარვაშიძის ქუჩა.*

თენგიზ **შეშელიძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); გიორგი მინდელის ხიდიდან ილია ვეკუას ქუჩამდე. გლდან-მუხიანში მიმავალი გზა. ქუჩას თ. შეშელიძის სახელი ეწოდა 1998.

შილდის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ელია*); კვალითის მოედნიდან თამაზ მუჯირიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. თბილისის 1923 წ. გეგმაზე ჩალაუბნის ქუჩა ჰქვია, 1934 წ. გეგმაზე – შ. ქ. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

შილდა, სოფელი ყვარლის რ-ნში.

ჩალაუბანი, სოფელი გურჯაანის რ-ნში.

შინდისის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); ამაღლების ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1900-მდე წყალსადინარის II ქუჩა ერქვა, შემდეგ შ. ქ. ეწოდა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 შეს. (ყოფ. ქვემო შეს.), 3 ჩიხი.

შინდისი, სოფელი ქ. თბილისის შემადგენლობაში.

შიო არაგვისპირელის ქუჩა, იხ. შიო *არაგვისპირელის ქუჩა.*

შიო მღვიმელის ქუჩა, იხ. შიო *მღვიმელის ქუჩა.*

შირაქის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); შავი ზღვის ქუჩიდან კახეთის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. აქვს 1 შეს. (ყოფ. შირაქის II შეს.; თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც შირაქის შეს.).

შირაქი, შირაქის ვაკე, ვაკე ალაზან-ივრის შუამდინარეთში.

შოვის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); იწყებოდა ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩიდან. ამჟამად ქუჩა აღარ არსებობს.

შოვი, კურორტი ონის რ-ნში.

შოთა რუსთაველის გამზირი, იხ. შოთა *რუსთაველის გამზირი.*

შორაპნის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); შავი ზღვის ქუჩიდან კახეთის შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. 20-იან წლებამდე ფერმა-ავლაბრის III ქუჩა ერქვა.

შორაპანი, დაბა ზესტაფონის რ-ნში.

შორაპნის II ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); დასაწყისი კახეთის ხევიდან.

ბადრი **შოშიტაიშვილის ქუჩა,** ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); დასაწყისი დიმიტრი არაყიშვილის ქუჩიდან. დ. არაყიშვილის ქუჩის I ჩიხს ბ. *შოშიტაიშვილის* სახელი ეწოდა 2004.

შროშის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); იოველ ქუთათელაძის ქუჩიდან მცხეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც პირველი შროშის ქუჩა.

შროშა, სოფელი ზესტაფონის რ-ნში. თიხის ჭურჭლის დამზადების უძველესი კერა, რ-ის ტრადიციებიც დღემდე გრძელდება.

შუამთის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); ჯავახეთის ქუჩიდან გიორგი აბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში.

შუამთა, ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი თელავის რ-ნში.

შურდულის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კუმისის ქუჩიდან შოთა გამცემლიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. შურდულით ქვის სროლა იყო ძველ თბილისელთა გართობის ერთ-ერთი სახეობა, რ-იც ჩუღურეთში იმართებოდა. ქუჩის სახელწოდებაც ამ სანახაობას უკავშირდება.

შუშის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ავჭალა*); რკინიგზიდან ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. სახელწოდება დაკავშირებულია ავჭალის შუშის ქარხანასთან.

შხეფის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); ამაღლების ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1900-მდე წყალსადინარის III ქუჩა ერქვა. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც წყალსადინარის შესახვევი. ამ ქუჩაზე მთაწმინდის ფერდობებიდან მოედინებოდა წვიმის ნიაღვრები. 1924 დაერქვა შ. ქ.



ჟან შარდენის ქუჩისა და ბამბის რიგის კუთხე.

პეტრე **ჩაიკოვსკის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); პავლე ინგოროყვას ქუჩიდან დანიელ ჭონქაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა კონსულის ქუჩა. ქუჩაზე განთავსებული იყო სპარსეთის საკონსულო და ქუჩის სახელწოდებაც მას უკავშირდება. ასევეა დატანილი თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1923 გიორგი ელიავას (*ცხრა ძმიდან* ერთ-ერთი) სახელი დაერქვა. 1938 პ. *ჩაიკოვსკის* სახელი ეწოდა, რ-იც 1890 ამ ქუჩაზე ცხოვრობდა.

ჩაილურის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (საბურთალო); სიმონ ჩიქოვანის ქუჩიდან პანკისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ჩაილური, მდინარე საგარეჯოს რ-ნში; აგრეთვე ამავე რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო ჩაილურის გავრცელებული სახელწოდება.

ჩაისუბნის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ვეძათხევის შესახვევიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. I ნახევარში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ვეძათხევის ჩიხი. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ჩაისუბანი, სოფლები ჩოხატაურის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რ-ნებში.

კორნელი **ჩალაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); გრიგოლ რობაქიძისა და მარშალ გელოვანის გამზირებს შორის (I და II კვარტლების საზღვარი). უსახელო ქუჩას კ. *ჩალაძის* სახელი ეწოდა 1995.

თენგიზ **ჩანტლაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან სამგორის I შესახვევამდე. XX ს. 70-იან წლებში დაერქვა ე. *აბზლედიანის*, 2001 – თ. *ჩანტლაძის* სახელი. აქვს 1 ჩიხი (ყოფ. მშენებლის ქუჩა).

პორფილე **ჩანჩიბაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მაზუთის ქუჩა. 1958 პ. *ჩანჩიბაძის* სახელი ეწოდა.

ჩარგლის გასასვლელი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ჩარგლის ქუჩიდან გიორგი ირემაშვილის ქუჩამდე.

ჩარგლის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი, ღრმაღელე*); ბოგვის ქუჩიდან სტეფანე ლეკიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. მე-5 ქუჩას ჩ. ქ. დაერქვა 1948. ქუჩაზეა საქართვ. სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნ. სააგენტო. აქვს 1 გას.

ჩარგალი, სოფელი დუშეთის რ-ნში, ფშავში. აქ დაიბადა *კაჟა ფშაველა*.

ჩარხნის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*დირსიჭალა*); დასაწყისი სახალხო ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ჩაქვის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ეროსი მანჯგალაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ჩაქვი, დაბა დას. საქართველოში, აჭარაში.

კონსტანტინე **ჩაჩავას ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); ლიუბლიანის ქუჩიდან აკაკი ბელიაშვილის ქუჩამდე. უსახელო ქუჩას 1983 ეწოდა რ. *ლალიძის*, 1993 – კ. *ჩაჩავას* სახელი. ქუჩაზეა საქართველოს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო, თერაპიის ეროვნ. ცენტრი, კ. ერისთავის სახ. ექსპერ. და კლინიკური ქირურგიის ეროვნ. ცენტრი, ნ. ბოხუას სახ. ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრი.

ჩახრუხაძის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); ერეკლე II-ის მოედნიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩამდე. თბილისის ერთ-ერთი უძველესი ქუჩა. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ბაგრატიონის ქუჩა [XVII ს. II ნახევარში აქ მდგარა მუხრანბატონის (ბაგრატიონ-მუხრანსკის) სასახლე]. ქუჩას *ჩახრუხაძის* სახელი ეწოდა 1923. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. №17-ში განთავსებულია ნ. *ბარათაშვილის* სახლ-მუზეუმი. აქვს 2 შეს. (I შეს. – ყოფ. ჩ-ის II შეს., თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც შავთელის შეს.; II შეს. – ყოფ. ჩ-ის III შეს., თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მესხიევის შეს.). ჰქონდა 1 ჩიხი.



ჩახრუხაძის ქუჩა.

ნიკოლოზ **ჩერნიშევსკის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ძველი კუკია*); მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩიდან არნოლდ ჩიქობავას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1851 წ. გეგმაზე დატანილია როგორც გეიდენის ქუჩა (იხ. ლ. *გეიდენი*). 1923 დაერქვა შოვის ქუჩა, დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 40-იან წლებში ნ. *ჩერნიშევსკის* სახელი ეწოდა. ადრე ქუჩა გრძელდებოდა დ. უზნაძის ქუჩიდან ა. ჩიქობავას ქუჩამდე. 2000 ქუჩის ერთ მონაკვეთს ზ. *ქურდიანის ქუჩა* დაერქვა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები.

შოვი, კურორტი ონის რ-ნში.

ელისაბედ **ჩერქეზიშვილის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); იორი გაგარინის ქუჩიდან ზემო ვეძისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 50-იანი წლებიდან ე. *ჩერქეზიშვილის* სახელი ჰქვია.

ოთარ **ჩეჩელაშვილის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*სვანეთისუბანი*); დასაწყისი საქარის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1965-მდე გოგიეთის ქუჩა ერქვა. შემდეგ ო. *ჩეჩელაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 4 შეს.

გოგიეთი, სოფელი ოზურგეთის რ-ნში.

ანტონ **ჩეხოვის გასასვლელი**, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); ანტონ ჩეხოვისა და მეფე სოლომონ ბრძენის ქუჩებს შორის.

ანტონ **ჩეხოვის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მეტეხი*); მეფისალმუნე დავით მეფის ქუჩიდან ისნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ტუჩკოვის ქუჩა (იხ. ს. *ტუჩკოვი*). 1923 დაერქვა ა. *ჩეხოვის* სახელი. შემონახუ-

ლია XIX ს. II ნახ. საცხოვრ. სახლები. №1-ში განთავსებული იყო ტრადიციული ქართ. საცხოვრ. სახლი „ფორაქიშვილების დარბაზი“ (აღდგენილია 2000). აქვეა სასტუმრო „კოპალა“. აქვს 1 გას.

თეიმურაზ **ჩირგაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); ვასილ ბარნოვის ქუჩიდან იაკობ გოგებაშვილის ქუჩამდე. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც დერბენდის შეს., 1934 წ. გეგმაზე დატანილია დარუბანდის შეს. სახელწოდებით, შემდეგ ვ. *ბარნოვის* I შესახვევი ერქვა. 1999 თ. *ჩირგაძის* სახელი ეწოდა.

ᲓᲔᲠᲑᲔᲜᲓᲘ, ძვ. დარუბანდი, ქალაქი დაღესტანში.

გიორგი **ჩიტაიას მოედანი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); არნოლდ ჩიქობავას, ტერენტი გრანელის, გიორგი ჩიტაიასა და გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩებს შორის. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა ავჭალის მოედანი. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში, ასეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. 1938 ეწოდა საბჭოს მოედანი. 1992 გ. *ჩიტაიას* სახელი დაერქვა.

გიორგი **ჩიტაიას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას მოედნიდან კონსტიტუციისა და ცოტნე დადიანის ქუჩებამდე. ყოფ. საბჭოს ქუჩის მონაკვეთი. წარმოიქმნა XIX ს-ში. ქალაქის 1851 წ. გეგმაზე დატანილია ავჭალის ქუჩის სახელით (შუა საუკუნეებში აქ გადიოდა ავჭალის გზა). 1910 ეწოდა ვ. ჩერქეზოვის (*ჩერქეზიშვილის*) სახელი, 1922 – საბჭოს ქუჩა, 1930 – კ. *მარქსის*, 1938 – კვლავ საბჭოს ქუჩა. 1992 გ. *ჩიტაიას* სახელი დაერქვა. შემონახულია XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 ჩიხი (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კ. მარქსის II შეს.).

შიო **ჩიტაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); პავლე ინგოროყვას ქუჩიდან დანიელ ჭონქაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში. დააპროექტა პოლკ. ბანოვმა 1809. ადრე მთელ ქუჩას, შოთა რუსთაველის გამზირიდან დანიელ ჭონქაძის ქუჩამდე, ა. *ერმოლოვის* ქუჩა ერქვა. შეტანილია 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში (თბილისის 1884 წ. გეგმაზე ქუჩის ქვემო მონაკვეთი დატანილია ნ. *ევდოკიმოვის* სახელით). 1906 ქუჩაზე მდებარე გიმნაზიის შენობიდან ყუმბარა ესროლეს და მძიმედ დაჭრეს ქალაქის პოლიციმაისტერი მარტინოვი. ჯარმა ალყა შემოარტყა გიმნაზიას, დაარბია მთელი შენობა, რ-ის დროსაც შავრაზმელებმა თავისსავე საცხოვრ. ბინაში მხეცური წამებით მოკლეს შ. *ჩიტაძე*. 1922 ქუჩას მისი სახელი დაერქვა. 1989 წ. ცხრა აპრილის ტრაგიკული ამბების შემდეგ ქუჩის I მონაკვეთს შოთა რუსთაველის გამზირიდან პავლე ინგოროყვას ქუჩამდე *ცხრა აპრილის ქუჩა* ეწოდა. II მონაკვეთს დარჩა შ. ჩ-ის სახელი. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. ქუჩაზეა წმინდა ნინოს და წმინდა მირიანისა და ნანას ეკლესიები.

შიო **ჩიტაძის შესახვევი**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); დანიელ ჭონქაძის ქუჩიდან ჩიტაძის ჩიხამდე (ადრე იწყებოდა ჩიტაძის ქუჩიდან).

შიო **ჩიტაძის ჩიხი**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); დასაწყისი ჩიტაძის შესახვევიდან (ყოფ. ნიაღვრის II შეს.).

არნოლდ **ჩიქობავას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია, ჩულურეთი*); ივანე ჯავახიშვილის ქუჩიდან გიორგი ჩიტაიას მოედნამდე. ყოფ. საბჭოს ქუჩის მონაკვეთი. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1992 არნ. *ჩიქობავას* სახელი დაერქვა. იხ., აგრეთვე, გიორგი *ჩიტაიას ქუჩა*. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს.

ვახტანგ **ჩიქოვანის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვეძისი*); ბუდაპეშტის ქუჩიდან შალვა ნუცუბიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ადრე უსახელო ქუჩა იყო. 1959 ვ. *ჩიქოვანის* სახელი ეწოდა.

სიმონ **ჩიქოვანის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); კონსტანტინე გამსახურდიას გამზირიდან ვერის ხეობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა



ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამზირი.

წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია საბურთალოს ახალი ქუჩების სიაში ხილიანის ქუჩის სახელწოდებით, 1967 ს. *ჩიქოვანის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა დ. იაშვილის სახ. ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფო.

ვალერი **ჩკალოვის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); გიორგი რთველაძის ქუჩიდან ბოლნისის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბარბარეს II ქუჩა (სახელწ. უკავშირდება წმინდა ბარბარეს ეკლესიას), 1901 წ. გეგმაზე – როგორც ნადეჟდას ქუჩა. 1923 – დავით ჭიაბრიშვილის, 1938 ვ. *ჩკალოვის* სახელი დაერქვა.

ქაიხოსრო (ქაქუცა) **ჩოლოყაშვილის გამზირი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის მოედნიდან წყნეთის გზატკეცილამდე. ადრინდელი ილია *ჭავჭავაძის გამზირის* მონაკვეთს ქ. *ჩოლოყაშვილის* სახელი ეწოდა 2005. გამზირზეა ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწ. უნ-ტი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. საეკლესიო უნ-ტი, ლ. ყანჩაველის სახ. მცენარეთა დაცვის ინ-ტი, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო, საქართვ. ფეხბურთის ფედერაცია, მ. მესხის სახ. „ლოკომოტივის“ სტადიონი (განახლებული სტადიონი გაიხსნა 2001).

გამზირიდან იწყება კუს ტბასთან დამაკავშირებელი საავტ. გზა. გამზირის მარცხ. მხარესაა ვაკის პარკი, აქვეა მთაწმინდის კალთაზე გაშენებული გ. ჩიტაიას სახ. ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწ. მუზეუმი, მ უ ზ ე უ მ ი ღ ი ა ც ი ს ქ ვ ე შ (დაარსდა 1966; გენ. გეგმის ავტორია ლ. სუმბაძე). გამზირის მარჯვ. მხარე ნ. *ენდელაძის მოედნიდან* მიუყვება ვაკის სასაფლაოს. ჩ. ბ. გ. წერეთლის გასასვლელით უკავშირდება მ. *თამარაშვილის ქუჩას*.

ქაიხოსრო (ქაქუცა) **ჩოლოყაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); სოლომონ დოდაშვილის მოედნიდან ბოგდან ხმელნიცკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. შუა ხანებში. თავდაპირველად ერქვა სალდათის ქუჩა, რადგან აქ ძირითადად სახლობდნენ გადამდგარი და ზევადიანი ჯარისკაცები. ქუჩა დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. XX ს. დასაწყისში ქუჩაზე დასახლდა თბილისის კომენდანტი გენ.-ლეიტენანტი ივანე ნიკოლოზის ძე რეიტერი და ქუჩას რეიტერის ქუჩა დაერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1922 დაერქვა გერმანელების, 1939 – ხუთი დეკემბრის ქუჩა, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის (1936) მიღების დღესთან დაკავშირებით. 1991 ქ. *ჩოლოყაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

თეოფილე **ჩოჩუას ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლულის I დასახლება*); ირაკლი ტატიშვილის ქუჩიდან დიმიტრი უზნაძის ქუჩამდე. ნავთლულის I დასახლების IX ქუჩას თ. *ჩოჩუას* სახელი ეწოდა 1983.

ჩოხატაურის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ვახტანგ მახალდიანის ქუჩიდან ამავე სახელწოდების შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ჩოხატაური, დაბა დას. საქართველოში.

კობა **ჩოხელის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ქედის კომუნის ქუჩიდან სერგი წულაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მაკრინეს შეს., 1934 წ. გეგმაზე დატანილია კ. ჩოხელის ქუჩის სახელწოდებით. 40-იან წლებში – ა. *ბელიაკოვის*, შემდეგ ისევ კ. *ჩოხელის* სახელი ეწოდა.

გიორგი **ჩუბინაშვილის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ახალი კუკია*); გიორგი ჩიტაიას მოედნიდან თამარ მეფის გამზირამდე. ყოფ. სერგო ორჯონიკიძის ქუჩის მონაკვეთი. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. 1922-მდე ანდრიას ქუჩა ერქვა (ასეა დატანილი თბილისის 1876 წ. გეგმაზე), შემდეგ – ს. *ორჯონიკიძის*, 1930 კ. *მარქსის* სახელი დაერქვა, შემდეგ – ისევ ორჯონიკიძის. 1990 ორჯონიკიძის ქუჩის ერთ მონაკვეთს გ. *ჩუბინაშვილის*, მეორეს – *თევდორე მღვდლის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. №22-ში განთავსებულია ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. იხ. აგრეთვე *თევდორე მღვდლის ქუჩა*.

თომა **ჩუბინიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); დმანისის ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც რეადის ქუჩა (იხ. ნ. *რეადი*). 1923 თ. *ჩუბინიძის* სახელი დაერქვა. აქვს 1 შეს.

თომა **ჩუბინიძის შესახვევი**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ნასაკირალის ქუჩიდან მარტყოფის შესახვევამდე. 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ა. ენუქიძის ქუჩა (იხ. ა. *ენუქიძე*); იწყებოდა ივ. ფიოლეტოვის (ახლანდ. ნიკიფორე ირბახის) ქუჩიდან.

ჩულურეთი, თბილისის ერთ-ერთი უბანი მტკვრის მარცხ. მხარეს, ქალაქის ჩრდ. ნაწილში, *კუკიასა* და *ავლაბარს* შორის. ადრე ქალაქისპირა სოფელი იყო. სახელწ. პირველად გვხვდება 1716 წ. შედგენილ გაყრის წიგნში. 1795 ერეკლე II-მ ჩ. თავად გიორგი ამატუნს უწყალობა. 1824 სოფ. ჩ. შეუერთდა თბილისს.

ჩულურეთის ხიდი, ხიდი მდ. მტკვარზე, ისტ. უბნების *კუკიასა* და *გარეთუბნის* საზღვარზე, *მშრალი ხიდის* გაგრძელება. ხიდის პროექტი XIX ს. 40-იანი წლებიდან რამდენჯერმე შეიცვალა. 1853 გაიხსნა ხუთმალიანი თაღოვანი ხიდი, რ-ის მშენებლობას სათავეში ედგა პირველი ქართველი ინჟინერ-ჰიდრავლიკოსი ვახტანგ მუხრანბატონი. თანამედროვე ხიდი აშენდა 1962 (არქიტექტორები: შ. *ყავლაშვილი*, გ. მელქაძე. ინჟ. გ. ქარცივაძე). სხვადასხვა დროს ერქვა კუკიის, მიხეილის, ვორონცოვის, ნიკოლოზის, კარლ მარქსის, ზაარბრიუკენის სახელი. ჩ. ხ. დაერქვა 1994.

ნინო **ჩხეიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩულურეთი*); ალექსანდრე ციმაკურიძის ქუჩიდან ელენე ახვლედიანის ხევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც პანასევიჩის ქუჩა (ამ ქუჩაზე იდგა თბილისის გუბერნიის ინჟინერ-არქიტექტორის იოსებ რომუალდის ძე პანასევიჩის სახლი). XIX ს. ბოლოს ჩულურეთის ქუჩა დაერქვა, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 – ვ. *ზასულიჩის*, 1964 ნ. *ჩხეიძის* სახელი ეწოდა. შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. ქუჩაზეა წმინდა ნინოს ეკლესია.

უშანგი **ჩხეიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც სანაპირო ქუჩა, 1902 წ. გეგმაზე – გიმნაზიის ქუჩა. 1923 მ. *გორკის* სახელი ეწოდა. 1934 წ. გეგმაზე დატანილია სანაპირო ქუჩისა და სამოსწავლო შესახვევის სახელწოდებით. 1953 უ. *ჩხეიძის* სახელი ეწოდა.

ნოე **ჩხიკვაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მიხეილ მესხის ქუჩიდან ლიკანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. ადრე კავკასიის ოლქის საარტილერიო სამმართველოს უფროსის, გენ.-ლეიტენანტ ვლადიმერ დიმიტრის ძე აფანასიევის ქუჩა ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 ნ. *ჩხიკვაძის* სახელი დაერქვა. აქვს 1 შეს.


30

გიორგი **ცაბაძის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთისა და ძველი თბილისის რ-ნების საზღვარი (*დიდუბე*); კოსმონავტების სანაპიროდან თევდორე მღვდლის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თავდაპირველად მიხეილის შესახვევი ერქვა. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მუშთაიდის შესახვევი, 1897 წ. გეგმაზე – როგორც ქუჩა. სახელი უკავშირდება იქვე მდებარე „მუშთაიდის“ ბაღს (იხ. *მუშთაიდი*). 1904-იდან ქუჩის მნიშვნელობა გაიზარდა, რაც განაპირობა ტრამვაის პარკისა და სახელოსნოების დაარსებამ. ქუჩას 1934 ე. *ტელმანის* სახელი ეწოდა (იწყებოდა დავით აღმაშენებლის გამზირიდან, ხოლო მონაკვეთი დავით აღმაშენებლის გამზირიდან კოსმონავტების სანაპირომდე თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ე. ტელმანის ჩიხი). ქუჩას 1990 გ. *ცაბაძის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა აბრეშუმის მუზეუმის შენობა (1889, არქიტ. ა. შიმკევიჩი), ეროვნული სტადიონი [XX ს. 30-იანი წლები; არქიტ. ა. ქურდიანი, არქიტ. ნ. გრინევსკის მონაწილეობით. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1976 (არქიტექტორები: ა. და გ. ქურდიანები. კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი) და 2006 (არქიტექტორები: გ. და ა. ქურდიანები)], მეტრამვაეთა საცხოვრ. სახლები (1926–28; არქიტ. დ. ჩისლიევი). 70-იან წლებში მდ. მტკვრის გაყოლებით აშენდა 16-სართულიანი საცხოვრ. სახლები (არქიტექტორები: მ. გუგუნავა, შ. *ყავლაშვილი*). ქუჩაზეა შპს „კიდობანი“ და შპს „პასაჟი-2000“.

არჩილ **ცაგარლის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); დავით გამრეკელის ქუჩიდან ტანძიის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1941 კრონშტადტის ქუჩა დაერქვა, 1991 ა. *ცაგარლის* სახელი ეწოდა.

კრონშტადტი, ქალაქი რუსეთის ფედერაციაში. დააარსა პეტრე პირველმა 1703, როგორც პეტერბურგის დამცველი ციხესიმაგრე.

ცაგერის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ჟიულო შარტავას ქუჩიდან თინა იოსებიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ცაგერი, ქალაქი დას. საქართველოში.

ცაიშის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); სალხინოს ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ცაიში, სოფელი ზუგდიდის რ-ნში.

ცემის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); იროდიონ ევდოშვილის ქუჩიდან თემურ ფიფიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ცემი, სოფელი ბორჯომის რ-ნში, კურორტი.

ალექსანდრე **ციმაკურიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); მაქსიმ გორკის ქუჩიდან მიხეილ ბუხაიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც არხიპოვის შესახვევი. 20-იანი წლებიდან ქუჩაა. 1923 დავით ციმაკურიძის (ძვ. რევოლუციონერი) სახელი დაერქვა, შემდეგ ა. *ციმაკურიძის* სახელი ეწოდა.

შალვა **ცინცაძის გასასვლელი**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); შალვა ცინცაძის ქუჩიდან იმერეთის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

კალისტრატე **ცინცაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ზემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ნინო და ილია ნაკაშიძეების ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. დასაწყისში. ადრე ერქვა ოქოევის (მსხვილი კაპიტალისტი, რომელსაც აქ ჰქონდა მიწის ნაკვეთი, ქარვასლა და საკუთარი სახლები) ქუჩა. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მცირე ტალახიანი ქუჩა. 1900 მცხოვრებთა თხოვნით ისევ ოქოევის ქუჩა დაერქვა. ასეა დატანილი თბილისის 1900 წ. გეგმაზე. 1925 გ. *მამაცაშვილის* სახელი ეწოდა. თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია როგორც კოტოვსკის ქუჩა (იხ. გ. *კოტოვსკი*). 1990 კათალიკოს *კალისტრატეს* სახელი დაერქვა. შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები.

სულხან **ცინცაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); პეკინის გამზირიდან გივი კარტოზიას ქუჩამდე. *საბურთალოს ქუჩის* მონაკვეთს ს. *ცინცაძის* სახელი ეწოდა 1992. ქუჩაზეა წმინდა ანტონ მარტყოფელის ეკლესია.

შალვა **ცინცაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი საკაძის ქუჩიდან იმერეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ძრავას ქუჩა. 1958 – ვ. *ჩაპევის*, 1993 შ. *ცინცაძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 გას., 2 შეს.



გიორგი ცაბაძის ქუჩა. ეროვნული სტადიონი.

ციხარტყელას ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); დავით ჭიჭინაძის ქუჩიდან ზესტაფონის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქვს 1 შეს.

ლევან **ციხარიშვილის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დილომი*); ევგენი მიქელაძისა და ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელის ქუჩებს შორის. ლ. *ციხარიშვილის* სახელი ეწოდა 2001.

მიხეილ **ციხარიშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საქჰიდროენერგოპროექტის დასახლება*); დასაწყისი ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს-ში. ადრე მ. *მოსტკოვის* ქუჩა ერქვა, 1999 მ. *ციხარიშვილის* სახელი ეწოდა.

ციხრის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ლადო მესხიშვილის ქუჩიდან ნიკიფორე ირბახის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ლუარსაბოვის ქუჩა. 1923 არტო მიქელოვის ქუჩა დაერქვა. Ო. ქ. უწოდეს 70-იან წლებში. ქუჩაზე და შესახვევში შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლები. აქვს 1 შეს.

„ციხარი“, ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

ციხისძირის I გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ციხისძირის ქუჩიდან ციხისძირის III გასასვლელამდე.

ციხისძირის II გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ციხისძირის ქუჩიდან ციხისძირის I გასასვლელამდე.

ციხისძირის III გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ციხისძირის ქუჩიდან სამგორის ქუჩამდე.

ციხისძირის IV გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ციხისძირის ქუჩიდან ციხისძირის II შესახვევამდე.

ციხისძირის V გასასვლელი, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ციხისძირის ქუჩიდან სერგი წულაძის I შესახვევამდე.

ციხისძირის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ბოგდან ხმელნიცკის ქუჩიდან სამგორისა და მეველის ქუჩებამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სუსანას ქუჩა, ასეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზეც. შემდეგ კომკავშირის II ქუჩა ეწოდა. Ო. ქ. დაერქვა 60-იან წლებში. აქვს 5 გას., 2 შეს., 4 ჩიხი.

ციხისძირი, კურორტი და სოფელი ქობულეთის რ-ნში. ამ სახელწოდების კიდევ რამდენიმე სოფელია ცნობილი დუშეთის, მცხეთის, ხარაგაულის რ-ნებში.

ცოდნისპარის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); უსახელო ქუჩიდან შატილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. ყოფ. თემქის დასახლების 66-ე ქუჩა. Ო. ქ. დაერქვა 70-იან წლებში.

ცოდნისპარი, სოფელი ლაგოდეხის რ-ნში.

ცოტნე დადიანის ქუჩა, იხ. *ცოტნე დადიანის ქუჩა*.

იაკობ **ცურტაველის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); ხარფუხის და იოსებ გრიშაშვილის ქუჩებიდან იოსებ გრიშაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1867 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ზემო საბაჟოს ქუჩა, თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია *სეიდაბადის* ქუჩის სახელწოდებით. 1923 – ვ. *ბუციშვილის*, 1990 *იაკობ ცურტაველის (ბუცესი)* სახელი დაერქვა. აქვს 1 შეს. (თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ბუციშვილის დიდი ჩიხი).

კონსტანტინე **ცუცქირიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ალვანის ქუჩიდან ლადო მესხიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე ქუჩის ნაწილი, ახლანდ. ალვანის ქუჩიდან ნ. ლომოურის ქუჩამდე, დატანილია როგორც ტბის ქუჩა, შემდეგ დაერქვა პოლკის ქუჩა (ქუჩაზე იდგა გრენადერთა სამეგრელოს პოლკის პოკროვსკის ყაზარმები). ასევეა შეტანილი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში, ხოლო მონაკვეთი ნ. ლომოურის ქუჩიდან ლ. მესხიშვილის ქუჩამდე შეტანილია ბალავარის ქუჩის სახელწოდებით. თბილისის 1934 წ. გეგმაზე კი დატანილია როგორც ნამგლისა და ბალავარის ქუჩები. ქუჩას 60-იან წლებში – ტ. *ტაბიძის*, 70-იან წლებში კ. *ცუცქირიძის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

ბალავარი, დაბა აზერბაიჯანში.

ცუცხვათის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ცუცხვათი, სოფელი ტყიბულის რ-ნში.

ლევან **ცქიტიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); ვლადიმერ (ლადო) ალექსი-მესხიშვილის II შესახვევიდან ეფრემ ზაქარაიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც რომანოვის ქუჩა (სახელი დაერქვა რუსეთის სამეფო გვარის პატივისცემისა და ერთგულების დასამტკიცებლად). 1922 – პროლეტარის, 30-იან წლებში – ი. *ინწკირველის* (დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე), 1995 ლ. *ცქრიტიშვილის* სახელი ეწოდა.

ცხემის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); ცხემის შესახვევიდან ვანო სარაჯიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც არკადის შესახვევი. თბილისის 1924 წ. გეგმაზე აღნიშნულია წყემის, 1934 წ. გეგმაზე – ცხემის შესახვევის სახელით. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი. შესახვევში შემონახულია XIX ს. საცხოვრ. სახლი №2.

ნიკოლოზ (ნიკო) **ცხვედაძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ტიციან ტაბიძის ქუჩიდან ვაკის პარკამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. იხ. ნ. *ცხვედაძე*. აქვს 2 შეს., 1 ჩიხი.

ცხრა აპრილის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); შოთა რუსთაველის გამზირიდან პავლე ინგოროყვას ქუჩამდე. ადრინდელი შიო *ჩიტაძის ქუჩის* I მონაკვეთი. სახელი დაერქვა 1991, რუსთაველის გამზირზე მომხდარ 1989 წ. 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ქუჩაზე გვერდითი ფასადით გამოდის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე და მთავრობის სახლის კორპუსები.

ცხრა ძმის მოედანი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ცხრა ძმისა და აბაშის ქუჩებს შორის. მოედანს *ცხრა ძმის* სახელი დაერქვა XX ს. 30-იან წლებში.

ცხრა ძმის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); პეტრე მამრაძის ქუჩიდან სალხინოს ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ვლადიმერის ქუჩა. ქუჩას *ცხრა ძმის* სახელი დაერქვა 1923. თავდაპირველად გრძელდებოდა ცხრა ძმის მოედნამდე, ხოლო ამ მოედნიდან დაწყებული ქუჩის ბოლო მონაკვეთი თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც მუხიანის ქუჩა. აქვს 2 შეს.

მუხიანი, სოფელი წყალტუბოს ზონაში.

ცხრა ძმის I შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); პეტრე მამრაძის ხევიდან ყირიმის ქუჩამდე.

ცხრა ძმის II შესახვევი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); პეტრე მამრაძის ხევიდან ყირიმის ქუჩამდე.



ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე. ყვავილების გამოფენა.





ძეგამის ქუჩა, იხ. *ზეგანის ქუჩა.*


ძევერის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); შირაქის ქუჩიდან ავლიპი ზურაბაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ძევრა, სოფელი გორის რ-ნში.

ძველი კუკია, *კუკიის* მიკროუბანი. მისი საზღვრები იყო: სამხრ-ით – სოფ. ჩულურეთი (საზღვარი გადიოდა დიდხევზე), ჩრდ-ით – ხელოვნური თხრილი (დაახლ. ემთხვევა ახლანდ. მ. წინამძღვრიშვილის ქუჩის ხაზს), დას-ით – მდ. მტკვარი.

ძმობის II ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ხევიდან მუშათა ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. სახელი ეწოდა სხვადასხვა ეროვნების მუშათა ერთობის აღსანიშნავად. ძმობის I ქუჩა რ. *ინანიშვილის* სახელობისაა. აქვს 1 ჩიხი.

გიორგი **ძოწენიძის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ნუცუბიძის პლატო*); დასაწყისი შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში. ნუცუბიძის პლატოზე მდებარე უსახელო ქუჩას გ. *ძოწენიძის* სახელი ეწოდა 1981.



ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე.

ᲬᲐᲕᲙᲘᲡᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი*); ამაღლების ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1900-მდე წყალსადინარის I ქუჩა ერქვა, შემდეგ – წავკისის შესახვევი. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც **ᲬᲐ**. ქ. აქვს 2 შეს. (I შეს. – ყოფ. შუა შეს., შემდეგ – II შეს.; II შეს. – ყოფ. წავკისის გას., შემდეგ – I შეს.).

ᲬᲐᲕᲙᲘᲡᲘ, სოფელი ქ. თბილისის შემადგენლობაში.

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*წავთლული*); კახეთის გზატკეცილიდან რატილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 70-იან წლებამდე სამხერხაოს ქუჩა ერქვა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐ, ქალაქი დას. საქართველოში.

ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); ბერძნის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. თბილისის 1934 წ. გეგმაზე გასასვლელის ნაწილი, ბერძნის ქუჩიდან წალკის ქუჩამდე, დატანილია როგორც წალკის შესახვევი.

ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); იოანე საბანისძის ქუჩიდან წალკის გასასვლელამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც შესახვევი. აქვს 1 გას., 1 ჩიხი.

ᲬᲐᲚᲙᲐ, ქალაქი სამხრ. საქართველოში.

ᲬᲐᲚᲙᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩარფუხი*); დასაწყისი წალკის გასასვლელიდან.

ᲬᲐᲚᲙᲝᲢᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); ადრე თემქის დასახლების „გ“ ქუჩა იყო. **ᲬᲐ**. ქ. დაერქვა 1967. ქუჩა მოიხსენიება ცნობარებში, მაგრამ ამ სახელწოდებით ამჟამად არ არსებობს.

ᲬᲐᲚᲕᲔᲠᲘᲡ ᲮᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გურამ ასათიანის ქუჩიდან წრომის II შესახვევამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 40-იან წლებამდე კისისხევის III ქუჩა ერქვა.

ᲬᲐᲚᲕᲔᲠᲘ, დაბა ბორჯომის რ-ნში, კურორტი.

აკაკი **ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); გიორგი ცაბაძის ქუჩიდან შოთა შალიკაშვილის ხიდამდე. საფუძველი ჩაეყარა შუა საუკუნეებში თბილისის ჩრდ. განაპირა დასახლების, დიდუბის, გაჩენის შემდეგ. XIX ს. 20-იან წლებში აქ გადიოდა გზა ვიურტემბერგელ გერმანელთა დასახლება ალექსანდერდორფამდე და ერქვა „გზა გერმანელთა კოლონიაში“. XIX ს. შუა ხანებში აქ დასახლდნენ მოლოკნები, რ-ებიც რუსეთის იმპერიის ცენტრალური რაიონებიდან ჩამოვიდნენ. 1872, თბილისი – ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, ამ ქუჩაზე ძირითადად რკინიგზის მუშები დასახლდნენ, შემდეგ – ტრამვაელები. თბილისის 1867 და 1900 წლების გეგმების მიხედვით **ᲬᲐ**. ᲒᲐ-ის დასაწყისი ეჭირა ელისაბედის, ახლანდ. მ. *წინამძღვრიშვილის ქუჩას*. ქუჩა თანდათან გაიზარდა ჩრდ-ით. 30-იან წლებში ბრძოლის ქუჩა დაერქვა (რევ. წარსულის გამო). დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე. დიდუბის ინტენსიური განაშენიანების შედეგად წარმოიქმნა პროსპექტი, რ-საც 1958 მიენიჭა ა. *წერეთლის* სახელი. ეს არის დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის ძირითადი მაგისტრალი (სიგრძე დაახლ. 3,8 *კმ*), მიემართება მტკვრის პარალელურად და უერთდება შ. შალიკაშვილის (ყოფ. დიდუბის) ხიდს, რ-იც ამ რ-ნს აკავშირებს დიღომთან. 60-იან წლებში დაიწყო გამზირის გაფართოება-რეკონსტრუქცია. ძირითადად განაშენიანებულია რვასართულიანი საცხოვრ. სახლებით. გამზირზეა სააქციო საზ-ბა „თბილქალაქმშენი“, შპს „სამთო ქიმია“, შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, ეროვნული სტადიონი [XX ს. 30-იანი წლები; არქიტ. ა. ქურდიანი,



აკაკი წერეთლის გამზირი.

არქიტ. ნ. გრინევსკის მონაწილეობით. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1976 (არქიტექტორები: ა. და გ. ქურდიანები. კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი) და 2006 (არქიტექტორები: გ. და ა. ქურდიანები)], დიდუბის ღვთისმშობლის შობის ეკლესია, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი, საგამოფენო ცენტრის – „ექსპოჯორჯიის“ პავილიონები, მძლეოსნობის სასახლე (1979; არქიტექტორები: მ. ლიპარტელიანი, მ. ჩხენკელი, რ. ჯანაშია). გამზირზე დგას ა. წერეთლის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი. არქიტ. ო. ლითანიშვილი), სკულპტურული კომპოზიცია „გონების აღმფრენა“ (მოქანდაკე ლ. მამალაძე). გამოდის მეტროს სადგურები „წერეთლის გამზირი“, „დიდუბე“.

გიორგი **ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამზირიდან მიხეილ თამარაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ყოფ. წყნეთის შესახვევი. 1977 გ. ვ. *წერეთლის* სახელი დაერქვა. ქუჩაზეა გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (1976; შენობის არქიტ. ლ. კილაძე) და ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნ. რედაქციის ყოფ. შენობა (1968; არქიტექტორები: გ. სიხარულიძე, თ. ქიქოძე), რ-ის ვესტიბიულს ამშვენებს საქართვ. სახ. მხატვრის – ნ. იგნატოვის მიერ შესრულებული ფრესკა „ცოდნის წყარო“ (1968). ქართ. ენციკლოპედიის რედაქციის წინ იდგა ი. *აბაშიძის* ბიუსტი, რ-იც 2008 გადაიტანეს მისივე სახელობის ქუჩაზე. ამჟამად ქართ. ენციკლოპედიის რედაქცია გადასულია საქართვ. მეცნიერებათა ეროვნ. აკადემიის შენობაში.

აკაკი **ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, დიდგორის რ-ნი (*ოქროყანა*); დასაწყისი თბილისის ქუჩიდან. იხ. ა. *წერეთელი.*

აკაკი **ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ,** ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილის დასახლება*); მეგობრობის გამზირიდან ზემო სამგორის არხამდე. იხ. ა. *წერეთელი.*

გიორგი **ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ავლაბრის ქუჩიდან ხივის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კოტლიარევსკის ქუჩა. აქ ცხოვრობდა გენერალი პ. *კოტლიარევსკი* და ქუჩასაც მისი სახელი ერქვა. 1923 გ. ე. *წერეთლის* სახელი ეწოდა.

მიხეილ (მიხაკო) **ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აგჭალა*); მორის ფოცხიშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. ადრე – ნ. *კრუპსკაიას*, 1992 მ. *წერეთლის* სახელი ეწოდა.

სოსო **ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან დავით აღმაშენებლის გამზირამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. **ᲕᲔᲚᲘ**. ერთ-ერთია იმ 32 ქუჩიდან, რ-იც გაყვანილია 1846 წ. შექმნილი „თბილისის გარეუბნების მომწყობი კომისიის“ მიერ. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია ისარლოვის, 1923 წ. გეგმაზე – ნ. *რისაკოვის*, 1934 წ. გეგმაზე – ი. *გრინევიცკის* სახელით. 1990 კოლხეთის ქუჩა დაერქვა. 1997 ს. *წერეთლის* სახელი ეწოდა.

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ, სამხრ.-აღმ. და აღმ. შავიზღვისპირეთის სახელწოდება (კოლხი ტომების სახელის მიხედვით).

ᲬᲔᲠᲜᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ნავთლულის ქუჩიდან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მეწამული ქუჩა („ჩერვლიონნაია“), 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ კი – როგორც **ᲕᲔᲚᲘ**. აქვს 1 შეს.

ᲬᲔᲠᲜᲐᲫᲘ, „წითელი სახატავი“ (საბა), ჟანგმიწა საღებავი, რ-იც იხმარება თიხის ჭურჭლის, კერამიკული ნაწარმის მოსახატავად. როგორც ჩანს, ამ მიდამოებში ხდებოდა მისი მოპოვება.

ᲬᲔᲠᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); გასასვლელი წერონისისა და გომარეთის ქუჩებს შორის.

ᲬᲔᲠᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); წერონისის I ჩიხიდან ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. 40-იან წლებამდე გომარეთის II ქუჩა ერქვა. აქვს 1 გას., 2 ჩიხი.

ᲬᲔᲠᲝᲜᲘᲡᲘ (ცერონისი), სოფელი ქარელის რ-ნში.

ᲒᲝᲛᲐᲠᲔᲗᲘ, დმანისის რ-ნის სოფლების დიდი და პატარა გომარეთის გავრცელებული სახელწოდება.

ანდრია **ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ლიკანის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 70-იან წლებამდე გუბის ქუჩა ერქვა, შემდეგ ა. *წიკლაურის* სახელი ეწოდა.

ᲒᲣᲑᲘ, სოფელი ხონის რ-ნში.

მიხეილ **ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თიანეთის გზატკეცილიდან მიხეილ ხერგიანის ქუჩამდე. ადრე *ვაჟა-ფშაველას* ქუჩა ერქვა. მ. *წინამძღვრიშვილის* სახელი ეწოდა 1981.

მიხეილ **ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); ლევ ტოლსტოის ქუჩიდან გიორგი ცაბაძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 20-იან წლებში გერმ. მოახალშენეების დასახლების შემდეგ და დაერქვა *ელისაბედის* ქუჩა (დატანილია თბილისის 1851 წ. გეგმაზე). 1922 – კ. *ცეტკინის*, 1990 მ. *წინამძღვრიშვილის* სახელი ეწოდა. 1850 ელისაბედის ქუჩაზე ამუშავდა თბილისში პირველი ლუდის ქ-ნა, რ-ის მფლობელი იყო გერმ. მადერი. ამჟამად ამ ადგილას ფუნქციონირებს უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი სააქციო საზ-ბა „ლაღიძე“. ქუჩაზე იყო თბილისის უმსხვილესი აგრარული ბაზარი „ცენტრალური სუპერმარკეტი“, ყოფ. „დეზერტირების ბაზარი“ – ასე ეწოდა I მსოფლიო ომის დროინდელი რუსეთის არმიის ჯარისკაცების ხშირი თავშეყრის გამო (ამჟამად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია). შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები.

ᲬᲘᲜᲐᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); ორთაჭალის III შესახვევიდან ორთაჭალის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც წინანაურის გზა.



მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა №39.

ᲬᲘᲜᲐᲜᲐᲣᲠᲘᲡ II ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); წინანაურისა და ორთაჭალის ქუჩებს შორის.

ᲬᲘᲜᲐᲜᲐᲣᲠᲘ, ადგილი კრწანისში.

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ბოჭორმის ქუჩიდან ახმეტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია სიმონოვიჩის ქუჩის სახელწოდებით (იხ. თ. *სიმონოვიჩი*). თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ᲬᲛ. ᲔᲚ. ქუჩაზეა ქალაქის ერთ-ერთი უძველესი სამკურნ. დაწესებულება – წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქ. თბილისის მერიის შპს „პირველი კლინიკური“, ა. წულუკიძის სახ. უროლოგიის ეროვნ. ცენტრი. ქუჩას აქვს 1 შეს.

ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲚᲘ, სოფელი თელავის რ-ნში.

ᲬᲘᲜᲐᲣᲑᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); ვიქტორ დოლიძის ქუჩიდან იყალთოს გორამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია საბურთალოს ახალი ქუჩების სიაში როგორც წინუბნის ქუჩა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია წინაუბნის ქუჩის სახელწოდებით. ასეა შემდგომ წლებში გამოცემულ ცნობარებშიც.

ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი ჭყონდიდელის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე.

ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲘ, სოფელი მცხეთის რ-ნში. წიწამურის გზაზე 1907 წ. მოკლეს ილია ჭავჭავაძე.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); ქინძმარაულის ქუჩასა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს შორის. ყოფ. ლითონკონსტრუქციების ქარხნის დასახლება („ზმკ“), რ-შიც გამოიყოფოდა ზემო ლითონკონსტრუქციების ქარხნის დასახლება (ქინძმარაულის ქუჩასა და გარდაბნის გზატკეცილს შორის) და ქვემო ლითონკონსტრუქციების ქარხნის დასახლება (გარდაბნის გზატკეცილსა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს შორის). ᲬᲛ. ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔ ეწოდა 2006. სახელწ. უკავშირდება აქვე მდებარე წმინდა ბარბარეს ეკლესიას.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); კოსტა ხეთაგუროვის ქუჩიდან მიხეილ ბუხაიძის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს. II ნახევარში. ადრე ეკატერინეს სახელი ერქვა (შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში), სახელი ეწოდა დიდი მთავრის მიხეილ პავლეს ძის ასულის, პატრ. საზ-ბის თავ-რის, ეკატერინეს (1827–94) პატივსაცემად. 1923 – ი. *სვერდლოვის*, 1990 ᲬᲛ. ᲜᲘ. ᲔᲚ. დაერქვა. იქვეა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია და სახელწოდებაც მას უკავშირდება.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); მიხეილ ბუხაიძის ქუჩასა და I შესახვევს შორის.

ᲬᲜᲝᲠᲘᲡᲬᲧᲐᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); კახეთის გზატკეცილიდან კალოუბნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში.

ᲬᲜᲝᲠᲘᲡᲬᲧᲐᲚᲘ, ქ. წნორის რკინიგზის სადგური (სიღნაღის რ-ნი).

ᲬᲝᲚᲝᲠᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); თემქის დასახლების ყოფ. „დ“ ქუჩა. ᲬᲛ. ᲔᲚ. დაერქვა 1967. ქუჩა მოიხსენიება ცნობარებში, მაგრამ ამ სახელწოდებით ამჟამად არ არსებობს.

ᲬᲝᲚᲝᲠᲔᲗᲘ, სოფელი მცხეთის რ-ნში.

ᲬᲠᲘᲣᲚᲘᲡ II ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); მისასვლელი ორხევის ქუჩიდან.

ᲬᲠᲝᲛᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); რევაზ ურიდიას ქუჩიდან ნიკოლოზ კახიანის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. 60-იან წლებამდე ვაგონის ქუჩა ერქვა. აქვს 2 შეს.

ᲬᲠᲝᲛᲘ, სოფელი ხაშურის რ-ნში.

სერგი **ᲬᲣᲚᲐᲫᲘᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); სერგი წულაძის ქუჩასა და წულაძის I შესახვევს შორის.

სერგი **ᲬᲣᲚᲐᲫᲘᲡ III ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); დასაწყისი სერგი წულაძის ქუჩიდან.

სერგი **ᲬᲣᲚᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); სახალხო ქუჩიდან ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც სალოცავის ქუჩა. 1923 – კომკავშირის, 1992 ს. *წულაძის* სახელი დაერქვა. ქუჩაზეა სამკურნალო პრეპარატების ქარხანა „თბილქიმფარმი“. აქვს 2 გას., 2 შეს., 1 ჩიხი.

ალექსანდრე **ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვაზისუბანი*); დასაწყისი კახეთის გზატკეცილიდან. კახეთის გზატკეცილის შესახვევს ა. პ. *წულუკიძის* სახელი ეწოდა 1968. 90-იან წლებში მ. *ლალიძის* ქუჩა ერქვა. შემდეგ დაუბრუნდა ძვ. სახელი. აქვს 4 შეს., 2 ჩიხი.

ალექსანდრე **ᲬᲣᲠᲬᲣᲛᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ნიკიფორე ირბახის ქუჩიდან თელავის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კაპგერის ქუჩა (იხ. ა. *კაპგერი*). 1923 დაერქვა ა. *ზურაბოვის*, 40-იან წლებში – ე. *კრენკელის*, 60-იან წლებში – ა. *წურწუმიას* სახელი. აქვს 1 შეს.

ჯამბულ **ᲬᲣᲠᲬᲣᲛᲘᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საქჰიდრო-ენერგომშენის დასახლება*); ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩიდან რკინიგზამდე. დასახლების 360-ე ქუჩას ჯ. *წურწუმიას* სახელი ეწოდა 2006.

ალექსანდრე **ᲬᲣᲨᲣᲜᲐᲕᲐᲡ ᲥᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორხევის დასახლება*); თენგიზ ჩანტლაძის ქუჩიდან იოანე პეტრიწის ქუჩამდე. ადრე შრომის ქუჩა ერქვა, 70-იან წლებში ა. *წუწუნავას* სახელი ეწოდა.

ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); რკინიგზიდან თენგიზ შეშელიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. აქ გადის ნატახტარ-ბულაჩაურ-თბილისის წყალსადენის ტრასა.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან კოსმონავტების სანაპირომდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, ქალაქი და კურორტი დას. საქართველოში.

ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ᲬᲧᲜᲔᲗᲘ, დაბა ქ. თბილისის შემადგენლობაში. მდებარეობს მთაწმინდის ქედის უკიდურეს დას. ნაწილში, მდ. ვერის ხეობაში, ზ. დ. 700–1000 *მ* სიმაღლეზე. მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის (XVIII ს.) ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. საავარაკო განაშენიანება დაიწყო XIX ს. II ნახევარში (ქვემო ᲬᲛ.). ზემო ნაწილი (ზემო ᲬᲛ.) განაშენიანდა XX ს. 40-იანი წლებიდან.

ᲬᲧᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); წყნეთისკენ მიმავალი გზატკეცილი. ქ. *ჩოლოყაშვილის გამზირის* გაგრძელება. ყოფ. შოთა რუსთაველის ქუჩა. ᲬᲛ. Ბ. დაერქვა 1968. აქვს 2 გას., 1 შეს., 2 ჩიხი.

ᲬᲧᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘᲡ I ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); წყნეთის გზატკეცილიდან წყნეთის გზატკეცილის II გასასვლელამდე.

ᲬᲧᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘᲡ II ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); წყნეთის გზატკეცილიდან ვერის ხეობამდე.

ᲬᲧᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲢᲙᲔᲪᲘᲚᲘᲡ I ᲩᲘᲮᲘ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ბაგები*); დასაწყისი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამზირიდან (ყოფ. სასაფლაოს ქუჩა).

ᲬᲧᲜᲔᲗᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირიდან მიხეილ თამარაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 1965-მდე წყნეთის გზატკეცილი ერქვა. აქვს 1 შეს., 2 ჩიხი.

ვახტანგ **ჭაბუკიანის ქუჩა**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); გიორგი სააკაძის მოედნიდან პეკინის გამზირამდე. *საბურთალოს ქუჩის* მონაკვეთს ვ. *ჭაბუკიანის* სახელი ეწოდა 1992.

ილია **ჭავჭავაძის გამზირი**, ვაკე-საბურთალოსა და ძველი თბილისის რ-ნები (*ვაკე*); პეტრე მელიქიშვილის ქუჩიდან ილია ჭავჭავაძის მოედნამდე. გრძელდებოდა წყნეთის გზატკეცილამდე. 2005 მონაკვეთს ილია ჭავჭავაძის მოედნიდან წყნეთის გზატკეცილამდე ქაიხოსრო (ქაქუცა) *ჩოლოყაშვილის გამზირი* ეწოდა. ადრე აქ გადიოდა „წყნეთის გზა“ (1867-იდან – წყნეთის ქუჩა), XX ს. 20-იან წლებში დაერქვა უნივერსიტეტის ქუჩა. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია ვაკის ახალი ქუჩების სიაში, ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. 1935 ეწოდა ნ. *ბარის* სახელი. 50-იან წლებში ისევ უნივერსიტეტის ქუჩა დაერქვა, 1957 ი. *ჭავჭავაძის* სახელი ეწოდა პოეტის დაბადებიდან 120-ე და გარდაცვალებიდან 50-ე წელთან დაკავშირებით. ვაკის ეს მთავარი მაგისტრალი იწყება ვარაზისხევიდან და მიემართება მდ. ვერის პარალელურად. სიგრძე დაახლ. 2,5 *კმ*-ია, სიგანე – 40 *მ*. განაშენიანება დაიწყო XX ს. 30-იანი წლებიდან. აშენდა საცხოვრ. სახლები, სასწ. და სამეცნ. დაწესებულებები. საცხოვრ. სახლების უმეტესობა აშენებულია სსრკ-გერმანიის ომის (1941–45) წინა პერიოდში (არქიტექტორები: ნ. სეეროვი, ი. მეგელი, გ. ხიმშიაშვილი, ნ. ლეონტიევი, ა. კოჩინაშვილი, გ. ჯანდიერი). ვარაზისხევისა და გამზირის გადაკვეთაზე დგას ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი (ყოფ. სათავადაზნაურო ქართული გიმნაზია. 1900–1906; არქიტ. ს. კლდიაშვილი), მის გვერდით უნ-ტის II (ფიზიკა-მათ.) კორპუსია (1940; არქიტ. მ. შავიშვილი), ჭ. ბ-ზეა აგრეთვე თბილისის სახელმწ. უნ-ტის სამკურნ.-დიაგნოსტიკური ცენტრი (1937; არქიტექტორები: ნ. ზურაბიანი, პ. უშენინი), უნ-ტის VIII კორპუსი (ყოფ. ზოოვეტ. ინ-ტი. 1956; არქიტ. ს. რევიშვილი); ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწ. უნ-ტი (ყოფ. ს.-ს. ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნ-ტი; 1935; არქიტ. ვ. ქორქაშვილი), დიპლომის შემდგომი განათლების სახელმწ. სამედ. აკადემიის კლინიკა (ყოფ. სასულიერო სემინარია. 1905; ფსევდორუსული სტილი, არქიტ. ა. როგოისკი), აუდიოლოგიის და სმენის პროთეზირების სამეცნ. ცენტრი, წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინ-ტი, თურქეთისა და ჩეხეთის საელჩოთა შენობები, საპროექტო ინ-ტის „საქალაქმშენპროექტის“ 15-სართულიანი შენობა, ახალი საცხოვრ. სახლები. გამოდის ნ. დუმბაძის სახ. საბავშვო ქალაქი „მზიური“ (1981–82; არქიტექტორები: გ. აბულაძე, ლ. კილაძე, ი. მასხარაშვილი, ბ. ჩიგოგიძე). გამზირის პანორამას თავისი გაშლილი ხედით ასრულებს ვაკის პარკის კასკადი „დიდების მემორიალით“ (მოქანდაკე გ. ონიაური. არქიტექტორები: ვ. ალექსი-მესხიშვილი, ო. ლითანიშვილი, კ. ნახუცრიშვილი). აქედანვე გადის კუს ტბასთან დამაკავშირებელი საბაგირო გზა. მოედნიდან (იხ. ილია *ჭავჭავაძის მოედანი*) იწყება ვაკე-საბურთალოს შემაერთებელი მაგისტრალი (მ. *თამარაშვილის ქუჩა*); გამზირზე დგას: წმინდა სამების ეკლესია; დავით გურამიშვილის (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. ვ. ალექსი-მესხიშვილი), გალაკტიონ ტაბიძის (მოქანდაკე დ. მიქატაძე. არქიტექტორები: ა. ჯიბლაძე, მ. გოგიშვილი), ნიკო მუსხელიშვილის (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი. არქიტ. გ. ჯაფარიძე) ძეგლები; ნოდარ დუმბაძის (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტ. ი. მასხარაშვილი), ილია ჭავჭავაძის (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. არქიტექტორები: შ. *ყვლაშვილი*, გ. ჯაფარიძე) ბიუსტები; არქიტექტურულ-სკულპტურული კომპოზიცია „მზიურის კარიბჭე“ (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე. არქიტექტორები: გ. აბულაძე, ი. მასხარაშვილი, ბ. ჩიგოგიძე), „გიორგობა-დედაშვილობა“ (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე).

ჭ. ბ-ისა და კ. კეკელიძის ქუჩის კუთხეში, მისივე სახელობის სკვერში, 2007 დაიდგა ტ. *შევჩენკოს* ძეგლი (მოქანდაკეები ვ. და ო. ჩეპელიკები. არქიტ. ვ. სკულსკი). გამზირის დასაწყისში, თსუ-ის ბაღში, დგას წმინდა დავით აღმაშენებლის სახ. ეკლესია, აღმართულია მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ობელისკი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი. არქიტ. ა. ჯიბლაძე). 1957 თსუ-ის შესასვლელთან დაიდგა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ბიუსტები. ეზო-სავანეში დაკრძალულია უნ-ტის პირველი რექტორი პ. *მელიქიშვილი*, თსუ-ის დამფუძნებელი ი. *ჯავახიშვილი*, აქვეა გამოჩენილი მეცნიერების გ. *ახვლედიანის*, ი. *ბერიტაშვილის*, ფ. გოგიჩაიშვილის, კ. *კეკელიძის*, შ. *ნუცუბიძის*, ა. *რაზმაძის*, დ. *უზნაძის*, ა. *შანიძის*, გ. *ჩუბინაშვილის*, გ. *წერეთლის* საფლავები ბიუსტებით. გამზირს აქვს 1 ჩიხი (II ჩიხი).



ილია ჭავჭავაძის გამზირი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ილია **ჭავჭავაძის მოედანი**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); ილია ჭავჭავაძის გამზირს, მიხეილ თამარაშვილის ქუჩას, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამზირსა და ვაკის პარკს შორის. ი. *ჭავჭავაძის* სახელი ეწოდა 1963. მოედანზე გამოდის ვაკის პარკის (ყოფ. გამარჯვების პარკის) ცენტრ. შესასვლელი; მოწყობილია შადრევანი და მიწისქვეშა გადასასვლელი, რ-იც, ამავე დროს, პარკთანაც არის დაკავშირებული.

ალექსანდრე **ჭავჭავაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); რუსთაველის გამზირიდან კოტე მესხის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 30-იან წლებში. დააპროექტა მიწისმზომელმა ტოვარნიცკიმ (1833–35). 1841 წ. შედგენილ თბილისის ქუჩების სიაში შეტანილია როგორც დავითის ქუჩა. 1846 ეწოდა ა. *ჭავჭავაძის* სახელი. იგი ამ ქუჩაზე ცხოვრობდა და ამ ქუჩაზევე აღესრულა ტრაგიკულად – მ. *ვორონცოვთან* წვეულებაზე მიმავალი ეტლიდან გადმოვარდა, თავი დაარტყა ქუჩის ფილაქანს და იმავე ღამეს გარდაიცვალა. ქუჩაზე და ჩიხებში შემონახულია XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. ა. ჭავჭავაძის კუთვნილი, სილამაზით გამორჩეული 3 შენობა, რომელთაც მთელი კვარტალი ეჭირა რუსთაველის გამზირსა და გრიბოედოვის ქუჩას შორის, შემორჩენილი არ არის. „ა. ჭავჭავაძის სახლი პირველი სახლი იყო საქართველოში, რომლის ოთახებსაც ამშვენებდა საუცხოო შპალერი, რომელზედაც გამოხატული ყოფილა სხვადასხვა მითოლოგიური სცენები. ამბობენ, თითქოს ეს შპალერი იმპერატრიცა ეკატერინეს ეჩუქებინოს პოეტის მამისთვის, როგორც საქართველოს სამეფო დესპანისთვის რუსეთის კარზე“ (ა. ფადეევი). ამჟამად ამ ადგილას დგას და **ჭ**-ზე გვერდითი ფასადით გამოდის არქიტექტორების პ. შტერნისა და კ. ტატიშჩევის მიერ 1897 და 1898 წლებში აგებული შენობები. ქუჩას აქვს 1 შეს. (ყოფ. ატენის შეს., თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც ცხინვალის ქუჩა, 1946 ეწოდა ა. ჭავჭავაძის შეს.), 2 ჩიხი. პირველი ჩიხი თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მთისძირის ჩიხი.

ზურაბ **ჭავჭავაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი; დავით აღმაშენებლის გამზირიდან მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. I ნახევარში, გერმ. მოახალშენეების დასახლების შემდეგ. თავდაპირველად იყო შესახვევი, რ-იც საბოლოოდ გაფორმდა 50-იან წლებში „თბილისის გარეუბნების მომწყობი კომისიის“ მიერ ქალაქის ამ ნაწილის გენერალური დაგეგმვის შემდეგ. აქ ცხოვრობდა ლუდის ქარხნის მეპატრონე ვეტცელი და შესახვევსაც მისი სახელი ერქვა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე). შემდეგ ვეტცელის გაფართოებულ ქუჩას დაერქვა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის დის ქსენიას (1875–1960) სახელი, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1922 – *აძოს*, 50-იან წლებში – კ. *შროზიას*, 1990 ზ. *ჭავჭავაძის* სახელი ეწოდა.

ილია **ჭავჭავაძის ქუჩა**, დიდგორის რ-ნი (*ოქროყანა*); თბილისის ქუჩიდან პირველი მაისის ქუჩამდე (იხ. ი. *ჭავჭავაძე*). აქვს 1 შეს.

ილია **ჭავჭავაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილის დასახლება*); მეგობრობის გამზირიდან ზემო სამგორის არხამდე.

ჭალადიდის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); ტაშირის ქუჩიდან ლებარდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ჭალადიდი, ადგილის სახელწოდება ხობის რ-ნში.

შალვა **ჭანკოტაძის ხეივანი**, ისანი-სამგორის რ-ნი (*აეროპორტის დასახლება*); აეროპორტის დასახლებაში არსებულ უსახელო ხეივანს 2003 **ჭ**-ის სახელი ეწოდა. აქვე დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე გ. წულაძე).

გიორგი (გია) **ჭანტურიას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*გარეუბანი*); შოთა რუსთაველის გამზირიდან გიორგი ათონელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დააპროექტა პოლკ. ბანოვმა 1809. გაშენდა 30-იან წლებში. მიხეილ ვორონცოვის (ახლანდ. ჩუღურეთის) ხიდის აშენების შემდეგ გახდა მტკვრის ორივე სანაპიროს დამაკავშირებელი მთავარი მაგისტრალი. ქუჩის ნაწილი მიუყვებოდა ალექსანდრეს მოედანს, რ-საც ფეოდ. ხანაში ყაბახი ერქვა. ა. *ბარიატინსკის* დროს ყაბახი გადაიქცა პარკად (ალექსანდრეს ბაღი), ხოლო ქუჩას ეწოდა მისი სახელი (აღნიშნულია ქალაქის 1867 წ. გეგმაზე). 1922 ა. *კორჯიაშვილის* სახელი დაარქვეს, 1995 – გ. *ჭანტურიასი*. შემონახულია XIX ს. 60–70-იანი წლების საცხოვრ. სახლი (№6), აგრეთვე XIX ს. 80-იანი წლების საცხოვრ. სახლი (№8), რ-შიც ახლა გ. ლეონიძის სახ. ქართ. ლიტერატურის



ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა.



ილია ჭავჭავაძის გამზირი.


WISSOL

სახელმწ. მუზეუმია. 1983–84 აშენდა ყოფ. გამოთვლითი ცენტრისა და მშენბანკის შენობები (არქიტ. ლ. ბოკერია). ქუჩაზე დგას გ. ჭანტურიას ბიუსტი (მოქანდაკე გ. წულაძე. არქიტ. პ. ზაგაშვილი). აქვს 1 ჩიხი.

ჭიათურის ქუჩა, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*საბურთალო*); საქართვ. ტექნიკური უნ-ტის I კორპუსიდან ჩაილურის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე ლაგოდეხის ქუჩა ერქვა. 30-იან წლებში ჭ. ქ. დაერქვა. დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე.

ჭიათურა, ქალაქი დას. საქართველოში.

ლაგოდეხი, ქალაქი აღმ. საქართველოში.

მიხეილ **ჭიაურელის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიღომი*); აკაკი ბელიაშვილის ქუჩასა და დავით აღმაშენებლის ხეივანს შორის. ადრე უსახელო ქუჩა იყო. 1974 მ. *ჭიაურელის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა ა. ნათიშვილის სახ. მორფოლოგიის და სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინ-ტები.

ჭირნახულის ქუჩა, ისანი-სამგორის რ-ნი (*ლილოს დასახლება*); კახეთის გზატკეცილიდან მარიამ ორახელაშვილის ქუჩამდე. ქუჩაზეა შპს „ავერსი-რაციონალი“ (ფარმაცევტული საწარმო). აქვს 2 ჩიხი.

ბესარიონ **ჭიჭინაძის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საქჰიდროენერგომშენის დასახლება*); ქინძმარაულის ქუჩიდან აბელ ენუქიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 70-იან წლებში და ბ. *ჭიჭინაძის* სახელი დაერქვა. აქვს 6 ჩიხი.

დავით **ჭიჭინაძის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); გიორგი ჭყონდიდელის ქუჩიდან რიონჰესის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საზეინკლოს ქუჩა ერქვა, 70-იან წლებში დ. *ჭიჭინაძის* სახელი ეწოდა.

ზაქარია **ჭიჭინაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*მთაწმინდა*); შოთა რუსთაველის გამზირიდან ზურაბ ჟვანიას ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. 30-იან წლებში. ადრე გ. *როზენის* ქუჩა ერქვა (დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე). 1923 ზ. *ჭიჭინაძის* სახელი ეწოდა.

ბესარიონ **ჭიჭინაძის შესახვევი**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); დასაწყისი აბელ ენუქიძის ქუჩიდან.

თამარ **ჭოველიძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვერე*); მერაბ კოსტავას ქუჩიდან მიხეილ ზანდუკელის ქუჩამდე. ადრინდელი ბ. *ბელინსკის ქუჩის* ქვედა მონაკვეთი. თ. *ჭოველიძის* სახელი დაერქვა 1992. ქუჩაზე არის XIX ს. დასასრულისა და XX ს. დასაწყისის რამდენიმე საცხოვრ. სახლი.

დანიელ **ჭონქაძის ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*სოლოლაკი, მთაწმინდა*); ამაღლების ქუჩიდან მთაწმინდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1856 ი. *გუდოვიჩის* სახელი ეწოდა (უკავშირდება ი.



თამარ ჭოველიძის ქუჩა №7.



დანიელ ჭონქაძის ქუჩა №12. 1914.

გუდოვიჩის მიერ 1806 ბაქოს ციხის აღების 50-ე წლისთავს). 1923 დაერქვა დ. *ჭონქაძის* სახელი (თბილისის 1934 წ. გეგმაზე ჭ. ქ-ის მონაკვეთი, ჩიტაძის შესახვევიდან მთაწმინდის ქუჩამდე, დატანილია როგორც აუზის ქუჩა). შემონახულია XIX ს. დასასრულის და XX ს. დასაწყისის საცხოვრ. სახლები. აღსანიშნავია სახლები №8 (1888; არქიტ. ა. შიმკევიჩი. საკუთარი სახლი) და №12 (1914; არქიტ. მ. ოჰანჯანოვი, თანაავტორი ი. კოლჩინი. შემოსავლიანი სახლი). ჭ. ქ-იდან იწყება მთაწმინდაზე ამავალი სამთო-სააბაგირო რკინიგზა – ფუნიკულიორი. ქუჩას აქვს 2 ჩიხი (II ჩიხი – ყოფ. აუზის ჩიხი).

ჭოპორტის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დასაწყისი ლიახვის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. მე-10 ქუჩას ჭ. ქ. ეწოდა 50-იან წლებში. აქვს 1 შეს.

ჭოპორტი, სოფელი დუშეთის რ-ნში.

ჭოროხის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ძველი კუკია*); დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან დავით აღმაშენებლის გამზირამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1876 წ. გეგმაზე დატანილია როგორც კოლონიის ქუჩა, XX ს. 20-იან წლებში ახალშენის ქუჩა დაერქვა. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია პოლიტკატორღელთა ქუჩის სახელწოდებით. 40-იან წლებში ჭ. ქ. ეწოდა.

ჭოროხი, მდინარე თურქეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე. ჩაედინება შავ ზღვაში.

ჭრებალოს ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აჟჭალა*); ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 60-იან წლებში. ადრე პირველი მაისის ქუჩა ერქვა. ჭ. ქ. ეწოდა 70-იან წლებში. აქვს 2 შეს., 2 ჩიხი.

ჭრებალო, სოფელი ამბროლაურის რ-ნში.

პირველი მაისი, მშრომელთა სოლიდარობის დღე, საერთაშ. დღესასწაული (დაწესდა 1889 წ. II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე).

სტეფანე **ჭრელაშვილის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ნავთლულის ქუჩიდან წერნაქის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1851 წ. გეგმაზე დატანილია როგორც „კუტილოვკა“ (საქეიფო ადგილი), 1901 გეგმაზე – როგორც კუტილოვის ქუჩა. 1923 ს. *ჭრელაშვილის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი.

გიორგი **ჭყონდიდელის ქუჩა**, იხ. *გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა.*

სოლიკო **ᲮᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (*ვაკე*); დასაწყისი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის გამზირიდან. 1996 ს. *ხაბეიშვილის* სახელი ეწოდა.

გრიგოლ **ᲮᲐᲜᲫᲗᲔᲚᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, იხ. *გრიგოლ ხანძთელის ქუჩა.*

ათანასე **ᲮᲐᲠᲐᲑᲐᲫᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლულის I დასახლება*); წალენჯიხის ქუჩიდან ნავთლულის I დასახლების V ქუჩამდე. ადრე ნავთლულის I დასახლების III ქუჩა ერქვა. 1969 ეწოდა ა. *ხარაბაძის* სახელი. აქვს 1 ჩიხი.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ლადო მესხიშვილის ქუჩიდან ხივის შესახვევამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1923-მდე ასლანდუზის ჩიხი ერქვა. შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘ, დაბა დას. საქართველოში (1949–89 – ორჯონიკიძე).

ᲐᲡᲚᲐᲜᲓᲣᲖᲘ, ადგილი ირანში, სადაც რუს.-ირანის 1804–12 ომის დროს რუსეთმა გადამწყვეტი დამარცხება მიაყენა ირანის ჯარებს.

ევგენი **ᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); დავით სარაჯიშვილის ქუჩიდან ხიზაბავრის ქუჩამდე. ადრე კოლმეურნეობის ველის ქუჩა ერქვა. 2007 ე. *ხარაძის* სახელი ეწოდა.

ᲮᲐᲠᲬᲣᲮᲘ, თბილისის ძვ. უბანი ქალაქის აღმ. ნაწილში, მდ. წავკისისწყლის მარჯვ. მხარეს, თაბორის ქედის ძირში. *სეიდაბადის* გვიანდ. სახელწოდება. თბილისს შემოუერთდა 1819. ქალაქური განაშენიანება დაიწყო XX ს. 60-იანი წლებიდან.

ᲮᲐᲠᲬᲣᲮᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ, ძველი თბილისის რ-ნი (*ხარფუხი*); გერცელ ბააზოვის ქუჩიდან მოსე ხონელის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. აქვს 1 შეს., 1 ჩიხი (ყოფ. ძეგამის შეს., შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში, 1934 წ. გეგმაზე და ქუჩების 1955 წ. ცნობარში).

არამ **ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*საბარგოს დასახლება*); ვლადიმერ მიქელაძის ქუჩიდან კონსტანტინე ამირაჯიბის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე საბარგოს დასახლების VIII ქუჩა ერქვა, 1980 ა. *ხაჩატურიანის* სახელი ეწოდა.

ალექსანდრე **ᲮᲐᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ავლაბარი*); ქეთევან დედოფლის გამზირიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ფ. *პაულუჩის* სახელი ერქვა. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. 1923 ა. *ხახანაშვილის* სახელი ეწოდა.

ᲮᲔᲕᲘᲡᲣᲒᲜᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); ერწოს ქუჩიდან რკინიგზამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. სახელი დაკავშირებულია მიმდებარე ხევთან.

ᲮᲔᲕᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლული*); დასაწყისი სახალხო ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. ხ. *ქ.* შეერქვა მიმდებარე ხევის გამო.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); მახინჯაურის ქუჩიდან მთის ფერდობამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘ, მხარე ჩრდ.-აღმ. საქართველოს მთიანეთში.

ᲮᲔᲕᲫᲛᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*).

ᲮᲔᲕᲫᲛᲐᲠᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ხევძმარის დასახლება*); დასაწყისი თენგიზ შეშელიძის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. სახელი უკავშირდება მდ. ხევძმარს.

კოსტა **ᲮᲔᲗᲐᲒᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ჩუღურეთი*); ივანე ჯავახიშვილის მოედნიდან ელენე ახვლედიანის აღმართამდე (XX ს. 70-იან წლებამდე გრძელდებოდა ღვინის აღმართამდე). ქუჩის ადგილზე XVIII ს-ის ბოლომდე მტკვრის მარცხ. ტოტის კალაპოტი იყო, დატანილია ალ. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წ. გეგმაზე. XIX ს. 30-იან წლებში ტოტი დაშრა და ამ ადგილს *რიყე*, შემდეგ რიყის ქუჩა დაერქვა. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. ის იყო მტკვრის მარცხენა ნაწილის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი, აერთიანებდა ავლაბარს, ჩუღურეთს, კუკიას და თბილისთან ახალშემოერთებულ გერმანელთა კოლონიას. 1911 დაერქვა 19 თებერვლის ქუჩა (საგლეხო რეფორმის 50-ე წლისთავის აღსანიშნავად; დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე), შემდეგ – ისევ რიყის ქუჩა. 1938 კ. *ხეთაგუროვის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა წმინდა ნიკოლოზის ეკლესია (XIX ს.), შემონახულია XIX ს. 50-იანი წწ. საცხოვრ. სახლები.

ᲮᲔᲘᲕᲜᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ, იხ. *დიდი ხეივნის ქუჩა.*

ᲮᲔᲘᲕᲜᲘᲡ I ᲯᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); გია გულუას ქუჩიდან ხეივნის II ქუჩამდე. აქვს 2 ჩიხი.

ᲮᲔᲘᲕᲜᲘᲡ II ᲯᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); გია გულუას ქუჩიდან დიმიტრი გულიას ქუჩამდე.

ᲮᲔᲘᲕᲜᲘᲡ III ᲯᲣᲩᲐ, ისანი-სამგორის რ-ნი (*ორთაჭალა*); დიდი ხეივნის ქუჩიდან ხეივნის II ქუჩამდე.

მიხეილ **ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); ანდრია რაზმაძის ქუჩიდან კონსტანტინე მარჯანიშვილის ქუჩამდე. თიანეთის გზატკეცილის პარალელური ქუჩა. ქუჩას მ. *ხერგიანის* სახელი ეწოდა XX ს. 70-იან წლებში.

ᲮᲔᲠᲗᲕᲘᲡᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ლოტკინი*); სამღერეთის ქუჩიდან გორდის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში.

ᲮᲔᲠᲗᲕᲘᲡᲘ, შუა საუკუნეების ციხესიმაგრე სამხრ. საქართველოში.

ძმები **ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); ალექსანდრე ბოროდინის ქუჩიდან ფოსტის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ბაიდარის შესახვევი ერქვა, შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში, ასევეა დატანილი თბილისის 1934 წ. გეგმაზე. თბილისის ქუჩების 1955 წ. ცნობარში შეტანილია როგორც ქუჩა, 1960 წ. ცნობარში – როგორც ხერხეულიძე ძმების ქუჩა. იხ. *ხერხეულიძეები.*

გიგო (გრიგოლ) **ᲮᲔᲩᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*აკვპალა*); უწერის ქუჩიდან ვარდევნის ქუჩამდე. ადრე გ. *ქუჩიშვილის* სახელი ერქვა. 70-იან წლებში გ. *ხეჩუაშვილის* სახელი ეწოდა.

ᲮᲕᲐᲜᲭᲙᲐᲠᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ზღვისუბანი*); უსახელო ქუჩიდან შატილის ქუჩამდე. ყოფ. თემქის დასახლების 63-ე ქუჩა. ხ. *ქ.* დაერქვა XX ს. 70-იან წლებში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია ამავე სახელწოდების ქუჩა, რ-იც მდებარეობდა ახალქალაქისა და ახლანდ. ცოტნე დადიანის ქუჩებს შორის, გაუქმდა მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის შედეგად.

ᲮᲕᲐᲜᲭᲙᲐᲠᲐ, სოფელი ამბროლაურის რ-ნში.

იაკობ **ᲮᲕᲔᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲯᲣᲩᲐ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*აეროპორტის დასახლება*); დასახლების უსახელო ქუჩიდან ბესარიონ ქებურიას დასახლების II ქუჩამდე. I ქუჩას ი. *ხვედელიანის* სახელი ეწოდა 1981.

იაკობ **ᲮᲕᲔᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ**, ისანი-სამგორის რ-ნი (*აეროპორტის დასახლება*); დასახლების უსახელო ქუჩიდან ბესარიონ ქებურიას IV ქუჩამდე.

მიხეილ **ᲮᲕᲘᲜᲒᲘᲐᲡ ᲯᲣᲩᲐ**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ცოტნე დადიანის ქუჩიდან ზესტაფონის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში. ადრე ტურბინის ქუჩა ერქვა აქ არსებულ მექან. საამქროთა გამო. 1995 მ. *ხვინგიას* სახელი ეწოდა.

იპოლიტე **ᲮᲕᲘᲩᲘᲐᲡ ᲯᲣᲩᲐ**, ვაკე-საბურთალოს რ-ნი (საბურთალო); არჩილ სულაკაურის ქუჩიდან ალექსანდრე ქუთათელის ქუჩამდე.

წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე ალვანის ქუჩა ერქვა. 1925–26 წლების ცნობათა წიგნში „მთელი ტფილისი“ შეტანილია საბურთალოს ახალი ქუჩების სიაში. 30-იან წლებში წითელი პარტიზანების ქუჩა დაერქვა. 1991 ი. *ხვიჩიას* სახელი ეწოდა.

ალვანი, ახმეტის რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო ალვანის გავრცელებული სახელწოდება.

ხიდისთავის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩიდან დუშეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. 1923-მდე მირქმის ქუჩა („სრეტენსკაია“) ერქვა. დატანილია თბილისის 1876 წ. გეგმაზე. ხ-ისა და დუშეთის ქუჩების შესაყარზე დგას XIX ს. წმინდა მარინეს ეკლესია, რ-საც ერთხანს მირქმის ეკლესია ერქვა. ქუჩაზე და II ჩიხში შემორჩენილია XIX ს. დასასრულის საცხოვრ. სახლები. აქვს 2 შეს., 3 ჩიხი (IV ჩიხი – ყოფ. ხიდისთავის მცირე ჩიხი).

ხიდისთავი, სოფლები გორისა და ჩოხატაურის რ-ნებში.

ხიდისთავის III ჩიხი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); მისასვლელი დუშეთის ქუჩიდან. თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია როგორც II ჩიხი.

ხივის შესახვევი, ძველი თბილისის რ-ნი (*ავლაბარი*); კონსტანტინე ერისთავის ქუჩიდან ერევნის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. ადრე ერქვა ხოჯავანქის შესახვევი (იხ. *ხოჯავანქი*), შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში. 1923 დაერქვა რაბადის შესახვევი, დატანილია თბილისის 1934 წ. გეგმაზე, შემდეგ – ხ. შ. ეწოდა. აქვს 1 ჩიხი.

ხივა, ქალაქი უზბეკეთში.

ხიზაბავრის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); თენგიზ შეშელიძის ქუჩიდან ქერჩის ქუჩამდე.

ხიზაბავრა, სოფლები ასპინძისა და ლაგოდეხის რ-ნებში.

ომარ **ხიზანიშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*გლდანი*); დასაწყისი თენგიზ შეშელიძის ქუჩიდან. გლდანში გამავალი ცენტრალური ქუჩა. ო. *ხიზანიშვილის* სახელი ეწოდა 2000.

სელიმ (სოლომონ) **ხიმშიაშვილის ქუჩა**, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ნაძალადევი*); ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩიდან ნოვოროსიისკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს. ბოლოს. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც აუზის ქუჩა. 1923 – რეზერვუარის, 1958 – ს. *ალილუევის*, 1992 ს. *ხიმშიაშვილის* სახელი ეწოდა.

ბოგდან **ხმელნიცკის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ნავთლუღი*); ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ქუჩიდან გარდაბნის გზატკეცილამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის 1934 წ. გეგმაზე ამ ადგილას დატანილია 2 ქუჩა: სასაკლაოს ქუჩა (შეტანილია თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში) და ყარაიის დიდი გზა. ამ ქუჩების შეერთებით წარმოქმნილ ქუჩას 1954 ბ. *ხმელნიცკის* სახელი ეწოდა. ქუჩაზეა საქართვ. თვითმფრინავმშენებლობის მსხვილი ცენტრი „თბილავიამშენი“ (შპს), XIX ს. წმინდა ბარბარეს ზემო ეკლესია. ქუჩას აქვს 2 შეს., 1 ჩიხი.

ხოდაშენის ქუჩა, ძველი თბილისის რ-ნი (*ქვემო უბანი*); კოტე (კონსტანტინე) აფხაზის ქუჩიდან ანტონ კათალიკოსის ქუჩამდე. წარმოიქმნა XIX ს-ში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც ზაქარიას შესახვევი, თბილისის 1934 წ. გეგმაზე დატანილია ხ. ძ-ის სახელწოდებით.

ხოდაშენი, სოფლები ახმეტისა (ზემო ხოდაშენი) და თელავის (ქვემო ხოდაშენი) რ-ნებში.

რომანოზ **ხომლელის ქუჩა**, ისანი-სამგორის რ-ნი (*ვარკეთილი*); ჯავახეთის ქუჩიდან მიხეილ გახოკიძის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 50-იან წლებში. ქუჩას რ. *ხომლელის* სახელი ეწოდა 1962. აქვს 2 შეს.

ხონის ქუჩა, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*ახალი კუკია*); აბაშის ქუჩიდან სენაკის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. შეტანილია თბილისის ქუჩების 1926 წ. ცნობარში.

ხონი, ქალაქი დას. საქართველოში (1936–89 – წულუკიძე).

აკაკი **ხორავას ქუჩა**, ძველი თბილისის რ-ნი (*ვარდისუბანი*); ერეკლე ტატიშვილის ქუჩიდან ვასილ პეტრიაშვილის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. დასაწყისში. თბილისის გამგეობის მიერ 1903 წ. შედგენილ ქუჩების სიაში შეტანილია როგორც მლეთის შესახვევი, ასევეა თბილისის 1934 წ. გეგმაზე. თბილისის ქუჩების 1940 წ. ცნობარში შეტანილია მლეთის ქუჩის სახელწოდებით. 1973 ა. *ხორავას* სახელი დაერქვა. №9 სახლში 1908–15 ცხოვრობდა დიდი ქართველი პოეტი *ვაჟა-ფშაველა*. ქუჩას აქვს 1 ჩიხი (ყოფ. მლეთის ჩიხი).

ხლეთა, დუშეთის რ-ნის სოფლების ზემო და ქვემო მლეთის გავრცელებული სახელწოდება.

ხორნაბუჯის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); მუხრანის ქუჩიდან თიანეთის ქუჩამდე. წარმოიქმნა XX ს. 40-იან წლებში. 43–48-ე ქუჩებს 50-იან წლებში ნ. *ვატუტინის* სახელი დაერქვა, 1990 – ხ. ძ.

ხორნაბუჯი, შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი აღმ. საქართველოში.

ნადირა **ხოშარაულის ქუჩა**, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი (*დიდუბე*); აკაკი წერეთლის გამზირიდან კოსმონავტების სანაპირომდე. წარმოიქმნა XX ს. 20-იან წლებში. ადრე დიდუბის VI შეს. ერქვა, 60-იან წლებში ნ. *ხოშარაულის* სახელი ეწოდა. აქვს 1 შეს.

ხოჯავანქი, ხოჯევანქი, *ავლაბრის* ერთ-ერთი მიკროუბანი. სახელწ. ხოჯავანქი (ხოჯას მონასტერი) უკავშირდება როსტომ მეფის ზარაფთუხუცესის ხოჯა ბეჰბუდას სახელს, რ-ის წინაპრებიც თბილისში XVI ს-ში ჩამოსახლდნენ. მან XVII ს-ში საგვარეულო სასაფლაოზე ააშენა ხოჯავანქის სომხ.-გრიგორიანული ღვთისმშობლის ეკლესია. XX ს. 30-იან წლებში, ქალაქის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების დროს ეკლესია სასაფლაოსთან ერთად გაუქმდა, ტოპონიმი კი დღემდე შემორჩა.

ხრესილის ქუჩა, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი (*ღრმაღელე*); დასაწყისი ცოტნე დადიანის ქუჩიდან. წარმოიქმნა XX ს. 30-იან წლებში.

ხრესილი, სოფელი ტყიბულის რ-ნში.

აბაშიძე კიტა (ივანე) გიორგის ძე (1870–1917), ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. პოლიტ. და საზ. მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1901-იდან იყო ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს „საურთიერთობო ნდობის ბანკის“ თავ-რე, 1917 – „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის“ წევრი და განათლების კომისარი. დიდი ამაგი დასდო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას. ა-ის ლიტმცოდნეობითმა ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარა ახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიას, როგორც სამეცნ. დისციპლინას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

აბაშიძე მემედ იბრაჰიმის ძე, მ ე მ ე დ - ბ ე გ ი (1873–1937), საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. აქტიურად იღვწოდა მუსლიმან ქართველთა ეროვნ. თვითშეგნების ამაღლებისა და საქართვ. ერთიანობის აღდგენისათვის, რის გამოც დევნიდა როგორც მეფის რუსეთის, ისე თურქეთის ხელისუფლება. ხელმძღვანელობდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“. რედაქტორობდა გაზ. „სამუსლიმანო საქართველოს“ (1919–21). იყო რეპრესირებული საბჭ. ხელისუფლების მიერ. მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე დგას ა-ის ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).


აბაშიძე ტასო (ანასტასია) ვასილის ასული (1881–1958), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1943). მსახიობების ვ. *აბაშიძის* და მ. საფაროვა-აბაშიძის ქალიშვილი. ა. გამოირჩეოდა არტისტიზმით, გარდასახვის უნარით, მუსიკალობით. დიდი ოსტატობით ასრულებდა როგორც კომედიურ, ისე დრამ. როლებს. გადაღებულია ფილმში „ხანუმა“ (ქაბატოს როლში). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.


აბაშიძე ჰაიდარ ალის ძე (1893–1966), საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პედაგოგი. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. აღვივებდა ეროვნ. თვითშეგნებას თურქთა მიერ გამაჰმადიანებულ ქართველებში. ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ. მისი ინიციატივით აჭარაში გაიხსნა ქართ. სკოლები. 1918–20 იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ აქტ. წევრი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.



ილუსტრაცია ირაკლი აბაშიძის პოემისა „რას გადაურჩა თბილისი“.

◄ ვახტანგ გორგასლის ძეგლი





აბდუშელიშვილი მალხაზ გრიგოლის ძე (1926–98), ანთროპოლოგი, ქართული ანთროპოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1993). იუნესკოს ექსპერტი (1964), ევროპის ანთროპოლ. ასოციაციის საპატიო წევრი (1973). მის სახელთანაა დაკავშირებული ქართველთა ანთროპოლ. შესწავლა, კავკ. და ინდოეთის მოსახლეობის ანთროპოლ. კლასიფიკაცია.

აბესაძე გია ვახტანგის ძე (1956–91), ექიმი-კარდიოლოგი. XX ს. 90-იან წლებში საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო ორად გათიშული ქართველების შერიგების მიზნით 1991 წ. 21 სექტ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, თავი დაიწვა. „თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას – ბოლო!“ – წერდა იგი გამოსათხოვარ ბარათში.

აბზიანიძე სოსო (კობა) ოლივერის ძე (1965–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, თადარიგის ლეიტენანტი. დეტექტიური საზ-ბა „დეტას“ ინსპექტორი. იბრძოდა აფხაზეთში სპეციალური დანიშნულების ასეულში. დაიღუპა სოფ. შრომასთან სასიკვდილოდ დაჭრილი მეგობრის ვ. *ბანეთიშვილის* გამოყვანის დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

აბოვიანი ხაჩატურ (1805–48), სომეხი მწერალი, განმანათლებელი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, ეთნოგრაფი. 1822–29 სწავლობდა თბილისში, ნერსესის სემინარიაში, 1837–43 მუშაობდა სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველად. თბილისში მოღვაწეობის წლებში დაწერა ისტ. რომანი „სომხეთის ჭრილობა“ (გამოქვეყნდა 1858), მოთხრ. „უკანასკნელი გამოსათხოვარი მძლეთამძლე მეფე ერეკლეს“ და სხვ.

აბო თბილელი (დაახლ. 757–786), ქრისტიანობისათვის წამებული არაბი, ნერსე II-ის – ქართლის ერისმთავრის – მსახური. მიჩნეულია თბილისის მფარველად. მისი მოწამეობრივი ცხოვრება აღწერა VIII ს. ქართვ. მწერალმა იოანე საბანისძემ. მტკვრის მარცხ. ნაპირზე, მეტეხის ხიდთან, დგას წმინდა აბო თბილელის ეკლესია. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. წმინდა მოწამე აბო თბილელის ხსენების დღეა 21 იანვარი.

აბშანდაძე რენა გიორგის ასული (1940–95), სპორტსმენი, მწვრთნელი (ჩოგბურთი). საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების მონაწილე. 1961–68 შედიოდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ათეულში. სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მწვრთნელად, წლების მანძილზე აღზარდა მრავალი ძლიერი ჩოგბურთელი.

აბულაძე ზურაბ ალექსის ძე (1976–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი. იბრძოდა აფხაზეთში (გაგრა, ოჩამჩირე) თავდაცვის სამინისტროს მობილური ძალების ბატალიონ „თეთრ არწივში“. 1993 წ. 21 სექტ. დაიჭრა სოფ. ტამიშთან და უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

აბულაძე თენგიზ ევგენის ძე (1924–94), კინორეჟისორი, საქართვ. (1967) და სსრკ (1980) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1979) და ლენინური (1988) პრემიების ლაურეატი. გადაიღო მხატვრული ფილმები: „მაგდანას ლურჯა“ (კინორეჟისორ რ. ჩხეიძესთან ერთად), „სხვისი შვილები“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“; ტრილოგიის ფილმები: „ვედრება“, „ნატვრის ხე“, „მონანიება“. ა-ის ფილმებმა სხვადასხვა კინოფესტივალზე არაერთი პრემია, პრიზი და დიპლომი დაიმსახურა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

აბუსერისძე ტბელი (დაახლ. 1190–1240), მწერალი და ასტრონომი. ხიხათას (აჭარა) პატრონის იოანეს შვილი. ავტორია რელიგ.-ისტ. თხზულებისა და ვრცელი ქრონოლოგიურ-ასტრონ. ტრაქტატისა. მასვე უნდა ეკუთვნოდეს „გალობანი სამთა იოანეთა“. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. წმინდა აბუსერისძე ტბელის ხსენების დღეა 30 აგვისტო.

აბანოთუბანი და ნარიყალა. 1880-იანი წლები



აბანოთუბანი.



აგლაძე რაფიელ ილიას ძე (1911–89), ელექტროქიმიკოსი და ელექტრომეტალურგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), ვიცე-პრეზიდენტი (1947–51). სსრკ სახელმწ. პრემიის (1943) და პ. მელიქიშვილის სახ. პრემიის (1977) ლაურეატი. საქართვ. მეცნ. აკად. ლითონისა და სამთო საქმის ინ-ტის დაარსების ინიციატორი და პირველი დირექტორი (1944–51), გამოყენებითი ქიმ. და ელექტროქიმ. (ამჟამად რ. აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის) ინ-ტის დამაარსებელი და დირექტორი (1956–60). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

აზიზბეკოვი მეშადი აზიმ-ბეკ-ოღლუ (1876–1918), აზერბაიჯანელი რევოლუციონერი. 1918 აპრილიდან იყო ბაქოს სახკომსაბჭოს საგუბერნიო კომისარი და შინაგან საქმეთა სახ. კომისრის მოადგილე. დახვრიტეს როგორც ერთ-ერთი *ბაქოელი კომისარი.*

ათარბეგოვი გიორგი ალექსანდრეს ძე (1892–1925), 1918 იყო აფხაზეთის ბოლშევიკური ავჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ჩრდ. კავკ. საგანგებო კომისიის თავ-რე, 1920 – IX არმიის განსაკუთრებული განყ-ბის უფროსი, 1921 – რკპ(ბ) ამიერკავკ. პარტ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრი. დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს თბილისში.

ათონელი გიორგი, იხ. *გიორგი ათონელი.*

აკოფიანი აკოფ მინასის ძე (1866–1937), სომეხი პოეტი, სომხეთისა და საქართველოს სახ. პოეტი (1923). 1886–94 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისსა და ბაქოში. 1921 თებერვლიდან იყო საქართვ. რევკომის წევრი და თბილისის ბანკების კომისარი. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ლიტ. ჟურნალი „დარბნოცი“ („სამშვედლო“).

ალადაშვილი ალექსანდრე სტეფანეს ძე (1876–1950), ექიმი-თერაპევტი, საქართველოში თერაპიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946). საქართვ. თერაპევტთა საზ-ბის თავ-რე (1940–50). ა. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის №2 საავადმყოფოს (ახლანდ. თბილისის სახელმწ. სამედ. უნ-ტის ა. ალადაშვილის სახ. საუნივერსიტეტო კლინიკა). დ. უზნაძის ქუჩაზე დგას ა-ის ბიუსტი (მოქანდაკე ო. მელიქიშვილი).

ალავერდოვი (ალავერდიანი) სტეფანე კარაპეტის ძე (1888–1920), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე სომხეთსა და საქართველოში. ა. იყო სომხეთის 1920 მაისის ავჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ავჯანყების სხვა ხელმძღვანელებთან ერთად დახვრიტეს დაშნაკებმა ერევნის მახლობლად.

ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ სარდიონის ძე, ლადო მესხიშვილი (1857–1920), მსახიობი და რეჟისორი, საქართვ. სახ. არტისტი (1930, წოდება მიენიჭა გარდაცვალების შემდეგ). სათავეში ედგა თბილისის დრამ. დასებს და თეატრებს, მოღვაწეობდა რუსეთშიც. უდიდესი ოსტატობით და გასაოცარი სიზუსტით წარმოსახავდა სცენურ სახეებს. აღზარდა ქართ. სცენის მრავალი ოსტატი. მისი სახელი მინიჭებული აქვს ქუთაისის დრამ. თეატრს (1940). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) შალვას ძე (1915–78), არქიტექტორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1969). ნამუშევრებისთვის: სპორტის სასახლე (1961), ჭადრაკის სასახლე (1973), ცენტრ. ტელეგრაფის შენობა (1978), გამარჯვების მემორიალი ვაკის პარკში (1960–70) და სხვ. დაჯილდოებულია სსრკ (1988) და საქართვ. (1983) სახელმწ. და სხვა პრემიებით. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ალექსიძე დიმიტრი (დოდო) ალექსანდრეს ძე (1910–84), რეჟისორი, პედაგოგი, თეატრალური მოღვაწე. საქართვ. (1955), უკრ. (1969) და სსრკ (1978) სახ. არტისტი; შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1985). 1935-იდან იყო რუსთაველის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1959–64 – მთ. რეჟისორი). 1964–70 მოღვაწეობდა კიევში ი. ფრანკოს სახ. აკად. თეატრში. 1970-იდან იყო მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი, 1973–84 – საქართვ. თეატრ. საზ-ბის თავ-რე. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას.



მემედ აბაშიძის ძეგლი.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ალექსიძე მერაბ ალექსანდრეს ძე (1930–93), გეოფიზიკოსი და მათემატიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1988). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1994, სიკვდილის შემდეგ). 1972–87 იყო გეოფიზიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე, 1987–92 – დირექტორი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ალიევი ჰეიდარ ალის ძე (1923–2003), აზერბაიჯანის სახელმწ. მოღვაწე. 1950-იდან საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა სახელმწ. უშიშროების ორგანოებში. 1967–69 იყო რესპუბლიკის სახელმწ. უშიშროების კომიტეტის თავ-რე (გენ.-მაიორი), 1969–82 – აზერბ. კპ ცკ-ის პირველი მდივანი, 1982–87 – სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის I მოადგილე. 1993 – პირველად, 1998 მეორედ აირჩიეს აზერბ. რესპ. პრეზიდენტად. დიდი წვლილი მიუძღვის საქართვ. – აზერბაიჯანის სტრატეგიული ურთიერთობების განმტკიცებაში. ა-ის სახელობისაა მონაკვეთი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და სკვერი აბანოს ქუჩაზე, სადაც 2007 დაიდგა მისი ბიუსტი (მოქანდაკე ნ. ალიევი).

ალილუევი სერგეი იაკობის ძე (1866–1945), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოებში. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის მუშათა რევ. გამოსვლებში. იყო ი. *სტალინის* მეუღლის,

ნადეჟდა ალილუევას მამა.

ალიხანიანი ისააკ სიმონის ძე (1876–1946), სომეხი მსახიობი, სომხ. (1923) და საქართვ. (1941) სახ. არტისტი. 1922-იდან თბილისის სომხ. თეატრის მსახიობი იყო. ასრულებდა დრამ. და სახასიათო როლებს: ხლესტაკოვი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ერეკლე (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“) და სხვ.

ამირანაშვილი პეტრე ვარლამის ძე (1907–76), მომღერალი (ბარიტონი) და პედაგოგი. საქართვ. (1943) და სსრკ (1950) სახ. არტისტი. სსრკ სახელმწ. (1947) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971) პრემიების ლაურეატი. დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. საოპერო ხელოვნების განვითარებაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ამირანაშვილი შალვა იასონის ძე (1899–1975), ხელოვნების ისტორიკოსი, ქართ. ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955) და სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1943). 1939–75 იყო საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმის დირექტორი, რ-საც 1990 მისი სახელი ეწოდა. აქტიურად მონაწილეობდა რუსეთიდან საქართვ. კუთვნილი განძეულის დაბრუნებაში (1923) და 1921 პარიზში გატანილი ეროვნ. განძის ჩამოტანაში (1945). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ამირაჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე (1869–1948), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1934). 1958 საქართვ. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნ.-კვლევით ინ-ტს მიენიჭა ა-ის სახელი. მისი ბიუსტი დგას საქართვ. აგრ. უნ-ტის ეზო-სავანეში (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ამო (ნამდვ. გვარი და სახელი – ი ტ რ ი ე ვ ი ვასილ მიხეილის ძე) (1891–1939), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე საქართველოსა და აზერბაიჯანში. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა. იყო პარტიის თბილისის კომიტეტისა და თბილისის საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი.

ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე (1809–72), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი. მედ. დოქტორი, თბილისის სამხ. ჰოსპიტლის მთავარი ექიმი, მეფისნაცვალ მ. *ვორონცოვის* პირადი ექიმი, ქველმოქმედი. კავკ. სამედ. საზ-ბის საპატიო წევრი, კავკ. გეოგრ. საზ-ბის ნამდვილი წევრი.

ანდრონიკაშვილი ელეფთერ ლუარსაბის ძე (1910–89), ფიზიკოსი, ექსპერიმენტული ფიზიკის ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955). ორგზის სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952, 1978). 1951–88 ა. იყო საქართვ. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტის დირექტორი (1999-იდან მისი სახელობისაა). ა-მა წიგნებით „მოგონებები თხევად ჰელიუმზე“ და „ვიწყებ იალბუზიდან“ დაგვიხატა მისი თანამედროვე მეცნიერ-ფიზიკოსების შემოქმედებითი პორტრეტები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1798–1868), რუს. არმიის კავალერიის გენერალი (1868). *ერეკლე II-ის* შვილიშვილი. მონაწილეობდა რუს.-ირანის (1826–28) და რუს.-ოსმალეთის (1828–29) ომებში. ჩოლოქის ბრძოლის (1854) გმირი. 1849–56 იყო თბილისის სამხ. გუბერნატორი და გუბერნიის სამოქალაქო ნაწილის მმართველი.

ანდღულაძე დავით იასონის ძე (1895–1973), მომღერალი (დრამ. ტენორი) და პედაგოგი. საქართვ. (1941) და სსრკ (1950) სახ. არტისტი. სსრკ სახელმწ. (1947) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1973) პრემიების ლაურეატი. წარმატებით მღეროდა თბილისის ოპერისა და მოსკოვის დიდი თეატრის სცენებზე. 1946-იდან იყო თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი, 1958-იდან – პროფესორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ანთელავა ნიკოლოზ ვარდენის ძე (1893–1970), ქირურგი, გულმკერდის ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში. სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1962). ლენინური პრემიის ლაურეატი (1961). ა. იყო ქირურგთა საერთაშ. საზ-ბის წევრი, იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის ქირურგთა საზ-ბების საპატიო წევრი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ანთიმოზ ივერიელი, ერისკაცობაში ა ნ დ რ ი ა (დაახლ. 1650–1716), რუმინეთის საეკლესიო-პოლიტ. მოღვაწე, განმანათლებელი, მწერალი, მხატვარი, ვლახეთის მიტროპოლიტი (1708). წარმოშობით ქართველი. მის სახელს უკავშირდება 1709 თბილისში პირველი სტამბის დაარსება, რ-იც *ვახტანგ VI*-ის მიერ მოწვეულმა ა. ი-ის მოწაფე მ. იშტვანოვიჩმა (უნგროვლახელი) გამართა. იმავე წელს დაიბეჭდა „სახარება“ ქართულად. 1992 რუმინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ა. ი. წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ დაწესა 27 სექტემბერი, წმინდანის გარდაცვალების დღე. ქართული ეკლესია ამ დღეს 26 ივნისს აღნიშნავს.

ანტონ I (ერისკაცობაში – თეიმურაზ იესეს ძე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1720–88), საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარი, მეცნიერი, საქართვ. კათალიკოს-პატრიარქი 1744–55 და 1764–88 წლებში. ძირითადად მოღვაწეობდა ერეკლე II-ის კარზე. გააძლიერა ნიადაგშერყეული ქართ. ეკლესია, გაატარა რეფორმა. დატოვა მდიდარი ფილოს.-თეოლ. და ლიტ.-ისტ. მემკვიდრეობა. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

ანტონ მარტყოფელი, საეკლესიო მოღვაწე (VI ს. შუა წლები), ერთ-ერთი ასურელი მამა, მარტყოფის ღვთაების სამონასტრო კომპლექსის დამაარსებელი. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ღირსი მამის ანტონ მესვეტის, მარტყოფელის ხსენების დღეა 1 თებერვალი.

ანტონოვსკაია ანა არნოლდის ასული (1885–1967), რუსი მწერალი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1942). დაიბადა და მოღვაწეობდა თბილისში. საზ-ბა „არტისტერიუმის“ შექმნის ინიციატორი (1918); ავტორი ისტ. რომანისა „დიდი მოურავი“.

ანუა იური, იპოდიაკვანი გ ი ო რ გ ი (1934–93), ეროვნებით აფხაზი. ღვთისმსახურებას ეწეოდა აფხაზეთში, კომანის ეკლესიაში. 1993 წ. 5 ივნისს იგი შეიპყრეს სეპარატისტთა ეშერის ბატალიონის წევრებმა და 24 საათის განმავლობაში აწამეს თავისსავე ხელით და სახსრებით აღდგენილ უძველეს სიწმინდესთან, წმინდა ვასილისკოს წყაროსთან. მასთან ერთად აღესრულა ეკლესიის მღვდელი მამა ანდრია (პაატა ყურაშვილი).

ანჯაფარიძე ვერიკო (ვერა) ივლიანეს ასული (1897–1987), მსახიობი, თანამედროვე ქართ. თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. (1943) და სსრკ (1950) სახ. არტისტი. სსრკ სახელმწ. (1943, 1946, 1952), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1979) და კ. მარჯანიშვილის სახ. (1975) პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1980). ა-ის მიერ შექმნილი სახეები გამოირჩეოდა უდიდესი სცენური მომხიბვლელობით, შესრულების ვირტუოზული მანერით, მეტყველების მელოდიურობით. თბილისში არის ვ. ა-ისა და მ. *ჭიაურელის* სახლ-მუზეუმი (მის.: ვ. ანჯაფარიძის 16). ა-ის სახელობისაა თეატრი „ვერიკო“. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ანჯაფარიძე ზურაბ ივანეს ძე (1928–97), მომღერალი (დრამ. ტენორი). საქართვ. (1961) და სსრკ (1966) სახ. არტისტი, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI საერთაშ. ფესტივალის (1957) ლაურეატი. ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1971). თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. აკად. ეროვნ. თეატრის წამყვანი სოლისტი. 1959–70 წარმატებით გამოდიოდა მოსკ. აკად. დიდი თეატრის სცენაზე. გამოირჩეოდა სასიამოვნო ტემბრის ხმით, მაღალი არტისტიზმით, ვოკალურ-სცენური ოსტატობით. დაკრძალულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში. აქვეა მისი ბიუსტი (მოქანდაკე ო. ფარულავა).

არაგვისპირელი (ნამდვ. გვარი – დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი) შიო ზაქარიას ძე (1867–1926), მწერალი. ქართულ მწერლობაში ერთერთმა პირველმა დაამკვიდრა პროზაული ჟანრის მცირე ფორმები (ფსიქოლ. ნოველა, ეტიუდი, ესკიზი, სურათი). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.





ავლაბარი და ელიას მთა.



ელენე ახვლედიანის ძეგლი.

არაქელა (ნამდვ. გვარი და სახელი – ოქუაშვილი არაქელა გრიგოლის ძე) (1865–1946), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. ს.-დ. ორგანიზაციის წევრი 1896-იდან. აქტიურად იბრძოდა საქართვ. დემოკრ. რესპ. მთავრობის წინააღმდეგ. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ იყო თბილისის საბჭოს დეპუტატი, საქ. კპ(ბ) ცკ საკონტროლო კომისიის წევრი, საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

არაჟიშვილი დიმიტრი ეგნატეს ძე (1873–1953), კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე-ეთნოგრაფი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ახალი ქართ. პროფ. მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. სახ. არტისტი (1929), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1950). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950). 1926–30 იყო თბილისის კონსერვატორიის დირექტორი, კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე (1932-იდან). ავტორია ოპერისა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (დაიდგა 1919) და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

არდაზიანი ლავრენტი პეტრეს ძე (1815–70), მწერალი, ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იყო ჟურნ. „ცისკრის“ წამყვანი თანამშრომელი. ავტორია რომანისა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ (1861) და სხვ. დაკრძალულია ვერის ძვ. სასაფლაოზე (ახლანდ. ვერის ბაღი).

არეშიძე ქრისტეფორე იოსების ძე (1906–82), ქიმიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969). პ. მელიქიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1974). საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ნავთობქიმ. და ორგ. კატალიზის განვითარებას. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

არველაძე პეტრე იაკობის ძე (1888–1919), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ამიერკავკასიაში. 1909–10 იყო თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1917 – ალექსანდროპოლის საბჭოს ჯარისკაცთა სექციის თავ-რე, შემდეგ – მე-11 არმიის ერთ-ერთი პოლკის კომისარი.

არლუთინსკი (არღუთინსკი-დოლგორუკოვი, არღუთაშვილ-მხარგრძელი) ნიკოლოზ ვასილის ძე, თბილისის გუბერნიის კანცელარიის მმართველი, იმპერატორის კარის კამერჰერი, ქალაქისთავი (1892–94, 1896–97, 1904), ქალაქის სათათბიროს თავ-რე (1899–1900), თბილისის I გიმნაზიის საპატიო მზრუნველი.

არშბა სოკრატ იაკობის ძე (1905–85), ქირურგ-უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1961), საქართვ. და აფხ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). იყო აფხ. სამედ. საზ-ბის (1965), თბილისის უროლოგთა სამეცნ. საზ-ბისა (1968) და სსრკ უროლოგთა სამეცნ. საზ-ბის (1972) საპატიო წევრი. 1930–64 მუშაობდა ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწ. ინ-ტში. 1964–85 განაგებდა ა. წულუკიძის სახ. უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტს. შეისწავლა საქართვ. მინერ. წყლების უროლოგიურ დაავადებათა სამკურნალო თვისებები, შარდ-კენჭოვანი დაავადებისა და თირკმლის უკმარისობის საკითხები. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

არჩილ სტეფანოზის ძე (719–744), ქართლის ერისმთავარი, „ქართლის ცხოვრებაში“ (ჯუანშერი) იხსენიება მეფედ. იმავე წყაროს ცნობით, მის საბრძანებელში შედიოდა ეგრისიც, ხოლო აფხ. ერისთავი ლეონ I მისი ყმადნაფიცი გახდა. VIII ს. 30-იან წლებში მონაწილეობდა ანაკოფიის ბრძოლაში მურვან ყრუს წინააღმდეგ. არაბებისაგან წამებით მოკლული ა-ის გვამი ქართვ. აზნაურებმა ფარულად წამოასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს თავისსავე აგებულ ნოტოკრის (ახლანდ. თიანეთის რ-ნის სოფ. ნადოკრის) ეკლესიაში. წმინდა დიდებული მოწამის მეფე ა-ის ხსენების დღეა 4 ივლისი.

არწრუნი გრიგოლ ერემიას ძე (1845–92), სომეხი პუბლიცისტი, მწერალი, კრიტიკოსი. მოღვაწეობდა თბილისში. ცნობილი იყო „არწრუნის თეატრი“ (ქარვასლის ნაწილი, მის მიერ თეატრად გადაკეთებული). იყო „დიდი სომხეთის“ იდეის პროპაგანდისტი. ჰქონდა გამოხდომები საქართვ. ისტორიის საკითხებზე (იხ. ი. ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“ და სხვ.). მოითხოვდა თბილისში ისეთი უნ-ტის დაარსებას, სადაც სწავლება მხოლოდ რუს. და სომხ. ენებზე წარიმართებოდა.

ასათიანი გურამ ლევანის ძე (1928–82), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1974). 1957-იდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტში. 1965-იდან გარდაცვალებამდე იყო ამავე ინ-ტის XIX ს. ქართ. ლიტ-რის განყ-ბის გამგე, 1976–82 – ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთ. რედაქტორი. მისი ლიტ.-კრიტ. წერილები იბეჭდებოდა 1955-იდან ქართ., რუს. და დასავლეთევროპულ პრესაში. ა-ის მონოგრაფიები და ნარკვევები ქართვ. მწერლების შესახებ ქართ. ლიტერატურული აზროვნების საუკეთესო ნიმუშია. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ასათიანი ლადო (ვლადიმერ) მელქისედეკის ძე (1917–43), პოეტი. XX ს. ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმო-

მადგენელი. ა. წერდა პატრ., სატრფიალო-ინტიმური ლექსებს. იყო პორტრეტული ჩანახატების დიდოსტატი. ამ მხრივ გამორჩეულია ფიროსმანის სახე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში, სადაც ვაკის სასაფლაოდან გარდაცვალებიდან 25 წლის შემდეგ, 1968, გადაასვენეს.

ასათიანი მიხეილ მიხეილის ძე (1882–1938), ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტი, მეცნ. ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მისივე ინიციატივით დაარსებულ ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტს 1948 ა-ის სახელი ეწოდა.

ასკურავა შერმადინ (შალვა) მიხეილის ძე (1897–1919), პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი. სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე. იბრძოდა საბჭ. ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში.

ასლანიდი პავლე ვასილის ძე (1917–92), საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1975), გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორი (1958–85). საპატიო რკინიგზელი, ადმ. სამსახურის ინჟინერ-მაიორი (1951). ეწეოდა პედ. საქმიანობას თსუ-ში. დაჯილდოებულია ი. ჯავახიშვილის მედლით (1976).

აფანასიევი თედორე ერმალოს ძე (1868–1929), რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე საქართველოში, ს.-დ. წრეების ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი. 1892 მ. *გორკისა* და ა. *კალუჟნისთან* ერთად მონაწილეობდა თბილისის მუშათა თვითგანვითარების ლიტ.-რევ. წრის – „კრასნოგორსკის კომუნის“ დაარსებაში. იბრძოდა საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარებისათვის.

აფხაზი კოტე (კონსტანტინე) ნიკოლოზის ძე (1867–1923), საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალი. ი. *ჭავჭავაძის* დისშვილი. 1913 და 1916 აირჩიეს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების წინამძღოლად (მარშლად). 1917 მისი თაოსნობით აღმ. საქართველოს თავადაზნაურობის წოდებრივი ორგანიზაციის მთელი ქონება ქართველი ერის საკუთრებად გამოცხადდა. ა. იყო „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების“ თავ-რე, „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ ერთ-ერთი ავტორი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. საბჭ. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის (1921) შემდეგ აქტიურად ჩაება ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. იყო საყოველთაო ავჯანყების მოსამზადებელი „სამხედრო ცენტრის“ წევრი. 1923 თებერვალში საოკუპაციო ხელისუფლებამ შეთქმულები დააპატიმრა და იმავე წლის 20 მაისს ა. სხვა 14 მამულიშვილთან ერთად დახვრიტა თბილისში, ახლანდ. ვაკის პარკის ტერიტორიაზე.


ახვლედიანი გიორგი სარიდანის ძე (1887–1973), ენათმეცნიერი. თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918) და საქართვ. მეცნ. აკად. დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941). სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1939), საქართვ. (1943) და ჩრდ. ოსეთის (1967) მეცნ. დამს. მოღვაწე. ენათმეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მან დიდი ამაგი დასდო, აგრეთვე, ლექსიკოგრაფიულ კვლევა-ძიებას. ა. იყო ექსპერიმენტული ფონეტიკის საერთაშ. საზ-ბის (1932) და ამერიკის ლინგვისტური საზ-ბის (1940) წევრი. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში. მის საფლავზე დგას ბიუსტი (მოქანდაკე ო. ფარულავა).

ახვლედიანი ელენე დიმიტრის ასული (1898–1975), ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართვ. სახ. მხატვარი (1960). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971). ა-ის სახელობისაა თბილისის ბავშვთა სურათების გალერეა. ა-ის ბინაზე (ლ. ქიაჩელის 12) გახსნილია მხატვრის სახლ-მუზეუმი. შოთა რუსთაველის გამზირზე, სურათების ეროვნ. გალერეის სკვერში, დგას ა-ის ძეგლი (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ახმეტელი ალექსანდრე (სანდრო) ვასილის ძე (1886–1937), რეჟისორი, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. სახ. არტისტი (1933). მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი. მისი სახელობისაა თბილისის ერთ-ერთი თეატრი. ი. მაჩაბლის ქუჩაზე დგას ა-ის ბიუსტი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

ახოსპირელი (ნამდვ. გვარი – ა ღ ა ი ა ნ ი) ბეგლარ (1880–1921), პოეტი. თარგმნა მაქსიმ გორკის „ფსკერზე“ სათაურით „ნაძირალნი“ (1907), ფ. შილერის „ნამდვილი მეგობრები“. გამოცემულია ა-ის ლექსების პატარ-პატარა კრებულები. იყო თეატრის მუშა, სუფლიორი.

ახუნდოვი მირზა ფათალი (1812–78), აზერბაიჯანელი მწერალი, განმანათლებელი, ფილოსოფოსი, აზერბ. დრამატურგიის ფუძემდებელი. 1834-იდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში. მუშაობდა მეფისნაცვლის კანცელარიაში აღმ. ენების თარჯიმნად. ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან: გრ. ორბელიანთან, გ. წერეთელთან, გ. ერისთავთან და სხვ. დაკრძალულია თბილისის ბოტანიკურ ბაღში. იქვე დგას ა-ის ძეგლი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი). თბილისში არის მისი სახლ-მუზეუმი (მის.: ვახტანგ გორგასლის 17).



ელენე ახვლედიანი.
„ძველი თბილისი. ზამთარი“ (ფრაგმენტი).


1765-1812

ბააზოვი გერცელ დავითის ძე (1904–38), მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე. ეროვნებით ებრაელი. ერთხანს მოსამართლედ მუშაობდა, შემდეგ – ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. ბ-ის ინიციატივით დაარსდა ქართველ ებრაელთა თვითმოქმედი დრამ. დასი „კადიმა“. მის ნაწარმოებებში ასახულია ქართველ ებრაელთა ცხოვრება. აღიარება მოუპოვა პიესამ „მუნჯები ალაპარაკდნენ“ (1931; დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში). მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი.

ბააზოვი დავით მენახემის ძე (1883–1947), ებრაელი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე. იყო ონის, ახალციხის, თბილისის (1922-იდან) რაბინი. 1938 რეპრესირებული ციმბირში გადაასახლეს, 1945 საქართველოში დაბრუნდა. მისი სახელობისაა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწ. მუზეუმი.

ბაბუშკინი ივანე ვასილის ძე (1873–1906), პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი. მოღვაწეობდა რუსეთში. იყო რსდმპ პეტერბ. კომიტეტის წევრი. ლენინი მას „პარტიის სიამაყეს“ უწოდებდა. 1941 მისი სახელი ეწოდა ციმბირის ერთ-ერთ ქალაქს.

ბაგრატ III (X ს. 60-იანი წწ. დასაწყისი – 1014), გაერთიანებული ფეოდ. საქართვ. პირველი მეფე (975–1014), ბაგრატიონი, გურგენ მეფეთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის შვილი. ბ. III პირველი იყო, ვინც „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ტიტულს ატარებდა. შექმნა საქართველოს ფეოდ. მონარქია. მის დროს აიგო ქართული არქიტ. ცნობილი ძეგლები – ბედიის ტაძარი, ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა და სხვ. გარდაიცვალა ტაოში, ფანასკერტის ციხეში. დაკრძალულია ბედიაში.

ბაგრატიონი ირაკლი (ჯანო) კონსტანტინეს ძე (1909–79), მოცეკვავე, ქორეოგრაფი და მომღერალი. საქართვ. სახ. არტისტი (1967). 1938–45 და 1956–70 იყო საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. დამს. ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1970–79 კი – ფილარმონიის მთ. ქორეოგრაფი. დააარსა და ხელმძღვანელობდა საქართველოში ერთ-ერთ პირველ ჯაზურ კოლექტივს (1942–50). ესტრადაზე შემოიტანა და დაამკვიდრა ქართ. ხალხური ცეკვა. დავით აღმაშენებლის გამზირზე დგას ბ-ის ბიუსტი (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ბაგრატიონი პეტრე ივანეს ძე (1765–1812), რუსეთის 1812 სამამულო ომის გმირი. ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს, შვილიშვილის შვილი. რუს. არმიის ინფანტერიის გენერალი (1809). მონაწილეობდა 150-ზე მეტ ბრძოლაში და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. მეომრები მას „ჯარის ღმერთს“ უწოდებდნენ, ნაპოლეონი კი რუს. არმიის საუკეთესო გენერლად აღიარებდა. ბოროდინოს ბრძოლაში ბ. სარდლობდა რუს. არმიის მარცხენა ფლანგს. გარდაიცვალა ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობებისაგან. დაკრძალულია ბოროდინოს ველზე. მის სახელს ატარებს ქალაქი კალინინგრადის ოლქში (რუსეთის ფედერაცია). ბ-ის ძეგლი დგას თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე, და მოსკოვში – კუტუზოვის პროსპექტზე (ორივე ძეგლის მოქანდაკეა მ. მერაბიშვილი).

ბაიდუკოვი გიორგი ფილიპეს ძე (1907–94), ავიაციის გენ.-პოლკოვნიკი (1961), საბჭოთა კავშირის გმირი (1936). მფრინავ-გამომცდელი. 1937 ვ. *ჩკალოვთან* და ა. *ბელიაკოვთან* ერთად ჩრდ. პოლუსის გავლით ძირს დაუშვებლად გადაფრინდა მოსკოვიდან ვანკუვერამდე (აშშ). მონაწილეობდა სსრკ-ფინეთის (1939–40) და სსრკ-გერმ. (1941–45) ომებში.

ბალანჩივაძე ანდრია მელიტონის ძე (1906–92), კომპოზიტორი, პედაგოგი. საქართვ. (1957) და სსრკ (1968) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. (1969) და სსრკ (1946, 1947) სახელმწ. პრემიების ლაურეატი. ახ. ქართ. საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1981). ავტორია პირველი ქართული ბალეტისა „მთების გული“ (1936). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბალანჩივაძე მელიტონ ანტონის ძე (1863–1937), კომპოზიტორი, ქართული საოპერო მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. სახ. არტისტი (1933), პირველი ქართული ოპერის „თამარ ცბიერის“ (შეიქმნა მე-19–20 სს. მიჯნაზე. პირველად დაიდგა 1926 თბილისში) ავტორი. დაკრძალულია ქ. ქუთაისში.

ბალანჩინი ჯორჯ (ნამდვ. სახელი და გვარი გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე) (1904–83), ამერიკელი ბალეტმაისტერი, ამერ. კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი. მ. *ბალანჩივაძის* შვილი. 1921 დაამთავრა პეტროგრადის მარიამის თეატრთან არსებული თეატრ. სასწავლებელი, 1923 – კონსერვატორია. 1923 ხელმძღვანელობდა პეტროგრადის „ახალგაზრდა ბალეტს“. 1924-იდან ცხოვრობდა საზღვარგარეთ. 1925–29 იყო პარიზის „ს. დიაგილევის რუსული საბალეტო დასის“ მთ. ბალეტმაისტერი. 1933 მიიწვიეს აშშ-ში, სადაც შექმნა „ამერიკული საბალეტო სკოლა“. ბ-ის ხელმძღვანელობით „ნიუ-იორკ სიტი ბალე“ ორჯერ იყო



ჯორჯ ბალანჩინის ძეგლი.

საგასტროლოდ სსრკ-ში (1962, 1972). სპექტაკლები გაიმართა თბილისშიც. შოთა რუსთაველის გამზირზე დგას ბ-ის ძეგლი (მოქანდაკე ვ. მიქაბერიძე). დაკრძალულია ნიუ-იორკში.

ბალმაშევი სტეფანე ვალერიანის ძე (1882–1902), რუსი რევოლუციონერ-ტერორისტი, ესერი. ბ-მა პეტერბურგში მოკლა შინაგან საქმეთა მინისტრი დ. სიპიაგინი, რისთვისაც ჩამოახრჩვეს შლისელბურგის ციხეში.

ბანეთიშვილი ვაჟა ანზორის ძე (1969–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, თადარიგის ლეიტენანტი, დეტექტიური საზ-ბა „დეტას“ ინსტრუქტორი. იბრძოდა აფხაზეთში სპეციალური დანიშნულების ასეულში. დაიღუპა სოფ. შრომასთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ბარათაშვილი ნიკოლოზ მელიტონის ძე (1817–45), პოეტი-რომანტიკოსი. ბ-ის ფსიქ., ფილოს., ლირიკული და პატრ. ხასიათის შემოქმედებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა XIX ს. ქართ. ლიტ-რის განვითარება. ბ-ის შემოქმედება ქართულ საზ-ბას პირველად ი. *ჭავჭავაძემ* გააცნო. თბილისში არის ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი (მის.: ჩახრუხაძის 17); პოეტის სახ. ხიდთან,

◄ პეტრე ბაგრატიონის ძეგლი.



სკვერში, დგას ნ. ბარათაშვილის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ციბაძე). გარდაიცვალა განჯაში მალარიით. 1893 გადმოასვენეს თბილისში, დიდუბის პანთეონში, 1938-იდან მისი ნეშტი მთაწმინდის პანთეონში განისვენებს.

ბარამიძე ალექსანდრე გიორგის ძე (1902–94), ლიტერატურათმცოდნე. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). ძვ. ქართული მწერლობის მკვლევარი, რუსთველოლოგი. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტის დირექტორი (1966–85). მიღებული აქვს ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძისა და ი. ჭავჭავაძის სახ. პრემიები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815–79), რუსეთის არმიის გენ.-ფელდმარშალი (1859), კავკასიის ომების აქტიური მონაწილე (1835-იდან). კავკ. მეფისნაცვალი და ჯარების მთავარსარდალი (1856–62). შექმნა მეფისნაცვლის საბჭო. 1859 წელს დაატყვევა შამილი.

ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ ზაქარიას ძე (1856/57–1934), მწერალი. ქართ. ისტ. რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ისტ. რომანების („ისნის ცისკარი“, „არმაზის მსხვრევა“ და სხვ.) გარდა, წერდა მოთხრობებსა და ნოველებს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ბაქოელი კომისრები, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული ოცდაექვსი ბაქოელი კომისარი. დახვრიტეს 1918 წ. 20 სექტ. კრასნოვოდსკის ესერული მთავრობის გადაწყვეტილებით.

ბაქრაძე აკაკი ვიქტორის ძე (1928–99), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის მთ. რედაქტორი (1961–68), რუსთაველის თეატრის დირექტორი (1973–80), მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1988–89). ბ-ის საჯარო ლექციებმა, პუბლიკაციებმა და წერილებმა დიდად შეუწყო ხელი ეროვნ. მოძრაობის აღმავლობას. 1989–91 იყო სრულიად საქართვ. რუსთაველის საზ-ბის თავ-რე, შემდეგ – ამავე საზ-ბის საპატიო პრეზიდენტი. იკვლევდა ქართ. ლიტ-რის, კინოს, თეატრის პრობლემებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბაქრაძე დავით ილიას ძე (1912–77), საბჭოთა კავშირის გმირი (1944), სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს იბრძოდა ს. კოვპაკის პარტიზანულ რაზმში (იყო პოლკის მეთაური). მონაწილეობა მიიღო 168 ბრძოლაში. ავტორია პარტიზანთა გმირული ბრძოლის ამსახველი რამდენიმე წიგნისა („გმირთა სისხლით“, 1950; „ლეგენდარული რეიდი“, 1968 და სხვ.). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ბაქრაძე დიმიტრი ზაქარიას ძე (1826–90), ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი. ქართ. ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. პეტერბ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1879). ბ. მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბისა და მისი წიგნსაცავის (მუზეუმის) დაარსებაში, მისი ინიციატივით თბილისში შეიქმნა კავკ. არქეოლ. მოყვარულთა საზ-ბა (1873), საეკლესიო მუზეუმი (1889) და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბაქრაძე კონსტანტინე (კოტე) სპირიდონის ძე (1898–1970), ფილოსოფოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1943). შექმნა ორიგინ. კონცეფციები გერმანული იდეალიზმის არსების, დიალექტიკისა და ფორმალური ლოგიკის ურთიერთმიმართების შესახებ, რ-ებიც საყოველთაოდ იყო აღიარებული. სსრკ-ში პირველმა გამოაქვეყნა ლოგიკის სახელმძღვანელო (1946). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბაშალეიშვილი ნათია თეიმურაზის ასული (1972–89), 51-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე. დაიღუპა 1989 წლის 9 აპრილის ღამეს.

ბაჩანა (ნამდვ. სახელი და გვარი – ნიკოლოზ პავლეს ძე რაზიკაშვილი) (1866–1928), პოეტი. *ვაჟა-ფშაველას* ძმა. ბ-ს შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბუნებას, მთიელთა ყოფა-ცხოვრებას. კრებდა მთის ხალხთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბებელი ავგუსტ (1840–1913), გერმანიისა და საერთაშ. მუშათა მოძრაობის მოღვაწე. II ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

ბებუთოვი (ბებუთაშვილი) ვასილ იოსების ძე (1791–1858), რუს. არმიის ინფანტერიის გენერალი, მრავალი ბრძოლის მონაწილე. 1809–11 მსახურობდა საქართვ. მთავარმმართველთან. მონაწილეობდა რუს. 1812 სამამულო ომში. იყო იმერეთისა (1825) და ახალციხის (1828) მმართველი, 1847–57 – ამიერკავკ. მხარის სამოქალაქო მმართველობის უფროსი და მთავარი სამმართველოს საბჭოს თავ-რე. დაიბადა თბილისში, დაკრძალულია იქვე.

ბედია ერმილე (ერიკ) ალექსის ძე (1901–38), საბჭოთა პარტ. მუშაკი, ჟურნალისტი. მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი.

ბედნი დემიან (ნამდვ. სახელი და გვარი ეფიმ ალექსის ძე პრიდვოროვი) (1883–1945), რუსი პოეტი. დაწერილი აქვს პოემები, იგავები, სიმღერები, პაროდიები და სხვ.

ბელიაკოვი ალექსანდრე ვასილის ძე (1897–1982), ავიაციის გენ.-ლეიტენანტი (1943), საბჭ. კავშირის გმირი (1936). როგორც შტურმანი მონაწილეობდა ვ. *ჩკალოვის* ხელმძღვანელობით 1936–37 მოწყობილ ძირს დაუშვებელ გადაფრენებში.

ბელიაშვილი აკაკი იონას ძე (1903–61), მწერალი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის XX ს. ქართ. რომანის განვითარებაში. წლების მანძილზე განაგებდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყ-ბას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბელინსკი ბესარიონ გრიგოლის ძე (1811–48), რუსი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. რეალისტური ესთეტიკისა და კრიტიკის ფუძემდებელი რუს. ლიტ-რაში. პირველმა აღნიშნა საქართვ., კავკასიის როლი და მნიშვნელობა რუს. მწერლობისათვის.

ბენაშვილი ანდრია მიხეილის ძე (1868–1941), ასტრონომ-გეოდეზისტი და სამხ. მოღვაწე, რუს. არმიის გენ.-ლეიტენანტი. საქართველოში გეოდ. განათლების ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). თსუ-ისა და საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის (ახლანდ. ტექ. უნ-ტი) ერთ-ერთი დამაარსებელი. ბ-ის სახელობის იყო თბილისის გეოდ. და კარტოგრაფიის კოლეჯი.

ბენდელიანი ზაზა ჯუმბერის ძე (1969–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, მოხალისე. შენაერთ „თეთრი გიორგის“ ოცმეთაური. დაიღუპა აფხაზეთში, სოფ. ტამიშთან. დაამთავრა თბილისის 61-ე საშ. სკოლა, რ-საც მისი სახელი ეწოდა. ფეხბურთელი. თამაშობდა საქართვ. და სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებში, იყო არაერთგზის ჩემპიონი. დაწესებულია მისი სახელობის მინისაფეხბურთო ყოველწლიური ტურნირი „ბენდელას თასი“. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ბენდელიანი ჭიჭიკო ყაისარის ძე (1914–44), მფრინავი, საბჭ. კავშირის გმირი (1943), გვარდიის მაიორი, მონაწილეობდა სსრკ-გერმ. ომში (1941–45). განახორციელა 410 საბრძოლო გაფრენა. მონაწილეობდა 70-ზე მეტ საჰაერო ბრძოლაში, მოსპო მტრის 30-ზე მეტი თვითმფრინავი. დაიღუპა საჰაერო ბრძოლისას. 2008 ბ-ის ნეშტი უკრაინიდან თბილისში ჩამოასვენეს და საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს.

ბეჟანიშვილი ეკა თამაზის ასული (1973–89), ყოფ. კომაროვის სახ. ფიზ.-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლე. დაიღუპა 1989 წლის 9 აპრილის ღამეს.

ბერია ლავრენტი პავლეს ძე (1899–1953), საბჭოთა კავშირის პოლიტ. და სახელმწ. მოღვაწე. სსრკ მარშალი (1945). 1931–38 იყო საქ. კპ(ბ) ცკ-ის და საკ. კპ(ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის I მდივანი, 1938–45 – სსრკ შინაგან საქმეთა სახ. კომისარი, ამავდროულად 1941 დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავ-რის მოადგილედ, 1944 – თავდაცვის სახელმწ. კომიტეტის თავ-რის მოადგილედ, 1953 – სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რის I მოადგილედ. აქტიურად იყო ჩაბმული მასობრივ რეპრესიებში. ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში დამარცხდა და 1953 დახვრიტეს.

ბერიაშვილი (ბერიევი) გიორგი მიხეილის ძე (1903–79), ავიაკონსტრუქტორი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1961), საინჟ.-ტექ. სამსახურის გენ.-მაიორი. 1934–68 ხელმძღვანელობდა თვითმფრინავმშენებლობის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ჰიდროთვითმფრინავები, რეაქტიული მფრი-

◄ ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლი.

ნავი ნავები, ამფიბია თვითმფრინავები და სხვ. სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი (1947, 1968).

ბერიაშვილი დავით ნიკოლოზის ძე (1921–43), სსრკ-გერმ. ომის (1941–45) მონაწილე. ქართველი მებრძოლი, რ-საც მიანდეს საიდუმლო იარაღის „კატიუშას“ ერთ-ერთი ბატარეის მეთაურობა.

ბერიტაშვილი ივანე სოლომონის ძე (1884–1974), ფიზიოლოგი, ქართული ფიზიოლ. სკოლის ფუძემდებელი. სსრკ (1939), საქართვ. (1941) მეცნ. აკადემიების და სსრკ მედ. მეცნ. აკად. (1944) აკადემიკოსი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941). მრავალი საერთაშ. საზ-ბის საპატიო წევრი. 1919-იდან განაგებდა თსუ-ში თავისსავე დაარსებულ ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლ. კათედრას, 1935–50 – მის ბაზაზე დაარსებულ ფიზიოლ. ინ-ტს. ბ. ავტორია მრავალი ფუნდამენტური ნაშრომისა კუნთოვანი და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის, უმაღლეს ხერხემლიან ცხოველთა ქცევისა და მეხსიერების მახასიათებლების შესახებ. 1975 მისი სახელი მიენიჭა საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიოლოგიის ინ-ტს. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში. იქვე დგას ბიუსტი (მოქანდაკე ს. კაკაბაძე).

ბერიძე ვუკოლ მიხეილის ძე (1883–1963), ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1946). მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენაში. მიღებული აქვს გ. ნიკოლაძის სახ. პრემია (1978). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბერძენიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) ალექსანდრეს ძე (1894/95–1965), ისტორიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947). 1948–65 იყო ი. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინ-ტის დირექტორი, ხოლო 1951–57 – საქართვ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი. ბ-მა, ს. *ჯანაშიასთან* ერთად, ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მისი კვლევის სფერო მოიცავდა საქართვ. ისტორიის თითქმის ყველა დარგსა და ყველა ეპოქას. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ბესიკი (ნამდვ. სახელი და გვარი – ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი) (1750–91), პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე სოლომონ I-ის კარზე. თავისი შემოქმედებით მან ახალი ელფერი შემატა ქართ. სატრფიალო ლირიკას. შექმნა ლექსის სახეობა, რ-იც ბესიკურის სახელწოდებით დამკვიდრდა. გარდაიცვალა რუმინეთში, ქ. იასიში, დაკრძალულია იქვე.

ბექა ოპიზარი (XII ს. II ნახ. – XIII ს. დასაწყისი), ოქრომქანდაკებელი. წარმოშობით ან შემოქმედებითი მოღვაწეობით სავარაუდოდ ოპიზას (კლარჯეთი) უკავშირდება. ჩვენს დრომდე მოაღწია ბ. ო-ის მხოლოდ ორმა ნამუშევარმა – ანჩის ხატის ჩარჩოსა და წყაროსთავის სახარების ყდის მოჭედილობამ.

ბეჭმენ ოპიზარი (XII ს.), ოქრომჭედელი, *ბეკა ოპიზარის* უფროსი თანამედროვე. წარმოშობითა და მოღვაწეობით ოპიზასთან (კლარჯეთი) უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. შემორჩენილია მისი ერთადერთი ნამუშევარი – ბერთის სახარების ყდის მოჭედილობა.

ბოლქვაძე ზაურ ემელიანეს ძე (1933–97), პოეტი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1983). ჟურნ. „ნიანგის“ მთ. რედაქტორი (1980–96). ლექსების გარდა, წერდა სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებს.

ბოროდინი ალექსანდრე პორფირის ძე (1833–87), რუსი კომპოზიტორი და მეცნიერი (ქიმიკოსი). მედ. მეცნ. დოქტორი (1858), აკადემიკოსი (1877). ქართვ. თავადის ლ. გედევანიშვილის (გედეონოვის) შვილი ყმა გლეხის ქალისაგან (ჩაწერილი იყო როგორც თავადის მსახურის – პორფირი ბოროდინის შვილი). ბ. რუს. კლასიკური სიმფონიისა და კვარტეტის ერთ-ერთი შემქმნელია. მსოფლიო ეპიკური სიმფონიზმის მწვერვალია ბ-ის II სიმფონია (1876). მისი ოპერა „თავადი იგორი“ 1898-იდან იდგმება თბილისის ოპერის თეატრში.

ბოცვაძე ზეინაბ ჯაიდირის ასული (1944–94), მსახიობი, საქართვ. დამს. არტისტი (1981). მუშაობდა რუსთაველის თეატრში. გადაღებულია კინოფილმებში („განძი“, „პალიასტომი“, „ნერგები“). ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა რეჟ. თ. აბულაძის ცნობილ ფილმში „მონანიება“. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ბოცვაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე (1866–1919), პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. პედ. მეცნიერებაში კ. უშინსკისა და ი. გოგებაშვილის მიმდევარი, მოითხოვდა საყოველთაო სავალდებულო უფასო სწავლებას მშობლიურ ენაზე. მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში წამყვან როლს ანიჭებდა სკოლას. გამოსცემდა ჟურნ. „განათლებას“ (1908–18). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბოჭორიშვილი ანგია თადეოზის ძე (1902–82), ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), საქართვ. მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1955–57), აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1957–60). დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში ფილოს. ანთროპოლოგიის დაფუძნებაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბოჭორიშვილი ვახტანგ გაბრიელის ძე (1924–2002), ინფექციონისტი, საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის წევრი (1994), რუს. მედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1988). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1985), ნიუ-იორკის მეცნ. აკადემიის წევრი (1989). 1970–73 იყო საქართვ. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. 1979 შექმნა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს სეფსისის საწინააღმდეგო რესპ. ცენტრი (2002-იდან მისი სახელობისაა), რისთვისაც 1985 მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია. იყო საქართვ. პარლამენტის წევრი (1999–2002). დავით აღმაშენებლის გამზირზე დგას ბ-ის ბიუსტი (მოქანდაკე გ. ზაქარაია). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბოჭორიძე მიხეილ (მიხო) ზაქარიას ძე (1873–1913), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ამიერკავკასიაში. რსდმპ კავკ. კავშირის კომიტეტის წევრი. ხელმძღვანელობდა ავლაბრის არალეგალურ სტამბას. 1905 სათავეში ედგა მუშათა შეიარაღებულ რაზმებს თბილისში.

ბოხუა ნოდარ კაზიმირის ძე (1941–95), ქირურგ-ანგიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1985), პროფ. (1985), საქართვ. მთავარი ანგიოლოგი (1982). საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკადემიის წევრი (1994). იკვლევდა გულის იშემიური დაავადების, მამაკაცთა სისხლძარღვოვანი იმპოტენციის, რეკონსტრუქციული მიკროქირურგიის და სხვა საკითხებს. მის სახელს ატარებს ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრი. სისხლძარღვთა ქირურგიის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია იტალიის გულ-სისხლძარღვთა ასოციაციის ოქროს მედლით.

ბრონსე მარი ფელისიტე (1802–80), ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი. პეტერბ. მეცნ. აკად. წევრი (1838). საფუძველი ჩაუყარა მეცნ. ქართველოლოგიას ევროპაში. დიდი წვლილი შეიტანა ქართ. ენისა და ლიტ-რის შესწავლაში. ვერის დაღმართზე, სკვერში, იდგა მისი ძეგლი (მოქანდაკე დ. მიქატაძე).

ბუაჩიძე თენგიზ პავლეს ძე (1926–94), ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1972). იყო საქართვ. კულტურის მინისტრი (1960–65), საქართვ. მწერალთა კავშირის პირველი მდივანი (1973–76), თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა პედ. ინ-ტის რექტორი (1976–82). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ბუაჩიძე სამუელ გრიგოლის ძე (პარტ. ფსევდონიმი ნ ო ე) (1882–1918), რევოლუციონერი, ბოლშევიკი. თერგის საბჭ. რესპ. სახკომსაბჭოს თავ-რე და სამხ. კომისარი. მოკლეს მიტინგზე გამოსვლის დროს. დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ფარცხნალში (ხარაგაულის რ-ნი).

ბუსრკიაშვილი ბესარიონ (ბესიკ) ფირუზის ძე (1958–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, ექიმი, მხედრიონის სპეცდანიშნულების სანიტარიული ჯგუფის უფროსი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ბურძგლა მიხეილ (ბაჩუკი) მიხეილის ძე (1971–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, თბილისის მხედრიონის რაზმის წევრი. დაიღუპა აფხაზეთში, სოფ. კოლხიდასთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ბუში ჯორჯ (დ. 1946), ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტი, აშშ პრეზიდენტის ჯორჯ ჰერბერტ უოკერ ბუშის უფროსი ვაჟი. რესპუბლიკელი. 1994 და 1998 აირჩიეს ტეხასის შტატის გუბერნატორად. 2000 გახდა აშშ პრეზიდენტი. 2004 საპრეზიდენტო არჩევნებში ხელმეორედ გაიმარჯვა. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართვ.–აშშ-ის ურთიერთთანამშრომლობის განვითარებაში. 2005 მაისში ესტუმრა თბილისს.

ბუხაიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე (1904–42), კაპიტანი, სსრკ-გერმ. ომის (1941–45) გმირი. დაიღუპა სოფ. პრავოურვანსკის განთავისუფლების დროს. ი. აბაშიძემ მიუძღვნა ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“ (1942), რ-იც უმალვე გავრცელდა ხალხში და სიმღერად იქცა.




TBILISOBA
fruit festival 25.10.2008



ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე.

გაბაშვილი გიორგი (გიგო) ივანეს ძე (1862–1936), ფერმწერი, ახ. ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. სახ. მხატვარი (1929). თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პროფესორი (1922-იდან). ბატალური და ჟანრული მხატვრობის, პეიზაჟის, ნატურმორტის პიონერი საქართველოში.

გაბაშვილი (ქალიშვილობის გვარი – თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი) ეკატერინე რევაზის ასული (1851–1938), მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ჟურნ. „ჯეჯილის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1890). დიდია მისი დამსახურება ქართ. საბავშვო ლიტ-რის განვითარებაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გაბაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე (1921–2000), ნევროპათოლოგი. საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის წევრი (1994). 1984–89 იყო აკად. პ. სარაჯიშვილის სახ. კლინიკური და ექსპერ. ნევროლოგიის ინ-ტის დირექტორი, 1984–90 – სსრკ მედ. მეცნ. აკად. ნევროლოგიის სამეცნ. საბჭოს თავ-რის მოადგილე. 1984 ეპილეფსიის პრობლემის შესწავლისათვის მიენიჭა საქართვ. სახელმწ. პრემია.

გაბესკირია ვიქტორ იპატის ძე (1903–64), პოეტი, დრამატურგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართვ. მწერალთა კავშირის დრამ. სექციას. ქართ. თეატრების რეპერტუარში შედიოდა მ-ს მრავალი პიესა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გაბრიელი (ერისკაცობაში – გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე) (1825–96), საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მოაზროვნე, პედაგოგი, ფსიქოლოგი, იმერეთის ეპისკოპოსი. მ-ის 1858 პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებს“ (რუს. ენაზე) რუს. სემინარიებში დიდხანს იყენებდნენ სასწავლო სახელმძღვანელოდ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე. 1995 ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. წმინდა მღვდელმთავარ გაბრიელის ხსენების დღეა 7 თებერვალი. დაკრძალულია გელათის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

გაბარინი იური ალექსის ძე (1934–68), რუსი საბჭ. კოსმონავტ-მფრინავი. პირველი ადამიანი, რ-იც კოსმოსში გაფრინდა 1961 წ. 12 IV. პოლკოვნიკი, საბჭ. კავშირის გმირი (1961). ტრაგიკულად დაიღუპა საწვრთნელი ფრენის დროს. მ-ის სახელი ეწოდა ქ. გჟატსკს (რუს. ფედერაცია), მთვარის ერთ-ერთ კრატერს, აგრეთვე, ერთ-ერთ მცირე ცთომილს.

გამრეკელი დავით ალექსანდრეს ძე (1911–77), მომღერალი (ბარიტონი), საქართვ. სახ. არტისტი (1943), რუს. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1951). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950). თბილისის ოპერისა და მოსკოვის აკად. დიდი თეატრის სოლისტი. ეწეოდა პედ. მოღვაწეობასაც. გადაღებულია კინოფილმში „ჯურღაის ფარი“ (1944). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გამრეკელი ირაკლი ილიას ძე (1894–1943), სცენოგრაფი, ქართული სათეატრო მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართველოს ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1934). დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის შოთა რუსთაველის სახ. თეატრის შემოქმედებითი სტილის შემუშავებაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გამსახურდია ზვიად კონსტანტინეს ძე (1939–93), საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1991). მ. იყო ქართ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, რისთვისაც იდევნებოდა საბჭ. რეჟიმის მიერ. 1990 ნოემბერში გახდა საქართვ. უზენაესი საბჭოს თავ-რე. მისი ძალისხმევით, 1991 წ. 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღო. იმავე წლის 26 მაისს მ. საქართვ. პრეზიდენტად აირჩიეს. თბილისის ომის (1991–92) შედეგად მ-მ დაკარგა ძალაუფლება და საქართველო დატოვა. 1993 დას. საქართველოში ჩამოვიდა. ხელისუფლების აღდგენის მცდელობა მარცხით დამთავრდა. დაიღუპა ტრაგიკულად. დაკრძალული იყო ქ. გროზნოში. 2007 მ-ს ნეშტი ჩამოასვენეს თბილისში და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. მ-ს სახელობისაა მონაკვეთი მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე.

გამსახურდია კონსტანტინე სიმონის ძე (1891–1975), მწერალი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1965). საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). მისმა რომანებმა და ნოველებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართ. მხატვრული აზროვნების განვითარებასა და ეროვნ. თვითშეგნების განმტკიცებაში. მ-ს სამწერლო დიდება დაკავშირებულია ისტ. ჟანრის რომანთან („დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვ.). ზ. ფალიაშვილის ქუჩაზე, მისივე სახელობის სკვერში, დგას მ-ს ძეგლი (მოქანდაკე თ. კიკალიშვილი). დაკრძალულია თავისი სახლის – „კოლხური კოშკის“ – ეზოში (მის.: გალის 19).

გამყრელიძე ირაკლი დავითის ძე (1908–71), სოფლის მეურნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი. წლების მანძილზე იყო ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე.

გამყრელიძე პეტრე დიანოზის ძე (1903–79), გეოლოგი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1973). საქართველოსა და კავკასიის რეგიონული გეოლოგიისა და ტექტონიკის თვალსაჩინო მკვლევარი. 1955–78 იყო გეოლოგიური ინ-ტის დირექტორი, სსრკ გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის (1973-იდან) და საფრ. გეოლ. საზ-ბის წევრი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

გამცემლიძე შოთა ლევანის ძე (1922–45), საბჭ. კავშირის გმირი (1945), გვარდიის უმცროსი სერჟანტი. სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს მონაწილეობდა მინსკის განთავისუფლებაში. ქ. აულოვენენთან (აღმ. პრუსია) გამართული ბრძოლებისას მისი ათეული პირველი შეიჭრა ქალაქში და გზა გაუხსნა სატანკო მექანიზებულ შენაერთს. გადამწყვეტ ბრძოლაში მ. ხელყუმბარებით შეუვარდა მტრის ტანკს და გმირულად დაიღუპა.

განი (ჰანი), სენატორი. 1837 მოავლინეს რუსეთიდან საქართველოში გლეხობის მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად. იგი იძულებული გახდა ხაზგასმით აღენიშნა გლეხების ცხოვრების მძიმე პირობები. 1841 გენერალ ე. *გოლოვინთან* ერთად ხელი მოაწერა ამიერკავკ. მხარის გარდაქმნის ანგარიშს. მ. 40-იან წლებში ხელმძღვანელობდა „თბილისის გარეუბნების მომწყობ კომისიას“.

გარიჟული (ნამდვ. გვარი – თ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი - რ ა ტ ი ა ნ ი ს ა) მარიამ ლუკას ასული (1883–1960), მწერალი. ხალხოსანი. წერდა მოთხრობებს, ნარკვევებს, რომანებს. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბავშვო და საყმაწვილო ლიტ-რის განვითარებაშიც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ძმები **გარიშვილები**: ნიკოლოზ საბას ძე (1875–1918) და სტეფანე საბას ძე (1870–1935), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილეები. 1918 წლის 10 თებ. თბილისში, ალექსანდრეს ბაღში გამართულ მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგზე, რ-ის ორგანიზატორები ძმებიც იყვნენ, ნიკოლოზი – სასიკვდილოდ, ხოლო სტეფანე მძიმედ დაიჭრა. შემდგომში სტეფანე თბილისის საბჭოს დეპუტატი გახდა, 1929 შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

გაფრინდაული ზეზვა, სახალხო გმირი, ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (1660) ერთ-ერთი ხელმძღვანელი, თუშების ბელადი. მოიხსენიება ხალხ. პოეზიაში, ასევე ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონში“.

გაფრინდაშვილი ნონა ტერენტის ასული (დ. 1941), მოჭადრაკე, საერთაშ. დიდოსტატი (1976), პირველი საერთაშ. დიდოსტატი ქალი (1978) ვაჟთა შორის. ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი

კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი. ▶



(1962, 1965, 1969, 1972, 1975), ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადების თერთმეტგზის ჩემპიონი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი ქალთა შორის (1969, 1972), საქართვ. ეროვნ. ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი, საქართვ. ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი. თბილისის საპატიო მოქალაქე (2000). ბ-ის სახელობისაა ჭადრაკის სასახლე.

ბახტაძე აკაკი მელიტონის ძე (1909–64), ქიმიკოსი, ბიოორგანული ქიმიის ქართული სკოლის ფუძემდებელი, ქიმ. მეცნ. დოქტორი (1947), პროფესორი (1950). ბ. იყო ნახშირწყლების ქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ყოფ. სსრკ-ში. დაამუშავა დისაქარიდების მიღების ორიგინ. მეთოდი, რ-იც მსოფლიო სამეცნ. ლიტ-რაში „გახოკიძის სინთეზის“ სახელითაა ცნობილი.

გახოკიძე მიხეილ ლევანის ძე (1909–73), საბჭ. კავშირის გმირი (1942). გმირობა მიენიჭა სსრკ-გერმ. ომში (1941–45) სევასტოპოლის დაცვისას გამოჩენილი მამაცობისათვის. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობებზე. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

გეგეჭკორი ალექსი ალექსანდრეს ძე (პარტ. ფსევდონიმი – საშა) (1887–1928), თბილისის რევკომის თავ-რე (1921–22), საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახ. კომისარი (1922–23), მიწათმოქმედების სახ. კომისარი (1924), საქართვ. სახკომსაბჭოს თავ-რის მოადგილე (1922-იდან), საქართვ. და სსრკ ცაკის წევრი. აქტიურად იბრძოდა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გედევანიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე (1883–1957), მეცნიერი ლითონთა ტექნოლოგიის დარგში. საქართველოში უმაღლესი ტექ. განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1944), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1943). მონაწილეობდა ქართ. ტექ. ტერმინოლოგიის შექმნაში.

გეიდენი ლოგინ პეტრეს ძე (1772–1850), გრაფი, რუსი ადმირალი (1833). ეროვნებით ჰოლანდიელი. 1795-იდან იყო რუს. სამსახურში. მონაწილეობდა რუს. ფლოტის საბრძოლო მოქმედებებში, მ. შ. უშაკოვის ლაშქრობაში (1798–1800) და ნავარინოს ბრძოლაში (1827).

გელოვანი არჩილ ვიქტორის ძე (1915–78), საინჟინრო ჯარების მარშალი. ლენინური (1968) და სახელმწ. (1977) პრემიების ლაურეატი. 1953 დანიშნეს სსრკ სამხ.-საზღვაო ძალების მთ. სამმართველოს უფროსად, 1962-იდან საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა სსრკ სარაკეტო ჯარებში, 1974-იდან იყო სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე მშენებლობისა და ჯარების დაბინავების დარგში. დაკრძალულია მოსკოვში, „ნოვოდევიჩიეს“ სასაფლაოზე. თბილისში, ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, დგას ბ-ის ბიუსტი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

გელოვანი მირზა (რევაზ) გედეონის ძე (1917–44), პოეტი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975, სიკვდილის შემდეგ). მის პოეზიაში აისახა საქართვ. მდიდარი კულტურული წარსული და აწმყო. აქვს სამიჯნურო ლექსები. დაიღუპა სსრკ-გერმ. ომში. დაკრძალულია ბელორუსიაში. ბ-ის სახელობისაა თბილისის ერთ-ერთი ბ-კა. ახალგაზრდულ ქალაქ ჟიული შარტავაში იდგა ბ-ის ძეგლი (მოქანდაკე გ. შხვაცაბაია, დაიკარგა 1998).

გელოვანი გესია მირონის ასული (1855–82), რუსი რევოლუციონერ-ტერორისტი, ხალხოსანი. რუს. იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის (1881) მიუსაჯეს ჩამოხრჩობა, მაგრამ ფეხმძიმობის გამო სამუდამო კატორღით შეუცვალეს.

გერშუნი გრიგოლ ანდრეის ძე (1870–1908), ესერთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი. „მებრძოლი ორგანიზაციის“ ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. 1903 დააპატიმრეს. 1904 სიკვდილი მიუსაჯეს, რაც შემდეგ სამუდამო კატორღით შეუცვალეს. 1906 მოახერხა შლისელბურგის ციხიდან გაქცევა. გარდაიცვალა საზღვარგარეთ.

გერცენი ალექსანდრე ივანეს ძე (1812–70), რუსი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი. ბ-ის ფილოს. ნაშრომებიდან უმთავრესია „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“. ბ-თან პირადი ურთიერთობა ჰქონდა არაერთ ქართველ მოღვაწეს, მ. შ. ს. *დოდაშვილს*, ი. მამაცაშვილს, ნ. *ნიკოლაძეს*. მასთან განსაკუთრებით ახლოს იყო ნ. ნიკოლაძე, რ-მაც რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა ბ-ისა და ნ. ოგარიოვის მიერ გამოცემულ გაზ. „კოლოკოლში“.

გვეტაძე რაჟდენ მათეს ძე (1897–1952), მწერალი. იყო ჟურნ. „დროშის“ რედაქტორი (1930), გამომც. „ფედერაციის“ დირექტორი (1935–50). წერდა სიმბოლისტურ-დეკადენტურ, შემდეგ კი თავისი დროის პრობლემების ამსახველ ლექსებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გივიშვილი დავით სოლომონის ძე (1850–1916), აშუღი, ძველი თბილისის ქალაქური პოეზიის წარმომადგენელი. მის ლექსებზე შეიქმნა სიმღერები. ბ-ის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ბოჰემური განწყობილება, ძმობა-ვაჟკაცობის კულტი, სატრფიალო და სოც. თემატიკა. დაკრძალულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

გიორგი V ბრწყინვალე, საქართველოს მეფე 1318–46, *დემეტრე II* თავდადებულის ძე. სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ ქვეყანა გაათავისუფლა მონღოლთა ასწლოვანი ბატონობისაგან და აღადგინა მისი პოლიტ. მთლიანობა. ბ. V-ის მეფობის დროს ქართველებმა იერუსალიმში თავისუფლად შესვლის უფლება მოიპოვეს. მისივე ხელმძღვანელობით თბილისში შეიქმნა საკანონმდებლო ძეგლები: „ხელმწიფის კარის გარიგება“ და „ძეგლის დება“.

გიორგი ათონელი (უფრო მეტად ცნობილია გიორგი მთაწმიდელის სახელით) (1009–65), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ეროვნ. კულტურის მოამაგე. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნ.-ლიტ. საქმიანობის სულისჩამდგმელი. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბ. ა. წმინდანად შერაცხა. ღირსი გიორგი მაშენებლის (ათონელის) ხსენების დღეა 10 აგვისტო.

გიორგი მერჩულე, X ს. მწერალი, ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელი. მოღვაწეობდა ხანძთის სავანეში. მისი მსოფლმხედველობა საინტერესოა ქართ. საზ. და ფილოს. აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით. ავტორია ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებისა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

გიორგი ჭყონდიდელი, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი (გ. დაახლ. 1118), საქართველოს სამეფო კარის ვაზირი (დაახლ. 1104–18), ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს პირველი მფლობელი. დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გამტარებელი. ქმედით მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში.

გლინკა მიხეილ ივანეს ძე (1804–57), რუსი კომპოზიტორი, რუსული კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მის შემოქმედებაში პირველად აისახა კავკასიური თემატიკა. ბ-ს რომანსს „ნუ მღერ ლამაზო“, საფუძვლად დაედო ქართული მელოდია. 1880 თბილისის ოპერის სცენაზე დაიდგა მისი ოპერები „ივან სუსანინი“ და „რუსლან და ლიუდმილა“. ბ-მ უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომი თაობის რუს კომპოზიტორებზე.

გმაინერი ჰერმან (1919–86), არასამთავრობო ორგანიზაციის SOS-ბავშვთა სოფლის დაარსების ინიციატორი. ორგანიზაციის მიზანია დაეხმაროს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს. ბ-მა პირველი „ბავშვთა სოფლის“ მშენებლობა დაიწყო ტიროლის პატარა ქალაქ იმსტში (ავსტრია), შემდეგ ასოციაციისა და ჰ. გმაინერის სახ. ფონდის დახმარებით ასეთი „ბავშვთა სოფლე-

გიორგი (გიგო) გაბაშვილი. „ძველი თბილისის კუთხე“.



ბი“ დაარსდა სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში SOS-ბავშვთა სოფელი „თბილისი“ გაიხსნა 1996 (მის.: ჰ. გმაინერის 1).

გობრონიძე ალექსი (ალეკო) ალექსანდრეს ძე (1941–92), სამეურნეო მუშაკი. იყო საქართვ. კომპარტიის ქ. თბილისის გლდანის რ-ნის სახალხო კონტროლის თავ-რე. გ-ის სახელს უკავშირდება გლდანის რ-ნის კეთილმოწყობა და ეკონ. განვითარება. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე (1840–1912), პედაგოგი, საქართველოში მეცნ. პედაგოგიკის ფუძემდებელი, ქართული საბავშვო ლიტერატურისა და პრესის მამამთავარი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მატერიალური შემწე, „დედა ენის“ და „ბუნების კარის“ ავტორი. 1965 გ-ის სახელი ეწოდა პედ. მეცნიერებათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტს. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

გოგიბერიძე მოსე ივანეს ძე (1897–1949), ფილოსოფოსი, თსუ-ის პროფესორი (1930-იდან). მისი ძირითადი შრომები ეხება ფილოს. ისტორიას, შემეცნების თეორიის აქტუალურ საკითხებს, ბუნებისმეტყველების ფილოსოფიას. დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში თანამედროვე ფილოს. ძირითადი პრინციპების დაფუძნების საქმეში, ნათელყო რუსთაველის მსოფლმხედველობის კავშირი ქართ. ქრისტ. მწერლობასთან და, საერთოდ, ქრისტ. კულტურასთან. იყო რეპრესირებული, გარდაიცვალა აქტიუბინსკში (ყაზახეთი), 1954 გადმოასვენეს თბილისში.

გოგლიძე ვიქტორ არსენის ძე (1905–64), მოჭადრაკე. პირველი ქართველი სპორტის ოსტატი (1930) ჭადრაკში, საერთაშორისო ოსტატი (1950), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1941). საკავშირო კატეგორიის მსაჯი (1949). თბილისის ჩემპიონი, საქართველოს ჩემპიონი (1928), სსრკ ჩემპიონატის სამგზის მონაწილე. საქართვ. ჭადრაკის ფედერაციის თავ-რე (1936–56). მისი თაოსნობით გაიხსნა ბავშვთა საჭადრაკო სკოლა თბილისში (1957).

გოგოლაური ალექსი, ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (1660) გმირი. ფშაველთა რაზმის მეთაური.

გოგოლი ნიკოლოზ ვასილის ძე (1809–52), რუსი მწერალი, კლასიკოსი. ამხელდა რუს. თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული მმართველობის სისტემას. ეს თემა უფრო ფართო მასშტაბითაა განზოგადებული მის დრამ. ნაწარმოებში „რევიზორი“. გ-ის მნიშვნელოვანი ქმნილებაა რომანი-პოემა „მკვდარი სულები“. თბილისში 9 აპრილის სახ. ბაღში იდგა მისი ბიუსტი (მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი). დაიკარგა 1990.

გოთუა ლევან პართენის ძე (1905–73), მწერალი. 1921 თებერვალში მოხალისედ იბრძოდა კოჯორთან. მონაწილეობდა 1924 წ. აჯანყების მზადებაში. ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით სხვადასხვა დროს სასჯელს იხდიდა შორეულ ციმბირში. წერდა მოთხრობებს, დრამებს, ისტ. რომანებს. ავტორია ცნობილი რომანისა „გმირთა ვარამი“. დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს ტაძრის ეზოში.

გოკიელი ივანე (ვანო) რაფიელის ძე (1899–1972), კომპოზიტორი და პედაგოგი, საქართვ. სახ. არტისტი (1969). იყო საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავ-რე (1938–42), თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის დირექტორი (1942–44), საქართველოში სიმფონიური ორკესტრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაწერილი აქვს ოპერა „პატარა კახი“ (1942) და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გოლოვინი ევგენი ალექსანდრეს ძე (1782–1858), რუსი სამხ. და სახელმწ. მოღვაწე. ინფანტერიის გენერალი (1839). კავკ. მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1838–42). აქტიურ საომარ ოპერაციებს აწარმოებდა შამილის წინააღმდეგ. განამტკიცა რუს. გავლენა კავკასიაზე. მის დროს შემუშავდა დებულება „თბილისის



მაქსიმ გორკის ძეგლი.

საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ“, რ-ის ძალითაც ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას უფლება მიეცა შეექმნა ქალაქის გამგეობა ქალაქისთავისა და ექვსი „ხმოსნის“ შემადგენლობით.

გონაშვილი ჰამლეტ დიმიტრის ძე (1928–85), მომღერალი, საქართვ. სახ. არტისტი (1980). 1953–69 საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის წამყვანი მომღერალი იყო, 1969–85 ანსამბლ „რუსთავში“ მოღვაწეობდა. ჰქონდა იშვიათი სილამაზის, რბილი ტემბრის ხმა, ვირტუოზული საშემსრულებლო ტექნიკა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გორკი მაქსიმ (ნამდვ. გვარი და სახელი – პეშკოვი ალექსი მაქსიმის ძე) (1868–1936), რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი. ერთხანს ცხოვრობდა თბილისში (1891-იდან). აქ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“. მისი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ქართ. დემოკრ. ინტელიგენციის წარმომადგენლებთან სიახლოვემ. ტ. გრანელის ქუჩაზე დგას გ-ს ძეგლი (მოქანდაკე ა. თოფურიძე).

გოცირიძე ნიკოლოზ (ნიკო) სიმონის ძე (1872–1949), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1924). მუშაობდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში. გამოირჩეოდა დიდი კომედიური ნიჭით, სცენური მომხიბვლელობით. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გოჟიაშვილი ვასილ (ვასო) დავითის ძე (1905–76), მსახიობი, საქართვ. (1953) და სსრკ (1958) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის (1971) და სსრკ სახელმწ. პრემიის



ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლი.



ლადო გუდიაშვილის ძეგლი.

(1952) ლაურეატი. 1924–30 იყო რუსთაველის თეატრის, 1930-იდან გარდაცვალებამდე – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. **ზ.** გამოირჩეოდა მკაფიო აქტიორული ინდივიდუალობით, მაღალი პროფ. ოსტატობით. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაშიც. იყო ესტრადის მსახიობთა I საკავშირო კონკურსის ლაურეატი. წარმატებით მოღვაწეობდა კინოშიც. 2006 **ზ.**-ის სახელი ეწოდა ა. ყაზბეგის გამზირზე მდებარე წითელ ბაღს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲘ ტერენტი სამსონის ძე (ნამდვ. გვარი – კვირკველია) (1897–1934), პოეტი, თვალსაჩინო ლირიკოსი. ცხოვრების მძიმე პირობებმა **ზ.**-ის პოეზიაში მარტოობის და განწირულობის განცდა შემოიტანა. დაკრძალული იყო პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, 1987 გადაასვენეს დიდუბის პანთეონში.

ᲒᲠᲘᲑᲝᲔᲓᲝᲕᲘ ალექსანდრე სერგეის ძე (1795–1829), რუსი მწერალი და დიპლომატი. მსახურობდა დიპლომატიურ მოხელედ თბილისში (1822-იდან). ცოლად შეირთო ა. *ჭავჭავაძის* ასული ნინო. თბილისში ცხოვრების დროს **ზ.** ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. აქ დაწერა „მგზავრის წერილები“, ორი აქტი კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“ და სხვ. **ზ.**-ის სახელობისაა თბილისის სახელმწ. რუს. დრამ. თეატრი. მტკვრის მარცხ. სანაპიროზე დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე მ. მერაბიშვილი). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ᲒᲠᲘᲑᲝᲚ ᲮᲐᲜᲫᲗᲔᲚᲘ (759–861), სასულიერო მოღვაწე და მწერალი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი. **ზ.** ხ-ის ძალისხმევით ხანძთა ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერად იქცა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ვრცლად აღწერა *გიორგი მერჩულემ.* ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. ღირსი მამის გრიგოლ ხანძთელის ხსენების დღეა 18 ოქტომბერი.

ᲒᲠᲘᲖᲝᲚᲣᲑᲝᲕᲐ ვალენტინა სტეფანეს ასული (1910–93), მფრინავი, საბჭ. კავშირის გმირი (1938), პოლკოვნიკი (1943). 1938 პ. *ოსიპენკოსა* და მ. *რასკოვასთან* ერთად ანტ-37 თვითმფრინავით ძირს დაუშვებლად გადაფრინდა მოსკოვიდან შორეულ აღმოსავლეთში, რითაც დაამყარა საერთაშ. რეკორდი ქალთა შორის შორს ფრენაში.

ᲒᲠᲘᲜᲔᲕᲘᲪᲙᲘ იგნატი იოახიმის ძე (1855/56–81), რუსი რევოლუციონერ-ტერორისტი. „ნაროდოვოლეცი“. 1881 „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრ. კომიტეტის გადაწყვეტილებით ყუმბარის აფეთქებით მოკლა რუს. იმპერატორი ალექსანდრე II და თვითონაც სასიკვდილოდ დაიჭრა.

ᲒᲠᲘᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ნამდვ. გვარი – მამულაიშვილი) იოსებ გრიგოლის ძე (1889–1965), პოეტი, საზოგადო მოღვაწე. საქართვ. სახ. პოეტი (1959), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946). **ზ.** წერდა ქალაქური ყოფის ამსახველ და ინტიმურ-სატრფიალო ლექსებს. შთამბეჭდავად აღწერდა თბილისის კოლორიტულ წარსულს და თანამედროვეობას. დიდი ამაგი დასდო საბავშვო ლიტ-რის განვითარებასაც. საყურადღებოა **ზ.**-ის ლიტ. გამოკვლევები, თარგმანები და სხვ. **ზ.**-ის სახელობისაა თბილისის ისტორიის სახელმწ.

მუზეუმი. მის ყოფილ სახლში, ხარფუხში, გახსნილია გ-ის ბ-კა-მუზეუმი (მის.: ალგეთის 1). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

გრომოვი მიხეილ მიხეილის ძე (1899–1985), ავიაციის გენ.-პოლკოვნიკი (1944), საბჭ. კავშირის გმირი (1934). 1937 ა. იუმაშევსა და ს. დანილინთან ერთად ძირს დაუშვებლად გადაფრინდა მარშრუტით: მოსკოვი–ჩრდ. პოლუსი–აშშ. სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს იყო სხვადასხვა ფრონტის სამხ.-საჰაერო ძალების სარდალი.

გრუზინსკი (ბაგრატიონი) პეტრე პეტრეს ძე (1920–84), პოეტი და დრამატურგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1979). ბაგრატიონთა სამეფო გვარის შთამომავალი. გ-ის სცენარებზე შეიქმნა არაერთი ქართ. ფილმი, მუს. კომედია. მისი ბევრი ლექსი სიმღერად იქცა. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

გუდიაშვილი ლადო (ვლადიმერ) დავითის ძე (1896–1980), ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი. საქართვ. (1958) და სსრკ (1972) სახ. მხატვარი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1965). თბილისის საპატიო მოქალაქე (1979). გ-ს დიდი წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართ. ფერწერის განვითარებაში. მისი მოხატულია ქაშვეთის ეკლესიის საკურთხეველი, მანვე დაასურათა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი (1934), სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ (1939). საერთაშ. ასტრონ. კავშირმა რ. ვესტის მიერ აღმოჩენილ მცირე ცთომილს გ-ის სახელი უწოდა. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. საფლავზე დგას ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი). გ-ის ძეგლი დგას, აგრეთვე, ცხრა აპრილის სახ. ბაღში (მოქანდაკე დ. მიქატაძე).



ლადო გუდიაშვილი. თევზი „ცოცხალი“.

გუდოვიჩი ივანე ვასილის ძე (1741–1820), რუს. არმიის გენ.-ფელდმარშალი (1807), გრაფი (1797). საქართვ. მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1806–09). დაიპყრო ბაქოს, შაქისა და დერბენდის სახანოები.

გულია დიმიტრი იოსების ძე (1874–1960), აფხაზი მწერალი, აფხ. ლიტ-რის ფუძემდებელი. აფხ. სახ. პოეტი (1937). კ. მაჭავარიანთან ერთად რუს. გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აფხ. ანბანი. გ-მ აფხაზურად თარგმნა ვეფხისტყაოსანი და სხვ. თბილისში, მდ. მტკვარზე, არის მისი სახელობის ხიდი-აკვედუკი, დ. გულიას ქუჩაზე დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე ვ. ივანბა).

გულისაშვილი ვასილ ზაქარიას ძე (1903–79), მეტყევე-ეკოლოგი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1955). 1945-იდან ხელმძღვანელობდა თბილისის სატყეო ინ-ტს, იყო საქართვ. მეცნ. აკად. ბუნების დაცვის კომისიის თავ-რე, საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1974). 1980 გ-ის სახელი ეწოდა საქართვ. სამთო მეტყევეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

გულუა გია აბიბოს ძე (1956–94), სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენ.-მაიორი (1992). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. მისი სახელი მინიჭებული აქვს სპეცდანიშნულების სამხ. რაზმს. მოკლეს ტერორისტებმა. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

გუნია ვალერიან ლევანის ძე (1862–1938), მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი, კრიტიკოსი, თეატრ. მოღვაწე. საქართვ. სახ. არტისტი (1933). ქართ. თეატრის თვალსაჩინო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. თეატრში რეალისტური მიმართულების დამკვიდრებასა და ქართვ. პროფესიონალ მსახიობთა აღზრდაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

გურამიშვილი დავით გიორგის ძე (1705–92), პოეტი. აღორძინების ხანის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ჭაბუკობისას ლეკებმა მოიტაცეს, ტყვეობიდან გაიქცა და სიცოცხლის ბოლომდე – რუსეთში, შემდეგ კი უკრაინაში ცხოვრობდა. გ-ის ფილოს., დიდაქტ.-საგანმანათლებლო ჟანრის ლექსებმა, ისტ.-პატრ. და საყოფაცხოვრებო ხასიათის ორმა პოემამ ჩვენამდე მოაღწია ერთადერთი ავტობიოგრაფიული კრებულის „დავითიანის“ სახით. გარდაიცვალა უკრაინაში, მირგოროდში. დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში. გ-ის სახელობისაა მეტროს ერთ-ერთი სადგური. ი. ჭავჭავაძის გამზირზე დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

გურგენიძე გიორგი (გუგა) რევაზის ძე (1965–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, ლეიტენანტი, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომელი. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, დაიღუპა სოფ. გუმისთასთან. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

გურგულია ინოლა ლუკას ასული (1929–77), მომღერალი, კომპოზიტორი, ინგლისური ენის სპეციალისტი. დააარსა ქალთა ვოკალური ტრიო. ანსამბლში განსაკუთრებული ემოციური მუხტი შეჰქონდა მის საკუთარ სიმღერებს, რ-ებიც დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

გურიელი მამია დავითის ძე (1836–91), პოეტი. მის პოეზიას რომანტიკოსებისა და თერგდალეულების გავლენა ეტყობა. ძირითადი მოტივია პატრიოტიზმი. მოუწყობელი საზ. და პირადი ცხოვრების გამო მის ლექსებში აისახა მარტოობით და სიღარიბით გამოწვეული სულიერი განცდები, მელანქოლია. გ-ის ცნობილი ლექსია „ადამიანი“. მისი ფსევდონიმი იყო „ფაზელი“.

დავით გურამიშვილის ძეგლი. ▶



2. da



დადიანი შალვა ნიკოლოზის ძე (1874–1959), მწერალი, დრამატურგი, მსახიობი. საქართ. სახ. არტისტი (1923). თბილისში დააარსა ქართველ მსახიობთა კავშირი (1917), ხელმძღვანელობდა საქართ. ხელოვნების მთავარ სამმართველოს (1928-იდან), თეატრალურ საზბას (1945–59). ავტორია პოპულარული პიესებისა, რომანებისა. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში დგას დ-ის ბიუსტი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

დადიანი ცოტნე შერგილის ძე, საქართველოს დიდგვაროვანი ფეოდალი XIII ს. I ნახევარში. მონაწილეობდა 1245 მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილ კოხტასთავის შეთქმულებაში. დ. შემთხვევით გადაურჩა შეთქმულების სხვა მონაწილეებთან ერთად დაპატიმრებას. ჟამთააღმწერლის ცნობით, იგი ჩავიდა ანისში და შეუერთდა დატყვევებული თანამოძმეებს. დ-ის გმირულმა საქციელმა მონღოლები გააოცა და ტყვეები გაათავისუფლეს. 1999 ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დ. წმინდანად შერაცხა. წმინდა აღმსარებლის ცოტნე დადიანის ხსენების დღეა 12 აგვისტო. დ. გამოსახულია ხობის ეკლესიის უძველეს ფრესკაზე.

დავით IV აღმაშენებელი (1073–1125), საქართველოს მეფე (1089-იდან). გიორგი II-ის ძე. გამეფებისთანავე შეუდგა საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის მოწესრიგებას. გაატარა რეფორმები და შექმნა სახელმწ. მმართველობის მწყობრი სისტემა. მისი სარდლობით, 1121 წ. 12 აგვ., დიდგორთან, საქართველოს ლაშქარმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება, რის შემდეგაც დ. IV-მ თბილისი უცხოელ დამპყრობთა 400-წლიანი ბატონობისგან იხსნა; სამეფო რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა და საქართველოს უდიდეს ეკონ. და პოლიტ. ცენტრად აქცია. დ. IV იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მოღვაწე, კულტურისა და განათლების დიდი მოამაგე. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღმაშენებელი წმინდანად შერაცხა. წმინდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა 8 თებერვალი. მისი სახელობისაა დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი ორდენი. დიღომში, მისივე სახელობის ხეივნის დასაწყისში, დგას დავით აღმაშენებლის ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

დავითაია თეოფანე ფარნას ძე (1911–79), გეოგრაფი, აგრომეტეოროლოგი და კლიმატოლოგი. საქართ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართ. (1971) და სსრკ (1973) სახელმწ. პრემიების ლაურეატი, საქართ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). იყო საქართ. მეცნ. აკად. დედამიწის შემსწავლელ მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1963–79), გეოგრ. ინ-ტის დირექტორი (1962–79), საქართ. გეოგრ. საზ-ბის პრეზიდენტი (1970–79), საერთაშ. გეოგრ. კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1972–79) და სხვ. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

დავითაშვილი იოსებ სიმონის ძე (1850–87), პოეტი. წერდა პატრიოტულ, გლეხებისა და მუშა-ხელოსანთა ცხოვრების ამსახველ ლექსებს. დ-ს დიდად აფასებდნენ ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი.

დავითაშვილი ლეო შიოს ძე (1895–1977), გეოლოგი, პალეონტოლოგ-ევოლუციონისტი, საქართ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), საქართ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1949). 1978 დ-ის სახელი მიენიჭა საქართ. მეცნ. აკად. პალეობიოლოგიის ინ-ტს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

დავითაშვილი რამაზ თამაზის ძე (1972–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, ვიცე-პოლკოვნიკი. დაამთავრა თბილისის 31-ე საშ. სკოლა. სწავლობდა ტალინის სამხ. სასწავლებელში. იყო მანგლისის სასწ. ცენტრის უფროსი, მობილური ძალების სამხ. ნაწილის მეთაურის სამხ. მრჩეველი. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მოხალისედ. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

დავით IV აღმაშენებელი.
გელათის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატულობა.

დავით გარეჯელი, ერთ-ერთი ასურელი მამა, საქართველოში მოვიდა ანტიოქიიდან VI ს. I ნახევარში, გარეჯის მრავალმთის სანახებში დააარსა მონასტერი და იყო მისი პირველი წინამძღვარი. დ. გ-ის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო საქართველოში ქრისტ. რელიგიის განმტკიცებას. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. მისი სახელობის დღესასწაულია მამადავითობა, რ-იც იმართება ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს თბილისში, მთაწმინდაზე.

დავითი (ძვ. წ. XI ს. მიწურული, – დაახლ. ძვ. წ. 950), იუდეველთა და ისრაელთა გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი და პირველი მეფე. დ-მა გაერთ. სამეფოს დედაქალაქად იერუსალიმი აირჩია და რელიგ. ცენტრადაც გამოაცხადა, ამ მიზნით აქ „კიდობანი იგი შჯულისაჲ“ გადმოასვენა. დ-ის დინასტიამ ძვ. წ. 586-მდე იმეფა. დ. ტრადიციულად ითვლება ფსალმუნის (ქართ. – დავითნი) შემდგენლად. წმინდა მეფსალმუნე დავით მეფის ხსენების დღე მოძრავია და მოიხსენიება ქრისტეშობის შემდგომ კვირიაკეს, ხოლო თუ ქრისტეშობა დაემთხვა კვირიაკეს, მაშინ – 8 იანვარს.

დარასელია ვიტალი კუხინის ძე (1957–82), სპორტსმენი (ფეხბურთი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1981). 1975–82 იყო თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 192 მატჩი (26 გოლი), სსრკ ნაკრების შემადგენლობაში – 22 მატჩი (3 გოლი). 1982 მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. სსრკ ჩემპიონი (1978), სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 1979), ევრ. ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1980). 1981 თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში მოიპოვა ევრ. ქვეყნების თასების მფლობელთა თასი (გაიტანა გადამწყვეტი გოლი). ხუთჯერ შეიყვანეს სსრკ 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში.

დგებუაძე ორდე სოლომონის ძე (1905–63), მწერალი. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1938-იდან. მისი ნაწარმოებები უმთავრესად დეტექტიური ჟანრისაა. ეკუთვნის კინოსცენარი ფილმისა „მე ვიტყვი სიმართლეს“ (ლ. ხოტივარის თანაავტორობით). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

დეკაბრისტები, რუსი რევოლუციონერები, თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ 1825 დეკემბრის შეიარაღებული გამოსვლის ორგანიზატორები. ავჯანყების გამჟღავნებისა და დამარცხების შემდეგ ერთი ნაწილი გადმოასახლეს კავკასიაში, კერძოდ, თბილისში. დ-ის გავლენა განიცადეს 1832 წ. შეთქმულების მონაწილეებმა (ს. დოდაშვილმა და სხვ.).

დემეტრე (დიმიტრი) II თავდადებული (დაახლ. 1259–89), საქართველოს მეფე 1271–89. დავით VII-ის ძე. დ. II იძულებით მონაწილეობდა ილხანთა სახელმწიფოს დინასტიურ ბრძოლებში. 1288 გამომჟღავნდა შეთქმულება ყაენის წინააღმდეგ და ამ მიზეზით დ. II ყაენთან დაიბარეს. მონღოლთა დამსჯელი ექსპედიციის თავიდან ასაცილებლად დ. II ეახლა ყაენს, რ-ის ბრძანებით მას თავი მოჰკვეთეს. ქართველმა ხალხმა დ. II-ს თავდადებული უწოდა. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. წმინდა მეფე დემეტრე თავდადებულის ხსენების დღეა 25 მარტი.

დესიმონი ანდრეი ფრანცის ძე (გ. 1879), ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკი (1838), კანცელარიის დირექტორი (1841), ვიცე-გუბერნატორი (1842–46). „თბილისის გარეუბნების მომწყობი კომისიის“ თავრე (1856), კავკ. მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი (1850–59), კავკ. მეფისნაცვლის საბჭოს წევრი (1859–68).

დვალი რაფიელ რაფიელის ძე (1909–85), მეცნიერი მანქანათმშენებლობის დარგში. საქართ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), ვიცე-პრეზიდენტი (1958–72), საქართ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). საქართ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1973). საქართ. მეცნ. აკად. მანქანათა მექან. ინ-ტის შექმნის (1960) ერთ-ერთი ინიციატორი და დირექტორი (1962, 1972–85). 1994 ინ-ტს დ-ის სახელი ეწოდა. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.





დიდუბე.

დიმიტრი კონსტანტინეს ძე (1860–1919), დიდი მთავარი, *კონსტანტინე ნიკოლოზის ძის* მესამე ვაჟი. იყო კავკ. გრენადერთა დივიზიის მე-16 სამეგრელოს პოლკის შეფი. ფლიგელ-ადიუტანტი. 1893-მდე მუშაობდა ლაიბგვარდიის ცხენოსანთა პოლკში, შემდეგ დაინიშნა ცხენოსან გრენადერთა პოლკის უფროსად. დახვრიტეს პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში.

დიშა ალექსანდრ (მამა) (1802–70), ფრანგი მწერალი. განსაკუთრებული პოპულარობა მოუტანა სათავგადასავლო და საფრ. ისტ. ამსახველმა რომანებმა. კავკასიაში მოგზაურობის დროს დ. ეწვია საქართველოს. შთაბეჭდილებები აღწერა წიგნში „კავკასია“. დ. თბილისში ცხოვრობდა 1858 ნოემბრიდან 1859 იანვრის ჩათვლით.

დობროლიუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1836–61), რუსი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. დ. დიდი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა ქართვ. სამოციანელთა („თერგდალეულთა“) შორის. დ-ის მემკვიდრეობამ გარკვეული გავლენა მოახდინა ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის და სხვა ქართვ. მოღვაწეთა შემოქმედებაზე.

დოდაშვილი სოლომონ ივანეს ძე (1805–36), განმანათლებელი, ფილოსოფოს-ლოგიკოსი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. იყო გაზ. „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი. 1827 გამოსცა „ლოგიკა“ (რუს. ენაზე), 1830 – „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“. მასვე ეკუთვნის ქართ. ლიტ-რის პერიოდიზაციის პირველი ცდა. 1832 დააპატიმრეს რუს. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის, ხოლო 1834 გადაასახლეს ვიატკაში, სადაც გარდაიცვალა. 1994 მისი ნეშტი გადმოასვენეს მთაწმინდაზე.

დოლიძე გიორგი (გოგი) ლეონიდეს ძე (1954–96), მომღერალი, ასრულებდა ხალხურ და საესტრადო სიმღერებს. საქართვ. დამს. არტისტი, საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1998, გარდაცვალების შემდეგ). ანსამბლ „ქართულ ხმებთან“ ერთად წარმატებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. 1999 დაასახელეს საქართველოში XX ს. საუკეთესო საესტრადო მომღერლად მამაკაცებს შორის. დავით აღმაშენებლის გამზირზე დგას დ-ის ბიუსტი (მოქანდაკე თ. აბრამიშვილი). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

დოლიძე ვიქტორ ისიდორეს ძე (1890–1933), კომპოზიტორი, ქართული კომიკური ოპერის ფუძემდებელი. შექმნა 3 ოპერა, მ. შ. „ქეთო და კოტე“, რის მიხედვითაც გადაღებულია ამავე სახელწოდების კინოფილმი. აქვს, აგრეთვე, სიმფ. ნაწარმოებები, რომანსები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

დოლიძე სიმონ (სიკო) ბესარიონის ძე (1903–83), კინორეჟისორი და კინოდრამატურგი, ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სსრკ სახ. არტისტი (1965). 1928 კინოსტუდიაში ჩამოაყალიბა კინოქრონიკის სექტორი, რ-საც თვითონვე ხელმძღვანელობდა. გადაიღო დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, დაწერა სცენარები ფილმებისათვის. 1950 ფილმისათვის „ჯურღაის ფარი (1944, დ. რონდელთან ერთად) დაიმსახურა სსრკ სახელმწ. პრემია. 1957–76 იყო საქართვ. კინემატოგრაფისტთა კავშირის თავ-რე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

დონდუა ხათუნა ენრიკოს ასული (1961–99), პირველი „მზიურელი“, ბავშვთა ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლის „მზიურის“ სოლისტი, სოლო გიტარისტი და პრესმდივანი. ტელერადიომაუწყებლობის სახელმწ. კომიტეტის საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ გამომშვები რედაქტორი და წამყვანი. 2006 დ. საქართვ. ჟურნალისტთა ფედერაციამ „ოქროს ფრთით“ დააჯილდოვა. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე (1820–93), თავადი, გენ.-ადიუტანტი (1869), კავალერიის გენერალი (1878). მონაწილეობდა კავკასიის და სხვ. ომებში. კავკასიის მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1882–90). იყო მ. *კორონცოვის* ადიუტანტი; გამოქვეყნებულია მისი მოგონებები, სადაც საყურადღებო ცნობებია XIX ს. შუა წლების საქართველოს შესახებ (აღწერილია თბილისური ყოფაც).

დუმბაძე ლადო (ვლადიმერ) ელიზბარის ძე (1878–1936), რსდმპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი (1918–20), თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავ-რე 1922 წ. 12 იანვრიდან 1923 წ. 7 თებერვლამდე. საქართვ. კპ ცენტრ. კომიტეტის წევრი. მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი.

დუმბაძე ზაალ ოთარის ძე (1959–93), საქართველოს ეროვნ. გვარდიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პოლკოვნიკი. იბრძოდა საქართველოს ტერიტ. მთლიანობისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. სიკვდილის შემდეგ მისი სახელი ეწოდა გომბორის მედესანტეთა ბატალიონს, რ-ის დამაარსებელი და მეთაურიც იყო სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

დუმბაძე ნოდარ ვლადიმერის ძე (1928–84), მწერალი. XX ს. ქართ. ლიტ-რის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. იყო საქართვ. მწერალთა კავშირის თავ-რე (1981–84). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1975) და ლენინური (1980) პრემიების ლაურეატი. დ-ის ნაწარმოებების („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „თეთრი ბაირაღები“) მიხედვით დაიდგა სპექტაკლები, რამდენიმე მათგანის მიხედვით გადაღებულია ფილმები. დ-ის სახელობისაა მოზარდ მაყურებელთა თეატრი, საბავშვო ქალაქი „მზიური“, რ-იც მისი ძალისხმევით დაარსდა. დ-ის საცხოვრებელ ბინაში გახსნილია სახლ-მუზეუმი (მის.: ნ. რამიშვილის 2). დაკრძალულია საბავშვო ქალაქ „მზიურში“. იქვე, შესასვლელთან, სკვერში დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

დურმიშიძე სერგი ვასილის ძე (1910–89), ბიოქიმიკოსი, მცენარეთა ბიოქიმიისა და ტექ. ბიოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). თბილისის საპატიო მოქალაქე (1987). იყო საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოს-მდივანი (1955–71), ვიცე-პრეზიდენტი (1971-იდან), მცენარეთა ბიოქიმ. ინ-ტის დამაარსებელი და დირექტორი (1971–87). 1990 ბიოქიმ. და ბიოტექნოლოგიის ინ-ტს მიენიჭა დ-ის სახელი.

დუტუ მეგრელი (ნამდვ. სახელი და გვარი – დიმიტრი თომას ძე ხოშტარია) (1867–1938), მწერალი. ა. *ერისთავ-ხოშტარიას* მეუღლე. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პოემებს, პუბლიც. წერილებს, თარგმნიდა რუს და ევრ. კლასიკოსთა ნაწარმოებებს. საყოველთაოდ ცნობილია მისი ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“ (1902). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ეგოროვი ალექსანდრე ილიას ძე (1883–1939), საბჭ. კავშირის მარშალი (1935). 1919–20 წლებში იყო სამხრ. და სამხრ.-დას. ფრონტების ჯარების სარდალი, 1935–37 – წითელი არმიის გენშტაბის უფროსი, 1937–38 – სსრკ თავდაცვის სახ. კომისრის პირველი მოადგილე. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ევდოკიმოვი ნიკოლოზ ივანეს ძე (1804–73), გრაფი, გენ.-ადიუტანტი. დაიბადა კავკასიაში. სამხ. სამსახური დაიწყო 1821-იდან. აქტიურად მონაწილეობდა კავკ. დაპყრობაში. 1850 დაინიშნა კავკ. ხაზის ჯარების მარჯვ., 1855 – მარცხ. ფლანგის უფროსად. მას უხდებოდა დაპყრობილ მიწებზე რუსი მოსახლ. ჩამოსახლება და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ევდოშვილი (ნამდვ. გვარი – ხოსიტაშვილი) იროდიონ ისაკის ძე (1873–1916), მწერალი, ქართ. რევ.-დემოკრ. მწერლობის სკოლის შემქმნელი. დიდი ამაგი დასდო საყმაწვილო ლიტ-რასაც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ეკალაძე ია (ნამდ. გვარი და სახელი – ცინცაძე იაკობ თომას ძე) (1872–1933), მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი. იყო გაზ. „ქართლის“, „სამშობლოს“ და „სამშობლოს“ სურათებიანი დამატების რედ.-გამომცემელი. განაგრძო ხალხოსან მწერალთა ტრადიციები. წერდა მოთხრობებს, აგრეთვე, თეთრ ლექსებს.

ელბაქიძე არკადი ყარამანის ძე (1879–1919), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოსა და ჩრდ. კავკასიაში. აქტიურად იბრძოდა ამ რეგიონებში საბჭ. ხელისუფლების დასამყარებლად. 1919 ვერის დაცმართზე მძიმედ დაჭრა გენ.-ლეიტენანტი ნ. ნ. ბარათოვი (ბარათაშვილი), რ-იც თეთრგვარდიელი გენერლის ა. დენიკინის დავალებით იყო ჩამოსული. მ. დაიღუპა ამ ოპერაციის დროს.

ელიავა შალვა ზურაბის ძე (1883–1937), 1920 იყო მე-11 არმიის რევ. სამხ. საბჭოს წევრი, აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დასამყარებლად. 1921–23 იყო საქ. სსრ სამხ.-საზღვ. საქმეთა სახ. კომისარი, 1923–27 – საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავ-რე, 1927–30 – ამიერკავკ. სფსრ-ის სახკომსაბჭოს თავ-რე. 1931-იდან რუსეთში მოღვაწეობდა. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ელისაბედი, ელიზავეტა ალექსის ასული (1779–1826), იმპერატორ ალექსანდრე I-ის მეუღლე, ბადენის მარკგრაფის ასული ლუიზა მარია ავგუსტა. სახელი გაითქვა რუსეთში „ქალთა პატრიოტული პარტიის“ დაარსებით.

ენგელსი ფრიდრიხ (1820–95), კ. *მარქსთან* ერთად ფუძემდებელია შეხედულებათა სისტემისა, რომელსაც „მეცნიერული კომუნიზმი“ ეწოდა. მ-ის დამსახურებად ითვლება ერთიანი დიალექტიკური მატერიალ. ფილოს. მსოფლმხედველობის სისტემატიზაცია და ფუნდამენტური პრინციპების მეცნ. დასაბუთება. მისი სურვილის თანახმად, ქ. ისტბორნის (ინგლისი) მახლობლად გარდაცვლილის ფერფლი ურნით ჩაუშვეს ზღვაში.

ენდელაძე ნუგზარ შალვას ძე (1945–94), ინჟინერი, სპორტის ოსტატი (რაგბი). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1968). 1969–85 კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა, 1986–91 იყო საქართვ. სპორტკომიტეტის თავ-რე. მ. იყო საქართვ. რაგბის ფედერაციის თავ-რე, „დინამოს“ მორაგბეთა კლუბის პრეზიდენტი, დასახელებული იყო სსრკ 30 საუკეთესო მორაგბეთა შორის.

ენუქიძე აბელ სოფრომის ძე (1877–1937), პროფესიონალი რევოლუციონერი. 1917 ოქტ. შეიარაღებული აჯანყების მონაწილე, პეტროგრადის სამხ. რევკომის წევრი, 1922 აირჩიეს სსრკ ცაკის პრეზიდიუმის წევრად და მდივნად, 1934 – საკ. კპ(ბ) ცკ-ის წევრად. იყო რეპრესირებული საბჭოთა რეჟიმის მიერ.

ერეკლე II (1720–98), კახეთის (1744–62), შემდეგ კი ქართლ-კახეთის (1762–98) მეფე. ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენელი. მან მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, იღვწოდა მრეწველობისა და კულტურის განვითარებისა და ქვეყნის ევრ. ყაიდაზე გარდაქმნისათვის. შექმნა მუდმივი ჯარი. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ლაშქრობებში გაატარა. გააფორმა მფარველობითი ტრაქტატი რუსეთთან (1783). მისი სახელი ეროვნ. გმირის სიმბოლოდ იქცა. 1795 მოხუცი მეფე მცირე ძალებით უკანასკნელად აღუდგა წინ კრწანისის ველზე აღა-მაჰმად-ხანის ურდოებს. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813–64), დრამატურგი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. 1832 შეთქმულების მონაწილე. ქართ. პროფესიული თეატრის და ქართ. კომედიოგრაფიის ფუძემდებელი. დააარსა პირველი სალიტ. ჟურნ. „ცისკარი“.

ერისთავი კონსტანტინე დავითის ძე (1889–1975), ქირურგი და საზოგადო მოღვაწე. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1950), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975). იყო თბილისის სამედიცინო ინ-ტის (1941–50), საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს სისხლის გადასხმის ინ-ტის (1948–50), ექსპერ. და კლინიკური ქირურგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (1950–74) დირექტორი, ინ-ტი (2000-იდან – ქირურგიის ეროვნ. ცენტრი) დღეს მ-ის სახელს ატარებს. მ. საქართველოში ითვლება სისხლის გადასხმის, სინთეზური მასალის გამოყენებისა და გაუტკივარების ერთ-ერთ პიონერად. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე (1824–1901), მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. ქართ. საბავშვო ლიტ-რის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ქართ. მუზეუმის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის, ქართ. პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნის (1880) ერთ-ერთი ინიციატორი. დიდი ამაგი დასდო ქართ. ფოლკლორისტიკასაც. თბილისში, „მრგვალ ბაღში“, დგას მ-ის ბიუსტი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).

ერისთავ-ხოშტარია ანასტასია გიორგის ასული (1868–1951), მწერალი და საზოგადო მოღვაწე, *დუტუ მუგრელის* მეუღლე. მის მოთხრობებსა და რომანებში რეალისტურად აისახა იმდროინდელი ქართ. საზ-ბის ცხოვრება. მწერალი ასევე ქალთა უფლებების მოსარჩლე იყო. წერდა საბავშვო მოთხრობებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე (1777–1861), რუსეთის სამხ. და სახელმწ. მოღვაწე. ინფანტერიისა (1818) და არტილერიის (1837) გენერალი. კავკასიის მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1816–27), იმავდროულად საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანში.

ესენინი სერგეი ალექსანდრეს ძე (1895–1925), რუსი პოეტი. მისი ლექსები გამოირჩევა ლირიზმითა და მუსიკალობით. მ-ის ცხოვრებასა და შემოქმედებაში გარკვეული როლი ითამაშა საქართველომ. აქ ყოფნისას დაუახლოვდა ქართველ პოეტებს, განსაკუთრებით „ცისფერყანწელებს“. აქვს ამ ურთიერთობის ამსახველი ლექსებიც.

ჟული სანდრო (ნამდვ. სახელი და გვარი – ალექსანდრე ქიშვარდის ძე ქურიძე) (1890–1965), პოეტი. იყო ლიტ. დაჯგუფების – „პროლეტარული მწერლობის“ ერთ-ერთი მეთაური. მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზ. „კომუნისტი“ (1921–22); წლების განმავლობაში იყო თბილისის საჯარო (ახლანდ. პარლამენტის ეროვნ.) ბ-კის დირექტორი (1931–36; 1944–62), საქართვ. მწერალთა კავშირის თავ-რის მოადგილე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ეფრემ მცირე, ფილოლოგი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი (XI ს. II ნახ.). შავი მთის (ანტიოქიის მახლობლად) ქართულ კოლონიაში კასტანის მონასტრის წინამძღვარი. დიდი ამაგი დასდო ქართ. მთარგმნელობით საქმიანობას, ფილოს. აზროვნების განვითარებას. მის სახელს უკავშირდება საქართველოში არეოპაგიტული მოძღვრების შემოტანა. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მ. მ. წმინდანად შერაცხა. ღირსი ეფრემ მცირის ხსენების დღეა 31 იანვარი.

ჟვანია ეფრემ ალექსის ძე (1893–1939), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე, პარტ. და სახელმწ. მუშაკი. 1917–18 იყო სამურზაყანოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აფხ. რევკომის თავ-რე, 1922-იდან – საქ. კპ ცკ-ის III მდივანი, საქართვ. იუსტიციის სახ. კომისარი. 1930–35 საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა რუსეთში. იყო რეპრესირებული საბჭოთა რეჟიმის მიერ.



„ერეკლე II“.
უცნობი მხატვარი.

ვაზეჰი (ნამდვ. სახელი – მირზა შაფი) (დაახლ. 1792/96–1852), აზერბაიჯანელი პოეტი, მთარგმნელი, განმანათლებელი. ერთხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში, კარგად იცნობდა ქართ. სინამდვილეს, რაც, შესაბამისად, აისახა მის პოეზიაში. გარდაიცვალა თბილისში.

ვაკელი (ნამდვ. გვარი – მეგრელიძე) იონა ლუკას ძე (1900–88), პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი. იყო ლიტ. დაჯგუფების – „პროლეტარული მწერლობის“ ერთ-ერთი მეთაური. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა თბილისის თეატრებში.

ვაშა-ფშაველა (ნამდვ. სახელი და გვარი – ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი) (1861–1915), პოეტი, უდიდესი მოაზროვნე მკვეთრად გამორჩეული პოეტური და ხატოვანი სტილით. იუნესკოს გადაწყვეტილებით 1961 მთელ მსოფლიოში აღინიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი. ვ.-ფ-ს ლექსები, პოემები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები ქართ. ლიტ-რის საგანძურია. ვ.-ფ-ს სახელობისაა მეტროს ერთ-ერთი სადგური. მისივე სახელობის გამზირზე დგას პოეტის ძეგლი (მოქანდაკე გ. ოჩიაური), თსუ-ის ეზო-სავანეში – მისი ბიუსტი (მოქანდაკე შ. გორგაძე). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე (1872–1967), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პედაგოგი. მისი მონოგრაფიები, ლიტ.-კრიტ. წერილები და ნარკვევები ეხება ქართვ. მწერალთა შემოქმედებას.

ვასაძე აკაკი ალექსის ძე (1899–1978), მსახიობი და რეჟისორი. ახ. ქართ. თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. (1934) და სსრკ (1936) სახ. არტისტი. შოთა რუსთაველის სახ. (1975) და სსრკ სახელმწ. (1942, 1946, 1951) პრემიების ლაურეატი. ვ. ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობი იყო. იგი ოსტატურად ქმნიდა როგორც ტრაგიკულ, ისე კომედიურ სახეებს. თავისი წვლილი შეიტანა ქართ. კინოხელოვნების განვითარებაშიც. თბილისში არის ვ-ის სახლ-მუზეუმი (მის.: დავით აღმაშენებლის გამზ., 2/8). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ვატუტინი ნიკოლოზ თედორეს ძე (1901–44), საბჭ. მხედართმთავარი, არმიის გენერალი, საბჭ. კავშირის გმირი (1965), სსრკ-გერმ. ომში (1941–45) იყო ჩრდ.-დას. ფრონტის შტაბის უფროსი, სარდლობდა ვორონეჟის, სამხრ.-დას. და უკრ. I ფრონტებს.

ვაჩნაძე (ქალიშვილობაში – ანდრონიკაშვილი) ნატო (ნატალია) გიორგის ასული (1904–53), კინომსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1940), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941). ერთ-ერთი პირველი ქართვ. კინოვარსკვლავი. იშვიათი სილამაზის მსახიობმა კინოში შექმნა სახეები, რ-ებიც გამოირჩეოდნენ არტისტული ინდივიდუალობით, ლირიზმით. მიწვეული იყო სხვადასხვა ქვეყნის კინოსტუდიებში. დაიღუპა საჰაერო კატასტროფის დროს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში დგას ვ-ის ბიუსტი (მოქანდაკე ნ. კანდელაკი).

ვაცეკი ივანე პროკოფის ძე (1870–1951), საბჭოთა პარტ. და სახელმწ. მუშაკი. საკ. კპ(ბ) ცკ-თან არსებული პარტ. კონტროლის კომიტეტის მდივანი ამიერკავკასიის ხაზით, საქ. კპ(ბ) სარევიზიო კომისიის წევრი.

ვახტანგ I გორგასალი, ქართლის მეფე (დაახლ. V ს. 40-იანი წწ. – 502), დიდი სახელმწ. მოღვაწე და სარდალი. იბრძოდა ქართლის გასათავისუფლებლად სპარსელთა უღლისაგან, იღვწოდა ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის. მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის დაარსება და სამეფო რეზიდენციის აქ გადმოტანა. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვ. I წმინდანად შერაცხა. წმინდა დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეა 13 დეკემბერი. ვ. I-ის სახელს ატარებს სამი ხარისხის სამხ. ორდენი. მისი ძეგლი მეტეხის პლატოდან გადმოჰყურებს თბილისს (არქიტ. ე. ამაშუკელი).

ვახტანგ VI (1675–1737), ქართლის მეფე (1716–24), მრავალმხრივ ნაყოფიერი სახელმწ., სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურის მოღვაწე. საგარეო პოლიტიკაში ქრისტიანულ რუსეთთან კავშირის ტრადიციულ კურსს მისდევდა. თბილისში დააარსა ქართ. სტამბა (1709), რ-იც განათლებისა და მეცნ. საყრდენი გახდა. ვ. VI-მ თავის ირგვლივ შემოიკრიბა კულტ. მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი დასი, „სწავლულ კაცთა კომისია“, შექმნა საკანონმდებლო კრებულები. ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობასაც. გარდაიცვალა ასტრახანში, დასაფლავებულია იქვე, მიძინების ტაძარში.

ვახუშტი ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1696–1757), ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი, *კახტანგ VI-ის* შვილი. მოიხსენიება მოსკოვის სახელმწ. უნ-ტის წევრ-დამფუძნებელთა შორის. ავტორია წიგნისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745). მისი შედგენილი 2 გეოგრ. ატლასი (1735, 1745) მსოფლიო კულტურის ფასეულობათა საგანძურშია შეტანილი. ვ. ბ-ის სახელობისაა გეოგრაფიის ინ-ტი, ხიდი მტკვარზე, მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში.

ვეზიროვი მირ ჰასან ყაზიმ ოღლი (1889–1918), აზერბაიჯანელი რევოლუციონერი. 1918 აპრილიდან იყო ბაქოს სახკომსაბჭოს მიწათმოქმედების სახ. კომისარი. დახვრიტეს როგორც ერთ-ერთი *ბაქოელი კომისარი.*

ვეკუა ვლადიმერ (ვოვა) ვლადიმერის ძე (1949–89), საქართვ. ეროვნ.-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით (1974). 1970-იდან ჩაება ეროვნ.-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო ილია ჭავჭავაძის საზ-ბის აფხაზეთის ორგანიზაციის ლიდერი (1987-იდან). იბრძოდა საქართვ. ერთიანობისათვის. 1989 წლის 15 ივლისს მოკლეს აფხაზმა სეპარატისტებმა.

ვეკუა ილია ნესტორის ძე (1907–77), მათემატიკოსი და მექანიკოსი. საქართვ. (1946) და სსრკ (1958) მეცნ. აკადემიების აკადემიკოსი. სსრკ სახელმწ. (1950, 1984) და ლენინური (1963) პრემიების ლაურეატი. იყო საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდენტი (1972–77), ნოვოსიბირსკისა (1959–64) და თბილისის (1965–72) სახელმწ. უნ-ტების რექტორი. საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნის აკადემიის უცხოელი წევრი. ვ-ს ძირითადი შრომები ეხება მათ. ფიზიკის აქტუალურ საკითხებს. მისი სახელი მიენიჭა თსუ-ის გამოყენებითი მათ. ინ-ტს (1978). ვ-ს ბიუსტი დგას თსუ-ის I კორპუსში და გამოყენებითი მათ. ინ-ტში (მოქანდაკე ო. ფარულავა). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ველიამინოვი ალექსი ალექსანდრეს ძე (1785–1838), რუსეთის არმიის გენ.-ლეიტენანტი, კავკ. ხაზის ჯარების მთავარსარდალი და კავკ. სამხ. ოლქის უფროსი (1831–38), აქტიურად იბრძოდა მთიელთა დასამორჩილებლად. მონაწილეობდა იმერეთისა და გურიის აჯანყებების (1819–20) ჩახშობაში.

ვერჰარნი ემილ (1855–1916), ბელგიელი პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსი. ფრანგულენოვან პოეზიაში თავისუფალი ლექსის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ძალზე პოპულარული იყო ქართვ. სიმბოლისტთა, „ცისფერყანწელთა“ შორის.

ვეშაპური ზაქარია (ზაზა) გიორგის ძე (1969–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, პოლიციის ლეიტენანტი. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. დაიღუპა სოფ. კოლხიდასთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ვირსალაძე სიმონ (სოლიკო) ბაგრატის ძე (1908–89), თეატრის მხატვარი. სსრკ სახ. მხატვარი (1976), სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი (1975), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1989) და ლენინური (1970) პრემიების ლაურეატი. ვ-ის შემოქმედებამ მთელი ეტაპი შექმნა თეატრ.-დეკორატიულ ხელოვნებაში. თბილისში, ვ-ის სახლში (მის.: ვირსალაძის 2/4), გახსნილია მემორიალური სახელოსნო. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ვოლკოვინოვი მიხეილ ვასილის ძე (1899–1980), რუსი მფრინავი, სსრკ ერთ-ერთი პირველი გმირი (1934), ავიაციის გენ.-



მაიორი (1943). 1934 მონაწილეობდა ყინულმჭრელ „ჩელიუსკინის“ ეკიპაჟის გადარჩენაში. სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს მეთაურობდა ავიადივიზიას.

ვოლოდარსკი ვ. (ნამდვ. გვარი და სახელი – გოლდშტეინი მოსე მარკის ძე) (1891–1918), რევ. მოძრაობის აქტ. მონაწილე რუსეთში. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრი. მიტინგზე მიმავალი მოკლა ესერმა სერგეევმა.

ვორონინი ვლადიმერ ვასილის ძე (1870–1960), პათოლოგ-ფიზიოლოგი, მეცნ. პათოფიზიოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, მედ. მეცნ. დოქტორი (1897), პროფესორი (1908), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1942); საქართვ. მეცნ. აკად. საპატიო აკადემიკოსი (1944). ვ-ის პირადი ბ-კა დაცულია ეროვნულ სამეცნ. ბ-კაში.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782–1856), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, თავადი, გენ.-ფელდმარშალი (1856), კავკ. მეფისნაცვალი და კავკ. განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი (1844–54). თბილისის საპატიო მოქალაქე. უმთავრეს ამოცანად ისახავდა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში რუს. და ევრ. წესების დამკვიდრებას, საზ-ბის გარკვეული ფენის ცარიზმის სამსახურში ჩაყენებას. მისი მმართველობის დროს გატარდა მნიშვნელოვანი ეკონ. და კულტ. ღონისძიებები. ზაარბრიუკენის მოედანზე იდგა ვ-ის ძეგლი (აიღეს 1922).

ვოროშილოვი კლიმენტ ეფრემის ძე (1881–1969), საბჭოთა სახელმწ., პარტ. და სამხ. მოღვაწე. საბჭ. კავშირის მარშალი (1935), ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (1956, 1968). სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე (1953–60). დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე.



სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე. დეკორაციის ესკიზი (ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“).



ცირკის შენობა და ვერის უბანი

◄ ვაჟა-ფშაველას ძეგლი.

ზავრიევი კირიაკ სამსონის ძე (1891–1978), მეცნიერი სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის დარგში. სეისმომედეგობის დინამიკური თეორიის ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941). დიდი წვლილი მიუძღვის მსუბუქი რკინაბეტონის კონსტრუქციების დამუშავებაში. 1980 მისი სახელი ეწოდა სამშენებლო მექან. და სეისმომედეგობის ინ-ტს, რ-ის დირექტორიც 1947–78 იყო. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, XV ს. პოლიტ. მოღვაწე და მეცნიერი, ეროვნ. დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის მებრძოლი, ციციშვილთა ფეოდ. საგვარეულოსა და საციციანოს ერთ-ერთი ფუძემდებელი. XV ს. 60-იან წლებში იგი ფანასკერტიდან (ტაო) შიდა ქართლში გადასახლდა. განაახლა ყინწვისის მონასტერი და მიაშენა ეგვტერი. ავტორია ორიგინ. სამედ. ძეგლისა „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“. მის სახელთან არის დაკავშირებული საციციანოს კულტურული დაწინაურება.

ზაზიაშვილი გიორგი (გიგო) ივანეს ძე (1868–1952), ფერმწერი, თვითნასწავლი მხატვარი. მუშაობდა როგორც პორტრეტის, ისე ჟანრული ფერწერის დარგში. შექმნა ქართ. კულტურის მოღვაწეთა პორტრეტები. მოხატა ჩულურეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. მისი ნამუშევრები ინახება საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმში.

ზაკომოლდინი ალექსი პეტრეს ძე (1881–1963), მუშათა რევ. მოძრაობის მონაწილე სამხრ. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანში. 1923-იდან მუშაობდა თბილისის 26 კომისრის სახ. ქარხანაში. ხელმძღვანელობდა ქარხნის რაციონალიზატორთა ბიუროს. იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ზალდასტანიშვილი სოლომონ (სოლიკო) კონსტანტინეს ძე (1891–1941), სამხედრო და პოლიტ. მოღვაწე. 1918-იდან 1921 თებერვლამდე – საქართვ. ეროვნ. არმიის საავტ. რაზმების პოლკოვნიკი. 1923-იდან – საქართვ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და მასთან არსებული „სამხედრო კომისიის“ წევრი. 1924 აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და ხელმძღვანელი. აჯანყების დამარცხების შემდეგ საფრანგეთს შეაფარა თავი. II მსოფლიო ომის (1939–45) დროს ეხმარებოდა ტყვედ ჩავარდნილ ქართველებს. ცდილობდა 500 ქართველის დახსნას რუმინეთის ტყვეთა ბანაკიდან, სადაც დაავადდა და ბუქარესტის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძე (1889–1968), პედაგოგი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის XIX ს. ქართ. ლიტ-რის ისტ. შესწავლასა და სისტემატიზაციაში.

ზასულიჩი ვერა ივანეს ასული (1849–1919), რუსეთის რევ. მოძრაობის მონაწილე. მონაწილეობას იღებდა II ინტერნაციონალის კონგრესების საქმიანობაში. 1917 ოქტ. რევოლუციას მტრულად შეხვდა.

ზაქარაია ეფრემ ფარნაოზის ძე (1889–1946), ქირურგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1937), პროფესორი (1937), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). 1935–46 განაგებდა თბილისის სამედიცინო ინ-ტის ქირურგ. და ზოგადი ქირურგ. კათედრებს. იმავდროულად (1938–41) იყო ონკოლოგიური საავადმყოფოს დირექტორი.

ზაქარიაძე სერგო ალექსანდრეს ძე (1909–71), მსახიობი, საქართვ. (1946) და სსრკ (1958) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1971) და ლენინური (1966) პრემიების ლაურეატი. 1928-იდან იყო მარჯანიშვილის თეატრის, 1956-იდან – რუსთაველის თეატრის მსახიობი, 1969–71 – რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. **ზ.** უბადლო ნიჭით დაჯილდოებული, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობი იყო. მოღვაწეობდა კინოშიც. გიორგი მახარაშვილის („ჯარისკაცის მამა“) როლით **ზ**-მ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართ. კინოს. **ზ**-ის ბიუსტი დგას კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ზაქრაძე სტეფანე ტარიელის ძე (1863–1931), რევოლუციონერი. რკინიგზელ მუშათა 1894 ჩამოყალიბებული არალეგალური წრის წევრი. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა ამიერკავკ. რკინიგზის მთავარი სახელოსნოების საქარხნო კომიტეტში.

ზახაროვი გლახო არკადის ძე (1905–92), სახალხო მომღერალი, მედუდუკე, ქართული და აღმოსავლური სიმღერების შემსრულებელი. სომხ. (1976) და საქართვ. (1985) დამს. არტისტი. დიდი წვლილი მიუძღვის ქალაქური ჰანგების პოპულარიზაციაში. არის მრავალი საზეიმო ღონისძიების მონაწილე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (მოსკოვში, სომხეთში).

ზედგინიძე ელიზბარ კონსტანტინეს ძე (1903–83), მწერალი, გაზეთ „ნორჩი პიონერის“ რედაქტორი, მოზარდ მაყურებელთა სახელმწ. თეატრის პირველი დირექტორი. ავტორია მოთხრობებისა, რომანებისა.

ზინოვიევი (რადომისლსკი) გრიგორი ევსეის ძე (1883–1936), რუსეთის 1905–07 და 1917 ოქტ. რევოლუციის აქტიური მონაწილე, 1919–26 იყო კომინტერნის აღმასკომის თავ-რე, 1921–26 – ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, სსრკ ცაკის წევრი, შემდეგში – ოპოზიციონერი. რეპრესირებულია საბჭოთა რეჟიმის მიერ.

ზიჩი მიხაი (1827–1906), უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი. პეტერბ. სამხატვრო აკად. აკადემიკოსი (1858), საიმპერატორო კარის მხატვარი. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის გრაფიკაში. 1881–82 იმოგზაურა კავკასიაში; თბილისში ყოფნისას უსასყიდლოდ დაასურათა ვეფხისტყაოსანი, რითაც გააფორმეს ქართველიშვილისეული 1888 წლის გამოცემა. სამხატვრო აკად. წინ, სკვერში, დგას **ზ**-ს ქანდაკება (მოქანდაკე შ. კიში).

ზუბალაშვილები, ქართველ მრეწველთა, სოვდაგართა, ქველმოქმედთა და მეცნიერთა ცნობილი გვარი. დიდია **ზ**-თა ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის კონსტანტინეს (1828–1901) და მისი ვაჟიშვილების – ლევანის (1853–1914), სტეფანეს (1860–1904), პეტრეს (1862–1903) და იაკობის (1876–1941) დამსახურება ქვეყნის წინაშე. მათი გაღებული თანხით აშენდა თბილისში „სახალხო სახლი“ (ახლანდ. მარჯანიშვილის თეატრი), „უპოვართა სახლი“ მოხუცებულთათვის (ახლანდ. ბავშვთა I კლინ. საავადმყოფო) და სხვ. 1913 წ. 1 მაისს თბილისის ერობამ ძმებს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭა და დიპლომი გადასცა. 2001 ძმები **ზ**-ის სახელი ეწოდა ქალაქის №1 კლინ. საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე შპს პედიატრიულ კლინიკას.

ზურაბაშვილი ავლიპი დავითის ძე (1902–94), ფსიქიატრი და ნეირომორფოლოგი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), თბილისის საპატიო მოქალაქე (1983). იყო მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (1938–94). მიენიჭა ი. თარხნიშვილის სახ. პრემია (1955), სსრკ მედ. მეცნ. აკადემიის ვ. ბეხტერევის სახ. პრემია (1963). 2002 თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს **ზ**-ის სახელი ეწოდა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ზურაბოვი არშაკ გიორგის ძე (1876–1919), სოციალ-დემოკრატი, რსდმპ კავკ. კავშირის კომიტეტის წევრი. მონაწილეობდა II სახელმწ. სათათბიროს საქმიანობაში. ერთ დროს ბოლშევიკების მხარეს იყო, შემდეგ გახდა მემარცხენე მენშევიკი.

მიხაი ზიჩი. ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია. ▶





თაბუკაშვილი ლუკიანე მალანჩის ძე (1889–1921), რევოლუციონერი, რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. 1921 წ. 21 თებ. მენშევიკებმა დაატყვევეს და ყვირილას ციხეში ვერაგულად მოკლეს. დაკრძალულია თბილისში, გ. ლეონიძის სახ. ბაღში (ყოფ. კომუნარების ბაღის ქვედა ნაწილი).

თაბუკაშვილი რევაზ შალვას ძე (1927–90), მწერალი, მთარგმნელი, რეჟისორი. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981). წერდა ლექსებს, პიესებს, კინოსცენარებს. შესანიშნავად თარგმნა უ. შექსპირის სონეტები. გადაიღო დოკუმენტური ფილმები საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ქართველი თუ უცხოელი ადამიანების შესახებ. თ-ის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით საქართველოს დაუბრუნდა ქვეყნის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ხელნაწერები, დოკუმენტები და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

თავაძე ფერდინანდ ნესტორის ძე (1912–89), მეცნიერი მეტალურგიის დარგში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1962). 1976 მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახ. პრემია. 1951–87 იყო საქართვ. მეცნ. აკად. მეტალურგიის ინ-ტის დირექტორი. 1991-იდან ინ-ტი თ-ის სახელობისაა.

თავხელიძე დავით სერგის ძე (1910–89), მეცნიერი მექანიზმებისა და მანქანების თეორიის დარგში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1979), მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962). მიღებული აქვს გ. ნიკოლაძის სახ. პრემია (1974). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

თამარაშვილი მიხეილ (ერისკაცობაში – ალექსანდრე პეტრეს ძე), თამარათი მიქელ (1858–1911), ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. სარწმუნოებით კათოლიკე, ღვთისმეტყველების დოქტორი (1894). თ-ის წიგნმა „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ (რომი, 1910) ვატიკანის სპეც. პრემია დაიმსახურა. თ-მა ევრ. არქივებში მოიძია საქართვ. ისტ. ამსახველი დიდძალი მასალა. მან ერთ-ერთმა პირველმა აზიარა ევრ. მკითხველი საქართვ. ისტორიას და კულტურას. დაიღუპა იტალიაში (ზღვაში სხვისი გადარჩენის მცდელობისას). 1978 მისი ნეშტი გადმოასვენეს და დიდუბის პანთეონში დაკრძალეს.

თამარი (ბაგრატიონი) (დაახლ. 1160–1207, სხვა ცნობებით გ. 1210 ან 1213), საქართველოს მეფე, გიორგი III-ის ასული; 1178-იდან მამის თანამოსაყდრე, 1184-იდან – ერთმმართველი. მისმა ბრძნულმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ხელი შეუწყო საქართველოს გაძლიერებას და მისი ავტორიტეტის ზრდას საერთაშორისო სარბიელზე. თ-ის მოღვაწეობის პერიოდს ისტორიაში „ოქროს ხანა“ ეწოდა. მისი ფრესკული გამოსახულებები შემონახულია ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების, ბეთანიის ღვთისმშობლის შობის, ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრებისა და ბერთუბნის მონასტრის (დავითგარეჯის კომპლექსი) კედლებზე (ყველა XII–XIII სს.). ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. წმინდა კეთილმორწმუნე მეფე თამარის ხსენების დღეა 14 მაისი.

თარხნიშვილი (თარხან-მოურავი, თარხანოვი) ივანე რამაზის ძე (1846–1908), მეცნიერ-ფიზიოლოგი. პარიზის ბიოლ. საზ-ბის წ.-კორ., ჰალეს აკადემიის წევრი. 1877–95 იყო პეტერბ. სამედ.-ქირურგ. აკადემიის პროფესორი. შემდეგ, 1901-მდე, ლექციებს კითხულობდა პეტერბ. უნ-ტში. 1900 პარიზის საერთაშ. გამოფენაზე „საპატიო ლეგიონის“ ორდენით დაჯილდოვეს. მისი ძეგლი დგას თბილისის სამედ. უნ-ტის სკვერში (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი).

თაქთაქიშვილი ოთარ ვასილის ძე (1924–89), კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი. საქართვ. (1961) და სსრკ (1974) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1987), სსრკ სახელმწ. (1951, 1952, 1967) და ლენინური (1983) პრემიების, აგრეთვე, ალბერტ შვაიცერის პრემიის (1986) ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1985). კონსერვატორიის რექტორი (1962–65), საქართვ. კულტ. მინისტრი (1965–84). მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: ოპერები – „მინდია“ (1961), „მთვარის მოტაცება“ (1977); ორატორიები – „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1965), „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1970) და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე (1863–1953), მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946). პარიზის ნუმიზმატთა საზ-ბის წევრი (1922), პარიზის სააზიო საზ-ბის წევრი (1925). დააარსა საქართვ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზ-ბა (1907), მონაწილეობდა თსუ-ის დაარსებაში. 1921–45 ემიგრაციაში (საფრანგეთი) ყოფნის დროს მეთვალყურეობდა საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატანილ სამუზეუმო განძეულობას, რ-იც უკლებლივ დააბრუნა სამშობლოში. მან დიდი ამაგი დასდო ძვ. ქართ. მწერლობის ძეგლების კვლევისა და გამოცემის საქმესაც. ვერის ბაღში დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი). გახსნილია თ-ის სამლოცველო ბინა-მუზეუმი (მის.: ვაშლოვნის 6). დაკრძალულია მთაწმინდის პან-



ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი.

თეონში. 1987 ლევილიდან თბილისში გადმოასვენეს და მეუღლის გვერდით დაკრძალეს ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ნეშტიც. 2002 ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თ. წმინდანად შერაცხა. წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის ხსენების დღეა 16 იანვარი.

თაყაიშვილი სესილია დიმიტრის ასული (1906–83), მსახიობი, რეალისტური აქტიორული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი. საქართვ. (1950) და სსრკ (1966) სახ. არტისტი. შოთა რუსთაველის სახ. (1983) და საქართვ. სახელმწ. (1985) პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1982). მოღვაწეობდა თეატრში, კინოში, ესტრადაზე. თ. უბადლო ნიჭით დაჯილდოებული, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობი იყო. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

თევდორე მღვდელი, თევდორე კველთელი (გ. 1609), ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირი. სოფ. კველთის მღვდელი. ქართლში შემოჭრილ ოსმალთა ჯარს გზა აუბნია, რისთვისაც ოსმალებმა წამებით მოკლეს. მისმა თავგანწირვამ საშუალება მისცა მეფე ლუარსაბ II-ს მომზადებული დახვედროდა მტერს. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თ. მ. წმინდანად შერაცხა. წმინდა მოწამე თეოდორე მღვდლის ხსენების დღეა 21 ივნისი.

თეიმურაზ I (1589–1663), კახეთის მეფე (1606–48), ქართლ-კახეთის მეფე (1625–32), პოეტი. *ქეთევან დედოფლის* ვაჟი. გამუდმებით იბრძოდა ქართლ-კახეთის სამეფოს სრული დამოუკიდებლობისათვის. ერთ-ერთმა პირველმა სცადა ქართ. პოეზიაში ეროვნ. თემატიკის დამუშავება. გარდაიცვალა სპარსეთში, ასტრაბადის ციხეში. მისი ნეშტი ქართველებმა სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს.

თელია გიორგი პეტრეს ძე (1880–1907), რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე საქართველოში. ბოლშევიკი. 1905 ი. *სტალინთან* ერთად მონაწილეობდა რსდმპ ტამერფორსის კონფერენციის მუშაობაში.

◄ თამარ მეფე. ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მოხატულობა.

თემრუკი აიდარის ძე (გ. XVI ს. 70-იან წლებში), ყაბარდოს დიდი მთავარი. 1557 მიიღო რუს. მფარველობა. მისი თხოვნით 1567 მოსკ. მთავრობამ ააგო თერგის ციხესიმაგრე, რ-იც კავკასიაში რუს. გავლენის ფორპოსტად გადაიქცა.

თვალჭრელიძე ალექსანდრე ანტონის ძე (1881–1957), გეოლოგი, ქართ. გეოლ. სკოლისა და საქართველოში გეოლ. განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1929–57 მუშაობდა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინ-ტის დირექტორად, 1941–57 – საქართვ. მეცნ. აკად. საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს თავ-რედ. მისი სახელი ეწოდა მინერალს (თვალჭრელიძეიტი), კავკ. მინერალური ნედლეულის ინ-ტს (1969).

თმოგველი სარგის, XII–XIII სს-ში მოღვაწე მწერალი, მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი, ვარამ მხარგრძელის ძე. თმოგველთა ფეოდ. სახლის ფუძემდებელი. ტრადიციის თანახმად, პოემა „დილარ-გეთიანის“ ავტორი. მასვე მიეწერება სპარს. „ვის ო რამინის“ ქართ. პროზაული თარგმანი „ვისრამიანი“.

თოდრია სილიბისტრო (სილია) ესეს ძე (1880–1936), პროფესიონალი რევოლუციონერი. თბილისის რევკომის პირველი თავ-რე. ლიტერატორი. სხვადასხვა დროს იყო საქართვ. სოცუზრუნველყოფისა და მიწათმოქმედების სახ. კომისარი, მწერალთა კავშირის თავ-რე, შრომის სახ. კომისარი, ჟურნ. „ნიანგის“ რედაქტორი, საქ. სსრ ცაკისა და ამიერკავკ. სფსრ ცაკის მდივანი.

თოიძე მოსე ივანეს ძე (1871–1953), ფერმწერი, გრაფიკოსი, ახალი ქართ. ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სსრკ სახ. მხატვარი (1953), სსრკ სამხატვრო აკად. აკადემიკოსი (1947). თბილისის სამხატვრო აკად. პროფესორი (1930). „რევმასის“ (რევოლუციურ მხატვართა ასოციაცია) დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. მისი თაოსნობით თბილისში 1922 დაარსდა სახელმწ. სამხატვრო სტუდია. მუშაობდა სახვითი ხელოვნ. თითქმის ყველა ჟანრში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

თომა, საზარების მიხედვით იესო ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი.

თორაძე დავით (გუგული) ალექსანდრეს ძე (1922–83), კომპოზიტორი. საქართვ. სახ. არტისტი (1961), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951). იყო თბილისის კონსერვატორიის პროფესორი. ძირითადად მუშაობდა მუს.-თეატრ. (ოპერა „მთების ძახილი“ და სხვ., ბალეტები „გორდა“, „მწირი“ და სხვ.) და სიმფ. ჟანრებში. არის აგრეთვე საესტრადო სიმღერების და კინომუსიკის ავტორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.


თორნიკე ერისთავი (გ. 985), სახელმწ. და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდი კურაპალატის სახელგანთქმული მთავარსარდალი, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი მაშენებელი (ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების შემდეგ მისთვის მიკუთვნებული ნადავლის უდიდესი ნაწილი ამ მონასტრის აგებას მოახმარა). 980 თ. ე-ს ბიზანტ. კეისარმა სვინგელოზის წოდება უბოძა ავჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხებისთვის. თ. ე-ის შეკვეთით არის გადაწერილი ოშკის ბიბლია (978) და კირილე ალექსანდრიელის თხზულების „განძის“ 981 წლის ნუსხა.

თოფურია ვარლამ ტრიფონის ძე (1901–66), ენათმეცნიერი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971), სამეცნ.-პედ. მუშაობას ეწეოდა თსუ-სა და საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინ-ტში, იყო ამ ინ-ტის დირექტორი (1943–49). თსუ-ში დააარსა ახ. ქართ. ენის კათედრა, რ-საც თავად ხელმძღვანელობდა (1945–66). იკვლევდა ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენებს. დიდი წვლილი შეიტანა ქართ. ლექსიკოგრაფიის განვითარებაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

თოფურიძე ვალენტინ ბაგრატის ძე (1907/08–86), მოქანდაკე, საქართვ. სახ. მხატვარი (1960), სსრკ სამხატვრო აკად. ნამდვ. წევრი (1970), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1950). პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემიაში (პროფესორი). თ. უმთავრესად მონუმენტალისტი იყო. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

თუმანიანი ჰოვანეს თათევოსის ძე (1869–1923), სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ერთხანს სწავლობდა და მოღვაწეობდა თბილისში. იყო მრავალმხრივი შემოქმედი. წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს სომხურ ენაზე. იყო ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის ერთგული დამცველი.

თუმანიშვილი იასონ (იაზონ) დიმიტრის ძე, კავკ. მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკი, იმპერატორის კარის კამერჰერი, XIX ს. 70-იან წლებში – ქალაქისთავი.



მოსე თოიძე. „ძველი თბილისის კუთხე“ (ფრაგმენტი).

იაკობ ცურტაველი (ხუცესი), V ს. II ნახევრის ჰაგიოგრაფი მწერალი, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ორიგინ. ძეგლის „შუშანიკის მარტვილობის“ ავტორი. ნაწარმოებით მოწოდებული ეროვნ.-სახელმწიფოებრივი პრობლემები, ჰუმანისტური იდეები და თხრობის მანერა დღესაც საინტერესოს ხდის მას.

იამანიძე შოთა დავითის ძე (1937–71), სპორტსმენი (ფეხბურთი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1969). სსრკ ჩემპიონი (1964) და სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი (1959, 1962, 1967). თბილისის „დინამოს“ კაპიტანი (1962–67). სამჯერ იყო შეყვანილი სსრკ 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში.

იაშვილი პაოლო ჯიბრაილის ძე (1894–1937), პოეტი და საზოგადო მოღვაწე. „ცისფერყანწელების“ ჯგუფის ერთ-ერთი მოთავე, რ-საც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სიმბოლიზმის დამკვიდრებასა და განვითარებაში. იღვწოდა როგორც კულტ., ისე საზ. სარბიელზე. არსებული რეჟიმის პროტესტის ნიშნად 1937 სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა მწერალთა კავშირის შენობაში. თავდაპირველად პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს, ხოლო რეაბილიტაციის შემდეგ, 1955, დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

იემთიმ გურჯი (თურქ.; სიტყვასიტყვით – „ობოლი ქართველი“) (1875–1940) (ნამდვ. სახელი და გვარი – იეთიმ დაბღიშვილი), სახალხო მომღერალი და მელექსე, თბილისური აშულური პოეზიის ტიპური წარმომადგენელი. ზვიად გამსახურდიას სანაპიროზე დგას იეთიმ გურჯის ძეგლი (მოქანდაკე დ. მიქატაძე). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ივერიელი (ლეკიშვილი) ვაჟა პლატონის ძე (1925–99), ენდოკრინოლოგი, საქართველოში თანამედროვე მეცნიერული და კლინიკური ენდოკრინოლოგიის ფუძემდებელი. საქართვ. მედ. მეცნ. აკადემიის წევრი (1991), საქართვ. სამედ.-ბიოლ. მეცნ. აკადემიის წევრი (1991). 1974-იდან იყო საქართვ. ენდოკრინოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე, 1991-იდან – საქართვ. დიაბეტური ასოციაციის პრეზიდენტი. 2001-იდან ი-ის სახელობისაა მისივე ინიციატივით დაარსებული ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

იზაშვილი ნიკოლოზ პავლეს ძე (1910–93), ქირურგი, უროლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). იყო ა. წულუკიძის სახ. უროლოგიისა და ნეფროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორის მოადგილე (სამეცნ. დარგში). მუშაობდა უროლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებზე.

ილურიძე კონსტანტინე მიხეილის ძე (1910–89), წარმოების ნოვატორი, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქ-ნის მჭედელი, სოციალ. შრომის გმირი (1959). თბილისის საპატიო მოქალაქე (1979).

იმედაშვილი გაიოზ იოსების ძე (1906–95), ლიტერატურათმცოდნე, ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1961), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1969). 1935-იდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ინ-ტში. ძირითადად იკვლევდა ძვ. ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას, უპირატესად კი – ვეფხისტყაოსნის პოეტიკისა და სტილის საკითხებს.

იმედაშვილი იოსებ ზაქარიას ძე (1876–1952), მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ავჭალისა (1893) და ავლაბრის (1902) მუშათა თეატრების ერთ-ერთი დამაარსებელი და რეჟისორი. გამოსცა პირველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ (1904), მ. გორკის მოთხრობების ქართ. თარგმანების კრებული (1902). რედაქტორობდა ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებას“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

იმედაძე გრიგოლ ისიდორეს ძე (1915–57), პოეტი. აქვს პატრიოტული სულისკვეთების ლექსები („პოეზია“, „თერგი“, „რად მიყვარს“), სტატიები, თარგმანები.

ინანიშვილი რევაზ კონსტანტინეს ძე (1926–91), მწერალი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). მსახურობდა გამომც. „ნაკადულში“, კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. წერდა მოთხრობებს, მ. შ. საბავშვოსაც. ი-ის სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: „არდადეგები“, „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“, „პასტორალი“ (თანაავტორი რეჟ. ო. იოსელიანი), „ნატვრის ხე“ (გ. ლეონიძის მოთხრობების მიხედვით, თანაავტორი რეჟ. თ. აბულაძე). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ინაშვილი ალექსანდრე (სანდრო) იობის (იოველის) ძე (1887–1958), მომღერალი (ბარიტონი), სსრკ სახ. არტისტი (1950), ქართ. ვოკალური ხელოვნ. ერთ-ერთი ფუძემდებელი. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი. ჩამოაყალიბა მოძრავი საოპერო დასი (1930), პირველმა შეასრულა აბესალომისა და კიაზოს პარტიები (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.



იეთიმ გურჯის ძეგლი.

ინგოროყვა პავლე იესეს ძე (1893–1983), ლიტერატურათმცოდნე, საქართვ. მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1924–25 რედაქტორობდა ჟურნ. „კავკასიონს“, 1928 დააარსა გამომც. „ქართული წიგნი“. იკვლევდა ქართ. მწერლობის, კულტურის ისტ. და საქართვ. ისტორიის საკითხებს. ი-ს ფუნდამენტური ნაშრომია „გიორგი მერჩულე“ (1954). მანვე სცადა ძვ. ქართ. სანოტო სისტემის გაშიფვრა. ავტორია მონოგრაფიებისა შოთა რუსთაველის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის შესახებ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ინწკირველი ივანე (სტეპკო) ნიკოლოზის ძე (1887–1908), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე სამხრ. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანში. 1908 პარტ. დავალებით გაემგზავრა ბაქოში, სადაც დაიღუპა პოლიციასთან შეტაკების დროს.

იოანე პეტრიწი, XI–XII სს. ფილოსოფოსი, თეოლოგი, პოეტი, მთარგმნელი. ძვ. ქართული ფილოს. სკოლის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში (ბულგარეთი). დავით აღმაშენებლის მიწვევით ჩავიდა გელათის აკადემიაში. ი. პ-ის წმინდა ფილოს. და ლიტ. მემკვიდრეობა წარმოდგენილია როგორც ორიგინ. თხზულებებით, ისე თარგმანებით. მან შექმნა ახ. ფილოს. ტერმინოლოგია, დიდი გავლენა მოახდინა ძვ. ქართ. ფილოს. აზროვნებაზე, საერო პოეზიასა და საისტ. მწერლობაზე. ხელახლა თარგმნა



იოანე პეტრიწის ძეგლი.

ბიბლიური წიგნები, წმინდანთა ცხოვრებანი და სხვ. წინ წამოსწია ენის მნიშვნელობა ერის მსოფლმხედველობის შესაცნობად. ი. პ-ის ქანდაკება დგას ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (მოქანდაკე დ. მიქატაძე). თსუ-ში არის მისი ბიუსტი (მოქანდაკე ი. ოქროპირიძე).

იოანე საბანისძე, VIII ს. მწერალი, ჰაგიოგრაფიული თხზულების „აბო თბილელის წამების“ (786–790) ავტორი. თხზულებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არაბთა ბატონობის გამო ეროვნ. გადაგვარების საფრთხის წინაშე მდგარი ქართველებისათვის.

იოანე შავთელი, XII–XIII სს. პოეტი, ფილოსოფოსი, საზულიერო მოღვაწე. თამარ მეფის თანამედროვე, მას თვლიან ძვ. ქართ. ლიტ-რის კლასიკური ეპოქის ძეგლის „აბდულმესიანის“ ავტორად. ი. შ. გარდაცვალებისთანავე წმინდანად შერაცხეს. ღირსი იოანე შავთელის ხსენების დღეა 14 აპრილი.

იოსებიძე თინა დავითის ასული (1920–45), პარტიზანი, სსრკ-გერმ. ომის (1941–45) გმირი.

იოსელიანი პლატონ ეგნატეს ძე (1809–75), ისტორიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 1845–56 იყო გაზ. „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორი. 1849 იმოგზაურა ათონის მთაზე, არჩეული იყო ათენის არქეოლ. საზ-ბის წევრად. გამოსცა ძვ. ქართ. ლიტ-რის მრავალი ძეგლი. იყო ჟურნ. „ცისკრის“ ირგვლივ შემოკრებილი „მამების“ თაობის წარმომადგენელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

იპოლიტოვ-ივანოვი (ი ვ ა ნ ო ვ ი) მიხეილ მიხეილის ძე (1859–1935), რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. 1882–93 ცხოვრობდა თბილისში. იყო მუს. სასწავლებლის ხელმძღვანელი, შემდგომ – მის ბაზაზე დაარსებული თბილისის კონსერვატორიის დირექტორი (1924–25). დიდი შრომა გასწია ქართ. საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადასატანად და მუს. ფოლკლორის შესაკრებად. ავტორია ოპერისა „ლალატი“ (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის დრამის მიხედვით) და სხვ.

ირემაშვილი გიორგი ვალერიანის ძე (1962–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, კაპიტანი. რკინიგზის მე-8 სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის შტაბის უფროსი. დაიღუპა აფხაზეთში, სოხუმჰესთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ისააკიანი ავეტიქ სააკის ძე (1875–1957), სომეხი პოეტი. სომხ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1943). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1946). დროდადრო ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში. ი-მა მრავალი ლექსი უძღვნა ქართველი და სომეხი ხალხების ძმობა-მეგობრობას.

ისაკაძე გაბრიელ ქიშვარდის ძე (1957–93), ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე. სპეციალობით ინჟინერი. ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, „მართლმადიდებლობის განმამტკიცებელი დასის“ პრეზიდენტი. 1988 წ. 25 ნოემბ. ი-მ მთავრობის სასახლის შენობიდან ჩამოხსნა საბჭ. საქართველოს დროშა, რისთვისაც სამი წლით დააპატიმრეს, შემდეგ სასჯელი შეუმსუბუქეს. 1993 წ. 31 დეკ. მოკლეს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

ისფაჰანლი იბრაჰიმ ჰუსეინ-ოღლუ (1887–1967), აზერბაიჯანელი მსახიობი, რეჟისორი, საქართვ. სახ. არტისტი (1931). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო თბილისში. 1921-იდან იყო თბილისის აზერბ. დრამის თეატრის მსახიობი და რეჟისორი. 1928–34 ბაქოს თეატრის სცენაზეა, 1937–39 კვლავ თბილისში ბრუნდება. განასახიერა იაგო, ოტელო, ჰამლეტი (უ. შექსპირის „ოტელო“, „ჰამლეტი“) და სხვ.

იუმაშევი ივანე სტეფანეს ძე (1895–1972), სამხედრო-საზღვაო მოღვაწე, ადმირალი (1943), საბჭ. კავშირის გმირი (1945). 1947–51 იყო სსრკ სამხ.-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი და სამხ.-საზღვაო მინისტრი. დაიბადა თბილისში.

პაპაბაძე ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე (1886–1953), მომღერალი (ტენორი), საქართვ. სახ. არტისტი (1943). თბილისის მუს. კომედიის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1921-იდან მღეროდა თბილისის ოპერის თეატრში. გადაღებულია კინოშიც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

პაპაბაძე დავით ნესტორის ძე (1889–1952), ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების თეორეტიკოსი, პედაგოგი. XX ს. ქართ. ფერწერის თვალსაჩინო წარმომადგენელი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1950). 1929–48 იყო თბილისის სამხატვრო აკად. პროფესორი, 1933–42 – პრორექტორი. მუშაობდა ქართ. ჭედურობაშიც, იკვლევდა ქართ. ორნამენტის გენეზისს. შექმნა იმერეთის, სვანეთის, თბილისისა და მისი გარეუბნების შესანიშნავი პეიზაჟები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში [საფლავზე დადგმული ძეგლის ავტორია დავით (დუდა) გაბაშვილი]. 1998 შოთა რუსთაველის გამზირზე, სურათების ეროვნ. გალერეის სკვერში, დაიდგა პ-ის ძეგლი (მოქანდაკე დ. ა. კაკაბაძე).



დავით კაკაბაძის ძეგლი.

პაპაბაძე ვასილ მიხეილის ძე (1888–1968), ქიმიკოსი, ქიმ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1943). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). მისი ნაშრომები ეხება ქიმ. ტექნოლოგიის საკითხებს. პ-ის უშუალო მონაწილეობით მომზადდა ტექ. ტერმინოლოგიის ლექსიკონი.

პაპაბაძე პოლიკარპე მალხაზის ძე (1893–1972), დრამატურგი, აღიარებული პიესების ავტორი, რ-ებიც უცვლელი წარმატებით იდგმება თბილისის თეატრების სცენაზე. მისი ნაწარმოებებიდან ყველაზე პოპულარულია კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“ (1928), რ-ის მიხედვითაც გადაღებულია ფილმი „ყვარყვარე“ (რეჟ. დ. აბაშიძე). პ. მუშაობდა ისტ. დრამისა და ტრაგედიის ჟანრშიც. დააარსა ჟურნ. „შვიდი მნათობი“. დავით აღმაშენებლის გამზირზე დგას პ-ის ბიუსტი (მოქანდაკე ს. გირკელიძე). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

პაპაბაძე სარგის ნესტორის ძე (1886–1967), ისტორიკოსი და ფილოლოგი. პროფესორი (1949). კითხულობდა ლექციებს საქართვ. სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, 1918–32 მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. კავკასიის ისტ.-არქეოლ. ინ-ტში, 1921–26 და 1945–61 – საქართვ. ისტ. არქივში; 1924–34 ხელმძღვანელობდა სიძველეთა დაცვის კომიტეტს. რედაქტორობდა ჟურნ. „საისტორიო მოამბეს“ (1924–25) და „საისტორიო კრებულს“ (1928–29). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საქართვ. სოც.-ეკონ. და პოლიტ. ისტორიის, ფილოლ. და ტექსტოლოგიის საკითხებზე. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

კალანდარიშვილი ნესტორ ალექსანდრეს ძე (1876 ან 1874 – 1922), პარტ. ფსევდ. – პაპა („დედუშკა“). რუსეთის სამოქალაქო ომის დროს პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აღმ. ციმბირში. 1921–22 – იაკუტიის ოლქისა და ჩრდილოეთის მხარის ჯარების სარდალი. დაიღუპა თეთრგვარდიელებთან ბრძოლისას. მასზეა შექმნილი მხატვრული ფილმი „ციმბირელი პაპა“ (რეჟ. გ. კალატოზიშვილი).

კალანდაძე ალექსანდრე პავლეს ძე (1916–96), მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი (1966). სსრკ-გერმ. ომის (1941–45) მონაწილე. დაჯილდოებულია საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო ორდენით – ვერცხლისვარსკვლავიანი ოქროს ჯვრით. წერდა რომანებს და კრიტიკულ ნაშრომებს.

კალანდაძე ბეჟან (ჟანი) ჯემალის ძე (1977–2005), საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული გურიის მხარეში. მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში. 2002-იდან იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და თბილისის საკრებულოს წევრი, 2004-იდან – საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

კალანდაძე ივანე (ვანო) მარკოზის ძე (1880–1911), რევოლუციონერი. ბათუმის მუშათა 1902 იანვარ–მარტის გაფიცვებისა და დემონსტრაციების მონაწილე. 1906 პ. თბილისში ჩამოვიდა და მებრძოლთა ერთ-ერთი ჯგუფის აქტიური წევრი გახდა. 1908 დააპატიმრეს და გაგზავნეს სარატოვის საკატორღო ციხეში, სადაც ჭლექით დასნეულებული გარდაიცვალა.

კალიაევი ივანე პლატონის ძე (1877–1905), რუსი რევოლუციონერ-ტერორისტი, ესერი. 1904 მონაწილეობდა რუს. შინაგან საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ პლევეზე თავდასხმაში. 1905 პ-მა მოკლა მოსკოვის გენ.-გუბერნატორი, დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე, რისთვისაც შლისელბურგის ციხეში ჩასვეს, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯეს.

კალინინი მიხეილ ივანეს ძე (1875–1946), კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწ. მოღვაწე. სრულიად რუსეთის ცაკის, სსრკ ცაკის თავ-რე (1919–37), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე (1938–46). 1900 მუშაობდა თბილისში ამიერკავკ. რკინიგზის სახელოსნოებში. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე.

კალისტრატე (ერისკაცობაში – კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე) (1866–1952), საქართვ. კათალიკოს-პატრიარქი (1932–52), ღვთისმეტყველების კანდიდატი (1892). იყო დეკანოზი, მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი. არის თეოლოგიური სამეცნ. ნაშრომის ავტორი. აქტიურად იბრძოდა ქართ. ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

კალუჟნი ა. მ. (1853–1939), მუშა-რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი. XIX ს. 90-იან წლებში ეწეოდა მარქსიზმის პროპაგანდას თბილისის მუშათა ჯგუფებთან. 1892 თ. *აფანასიევსა* და მ.

გორკისთან ერთად მონაწილეობდა თბილისის მუშათა თვითგანვითარების ლიტ.-რევ. წრის – „კრასნოგორსკის კომუნის“ დაარსებაში.

კამალოვი თომა გიორგის ძე (1890–1918), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე სამხრ. კავკასიაში. 1913-იდან ეწეოდა პარტ. საქმიანობას თბილისში. 1914 დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. იყო ვლადიკავკაზის საბჭოს თავ-რე. 1918 თეთრგვარდიელებმა კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს.

კამო (სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანის პარტ. ფსევდონიმი) (1882–1922), პროფესიონალი რევოლუციონერი. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის კომიტეტის მიერ მოწყობილ მუშათა დემონსტრაციებსა და გაფიცვებში. ფულადი სახსრებით პარტიის უზრუნველსაყოფად 1905–07 რამდენჯერმე განახორციელა სახელმწ. ხაზინის „ექსპროპრიაცია“. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ დაინიშნა ამიერკავკ. საბაჟო სამმართველოს უფროსად. დაიღუპა თბილისში (ველოსიპედით მიმავალი ავტომობილს შეეჯახა). ახლანდ. დ. უზნაძის ქუჩაზე იდგა კ-ს ბიუსტი (მოქანდაკე ი. ოქროპირიძე), აიღეს 1990.

კანდელაკი სანდრო (ალექსანდრე) იოსების ძე (1893–1959), ცნობილი ფალავანი, რ-საც ხალხმა „საქართველოს გოლიათი“ უწოდა. ჭიდაობა დაიწყო XX ს. 10-იან წლებში. თავდაპირველად გამოდიოდა დიდუბეში, „იტალიელების ბაღში“, შემდეგ – ესიკოვსკების ცირკში. დამარცხებული ჰყავდა მრავალი სახელოვანი ფალავანი. გადაღებულია ქართ. ფილმებში. 1976 მცხეთაში გაიხსნა კ-ის ძეგლი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი).

კანდელაკი სიმონ პლატონის ძე (1887–1966), პარაზიტოლოგი (მალარიოლოგი), მედ. მეცნ. დოქტორი (1936), პროფესორი (1936), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). 1921–38 იყო ს. ვირსალაძის სახ. ტროპ. მედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. სსრკ-ში პირველმა ეფექტურად გამოიყენა მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლ. მეთოდი. დიდი წვლილი მიუძღვის საბურთალო-დელისის მიდამოების დაჭაობებული ადგილების ამოშრობაში.

კანკავა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე (1913–42), საბჭ. კავშირის გმირი (1942, სიკვდილის შემდეგ). იბრძოდა ჩრდ. კავკასიაში, იყო 392-ე მსროლელი დივიზიის მესანგრეთა ბატალიონის სამხ. კომისარი.

კაპანაძე ოთარ (1914–43), სსრკ-გერმანიის ომის (1941–45) გმირი.

კაპგერი ალექსანდრე ხრისტიანის ძე (1809–76), გენ.-ლეიტენანტი, თავადი. 1842 გამოაგზავნეს კავკასიის კორპუსში. 1852–57 იყო კავკასიის ხაზის და შავიზღვისპირეთის ჯარების შტაბის უფროსი. 1858 დაინიშნა თბილისის სამხ. გუბერნატორად.

კარგარეთელი ია (ილია) გიორგის ძე (1867–1939), კომპოზიტორი, ფოლკლორისტი, მომღერალი (ტენორი), საზოგადო მოღვაწე. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1938). 1895-იდან იყო თბილისის საოპერო თეატრის მომღერალი, 1905-იდან – რეჟისორი. ცნობილი რომანსების ავტორი. 1910 დააარსა „საგუნდო საზოგადოება“, იყო „ფილარმონიული საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთი მონაწილე (1903). ავტორია „მოკლე პოპულარული მუსიკალური ენციკლოპედიისა“ (1933).

კარტოზია გივი ალექსანდრეს ძე (1929–98), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1953). პირველი ქართ. სპორტსმენი, რ-მაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ოლიმპიური ჩემპიონი (1956) და მესამე პრიზიორი (1960), მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი (1953, 1955, 1958), მსოფლიო თასის მფლობელი (1956), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1951), სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1952–55). 2001 კ-ს სახელი მიენიჭა თბილისის სპორტის სასახლეს.

კაშენი მარსელ (1869–1958), საფრანგეთისა და საერთაშ. მუშათა მოძრაობის მოღვაწე. 1905–20 იყო საფრ. სოციალ. პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1924–43 – კომინტერნის პრეზიდიუმის წევრი. II მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში.



დავით კაკაბაძე. „ძველი თბილისი“.

კაჭარავა დავით კონსტანტინეს ძე (1902–25), საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

კაჭარავა ივანე ბესარიონის ძე (1894–1977), გეოლოგი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1960), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1973), გეოლ. საზ-ბის ვიცე-პრეზიდენტი (1933–77). მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. გეოლოგიურ ინ-ტში. ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თსუ-სა და სპი-ში. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

კახიანი ნიკოლოზ საულის ძე (1884–1928), ქირურგი და მორფოლოგი, ქართული მეცნიერული ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მედ. მეცნ. დოქტორი (1917), პროფესორი (1917). 1919–21 განაგებდა თსუ-ის სამკურნალო ფაკ-ტის ქირურგ. კათედრას, 1921-იდან სიცოცხლის ბოლომდე – თსუ-ის სამკურნალო ფაკ-ტის (1930-იდან თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტი) ქირურგ. პროპედევტიკის კათედრას. რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს (დიღომი) ეზოში დგას კ-ის ბიუსტი (მოქანდაკე თ. ჭყონია). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

კედია სპირიდონ მალხაზის ძე (1884–1948), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, პოლიტ. და საზოგადო მოღვაწე. 1917 აირჩიეს ეროვნ.-დემოკრ. პარტიის თავ-რედ. დააარსა გაზ. „საქართველო“. 1918, საქართვ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აქტიურად ჩაება პარლამენტის დამფუძნებელი კრების მუშაობაში. 1922 დააპატიმრეს და საქართველოდან გაასახლეს. ცხოვრობდა პარიზში, სადაც ხელმძღვანელობდა გაზ. „ერის გუშაგის“ გამოცემას. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სამძო სასაფლაოზე.

კეკელიძე კორნელი სამსონის ძე (1879–1962), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918) და საქართვ. მეცნ. აკად. დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1943). 1918–62 თსუ-ში განაგებდა ძვ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის კათედრას. 1926–30 იყო თსუ-ის პრორექტორი, 1942–49 – შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტის დირექტორი. იკვლევდა ძვ. ქართულ ლიტ-რას, აგრეთვე ქართ.-ბიზანტ., ქართ.-სპარს. ლიტ. ურთიერთობებს. დიდი ამაგი დასდო ძვ. ქართ. ხელნაწერების გამოვლენასა და პუბლიკაციას, ქართ. ტექსტოლოგიას, ისტორიოგრაფიას და ა. შ. 1962 მისი სახელი ეწოდა საქართვ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინ-ტს. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში. მის საფლავზე დგას ბიუსტი (მოქანდაკე გ. ონიაური).

კელაპტრიშვილი ომარ მიხეილის ძე (1943–92), მუსიკოს-შემსრულებელი, სალამურზე დაკვრის ვირტუოზი, ფლეიტისტი.

საქართვ. სახ. არტისტი (1989), საერთაშ. ფესტივალების ლაურეატი. 1987 ხელოვნ. მუშაკთა სახლთან ჩამოაყალიბა ხალხ. საკრავთა ტრიო, დააარსა რამდენიმე სკოლა-სტუდია, ხალხ. საკრავთა ორკესტრი. გააფართოვა სალამურის რეპერტუარი. ვაჟა-ფშაველას გამზირის V კვარტლის III კორპუსის მიმდებარე სკვერში დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე გ. პაპინაშვილი). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ არჩილ პავლეს ძე (1912–71), კომპოზიტორი და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1961), ზ. ფალიაშვილის სახ. პრემიის ლაურეატი (1973, სიკვდილის შემდეგ). 1940-იდან იყო თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი (პოლიფონია), მარჯანიშვილის თეატრის მუს. ნაწილის გამგე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუს. რედაქტორი. ჰ-ის მუსიკისათვის დამახასიათებელია მელოდიურობა, მკაფიოდ გამოხატული ეროვნ. სტილი. ავტორია ოპერისა „ბაში-აჩუკი“, ბალეტებისა, მუსიკისა დრამ. სპექტაკლებისათვის და კინოფილმებისათვის. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ᲙᲔᲠᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ ივანე ივანეს ძე (1829–92), პირველი ქართველი პროფესიონალი ჟურნალისტი, პუბლიცისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნ. „ცისკრის“ რედაქტორი (1857–75), გამომცემელი, ფელეტონის მამამთავარი საქართველოში. გარკვეული წვლილი შეიტანა ქართ. დრამატურგიისა და პროზის განვითარებაშიც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ლადო (ვლადიმერ) ზაქარიას ძე (1876–1903), პროფესიონალი რევოლუციონერი. რსდმპ ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი დამაარსებელი ამიერკავკასიაში. 1901 ბაქოში დააარსა არალეგალური სტამბა „ნინა“. მოკლეს მეტეხის ციხის საკანში. მისი ძეგლი იდგა 9 აპრილის სახ. ბაღში (მოქანდაკე ვ. თოფურიძე). აიღეს 1998.

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ნიკო (ნიკოლოზ) ნიკოლოზის ძე (1897–1982), ბოტანიკოსი და მწერალი. ბოტან. სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941). თბილისის საპატიო მოქალაქე (1980), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1975). საქართვ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1943–45), თსუ-ის რექტორი (1945–52), 1963-იდან – საქართვ. მეცნ. აკად. ბოტანიკის ინ-ტის დირექტორი. საქართვ. მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავ-რე (1945–63). 1983 ბოტანიკის ინ-ტს მიენიჭა ჰ-ის სახელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ აკაკი ლუკას ძე (1907–67), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1957). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952). მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1928–67). დიდი ოსტატობით ასრულებდა მკვეთრად სახასიათო კომედიურ როლებს. დგამდა სპექტაკლებს. ნაყოფიერად მუშაობდა კინოში. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. საესტრადო ხელოვნ. განვითარებაშიც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ᲙᲕᲐᲭᲐᲜᲢᲘᲠᲐᲫᲔ დავით (ჩელე) ზურაბის ძე (1969–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, „შავნაბადას“ სპეცბატალიონის მაიორი. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, დაიღუპა სოფ. იფნართან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით და მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ᲙᲕᲘᲜᲘᲢᲐᲫᲔ გიორგი ივანეს ძე (1874–1970), გენერალი (1918). დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი და პეტერბ. კონსტანტინეს ქვეითთა სასწავლებელი, 1910 – გენ. შტაბის აკადემია. I მსოფლიო ომში (1914–18) ჰ. კავკასიის მე-4 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსი იყო. 1919 თებ-ში ახალციხის ფრონტზე, ე. წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობასთან“ ომის დროს, დაინიშნა სარდლად და ორთვიანი ლაშქრობა არტაანში უძველესი ქართ. პროვინციების შემოერთებით დაასრულა. 1920 ივნ-ში ხელმძღვანელობდა სამხ. ოპერაციებს ავჯანყებულ ოსთა წინააღმდეგ. 1921 წ. 16 თებ. ჰ. დაინიშნა მთავარსარდლად რუს.-საქართველოს ომში. წინააღმდეგობის მიუხედავად ომი მარცხით დამთავრდა და ჰ. ემიგრაციაში წავიდა. დაკრძალულია საფრანგეთში, ქ. შატუს სასაფლაოზე. 2007-იდან ჰ-ის არქივი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ᲙᲘᲑᲐᲚᲩᲘᲩᲘ ნიკოლოზ ივანეს ძე (1853–81), რუსი გამომგონებელი, რევოლუციონერ-ტერორისტი, ჩამოახრჩვეს რუს. იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის.

ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲔ ვასილ ისიდორეს ძე (1895–1919), რუსეთის სამოქალაქო ომის (1918–20) აქტ. მონაწილე, წითელი არმიის სარდალი. 1918–19 ჰ-ის დივიზია წარმატებით ებრძოდა გენ. პ. კრასნოვის თეთრგვარდიელთა არმიას. დაიღუპა ბრძოლის დროს. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მოსკოვში, ვაგანკოვოს სასაფლაოზე. მისი სახელი ეწოდა დაბა პრეობრაჟენსკაიას ვოლგოგრადის ოლქში. ჰ-ის ძეგლი იდგა თბილისში, ნაძალადევის პარკში (მოქანდაკეები: გ. ნიკოლაძე, ვ. მიზანდარი), აიღეს 1991.

ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔᲚᲘᲫᲔᲔᲑᲘ: ყარამან (1878–1918), ნიკოლოზ (1883–1918), შალვა (1887–1918), მანუელ (1889–1916), ხეტყის მრეწველები, ქველმოქმედები. 1906–16 ცხოვრობდნენ ფერეიდანში, სადაც მანუელი, როგორც ფერეიდნელი ქართველების ქომაგი, დაქირავებულმა მკვლელებმა მოკლეს. 1917-იდან ჰ. საქართველოში დაბრუნდნენ და სამეწარმეო და საქველმოქმედო საქმიანობა განაგრძეს – 1917 ყარამანმა ქართ. უნ-ტის დამაარსებელ საზ-ბას საჩუქრად გადასცა ასი თუმანი; ძმებმა დიდი დახმარება გაუწიეს, აგრეთვე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას. 1918 ყარამან, ნიკოლოზ და შალვა ჰ., თავიანთ ოჯახებთან ერთად, ყაჩაღთა შეიარაღებულმა ბანდამ იმსხვერპლა.

ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ ნიკოლოზ დავითის ძე (1885–1951), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. ს. *ბუაჩიძესთან* ერთად ხელმძღვანელობდა რსდმპ თერგ-დაღესტნის კომიტეტს. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ იყო გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორი, „სახელგამის“ დირექტორი.

ᲙᲘᲠᲝᲕᲘ (პარტ. ფსევდ.; ნამდვ. გვარი – კოსტრიკოვი) სერგეი მირონის ძე (1886–1934), კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწ. მოღვაწე. იყო რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დემოკრ. საქართველოში, ამიერკავკ. სფსრ-ის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1922), საკ. კპ(ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის მდივანი (1926-იდან). მის მკვლელობას რეპრესიების ახალი ტალღა მოჰყვა. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ დავით სამსონის ძე (1862–1931), მწერალი, საქართვ. სახალხო მწერალი (1930). კლასიკური ლიტ. ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი. მან იუმორს განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვა მისცა, რითაც ეფექტურად წარმოაჩინა იმდროინდელი პრობლემები. ჰ-ის ნაწარმოებები იდგმება ქართ. თეატრების სცენაზე, გადაღებულია კინოფილმები. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ნიკოლოზ (კოკა) რევაზის ძე (1966–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, ინჟინერ-ტექნოლოგი. დაიღუპა აფხაზეთში, სოფ. ლესელიძესთან. დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ მამუკა ილიას ძე (1962–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, ლეიტენანტი. ბატალიონ „გორდას“ წევრი. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში (გამოსცადა ტყვეობაც). დაიღუპა სოხუმის დაცვის დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ პეტრე (პიერ) კალისტრატეს ძე (1907–63), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1946), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952). იყო რუსთაველის თეატრის (1924–30), შემდეგ კი – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. მის მიერ შესრულებული ურიელის როლი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“) ვ. *ანჯაფარიძის* ივდითთან ერთად ქართ. თეატრის ისტორიაში ახ. ეტაპად იქნა აღიარებული. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.





კალა, ელიას მთა და ჩუღურეთი.

კობერიძე ერმალოზ გრიგოლის ძე (1904–74), გენ.-მაიორი (1943), საბჭ. კავშირის გმირი (1945). გმირობა მიენიჭა მდ. ვისლის გადალახვისას შენაერთის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის (1944). ომის შემდეგ დაამთავრა უმაღლესი სამხ. აკადემია (1947). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

კოკინაკი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე (1904–85), სსრკ დამს. მფრინავ-გამომცდელი (1959). ავიაციის გენ.-მაიორი (1943), ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი (1938, 1957). ლენინური პრემიის ლაურეატი (1960). დაიბადა ყაზბეგის რ-ნის სოფ. უხათში. კ-მა დაამყარა 22 მსოფლიო რეკორდი.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რომანოვი (1827–92), დიდი მთავარი, იმპ. *ნიკოლოზ I-ის* მეორე ვაჟი. გენ.-ადმირალი. 1850-იდან იყო სახელმწ. საბჭოს წევრი. 1855–81 წლებში განაგებდა საზღვაო სამინისტროს. 1862–63 იყო პოლ. სამეფოს მეფისნაცვალი, 1865–81 – სახელმწ. საბჭოს თავ-რე.

კოპცოვი ვასილი ალექსის ძე (1904–43), კაპიტანი, საბჭოთა კავშირის გმირი (1939). დაიბადა ქ. თბილისში. მონაწილეობდა სსრკ-გერმანიის ომში (1941–45). გარდაიცვალა ფრონტზე მიღებული ჭრილობების შედეგად.

კოსტავა მერაბ ივანეს ძე (1939–89), ეროვნ.-განმათ. მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პოეტი, მუსიკათმცოდნე, მთარგმნელი. რამდენჯერმე დააპატიმრეს მძიმე პოლიტ. ბრალდებით. 1977–87 სასჯელს იხდიდა რუსეთში. კ. იყო ზ. *გამსახურდიას* ერთგული თანამებრძოლი. 1972 მათ შექმნეს საქართვ. ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი, 1976 – ჰელსინკის ჯგუფი. არალეგალურად გამოსცეს ჟურნალები: „ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“. 1987–89 ზ. გამსახურდიასა და სხვებთან ერთად სათავეში ედგა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ ყვავილა საპროტესტო აქციას. ტრაგიკულად დაილუპა 1989 წ. 21 ოქტ. სოფ. ბორითთან (ხარაგაულის რ-ნი) მომხდარ საავტ. კატასტროფაში. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. ვერის ბაღში დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე კ. არუნაშვილი). თბილისში არის კ-ს მემორიალური სახლ-მუზეუმი (მის.: მ. ზანდუკელის 1).

კოტეტიშვილი ვახტანგ ილიას ძე (1893–1937), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკორისტი, ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე. იკვლევდა ქართ. ფოლკლორის, პოეტიკის საკითხებს. იყო გაზ. „ქართული სიტყვის“ რედაქტორი. შეაგროვა და გამოსცა მდიდარი ფოლკლორული მასალა. 1926-იდან ლექციებს კითხულობდა თსუ-ში, ხოლო 1928-იდან – თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იყო რეპრესირებული საბჭოთა რეჟიმის მიერ.

კოტლიარევსკი პეტრე სტეფანეს ძე (1782–1852), რუს. არმიის ინფანტერიის გენერალი (1826). განსაკუთრებით თავი გამოიჩინა რუს.-ირანის ომში (1804–13). 1812 დაამარცხა აბას-მირზას ჯარბი ძალები ასლანდუზთან, ხოლო 1813 აიღო ლენქორანი, რამაც ომის ბედი გადაწყვიტა. კ-ს სახელი მინიჭებული ჰქონდა გრენადერთა მე-14 ქართულ პოლკს.

კოტოვსკი გრიგოლ ივანეს ძე (1881–1925), რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. 1921 მახნოველების, ანტონოველებისა და პეტლიურელების ლიკვიდაციის დროს, მეთაურობდა კავალერიის ნაწილებს.

კოჩეტკოვი იაკობ ავერიანის ძე (1877–1928), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე. თბილისის ს.-დ. ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი. მონაწილეობდა ბაქოს მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ იყო ამიერკავკ. სამხარეო საკონტროლო კომისიისა და საქართვ. კპ(ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის წევრი.

კოჩუბეი ვიქტორ პავლეს ძე (1768–1834), რუსი დიპლომატი და სახელმწ. მოღვაწე, გრაფი (1799). რუს. შინაგან საქმეთა მინისტრი (1819–23), სახელმწ. საბჭოს თავ-რე. ხელი შეუწყო გერმ. მოახალშენეების თბილისში ჩამოსახლებას.

კოხრეიძე შალვა თევდორეს ძე (1901–62), რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკი, თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი. სოციალ. შრომის გმირი (1943).

კრენკელი ერნსტ ტეოდორის ძე (1903–71), პოლარეთის მკვლევარი, საბჭოთა კავშირის გმირი (1938). გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1938). მონაწილეობდა არქტიკულ ექსპედიციებში, იყო მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსის“ რადისტი (1937–38).

კრილოვი ივანე ანდრიას ძე (1769 ან 1768–1844), რუსი მწერალი, ცნობილი მეიგავე. კ. დიდად პოპულარული იყო საქართველოში. მისი იგავ-არაკები თარგმნეს გრ. ორბელიანმა, რ. ერისთავმა, ა. წერეთელმა, ი. გრიშაშვილმა და სხვებმა.

კროპოტკინი პეტრე ალექსის ძე (1842–1921), რუსი რევოლუციონერი, ანარქიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი, სოციოლოგი, გეოგრაფი და გეოლოგი. მან თეორიულად დაასაბუთა ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში ხმელეთის არსებობა, რაც ორი წლის შემდეგ მართლაც დადასტურდა ფრანც-იოსების მიწის აღმოჩენით.

კრუზენშტერნი ალექსეი თედორეს ძე, კავკ. მეფისნაცვლის კანცელარიის მმართველი, განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკი, 1864 ნება დართეს მიეღო ქ. თბილისის მოქალაქის წოდება.

კრუპსკაია (ულიანოვა) ნადეჟდა კონსტანტინეს ასული (1869–1939), რევოლუციონერი, პუბლიცისტი. ვ. ი. *ლენინის* მეუღლე.

კუიბიშევი ვალერიან ვლადიმერის ძე (1888–1935), რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწ. და კომუნისტური პარტიის მოღვაწე. ხელმძღვანელობდა გოელროს გეგმის პრაქტ. განხორციელებას. 1926 იყო სსრკ სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავ-რე, 1930 – სსრკ საგეგმო კომიტეტის თავ-რე, 1934 – საბჭოთა კონტროლის კომისიის თავ-რე. დიდი საბჭ. ენციკლოპედიის I გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი.

კუპრაძე ვიქტორ დიმიტრის ძე (1903–85), მათემატიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971), თბილისის საპატიო მოქალაქე (1981). იყო სსრკ მეცნ. აკად. საქართვ. ფილიალის მათ. ინ-ტის დირექტორი (1935–41), საქართვ. განათლების მინისტრი (1944–53), საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავ-რე (1954–63), თსუ-ის რექტორი (1954–58), საქართვ. მათ. საზ-ბის პირველი პრეზიდენტი (1962–66).

კურნატოვსკი ვიქტორ კონსტანტინეს ძე (1868–1912), რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე რუსეთსა და საქართველოში, ბოლშევიკი. 1900 პარტიის დავალებით ჩამოვიდა თბილისში, დაუკავშირდა ფ. მახარაძეს, ი. სტალინს და გაშალა პარტ. მუშაობა თბილისის სოც.-დემოკრ. ორგანიზაციაში. 1901 დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს, 2 წლის შემდეგ კი ციმბირში გაასახლეს. გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. პარიზში.

კუტუზოვი (გოლენიშჩევ-კუტუზოვი) მიხეილ ილარიონის ძე (1745–1813), რუსი მხედართმთავარი, გენ.-ფელდმარშალი (1812). ა. *სუვოროვის* თანამებრძოლი. რუსეთის 1812 წლის სამამულო ომის მთავარსარდალი. 1813 დასაწყისში კ. ნაპოლეონის არმიის ნაშთებს პოლ. და პრუსიის ტერიტორიაზე ებრძოდა.

კუფტინი ბორის ალექსის ძე (1892–1953), არქეოლოგი და ეთნოგრაფი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1942). მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართვ. სახელმწ. მუზეუმში, იკვლევდა საქართვ. არქეოლ. ძეგლებს, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხებს. აღმოაჩინა და შეისწავლა თრიალეთის კულტურა; გამოყო მტკვარ-არაქსის კულტურა.

ლაზარევი ივანე დავითის ძე (1821–79), რუს. არმიის გენერალ-ადიუტანტი (1878). იბრძოდა კავკ. მთიელთა წინააღმდეგ. აქტიურად მონაწილეობდა ღუნიბის აღებაში (1859). 1866 გახდა გენ.-ლეიტენანტი. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა რუს.-ოსმალეთის (1877–78) ომში. შემდეგ დაინიშნა კავკ. II კორპუსის მეთაურად. დაკრძალულია თბილისში.

ლაზო სერგეი გიორგის ძე (1894–1920), რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. 1918-იდან სარდლობდა იმერბაიკალეთის ფრონტის ჯარებს. 1920 დანიშნეს პრიმორიეს რევ. სამხ. საბჭოს წევრად. მოკლეს იაპონელებმა.

ლალიონი (ნამდვ. გვარი და სახელი – მამულაიშვილი არსენ ანტონის ძე) (1866–1918), მწერალი, ე. ნინოშვილის დემოკრ. სკოლის ტრადიციების მიმდევარი. წერდა მოთხრობებს, რითაც ეხმაურებოდა თავისი პერიოდის მწვავე პრობლემატიკას.

ლანდია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1919–84), ქიმიკოსი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). იყო საქართვ. მეცნ. აკად. რ. აგლაძის სახ. არაორგ. ქიმიისა და ელექტროქიმიის ინ-ტის დირექტორი (1960–72), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოს-მდივანი (1972–81), ვიცე-პრეზიდენტი (1981–84). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ლალიძე მიტროფანე ერმალოს ძე (1869–1960), მეწარმე, უალკოჰოლო სასმელების წარმოების ფუძემდებელი საქართველოში, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. ლ-ის ხილეულის წყლებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. 1927 ლ-მ კლარა ცეტკინის (ახლანდ. მ. წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე გახსნა უალკოჰოლო სასმელების ქ-ნა (ახლანდ. სააქციო საზ-ბა „ლალიძე“), რ-ის ეზოში დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე ო. ფარულავა). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ლალიძე რევაზ ილიას ძე (1921–81), კომპოზიტორი და პედაგოგი, ქართ. მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართვ. სახ. არტისტი (1961). შოთა რუსთაველის სახ. (1975) და სსრკ (1977) სახელმწ. პრემიების ლაურეატი. ლ. სხვადასხვა ჟანრის მუს. ნაწარმოებების ავტორია. მას ეკუთვნის ოპერა „ლელა“ (1975) და სხვ. წერდა მუსიკას დრამ. სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის. მისი სიმღერები გამოირჩევა იშვიათი მელოდიურობით. ლ-ის „სიმღერა თბილისზე“ დედაქალაქის მუს. ემბლემად ითვლებოდა წლების მანძილზე, ხოლო 2000 წლიდან ქ. თბილისის ჰიმნად გამოცხადდა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლევანდოვსკი მიხეილ კარლის ძე (1890–1937), საბჭ. არმიის მხედართუფროსი, I მსოფლიო ომისა (1914–18) და რუსეთის სამოქალაქო ომის (1918–20) მონაწილე. დაიბადა თბილისში. მეთაურობდა მე-9 არმიას (1920 აგვ. – 1921 მაისი). ამიერკავკ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი (1925, 1927–28). იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ლეკიშვილი სტეფანე იოსების ძე (1891–1942), რევოლუციონერი და საბჭოთა სახელმწ. მუშაკი. იყო საქართველოს სახალხო კომისარი, ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ლელაშვილი გიორგი (გიგო) ზაქარიას ძე (1881–1943), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. მონაწილეობდა ავლაბრის არალეგალური სტამბის გახსნაში, იბრძოდა დემოკრ. რესპ. მთავრობის წინააღმდეგ. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტი.

ლელაშვილი (საგინაშვილი) ნატალია პავლეს ასული (1853–1918), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. გ. *ლელაშვილის* დედა. მისი ბინა ნაძალადევში რევოლუციონერთა თავშეყრის ადგილი იყო, სადაც იმართებოდა არალეგალური კრებები, ინახებოდა რევ. ლიტერატურა და საბრძოლო იარაღი.

ლენინი (ულიანოვი) ვლადიმერ ილიას ძე (1870–1924), ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი რევოლუციისა და 1917 ოქტ. გადატრიალების ორგანიზატორი. საბჭ. სახელმწიფოსა და კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის შემქმნელი და თეორეტიკოსი. მის მიერ 1918–20 გამოცხადებულ „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ტოტალიტარულ რეპრესიულ რეჟიმს. სარკოფაგი ლ-ის ბალზამირებული ნეშტით მოთავსებულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, სპეციალურად აგებულ მავზოლეუმში.

ლეონიძე გიორგი ნიკოლოზის ძე (1899–1966), პოეტი. საქართვ. სახ. პოეტი (1959). შოთა რუსთაველის სახ. (1969, სიკვდილის შემდეგ) და ორგზის სსრკ (1941, 1952) სახელმწ. პრემიების ლაურეატი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). იყო საქართვ. მწერალთა კავშირის გამგეობის თავ-რე (1951–53), შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ინ-ტის დირექტორი (1957–66). ცნობილი ლექსების, ლირ.-ეპიკური პოემების, მოთხრობების ავტორი. იკვლევდა ძვ. ქართ. მწერლობას. მისი ინიციატივით დაარსდა ქართ. ლიტ-რის სახელმწ. მუზეუმი (ამჟამად ლ-ის სახელობისა). ლ-ის სახ. პარკში დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ლეჟავა ვახტანგ აკაკის ძე (1923–44), საბჭოთა კავშირის გმირი (1944). სსრკ-გერმ. ომის (1941–45) მონაწილე. გვარდიის ლეიტენანტი, იბრძოდა ბრიანსკისა და სტალინგრადის ფრონტებზე.

ლერმონტოვი მიხეილ იურის ძე (1814–41), რუსი პოეტი. 1837 მეფის მთავრობამ მცირე ხნით საქართველოში გადმოასახლა. თბილისში მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართ. მოღვაწეებთან, კერძოდ, ა. ჭავჭავაძის ოჯახთან. საქართველო აისახა ლ-ის პოემებში („მწირი“, „დემონი“), ლექსებში („ჩერგის საჩუქრები“, „დავა“, „თამარი“, „პაემანი“), რომანში („ჩვენი დროის გმირი“).

ლესელიძე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (1903–44), საბჭოთა მხედართუფროსი, გენ.-პოლკოვნიკი (1943). საბჭოთა კავშირის გმირი (1971, სიკვდილის შემდეგ). 1942–44 იყო 46-ე, 47-ე და მე-18 არმიების სარდალი, მონაწილეობდა ბრძოლებში მოსკოვთან, იცავდა კავკასიას. ლ-ის ძეგლი დგას კ. აფხაზის ქუჩის (ყოფ. ლესელიძის ქუჩის) სკვერში (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლესია უკრაინკა, იხ. *უკრაინკა ლესია*.

ლიბკნეხტი კარლ (1871–1919), გერმანიისა და საერთაშ. მუშათა მოძრაობის მოღვაწე. გერმ. კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. „სპარტაკის კავშირის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი და ხელმძღვანელი. მოკლეს რ. *ლუქსემბურგთან* ერთად ბერლინში.

ლისაშვილი (ნამდვ. გვარი – ხომერიკი) იაკინთე ბარნაბას ძე (1897–1972), მწერალი. მონაწილეობდა რევ. მოძრაობაში. სხვადასხვა დროს იყო გამომც. „საბჭოთა მწერლის“ დირექტორი, ჟურნ. „ნიანგის“ რედაქტორი და სხვ. წერდა ლექსებს, პოემებს, რომანებს.

ლომთათიძე ჭოლა (ბიკენტი) ბიბონის ძე (1879–1915), მწერალი და რევ. მოღვაწე, ქართ. რევ.-დემოკრ. მწერლობის ერთ-ერთი მესვეური. წერდა მოთხრობებს, აღსანიშნავია მისი ლირ. პროზა. გარდაიცვალა სარატოვის თავშესაფარში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლომინაძე ბესარიონ ბესარიონის ძე (1897–1934), კომპარტიის ხელმძღვანელი მუშაკი. 1923 აირჩიეს საქ. კპ(ბ) ცკ-ის, ხოლო 1930 – საკ. კპ(ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად. საკ. კპ(ბ) ცკ-ის წევრი. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ლომინაძე ელისე გიორგის ძე (1880–1916), რევოლუციონერი. აქტიურად მონაწილეობდა მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. შექმნა მებრძოლი შეიარაღებული რაზმი. მონაწილეობა მიიღო 1907 *კამოს* მიერ ერევანსკის (ახლანდ. თავისუფლების) მოედანზე განხორციელებულ სახელმწ. ხაზინის „ექსპროპრიაციაში“.

ლომონოსოვი მიხეილ ვასილის ძე (1711–65), მსოფლიო მნიშვნელობის პირველი რუსი მეცნიერ-ბუნებისმეტყველი, ენციკ-





ლოპედისტი, ფიზ. ქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პოეტი, თანამედროვე რუს. სალიტ. ენის ერთ-ერთი შემქმნელი, მხატვარი, ისტორიკოსი. ლ-ის სახელს ატარებს ქალაქი სანქტ-პეტერბურგის ოლქში (რუს. ფედერაცია), წყალქვეშა ქედი ჩრდ. ყინულოვან ოკეანეში, მოსკოვის სახელმწ. უნ-ტი და სხვ.

ლომოური ნიკო იოსების ძე (1852–1915), მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი. მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგედ (1879-იდან), მისი შემოქმედება ი. ჭავჭავაძისა და რუს. რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეურ-მხატვრული ნაზრევის ზეგავლენით განვითარდა. წერდა მოთხრობებს, ლექსებს, პუბლიკაციებს და ლიტ.-კრიტიკულ წერილებს.

ლორთქიფანიძე გრიგოლ სპირიდონის ძე (1881–1937), საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის სახელმწ. და პარტ. მოღვაწე. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავ-რის მოადგილე, სამხ. მინისტრი. 1937 რეპრესიების მსხვერპლი.

საქართვ. გასაბჭოების შემდეგ ლ. გადაასახლეს რუსეთში. იქ, სუზდალის ციხეში, დაწერა „ფიქრები საქართველოზე“ (თბ., 1995), რ-შიც შეფასებულია არა მხოლოდ დემოკრ. საქართველოს არსებობის სამწლიანი პერიოდი, არამედ გაანალიზებულია საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობა 1783 გეორგიევსკის ტრაქტატიდან საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

ლორთქიფანიძე ნიკო (ნიკოლოზ) მერაბის ძე (1880–1944), მწერალი, ქართ. ლირიკული პროზის ოსტატი. მისმა შემოქმედებამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა XX ს. ქართ. პროზის განვითარება და გზა გაუხსნა ევროპულ მოდერნიზმს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უფაბულო, ლექსივით ამეტყველებული მინიატურები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე (1825–88), რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, გრაფი (1878), გენ.-ადიუტანტი. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში, თავი ისახელა რუს.-ოსმალეთის (1877–78) ომში. იყო რუს. იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი და ჟანდარმთა კორპუსის სარდალი, სახელმწ. საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში (მამამისი, ტარიელ მელიქიშვილი, წარმოშობით იყო საქართვ. ისტ. ოლქიდან – ლორედან. გვარს მისცა რუს. დაბოლოება და გახდა ლ.-მ.), გარდაიცვალა ნიცაში (საფრანგეთი). დაკრძალულია თბილისში.

ლუბოვსკი ვლადიმერ ივანეს ძე (1948–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, მაიორი. რკინიგზის მე-8 სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის მეთაურის პირველი მოადგილე. დაიღუპა აფხაზეთში, სოხუმჰესთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ლუნაჩარსკი ანატოლი ვასილის ძე (1875–1933), საბჭოთა სახელმწ. და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1930). იყო სსრკ განათლების სახ. კომისარი (1917–29), სსრკ ცაკთან არსებული სამეცნ. კომიტეტის თავ-რე (1929-იდან). ორჯერ იყო საქართველოში (1924, 1926), შეხვდა ქართველ მოღვაწეებს (კ. მარჯანიშვილს, ზ. ფალიაშვილს, ა. სუმბათაშვილს და სხვ.). დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე.

ლუსინიანი არტემ ჰაიკის ძე (1910–63), სომეხი მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1950). დაიბადა, მოღვაწეობდა და გარდაიცვალა თბილისში. იყო თბილისის სომხ. თეატრის მსახიობი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: პეპო, არსენა, ხევისბერი გოჩა, ოტელო, ურიელ აკოსტა.

ლუქსემბურგი როზა (1871–1919), საერთაშ. მუშათა მოძრაობის მოღვაწე. პოლ. და გერმანიის ს.-დ. მოძრაობის და II ინტერნაციონალის მემარცხენე-რადიკალური მიმდინარეობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი. „სპარტაკის კავშირის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი. მოკლეს კ. *ლიბკნეხტთან* ერთად ბერლინში.

◄ გიორგი ლეონიძის ძეგლი.

მადათოვი ვალერიან (როსტომ) გრიგოლის ძე (1782–1829), რუს. არმიის გენ.-ლეიტენანტი (1826). რუს. სამამულო (1812), რუს.-ირანის (1826–28), რუს.-ოსმალეთის (1828–29) ომების მონაწილე. უწოდებდნენ რუს. ჯარის „მიურატს“. გარდაიცვალა ბულგარეთში. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში (რუსეთი). ერთხანს მის სახელს ატარებდა ყოფ. ორბელიანების კუნძული (მშრალ ხიდთან).

მაზნიაშვილი გიორგი ივანეს ძე (1872–1937), სამხედრო მოღვაწე, მეფის რუს. არმიის გენერალი. 1918 ახალშედგენილი ქართ. ლაშქრით მდ. ჩოლოქთან დიდი ზარალით უკუაგდო თურქ. ჯარი. საქართვ. დემოკრ. რესპ-ში იყო აფხაზეთის გენ.-გუბერნატორი, თბილისის გენ.-გუბერნატორი და I დივიზიის უფროსი, 1921 – თბილისის ფრონტის სოღანლუღის სექტორის სარდალი. 1921 წ. 18–19 მარტის ბრძოლებში დაამარცხა თურქები და საქართველოს შეუნარჩუნა აჭარა. 1937 დახვრიტეს ბოლშევიკებმა.

მაიაკოვსკი ვლადიმერ ვლადიმერის ძე (1893–1930), რუსი პოეტი. რუს. კლასიკური პოეზიის რეფორმატორი. დაიბადა საქართველოში, ბაღდათში. 1906 ოჯახთან ერთად მოსკოვში გადასახლდა, თუმცა საქართველოს ხშირად სტუმრობდა. პოეტის ნაწარმოებები მის სიცოცხლეშივე ითარგმნა ქართულად. მ-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი სახელი 1940–90 ერქვა ბაღდათს, სადაც 1941 პოეტის სახლ-მუზეუმიც გაიხსნა. გრ. რობაქიძის გამზირზე დგას მ-ს ძეგლი (მოქანდაკე გ. კორძახია).



ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი.

მაისურაძე ევგენია მელიტონის ასული. ქ. ნალჩიკის (ყაბარდო-ბალყარეთი) იატაკქვეშა ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი. სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს, 1942 დეკემბერში 10 წლის ვაჟიშვილთან ერთად დახვრიტეს გერმანელმა ფაშისტებმა.

მაისურაძე ზაქარია ნიკოლოზის ძე (1891–1975), ანატომი, ქართ. სამედიცინო ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მედ. მეცნ. დოქტორი (1942), პროფესორი (1945), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). გამოსცა „ადამიანის ნორმალური ანატომიის“ სახელმძღვანელო (აკად. ა. ნათიშვილთან ერთად, 1930), შეადგინა „რუსულ-ქართულ-ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგია“ (1947) და სხვ. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მამარდაშვილი მერაბ კონსტანტინეს ძე (1930–90), ფილოსოფოსი, ფილოს. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1972). გამოირჩეოდა ცნობიერებისა და აზროვნების ფილოს. პრობლემის ორიგინ. ხედვით. მ-ის ფილოსოფიური მოღვაწეობა საერთაშორისო აღიარებით სარგებლობს. რუსთაველის გამზირზე დგას მ-ის ძეგლი (მოქანდაკე ე. ნეიზვესტნი).

მამასახლისოვი ვაგან ივანეს ძე (1907–72), ფიზიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). თეორ. ბირთვული ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მამაცაშვილი გარსევან (გარსო) ზაქარიას ძე (1883–1908), რევ. მოძრაობისა და მუშათა გაფიცვების აქტიური მონაწილე. 1907 ქ. თბილისში, ყოფ. ჩერქეზოვის ქუჩაზე, ჯაშუშს ყუმბარა ესროლა. იგი იქვე დაჭრეს და შეიპყრეს, 1908 კი – სამხ. სასამართლოს განაჩენით ჩამოახრჩვეს.

მამრაძე პეტრე გრიგოლის ძე (1877–1937), ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი. 1912–17 დაამუშავა მთაწმინდის პანთეონში ი. ჭავჭავაძის ძეგლის არქიტ. ნაწილი. 1921–25 ხელმძღვანელობდა დას. საქართველოში პირველი საბჭ. სარწყავი სისტემის მშენებლობას და ჭაობების დაშრობას (ქობულეთის რ-ნი), 1926–30 კი – ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობას. დააპროექტა შირაქის წყალსადენი, სამგორის ველის მორწყვის სქემა. სათავეში ედგა წყალტუბოს ჰიდროტექ. კომპლექსის მშენებლობას.

მანაგაძე ავთანდილ ოთარის ძე (1955–90), საქართველოს ეროვნ.-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტ. მონაწილე. „თეთრი გიორგის“ კავშირის თავმჯდომარე.

მანაგაძე ალექსანდრე თეოფილეს ძე (1918–92), სამხედრო მფრინავი, სსრკ-გერმანიის ომის (1941–45) მონაწილე. იბრძოდა ბომბდამშენთა ესკადრილიაში, იყო ბომბდამშენთა რგოლის მეთაური. მუშაობდა თბილისის აეროპორტში მფრინავად. იუგოსლავიის საჰალხო გმირი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მანიშაშვილი კახა ირაკლის ძე (1966–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი. დაიღუპა აფხაზეთში, სოხუმის მისადგომებთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

მანჯგალაძე ეროსი აკაკის ძე (1925–82), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1961). ეროვნ. აქტიორული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მსახიობი, გამოირჩეოდა ლამაზი და ძლიერი ხმის ტემბრით. 1948-იდან მუშაობდა თბილისის რუსთაველის თეატრში. 1980-იდან იმავდროულად იყო კინომსახიობთა თეატრის დირექტორი და მსახიობი. თავისი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, ქართ. კინემატოგრაფიის განვითარებაში, ტელე- და რადიოთეატრის (ამჟამად მისი სახელობისაა) ჩამოყალიბებაში. იყო პოპულ. სპორტ. კომენტატორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მარგიანი რევაზ აკაკის ძე (1916–84), პოეტი. სხვადასხვა დროს იყო ჟურნ. „ოქტომბრელის“, „პიონერის“, „დროშის“ რედაქტორი, გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ მთ. რედაქტორი, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნებისა“ და „მერანის“ დირექტორი. მის



მერაბ მამარდაშვილის ძეგლი.

შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პატრ., ფილოს. და სამეჯნურო ლექსებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მარი ნიკო (ნიკოლოზ) იაკობის ძე (1864/65–1934), ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (სანქტ-პეტერბ. საიმპერატორო მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი 1912-იდან). მამა შოტლანდიელი ჰყავდა, დედა – ქართველი. 1924–30 იყო ლენინგრადის საჯარო ბ-კის დირექტორი, 1930-იდან – სსრკ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართ. ფილოლ. განვითარებაში, კერძოდ, რუსთველოლოგიის დაფუძნებაში. იკვლევდა ქართულის ნათესაობას სხვა ენებთან. მან ქართველურ ენებს იაფეტური უწოდა და უფრო ძველად ცნო, ვიდრე სემიტური და ინდოევროპული ენები. დაკრძალულია სანქტ-პეტერბურგში.

მარიჯანი (ნამდვ. სახელი და გვარი – მარიამ მარკოზის ასული ალექსიძე, ქალიშვილობაში – ტყემალაძე) (1890–1978), პოეტი. საბავშვო მწერალი. თარგმნა (ი. გრიშაშვილთან ერთად) მოლიერის „ტარტიუფი“, პ. ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“.

მარუაშვილი გიორგი მინას ძე (1910–90), ექიმი-პარაზიტოლოგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). იყო ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (1944–59, 1962–89), საქართვ. ჯანდაცვის მინისტრი (1959–62). მისი ძალისხმევით ჩვენში ლიკვიდირებულია მალარია. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მარუხის გმირები, აფხაზეთის კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილზე, მარუხზე გამართულ სასტიკ ბრძოლებში დაღუპული საბჭოთა მეომრები, რ-ებიც სსრკ-გერმ. ომში (1941–45) იბრძოდნენ გერმ. ფაშისტთა წინააღმდეგ. ბრძოლის ადგილზე აღმართულია მემორიალი.

მარქსი კარლ (1818–83), ფუძემდებელი ფილოს., ეკონ. და სოც.-პოლიტ. შეხედულებათა სისტემისა, რ-მაც დიდი გავლენა მოახდინა XIX ს. II ნახ. და XX ს. მსოფლიოს როგორც პოლიტ., ისე საზ. მეცნიერების განვითარებაზე. დაკრძალულია ლონდონში, ჰაიგეიტის სასაფლაოზე.

მარჯანიშვილი კონსტანტინე (კოტე) ალექსანდრეს ძე (1872–1933), რეჟისორი, საქართვ. სახ. არტისტი (1931), ქართ. თეატრის რეფორმატორი. 1922–26 სათავეში ედგა რუსთაველის თეატრს, 1924–28 – მოღვაწეობდა კინოშიც. 1928 ქუთაისში შექმნა მეორე სახელმწ. დრამ. თეატრი (ახლანდ. თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწ. აკად. თეატრი). როგორც ბრწყინვალე რეჟისორმა და დიდმა პედაგოგმა აღზარდა ქართველ მსახიობთა ღირსეული პლეადა. მ-ის ბიუსტები დგას კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი) და მ-ის ქუჩაზე (მოქანდაკე ს. გირკელიძე). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

მარჯანიშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (1903–81), მათემატიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), სოციალ. შრომის გმირი (1973). კოტე *მარჯანიშვილის* შვილი. 1934–49 და 1951-იდან მუშაობდა სსრკ მეცნ. აკად. ვ. სტეკლოვის სახ. მათ. ინ-ტში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მატინოვი (მათიაშვილი) ალექსანდრე სტეფანეს ძე, ქალაქის სათათბიროს წევრი. 1879–91 – ქალაქისთავი. მის სახელს უკავშირდება ქალაქის სახლის (მერიის შენობა) რეკონსტრუქცია, სახაზინო თეატრის მშენებლობის დაწყება, უდედმამო ბავშვთა თავშესაფრების, ავლაბრისა და ხარფუხის საავადმყოფოების გახსნა და სხვ. ქალაქის დიდმა პატრიოტმა პარიზში სიკვდილის წინ დაწერილი ანდერძის თანახმად თბილისს 200 000 მან. დაუტოვა.

მატროსოვი ალექსანდრე მათეს ძე (1924–43), სსრკ-გერმანიის ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი (1943). გამოიჩინა განსაკუთრებული გმირობა, საკუთარი სხეულით გადაეფარა მტრის ამბრაზურას და თავგანწირვით უზრუნველყო ქვეგანაყოფის წარმატება.

მაღალაშვილი ქეთევან კონსტანტინეს ასული (1894–1973), ფერმწერი, პორტრეტისტი, საქართვ. სახ. მხატვარი (1961). მუშაობდა სურათების ეროვნულ გალერეაში. შექმნა ისტ. პირთა, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა პორტრეტების მთელი გალერეა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მაყაშვილი კონსტანტინე (კოტე) ზაქარიას ძე (1875–1927), პოეტი და საზოგადო მოღვაწე. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი თავ-რე (1926-მდე). 20-იან წლებში იყო „აკადემიური მწერლობის კავშირის“ აქტ. წევრი. ქართ. პოეზიაში დაამკვიდრა სონეტისა და რომანსის ფორმები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მაყაშვილი მარო (მარიამ) კონსტანტინეს ასული (1901–21), წითელი არმიისაგან საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის დასაცავად კოჯორში წარმოებული ბრძოლების მონაწილე, მოწყალების და. პოეტ კ. *მაყაშვილის* ქალიშვილი. დაიღუპა 1921 წ. 19 თებერვალს. დაკრძალეს 23 თებერვალს კოჯორში დაღუპულ ქართველ იუნკრებთან ერთად თბილისში, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის გალავნის შიგნით. ქართ. პრესამ მას ქართველი ჟანა დ'არკი უწოდა.

მაჩაბელი ივანე გიორგის ძე (1854–98), მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „სამოციანელი“, ახ. ქართული





მთაწმინდა. მამადავითის ეკლესია.

სალიტ. ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ცნობილია როგორც შექსპირის ტრაგედიების სწორუპოვარი მთარგმნელი. 1898 წ. 26 ივნ. (8 ივლ.) გამთენიისას სახლიდან გავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მაჭავარიანი ალექსი დავითის ძე (1913–95), XX ს. გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1950), სსრკ სახ. არტისტი (1958), შოთა რუსთაველის სახ. (1971) და სსრკ (1951) სახელმწ. პრემიების ლაურეატი. 1939-იდან იყო თბილისის კონსერვ. პედაგოგი (1963-იდან – პროფესორი), 1956–59 – საქართვ. სიმფ. ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1962–68 – საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე. მისი მუსიკა ჟანრობრივად მრავალფეროვანია, რ-შიც ორიგინალურადაა ასახული ხალხ. მუსიკალური ინტონაციები და რიტმები. ბალეტ „ოტელოს“ მუსიკისათვის მ. დაჯილდოდა მილანის ხელოვნ. ბრაიდენზეს გამოფენის ოქროს მედლით (1974). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მახალდიანი ვახტანგ ვასილის ძე (1911–82), მეცნიერი თბური ძრავების დარგში, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955). საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1961). საქართვ. მეცნ. აკად. გამოყენებითი მექან. და მართვის პროცესების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი (1954). ორგზის საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971, 1981). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მახარაძე ფილიპე ესეს ძე (1868–1941), საბჭოთა სახელმწ. მოღვაწე, ლიტერატორი. აქტიურად იბრძოდა საბჭ. ხელისუფლების დასამყარებლად საქართველოში. იყო 1921 ბოლშევიკების მიერ საქართვ. ოკუპაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, რევკომის წევრი. საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავ-რე, ამიერკავკ. სფსრ ცაკის თავ-რე, 1938-იდან – საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე. 1934–91 მისი სახელი ერქვა ქ. ოზურგეთს.

მგალობლიშვილი სოფრომ ზაქარიას ძე (1851–1925), მწერალი, ხალხოსანი. იყო გაზ. „თემის“ (1912) და „ჩვენი დროების“ (1912–13, 1915) რედაქტორი. მის შემოქმედებაში აისახა ქართველ გლეხთა მძიმე ცხოვრება. წერდა მემუარულ მოგონებებსაც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მებალიშვილი კარლო ალექსანდრეს ძე (1920–49), მფრინავი, სსრკ-გერმ. ომის (1941–45) მონაწილე. გვარდიის უფროსი ლეიტენანტი. საბჭ. კავშირის გმირი (1945). მონაწილეობდა მოსკოვის დაცვაში, იბრძოდა ბერლინის მისადგომებთან.

მებრელიძე ავქსენტი ვასილის ძე (1877–1953), ლოტბარი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946). 1898-იდან ხელმძღვანელობდა ხალხ. სიმღერის გუნდებს დას. საქართველოში, შემდეგ კი – თბილისში. 1933 თბილისში ჩამოაყალიბა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი. შეკრიბა და ჩაწერა მრავალი ქართ. ხალხ. სიმღერა.

მეველე [ნამდვ. სახელი და გვარი – დავით (დათა) ალექსანდრეს ძე მიქელაძე] (1843–1918), საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, მთარგმნელი. „მამების“ და „შვილების“ ბრძოლაში იცავდა ახ. თაობის შეხედულებებს. 1873-იდან ხელმძღვანელობდა გაზ. „დროებას“, 1896-იდან თანამშრომლობდა გაზ. „ივერიასთან“. 1910–16 საადგილმამულო ბანკის დირექტორი იყო.

მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე (1850–1927), ქიმიკოსი, თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი (1918). ქიმიის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი. სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1927). დიდი ამაგი დასდო ქართ. ქიმ. ტერმინოლოგიის შექმნას. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში, სადაც დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე).

მერკვილაძე აფრასიონ ასლანის ძე (1871–1907), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. 1905–07 რევ. დროს ხელმძღვანელობდა წითელ რაზმს შორაპნის მაზრაში. დაიღუპა პოლიციელებთან ბრძოლისას.

მესხი კოტე (იაკობ) სიმონის ძე (1857–1914), მსახიობი და რეჟისორი. ქართ. თეატრის რეალისტური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართ. პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებაში. 1885 მ-მა ქუთაისში დააარსა პროფ. თეატრი, 1894-იდან მოღვაწეობდა თბილისის დრამ. თეატრში. ავტორია პიესისა „შოთა რუსთაველი“, თარგმნიდა დრამ. ნაწარმოებებს.

მესხი მიხეილ შალვას ძე (1937–91), სპორტსმენი (ფეხბურთი), ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მარცხენა გარემარბი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1965), ევრ. თასის მფლობელი (1960), სსრკ ჩემპიონი (1964) და სამგზის მესამე პრიზიორი. 1961 შევიდა ევრ., 1962 – მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში. მისი სახელობისაა „ლოკომოტივის“ სტადიონი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მესხი სერგეი სიმონის ძე (1845–83), პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, XIX ს. 60-იანი წლების ეროვნ.-განმათ. მოძრაობის აქტ. მონაწილე. 1869–83 იყო გაზ. „დროების“ რედაქტორი, 1879–82 – ქალაქის „ხმოსანი“, თბილისის მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების დამცველი. მ-მა დიდი წვლილი შეიტანა ახ. ქართ. სალიტ. ენის, ლიტ. კრიტიკის, ჟურნალისტიკისა და ქართ. თეატრის განვითარების საქმეში. იყო „ახალი ახალგაზრდობის“ ლიტ. ჯგუფის წევრი.

მესხია შოთა ამბაკოს ძე (1916–72), ისტორიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982, სიკვდილის შემდეგ). იკვლევდა შუა საუკ. საქართველოს ისტ. საკითხებს. მის ნაშრომს „ძლევაჲ საკვირველი“ ს. ჯანაშიას სახ. პრემია მიენიჭა (1974). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მეტრეველი სლავა კალისტრატეს ძე (1936–98), სპორტსმენი (ფეხბურთი), ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მარჯვენა გარემარბი. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1960), საქართვ. დამს. მწვრთნელი (1976). 1956–62 თამაშობდა მოსკ. „ტორპედოში“, 1963–71 იყო თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი, 1967-იდან – გუნდის კაპიტანი. ევრ. თასის მფლობელი (1960). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1960, 1964). სსრკ თასის მფლობელი (1960). 8-ჯერ შევიდა სსრკ 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში (6-ჯერ – პირველ ნომრად). 1964 დაასახელეს საქართვ. საუკეთესო სპორტსმენად. 1968 ითამაშა მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მეუნარგია იონა მიხეილის ძე (1852–1919), მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. მას ეკუთვნის ვეფხისტყაოსნის პირველი სრული თარგმანი ფრანგ. ენაზე (ამჟამად დაკარგულია). დიდი წვლილი მიუძღვის XIX ს. ქართ. ლიტ-რის შესწავლაში – დაამკვიდრა ე. წ. ბიოგრაფიული ჟანრი.

მეჩნიკოვი ილია ილიას ძე (1845–1916), რუსი ბიოლოგი და პათოლოგ-ანატომი. ევოლუციური ემბრიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. სანქტ.-პეტერბ. საიმპერატორო მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1902). 1908 მიენიჭა ნობელის პრემია (პ. ერლიხთან ერთად).

მიასნიკოვი (ნამდვ. გვარი – მიასნიკიანი; ფსევდ. მარტუნი) ალექსანდრე თედორეს ძე (1886–1925), საბჭოთა სახელმწ. და პარტ. მუშაკი, ლიტერატორი. ამიერკავკ. სფსრ-ის სამოკავშირეო საბჭოს თავ-რე (1922), შემდეგ რკპ(ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი და გაზ. „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი. დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს თბილისში.

მიდელაური ვანო ანდროს ძე (1881–1920), ცნობილი ფალავანი. ჭიდაობა დაიწყო XX ს. დასაწყისში. გამოდიოდა ესიკოვსკების ცირკშიც. იყო საქართვ. მოჭიდავეთა ნაკრების წევრი. დამარცხებული ჰყავდა არაერთი ფალავანი სპარსეთში, ოსმალეთში, შუა აზიაში, რუსეთსა და საქართველოში. 1920 თეირანის ჩემპიონატში მ-მა დაამარცხა ყველა მეტოქე, მ. შ. შაჰის „ბეჭდაუდებელი“ ფა-

ლავანიც. სპარსელმა გულშემატკივრებმა, განსაკუთრებით შაჰის ფალავნის ძმებმა, ეს დამარცხება ვერ აიტანეს და შურისგების მიზნით მ. მუხანათურად მოკლეს. დაკრძალულია თეირანში.

მილიუტინი დიმიტრი ალექსის ძე (1816–1912), რუსეთის სახელმწ. და სამხ. მოღვაწე. გენ.-ფელდმარშალი, გრაფი. დიდი წვლილი შეიტანა აულ ღუნიბის აღებასა (1859) და შამილის დატყვევებაში. მეფისნაცვალ ა. *ბარიატინსკის* მოადგილე. კავკ. არმიის მთავარი შტაბის უფროსი (1860).

მილორავა შოთა ერმილეს ძე (1925–90), კომპოზიტორი, პედაგოგი, საქართვ. სახ. არტისტი (1979), კონცერტმაისტერი, საქართვ. სახელმწ. კაპელის პედაგოგ-ქორმაისტერი. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუს. რედაქტორი. მის შემოქმედებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ოპერეტას. მ. მრავალი საგუნდო და საესტრადო სიმღერის ავტორია. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მიმინოშვილი რომან სევერიანის ძე (1928–98), კრიტიკოსი, მთარგმნელი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1968). მოღვაწეობდა თსუ-ში და ქართ. ლიტ-რის ინ-ტში, 1982–86 იყო საქართვ. მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთ. რედაქტორი. ავტორია სამეცნ. შრომებისა, ლიტ. თარგმანებისა. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მინდელი გიორგი მიხეილის ძე (1908–93), ინჟინერ-მშენებელი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1961). მისი ხელმძღვანელობით აშენდა 9 გზაგამტარი და დიღმისა და ზღვისუბნის მიმდებარე ტერიტორიების დამაკავშირებელი ხიდი, რ-იც 1994-იდან მის სახელს ატარებს.

მინდელი ელიზბარ ონისიმეს ძე (1910–80), მეცნიერი სამთო საქმის დარგში, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1979), რსფსრ მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1970), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1937–54 მუშაობდა სსრკ ნახშირის მრეწვ. სისტემაში ხელმძღვ. თანამდებობებზე. იყო საქართვ. მეცნ. აკად. სამთო მექანიკის ინ-ტის დირექტორი (1973–80). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მირზოევები ივანე და გაბრიელი, XIX ს. 70-იან წლებში ძმებმა მ-მა, გამდიდრდნენ რა თევზის რეწვითა და ბამბის საქსოვი ფაბრიკიდან მიღებული შემოსავლით, ორთაჭალაში შეიძინეს მიწის დიდი ნაკვეთი და აბანო, რის შემდეგაც ამ ნაკვეთზე მდებარე ერთერთ ქუჩას აბანოს მფლობელის გვარი ეწოდა. 1879 ი. მირზოევი ქალაქის თვითმმართველობაში I კლასის „ხმოსნის“ უფლებით სარგებლობდა.

მირიან III, ქართლის მეფე IV ს-ში. მის დროს, 337 წლის ახლო პერიოდში, ქართლში ქრისტიანობა სახელმწ. რელიგიად გამოცხადდა. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ პირველი ქრისტიანი მეფე მ. III წმინდანად შერაცხა. მოციქულთა სწორი მეფის მირიანის ხსენების დღეა 14 ოქტომბერი.

მიროტაძე გიორგი ლევანის ძე (1970–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, თავდაცვის სამინისტროს ლაზარეთის ექიმი. ქართველთა და აფხაზთა ღირსეული შთამომავალი (ცნობილი ქირურგ-უროლოგის, პროფ. ს. *არშბას* შვილიშვილი). დაიღუპა აფხაზეთში, სოფ. ათარასთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

მირცხულავა (ფსევდ. – მ ა შ ა შ ვ ი ლ ი) ალიო ანდრიას ძე (1903–71), პოეტი. სხვადასხვა დროს იყო ლიტ. დაჯგუფების – „პროლეტარული მწერლობისა“ და საქართვ. მწერალთა ფედერაციის პ/მგ მდივანი, საქართვ. მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, ჟურნ. „მნათობისა“ და „დროშის“ რედაქტორი, საქართვ. წიგნის პალატის დირექტორი. ავტორია ლექსებისა, პოემებისა, ლიტ. წერილებისა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მირცხულავა დიდიმ ლავრენტის ძე (1912–97), დირიჟორი და პედაგოგი, საქართვ. სახ. არტისტი (1958), სსრკ სახელმწ. (1951), ზ. ფალიაშვილის სახ. (1986) პრემიების ლაურეატი. 1936–38 მუშაობდა თბილისის მარჯანიშვილის თეატრში, 1937–97 – ოპერისა და ბალეტის თეატრში დირიჟორად. მის რეპერტუარში იყო ქართველი და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ოპერები და ბალეტები. აღიარებულია ე. მიქელაძის საშემსრულებლო ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მიქატაძე შოთა ვლადიმერის ძე (1905–79), მოქანდაკე, პედაგოგი. საქართვ. სახ. მხატვარი (1963). დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1930), 1934-იდან აქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (1963-იდან – პროფესორი). იყო „ქართველ მხატვართა საზოგადოების“ წევრი. მ. ძირითადად მონუმენტალისტია. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მიქელაძე ევგენი სიმონის ძე (1903–37), დირიჟორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1936), 1931–37 იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწ. თეატრის მთ. დირიჟორი, სამხატვრო ხელმძღვანელი. დააარსა თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ორკესტრი, საქართვ. სახელმწ. სიმფ. ორკესტრი, რ-იც მის სახელს ატარებს. ლეგენდარული დირიჟორი მასობრივი რეპრესიების მსხვერპლი გახდა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში დგას მ-ის ბიუსტი (მოქანდაკე გ. შხვაცაბაია).

მიქელაძე ვლადიმერ ნესტორის ძე (1891–1920), რევოლუციონერი, რუსეთის სამოქალაქო ომის მონაწილე. მე-9 არმიის მე-2 ცხენოსანი კორპუსის სამხ. კომისარი. დაკრძალულია ქ. მოსკოვში, ვაგანკოვოს სასაფლაოზე, ვ. კიკვიძის გვერდით.

მიქელაძე შალვა ექვთიმეს ძე (1895–1976), მათემატიკოსი, გამოთვლითი მათ. ქართ. სკოლის ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მიშველაძე არჩილ რევაზის ძე (1973–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, დაიღუპა აფხაზეთში. იბრძოდა მოხალისედ სოხუმში, ოჩამჩირესთან, კოდორთან. იყო თბილისის სახელმწ. უნ-ტის იურიდიული ფაკ-ტისა და ფიზკულტურის აკადემიის III კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი სამთო-სათხილამურო სახეობაში. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მიჩურინი ივანე ვლადიმერის ძე (1855–1935), რუსი ბიოლოგი. სსრკ-ში ხილკენკროვანი და სხვა კულტურების მეცნ. სელექციის ფუძემდებელი. სსრკ მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1935), საკავშ. სას.-სამ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1935). მ-მა დასაბამი მისცა სამხრეთული კულტურების – ვაზის, გარგარის, ბლისა და სხვათა გავრცელებას ჩრდ-ით.

მიცკევიჩი ადამ (1798–1855), პოეტი, რომანტიკოსი, პოლონეთის ეროვნ.-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. ქართვ. საზ-ბა პოეტის შემოქმედებას მის სიცოცხლეშივე გაეცნო. მისი პოემა „ფარისი“ (თარგმნა ს. რაზმაძემ, 1829) განსაკუთრებით პოპულარული იყო 1832 წ. შეთქმულთა შორის.

მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1832–1909), დიდი მთავარი, იმპ. *ნიკოლოზ I-ის* მეოთხე ვაჟი. გენ.-ფელდმარშალი (1878). კავკ. მეფისნაცვალი და კავკ. არმიისა და სამხ. ოლქის სარდალი (1862–81). რუს.-ოსმალეთის (1877–78) ომის დროს იყო კავკ. არმიის მთავარსარდალი, 1881–1905 – სახელმწ. საბჭოს თავრე.

მოგილევსკი სოლომონ გრიგოლის ძე (1885–1925), ჩეკისტი. ხელმძღვანელობდა სრულიად რუსეთის ჩეკას (საგანგებო კომისია) უცხოეთის განყ-ბას. 1922-იდან იყო ამიერკავკასიის სფსრ ჩეკას თავ-რე. 1924 ავჯანყების ჩახშობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. დაიღუპა საავიაციო კატასტროფის დროს თბილისში.

მოლოკოვი ვასილი სერგეის ძე (1895–1982), მფრინავი, ავიაციის გენ.-მაიორი, საბჭ. კავშირის გმირი (1934). მონაწილეობდა ყინულმჭრელ „ჩელიუსკინის“ ეკიპაჟის გადარჩენაში.

მონტინი პეტრე ვასილის ძე (1883–1905), რევოლუციური მო-

ძრაობის მონაწილე კავკასიაში. ბაქოსა და კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრი. არჩეული იყო რსდმპ I კონფერენციის დელეგატად ტამერფორსში. მოკლეს შავრაზმელებმა ბაქოში. მისი ნეშტი ქართველმა რკინიგზელებმა თბილისში გადმოასვენეს.

მორეტი კარლო ვლადიმერის (ბიაჯოს) ძე (1899–1977), მშენებელ-ინჟინერი, წარმოშობით იტალიელი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1964), „თბილმშენის“ ტრესტის მმართველი (1938-იდან). მისი ხელმძღვანელობით ააშენეს „იმელის“ შენობა, ფუნიკულიორის ზედა სადგური, ცირკის შენობა, კინოთეატრი „რუსთაველი“ და სხვ. საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის კომპლექსის აგებისთვის მიენიჭა სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია (1972). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მოსაშვილი ილო (ილია) ონისიმეს ძე (1896–1954), მწერალი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951). შემოქმედებითი საქმიანობა დაიწყო 1920-იდან. წერდა ლექსებს; მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე. ამაგი დასდო ქართ. საბავშვო მწერლობასაც. ნაყოფიერად მუშაობდა ლიტ. თარგმანშიც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მოსე ხონელი, მწერალი (მოღვაწეობის ხანად XI–XIII სს. ფარგლებია მიჩნეული). ვეფხისტყაოსნის უკანასკნელ ბიბლიოგრაფიულ სტროფში მოიხსენიება „ამირანდარეჯანიანის“ ავტორად. გადმოცემით იყო თამარ მეფის მდივან-მწიგნობარი.



ნიკოლოზ მუსხელიშვილის ძეგლი.

მოსიძე ვახტანგ მიხეილის ძე (1929–99), ფიზიოლოგი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1988), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1986), ნიუ-იორკის აკად. წევრი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1996), თბილისის საპატიო მოქალაქე (1998). საქართვ. მეცნ. აკად. ფიზიოლ. ინ-ტის დირექტორი (1991–99). მ. იყო ტვინის შესწავლის საერთაშ. და ტვინისა და ქცევის შემსწავლელი ევრ. ორგანიზაციების წევრი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

მოსტკოვი მიხეილ აბრამის ძე (1900–56), მეცნიერი ჰიდროტექნიკისა და ჰიდროენერგეტიკის დარგში. საქ. სსრ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1955), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1951). აღზარდა მრავალი ქართვ. სპეციალისტი.

მოსულიშვილი ფორე (ქრისტეფორე) ნიკოლოზის ძე (1916–44), ქართველი ჯარისკაცი. იტალ. ეროვნ. გმირი. მონაწილეობდა სსრკ-გერმ. (1941–45) ომში. 1941 ტყვედ ჩავარდა, 1944 თავი დააღწია ტყვეობას და იტალ. პარტიზანებს შეუერთდა. ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს ალყაში მოქცეული პარტიზანების მეთაურის ნაცვლად წარუძღა გერმანელებს. კვლავ ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი ამჯობინა და თავი მოიკლა. დაჯილდოებულია იტალიის რესპ. უმაღლესი სამხ. ჯილდოთი – ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ (1970).

მრავიანი ასქანაზ არტემის ძე (1885/86–1929), საბჭოთა სახელმწ. და პარტ. მუშაკი. მუშაობდა ერევანში, თბილისში, ბაქოსა და პეტერბურგში. იყო სსრკ ცაკ-ის წევრი, 1923-იდან – სომხეთის სახკომსაბჭოს თავ-რის მოადგილე და განათლების სახ. კომისარი.

მრევლიშვილი ალექსანდრე რომანოზის ძე (1866–1933), ფერმწერი, გრაფიკოსი, თანამედროვე ქართ. რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მუშაობდა, აგრეთვე, წიგნის გრაფიკაში, პორტრეტის ჟანრში. გააფორმა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, ქართ. ხალხ. ზღაპრები.

მრევლიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1904–80), მწერალი. საქართვ. თეატრ. საზ-ბის პრეზიდიუმის თავ-რე (1959–62), ჟურნ. „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთ. რედაქტორი (1962–69), ინტენსიურად მუშაობდა დრამატურგიაში. წერდა, აგრეთვე, ნოველებს, ლიტ.-პუბლიც. წერილებს.

მშარავიოვი (კარსკი) ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1794–1866), რუს. არმიის ინფანტერიის გენერალი. კავკ. მეფისნაცვალი და ჯარების მთავარსარდალი (1854–56). ყირიმის ომის დროს (1853–56) ხელმძღვანელობდა ყარსის აღებას. ავტორია ნაშრომისა „ომი კავკასიისათვის 1855 წელს“.

მუსხელიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) ივანეს ძე (1891–1976), მათემატიკოსი და მექანიკოსი. მათ. და მექან. ქართული სამეცნ. სკოლის ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, საქართვ. მეცნ. აკად. ერთ-ერთი დამფუძნებელი. სსრკ (1939) და საქართვ. (1941) მეცნ. აკად. აკადემიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. პრეზიდენტი (1941–72), საპატიო პრეზიდენტი (1972–76). ორგზის სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941, 1947). მ. ავტორია ფუნდამენტური შრომებისა ანალიზურ გეომეტრიასა და თეორ. მექანიკაში. მიღებული აქვს ტურინის მეცნ. აკად. საერთაშ. პრემია (1969), მ. ლომონოსოვის სახ. ოქროს მედალი (1972) და სხვ. 1977 მისი სახელი ეწოდა საქართვ. მეცნ. აკად. გამოთვლითი მათ. ინ-ტს. მ-ის ძეგლი დგას ი. ჭავჭავაძის გამზირზე (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

მუსხელიშვილი როსტომ ილიას ძე (1888–1923), გენერალი. დაამთავრა თბილისის კადეტთა სკოლა და პეტერბურგის სამხ. აკადემია. 1918–21 მსახურობდა დემოკრ. საქართვ. რეგულარულ ჯარში. იყო 1922 ბოლშევიკების წინააღმდეგ ფშავ-ხევსურეთის აჯანყების მთავარი ორგანიზატორი. აჯანყების დამარცხების შემდეგ დააპატიმრეს და გაუსამართლებლად დახვრიტეს 1923 წლის 20 მაისს „სამხედრო ცენტრის“ სხვა 14 წევრთან ერთად თბილისში, ახლანდ. ვაკის პარკის ტერიტორიაზე.

მუშთაიდი, მირ-ფეთე-აღა სეიდ თავრიზელი (გ. 1892), ირანის სასულიერო და პოლიტ. მოღვაწე, წარმოშობით აზერბაიჯანელი. თავრიზის მუჯთაჰიდი (სას. წოდება). გადმოსახლდა რა თბილისში, მუშთაიდმა (ქალაქში ცნობილი იყო ამ სახელით) რუს. მთავრობის მიერ ნაჩუქარ მიწის ნაკვეთზე, მტკვრის მარცხ. სანაპიროზე, თავისი გარდაცვლილი მეუღლის, ქართველი ქალის, ნინოს პატივსაცემად XIX ს. 30–40-იან წლებში გააშენა დიდი ბაღი, რ-იც დღესაც „მუშთაიდის“ სახელს ატარებს.

მუხაძე გიორგი მიხეილის ძე (1886–1963), სამშენებლო მექანიკის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1946), ტექ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი (1931), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1941).

მუხაძე გრიგოლ მიხეილის ძე (1879–1948), მეცნიერული, პრაქტიკული ქირურგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. მეცნ. აკად. (1944) და სსრკ მედ. მეცნ. აკად. (1944) აკადემიკოსი. საფუძველი ჩაუყარა თსუ-ში სამკურნ. ფაკ-ტის დაარსებას. მისი თაოსნობით შეიქმნა სისხლის გადასხმის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი. 1946 მ-მ დააარსა ექსპერ. და კლინიკური ქირურგიის ინ-ტი, რ-საც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. მისი ძეგლი დგას ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის (ყოფ. სისხლის გადასხმის) ინ-ტისა (მოქანდაკე ნ. კანდელაკი) და ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწ. უნ-ტის კლინიკური საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) ეზოში (მოქანდაკე ს. კაკაბაძე).

მუჯირიშვილი თამაზ ავთანდილის ძე (1971–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი. მსახურობდა ეროვნ. გვარდიის დმანისის ბატალიონში. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, დაიღუპა სოფ. იაშთხვასთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენითა და მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

მღვიმელი (ნამდვ. გვარი – ქუჩუკაშვილი) შიო ილარიონის ძე (1866–1933), ქართული საბავშვო მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართვ. დამს. მწერალი (1923). მის საბავშვო ლექსებზე აღიზარდა არაერთი თაობა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მშვენიძე შალვა მიხეილის ძე (1904–84), კომპოზიტორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. საქართვ. სახ. არტისტი (1958), სსრკ სახელმწ. (1941, 1947) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971) პრემიების, აგრეთვე, ინდოეთის ჯ. ნერუს სახ. პრემიის (1973) ლაურეატი. ქართული ეპიკური სიმფონიზმის ფუძემდებელი. სხვადასხვა დროს იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე და სხვ. არის ცნობილი ოპერებისა და სიმფ. ნაწარმოებების ავტორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მცირიშვილი სპირიდონ, მწერალ ჭოლა (ბიკენტი) *ლომთათიძის* ფსევდონიმი.



„მუშთაიდის“ ბაღი.

ნადირაძე კოლაუ (ნიკოლოზ) გალაქტიონის ძე (1895–1990), პოეტი. „ცისფერყანწელების“ თვალსაჩინო წარმომადგენელი. პატრიოტიზმი ნ-ის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი თემაა. 1985 გამოვიდა ლექსების კრებული, რ-შიც დაიბეჭდა მისი გახმაურებული ანტისაბჭ. ლექსი „25 თებერვალი 1921 წელს“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ნადირაძე ჯურხა შალვას ძე (1929–94), არქეოლოგი. ისტ. მეცნ. დოქტორი. საქართვ. ანტ. და ელინისტური ხანის კულტურისა და არქეოლ. მკვლევარი. საქართვ. ხელოვნ. მუზეუმის წინაფეოდ. ხანის არქეოლ. განყ-ბის გამგე (1964–94). ნ-ის ხელმძღვანელობით გათხარეს და შეისწავლეს მოდინახეს (საჩხერის რ-ნი), მცხეთისჯვრის (ხაშურის რ-ნი), საირხის (საჩხერის რ-ნი) ანტ. და ადრეფეოდ. ხანის სამარხები და ნამოსახლარები.

ნათაძე გრიგოლ იასონის ძე (1878–1951), ისტორიკოსი, მსოფლიო მედიევისტიკის პირველი მკვლევარი საქართველოში. პროფესორი (1926), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). მუშაობდა თსუ-ში (1919-იდან), ეკუთვნის 40-მდე ნაშრომი. იკვლევდა ძვ., შუა და ახ. ისტორიის საკითხებს.

ნათიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1878–1959), ანატომი, მეცნიერული ანატომიის ფუძემდებელი და უმაღლესი სამედ. განათლების ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). 1918 აირჩიეს თსუ-ში თავისსავე დაარსებულ ადამიანის ანატ. კათედრის გამგედ. მანვე თბილისის სამხატვრო აკადემიაში და ფიზკულტურის ინ-ტში დააარსა პლასტ. ანატომიის კათედრა, 1946 – ექსპერ. მორფოლოგიის ინ-ტი (1959-იდან ნ-ის სახელობისაა) და სხვ. მისი ძეგლი დგას მორფოლოგიის ინ-ტის ეზოში.

ნაკაშიძე ილია პეტრეს ძე (1866–1923), მწერალი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. მიწერ-მოწერა ჰქონდა ლ. ტოლსტოისთან დუხობორების შესახებ, რის გამოც საქართველოდან გადაასახლეს. 1903 დაბრუნდა სამშობლოში და მოღვაწეობა გააგრძელა თბილისში. ლიტ.-კრიტ. წერილები მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას, შ. არაგვისპირელს, განდეგილს, დ. კლდიაშვილს და სხვ.

ნაკაშიძე (ქალიშვილობაში – ანთაძე) ნინო იოსების ასული (1872–1963), მწერალი, საზოგადო მოღვაწე. ი. *ნაკაშიძის* მეუღლე. 1910–20 რედაქტორობდა ჟურნ. „ნაკადულს“. დიდი წვლილი მიუძღვის, აგრეთვე, ქართ. საბავშვო მწერლობისა და ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში. იყო პირველი ქართ. საბავშვო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ნანეიშვილი ვიქტორ ივანეს ძე (1878–1940), პროფესიონალი რევოლუციონერი, საბჭოთა პარტ. და სახელმწ. მუშაკი. ერთხანს მოღვაწეობდა თბილისში, მონაწილეობდა არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის „ბრძოლის“ რუს. და ქართ. გამოცემების მომზადებაში. 1922–24 პარტიულ სამუშაოზე იყო რუსეთსა და ყაზახეთში, 1925-იდან – ხელმძღვანელ თანამდებობაზე სსრკ ვაჭრობის სახ. კომისარიატის სისტემაში, 1931-იდან – სავაჭრო აკად. დირექტორი.

ნანეიშვილი ვლადიმერ ვარდენის ძე (1903–78), საბჭ. კავშირის გმირი (1940), ავიაციის გენ.-ლეიტენანტი (1944). მონაწილეობდა სსრკ-ფინეთის (1939–40), სსრკ-გერმანიის (1941–45) ომებში. მე-2 საჰაერო არმიის სარდლის მოადგილე. 1948–63 იყო სხვადასხვა თანამდებობაზე სსრკ შეიარაღებულ ძალებში. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ნარიმანოვი ნარიმან ქერბალაი ნაჯაფ-ოღლუ (1871–1925), საბჭოთა სახელმწ. მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი. დაიბადა თბილისში, ერთხანს ცხოვრობდა საქართველოში (სწავლობდა გორის სასულიერო სემინარიაში). 1920 ნ. იყო აზერბ. სამხ. რევკომის, შემდეგ სახკომსაბჭოს თავ-რე. ავტორია აზერბ. ენის სახელმძღვანელოსი, რომანებისა და დრამების.



იაკობ ნიკოლაძე. ი. ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი „მწუხარე საქართველო“. ▶



ნასიძე სულხან ივანეს ძე (1927–96), კომპოზიტორი, საქართვ. სახ. არტისტი (1980), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1973). კონსერვატორიის პროფესორი (1979-იდან), საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე (1992–96). ნ. იყო თანამედროვე ქართ. მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა სიმფ. და კამერული მუსიკის სფეროში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ნეკრასოვი ნიკოლოზ ალექსის ძე (1821–77/78), რუსი პოეტი. ნ-ის პოეზიამ ხელი შეუწყო რევ.-დემოკრ. იდეების გავრცელებას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. ნ-ს პირადად იცნობდა ნ. *ნიკოლაძე*, რ-იც მის „სოვრემენნიკთან“ თანამშრომლობდა. ნ-ის ლექსების ქართ. ენაზე თარგმნა დაიწყო XIX ს. 80–90-იანი წლებიდან.

ნიზამი განჯევი ილიას იბნ იუსუფ (1141–1203 ან 1209), აზერბაიჯანელი პოეტი, ჰუმანისტი. წერდა სპარს. ენაზე. ავტორია პოემებისა „ხოსროვ და შირინი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „ისქანდერნამე“ და სხვ. მის შემოქმედებას კარგად იცნობდა XII–XIII სს. ქართველი საზოგადოება.

ნიკიფორე ირბახი, იხ. ნ. *ჩოლოყაშვილი.*

ნიკოლაძე იაკობ ივანეს ძე (1876–1951), მოქანდაკე, თანამედროვე ქართული ქანდაკების ფუძემდებელი. ო. *როდენის* მოწაფე. საქართვ. სახ. მხატვარი (1946), სსრკ სამხატვრო აკად. ნამდვილი წევრი (1947), თბილისის სამხატვრო აკად. ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პროფესორი (1922). განსაკუთრებით საინტერესოა ნ-ის ქანდაკება ილია ჭავჭავაძის საფლავზე – „მწუხარე საქართველო“ (1913). 1944 შექმნა ჩახრუხაძის სკულპტურული პორტრეტი (სსრკ სახელმწ. პრემია, 1946). ნ-ის ბიუსტი დგას მისივე სახ. ქუჩაზე (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი). თბილისში არსებობს ნ-ის სახლ-მუზეუმი (მის.: ოგიუსტ როდენის 6). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე (1843–1928), საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური. თერგდალეულთა „მეორე დასის“ წევრი. ფოთის ქალაქისთავი (1894–1912). ხელს უწყობდა საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის აღმავლობას, ხელმძღვანელობდა თბილისის წყალსადენის პროექტის განხორციელებას, წამოაყენა მინერ. აბანოების მშენებლობის პროექტი. თბილისში დააარსა გაზ. „ობზორი“ (1878), „ნოვოე ობოზრენიე“ (1887). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ნიკოლოზ I (ნიკოლოზ პავლეს ძე რომანოვი) (1796–1855), რუსეთის იმპერატორი (1825–55). ტახტზე ასვლისთანავე დეკაბრისტების აჯანყება ჩაახშო და მათი ხელმძღვანელობა სიკვდილით დასაჯა.

ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვი (1859–1919), დიდი მთავარი, დიდი მთავრის *მიხეილ ნიკოლოზის ძის* უფროსი ვაჟი. გენ.-ადიუტანტი. იყო კავკ. გრენადერთა დივიზიის მე-16 სამეგრელოს პოლკის, შემდგომ – გრენადერთა დივიზიის მეთაური. ისტორიკოსი. რუს. ისტ. საზ-ბის თავ-რე (1909–17).

ნინიძე ვიქტორ ათანასეს ძე (1888–1975), მსახიობი და რეჟისორი, საქართვ. სახ. არტისტი (1941). თბილისის სანკულტურის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი (1928–62). ოზურგეთში ჩამოაყალიბა პროფესიული თეატრი (1921).

ნინოშვილი (ნამდვ. გვარი – ინგოროყვა) ეგნატე თომას ძე (1859–94), მწერალი. სათავე დაუდო XIX ს. 90-იანი წლების ქართ. დემოკრ. მწერლობას. პოპულარული იყო მისი თითქმის ყველა მოთხრობა. ნ. იყო საქართველოში პირველი ს.-დ. ორგანიზაციის – „მესამე დასის“ – ერთ-ერთი დამაარსებელი. ცხრა აპრილის სახ. ბაღში დგას ნ-ის ბიუსტი (მოქანდაკე ი. ნიკოლაძე).

ნინუა ვახტანგ დავითის ძე (1916–82), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1967). 1948–82 იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი. დიდი ოსტატობით ასრულებდა სახასიათო როლებს. 1940-იდან იღებენ კინოში. მისი ეკრანული სახეებიდან აღსანიშნავია შოთა (*„ქალიშვილი ხიდობნიდან“*), ჯემალა (*„მაია წყნეთელი“*), თავადი ავთანდილი (*„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“*) და სხვ. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ნიორაძე გიორგი ყაფლანის ძე (1886–1951), ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1946). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1944). 1935 დაინიშნა არქეოლ. ინ-ტის დირექტორად, ხოლო 1933–43 განაგებდა ენიმკის არქეოლ. განყ-ბას. ნ-მ შეისწავლა დას. და აღმ. საქართველოს არქეოლ. ძეგლები, ქართულ-წინააზიურ კულტურათა ურთიერთობა.

ნიშნიანიძე შოთა გიორგის ძე (1929–99), პოეტი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიისა (1975) და გ. ტაბიძის სახ. პრემიის (1977) ლაურეატი. იყო საქართვ. მწერალთა კავშირის თავ-რე (1984–86), ჟურნ. „საუნჯის“ მთ. რედაქტორი (1977–81). შემოქმედებითი ინდივიდუალობით მკვეთრად გამორჩეულმა ნიშან-თვისებებმა პოეტს საყოველთაო აღიარება მოუტანა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ნონეშვილი იოსებ ელიოზის ძე (1918–80), პოეტი, გ. ტაბიძის სახ. პრემიისა (1978) და შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის (1981, სიკვდილის შემდეგ) ლაურეატი. გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ მთ. რედაქტორი (1963–66). მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1966–80), მშვიდობის დაცვის საქართვ. რესპ. კომიტეტის თავ-რე (1973–80). პოეტის ბევრი ლექსი სიმღერად იქცა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ნუცუბიძე შალვა ისაკის ძე (1888–1969), ფილოსოფოსი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი, მთარგმნელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961), თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი, იყო მისი პრორექტორი და ფუნდამენტური ბ-კის დირექტორი. იკვლევდა ქართ. ფილოს. აზროვნების ისტორიას. ბელგიელი მეცნიერის ერნესტ ჰონიგმანის პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად სცადა დაემტკიცებინა დიონისე არეოპაგელისა და V ს. ქართვ. პალესტინელი მოღვაწის *პეტრე იბერის* იდენტურობის საკითხი. რუსულად თარგმნა ვეფხისტყაოსანი, „აბდულმესიანი“, „თამარიანი“ და სხვ. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში. მის საფლავზე დგას ბიუსტი (მოქანდაკე ო. ფარულავა).



სკულპტურული კომპოზიცია „წმინდა ნინო“.

ო

ობოლაძე ალექსანდრე კიმოთეს ძე (1884–1923), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. მონაწილეობდა თბილისის მუშათა გაფიცვებში, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. 1922–23 წელმძღვანელობდა ბოლშევიკების წინააღმდეგ მოწყობილი ავჯანყების ჩახშობას ხევსურეთსა და ოზურგეთის მაზრაში.

ოლღა, ოლგა თედორეს ასული, ცეცილია ბადენელი (1839–91), დიდი მთავრის – *მიხეილ ნიკოლოზის ძის* მეუღლე.

ონაშვილი გოჩა ბიჭიკოს ძე (1969–94), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, იბრძოდა სამაჩაბლოში, შემდეგ – აფხაზეთში. დარჩა სოხუმში მანამ, სანამ ბოლო მილიციელმა არ დატოვა ქალაქი და ჭუბერის უღელტეხილის (სვანეთი) გავლით დაბრუნდა თბილისში.

ონიანი ემზარ (1963–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, იბრძოდა მოხალისედ აფხაზეთში, ქართველ მაშველთა კორპუსის ქუთაისის რაზმში. დაიღუპა სოფ. კოჩარის განთავისუფლების დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ონიაშვილი ოთარ დავითის ძე (1915–68), მეცნიერი სამშენებლო მექანიკის დარგში, გარსთა ტექ. თეორიის ქართ. სკოლის ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1964). ფლობდა მრავალ უცხო ენას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ორახელაშვილი ივანე (მამია) დიმიტრის ძე (1881–1937), საბჭოთა სახელმწ. და პარტ. მუშაკი. 1920–21 იყო საქ. კპ(ბ) ცკ-ის თავ-რე, 1921–25 – საქართვ. რევკომის თავ-რე, საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანი, ამიერკავკ. სფსრ სახკომსაბჭოს თავ-რე, 1926–29 და 1931 – საკ. კპ(ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი. 1932-იდან მოსკოვში მოღვაწეობდა. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ორახელაშვილი (ქალიშვილობის გვარი – მიქელაძე) მარიამ პლატონის ასული (1887–1937), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე საქართველოსა და კავკასიაში, საბჭოთა პარტ. და სახელმწ. მუშაკი, საქ. კომპარტიის ცკ-ის მდივანი, საქართვ. განათლების სახ. კომისარი, არაერთი პოლიტ.-საგანმანათლებლო ჟურნალის რედაქტორი. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ორბელი იოსებ აბგარის ძე (1887–1961), აღმოსავლეთმცოდნე, საზოგადო მოღვაწე. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1935), სომხ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი და მისი პირველი პრეზიდენტი (1943–47). დაიბადა ქუთაისში. 1920-იდან მუშაობდა ერმიტაჟში, სადაც შექმნა აღმოსავლეთმცოდნეობის განყ-ბა. 1934–51 იყო ერმიტაჟის დირექტორი, 1956–61 – სსრკ მეცნ. აკად. აზიის ხალხთა ინ-ტის ლენინგრადის განყ-ბის ხელმძღვანელი. ნ. *მარის* უახლოესი თანამშრომელი.

ორბელი ლეონ აბგარის ძე (1882–1958), ფიზიოლოგი, სსრკ მეცნ. აკად. (1935), სომხ. მეცნ. აკად. (1943), სსრკ მედ. მეცნ. აკად. (1944) აკადემიკოსი. სამედ. სამსახურის გენ.-პოლკოვნიკი. ი. *პავლოვის* უახლოესი თანამშრომელი და მოწაფე. მიღებული აქვს სსრკ სახელმწ. პრემია (1941), ი. პავლოვის სახ. პრემია (1937) და სხვ. იყო საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნ. აკადემიების და საზ-ბების საპატიო წევრი.

ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის (ზურაბის) ძე (1804–83), პოეტი-რომანტიკოსი. საზოგადო მოღვაწე, რუს. არმიის ინფანტერიის გენერალი. ო. იზიარებდა 1832 შეთქმულთა ჯგუფის იდეებს, რისთვისაც დააპატიმრეს. 1859-იდან მსახურობდა კავკ. მეფისნაცვლის საბჭოს თავ-რედ. 1863–65 იყო მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, 1860–64 – თბილისის გენერალ-გუბერნატორი, 1864–67 – გუბერნატორი. ო-ს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის დაარსებაში. ლექსების გარდა დაწერილი აქვს პროზაული ნაწარმოებები, პოემა. მონაწილეობა მიიღო „მამებისა“ და „შვილების“ ლიტ. პაექრობაში, როგორც ძვ. თაობის წარმომადგენელმა. დაკრძალულია ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში.

ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე (1812–90), პოეტი-რომანტიკოსი. *ერეკლე II-ის* შვილიშვილი, 1832 შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური. მისი თხზულებები იბეჭდებოდა „ცისკარში“, „დროებაში“, „ივერიაში“, „თეატრში“, „მწყემსში“. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

ორბელიანი სულხან-საბა (1658–1725), მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, სახელმწ. მოღვაწე. მეფე *კახტანგ VI-ის* აღმზრდელი. 1703-იდან, ვახტანგ VI-ის დავალებით, ახ. პოლიტ. ორიენტაციის ძიების მისიით იმოგზაურა საფრანგეთსა და იტალიაში. მის



სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი.

სახელთანაა დაკავშირებული ქართ. პროზის, ქართ. დოკუმენტური პროზის შემდგომი განვითარება; ქართ. ლექსის რეფორმაცია. ავტორია „ქართული ლექსიკონისა“ („სიტყვის კონა“). მასვე ეკუთვნის იგავ-არაკთა კრებ. „სიბრძნე-სიცრუისა“. ბესიკის მოედანზე, სკვერში, დგას ო-ის ძეგლი (მოქანდაკე ტ. სიხარულიძე). დაკრძალულია მოსკოვში, ვსესვიატსკოეს ძველ ეკლესიაში.

ორლოვსკი კონსტანტინე ივანეს ძე (1810–76), თბილისის გუბერნატორი XIX ს. 60–70-იან წლებში, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი. 1834-იდან მუშაობდა საქართველოში მთავარმმართველის კანცელარიაში ჩინოვნიკად. 1844 დაინიშნა კავკ. მხარის მთავარი სამმართველოს კანცელარიის უფროსად, 1860 – თბილისის ვიცე-გუბერნატორად, 1862 – გუბერნატორად და ამ თანამდებობაზე მუშაობდა გარდაცვალებამდე.

ორჯონიკიძე გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე (1886–1937), საბჭოთა პარტ. და სახელმწ. მოღვაწე. საქართვ. დემოკრ. რესპ.





ანექსიის პრაქტიკული ხელმძღვანელი. 1922–26 საკ. კპ(ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, 1930-იდან სსრკ სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავ-რე, 1932-იდან – მძიმე მრეწველობის სახ. კომისარი. ცხოვრება თვითმკვლელობით დაამთავრა. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

ოსიპენკო პოლინა დენისის ასული (1907–39), სამხედრო მფრინავი, მაიორი, საბჭ. კავშირის გმირი (1938). ცნობილია ო-ს ძირს დაუშვებელი გადაფრენები, მ. შ. მარშრუტით: მოსკოვი – შორეული აღმოსავლეთი (1938; ვ. *გრიზოდუბოვასა* და მ. *რასკოვასთან* ერთად). დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

ოცხელი იოსებ ივანეს ძე (1865–1919), პედაგოგი, სახალხო განათლების მოღვაწე. დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია (1885), შემდეგ – ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის ფიზ.-მათ. ფაკ-ტი. 1892 ქუთაისში დააარსა კერძო „საჩვენებელი საბავშვო ბაღი მოსამზადებელი კლასით“. 1900 ო. დანიშნეს ქუთ. სკოლის ინსპექტორად. 1905 მისი შემწეობით ეს სკოლა გადაკეთდა ქუთ. კერძო ქართ. გიმნაზიად, რ-საც გარდაცვალებამდე ედგა სათავეში. პედაგოგიკაში ი. *გოგებაშვილის* მიმდევარია. ავტორია ალგებრის, ფიზ., გეომ. სახელმძღვანელოებისა.

ოცხელი პეტრე გრიგოლის ძე (1907–37), სცენოგრაფი, ქართ. სათეატრო მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. წარმატებით თანამშრომლობდა კ. *მარჯანიშვილთან*. გააფორმა საეტაპო დადგმები (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, ფ. შილერის „ყაჩაღები“, შ. დადიანის „კაკალ გულში“ და სხვ.). 1939 ლონდონში თეატრ. მხატვართა საერთაშ. გამოფენაზე ო-ს ესკიზები ოქროს მედლით დაჯილდოვდა. 1937 რეპრესიების მსხვერპლი.

ოძელაშვილი არსენა, არსენა მარაბდელი (დაახლ. 1797–1842), ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხი. თავად ზაალ ბარათაშვილთან კონფლიქტის გამო ჭაბუკი ო. ტყეში გაიქრა. იგი ვერ ურიგდებოდა გლეხობის ჩაგვრას, ყმებით ვაჭრობას, ებრძოდა მარბიელ მთიელთა ურდოებს, კოლონიური პოლიტიკის გამტარებელ ჩინოვნიკებს. ძალზე პოპულარული იყო საქართველოსა და მის მოსაზღვრე მხარეში. ო-ის სახელი ხალხმა მისივე სიცოცხლეში უკვდავყო. შეიქმნა ხალხ. ეპოსი „არსენას ლექსი“. თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ასევე უკვდავყო ქართ. მწერლობამ და კინოხელოვნებამ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, მ. ჯავახიშვილი, ს. შანშიაშვილი, გ. ლეონიძე, მ. ჭიაურელი). მცხეთაში დგას ო-ის ძეგლი (მოქანდაკე ე. მაჩაბელი).

◄ ქალაქის ხედი დარეჯანის სასახლიდან.

პავლოვი ივანე პეტრეს ძე (1849–1936), რუსი ფიზიოლოგი, სანქტ-პეტერბ. საიმპერატორო მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1907), ნობელის პრემიის ლაურეატი (1904). უმაღლესი ნერვული მოქმედების მატერიალისტური მოძღვრების, საჭმლის მონელების მეცნიერული ფიზიოლოგიის ფუძემდებელი. 1936 მისი სახელი ეწოდა სსრკ მეცნ. აკად. ფიზიოლ. ინ-ტს.

პაიჭაძე ბორის სოლომონის ძე (1915–90), სპორტსმენი (ფეხბურთი), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1944), საქართვ. ფიზკულტურისა და სპორტის დამს. მოღვაწე (1967), თბილისის საპატიო მოქალაქე (1988). 1936–51 იყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ცენტრ. თავდამსხმელი (1940–51 – კაპიტანი), საკავშ. ჩემპიონატების ორგზის მეორე და ოთხგზის მესამე პრიზიორი. აღიარეს XX ს. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად. 1990-იდან პ-ის სახელობისაა თბილისის ეროვნ. სტადიონი. იქვე დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე ა. კიკნაველიძე).

პაპანინი ივანე დიმიტრის ძე (1894–1986), არქტიკის მკვლევარი, გეოგრ. მეცნ. დოქტორი (1938), კონტრადმირალი (1943), ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი (1937, 1940). 1937–38 ხელმძღვანელობდა პირველ მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთ პოლუსს“. მისი სახელი დაერქვა კონცხს ტაიმირის ნ.-კ-ზე.

პასკევიჩი (პასკევიჩ-ერივანსკი) ივანე თედორეს ძე (1782–1856), რუსი სამხედრო მოღვაწე, გენ.-ფელდმარშალი (1829), კავკ. მთავარმმართველი (1827–30). რუს.-ირანის (1826–28) და რუს.-ოსმალეთის (1828–29) ომების დროს იყო კავკ. ჯარების მთავარსარდალი. ჩაახშო პოლ. აჯანყება და უნგრ. რევოლუცია.

პასტერი ლუი (1822–95), ფრანგი მიკრობიოლოგი და ქიმიკოსი. თანამედროვე მიკრობიოლ. და იმუნოლოგიის ფუძემდებელი. პარიზის მეცნ. აკად. და საფრ. აკად. („უკვდავთა“) წევრი, სანქტ-პეტერბ. საიმპერატორო მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1893); შეიმუშავა ქათმის ჭირისა (1879) და ჯილეხის (1881) საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინა, ხოლო 1885 – ცოფის საწინააღმდეგო მეთოდი (ანტირაბიული ვაქცინით აცრა). თბილისში პასტერის პირველი სადგური გაიხსნა 1889.

პატარიძე ზურაბ ალექსანდრეს ძე (1928–82), პარტ. და სახელმწ. მუშაკი. დაამთავრა პოლიტექ. ინ-ტი (1952). იყო ჭიათურმარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი, სსრკ უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართვ. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1972–75 – საქ. კპ ცკ-ის მდივანი, 1975-იდან – საქართვ. მინისტრთა საბჭოს თავ-რე. დაიღუპა ავტოკატასტროფის დროს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

პაულუჩი ფილიპე ოსიპის ძე (1779–1849), წარმოშობით იტალიელი მარკიზი. რუს. არმიის გენ.-ადიუტანტი, გენ.-ლეიტენანტი. საქართვ. მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1811–12). ჩაახშო კახეთის 1812 აჯანყება. იმავე წელს გაიწვიეს სანქტ-პეტერბურგში. სამხ. კარიერის დასაწყისში მასთან მუშაობდა ა. *ჭავჭავაძე*.

პეროვსკაია სოფიო ლევის ასული (1853–81), რუსი რევოლუციონერი, „ნაროდნაია ვოლიას“ განმკარგულებელი კომისიის წევრი. ა. *ულიანოვის* მეუღლე. მონაწილეობდა რუს. იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმის მომზადებაში, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს.

პეტეფი შანდორ (1823–49), უნგრელი პოეტი, რევოლუციონერ-დემოკრატი. 1848–49 უნგრ. რევ. ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 26 წლის პ. დაიღუპა რუს კაზაკებთან ბრძოლისას. მისი სახელი მსოფლიო ლიტ-რაში დარჩა როგორც რევ., თავისუფლებისა და სიყვარულის მგზნებარე მომღერალი. ქართველი მკითხველი პ-ს იცნობს გრ. აბაშიძის შესანიშნავი თარგმანებით.

პეტრე I დიდი (1672–1725), რუსეთის მეფე (1682-იდან), იმპერატორი (1721-იდან). მეფე ალექსი მიხეილის ძის ვაჟი. პ. I ისტორიაში შევიდა როგორც პროგრესული სახელმწ. და სამხ. მოღვაწე, რომელმაც ადამიანური მსხვერპლის ფასად უდიდესი ძვრები მოახდინა რუსეთის ისტ. განვითარებაში და განავრცო იმპერიის საზღვრები.

პეტრე იბერი (411–491), თეოლოგი და ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი და ფილოს.-თეოლ. აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი. იბერიის მეფის ბუზმარის შვილი და ბაკურ დიდის შვილიშვილი. ნუცუბიძე – ჰონიგმანის თეორიის მიხედვით, პ. ი. „არეოპაგიტიკის“ ავტორადაა მიჩნეული. მან იერუსალიმში ააშენა ქართველთა მონასტერი და შექმნა სკოლა. XII–XIII სს. მივიწყებას ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

პეტრიაშვილი ვასილ მოსეს ძე (1842–1908), ქიმიკოსი, აგროქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. პროფესორი (1879). იყო ნოვოროსიის (ოდესა) უნ-ტის რექტორი (1907). 1870-იდან მუშაობდა ორგ. ქიმიის დარგში. დაინტერესებული იყო სას.-სამ. პროდუქტების ტექნოლ. და აგროქიმ. საკითხებით. თანამშრომლობდა ქართ. პერიოდულ პრესასთან, გაზ. „დროებასთან“. ურთიერთობა ჰქონდა ა. წერეთელთან, ი. გოგებაშვილთან, ნ. ნიკოლაძესთან, ს. მესხთან და სხვ.

პიკასო პაბლო (1881–1973), ფრანგი მხატვარი, ეროვნებით ესპანელი. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი (1950), მშვიდობის საერთაშ. პრემიის (1950) და „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშ. ლენინური პრემიის (1962) ლაურეატი. პ-ს შემოქმედებაში, რ-მაც დიდი გავლენა მოახდინა XX ს. მხატვრობაზე, მრავალმხრივ აისახა მოწინავე საზ. მისწრაფებები. იგი მუდამ გრძნობდა და ეხმაურებოდა ეპოქის მტკივნეულ პრობლემებს, იბრძოდა პროგრ. იდეალებისათვის.

პიროგოვი ნიკოლოზ ივანეს ძე (1810–81), რუსი მეცნიერი, ექიმი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. სანქტ-პეტერბ. საიმპერატორო მეცნ. აკად. წ.-კორ. (1847). სამხ.-საველე ქირურგიის ფუძემდებელი. მსოფლიოში პირველმა დააყენა ოსტეოპლასტიკის საკითხი, გამოიყენა ეთერის ნარკოზი საველე პირობებში და სხვ.

პისარევი დიმიტრი ივანეს ძე (1840–68), რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, პუბლიცისტი, ლიტ-რის კრიტიკოსი, ფილოსოფოს-მატერიალისტი. პოპულარობით სარგებლობდა ქართვ. „თერგდალეულთა“ წრეში.

პლატონი (ძვ. წ. 428 ან 427–348 ან 347), ბერძენი ფილოსოფოსი, ობიექტური იდეალიზმის კლასიკოსი, სოკრატეს მოწაფე, არისტოტელეს მასწავლებელი. იცნობდა ეგვიპტელ ქურუმთა სიბრძნეს. ათენში დააარსა სკოლა-აკადემია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ქართულად (ბ. ბრეგვაძე).

პლეხანოვი გიორგი ვალენტინის ძე (1856–1918), მარქსიზმის რუსი თეორეტიკოსი და პირველი პროპაგანდისტი. ლიტ-რის კრიტიკოსი, მეცნიერ-ფილოსოფოსი. რუსეთისა და საერთაშ. მუშათა და სოციალ. მოძრაობის მოღვაწე.

პრიბილი ივანე ანტონის ძე (1782–1866), ექიმი. ეროვნებით ჩეხი. საქართველოში ჩამოვიდა 1808. 1816 დაინიშნა საქართვ. საექიმო სამმართველოს ინსპექტორად, 1822 – თბილისის სამხ. ჰოსპიტლის მთავარ ექიმად. 1840 გამოცდის გარეშე მიიღო მედიცინისა და ქირურგიის დოქტორის წოდება. დაკრძალულია სოლოლაკში, ძველ კათოლიკურ სასაფლაოზე.

პუშკინი ალექსანდრე სერგეის ძე (1799–1837), რუსი მწერალი, პოეტი, ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელი. მისი პოეზია იმთავითვე პოპულარული იყო საქართველოში. ცნობილი ქართვ. პოეტები თარგმნიდნენ მის ლექსებს. პ. 1829 საქართველოში ჩამოვიდა. მიღებული შთაბეჭდილებები აისახა მის არაერთ ნაწარმოებში. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, მისივე სახ. სკვერში, დგას პ-ის ბიუსტი (მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩი).

ალექსანდრე პუშკინის ბიუსტი. ►


А. С.
ПУШКИНЪ.

ჟელიაბოვი ანდრია ივანეს ძე (1851–81), რუსი რევოლუციონერი, „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა რუს. იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმის მომზადებაში, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს.

ჟვანია ზურაბ ბესარიონის ძე (1963–2005), პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. იყო „საქართველოს მწვანეების“ თავ-რე, ევროპის მწვანეთა ორგანიზაციის თანათავმჯდომარე (1992), საქართველოს „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანი (1993), საქართველოს პარლამენტის თავ-რე (1995–99, 1999–2001 ოქტ.). 2002 სათავეში ჩაუდგა „გაერთიანებულ დემოკრატებს“. 2003 დაინიშნა სახელმწ. მინისტრად, 2004 – პრემიერ-მინისტრად. მას ეკუთვნის ევროსაბჭოში საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით საპარლამენტო ასამბლეაზე წარმოთქმული ფრაზა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჟვანია ნინა ავქსენტის ასული (1917–90), ეკონომისტი. 1964–90 თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავ-რის მოადგილე. 1938–56 იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე, 1957–64 – თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფ-კის დირექტორი. 1952–53 რეპრესირებული იყო როგორც „მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფის“ წევრი. 2002 ჟ-ს სახელი ეწოდა თბილისის მოხუცთა პანსიონატ „სავანეს“.

ჟორდანია ანდრო დიმიტრის ძე (1904–74), სპორტსმენი (ფეხბურთელი) და მწვრთნელი, ქართ. ფეხბურთის დიდი მოამაგე. სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1947) და დამს. მწვრთნელი (1960), საქართვ. ფიზკულტურისა და სპორტის დამს. მოღვაწე (1973). 1945–47, 1954, 1959–61 ხელმძღვანელობდა თბილისის „დინამოს“, 1948–51 – თბილისის „სპარტაკს“.

ჟორდანია თევდორე (თედო) დავითის ძე (1854–1916), ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი. იყო საეკლ. მუზეუმის გამგე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის (1880-იდან), საქართვ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის (1907) წევრი. შეკრიბა და გამოაქვეყნა დიდძალი დოკუმენტური და ეპიგრაფიკული მასალა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (1869–1953), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართვ. დემოკრატიული რესპუბლიკის თავ-რე (1918–21), პუბლიცისტი. საქართველოში პირველი ს.-დ. ორგანიზაციის – „მესამე დასის“ – დამაარსებელი და ლიდერი. რსდმპ ცკ-ის წევრი მენშევიკებისაგან (1907-იდან). რუს. I სახელმწ. სათათბიროს დეპუტატი (1906). 1917 თებ. რევ. შემდეგ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის, 1917 წ. 22 ნოემბრიდან – საქართვ. ეროვნ. საბჭოს თავ-რე. 1921 მარტიდან – ემიგრანტი და ქართ. პოლიტ. ემიგრაციის ლიდერი. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სამხო სასაფლაოზე.

ჟორესი ჟან (1859–1914), საფრანგეთისა და საერთაშ. სოციალ. მოძრაობის მოღვაწე, ისტორიკოსი, გამოჩენილი ორატორი. 1904 დააარსა გაზ. „ჰუმანიტე“. იყო მრავალტომიანი კოლექტ. ნაშრომის, „სოციალისტური ისტორიის“ (1789–1900) გამოცემის ორგანიზატორი და რედაქტორი. მოკლა ფრანგმა შოვინისტმა რ. ვილენმა.

ჟუკოვსკი ვასილი ანდრიას ძე (1783–1852), რუსი პოეტი. რომანტიზმის ფუძემდებელი რუსეთში. მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუს. ლიტერატურაზე, ითვლება ა. პუშკინის წინამორბედად და მასწავლებლად. ჟ. პოპულარული იყო ქართვ. რომანტიკოსთა შორისაც. მისი ლექსები თარგმნეს ა. ჭავჭავაძემ, ვ. ორბელიანმა, გრ. ორბელიანმა.

ჟღენტი ბესარიონ (ბესო) დავითის ძე (1903–76), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1975). იყო საქართვ. მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი (1932–37) და გამგეობის მდივანი (1958–76), საქართვ. ლიტ. ფონდის დირექტორი (1943–46). მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ინ-ტში (1964–76), კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. მისი გამოკვლევები ქართ. ლიტ-რის პრობლემებს ეძღვნება. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჟღენტი დიმიტრი დავითის ძე (1951–94), განათლების სისტემის მუშაკი. ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწ. ინ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პრორექტორი.

ჟღენტი თენგიზ გიგოს ძე (1887–1937), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოსა და უკრაინაში. 1921-იდან იყო ბათუმის ოლქის სამხ. კომისარი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ჟღენტი სულიკო ილიას ძე (1925–2000), კინოდრამატურგი, ხელოვნების დამს. მოღვაწე. მისი შექმნილი სცენარებით გადაღებულია მხატვრული ფილმები: „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „ჭიაკოკონა“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „ციმბირელი პაპა“, „წუთისოფელი“, „ნერგები“, „ჩემი მეგობარი ძია ვანო“, „რაჭა ჩემი სიყვარული“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „ფესვები“, „დონ-კიხოტი“ და სხვ. მისი შემოქმედება აღნიშნულია არაერთი საერთაშ. პრემიით.





რადიანი (ნამდვ. გვარი – შ ე წ ი რ უ ლ ი) შალვა დიმიტრის ძე (1905–77), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1943), პროფესორი (1944). მონაწილეობდა საქართვ. მწერალთა კავშირის შექმნაში. 1929–32 იყო მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, 1937–42 – გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი. 1930-იდან თსუ-ში კითხულობდა ლექციებს. 1949–56 იყო შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტ. ინ-ტის დირექტორი. ავტორი მრავალი სამეცნ. და ლიტ.-კრიტ. ნაშრომისა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

რაზიკაშვილი თედო პავლეს ძე (1869–1922), მწერალი. *კაჟაფშაველასა* და *ბაჩანას* ძმა. აღიზარდა სამოციანელთა შემოქმედებით პრინციპებზე. მისი ნაწარმოებების მთავარი თემებია პატრიოტიზმი, ადამიანის რაობა და მისი ამქვეყნიური დანიშნულება. ავტორია ლექსების, მოთხრობების, პუბლიც. წერილების. განსაკუთრებით პოპულარულია მისი საბავშვო მოთხრობები. **რ.** ხალხ. სიტყვიერების ცნობილი შემკრები იყო, შეადგინა ხალხ. ლექსიკონი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

რაზმაძე ანდრია მიხეილის ძე (1889–1929), მათემატიკოსი, თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი, თანამედროვე მათ. მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში. საფუძველი ჩაუყარა ქართ. მათ. ტერმინოლოგიას და ვარიაციათა აღრიცხვას. დაკრძალულია თსუ-ის ეზოსავანეში, სადაც დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი).

რამიშვილი ნინო შალვას ასული (1910–2000), ბალეტის მსახიობი, ბალეტმაისტერი. საქართვ. (1948) და სსრკ (1963) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. (1973) და სსრკ (1949) სახელმწ. პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1981). ი. *სუხიშვილთან* ერთად ჩამოაყალიბა ახლანდ. ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწ. აკად. დასი. იყო მისი წამყვანი მოცეკვავე, ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დიდი ღვაწლი დასდო ქართ. ცეკვის პოპულარიზაციას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

რასპოპვა მარინა მიხეილის ასული (1912–43), მფრინავი შტურმანი. მაიორი (1942). საბჭ. კავშირის გმირი (1938). მონაწილეობდა ძირს დაუშვებელ გადაფრენებში, მ. შ. მარშრუტით: მოსკოვი – შორეული აღმოსავლეთი (1938; ვ. *გრიზოდუბოვასა* და პ. *ოსიპენკოსთან* ერთად). სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს იყო ქალთა ბომბდამშენი პოლკის მეთაური.

რატილი (ნამდვ. გვარი – ნ ა ვ რ ა ტ ი ლ ი) იოსებ ივანეს ძე (1840–1912), ჩეხი მომღერალი (ტენორი) და ლოტბარი. 1880-იდან თბილისის ოპერის თეატრის სოლისტი იყო. სათავეში ჩაუდგა ხალხ. სიმღერების გუნდს (ე. წ. „ქართულ ხოროს“), რ-მაც დიდი წვლილი შეიტანა ხალხ. სიმღერის პროპაგანდის საქმეში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

რეადი ნიკოლოზ ანდრიას ძე (1792–1855), რუს. არმიის კავალერიის გენერალი, კავკასიის ომების მონაწილე. 1854 იყო კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი (ნ. *მურავიოვის* ჩამოსვლამდე). სამოქალაქო ნაწილის მმართველი (1855).

რენინგერი სტანისლავ (დ. 1876, მამის სახელი და გარდაცვალების თარიღი უცნობია), სოც.-დემოკრ. მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი სამხრ. კავკასიაში (მ. შ. საქართველოში). წარმომავლობით პოლონელი. თბილისში იმყოფებოდა 1893–97.

რეშეტი იოსებ ანტონის ძე (1786–1855), რუს. არმიის გენ.-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს მუდმივი წევრი (1849–55), თავ-რის – ვ. *ბებუთოვის* – არყოფნის დროს ასრულებდა მის მოვალეობას. 1846-იდან თავმჯდომარეობდა „თბილისის გარეუბნების მომწყობ კომისიას“. გარდაიცვალა თბილისში.

რთველაძე გიორგი დავითის ძე (1872–1933), რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე სამხრ. კავკასიაში (მ. შ. საქართველოში). აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბაქოს მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში. 1918 მონაწილეობდა საქართვ. დემოკრ. რესპ. წინააღმდეგ ბოლშევიკების მიერ ინსპირირებულ დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყებაში. 1922 აირჩიეს საქ. კპ(ბ) საკონტროლო კომისიის, 1923 – უმაღლესი სასამართლოს წევრად.

რიჟინაშვილი აბრამ (იცკა) იოსების ძე (1886–1906), პროფესიონალი რევოლუციონერი. რსდმპ კავკ. კავშირის დავალებით რევ. პროპაგანდას ეწეოდა ქუთაისის პოლკისა და კაზაკთა ასეულის ჯარისკაცებს შორის. მოკლეს კაზაკებმა.

რისაკოვი ნიკოლოზ ივანეს ძე (1861–1881), „ნაროდოვოლეცი“. ჩამოახრჩვეს რუს. იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის.

როგაძიძე გრიგოლ ტიტეს ძე (1880–1962), მწერალი, საზოგადო მოღვაწე. 1932 **რ.** შემოქმედებითი მივლინებით გაემგზავრა გერმანიაში, ხოლო 1934-იდან, იძულებით, ემიგრაციაში აღმოჩნდა. **რ**-ის შემოქმედება უაღრესად მრავალფეროვანია (პოეზია, პროზა, ესეისტიკა). საქართველოში თუ უცხოეთში ყოფნისას მან დაწერა ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები (დრამები, რომანები, ფილოს. ნარკვევები), უდიდესი მხატვრული ოსტატობით შექმნა ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და სხვა ქართველ მწერალთა ლიტ. და ნ. ჟორდანიას, ი. სტალინის, ვ. ულიანოვის (ლენინის), ა. ჰიტლერის და სხვათა პოლიტ. პორტრეტები. დაკრძალულია საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სამძო სასაფლაოზე.

როგესპიერი მაქსიმილიენ მარი იზიდორ დე (1758–94), საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, იაკობინელთა დიქტატურის ერთ-ერთი თეორეტიკოსი, ორგანიზატორი და მოთავე. იაკობინელთა დიქტატურის დამხობის შემდეგ სიკვდილით დასაჯეს.

როდენი რენე ფრანსუა ო გ ი უ ს ტ (1840–1917), ფრანგი მოქანდაკე. მისმა შემოქმედებამ ეპოქა შექმნა ქანდაკების ისტორიაში, იმპულსი მისცა სხვადასხვა სახის მიმდინარეობათა განვითარებას. **რ**-თან სწავლობდა და მუშაობდა ი. *ნიკოლაძე*.

როზენი გრიგოლ ვლადიმერის ძე (1782–1841), რუსი სამხ. მოღვაწე, ბარონი, ინფანტერიის გენერალი (1826). კავკასიის მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1831–38). ხელმძღვანელობდა კავკ. მთიელთა ეროვნ.-განმათ. ბრძოლის ჩახშობას. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო მოსკოვის სენატორი.

როსლავლიოვი მიხეილ ივანეს ძე, ქვეითი ჯარის გენ.-მაიორი. 1864–70 იყო თბილისის უფრ. პოლიცმაისტერი, 1870–73 – თბილისის ვიცე-გუბერნატორი, შემდეგ – ერევნის გუბერნატორი.

როსტომაშვილი ივანე პავლეს ძე (1852–1924), პედაგოგი, ჟურნალისტი, ენციკლოპედისტი, საზოგადო მოღვაწე. გამოსცა „რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი“, ალბომი „ქართველთა ტომი“, „გამოსადეგი ცნობარი“ 6 წიგნად. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

რტიშჩევი ნიკოლოზ თედორეს ძე (1754–1835), რუსეთის სამხედრო და სახელმწ. მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, სენატორი. კავკასიის მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1812–16). მონაწილეობდა რუს.-შვედეთის (1788–90), რუს.-ოსმალეთის (1806–12), რუს.-ირანის (1804–13) ომებში. რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა გულისტანის საზავო ხელშეკრულებას (1813), რითაც განამტკიცა აღმ. საქართველოს და ჩრდ. აზერბაიჯანის შეერთება რუსეთთან.

რუსთაველი (რ უ ს თ ვ ე ლ ი) შოთა (XII–XIII სს. მიჯნა), ჰუმანისტი პოეტი, უდიდესი მოაზროვნე. ვეფხისტყაოსნის ავტორი. ჩვენამდე მოღწეული მისი ერთადერთი ნაწარმოები შესულია მსოფლიო ლიტ-რის საგანძურში. დაარსებულია **რ**-ის სახ. სახელმწ. პრემია (1965). მისი სახელობისაა ქართ. ლიტ-რის ინ-ტი, თბილისის სახელმწ. აკად. თეატრი, კინოთეატრი, საქართვ. თეატრისა და კინოს უნ-ტი. **რ**-ის მოედანზე დგას ძეგლი [მოქანდაკე კ. მერაბიშვილი, 1942 (1989 ძეგლი ჩამოისხა ბრინჯაოში და ჩატარდა არქიტ. ნაწილის რეკონსტრუქცია)]. **რ**-ის იუბილე ორჯერ აღინიშნა საქართველოში – 1937 და 1966 (ეს უკანასკნელი, იუნესკოს გადაწყვეტილებით, – მსოფლიო მასშტაბით). პოემას სწავლობს მეცნიერების დარგი – რუსთველოლოგია. ქართ. ლიტ-რაში სამუდამოდ დამკვიდრდა რუსთველური შაირის ლექსთწყობის ფორმა.

რუხაძე ზოია მათეს ასული (1923–44), პარტიზანი, სსრკ-გერმ. ომის (1941–45) მონაწილე, სიმფეროპოლში მოქმედი ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრი. ფაშისტებმა ერთი თვის საშინელი წამების შემდეგ ჭაში ჩაახრჩვეს. **რ**-ის გმირობაზე შეიქმნა კინოსურათი, დაიწერა პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ (ი. ნონეშვილი). მისი სახელობისაა ბაღი დავით აღმაშენებლის გამზირზე (ყოფ. „არტოს ბაღი“).

რჩეულიშვილი გურამ მიხეილის ძე (1934–60), მწერალი. მისმა ლიტ. მემკვიდრეობამ (მოთხრობები, ნოველები, მინიატურები, პიესა) მნიშვნელოვანი კვალი დატოვა თანამედროვე ქართ. პროზის განვითარებაში. დაიღუპა ტრაგიკულად. 1962 რეჟ. გ. შენგელაიამ **რ**-ის მოთხრობის მიხედვით გადაიღო მხატვრული ფილმი „ალავერდობა“. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

◀ შოთა რუსთაველის ძეგლი.

საადი (XIII ს. დასაწყისი – 1292), სპარსულ-ტაჯიკური ლიტ-რის კლასიკოსი, დიდაქტიკოსი, მწერალი და მოაზროვნე. მისი ნაწარმოებები („ბუსთანი“, „გოლესთანი“) თარგმნილია ქართულად. ს-მ სიცოცხლე დაასრულა შირაზის გარეუბანში. მისი საფლავი წმინდა სალოცავ ადგილად იქცა.

საკაძე გიორგი სიაუშის ძე, დიდი მოურავი (დაახლ. 1570–1629), პოლიტ. და სამხ. მოღვაწე, ერთხანს – ქართლის ფაქტობრივი გამგებელი. 1625 მარტყოფის ველზე დაამარცხა ყიზილბაშები. იბრძოდა საქართვ. გაერთიანებისათვის. იძულებით გადაიხვეწა ოსმალეთში, სადაც ღალატით მოკლეს. თბილისში, ს-ის მოედანზე, დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

საკაძე პაატა გიორგის ძე (გ. 1625), გ. *საკაძის* მეორე ვაჟი. მძევლად იყო ირანში შაჰ აბას I-ის კარზე. 1625, ქართლ-კახეთში ავჭანყების დაწყების შემდეგ, შაჰის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს და მამას გაუგზავნეს საქართველოში, ტანი კათოლიკე მისიონერებმა დაასაფლავეს ისპაანში. მოგვიანებით გ. საკაძემ, თბილისელი ვაჭრების დახმარებით, ნეშტის ნარჩენები ფარულად ჩამოასვენა საქართველოში და საგვარეულო მონასტერში, ერთაწმინდაში, დაკრძალა.

საბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე (1900–79), ნიადაგმცოდნე, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). 1946–58 იყო საქართვ. მეცნ. აკადემიის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმ. და მელიორაციის ინ-ტის დირექტორი (1981 ინ-ტს მისი სახელი ეწოდა), 1963–76 – საქართვ. მეცნ. აკად. ბიოლ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი. ავტორია ნაშრომის „საქართველოს სსრ ნიადაგები“ (1965). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.



დავით სარაჯიშვილის ძეგლი.

სავანელი ხარლამპი ივანეს ძე (1842–90), მომღერალი, საგუნდო დირიჟორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ქართული პროფ. მუს. განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. დიდი ამაგი დასდო ქართ. ვოკალური სკოლის შექმნას. ჩამოაყალიბა შერეული ოთხხმიანი გუნდი, რ-იც ითვლება საქართვ. სამუსიკო განათლების დასაწყისად. ს-ის მიერ დაარსებული სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა თბილისის კონსერვატორია.

საიათნოვა (ნამდვ. სახელი და გვარი – არუთინა საიადიანი) (დაახლ. 1712–22 – დაახლ. 1795–1801), თბილისელი აშუღი. ეროვნებით სომეხი, პროფესიით ხელოსანი. თხზავდა და მღეროდა ქართ., სომხ. და აზერბ. ენებზე. ს. ითვლება ქართულენოვანი აშუღური პოეზიის ფუძემდებლად. გადმოცემის თანახმად, დაიღუპა 1795 აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების დროს. ი. *გრიშაშვილის* ცნობით, 1914 წ. 15 მაისს, თბილისში, სურბ-გევორქის ეკლესიის კედელთან, მოხდა ს-ს ძეგლის კურთხევა.

სალია კალისტრატე ზოსიმეს ძე (1901–86), ისტორიკოსი, უცხოეთში მცხოვრები ქართველოლოგი, ლევენის, ოსლოს, ბორდოს და ბამბერგის უნ-ტების საპატიო დოქტორი. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აკად. წევრი (1968) და საქართვ. მეცნ. აკად. საპატიო წევრი (1983). 1921 წავიდა საზღვარგარეთ და დაამთავრა ბერლინის გერმ. ენის ინ-ტი, პარიზის სორბონის უნ-ტის ისტ.-ლიტ. ფაკ-ტი (1927). 1948-იდან გამოსცემდა ჟურნ. „ბედი ქართლისას“. იკვლევდა საქართვ. ისტორიის, ქართ. ლიტ-რის ისტორიის საკითხებს და სხვ. მის ნაშრომს „ქართველი ერის ისტორია“ (1980) მიენიჭა საფრანგეთის მეცნ. აკად. პრემია (1980). 1988 წ. 27 თებ. მისი ფერფლი დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. ნ. და კ. სალიებმა რამდენიმე ათასი ტომისგან შემდგარი პირადი ბ-კა და მრავალი ხელნაწერი დოკუმენტი გადასცეს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტს.

სალია (ქალიშვილობაში – ქურციკაშვილი) ნინო მიხეილის ასული (1898–1989), ისტორიკოსი, უცხოეთში მცხოვრები ქართველოლოგი, ქველმოქმედი. 1926-იდან ცხოვრობდა საფრანგეთში. 1948 მისი ინიციატივითა და ხახსრებით პარიზში გამოდიოდა ჟურნ. „ბედი ქართლისა“. ს. იკვლევდა საქართვ. ისტორიის, ქართული კულტურის საკითხებს, ეხმარებოდა უცხოეთში მყოფ ქართველოლოგებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

სამასი არაგველი, არაგველი მებრძოლები, რ-ებმაც აღა-მაჰმად-ხანის ურდოების წინააღმდეგ 1795 კრწანისის ბრძოლაში გმირულად შესწირეს სიცოცხლე სამშობლოს. მათ უკვდავსაყოფად აღმართულია ობელისკი ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე, მათივე სახელობის ბაღის წინ. ამ გმირთა მამაცური თავდადება ფართოდ აისახა ხალხურ სიტყვიერებაში. 2008 ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ს. ა. წმინდა მოწამეებად შეარაცხა. მათი ხსენების დღეა 24 სექტემბერი.

სანაკოევი (სანაყოევი) ვლადიმერ არჯევანის ძე (1884–1937), ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი ყოფ. სამხრ. ოსეთის აო-ში. 1919–20 მონაწილეობდა საქართვ. დემოკრ. რესპ. წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლაში. 1922–24 იყო საოლქო კომიტეტის პ/მგ მდივანი, შემდეგ – განათლების სახ. კომისარი, სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი.

სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე (1848–1911), გამოჩენილი მრეწველი და საზოგადო მოღვაწე. კონიაკის სამრეწვ. წარმოების ფუძემდებელი საქართველოსა და რუსეთში. ცნობილი ქველმოქმედი. ქიმ. და ფილოს. მეცნ. დოქტორი, „წარმომავლობით ტფილისის საპატიო მოქალაქე“. ს. აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის, საისტორიო-საეთნოგრ. საზ-ბის, სათავადაზნაურო ბანკის და სხვა ეროვნ. წამოწყებების განხორციელებაში. თბილისში არსებობს მისი სახელობის საზ-ბა, ასევე საქციო საზ-ბა „დავით სარაჯიშვილი და ენისელი“. 1990

გიორგი საკაძის ძეგლი. ►



კონიაკის ქარხნის ტერიტორიაზე დაიდგა **ს**-ის ძეგლი (მოქანდაკე ა. გომართელი). **ს**-ის ძეგლი დგას ევროპის მოედანზეც (მოქანდაკე თ. კიკალიშვილი). დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიის ეზოში.

სარაჯიშვილი ვანო (ივანე) პეტრეს ძე (1879–1924), მომღერალი, „საქართველოს ბულბული“, საქართვ. სახ. არტისტი (1923), ქართული პროფ. ვოკალური ხელოვნ. ერთ-ერთი ფუძემდებელი. გამოდიოდა საოპერო თეატრის სცენაზე, თანაბარი წარმატებით ასრულებდა ლირ. და დრამ. პარტიებს, სისტემატურად მონაწილეობდა საკონცერტო პროგრამებში. მისი სახელობისაა თბილისის სახელმწ. კონსერვატორია. დაკრძალულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში, აქვეა მისი ბიუსტი (მოქანდაკე ო. ფარულავა).

სარაჯიშვილი პეტრე მიხეილის ძე (1894–1984), ნევროპათოლოგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1945). 1958–84 ხელმძღვანელობდა თბილისის კლინ. და ექსპერ. ნევროლოგიის ინ-ტს. 1975-იდან იყო საქართვ. ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე, 1967-იდან – ეპილეფსიის საკავშ. პრობლემური კომისიის თავ-რე. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

სართანია ექვთიმე კუტულოს ძე (1876–1933), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე.

სახოკია თედო ტიმოთეს ძე (1868–1956), მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. აქტიურად იღვწოდა ლიტ. და პედ. სარბიელზე. ევრ. კლასიკოსთა მისეული თარგმანები ქართ. მთარგმნელობითი ლიტ-რის მნიშვნელოვანი შენაძენია. შეკრიბა და გამოაქვეყნა „ქართული ანდაზები“, „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ და სხვ.

საჯაია კალისტრატე გრიგოლის ძე (1895–1938), რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე რუსეთსა და საქართველოში. ექიმი, მედ. მეცნ. დოქტორი (1935), პროფესორი. 1918 ოდესის ოლქის რევკომის თავ-რე, 1921 – ბათუმის რევკომის თავ-რის მოადგილე, 1922 – საქ. კპ(ბ) შორაპნის სამაზრო კომიტეტის მდივანი.

საჯაია ნუგზარ რაჟდენის ძე (1942–2002), გენ.-ლეიტენანტი (2001). საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნ. უშიშროების საკითხებში, ეროვნ. უშიშროების საბჭოს მდივანი (1995–2002).

სემიონოვი ვასილი ნიკოლოზის ძე, ამიერკავკ. მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი (1842), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი, სასწავლო ოლქის მზრუნველი (1848–52).

სვანიძე გივი გედეონის ძე (1921–99), ჰიდროლოგი და ჰიდროენერგეტიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1993), სსრკ (რუსეთის) მეცნ. აკად. წ.-კორ. (1981). მისმა გამოკვლევებმა ჰიდროლოგიური პროცესების მოდელირების დარგში დასაბამი მისცა ახალ სამეცნ. მიმართულებას მდინარეული ჩამონადენის რეგულირების თეორიაში. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

სვანიძე ტარიელ (ბუხუტი) ვარლამის ძე (1950–91), საქართვ. ეროვნ. გვარდიის პოლკოვნიკი, თბილისის გარნიზონის პირველი კომენდანტი. დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

სვერდლოვი იაკობ მიხეილის ძე (პარტ. ფსევდ. – ა ნ დ რ ე ი, მ ა ქ ს ი და სხვ.) (1885–1919), კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწ. მოღვაწე. პროფესიონალი რევოლუციონერი. სრულიად რუსეთის ცაკის თავ-რე (1917). მისი ინიციატივით შეიქმნა სკოლა, სადაც აგიტატორებს და ინსტრუქტორებს ამზადებდნენ (შემდგომში სვერდლოვის სახ. კომუნისტური უნ-ტი).

სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე, რუს. არმიის ინფანტერიის გენერალი, გენ.-ადიუტანტი. 1863–68 ქუთაისის გენ.-გუბერნატორი, XIX ს. 80-იან წლებში – კავკ. მეფისნაცვლისა და კავკ. არმიის მთავარსარდლის მოადგილე. მისი დამტკიცებულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება 1879 წ. 31 მარტს.

სიმონოვიჩი თედორე ფილიპეს ძე (გ. 1815), რუს. არმიის გენ.-მაიორი. წარმოშობით სერბი. იმერეთის მმართველი (1810–13), საქართვ. სამოქალაქო გუბერნატორი (1813-იდან), ამავე დროს ასრულებდა სამხ. გუბერნატორის ფუნქციებს.

სიხარულიძე ივანე ალექსის ძე (1896–1964), ექიმი-ოფთალმოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1946), პროფესორი (1947), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1958). 1943-იდან განაგებდა თბილისის სამედ. ინ-ტის თვალის სნეულებათა კათედრას. ქართულ ენაზე შეადგინა ოფთალმოლოგიის სახელმძღვანელო.

სლეპცოვი ვასილი ალექსის ძე (1836–78), რუსი მწერალი. 1873–74 ცხოვრობდა თბილისში. დაწერა „ნაშრომი კავკასიის შესახებ“ (1874).

სოგჩაკი ანატოლი ალექსანდრეს ძე (1937–2000), რუსეთის პოლიტ. და საზოგადო მოღვაწე. იურიდ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1996). სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1989–91). სანქტ-პეტერბურგის მერი (1991–96). ხელმძღვანელობდა 1989 წ. 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების გამოსაძიებლად შექმნილ კომისიას, რ-მაც ობიექტურად წარმოაჩინა ამ ტრაგედიის გამომწვევი მიზეზები.

სოზონოვი ეგორ სერგეის ძე (1879–1910), რუსი რევოლუციონერ-ტერორისტი, ესერი. ესერთა „მებრძოლი ორგანიზაციის“ დავალებით 1904 პეტერბურგში მოკლა რუს. შინაგან საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ პლევე, რისთვისაც სამუდამო კატორღა მიუსაჯეს. იქვე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სოლომონ II (1772–1815), იმერეთის მეფე (1789–1810). კრწანისის ომის (1795) მონაწილე, *ერეკლე II-ის* შვილიშვილი, იგივე დავით არჩილის ძე. 1810 რუს. სარდლობამ ქუთაისში **ს. II** ტახტიდან ჩამოაგდო და იმერეთში რუს. მმართველობის შემოღება გამოაცხადა. დაკრძალული იყო ტრაპიზონში წმინდა გიორგის სახ. ბერძნების ეკლესიის გალავანთან. 1990 გადმოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს გელათში. ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ **ს. II** წმინდანად შერაცხა. წმინდა მეფის სოლომონის ხსენების დღეა 20 თებერვალი.

სოლომონი (ძვ. ებრ. შ ე ლ ო მ ო) (გ. დაახლ. ძვ. წ. 928), ისრაელის სამეფოს მეფე ძვ. წ. 965–928. *დავითის* ძე და თანამართველი (ძვ. წ. 967–965). მემკვიდრეობით მიიღო ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო, რ-იც **ს**-ის მეფობის დროს კიდევ უფრო გაძლიერდა. ააშენა იაჰვეს ტაძარი და სამეფო რეზიდენცია იერუსალიმში. ტრადიციულად **ს.** ითვლება ბიბლიის წიგნების (ქებათა ქება, სოლომონის იგავები, ეკლესიასტე) ავტორად.

სპანდარიანი სურენ სპანდარის ძე (1882–1916), რევ. მოძრაობის მონაწილე რუსეთსა და კავკასიაში, სომხ. ლიტ-რის კრიტიკოსი, პუბლიცისტი. 1910-იდან ჩაბმული იყო რევ. მოძრაობაში თბილისში. 1912 დააპატიმრეს და მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება ციმბირში. აქვს ლიტ.-კრიტ. სტატიები და შრომები ესთეტიკის საკითხებზე.

სპარტაკი (გ. ძვ. წ. 71), ძვ. რომში მონათა უდიდესი აჯანყების ბელადი, წარმოშობით თრაკიელი. **ს.** იყო ძვ. დროის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი. აჯანყებულები დამარცხდნენ, **ს.** გმირულად დაიღუპა. ამ აჯანყებამ მძლავრად შეარყია მონათმფლობელური რომის სახელმწიფო.

სტალინი (ჯ უ ღ ა შ ვ ი ლ ი) იოსებ ბესარიონის ძე (1879–1953), საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორეტიკოსი და პროპაგანდისტი, სსრკ ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი და შემდგომ მისი ერთპიროვნული მმართველი. საბჭ. კავშირის მარშალი (1943), საბჭ. კავშირის გენერალისიმუსი (1945). საკ კპ(ბ) ცკ-ის გენ. მდივანი (1922), იმავდროულად სსრკ სახკომსაბჭოს თავ-რე (1941; 1946-იდან – სსრკ მინისტრთა საბჭოს თავ-რე), ფაშიზმის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი. მის სახელს უკავშირდება საბჭ. ტოტალიტარული რეჟიმის გაძლიერება და მასობრივი რეპრესიები.

დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

სტანისლავსკი (ნამდვ. გვარი – ალექსეევი) კონსტანტინე სერგეის ძე (1863–1938), რუსი მსახიობი, რეჟისორი, პედაგოგი, თეატრ. მოღვაწე, თეორეტიკოსი. საფუძველი ჩაუყარა თეატრ. ხელოვნების შემსწავლელ თანამედროვე მეცნიერებას, შექმნა სკოლა, მოძღვრება მსახიობის საშემსრულებლო ტექნიკაზე, სასცენო შემოქმედების მეთოდოლოგიაზე, რ-იც სტანისლავსკის სისტემის სახელითაა ცნობილი.

სტახანოვი ალექსი გრიგოლის ძე (1905/06–77), ცნობილი დონბასელი მეშახტე-ნოვატორი. ქვანახშირის მოპოვების რეკორდსმენი. სოციალ. შრომის გმირი (1970).

სტურუა თენგიზ კონსტანტინეს ძე (1934–2000), ინჟინერი, თბილისის საავიაციო ქ-ნის მთავარი მეტალურგი (1960–74), ქ-ნა „საქსოფმანქანის“ დირექტორი (1974–96). 1996-იდან სიცოცხლის ბოლომდე იყო სააქციო საზ-ბა „ორბელი-ტრანსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანათავ-რე და საპატიო პრეზიდენტი. დიდი წვლილი შეიტანა თბილისის (კერძოდ, ლილოს დასახლების) განაშენიანებასა და კეთილმოწყობაში.

სტურუა ივანე (ვანო) თევდორეს ძე (1870–1931), რევოლუციონერი. საბჭოთა სახელმწ. და პარტ. მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1896-იდან. თბილისის ს.-დ. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ ხელმძღვანელობდა სამტრედიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. წლების მანძილზე ეკავა პარტ. და ადმ. საპასუხისმგებლო თანამდებობები. 1922–24 იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, შემდეგ – საკ. კპ(ბ) ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის პარტკოლეგიის საკონტროლო კომისიის თავ-რე.

სუვოროვი ალექსანდრე ვასილის ძე (1730–1800), რუსი მხედართმთავარი და სამხ. თეორეტიკოსი, გენერალისიმუსი (1799). ფელდმარშალი (1794). 1799 ხელმძღვანელობდა ცნობილ შვეიცარიის ლაშქრობას, რ-იც სამხ. ხელოვნების უბადლო ნიმუში გახდა (ამ ლაშქრობაში ს-ს ახლდა პ. *ბაგრატიონი*).

სულაკაური არჩილ სამსონის ძე (1927–97), მწერალი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1971). გამომც. „ნაკადულის“ დირექტორი (1973–82), ჟურნ. „მნათობის“ მთ. რედაქტორი (1982–97). წერდა პროზაულ ნაწარმოებებს, ლექსებს, პოემებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

სულიაშვილი დავით სოკრატის ძე (1884–1964), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 1908-იდან საზღვარგარეთ (ჟენევაში) გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. სამწერლო მოღვაწეობა ს-მა ჯერ კიდევ ემიგრაციაში (1908–17) ყოფნის დროს დაიწყო. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

სულხანიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) პაატას ძე (1871–1919), კომპოზიტორი, ლოტბარი, მომღერალი. საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართ. პროფ. საგუნდო მუსიკას და თვითონვე შექმნა ამ ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე ივანეს ძე (1857–1927), დრამატურგი, მსახიობი. წარმოშობით ქართველი. რსფსრ სახ. არტისტი (1922). 1863–77 საქართველოში ცხოვრობდა. ავტორია ოცამდე პიესისა. საქართველოს უძღვნა ისტ. დრამა „ღალატი“ (1903). სცენაზე პირველად გამოვიდა 1876 თბილისში, არაერთხელ იყო გასტროლებზე საქართველოში მცირე თეატრის დასთან ერთად (1923-იდან – დირექტორი). დაკრძალულია მოსკოვში, „ნოვოდევიჩიეს“ სასაფლაოზე.

სუნდუკიანი გაბრიელ მკრტიჩის ძე (1825–1912), სომეხი მწერალი, დრამატურგი. დაიბადა, სწავლობდა და მოღვაწეობდა თბილისში. თბილისის სომხ. თეატრის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ლიტ. საქმიანობა XIX ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო. ფართოდ იყენებდა თბილისურ ფოლკლორს. პიესებს ქართულად თავად თარგმნიდა. დაკრძალულია თბილისში.

სურგულაძე აკაკი ნესტორის ძე (1913–91), ისტორიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1974), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1982). ძირითადად იკვლევდა საქართვ. და, საერთოდ, სამხრ. კავკ. საზოგადოებრივი აზრის განვითარების, ეროვნ.-განმათ. მოძრაობის პრობლემებს და სხვა საკითხებს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

სურგულაძე სერგო კონსტანტინეს ძე (1879–1923), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე რუსეთსა და საქართველოში. აქტიურად მონაწილეობდა გურიის გლეხთა რევ. გამოსვლებში. სამოქალაქო ომის შემდეგ საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა ციმბირში. 1921 დაბრუნდა საქართველოში. დაიღუპა თიანეთის მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმის თავ-რის თანამდებობაზე ყოფნისას.

სუხიშვილი ილია (ილიკო) ილიას ძე (1907–85), მოცეკვავე და ქორეოგრაფი, საქართვ. (1948) და სსრკ (1958) სახ. არტისტი, შოთა რუსთაველის სახ. (1972) და სსრკ სახელმწ. (1981) პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1981). ნ. *რამიშვილთან* ერთად ჩამოაყალიბა ახლანდ. ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწ. აკად. დასი, იყო მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართ. ქორეოგრ. კულტურის პოპულარიზაციაში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

სხირტლაძე ირინე არკადის ასული (1928–44), ფაშიზმისგან პოლონეთის განთავისუფლებისთვის მებრძოლი, ბატალიონ „ზონტის“ მეკავშირე. გმირულად დაიღუპა ვარშავის ცნობილი აჯანყების დროს. დაჯილდოებულია „მამაცობის ჯვრით“. დაკრძალულია ვარშავაში, პოვონზსკის პანთეონში.

სხირტლაძე სიმონ მელიტონის ძე (1912–74), მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართვ. დამს. მასწავლებელი (1963). აქვეყნებდა წერილებს ქართ. მწერლობის ისტორიიდან და პედაგოგიკის საკითხებზე. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

სხულუხია გრიგოლ პეტრეს ძე (1909–42), სსრკ-გერმანიის ომის (1941–45) მონაწილე, საბჭ. კავშირის გმირი (1945, სიკვდილის შემდეგ). უმცროსი სერჟანტი.



სოლოლაკის ერთ-ერთი კუთხე

ტაბიძე გალაკტიონ ვასილის ძე (1891–1959), პოეტი, საქართვ. სახ. პოეტი (1933), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944). იყო ჟურნ. „მნათობის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1924), გამოსცა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ (1922–23). გამორჩეულმა პოეტურმა ხედვამ **ტ**-ს იმთავითვე დაუმკვიდრა „გენიალური გალაკტიონისა“ და „პოეტების მეფის“ სახელი. 1999 გალაკტიონის სახელი ეწოდა ყოფილ ვერის ხიდს. თბილისში არის **ტ**-ის სახლ-მუზეუმი (მის.: კ. მარჯანიშვილის 4). ი. ჭავჭავაძის გამზირზე დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე დ. მიქატაძე). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ტაბიძე ტიციან იუსტინეს ძე (1895–1937), პოეტი. „ცისფერყანწელების“ ჯგუფის ერთ-ერთი მოთავე. რედაქტორობდა ჟურნ. „რუბიკონსა“ (1923) და „ბარრიკადს“ (1922–24). **ტ**-ის საუკეთესო ლექსებმა XX ს. კლასიკურ პოეზიას ჩაუყარა საფუძველი. იმსხვერპლა 1937 რეპრესიებმა. თბილისში არის **ტ**-ის ბინა-მემორიალი (მის.: ა. გრიბოედოვის 18). ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტ. ტაბიძის სახ. სკვერში, დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

ტაგი-ზადე ალი მამედის ძე (1889–1966), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე ამიერკავკასიაში. დაიბადა თბილისში. მონაწილეობდა თბილისის მუშათა რევ. გამოსვლებში. საქართვ. გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა ხელმძღვანელ პარტ. და სახელმწ. თანამდებობებზე. იყო აზერბ. სსრ უმაღლესი საბჭოს თავ-რე.

ტატიშვილი ერეკლე (ირაკლი) დიმიტრის ძე (1884–1946), ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საერთაშ. სამართლის სპეციალისტი, დასავლური ენებისა და ლიტ-რის სწავლების ერთ-ერთი პიონერი საქართველოში. 1923–27 თბილისის უნ-ტში საერთაშ. საჯარო და კერძო სამართლის, 1927-იდან – ინგლ. ენისა და ლიტ-რის, ხოლო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის დაარსებიდან (1945) აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტ. კურსს კითხულობდა. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მისი თარგმნილი ე. პოს „სიჩუმე“ და ფ. ნიცშეს „ასე უბნობდა ზარათუშტრა“ ქართ. მთარგმნელობითი ლიტ-რის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშებია.

ტატიშვილი ირაკლი იაკობის ძე (1902–80), პათოლოგ-ანატომი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1960). 1953–61 იყო თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტის პრორექტორი, 1961–63 – საქართვ. მეცნ. აკად. სამედიცინო მეცნ. განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ტელმანი ერნსტ (1886–1944), გერმანიისა და საერთაშ. მუშათა მოძრაობის მოღვაწე. გერმანიის კომპარტიის ცკ-ის თავ-რე. დაიღუპა ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში.

ტერ-გუკასოვი (ტერგუკასოვი) არზას არტემის ძე (1819–81), გენერალი. მონაწილეობდა რუს.-ოსმალეთის ომში (1877–78). ხელმძღვანელობდა ერევნის რაზმს, რომელმაც აიძულა ოსმალეთის ჯარი მოეხსნა ალყა ქ. ბაიაზეთისათვის. 1879 დაინიშნა კავკ. არმიის II კორპუსის მეთაურად.

ტერეშჩენკო გიორგი სემიონის ძე (1888–1912), უკრაინის ერთ-ერთი პირველი პლანერისტი. 1907 ჩამოვიდა თბილისში. 1910–12 საკუთარი ხელით დამზადებული პლანერებით შეასრულა 30 გაფრენა. დაიღუპა საჰაერო კატასტროფის დროს თბილისში.

ტეტელაშვილი გიორგი (გია) ალექსანდრეს ძე (1962–91), ეროვნ. მოძრაობის მონაწილე. ქვეყნის შიგნით მომხდარი დაპირისპირების მსხვერპლი.

ტიულენევი ივანე ვლადიმერის ძე (1892–1978), საბჭოთა მხედართმთავარი, არმიის გენერალი (1940). საბჭ. კავშირის გმირი (1978). სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს იყო სამხრეთის, სარეზერვო და ამიერკავკ. ფრონტების, აგრეთვე 28-ე არმიის ჯარების სარდალი.

ტიხონოვი ნიკოლოზ სემიონის ძე (1896–1979), რუსი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშ. ლენინური პრემიისა (1957) და სსრკ სახელმწ. პრემიების (1942, 1949, 1952) ლაურეატი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1966). 1944-იდან სსრკ მწერალთა კავშირის მდივანი. საქართველოს მიუძღვნა ლექსების ციკლი. თარგმნა ქართვ. პოეტების ლექსები.

ტოვსტონოგოვი გიორგი ალექსანდრეს ძე (1915–88), რეჟისორი, პედაგოგი, თეატრის თეორეტიკოსი. სსრკ (1957) და საქართვ. (1974) სახ. არტისტი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1983). სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1931 თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუს. თეატრში როგორც მსახიობმა, 1938–46 იყო თბილისის ა. გრიბოედოვის სახ. თეატრის რეჟისორი. 1946-იდან რუსეთშია. მისი სახელი მიენიჭა სანქტ-პეტერბურგის დიდ აკად. დრამ. თეატრს, რ-საც **ტ**. ხელმძღვანელობდა 1956-იდან გარდაცვალებამდე.

ტოლსტოი ლევ ნიკოლოზის ძე (1828–1910), რუსი მწერალი. გრაფი. რუს. მეცნ. აკად. საპატიო აკადემიკოსი (1900). **ტ**-ს პირად წერილებსა და 1851–53 ჩანაწერებში ხშირად მოიხსენიება საქართველო და ქართველები. 1851 **ტ**. რამდენიმე თვე ცხოვრობდა თბილისში, ახლანდ. დავით აღმაშენებლის გამზირზე (№54), აქვე მუშაობდა თავის პირველ მოთხრობაზე „ბავშვობა“. მასთან პირადი ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა ი. *ნაკაშიძეს*, ნ. *ნაკაშიძეს*, ბ. გეგიძეს, გ. დადიანს და სხვ. **ტ**-ს თხზულებების თარგმნა საქართველოში 1873-იდან დაიწყო.

ტოროშელიძე თამაზ შოთას ძე (1956–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, კაპიტანი. რკინიგზის მე-8 სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილე. დაიღუპა აფხაზეთში, სოხუმჰესთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე (1880–1937), პარტიული და საბჭ. სახოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი. 1921–22 იყო საქართვ. სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოს თავ-რე, 1928–31 – თსუ-ის რექტორი, 1931–36 – საქ. სსრ საგეგმო კომისიის თავ-რე, 1934–35 – მწერალთა კავშირის თავ-რე, 1936 – განათლების სახ. კომისარი. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ტროცკი (ნამდვ. გვარი – ბრონშტეინი) ლევ დავითის ძე (1879–1940), რევოლუციონერი. 1917 ოქტ. გადატრიალების აქტ. მონაწილე. მასობრივი რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი. იყო პეტროგრადის საბჭოს თავ-რე, 1917–18 – საგარეო საქმეთა სახ. კომისარი, 1918–24 – სამხ.-საზღვაო საქმეთა სახ. კომისარი და რესპუბლიკის რევ. სამხ. საბჭოს თავ-რე, 1919–26 – საკ. კპ(ბ) პოლიტბიუროს წევრი. 1927 გარიცხეს კომ. პარტიიდან, 1929 – გაასახლეს სსრკ-იდან, 1940 – მოკლეს მექსიკაში საბჭ. სპეც. სამსახურების დავალებით.

ტურგენევი ივანე სერგეის ძე (1818–83), რუსი მწერალი. დაბადა მისცა ახ. რუს. ლიტ. მიმართულებას, რ-ის მთავარ საგანს შეადგენს ხალხი. მისი თხზულებების ქართ. თარგმანები იბეჭდებოდა XIX ს. 70–80-იანი წწ. ქართ. პრესაში („ივერია“, „დროება“, „კვალი“, „ჯეჯილი“ და სხვ.).

ტუსკია იონა ირაკლის ძე (1901–63), კომპოზიტორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. საქართვ. სახ. არტისტი (1962). 1935–37 საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე, 1932-იდან – თბილისის კონსერვ. პედაგოგი (1950-იდან – პროფესორი), რექტორი (1952–62). ქართ. კამერული და სიმფ. მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ტუჩკოვი სერგეი ალექსის ძე (1767–1839), სამხედრო მწერალი, რუს. არმიის გენ.-ლეიტენანტი (1829). შვედეთსა (1788–90) და პოლონეთთან (1792–94) წარმოებული ომებისა და სამამულო ომის (1812) მონაწილე. 1802-იდან ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ადმინისტრაციას საქართველოში. ავტორია „სამხედრო ლექსიკონისა“ (ნაწ. 1–2).

გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი. ▶







შ

შაბილავა ელიზბარ მიხეილის ძე (1917–97), მწერალი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (1979). წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, რომანებს.

შაბილავა ვლადიმერ მიხეილის ძე (1914–42), პოეტი, სსრკ-გერმ. ომის (1941–45) მონაწილე, დაიღუპა ომში.

შაზნაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე (1886/87–1950), ფსიქოლოგი, საქართველოში მეცნ. ფსიქოლოგიის, ფსიქოტექნიკის, შრომის, ბავშვისა და პედ. ფსიქოლოგიის ფუძემდებელი. თბილისის უნ-ტის (1918) და საქართვ. მეცნ. აკად. (1941) ერთ-ერთი დამაარსებელი. შ-ისა და მისი მოწაფეების გამოკვლევების შედეგად განწყობის „მცირე თეორია“ გადაიქცა განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ „დიდ“ თეორიად, რ-იც ძირითად ფსიქოლ. კანონზომიერებებს შეისწავლის. 1951 ფსიქოლ. ინ-ტს, რ-იც შ-ის დაარსებული იყო, ეწოდა მისი სახელი. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში. მის საფლავზე დგას ბიუსტი (მოქანდაკე გ. ოჩიაური).

შიარაღლო (ნამდვ. სახელი და გვარი – კონდრატე დავითის ძე თათარაშვილი) (1872–1929), მწერალი. ამხელდა თანამედროვე საზ-ბის მანკიერებას. პუბლიც. წერილები მიმართული იყო ცარიზმის წინააღმდეგ. წერდა მოთხრობებს. ცნობილია ისტ. მოთხრობით „მამელუკი“ (1912). გადაღებულია ამავე სახელწოდების ფილმი.

შკლება კირილე ნიკიფორეს ძე (1913–97), საბჭოთა კავშირის გმირი (1945). გადამდგარი გვარდიის მაიორი. მშენებელი ინჟინერი.

შკრაინკა ლესია (ნამდვ. სახელი და გვარი – ლარისა პეტრეს ასული კოსაჩი) (1871–1913), უკრაინელი პოეტი. მძიმე ავადმყოფმა სიცოცხლის ბოლო რამდენიმე წელი გაატარა საქართველოში (თბილისი, თელავი, ქუთაისი, ხონი, სურამი). გარდაიცვალა სურამში. დაკრძალულია კიევში.

შლიანოვი ვლადიმერ ილიას ძე, იხ. ვ. ი. *ლენინი.*

შმიკაშვილი პეტრე იოსების ძე (1838–1904), საზოგადო მოღვაწე, ფოლკლორისტი, რედაქტორ-გამომცემელი. შეკრიბა ქართ. ფოლკლორის მდიდარი კოლექცია, რ-ის ნაწილი გამოქვეყნდა 1937. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შრიდია რევაზ ვარლამის ძე (1953–90), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი. წმინდა ილია მართლის საზ-ბის წევრი, საქართვ. უზენაესი საბჭოს დაცვის თანამშრომელი. დაიღუპა ცხინვალში. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

შრიცკი მოსე სოლომონის ძე (1873–1918), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე რუსეთში. 1917 ოქტ. დღეებში შეიარაღებული აჯანყების სამხ. რევკომის წევრი, 1918 – პეტროგრადის რევ. დაცვის კომიტეტის წევრი, 1918 მარტიდან – პეტროგრადის საგანგებო კომისიის წევრი. მოკლა ესერმა.

შმაკოვი თედორე თედორეს ძე (1744–1817), რუს. ფლოტის მეთაური, ადმირალი (1799). 1768–74 და 1787–91 რუს.-ოსმალეთის ომის მონაწილე. 1790-იდან მეთაურობდა შავი ზღვის ფლოტს. ხმელთაშუა ზღვის ლაშქრობის (1798–1800) დროს შ-მა თავი გამოიჩინა როგორც ფლოტის ნიჭიერმა მეთაურმა.

შჩანეიშვილი ირაკლი გრიგოლის ძე (1929–92), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1979). 1958–67 მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, 1967–70 – რუსთავის, 1970–92 – თბილისის მარჯანიშვილის თეატრში. ჰქონდა უნიკალური ტემბრის ხმა. არის რამდენიმე სიმღერის ავტორი. გადაღებულია ფილმებში. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

◀ ძველი თბილისი. მუხრანის ხიდი. 1911



ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი.

ფაბრიციუსი იან ფრიცის ძე (1877–1929), რუსეთის სამოქალაქო ომისა და რევ. მოძრაობის მონაწილე. 1928-იდან კავკ. არმიის სარდლის მოადგილე. დაკრძალულია თბილისში.

ფალავანდიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე (გ. 1855), საქართვ. სამოქალაქო გუბერნატორი (1832–38), ამიერკავკ. მხარის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი (1853), განსაკუთრებულ დავალებათა ჩინოვნიკი (1862), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (1831). იყო მუსლიმანური პროვინციების მომწყობი კომიტეტის წევრი.

ფალიაშვილი ზაქარია პეტრეს ძე (1871–1933), კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ქართ. საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი. საქართვ. სახ. არტისტი (1925), „ქართული ფილარმონიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი (1905), შექმნა ეროვნული სტილის კლასიკური ნიმუშები. **ფ**-ის ოპერები „აბესალომ და ეთერი“ (1919) და „დაისი“ (1923) შესულია მსოფლიო მუს. კულტურის საგანძურში და ფართოდაა აღიარებული. 1937 მისი სახელი ეწოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს. გახსნილია **ფ**-ის სახლ-მუზეუმი (მის.: დ. ბაქრაძის 10). დაკრძალულია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში, აქვეა მისი ძეგლი (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

ფანასკერტელ-ციციშვილი ზაზა, იხ. *ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი.*

ფანჯიკიძე გურამ ივანეს ძე (1933–97), მწერალი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1981), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1990). 1974–77 იყო ალმანახ „განთიადის“, ხოლო 1977–79 – ჟურნ. „ცისკრის“ მთ. რედაქტორი, 1979–92 – გამომც. „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, 1992-იდან გარდაცვალებამდე – საქართვ. მწერალთა კავშირის თავ-რე. **ფ**-ის პროზა თანამედროვეობის მტკივნეულ, აქტუალურ პრობლემებს ეხება. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ფარნავაზ I, ქართლის (იბერიის) სამეფოს პირველი მეფე და ფარნავაზიანთა სამეფო დინასტიის დამაარსებელი. მეფობდა ძვ. წ. IV ს. მიწურულსა და III ს. I ნახევარში. არსებობს ვერსია, რომ **ფ**. I-მა შემოიღო ქართ. დამწერლობა. გაატარა რეფორმები და შექმნა სახელმწ. მმართველობის სისტემა. ქეთევან დედოფლის გამზირზე დგას **ფ**. I-ის ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).

ფალავა ირაკლი ყარამანის ძე (1918–88), პედიატრი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1967–78 იყო პედიატრიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (1997-იდან **ფ**-ს სახელობისაა), საქართვ. პედიატრთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1975–88). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ფერაძე გრიგოლ რომანოზის ძე (1899–1942), ისტორიკოსი, თეოლოგი, ცნობილია არქიმანდრიტ ფერაძის სახელითაც. მოღვაწეობდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. არის მრავალი შრომის ავტორი და მთარგმნელი. ეხმარებოდა ე. *თაყაიშვილს* საფრანგეთში გატანილი ქართული განძეულობის დაცვაში. დაიღუპა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში (თავისი სურვილით შევიდა მრავალშვილიანი მამის ნაცვლად). ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ **ფ**. წმინდანად შერაცხა. მოწამე გრიგოლ არქიმანდრიტის ხსენების დღეა 6 დეკემბერი.

ფიგნერი ვერა ნიკოლოზის ასული (1852–1942), რუსი რევოლუციონერი. „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1883 დააპატიმრეს. 20 წელი შლისელბურგის ციხის განცალკევებულ საკანში იხდიდა სასჯელს. 1917 ოქტ. რევ. შემდეგ სალიტ. მოღვაწეობას ეწეოდა.

ფილია მელიტონ გლახუნას ძე (1884–1931), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე საქართველოში. არალეგალურ წრეებში ცნობილი იყო „ჟორჟის“ და „ავგუსტულიას“ სახელით. პარტიის დავალებით 1910–25 ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საზღვარგარეთ. 1926 დაბრუნდა სსრკ-ში. 1927–31 იყო გაზ. „მუშის“ პ/მგ რედაქტორი.

ფიოლეტოვი ივანე ტიმოთეს ძე (1884–1918), რუსეთის რევ. მოძრაობის მონაწილე. 1918 აპრილიდან იყო ბაქოს საბკომსაბჭოს სახ. მეურნ. საქმეთა კომისარი. დახვრიტეს როგორც ერთ-ერთი *ბაქოელი კომისარი.*

ფირდოუსი ჰაქიმ აბუ ლ-ყასემ ტუსი (დაახლ. 940 – 1020–1030), სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი. ირან. ეროვნ. ეპოსის „შაჰნამეს“ ავტორი. დიდია მისი როლი სპარს. და მთლიანად აღმ. მწერლობის განვითარებაში. „შაჰნამე“ თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მ. შ. ქართულად.

ფიროსმანაშვილი ნიკო (ნიკოლოზ) ასლანის ძე (ნიკო ფიროსმანი) (1862–1918), თვითმყოფადი მხატვარი. ბიოგრ. ცნობები ძალზე მწირია. დღემდე უცნობია მისი საფლავი. **ფ**-ის შემოქმედება ნათლად მეტყველებს მხატვრის ინტერესთა მრავალფეროვნებაზე, მის ჩამოყალიბებულ მსოფლმხედველობაზე, სამყაროს უჩვეულო აღქმის უნარზე. ლუვრში მოწყობილი პერსონალური გამოფენის შემდეგ (1967) **ფ**. მსოფლიო ნაივური ხელოვნების კლასიკოსად აღიარეს. თბილისში არის **ფ**-ის მუზეუმი (მის.: ნ. ფიროსმანის 29). ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი).

ფიფია ეგნატე კალისტრატეს ძე (1901–79), ქირურგი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1955), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). 1940–79 განაგებდა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტში ჰოსპიტალური ქირურგიის საფაკულტეტო კათედრებს, იმავდროულად – კ. ერისთავის სახ. ექსპერ. და კლინიკური ქირურგიის ინ-ტის და გრ. მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინ-ტის ქირურგ. განყ-ბებს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში. თევდორე მღვდლის ქუჩის სკვერში დგას **ფ**-ს ბიუსტი (მოქანდაკე კ. მერაბიშვილი).

ფიფია ვახტანგ ეგნატეს ძე (1929–90), ქირურგი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1988), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982). 1989–90 იყო კ. ერისთავის სახ. ექსპერ. და კლინიკური ქირურგიის ინ-ტის დირექტორი. საქართველოში პირველმა დაიწყო გულის მანკის ქირურგ. მკურნალობა. მინიჭებული აქვს საქართვ. მეცნ. აკად. ი. თარხნიშვილის სახ. პრემია (1980). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ფიფია თემურ შალვას ძე (1958–96), საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახელმწ. კანცელარიის მუშაკი, ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი.

ფოცხვერაშვილი კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე (1880–1959), კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე და საგუნდო დირიჟორი. საქართვ. სახ. არტისტი (1933). 1901 რუსეთში ჩამოაყალიბა ქართ. გუნდი, რ-იც პროპაგანდას უწევდა ქართ. სიმღერას. 1921–35 იყო საქართვ. სახელმწ. აკად. გუნდის და მეჩონგურე ქალთა ანსამბლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. არის დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწ. ჰიმნ „დიდების“ (1919), 2 ოპერის, სიმფ. პოემების და საგუნდო სიმღერების ავტორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ფოცხიშვილი მორის თომას ძე (1930–93), პოეტი. 1979–82 იყო ჟურნ. „ცისკრის“ რედაქტორი, 1982-იდან – გამომც. „ნაკადულის“ დირექტორი, ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა საქართვ. სახელმწ. წიგნის პალატას. მიღებული აქვს გალაკტიონ ტაბიძის (1976), აკაკი წერეთლის (1993) პრემიები; ა. შვაიცერის მშვიდობის მედალი (1983). მის ლექსებზე დაწერილია არაერთი პოპულარული სიმღერა. დაკრძალულია მცხეთაში, სამთაროს ტაძრის ეზოში.

ფრანგულიანი ივანე სიმონის ძე (1887–1970), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში. საქართვ. დამს. ექიმი (1945). 1957–62 იყო საქართვ. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი.

ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე (1839–1913), მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი. 1871-იდან იყო ჟურნ. „გუთნის დედის“ რედაქტორი. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XIX ს. 60-იანი წლების ქართ. საზოგადოებრივი და ლიტ.-კრიტ. აზროვნების ისტორიაში. მისი ისტ. რომანის მიხედვით გადაღებულია ფილმი „მაცი ხვიტია“.

ფხაკაძე ომარ ლონგინოზის ძე (1944–93), სპორტსმენი (ველოსპორტი), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1965), საქართვ. დამს. მწვრთნელი (1980). სსრკ ველოსპორტის ისტორიაში პირველი მსოფლიო ჩემპიონი სპრინტში (1965), XX ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი (1972), მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის (1969) და ბრინჯაოს (1966) მედალოსანი. მსოფლიოს ოთხგზის რეკორდსმენი (1965–67), ევრ. თასის მფლობელი (1966), სსრკ ათგზის (1963–64, 1966–73) ჩემპიონი და თასის ოთხგზის მფლობელი (1963–65, 1969).

◀ ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი.



ნიკო ფიროსმანაშვილი. „მეეზოვე“.

ნიკო ფიროსმანაშვილის (ფიროსმანი) ძეგლი. ►



ქავთარაძე მერაბ პლატონის ძე (1962–93), ეკოლოგიური პოლიციის სწრაფი რეაგირების ინსპექციის უფროსის მოადგილე. დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე.

ქავთარაძე პეტრე პავლეს ძე (1889–1966), ნევროპათოლოგი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). 1918-იდან მუშაობდა თსუ-ის ნერვულ სნეულებათა კათედრაზე. 1931–53 ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტის პედიატრიის, სანიტარია-ჰიგიენის, სტომატოლოგიის, ხოლო 1953-იდან – სამკურნ. ფაკ-ტების ნერვულ სნეულებათა კათედრებს. გამოსცა ნევროპათოლ. სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის.

ქანთარია მელიტონ ვარლამის ძე (1920–93), საბჭოთა კავშირის გმირი (1946). მონაწილეობდა ლიტვის, ბელორუსიის, პოლონეთის განთავისუფლებასა და ბერლინის აღებაში. 1945 წ. 30 აპრილს, სერჟანტ მ. ეგოროვთან ერთად, რაიხსტაგის გუმბათზე აღმართა გამარჯვების დროშა.

ქართველიშვილი ალბერტ (რომან) ნიკოლოზის ძე (1950–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, კაპიტანი. რკინიგზის მე-8 სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილე. დაიღუპა აფხაზეთში, სოხუმჰესთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ქართველიშვილი (ლავრენტიევი) ლავრენტი იოსების ძე (1890–1938), რევოლუციური მოძრაობის აქტ. მონაწილე. კომპარტიისა და საბჭოთა სახელმწ. მოღვაწე. ძირითადად მუშაობდა რუსეთსა და უკრაინაში. 1923–28 იყო საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანი, საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავ-რე, 1930–31 – ამიერკავკ. სამხარეო კომიტეტის, საქ. კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივანი. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ქართლელიშვილი ლევან (1968–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, ბატალიონ „გორდას“ ოცმეთაური. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, დაიღუპა სოხუმის დაცვის დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“.

ქებურია ბესარიონ სავლეს ძე (1870–1958), პირველი ქართველი მფრინავ-კონსტრუქტორი. სსრკ დამს. მფრინავი (1931). 1908 პირველად იფრინა საკუთარი კონსტრუქციის პლანერით თბილისში (საბურთალოზე). 1923 ქ-ს ხელმძღვანელობით გაიხსნა საჰაერო ტრასა მოსკოვი–თბილისი, თბილისი–ბაქო, თბილისი–ქუთაისი–ბათუმი. ძვ. აეროპორტის წინ, მოედანზე, დგას ბ. ქებურიას ძეგლი (მოქანდაკე თ. ჭყონია).

ქეთევან დედოფალი (გ. 1624), კახეთის მეფის დავით I-ის მეუღლე, აშოთან მუხრანბატონის ასული. შაჰ-აბასის კარზე მძევლად მყოფმა გამაჰმადიანებას სიკვდილი ამჯობინა და ამ უკანასკნელის ბრძანებით იგი საშინელი წამებით მოკლეს. ნეშტის წმ. ნაწილები ავგუსტინელმა ბერებმა სპარსეთიდან გაიტანეს სხვადასხვა ადგილას – საქართველოში (დაცული იყო ალავერდის ტაძარში, შემდგომ დაიკარგა), ინდოეთში, რომსა და ბელგიაში. 2003 ქ. ღ-ის ნეშტის წმ. ნაწილები ჩამოასვენეს სერგიევ-პოსადიდან (რუს. ფედერაცია), დაბრძანებულია წმინდა ქეთევან წამებულის სახ. ტაძარში (ავჭალა). ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხა. წმინდა დიდმოწამის, საქართველოს მნათობის, კახეთის დედოფლის ქეთევანის ხსენების დღეა 26 სექტემბერი.

ქვლივიძე ზურაბ (1968–2005), შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომელი. დაიღუპა 2005 წ. საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების წინააღმდეგ ტერაქტის მცდელობაში ბრალდებულ ვ. არუთინიანის დაკავების დროს. წლებისა მანძილზე იყო კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის სამმართველოს ოპერატიული განყ-ბის უფროსი.

ქიაჩელი ლეო (ნამდვ. სახელი და გვარი – ლეონ მიხეილის ძე შენგელაია) (1884–1963), მწერალი. იყო საქართვ. მწერალთა კავშირის თავ-რის მოადგილე, ჟურნ. „ლომისის“ რედაქტორი, 1939–52 – პროზაიკოსთა სექციის თავ-რე. წერდა ნოველებს, რომანებს. 1941 მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია. მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია ფილმები, თბილისის თეატრების სცენებზე იდგმებოდა სპექტაკლები. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ქინქლაძე ოთარ დანიელის ძე (1922–92), ფილოლოგი, პედ. მეცნ. დოქტორი (1969), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984), საქართვ. დამს. ჟურნალისტი. 1969–74 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ში, იმავდროულად, 1971–73, იყო რუსთაველის თეატრის დირექტორი, 1976–85 – საქართვ. განათლების მინისტრი, გაზ. „ზარია ვოსტოკას“ და ჟურნ. „დროშის“ რედაქტორი და სხვ. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე (1885–1960), მწერალი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი. როგორც მრავალმხრივ განათლებული პიროვნება და მკვლევარი, აღიარებული იყო ქართ. კრიტ. აზროვნებისა და სტილის მეტრად. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ქოჩულაძე სერგო სოლომონის ძე (1909–78), გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, ფერმწერი. საქართვ. სახ. მხატვარი (1958), სსრკ სამხატვრო აკად. წ.-კორ. (1958), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის (1979, სიკვდილის შემდეგ) ლაურეატი; გაა-



ბესარიონ ქებურიას ძეგლი.



აპოლონ ქუთათელაძე. „თამარ მეფის ნადირობა“.

ფორმა ოპერა „ამბავი ტარიელისა“ და ბალეტი „სინათლე“ (სსრკ სახელმწ. პრემიები, 1947, 1948). დაასურათა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი. 1952–59 იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ქსოვრელი სერგო დურმიშხანის ძე (1963–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, კაპიტანი. რკინიგზის მე-8 სპეც-დანიშნულების ქვედანაყოფის ასეულის მეთაური. დაიღუპა აფხაზეთში, სოხუმჰესთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ქუთათელაძე აპოლონ ყარამანის ძე (1899–1972), ფერმწერი და პედაგოგი, სსრკ სახ. მხატვარი (1970), სსრკ სამხატვრო აკად. წ.-კორ. (1967). თბილისის სამხატვრო აკად. რექტორი (1959–72). შექმნა ისტ. ხასიათის ფერწერული ტილოები. 1999 თბილისის სამხატვრო აკადემიას ეწოდა **ქ**-ის სახელი. აკადემიის შენობის წინ დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე ლ. ვარდოსანიძე).

ქუთათელაძე იოველ გრიგოლის ძე (1887–1963), ფარმაკო-ქიმიკოსი, საქართველოში უმაღლესი ფარმაცევტული განათლების, ქიმ.-ფარმაცევტული მრეწვ. და ფარმაკოქიმ. მეცნიერების ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1941). 1932 თბილისში დააარსა ფარმაკოქიმიური ინ-ტი (1964-იდან მისი სახელობისაა), რ-საც გარდაცვალებამდე განაგებდა.

ქუთათელაძე კალისტრატე სევერიანის ძე (1909–83), ქიმიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1967), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1958), სილიკატების დარგის სამეცნ. სკოლის ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. საშენ მასალათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დამაარსებელი და დირექტორი (1958–73). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ქუთათელი (ნამდვ. გვარი – ქუთათელაძე) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1898–1982), მწერალი. განსაკუთრებით პოპულარული იყო მისი რომანი-ეპოპეა „პირისპირ“. თარგმნა ესქილეს „პრომეთე“, გოეთეს „ფაუსტის“ I წიგნი და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ქუმსიაშვილი ნიკოლოზ (ნიკო) გიორგის ძე (1892–1942), მომღერალი (დრამ. ტენორი), საქართვ. სახ. არტისტი (1941). 1924-იდან – თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი (1932–33 მიწვეული იყო ლენინგრ. საოპერო თეატრში). მღეროდა მთავარ პარტიებს. ჰქონდა ულამაზესი ტემბრის, ფართო დიაპაზონის ძლიერი ხმა. თბილისში არის **ქ**-ის სახლ-მუზეუმი (მის.: ზ. ჟვანიას 2). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ქურდიანი არჩილ გრიგოლის ძე (1903–78), არქიტექტორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961), სსრკ სახ. არქიტექტორი (1970), სსრკ არქიტ. აკადემიისა (1950) და სსრკ მშენებლობისა და არქიტ. აკად. (1957) ნამდვ. წევრი, სსრკ სამხატვრო აკად. წ.-კორ. (1980); სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941). იყო თბილისის მთ. არქიტექტორი (1936–44), საქართვ. არქიტექტორთა კავშირის თავ-რე (1959–62).

ქურდიანი ზაქარია ალექსანდრეს ძე (1909–83), არქიტექტორი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1965). იყო თბილისის მთ. არქიტექტორი (1944–53). შეადგინა თბილისისა (1932–33; 1948–52) და ქუთაისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენ. გეგმები და სხვ.

ქურდიანი სოლომონ ზაქარიას ძე (1867–1937), მეტყევე-სელექციონერი, პროფესორი (1914). თსუ-ის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. 1929-იდან საქართვ. ცენტრ. სატყეო საცდელ სადგურს განაგებდა. მისი ინიციატივით საქართვ. სას.-სამ. ინ-ტის სატყეო-სამეურნ. ფაკ-ტის ბაზაზე შეიქმნა ამიერკავკ. (1931), შემდეგ – თბილისის სატყეო-ტექ. ინ-ტი (1933). ავტორია სახელმძღვანელოსი „დენდროლოგია“ (1931). იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ. საქართვ. აგრ. უნ-ტის ეზო-სავანეში დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი).

ქურსული ილიკო (ილია) პეტრეს ძე (1885–1954), მოხეტიალე მუსიკოსი (მესტვირე, მევიოლინე, მომღერალი). ფეხით შემოიარა მთელი საქართველო. სიმღერით ემსახურებოდა თავის იდეას – მუსიკა ხალხს. ეწეოდა მუსიკის, კერძოდ, ქართ. მუსიკის პროპაგანდას. შეისწავლა ხალხ. საკრავების აგებულება. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ქუჩიშვილი (ნამდვ. გვარი – ჩხეიძე) გიორგი ანდუყაფარის ძე (1886–1947), მწერალი, ქართული მწერლობის რევ.-დემოკრ. ფრთის წარმომადგენელი. წერდა ლექსებს, პოემებსა და მოთხრობებს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ღამბაშიძე შალვა ქსენოფონტეს ძე (1899–1955), მსახიობი, ახ. ქართ. თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართ. რეალისტური აქტიორული სკოლის მიმდევარი, კ. მარჯანიშვილის მოწაფე და მისი მხატვრული მიმართულების გამგრძელებელი. 1921–28 იყო რუსთაველის თეატრის, ხოლო 1928–55 – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, იმავდროულად (1937–47) – მისი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. შექმნა მრავალი შთამბეჭდავი სახე ქართულ კინოში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ღლონტი მიხეილ ვლადიმერის ძე (1904–54), სამხედრო მოღვაწე, გენ.-ლეიტენანტი (1954). სსრკ-გერმ. (1941–45) ომის მონაწილე, იბრძოდა ჩრდ. კავკ., უკრ. IV და ბელორ. I ფრონტებზე. ომის შემდეგ მუშაობდა არმიის შტაბის უფროსად.

ღოღობერიძე ავთანდილ (ბასა) ნიკოლოზის ძე (1922–80), სპორტსმენი (ფეხბურთი), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1951), თბილისის „დინამოს“ კაპიტანი (1951–60), რეკორდსმენი ჩატარებული სეზონების (17), სსრკ ჩემპიონატებზე ჩატარებული მატჩების (343) და გატანილი გოლების (127) რაოდენობით. სსრკ ჩემპიონატების ორგზის (1951, 1953) მეორე და ოთხგზის მესამე პრიზიორი. შედიოდა სსრკ პირველი და ოლიმპიური ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. თბილისის ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნ. სტადიონის ეზოში დგას ღ-ის ბიუსტი (მოქანდაკე გ. ჯაფარიძე).

ღოღობერიძე ლევან დავითის ძე (1896–1937), საბჭოთა პარტ. მუშაკი. იბრძოდა საბჭ. წყობილების დასამყარებლად საქართველოში. იყო თბილისის რევკომის თავ-რე (1921), თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი (1922). საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავ-რის მოადგილე, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი (1926–30), საქ. და ამიერკავკ. ცაკ-ის წევრი. საქართვ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის I მდივანი (1930). იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ღუდუშაური ოთარ ნასყიდას ძე (1925–91), ტრავმატოლოგ-ორთოპედი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1982), სსრკ სახელმწ. (1986) და ლენინური (1978) პრემიების ლაურეატი. 1970–72 და 1975–91 იყო საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი. 1972–75 – თბილისის სამედ. ინ-ტის რექტორი, 1971-იდან – საქართვ. ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე, 1975-იდან – ტრავმატოლოგთა და ორთოპედთა მსოფლიო ასოციაციის წევრი. ღ-ის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის ეზოში დგას მისივე ბიუსტი (მოქანდაკე ო. ფარულავა). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.





ყავლაშვილი შოთა დიმიტრის ძე (1926–95), არქიტექტორი, საქართვ. დამს. არქიტექტორი (1972), შოთა რუსთაველის სახ. (1981) და სსრკ (1987) სახელმწ. პრემიების ლაურეატი; აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის საერთაშ. აკად. აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1985). იყო თბილისის მთ. არქიტექტორი (1970–73 და 1980–90), ქ. ფოთის მთ. არქიტექტორი (1991–95). მის ნამუშევართა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა „ძველი თბილისის“ რეკონსტრუქცია-რეგენერაცია. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. ნ. ბარათაშვილის ქუჩაზე დგას მისი ქანდაკება (მოქანდაკე თ. კიკალიშვილი).

ყაზბეგი (ნამდვ. გვარი – ჩოფიკაშვილი) ალექსანდრე მიხეილის ძე (1848–93), მწერალი. იყო ახლად აღდგენილი ქართ. სათეატრო დასის წევრი. ქართ. სცენაზე 70-ზე მეტი როლი განასახიერა. წერდა პიესებს, რ-ებიც წარმატებით იდგმებოდა განახლებული ქართ. თეატრის სცენაზე. აქტიურად თანამშრომლობდა ი. ჭავჭავაძის „ივერიასთან“. წერდა რომანებს და მოთხრობებს. შესანიშნავად ასახა ქართველ მთიელთა ყოფა და ცხოვრება, შექმნა უკვდავი სახეები. მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია ფილმები. დაკრძალულია დაბა სტეფანწმინდაში (ყოფ. ყაზბეგი).

ყარყარაშვილი გოჩა (ივანე) ნოდარის ძე (1965–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, პოლკოვნიკი. პირველი საარმიო კორპუსის პირველი ბრიგადის ბატალიონის მეთაური. იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში. დაიღუპა ქ. გაგრასთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.



შოთა ყავლაშვილის ძეგლი.

ყაუხჩიშვილი სიმონ გიორგის ძე (1895–1981), ფილოლოგი და ისტორიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). ბიზანტინოლოგიის ქართ. სკოლის დამაარსებელი. ქართ. ბიზანტინისტიკაში უმნიშვნელოვანესი შრომების ავტორი. „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარი და მისი აკად. ტექსტის ოთხტომეულის გამომცემელი. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჟიჟიანი დავით დავითის ძე (1951–2001), სპორტსმენი (ფეხბურთი), სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1981). 1971–82 იყო თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი. სსრკ ჩემპიონი (1978), სსრკ თასის ორგზის მფლობელი (1976, 1979). თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში მოიპოვა ევრ. ქვეყნების თასის მფლობელთა თასი (1981). იყო გ. ფედოტოვის სახ. ბომბარდირთა კლუბის წევრი (106 გოლი). 1977 დაასახელეს სსრკ საუკეთესო ფეხბურთელად, 8-ჯერ შევიდა სსრკ 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში. 2001-იდან საქართველოს თასს ფეხბურთში ეწოდა დ. ჟიჟიანის სახელი. დაიღუპა ავტოკატასტროფის დროს. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ჟიჟიანი დიმიტრი ივანეს ძე (1814–87), საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი. თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი (1864–70), თბილისის ქალაქისთავი (1876–79), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის შექმნის მთავარი ინიციატორი და პირველი თავ-რე (1879–82). ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ, კოლონიურ პოლიტიკას, რისთვისაც იგი გადაასახლეს ქ. სტავროპოლში და მუხანათურად მოკლეს. ა. წერეთელმა მის ხსოვნას უძღვნა შესანიშნავი ლექსი „განთიადი“. 2007 ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ჟ. წმინდანად შერაცხა. საქართველოსთვის წამებული წმინდა დიმიტრი ჟიჟიანის ხსენების დღეა 26 აპრილი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ჟიჟიშვილი ნიკოლოზ ანდრიას ძე (1888–1954), თერაპევტი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1931–50 იყო თბილისის სახელმწ. სამედ. ინ-ტის შინაგან სნეულებათა, 1950–54 – თერაპიის კათედრის გამგე, 1950–54 – საქართვ. თერაპევტთა სამედ. საზ-ბის თავ-რე. 1954 მისი სახელი ეწოდა თბილისის ცენტრ. კლინიკურ საავადმყოფოს.

ჟორჟანოვი გრიგოლ გაბრიელის ძე, კერძო მესაკუთრე, მან 1861 ვერის ხიდის მიდამოებში მოაწყო პირველი წყალსაქაჩი, რ-იც წყალს აწვდიდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე 33 ქუჩას, მ. შ. გოლოვინის პროსპექტს. აღსანიშნავია, რომ წყალი მიეწოდებოდა უმთავრესად სახელმწ. დაწესებულებებს და შედარებით მდიდართა სახლებს. ჟორჟანოვის წყალსადენმა იარსება 25 წელი.

ჟორჟანოვი გრიგოლ ნიკოლოზის ძე (1886–1918), საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციისა და ბაქოს კომუნის წევრი. დაიბადა თბილისში. 1918 აპრილიდან იყო ბაქოს სახკომსაბჭოს სამხ.-საზღვაო საქმეთა სახ. კომისარი. დახვრიტეს როგორც ერთ-ერთი *ბაქოელი კომისარი*.

ჟუმიტაშვილი ვასილ პავლეს ძე (1894–1962), რეჟისორი, საქართვ. სახ. არტისტი (1958). 1919–33 მოღვაწეობდა საფრანგეთსა და აშშ-ში. პარიზში ხელმძღვანელობდა „თეატრ ატელიეს“. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართ. სარეჟისორო ხელოვნ. პროფესიული დონის ამაღლებაში. ეწეოდა პედ. მოღვაწეობასაც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შავგულიძე გიორგი ვლადიმერის ძე (1910–59), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1955), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1952). მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრში, სადაც შექმნა მრავალი ღირსშესანიშნავი სცენური სახე თანამედროვე თუ კლასიკურ რეპერტუარში. იგი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი იყო. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართ. კინემატოგრაფიის განვითარებაშიც. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შავთელი იოანე, იხ. *იოანე შავთელი.*

შავიშვილი მიხეილ კალისტრატეს ძე (1894–1958), არქიტექტორი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1947), სსრკ არქიტ. აკად. (1950) და სსრკ მშენებლობისა და არქიტ. აკად. (1956) წ.-კორ., საქართვ. არქიტექტორთა კავშირის თავ-რე (1945–47). ნამუშევრები: ადმ. სახლი ცხინვალში (1937), თბილისის სამედ. ინ-ტის (1940) და საქართვ. ტექ. უნ-ტის მთავარი ადმ. კორპუსი (1954), ქუთაისის დრამ. თეატრი (1955) და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შალიკაშვილი შოთა ვლადიმერის ძე (1911–90), ინჟინერ-მშენებელი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1963), საპატიო გზათმშენებელი. ხელმძღვანელობდა შავი ზღვის გზატკეცილის, საქართვ. სამხედრო გზის და სხვ. სამშენებლო სამუშაოებს, საბურთალოს მასივის განაშენიანებას. მის სახელს ატარებს დიდუბე – დიღმის დამაკავშირებელი ხიდი.

შალიკაშვილი ჯონ (მალხაზ) დიმიტრის ძე (დ. 1936), არმიის გენერალი. ევროპაში მოკავშირეთა სამხ. ძალების სარდალი (1990–93). აშშ არმიის შტაბების უფროსთა კომიტეტის თავ-რე (1993–97). ქართველი ემიგრანტის პოლკოვნიკ დიმიტრი იოსების ძე შალიკაშვილის და მარია ალექსანდრეს ას. ბელიაევას ვაჟი.

შანიძე აკაკი გაბრიელის ძე (1887–1987), ენათმეცნიერი, შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1987). თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი (1918) და საქართვ. მეცნ. აკად. დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1939), საქართვ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1948–50), საქართვ. (1943) და სომხ. (1967) მეცნ. დამს. მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე (1979). საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნ. კვლევა-ძიებას, სათავე დაუდო ქართ. მეცნ. ფოლკლორისტიკას და ა. შ. მას ეკუთვნის ახ. ქართ. ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა. შ-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიაშიც. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში. მის საფლავზე დგას ბიუსტი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი).

შანშიაშვილი სანდრო ილიას ძე (1888–1979), პოეტი, დრამატურგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1930). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1949). მან დიდი ამაგი დასდო ქართ. დრამატურგიას. ავტორია პიესების „ანზორი“, „ლატავრა“ (ამ უკანასკნელის მიხედვით ზ. ფალიაშვილმა შექმნა ამავე სახელწ. ოპერა), ლიბრეტოსი დ. არაყიშვილის ოპერისათვის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და სხვ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შარაშიძე ლუარსაბ კალისტრატეს ძე (1923–91), ექიმი-პათომორფოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1963), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). 1975–77 იყო ონკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის, 1977–88 – ონკოლოგიური ცენტრის დირექტორი. შ-მ შეიმუშავა უჯრედების მომწიფების ინდექსი და მათი ნატიფი შენების ორიგინ. სქემა. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

შარდენი ჟან (1643–1713), ფრანგი მოგზაური, იუველირი და ძვირფასი ქვებით მოვაჭრე. 1671–79 იმოგზაურა აღმ. ქვეყნებში, მოიარა დას. და აღმ. საქართველო და ვრცლად აღწერა საკუთარი თვალით ნანახი უამრავი ფაქტი თუ მოვლენა. საკუთარი შთაბეჭდილებები შეავსო, აგრეთვე, ცნობებით, რ-ებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა ნაშრომებიდან და შექმნა ვრცელი თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“. აქვე ვხვდებით ძვ. თბილისის პირველ გრაფიკულ ჩანახატებსაც.

შარვაშიძე გიორგი მიხეილის ძე (1846–1918), აფხაზი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. აფხაზ მთავართა საგვარეულო შტოს წარმომადგენელი. შ-ის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა XIX ს. ქართ., რუს. და ევრ. აზროვნების წიაღში. 70-იანი წლებიდან მისი ლექსები, პოემები, პუბლიც. წერილები და სხვ. იბეჭდებოდა ქართ. პრესაში.

შარტავა ჟიული კალისტრატეს ძე (1944–93), პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, გენ.-მაიორი (1993), ტექ. მეცნ. კანდიდატი (1992). სხვადასხვა დროს ეწეოდა კომკავშირულ, პარტ. და სამეურნ. საქმიანობას. 1985–87 იყო საქ. კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის I მდივანი, 1988–92 – სახ. კონტროლის რესპ. კომიტეტის თავ-რე, 1993 – აფხ. ავტ. რესპ. თავდაცვის საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავ-რე. წამებით მოკლეს 1993 წ. 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. 2004 მიენიჭა საქართვ. ეროვნული გმირის წოდება. თბილისთან ახლოს იყო მისი სახელობის ახალგაზრდული ქალაქი.

შატბერაშვილი გიორგი ივანეს ძე (1910–65), მწერალი. 1935–36 პოლიტიკური ბრალდებით გადასახლებული იყო ალმა-ათაში. თბილისში დაბრუნებისთანავე გააგრძელა ლიტ. მოღვაწეობა. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, დრამებს. მისი პიესები იდგმებოდა თბილისის თეატრებში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შატილოვი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1868–1949), ექიმი-ოფთალმოლოგი, პროფესორი (1933), საქართვ. დამს. ექიმი (1941). 1933–47 განაგებდა თბილისის სამედ. ინ-ტის თვალის სნეულებათა



ტარას შევჩენკოს ძეგლი.

კათედრას, იყო საქართვ. ოფთალმოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1933–49).

შაუმიანი სტეფანე გიორგის ძე (1878–1918), რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კავკასიაში. ჟურნალისტი, ლიტ. კრიტიკოსი. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1917 თებ. რევ. შემდეგ – ბაქოს საბჭოს თავ-რე, 1918 აპრილიდან – ბაქოს სახკომსაბჭოს თავ-რე და საგარეო საქმეთა კომისარი. დახვრიტეს როგორც ერთ-ერთი *ბაქოელი კომისარი.*

შევარდენიძე კახაბერ გედევანის ძე (1968–98), სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი. უფრ. ლეიტენანტი. დაიღუპა საქართველოს პრეზიდენტზე, ე. შევარდნაძეზე, განხორციელებული ტერაქტის დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით და მედლით „მხედრული მამაცობისათვის“. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

შევჩენკო ტარას გრიგორის ძე (1814–61), უკრაინელი პოეტი, მხატვარი, რევოლუციონერ-დემოკრატი. ახ. უკრ. ლიტ-რის და სალიტ. ენის ფუძემდებელი, უკრ. პოეზიასა და მხატვრობაში ახ. მიმართულების – რეალიზმის დამამკვიდრებელი. 2005 ი. ჭავჭავაძის გამზირის დასაწყისში მდებარე სკვერს ეწოდა შ-ს სახელი, 2007 კი იქვე დაიდგა მისი ძეგლი (მოქანდაკეები ვ. და ო. ჩეპელიკები).

შელკოვნიკოვი ბორის მარტინის ძე (1837–78), რუს. არმიის გენერალი. 1855-იდან იბრძოდა კავკ. მთიელთა წინააღმდეგ. მონაწილეობდა რუს.-ოსმალეთის (1877–78) ომში, განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ალაჯის სიმაღლისთვის წარმოებულ ბრძოლაში. შემდეგ დაინიშნა ერზერუმის ოლქის სამხ. გუბერნატორად. დაკრძალულია თბილისში.

შენგელაია დემნა კონსტანტინეს ძე (1896–1980), მწერალი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969). 1919-იდან ინტენსიურად თანამშრომლობდა ქართ. ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან. შ-ს რომანები და მოთხრობები გამოირჩევა სოც.-პოლიტ. პრობლემატიკის წარმოჩენით, მითოსის, ფანტასტიკის და რეალობის შერწყმით. ამ ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია კინოფილმები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შენგელაია ნიკოლოზ მიხეილის ძე (1901–43), კინორეჟისორი და კინოდრამატურგი. სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941). გამოირჩეოდა განსაკუთრებული რეჟისორული ხედვით, დახვეწილი კინემატოგრაფიული აზროვნებით. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ძლიერი ტემპერამენტი და პოეტურობა. შ-ს „ელისო“ ახალი სიტყვა იყო ქართ. კინემატოგრაფიაში. შ. თავისი ფილმების უმრავლესობის სცენარის თანაავტორიც იყო. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე ვ. თოფურიძე).

შენგელია ალეკო პეტრეს ძე (1914–75), პოეტი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1938, პირველი წიგნი „ლექსები“ – 1940. ავტორია მრავალი კრებულისა, საბავშვო წიგნებისა და სხვ. მის ლექსებზე არაერთი პოპულარული სიმღერაა შექმნილი.

შერემეტევი სერგეი ალექსის ძე (1837–96), რუს. არმიის გენ.-ადიუტანტი, გრაფი. კავკასიის მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1890–96).

შეროზია კალისტრატე (კალე) ნესტორის ძე (1895–1942), რევოლუციონერი, კომპარტიის მუშაკი.

შეშელიძე თენგიზ ტარასის ძე (1943–97), ინჟინერ-მშენებელი. 1967 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (ახლანდ. ტექ. უნ-ტი). 1977-იდან იყო ქ. თბილისის საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსი, 1994-იდან – გლდანის რ-ნის გამგეობის თავ-რის პირველი მოადგილე. დაიღუპა ტრაგიკულად.

შირშოვი პეტრე პეტრეს ძე (1905–53), რუსი ოკეანოლოგი, ჰიდრობიოლოგი, პოლარეთის მკვლევარი. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939), საბჭოთა კავშირის გმირი (1938). მონაწილეობდა არქტ. ექსპედიციებში, 1942–48 იყო სსრკ საზღვაო ფლოტის მინისტრი, 1946-იდან – სსრკ მეცნ. აკად. ოკეანოლოგიის ინ-ტის დირექტორი (ამჟამად მისი სახელობისაა).

შმიდტი ოტო იულის ძე (1891–1956), მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოფიზიკოსი, სახელმწ. და საზოგადო მოღვაწე. სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1935), საბჭ. კავშირის გმირი (1937). 1929–38 ხელმძღვანელობდა ექსპედიციებს ყინულმჭრელ გემებზე „გიორგი სედოვი“, „სიბირიაკოვი“, „ჩელიუსკინი“, მოდრეიფე სადგურ „ჩრდილოეთ პოლუს-1-ის“ ორგანიზებას და მისი პერსონალის („პაპანინელების“) ყინულის ბელტიდან მოხსნის ოპერაციას. 1924–41 შ. იყო დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი.

შოშიტაიშვილი ბადრი შალვას ძე (1946–2004), თბილისის მერი 1995 წ. 8 დეკ-იდან 1998 წ. 7 აგვ-მდე. სპეციალობით – მშენებელი ინჟინერი. მუშაობდა „კავსახტრანსპროექტში“ უფროს ინჟინრად. 1984–91 იყო საქ. კპ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი, 1994-იდან – თბილისის პრემიერის მოადგილე, 1998-იდან – საქართვ. მრეწვ. მინისტრი, 2000-იდან – ეკონ., მრეწვ. და ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე.

შუშიაშვილი თედო კირილეს ძე (1885–1918), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. 1918 საქართვ. დემოკრ. რესპ. წინააღმდეგ მიმართული, ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული, დუშეთის გლეხთა აჯანყების სამხ.-რევ. შტაბის წევრი.

შჩოლკინი კირილ ივანეს ძე (1911–68), რუსი ფიზიკოსი, სსრკ მეცნ. აკად. წ.-კორ. (1953), სამგზის სოციალ. შრომის გმირი (1949, 1951, 1953), ლენინური და ოთხგზის სსრკ სახელმწ. პრემიების ლაურეატი. დაიბადა თბილისში. დაკრძალულია მოსკოვში „ნოვოდევიჩიეს“ სასაფლაოზე. თბილისში, მ. თამარაშვილის ქუჩაზე, დგას შ-ის ბიუსტი (მოქანდაკე გ. თოიძე).

შჩორსი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1895–1919), რუსეთის სამოქალაქო ომის (1918–20) მონაწილე. 1918 შექმნა პარტიზ. რაზმები უკრაინაში, იყო კიევის კომენდანტი, 1919-იდან – დივიზიის მეთაური. დაიღუპა კოროსტენის რკინიგზის დაცვის დროს.



ჟან შარდენის ქუჩა.

ჩაიკოვსკი პეტრე ილიას ძე (1840–93), რუსი კომპოზიტორი. რუს. კლასიკური მუსიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. მისმა შემოქმედებამ მსოფლიო აღიარება მოიპოვა და მძლავრი გავლენა მოახდინა XIX–XX სს. მსოფლიო მუს. კულტურაზე. 1886–91 ხუთჯერ ეწვია საქართველოს. ჩ-ს საუკეთესო ოპერები მის სიცოცხლეშივე დაიდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. თბილისსა და ბორჯომში მუშაობდა რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწარმოებზე, მათ შორის ბალეტ „მძინარე მზეთუნახავზე“, „მაკნატუნაში“ კი გამოიყენა ქართ. „იავნანას“ მელოდია. ჩ-ს სახელობისაა მოსკ. და კიევის კონსერვატორიები, მოსკოვში ტარდება მისი სახ. საერთაშ. კონკურსები.

ჩალაძე კორნელი ალეკოს ძე (1949–95), პოლკოვნიკი. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. იყო სოხუმის კომენდანტი, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის I მოადგილე. დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

ჩანტლაძე თენგიზ ვასილის ძე (1933–88), მსახიობი და რეჟისორი, საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1962-იდან გარდაცვალებამდე იყო თავისივე დაარსებული მინიატიურების თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მსახიობი. ჩ-თვის დამახასიათებელი იყო იმიტაციისა და გარდასახვის განსაკუთრებული უნარი, ლირიზმი, იუმორი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ჩანჩიბაძე პორფილე გიორგის ძე (1901–50), გენ.-პოლკოვნიკი (1945), საბჭ. კავშირის გმირი (1945). სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს სარდლობდა მე-2 გვარდიული არმიის ჯარებს, მონაწილეობდა მოსკ. და სტალინგრადის ბრძოლებში, ყირიმის, ბელორუსიის განთავისუფლებაში და სხვ. ჩ-ის ბიუსტი დგას ცოტნე დადიანის ქუჩაზე (მოქანდაკე ბ. სახვაძე).

ჩაპაევი ვასილი ივანეს ძე (1887–1919), რუსეთის სამოქალაქო ომის (1918–20) მონაწილე. 25-ე მსროლელმა დივიზიამ, რ-საც ჩ. მეთაურობდა, თავი გამოიჩინა ა. კოლჩაკის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. დაიღუპა თეთრგვარდიელებთან ბრძოლისას მდ. ურალის გადაცურვის დროს. ჩ-ს მიეძღვნა დ. ფურმანოვის ნაწარმოები „ჩაპაევი“ და გ. და ს. ვასილიევების ამავე სახელწ. ფილმი.

ჩაჩავა კონსტანტინე ვლადიმერის ძე (1919–79), მეან-გინეკოლოგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1974), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1968). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1967). 1965-იდან გარდაცვალებამდე იყო პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (1981-იდან მისი სახელობისაა). ჩ. იყო საქართვ. მეან-გინეკოლოგთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1971–79). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჩახრუხაძე, XII–XIII სს. პოეტი. ითვლება „თამარიანის“ ავტორად, რ-იც შინაარსისა და მხატვრული ფორმის მხრივ მეტად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია კლასიკური ხანის ქართ. მწერლობაში. შემოიღო ძვ. ქართული ლექსთწყობის ერთ-ერთი სახეობა – „ჩახრუხაული“.

ჩერნიახოვსკი ივანე დანიელის ძე (1906–45), რუსი მხედართმთავარი, არმიის გენერალი (1944). ორგზის საბჭ. კავშირის გმირი (1943, 1944). სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს იყო დასავლეთის, შემდეგ – ბელორ. III ფრონტის სარდალი. აღმ. პრუსიის დაჯგუფების განადგურების დროს სასიკვდილოდ დაიჭრა.

ჩერნიშევსკი ნიკოლოზ გაბრიელის ძე (1828–89), რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, მატერიალისტი, ფილოსოფოსი, მწერალი და კრიტიკოსი. ჩ. რუს. ხალხოსნობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. წამოაყენა გლეხური რევ. იდეა. მან დიდი გავლენა მოახდინა ქართველ „სამოციანელებზე.“ პეტერბ. უნ-ტის ბევრი ქართვ. სტუდენტი პირადად იცნობდა მას (ნ. *ნიკოლაძე*, გ. ე. *წერეთელი*). ჩ. თვალს ადევნებდა თბილისის ლიტ. ცხოვრებას. გამოაქვეყნა რეცენზია აქ გამოსულ რუს. ალმანახ „ზურნაზე“, მაღალი შეფასება მისცა რ. ერისთავის ნაშრომს თუშ-ფშავ-ხევსურეთზე. მიმოწერა ჰქონდა ნ. ნიკოლაძესთან, გ. ჩიჩუასა და სხვა ქართვ. მოღვაწეებთან.

ჩერქეზიშვილი ელისაბედ (ლიზა) ალექსანდრეს ასული (1863–1948), მსახიობი, ქართ. რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი. საქართვ. სახ. არტისტი (1926). მოღვაწეობდა რუსთაველის, შემდეგ – მარჯანიშვილის თეატრში. გადაღებულია კინოში. ჩ-ის სცენური ნიჭი უპირატესად მოხუცი ქალების სახასიათო და კომედიური როლებით გამოვლინდა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჩერქეზიშვილი ვასილ ნიკოლოზის ძე (1857–1910), ქალაქისთავი 1905, 1907–10 წლებში. ჩ-ის ქალაქის სათავეში ყოფნის დროს თბილისი გაიზარდა. მის საზღვრებში შევიდა ტერიტორია ვარაზისხევიდან ბაგებამდე. დასვა საკითხი, რომ ქალაქს შეერთებოდა საბურთალო და ახლომდებარე ადგილები. მისი წინადადებით თბილისში უნდა შემოღებულიყო სავალდებულო უფასო სწავლება. მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

ჩეჩელაშვილი ოთარ გრიგოლის ძე (1923–59), მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი (1945), გვარდიის პოდპოლკოვნიკი. სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს იბრძოდა ყირიმის, ჩრდ. კავკასიის, უკრ. II და I ფრონტებზე. მონაწილეობდა ბერლინის აღებაში. დაიღუპა ავტოკატასტროფის დროს.

ჩეხოვი ანტონ პავლეს ძე (1860–1904), რუსი მწერალი, რუსული ლიტ-რის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი. ჩ-მა რამდენჯერმე იმოგზაურა საქართველოში, კერძოდ თბილისში. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი მოთხრობების თარგმანები. მისი პიესები დღემდე იდგმება ქართ. თეატრების სცენაზე.

ჩირგაძე თეიმურაზ ვლადიმერის ძე (1928–99), ექიმი-პარაზიტოლოგი, პროფილაქტიკური მედ. მეცნ. აკად. წევრი (1994), თბილისის საპატიო მოქალაქე (1995), 1957-იდან მუშაობდა საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედ. სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1993-იდან – დირექტორი, 1998-იდან – საპატიო დირექტორი). ჩ. პარალელურად მონაწილეობდა ფილმებშიც. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ვაჟა („ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“).

ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე (1890–1986), ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969). 1936-იდან იყო ენიმკის ეთნოგრ. სექციის ხელმძღვანელი (1938-იდან – განყ-ბის გამგე), 1941-იდან – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინ-ტის ეთნოგრ. განყ-ბის ხელმძღვანელი. მისი თაოსნობით შეიქმნა თსუ-ის ეთნოგრ. კათედრა (1940), საქართვ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრ. სახელმწ. მუზეუმი (1933), ქართული ხალხ. ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწ. მუზეუმი (1966), რ-იც მისი სახელობისაა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჩიტაძე შიო ალექსის ძე (1873–1906), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი. მნიშვნელოვნად განავითარა საქართველოში პედ. აზროვნება. იგი საფუძვლიანად იცნობდა დას. ევროპულ, რუს. და ქართ. ლიტერატურას. აქვს ისტ.-ლიტ. ნარკვევები მ. გორკის, ა. ჩეხოვის, ფ. ნიცშეს, ნ. ბარათაშვილის მსოფლმხედველობათა შესახებ. მოკლეს კაზაკებმა.

ჩიქვანაია ევსევი ეგნატეს ძე (1893–1919), რევოლუციონერი, 1917 ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყებისა და სამოქალაქო ომის მონაწილე. ოდესის დაცვის უფროსი. ქალაქის აღების შემდეგ დენიკინელებმა შეიპყრეს და დახვრიტეს.

ჩიქობავა არნოლდ სტეფანეს ძე (1898–1985), ენათმეცნიერი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ქართული სკოლის ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), საქართვ. (1946), დაღესტნის (1968), ყაბარდო-ბალყარეთის (1968), აფხ. (1978), ჩაჩნეთ-ინგუშეთის (1981) მეცნ. დამს. მოღვაწე. 1950–52 იყო საქართვ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტის დირექტორი (1986 მისი სახელი ეწოდა), 1945–64 – აკადემია-


8-16



ვარდების რევოლუციის მოედანი.

სთან არსებული ქართ. ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისიის თავ-რე და გამოცემის მთ. რედაქტორი (ტ. 1–8, თბ., 1950–64; საქართვ. სახელმწ. პრემია, 1971). ჩ. იკვლევდა ქართულ, ქართველურ და მთის იბერიულ-კავკ. ენებს. იყო ბერლინის უნ-ტის საპატიო დოქტორი, დიდი ბრიტანეთის ფილოლ. საზ-ბის საპატიო წევრი და სხვ. მრავალი პრემიის ლაურეატი. დაკრძალულია ოქროყანაში, საკუთარ აგარაკზე.


ჩიქოვანი ვახტანგ ვლადიმერის ძე (1919–44), უფროსი ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი (1944). სსრკ-გერმ. (1941–45) ომში იბრძოდა ვოლხოვის, შემდეგ – უკრ. II ფრონტზე.

ჩიქოვანი სიმონ ივანეს ძე (1902/03–66), პოეტი, ქართ. პოეზიის გამოჩენილი ოსტატი. „ფუტურისტ-ლეფელთა“ ჯგუფის ერთ-ერთი მეთაური, მწერალთა კავშირის თავ-რე (1944–51); რედაქტორობდა ჟურნ. „მნათობს“ (1954–60), მინიჭებული ჰქონდა სსრკ. სახელმწ. პრემია (1947). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ჩკალოვი ვალერი პავლეს ძე (1904–38), გამოჩენილი რუსი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი (1936). 1930-იდან სამხ.-საჰაერო ძალების მფრინავ-გამომცდელი, 1937 გ. *ბაიდუკოვთან* და ა. *ბელიაკოვთან* ერთად ძირს დაუშვებლად გადაფრინდა მოსკოვიდან ვანკუვერამდე (აშშ) ჩრდ. პოლუსის გავლით. დაიღუპა ახალი თვითმფრინავის გამოცდის დროს.

ჩოდრიშვილი ზაქარია იოსების ძე (1869–1915), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში, „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიუროს“ წევრი, ხელმძღვანელობდა პარტ. ლიტრის გამოცემას. რევ. მოღვაწეობისათვის არაერთხელ დააპატიმრეს. გარდაიცვალა ხერსონის გუბ. ნიკოლაევის საკატორღო ციხეში.

ჩოდრიშვილი მიხეილ (მიხა) იოსების ძე (1853–1929), მუშა-რევოლუციონერი. ბეჭდავდა და ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. 1917–20 იყო თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის წევრი, 20-იან წლებში – თბილისის საბჭოს დეპუტატი, შემდეგ



ჩახრუხაძე. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

ეკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა.

ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ, ნიკიფორე ირბახი (ირბაქი) (დაახლ. 1585–1658), პოლიტ. მოღვაწე და დიპლომატი, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის – „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ – ერთ-ერთი გამომცემელი რომში (1629). ამ ფაქტის აღსანიშნავად რომში დღესაც არსებობს მემორიალური დაფა. მისი მრავალმხრივი საქმიანობა მიმართული იყო საქართვ. პოლიტ. და კულტ. აღორძინებისაკენ.

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) იოსების ძე (1888–1930). 1924 აგვისტოს აჯანყების აქტიური მონაწილე, შეიარაღებული წინააღმდეგობის მოთავე. აჯანყების დამარცხების შემდეგ თავის რაზმელებთან (შეფიცულებთან) ერთად წავიდა ემიგრაციაში. 2005-მდე დაკრძალული იყო საფრანგეთში, ლევილის ქართველთა სამძო სასაფლაოზე. საფლავის ქვაზე ქართ. და ფრანგ. ენებზე ამოკვეთილი იყო: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ეროვნული გმირი“. 2005 ჩ-ის ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს.

ჩოჩუა თეოფილე ბეჟანის ძე (1878–1928), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. 1900-იდან იყო თბილისის ს.-დ. ორგანიზაციის აქტიური წევრი, 20-იან წლებში – ჩოხატაურის ბოლშევიკური კომიტეტის წევრი. 1925-იდან ეწეოდა პედ. საქმიანობას თბილისში.

ჩოხელი კობა ხარსიელის ძე (1893–1971), საკოლმეურნეო მოძრაობის ორგანიზატორი საქართველოში. მუშათა შეიარაღებული ბრძოლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1921–25 იყო სოფ. ზემო ქედის თემკომის, 1926–31 – კომუნის, 1932–48 – კოლმეურნეობის თავ-რე.

ჩუბინაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე (1885–1973), ხელოვნების ისტორიკოსი, ქართ. ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი. საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1941), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1918-იდან მოღვაწეობდა თსუ-ში, იქვე დააარსა ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტი (1923). იყო საქართვ. სამხატვრო აკად. ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი რექტორი (1922–28), 1941-იდან – თავისივე დაარსებული ქართ. ხელოვნ. ისტორიის ინ-ტის დირექტორი (ამჟამად მისი სახელობისაა). ჩ-მა გამოიკვლია ქართ. ხუროთმოძღვრების ისტორიის ძირითადი ეტაპები და მახასიათებლები, შეისწავლა ქართ. ოქრომქანდაკებლობა, ქართ. სამონასტრო კომპლექსების ისტ. მნიშვნელობა და სხვ. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში, სადაც დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე კ. ბაკურაძე).

ჩუბინიძე თომა ამბაკოს ძე (1876–1918), რევოლუციური მოძრაობის მონაწილე საქართველოში. მუშათა შეიარაღებული ბრძოლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. აქტიურად მონაწილეობდა 1918 საქართვ. დემოკრ. რესპ. წინააღმდეგ მიმართულ, ბოლშევიკების მიერ ინსპირირებულ დუშეთის გლეხთა აჯანყებაში.

ჩხეიძე ნინო (ნუცა) პლატონის ასული (1881–1963), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1925). პირველი ქართვ. ტრაგიკოსი მსახიობი ქალი. მოღვაწეობდა თბილისის, ქუთაისის და სხვა თეატრებში. 1927-იდან იღებდნენ კინოში, შექმნა შესანიშნავი კინემატოგრაფიული სახეები. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჩხეიძე უშანგი ვიქტორის ძე (1898–1953), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1933). იყო თბილისის ქართ. დრამის, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების მსახიობი. საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც უნიჭიერესმა დრამ. მსახიობმა. ჩ-ის სამსახიობო ოსტატობა გამოირჩეოდა ტემპერამენტით, არაჩვეულებრივი სცენური მომხიბვლელობით და ფართო არტისტული დიაპაზონით. შექმნა მთელი გალერეა რომანტიკულ-ჰეროიკული ხასიათის გმირებისა. იღებდნენ კინოში. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ჩხიკვაძე ნოე ალექსის ძე (1883–1920), პოეტი. ახალგაზრდობიდანვე დაუახლოვდა რევ.-დემოკრ. მწერლობას. ლექსებთან ერთად მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სატირას.

ცაბაძე გიორგი (გოგი) გაბრიელის ძე (1924–86), კომპოზიტორი, საქართვ. სახ. არტისტი (1973), თბილისის საპატიო მოქალაქე (1983). ნაყოფიერად მუშაობდა ოპერეტის, საესტრადო სიმღერისა და რომანსის ჟანრში. მისი შემოქმედების წყარო იყო ქართ. ქალაქური ფოლკლორი. წერდა მუსიკას კინოფილმებისათვის. Ც. თავისი სიმღერების უბადლო შემსრულებელიც იყო. პ. მელიქიშვილის ქუჩაზე, სახელმწ. ფილარმონიასთან, სკვერში, დგას Ც-ის ბიუსტი (მოქანდაკე გ. წულაძე). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ცაგარელი არჩილ ლუკას ძე (1913–88), გეოლოგი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1973). იყო გეოლოგიური ინ-ტის დირექტორი (1979–81), საქართვ. მეცნ. აკად. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1980–88), ლონდონის გეოლ. საზ-ბის საპატიო წევრი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ცეტკინი კლარა (1857–1933), გერმანიისა და საერთაშ. მუშათა მოძრაობის მოღვაწე, II ინტერნაციონალის და გერმანიის კომუნ. პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მსოფლიო ქალთა რევ. მოძრაობის აქტ. მოღვაწე. დაკრძალულია მოსკოვში, კრემლის კედელთან.

ციმაკურიძე ალექსანდრე გრიგოლის ძე (1882–1954), ფერმწერი, პეიზაჟისტი, საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1941). პირველი იმ ოსტატთაგანი, რ-თა ხელოვნებაში პეიზაჟი საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც ქართ. ფერწერის დამოუკიდებელი ჟანრი. პედ. მოღვაწეობას ეწეოდა მ. თოიძის სახ. სამხატვრო სტუდიაში, იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. 1926–30 შექმნა სერია „თბილისი“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ცინცაძე კონსტანტინე მაქსიმეს ძე (1888–1937), იბრძოდა კავკასიაში საბჭ. ხელისუფლების დასამყარებლად. ნაციონალ-უკლონისტი. საქართვ. სსრ საგანგებო კომისიის თავ-რე (1921–22). საქართვ. უმაღლესი სასამართლოს თავ-რე (1924–27). სსრკ სახელმწ. უშიშროების საპატიო თანამშრომელი (1925). იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ცინცაძე სულხან თევდორეს ძე (1925–91), კომპოზიტორი, საქართვ. (1961) და სსრკ (1985) სახ. არტისტი, სსრკ (1950), შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1981) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1977) პრემიების ლაურეატი. 1944–46 იყო საქართვ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის სოლისტი (ჩელო), თბილისის სახელმწ. კონსერვატორიის პროფესორი, რექტორი (1965–84), საქართვ. კომპოზიტორთა კავშირის თავ-რე (1984–91). მან ღრმა კვალი დატოვა ქართ. მუსიკის ისტორიაში. Ც-ის სახელი ეწოდა საქართვ. სახელმწ. სიმებიან კვარტეტს (1997). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ცინცაძე შალვა რაჟდენის ძე (1900–37), ქიმიკოსი და აგროქიმიკოსი, აგროქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. ქიმ. მეცნ. დოქტორი [ანალიზური ქიმია, 1929 (გერმანია), აგროქიმია, 1932 (საფრანგეთი), 1936 (სსრკ)]. 1935-იდან იყო თსუ-ის ანალიზური ქიმიის კათედრის პროფესორი; 1936 საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში დააარსა აგროქიმ. კათედრა. ფართოდ არის ცნობილი ე. წ. ცინცაძის ნაზავი, ცინცაძის რეაქტივი და სხვ. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ცისკარიშვილი ლევან ალექსანდრეს ძე (1967–92), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, პოლიციის ლეიტენანტი. იბრძოდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. დაიღუპა სოფ. კოლხიდასთან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ცისკარიშვილი მიხეილ აპოლონის ძე (1928–97), ჰიდრომშენებელი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1979). სოციალ. შრომის გმირი (1979), სსრკ საპატიო ენერგეტიკოსი (1981), საქართვ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982). იყო „ალაზანმშენის“ მმართველი (1968–72), „ენგურმშენის“ მშენებლობის უფროსი (1972–79), „საქჰიდროენერგომშენის“ მმართველი და ენგურჰესის კასკადის მშენებლობის უფროსი.

ციციანოვი (ციციშვილი) პავლე დიმიტრის ძე (1754–1806), რუს. არმიის ინფანტერიის გენერალი (1804), სენატორი. საქართვ. მთავარმმართველი და ჯარების მთავარსარდალი (1802–06). Ც. იყო კავკასიაში რუს. ცარიზმის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. მისი მმართველობის დროს შევიდა რუსეთის მფარველობაში ოდიშის სამთავრო (1803) და იმერეთის სამეფო (1804). მოკლეს ბაქოს ციხის მისადგომებთან. დაკრძალულია სიონის ტაძარში.

ცუცქირიძე კონსტანტინე ზაქარიას ძე (1912–45), საბჭ. კავშირის გმირი (1945), მაიორი (1943). 1938 მონაწილეობდა ხასანის ტბასთან გამართულ ბრძოლაში. სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს დაიღუპა ბერლინის მისადგომებთან.

ცქიტიშვილი ლევან ბონდოს ძე (1969–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, ვიცე-პოლკოვნიკი. მობილური ძალების სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილე, შტაბის უფროსი. დაიღუპა საომარი მოქმედებების დროს დას. საქართველოში. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

ცხაკაია მიხეილ (მიხა) გრიგოლის ძე (1865–1950), კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწ. მოღვაწე. 1892–93 იყო საქართველოში პირველი ს.-დ. ორგანიზაციის – „მესამე დასის“ – ერთ-ერთი დამაარსებელი. 1903–05 ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკ. კავშირის კომიტეტს. 1907–17 ემიგრაციაში იყო. 1923–24 და 1929–30 იყო საქ. სსრ ცაკის პრეზიდიუმის თავ-რე.

ცხვედაძე ნიკოლოზ (ნიკო) ზებედეს ძე (1845–1911), საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ქალაქის სათათბიროს წევრი ხმის უფლებით (1889–92). 1898 სათავეში ჩაუდგა თბილისის ქართ. გიმნაზიის, ფაქტობრივად მომავალი ქართ. უნ-ტისათვის გათვალისწინებული შენობის აგების საქმეს. ავტორია პუბლიცისტური სტატიებისა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ცხრა ძმა, 1905 წ. 18 დეკ. მუშათა შეიარაღებული აჯანყების დროს მეფის დრაგუნებთან და კაზაკებთან ბრძოლაში დაღუპული მებრძოლი რაზმის 9 წევრი: გ. დვალი, გ. ელიავა, მ. კალაძე, ტ. ლაზიაშვილი, ვ. მთვარაძე, ი. ნინიძე, გ. ცინცაძე, ვ. ხუცურაული, გ. ჯაში.



ალექსანდრე ციმაკურიძე.
„ბანიანი სახლი ფეთხაინის უბანში“





ძერჟინსკი ფელიქს ედმუნდის ძე (1877–1926), პოლონელი რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწ. და პარტ. მოღვაწე, რუსეთის რევ. მოძრაობის აქტ. მონაწილე. 1917 ოქტ. შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი. იმავე წელს დაინიშნა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავ-რედ, 1924 – სსრკ სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭოსა და გაერთიანებული სახელმწ. პოლიტ. სამართველოს თავ-რედ. იყო საბჭოთა სადამსჯელო ორგანოების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. დაკრძალულია მოსკოვში, წითელ მოედანზე, კრემლის კედელთან.

ძნელაძე ბორის დავითის ძე (1901–23), საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1919 აირჩიეს თავისსავე ჩამოყალიბებულ ორგანიზაცია „სპარტაკის“ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელად, 1920 – საქართვ. კომკავშირის ცკ-ის მდივნად, 1921 – საქ. კპ დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივნად. მის სახელს ატარებდა შავნაბადაზე გაშენებული კომკავშირული ქალაქი და მოსწავლე ახალგაზრდობის რესპ. სასახლე.

ძოწენიძე გიორგი სამსონის ძე (1910–76), გეოლოგი, სახელმწ. მოღვაწე, საქართვ. (1955) და სსრკ (1968) მეცნ. აკად. აკადემიკოსი, მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1955–58), იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-რე (1959–76), თსუ-ის რექტორი (1958–59). მინიჭებული აქვს სსრკ სახელმწ. (1950) და ლენინური (1972) პრემიები. ბულგარეთის, ლონდონის გეოლ. და აშშ გეოგრ. საზ-ბების წევრი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ძველი თბილისი. რიყის ქუჩა. 1890-იანი წლები.

წ

წერეთელი აკაკი როსტომის ძე (1840–1915), პოეტი, საზოგადო მოღვაწე. ახ. ქართ. ლიტ-რისა და სალიტ. ენის ერთ-ერთი რეფორმატორი, მრავალმხრივი მოღვაწე, „თერგდალეულების“ ერთ-ერთი მესვეური. პოეტის ლექსები მის სიცოცხლეშივე იქცა სიმღერებად. მისივე ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია ფილმები. 1922 ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში, 1957 კი – თსუ-ის ეზო-სავანეში დაიდგა წ-ის ბიუსტები (მოქანდაკეები ი. ნიკოლაძე, ვ. თოფურიძე); 1958 რუსთაველის გამზირზე აღმართეს ი. ჭავჭავაძისა და წ-ის ძეგლი (მოქანდაკეები: შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე); 1990 წ-ის ძეგლი დაიდგა ასევე აკაკი წერეთლის გამზირზე (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე (1842–1900), მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნ.-განმათ. მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის აქტ. მონაწილე. გაზ. „დროების“ (1866–69), ჟურნ. „კრებულის“ (1871–73), გაზ. „კვალის“ რედაქტორი. დიდი ამაგი დასდო ახლად აღორძინებულ ქართ. თეატრს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

წერეთელი გიორგი ვასილის ძე (1904–73), ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ფუძემდებელი საქართველოში. საქართვ. (1946) და სსრკ (1968) მეცნ. აკად. აკადემიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი (1967–70), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). წ-ს დიდი წვლილი მიუძღვის სემიტოლოგიის განვითარებაში. იყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზ-ბის (1964) და პოლ. ორიენტალისტთა საზ-ბის საპატიო წევრი (1966). წ-ის სახელობისაა თავისივე დაარსებული აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტი. დაკრძალულია თსუ-ის ეზო-სავანეში. მის საფლავზე დგას ბიუსტი (მოქანდაკე გ. ოჩიაური).

წერეთელი მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე (1878–1965), მეცნიერი, პუბლიცისტი, პოლიტ. მოღვაწე. თბილისის, ბრიუსელის და ბერლინის უნ-ტების პროფესორი. უცხ. ენებზე აქვეყნებდა გამოკვლევებს ქართვ. ერისა და ქართ. ენის წარმოშობის საკითხებზე, ურარტუს ისტორიასა და ენაზე. ნაყოფიერად იკვლევდა რუსთველოლოგიის საკითხებს. 1903 სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად პარიზში დააარსა ჟურნ. „საქართველო“, ხოლო 1907 ვ. ჩერქეზიშვილსა და გ. გვაზავასთან ერთად ქართვ. ხალხის სახელით შეადგინა პეტიცია ჰააგაში გასაგზავნად. XX ს. 20-იანი წლებიდან იმყოფებოდა პოლიტ. ემიგრაციაში. გარდაიცვალა მიუნხენში. ანდერძის თანახმად, მისი ცხედარი დაწვეს.

წერეთელი სოსო კონსტანტინეს ძე (1958–83), ფერმწერი. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. დაიღუპა 1983 წ. 18 ნოემბერს ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობის დროს, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვა. წ-ის დაღუპვის შემდეგ გაიმართა მისი პერსონალური გამოფენები. მას ეძღვნება დოკუმენტური ფილმი „დაბრუნება“ (რეჟ. დ. კანდელაკი). 2002 დაიბეჭდა მისი ალბომი (რედ. ზ. წერეთელი). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

წიკლაური ანდრია ვასილის ძე (1883–1958), თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი, სოციალ. შრომის გმირი (1943). ერთ-ერთმა პირველმა დანერგა რკინიგზაზე პროგრესული საწარმოო მეთოდები.

წინამძღვრიშვილი მიხეილ დოროთეს ძე (1882–1956), თერაპევტი, მეცნ. თერაპიისა და კარდიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1943). 1946 წ-მა საქართვ. მეცნ. აკად. სისტემაში დააარსა სსრკ-ში პირველი კლინიკური და ექსპერ. კარდიოლოგიის ინ-ტი, რ-საც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე. წ. ავტორია შინაგან სნეულებათა პირველი ქართულენოვანი ორტომიანი სახელმძღვანელოსი, იყო საქართვ. თერაპევტთა სამეცნ. საზ-ბის თავ-რე (1950–56). წ-ის ბიუსტი დგას მისივე სახელობის კარდიოლოგიის სამეცნ.-კვლ. ცენტრის ეზოში (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი).

წულაძე სერგი ვასილის ძე (1916–77), მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერ-ფსიქიატრი, სორბონის უნ-ტის მედ. დოქტორი (1951). 1921-იდან იმყოფებოდა ემიგრაციაში, 1925-იდან ცხოვრობდა პარიზში. 1958 ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში. მუშაობდა თბილისის ფსიქოლ. და ფსიქიატრიის ინ-ტებში. ნაყოფიერად იღვწოდა მთარგმნელობით სარბიელზეც, ფრანგ. ენაზე თარგმნიდა ძველი და თანამედროვე ქართვ. მწერლების ნაწარმოებებს (იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, ნ. ბარათაშვილის, ი. აბაშიძის, გ. ტაბიძის და სხვათა ლექსები). განსაკუთრებით აღსანიშნავია ვეფხისტყაოსნის თარგმანი (1964, პარიზი; 1966, თბილისი), რ-საც საფრ. აკადემიის ლანგლუას სახ. პრემია მიენიჭა. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

წულუკიძე ალექსანდრე (საშა) გრიგოლის ძე (1876–1905), პროფესიონალი რევოლუციონერი. „მესამე დასის“ რევ. ფრთის აქტ. წევრი, ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ერთ-ერთი ფუძემდებელი ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი. ქართ. მარქსისტული ლიტ. კრიტიკის პიონერი.

წულუკიძე ალექსანდრე პეტრეს ძე (1888–1967), ქირურგ-უროლოგი. მეცნ. უროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. სსრკ მედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1946), საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1955). 1949–53 იყო ექიმთა დახელოვნების ინ-ტის დირექტორი, 1953–65 – თავისივე ინიციატივით დაარსებული უროლოგიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის დირექტორი (1967 მისი სახელი ეწოდა). ქართ. ენაზე შეადგინა უროლოგიის პირველი სახელმძღვანელო (1949).

წურწუმია ალექსანდრე პეხუს ძე (1910–41), მფრინავი, მაიორი (1941), საბჭოთა კავშირის გმირი (1944, სიკვდილის შემდეგ). სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს თავი გამოიჩინა საჰაერო ბრძოლებში.

წურწუმია ჯამბულ (1961–93), საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი, მაიორი. მსახურობდა საქართვ. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. დაიღუპა აფხაზეთში, კოდორთან. წერდა ლექსებს. მის ნოველაში „ჰოკალიფსის მხედარი“ აფხაზ გოგონასა და ნახევრად აფხაზი ვაჟის სიყვარულის ფონზე წარმოჩენილია აფხაზურ-ქართული ტრაგედია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

წუწუნავა ალექსანდრე რაჟდენის ძე (1881–1955), რეჟისორი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე. საქართვ. სახ. არტისტი (1934). ქართ. ეროვნ. საოპერო რეჟისურის ფუძემდებელი. პირველი ქართ. ოპერების დამდგმელი. 1918–55 სათავეში ედგა თბილისის ოპერის თეატრს (დირექტორი, მთ. რეჟისორი, სამხატვრო ხელმძღვანელი). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1947). დიდია წ-ს წვლილი ქართ. კინოხელოვნებაშიც. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე ბ. ავალიშვილი). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

აკაკი წერეთლის ძეგლი. ►





ჭაბუკიანი ვახტანგ მიხეილის ძე (1910–92), მოცეკვავე, ბალეტმაისტერი და პედაგოგი, პროფესიული ბალეტის ფუძემდებელი საქართველოში, XX ს. მსოფლიო ბალეტის აღიარებული ვარსკვლავი. საქართვ. (1941) და სსრკ (1950) სახ. არტისტი, ლენინური (1958) და სსრკ სახელმწ. (1941, 1948, 1951) პრემიების ლაურეატი. შეიმუშავა და დაამკვიდრა მამაკაცის ცეკვის გმირული, ვაჟკაცური სტილი. 1992 ჭ-ის სახელი მიენიჭა თბილისის ქორეოგრ. სასწავლებელს. თბილისში არის ჭ-ის სახლ-მუზეუმი (მის.: დავით აღმაშენებლის გამზირის 83/23). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786–1846), პოეტი-რომანტიკოსი. რუს. არმიის გენ.-ლეიტენანტი. 1832 შეთქმულების მონაწილე; 1842–43 ასრულებდა ამიერკავკ. მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას. მისი სახლი თბილისში წარმოადგენდა ლიტ.-კულტურულ სალონს, სადაც თავს იყრიდა იმდროინდელი ქართვ. და უცხ. ინტელიგენცია. დაიღუპა ტრაგიკულად. დაკრძალულია კახეთში, შუამთის ახალ მონასტერში.

ჭავჭავაძე ზურაბ ნიკოლოზის ძე (1953–89), ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მოღვაწე. ფილოლ. მეცნ. კანდიდატი (1986). 1981-იდან მუშაობდა სამეცნ. თარგმანის კოლეგიის რედაქტორად, 1984-იდან სიცოცხლის ბოლომდე – საქართვ. მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის მთ. სარედაქციო კოლეგიაში. იყო არაფორმალური პოლიტ. ორგანიზაციის – ილია ჭავჭავაძის საზ-ბის ერთ-ერთი ორგანიზატორი, შემდეგ – მისი გამგეობის წევრი. 1989 წ. 21 ოქტ. სოფ. ბორითთან (ხარაგაულის რ-ნი) მომხდარ საავტ. კატასტროფაში ჭ. მძიმედ დაშავდა და 21 დეკ. გარდაიცვალა. დაკრძალულია ყვარელში, საგვარეულო ეკლესიაში.

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837–1907), მწერალი, ქართ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობის სულისჩამდგმელი. პოეტი, პუბლიცისტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, სალიტ. ენის რეფორმატორი და კანონმდებელი, ფართო დიაპაზონის მკვლევარი. „თერგდალეულთა“ ერთ-ერთი მესვეური. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის (1875), ქართ. დრამ. საზ-ბის (1881-იდან) და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის (1885-იდან) თავ-რე. 1863 დააარსა ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1877-იდან რედაქტორობდა თავისსავე დაარსებულ პერიოდულ გამოცემას – „ივერიას“. იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი (1906). ჭ-ის ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულია ფილმები. მოკლეს სოფ. წიწამურთან. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში. მის სახელობის ქუჩა ჰქვია თბილისის ვაკის რაიონში. ძეგლი მის საფლავზე დგას ძეგლი „მწუხარე საქართველო“ (1913; მოქანდაკე ი. ნიკოლაძე. არქიტ. პ. მამრაძე); რუსთაველის გამზირზე კი – ჭ-ისა და ა. წერეთლის ძეგლი (1958; მოქანდაკეები: შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე). მისი ბიუსტი დგას თსუ-ის ეზო-სავანეში (მოქანდაკე ვ. თოფურიძე), ი. ჭავჭავაძის გამზირზე (მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი) და ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწ. უნ-ტის ეზოში (მოქანდაკე ე. ამაშუკელი). თბილისში არის ჭ-ის სახლ-მუზეუმი (მის.: გ. ჩუბინაშვილის 22). მისი სახელობისაა სახელმწ. უნ-ტი, საქართვ. პარლამენტის ეროვნ. ბ-კა; 1987 ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა. წმინდა ილია მართლის ხსენების დღეა 2 აგვისტო.

ჭანკოტაძე შალვა ლავრენტის ძე (1902–65), ავიაციის გენ.-მაიორი. 1938–41 და 1951–65 იყო საქ. სსრ სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი. სსრკ-გერმ. ომის (1941–45) დროს მეთაურობდა განსაკუთრებული დანიშნულების ავიაესკადრილიას, ავიაჯგუფს, პოლკს, დივიზიას. 1946-იდან იყო სსრკ სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე. მის სახელს ატარებს ხეივანი აეროპორტის დასახლებაში, აქვე დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე გ. წულაძე).

ჭანტურია გიორგი (გია) ოთარის ძე (1959–94), ეროვნ.-განმათ. მოძრაობის მოღვაწე. 1981 იატაკქვეშეთში აღადგინა ეროვნ.-დემოკრ. პარტია. 1983 ანტისაბჭ. საქმიანობისათვის დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1985 დაბრუნდა და მრავალი ანტისაბჭ. აქცია მოაწყო. საქართვ. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კვლავ დააპატიმრეს (1991). 1993–94 განაგრძობდა აქტიურ პოლიტ. საქმიანობას, გახდა პოლიტ. ტერორის მსხვერპლი. დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიის ეზოში, სადაც დგას მისი ბიუსტი (მოქანდაკე გ. წულაძე).

ჭიაურელი მიხეილ ედიშერის ძე (1894–1974), კინორეჟისორი, სსრკ სახ. არტისტი (1948), სსრკ სახელმწ. პრემიების (1941, 1943, 1946, 1947, 1950) ლაურეატი. 1921 თბილისში დააარსა სატირის თეატრი. კინემატოგრაფიაში მოსვლამდე დრამ. სცენაზე შეასრულა 60-მდე როლი, დადგა 30-მდე სპექტაკლი. გადაღებულია კინოფილმებში. შემდგომში თვითონ იყო კინოფილმების მხატვარი, რეჟისორი. გადაიღო პირველი ქართ. ხმოვანი ფილმი („არსენა“) და არაერთი საეტაპო ფილმი („დიადი განთიადი“, „ფიცი“, „გიორგი სააკაძე“, „ბერლინის დაცემა“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ.). თბილისში არის ვ. *ანჯაფარიძისა* და მ. ჭ-ის სახლ-მუზეუმი (მის.: ვ. ანჯაფარიძის 16). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ჭიჭინაძე ბესარიონ ალექსის ძე (1887–1937), ინჟინერ-ჰიდრომშენებელი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი (1928), შრომის გმირი (1929). მუშაობდა ზაჰესის (1922–27), რიონჰესის (1927–30) მშენებლობის და ამიერკავკ. ენერგეტ. სამმართველოს უფროსად (1930–34), მოსკოვში – საკავშ. ტრესტ „ჰიდროენერგოპროექტის“ მმართველად. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ჭიჭინაძე დავით ალექსანდრეს ძე (1902–68), ნოვატორი მჭედელი, პარტიული და სამეურნეო მუშაკი.

ჭიჭინაძე ზაქარია ეგნატეს ძე (1854–1931), საზოგადო მოღვაწე, ქართ. მწერლობის და ისტორიის მკვლევარი, გამომცემელი. ხალხოსანი. დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. ხელნაწერთა შეგროვებაში, წიგნების გამოცემასა და გავრცელებაში. არის მრავალი ნარკვევისა და წერილის ავტორი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ჭოველიძე თამარ არკადის ასული (1972–89), 51-ე საშ. სკოლის XI კლასის მოსწავლე, დაიღუპა 1989 წლის 9 აპრილის ღამეს. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე, წმ. ნინოს ეკლესიაში.

ჭონქაძე დანიელ გიორგის ძე (1830–60), მწერალი. კრიტ. რეალიზმის წარმომადგენელი. მისი ერთადერთი ნაწარმოებია „სურამის ციხე“, რ-საც საფუძვლად უდევს ხალხ. ლეგენდა. ნაწარმოების მიხედვით ორჯერ გადაიღეს კინოფილმი.

ჭრელაშვილი სტეფანე თევდორეს ძე (1857–1917), საზოგადო მოღვაწე, ხალხოსანი, პუბლიცისტი. ქალაქის სათათბიროს წევრი ხმის უფლებით. იყო ბალნეოლოგიური კურორტის მოწყობის ინიციატორი, თბილისის ფუნიკულიორის პირველი დირექტორი. 1899–1906 თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიასთან“. წერდა „სანოსა“ და „ტატალას“ ფსევდონიმებით.



ხაბეიშვილი სოლიკო ევტიხის ძე (1935–95), პარტიული და საზოგადო მოღვაწე. 1964-იდან კომკავშირული და პარტიული მუშაკი, იყო ქუთაისის ქალაქკომის მდივანი, საქ. კპ ცკ-ის საორგანიზაციო განყ-ბის გამგე, 1982–85 – ცკ-ის მდივანი, 1992-იდან – ე. შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინების“ დირექტორთა საბჭოს თავ-რე. მის სახელთანაა დაკავშირებული მესხეთ-ჯავახეთის მიწაზე აჭარლების ჩამოსახლება, გუდაურის კომპლექსის მშენებლობა და სხვ. იყო ალპინისტი – სპორტის ოსტატი. დაიღუპა ტერაქტის შედეგად.

ხარაბაძე ათანასე გაბრიელის ძე (1882–1966), პედაგოგი, მეთოდისტი. პედ. მეცნ. კანდიდატი (1951), საქართვ. დამს. მასწავლებელი (1944). მათემატიკის ქართ. ორიგინ. სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორი. დაჯილდოებულია ი. გოგებაშვილის სახ. მედლით (1965).

ხარაძე ევგენი კირილეს ძე (1907–2001), ასტრონომი, საზოგადო და სახელმწ. მოღვაწე. საქართვ. (1955) და სსრკ (1984) მეცნ. აკად. აკადემიკოსი. საქართვ. მეცნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1972–77), პრეზიდენტი (1978–86). საერთაშ. ასტრონ. კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1976–82). საქართვ. მეცნ. აკად. აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვ. დამაარსებელი და მისი დირექტორი (1932–92), საპატიო დირექტორი (1992–2001). ხ-ის შრომები ძირითადად ეძღვნება გალაქტიკის აგებულებას. მისი სახელი ეწოდა აბასთუმნის ასტროფიზ. ობსერვატორიას (2001) და ერთერთ მცირე ცოთმილს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ხაჩატურიანი არამ ილიას ძე (1903–78), სომეხი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. სსრკ (1954) და საქართვ. (1973) სახ. არტისტი, სომხ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1963), ლენინური (1959) და სსრკ სახელმწ. (1941, 1943, 1946, 1950, 1971) პრემიების ლაურეატი. ხ-ის შემოქმედება XX ს. მუსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ცნობილია მისი ბალეტები „გაიანე“ (1942), „სპარტაკი“ (1954), საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები, მუსიკა სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის. ხ-ის მუსიკაზე გავლენა იქონია თბილისურმა ქალაქურმა ფოლკლორმა (ხ. დაიბადა საქართველოში და 18 წელი იცხოვრა თბილისში).

ხახანაშვილი ალექსანდრე სოლომონის ძე (1864–1912), მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ფილოლოგი, ისტორიკოსი. მოსკ. საიმპერატორო არქეოლ. საზ-ბის ნამდვ. წევრი (1899). ქართ. ხალხ. სიტყვიერების, ძვ. ქართ. ხელნაწერების, ძვ. და შუა საუკ. საქართვ. ისტორიის მკვლევარი და მოამაგე. ხ-ის ინიციატივით და მატერ. დახმარებით მოსკოვში შეიქმნა ქართ. კულტურის მოყვარულთა საზ-ბა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ხეთაგუროვი (ხეთაგათი) კოსტა (კონსტანტინე) ლევანის ძე (1859–1906), ოსი პოეტი, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, ოსური ლიტ-რის ფუძემდებელი. წერდა რუს. და ოსურ ენებზე. ხ-ის თხზულებები რამდენჯერმე გამოიცა ქართ. ენაზე.

ხერგიანი მიხეილ ბესარიონის ძე (1932–69), ალპინისტი, სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1963), საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1967), ალპინიზმში – სსრკ სამგზის და კლდეზე ცოცვაში სსრკ ჩემპიონატების შვიდგზის ჩემპიონი. გამოირჩეოდა მთაზე ასვლისა და კლდეზე ცოცვის უბადლო ოსტატობით, რის გამოც ინგლისის დედოფალმა მას „კლდის ვეფხვი“ უწოდა (1960). დაიღუპა იტალიაში, მწვ. სუ-ალტოზე (დოლომიტის ალპები). დაკრძალულია მესტიაში, სადაც გახსნილია ხ-ის მემორიალური მუზეუმი. მისი სახელი ეწოდა თურქესტანის ქედზე 4960 მ სიმაღლის მწვერვალს.

ხერხეულიძეები, ცხრა ძმა ხერხეულიძე, სპარსელების წინააღმდეგ გამართულ მარაბდის ბრძოლაში (1625) გმირულად დაღუპული მეომრები. ხ-ის მამაცური თავდადების ამბავი ფართოდ არის ასახული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. მათ შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა ლადო ასათიანმაც. 2008 ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ცხრა ძმა ხერხეულიძე წმინდა მოწამეებად შერაცხა. მათი ხსენების დღეა 16 აგვისტო.

ხეჩუაშვილი გიგო (გრიგოლ) გასპარის ძე (თემმისხეველი) (1879–1960), პოეტი. მუშაობდა სტამბაში ასოთამწყობად. XX ს. დასაწყისში მისი ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

ხვედელიანი იაკობ რომანის ძე (1906–78), ინჟინერ-თბოტექნიკოსი, საქართვ. დამს. ინჟინერი (1960), დამს. რაციონალიზატორი (1967), სოციალ. შრომის გმირი (1966). 1948–78 იყო გ. დიმიტროვის სახ. 31-ე საავიაციო ქარხნის დირექტორი. მიღებული აქვს საქართვ. სახელმწ. პრემია (1975). დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ხვინგია მიხეილ ვლადიმერის ძე (1924–94), მეცნიერი მანქანათმშენებლობისა და მანქანათმცოდნეობის დარგში, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1988). საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1979). 1988–94 იყო საქართვ. მეცნ. აკად. გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი.

ხვიჩია იპოლიტე ალექსანდრეს ძე (1910–85), მსახიობი, საქართვ. სახ. არტისტი (1960). მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში, ასრულებდა ძირითადად კომედიურ როლებს. 1956-იდან იღებდნენ კინოფილმებში. გამოდიოდა ესტრადაზეც. ხ-ს შემოქმედება მაყურებელს ხიბლავდა თავისი უბრალოებითა და ბუნებრივი იუმორით. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ხიზანიშვილი ომარ შალვას ძე (1938–84), პარტიული და სამეურნეო მუშაკი. იყო თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი, 1980–84 – საქართვ. კომპარტიის ქ. თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი. მისი უშუალო თაოსნობითა და ინიციატივით განხორციელდა გლდანის რ-ნის კეთილმოწყობა და ეკონ. განვითარება. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ხიმშიაშვილი სელიმ (სოლომონ) აბდულის ძე (1755–1815), ახალციხის ფაშა, სარდალი, სულთნის ვეზირი, საფუძველი დაუდო ოსმალთა ბატონობისაგან სამხრ. საქართველოს დახსნას. 1815 წ. 3 ივნისს ხ-ს სავაროდ მოკვეთეს თავი ხიხანის ისტ. ციხის ძირას, სოფ. ბაკოში. სიკვდილის წინ მისი ბოლო სიტყვა იყო: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, გურჯისტანი სამუდამოდ ოსმალოს არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“. 1990 ბათუმში დაარსდა სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზ-ბა.

ხმელნიცკი ბოგდან მიხეილის ძე (1595–1657), უკრაინელი სახელმწ. და სამხ. მოღვაწე. უკრაინის ჰეტმანი (1648). ხ. სათავეში ჩაუდგა უკრ. ხალხის განმათ. ომს (1648–54) პოლონელების წინააღმდეგ. მისი ინიციატივით 1654 უკრაინა რუსეთს შეუერთდა.

ხომლელი (ნამდვ. გვარი – ფანცხავა) რომანოზ სპირიდონის ძე (1861–1928), კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. 1890 იყო ქართ. წიგნების მბეჭდავი ამხანაგობის დაარსების ერთ-ერთი მოთავე. აღსანიშნავია ხ-ის წვლილი რუსთველოლოგიური კვლევის ისტორიაში, აგრეთვე მისი წერილების სერია ქართველი მწერლების შესახებ, მემუარები და ა. შ. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ხორავა აკაკი ალექსის ძე (1895–1972), თეატრისა და კინოს მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, თანამედროვე რეალისტური თეატრ. ხელოვნების გამოჩენილი ოსტატი, გმირულ-რომანტ. პლანის მსახიობი. საქართვ. (1934) და სსრკ (1936) სახ. არტისტი. ხუთგზის სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941, 1943, 1946 – ორჯერ, 1951), პროფესორი (1947). შოთა რუსთაველის სახ. საქართვ. თეატრ. ინ-ტის ერთ-ერთი დამაარსებელი და დირექტორი. მრავალი წლის მანძილზე იყო საქართვ. თეატრ. საზ-ბის თავ-რე (ერთ-ერთი დამაარსებელი). მისი სახელი ეწოდა მსახიობის სახლს. თბილისში არის ხ-ს სახლ-მუზეუმი (მის.: ს. ჯანაშიას 4). მისი ბიუსტი დგას კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ეზოში (მოქანდაკე ნ. კანდელაკი). დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ხოშარაული (ხოშურაული) ნადირა საღირას ძე, სახალხო გმირი სოფ. ბაცალიგოდან. ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ კახეთის აჯანყების (1660) ერთ-ერთი მონაწილე. ხევსურთა ჯარის წინამძღოლი. წამებით მოკლეს შაჰის კარზე.

ხუდადოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1849–1907), თბილისელი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ქალაქის სათათბიროს წევრი ხმის უფლებით, ჟურნ. „ივერიის“ თანამშრომელი. მოკლეს შავრაზმელებმა (აღსანიშნავია, რომ მისი უშუალო მკვლელი ტერორისტმა მეორე დღესვე მოკლა). ხ-მა 1893–96 მტკვრის მარცხ. მხარეს, ნაძალადევის რ-ნში, გააშენა ტყე-პარკი, რ-საც მისი სახელი ეწოდა.

ხუციშვილი ვასილ მინას ძე (1887–1905), რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე. მონაწილეობდა თბილისის მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, მუშაობდა ბაქოს რსდმპ ცკ-ის არალეგალურ სტამბაში, შემდეგ იყო თბილისში თხინვალის ქუჩაზე მდებარე არალეგალური სტამბის ასოთამწყობი. 1905 წ. 23 დეკ. შავრაზმელებმა სახლი გადაწვეს, ხ. კი მოკლეს.

ჯაბიძე დავით ვასილის ძე (1917–82), საბჭოთა კავშირის გმირი (1946), კაპიტანი, სსრკ-ფინეთის (1939–40) და სსრკ-გერმ. (1941–45) ომების მონაწილე, მფრინავი, საჰაერო ესკადრილიის მეთაური. ჩაატარა 100-ზე მეტი საჰაერო ბრძოლა. პირადად ჩამოაგდო მტრის 27 თვითმფრინავი. იყო თსუ-ის პროფესორი, სპეციალობით ისტორიკოსი. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე (1876–1940), ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. თბილისის უნ-ტის დაარსების ინიციატორი (1918). სსრკ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1939). თსუ-ის რექტორი (1919–26), საქართვ. საისტ. და საეთნოგრ. საზ-ბის თავ-რე (1921–31), შოთა რუსთაველის სახ. მუზეუმის დირექტორი (1937-იდან). ღრმა კვალი დატოვა მეცნ. ქართველოლოგიაში. არ დარჩენილა ისტ.-ფილოლ. მეცნიერების არც ერთი დარგი, რ-შიაც მას ფუძემდებლური ნაშრომები არ დაეტოვებინოს. მისი სახელობისაა თსუ, საქართვ. მეცნ. აკად. ისტ. და ეთნოლოგიის ინ-ტი; დაწესებულია ჯ-ის სახ. სტიპენდიები, პრემია. 1977–98 გამოიცა ჯ-ის შრომების თორმეტტომეული. დაკრძალულია თსუ-ის ეზოსავანეში, იქვე დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე თ. ღვინიაშვილი).



ივანე ჯავახიშვილის ძეგლი.

ჯავახიშვილი მიხეილ საბას ძე (1880–1937), მწერალი. გაზ. „ივერიისა“ (1904) და „გლეხის“ რედაქტორი. ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი XX ს. ქართ. რეალისტურ რომანს. ავტორი რომანებისა, მოთხრობებისა, პუბლიც., ლიტ.-კრიტ. ნარკვევებისა. მისი ნაწარმოებების მიხედვით იდგმება სპექტაკლები. მარჯანიშვილის თეატრში 1974 დაიდგა „კვაჭი კვაჭანტირაძე“ (რეჟისორები დ. ალექსიძე, ნ. გაჩავა), 1983 – „ჯაყოს ხიზნები“ (რეჟ. თ. ჩხეიძე). გადაღებულია ტელეფილმები. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ჯამბული (ჯამბულ ჯაბაევი) (1846–1945), ყაზახი სახალხო პოეტი (აკინი), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1941). 1937 იმოგზაურა საქართველოში, დაესწრო ვეფხისტყაოსნის 750 წლის იუბილეს. ჯ-ის სიმღერები თარგმნილია მრავალ ენაზე, მ. შ. ქართულადაც.

ჯანაშვილი მოსე გიორგის ძე (1855–1934), ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი. დაამთავრა ზაქათალის სამაზრო სასწავლებელი, თბილისის სას. სემინარია. იყო თბილისის პოლიტექ. ინ-ტის ლექტორი, საეკლესიო მუზეუმის გამგე. 1884 გამოაქვეყნა „საქართველოს მოკლე ისტორია“. აღწერილი აქვს ქართ. ხელნაწერები, შეისწავლა ეკლესიების ისტორია. ავტორია მრავალი საენათმეცნიერო, ლიტ., წყაროთმცოდნეობითი ნაშრომისა. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ჯანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე (1900–47), ისტორიკოსი, საქართვ. (1941) და სსრკ (1943) მეცნ. აკად. აკადემიკოსი, საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). საქართვ. მეცნ. აკად. ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1941-იდან), 1936–41 იყო სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის ენიმკის დირექტორი, 1941–43 ორი ინ-ტის – ისტორიისა და ენათმეცნიერების ინ-ტების დირექტორი, 1943–47 – ისტ. ინ-ტის დირექტორი; ორგზის სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1943, 1947). ჯ. იკვლევდა ძვ. და ადრინდ. შუა საუკ. საქართველოს ისტორიის პრობლემებს, ქართ. კულტ. ისტორიისა და ისტ. გეოგრაფიის საკითხებს. ჯ-მ ახ. ეტაპი შექმნა ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემის კვლევაში, ხელმძღვანელობდა არქეოლ. კვლევა-ძიებებს და სხვ. მისი სახელობისაა საქართვ. ეროვნული მუზეუმი. დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის ძე (1888–1975), გეოლოგი, ქართ. გეოლ. სკოლისა და საქართველოში გეოლ. განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართვ. მეცნ. აკად. დამფუძნებელი ნამდვილი წევრი (1941), აკად. პრეზიდიუმის წევრი, ვიცე-პრეზიდენტი (1951–55), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1946). 1942–45 იყო თსუ-ის რექტორი, 1925–55 – თავისივე დაარსებული გეოლ. ინ-ტის დირექტორი (1976-იდან მისი სახელობისაა), 1937–75 – საქართვ. გეოლ. საზ-ბის თავ-რე. გეოლ. ინ-ტის ეზოში დგას ჯ-ის ძეგლი (მოქანდაკე რ. დავლიანიძე). დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჯანელიძე იუსტინე ივლიანეს ძე (1883–1950), ქირურგი, სსრკ მედ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1944), რსფსრ მეცნ. დამს. მოღვაწე (1936), მედ. სამსახურის გენ.-ლეიტენანტი (1943), სოციალ. შრომის გმირი (1945), სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1949). 1947 აირჩიეს ქირურგთა საკავშ. საზ-ბის გამგეობის თავ-რედ. მოღვაწეობდა ლენინგრადში (ახლანდ. სანქტ-პეტერბურგი).

ჯანჯღავა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე (1907–82), სამხედრო მოღვაწე, გენ.-ლეიტენანტი (1953), საბჭ. კავშირის გმირი (1945). სსრკ-გერმ. ომის (1941–45) მონაწილე. ჯ-მ 65-ე არმიის შემადგენელი თავისი დივიზიით პირველმა გადალახა მდ-ები ვისლა და ოდერი. 1954–58 იყო საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, 1962-იდან გარდაცვალებამდე – საქ. სსრ დოსაფის ცკ-ის პრეზიდიუმის თავ-რე. დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში.

ჯაფარიძე პროკოფი აფრასიონის ძე (პარტ. ფსევდ. – ალიოშა) (1880–1918), კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწ. მოღვაწე. 1918-იდან ბაქოს საბჭოს აღმასკომის თავ-რე, ბაქოს სახკომსაბჭოს შინაგან საქმეთა და სასურსათო საქმეთა სახ. კომისარი. დახვრიტეს როგორც ერთ-ერთი *ბაქოელი კომისარი*.

ჯაფარიძე რევაზ ანდრიას ძე (1923–99), მწერალი, შოთა რუსთაველის სახ. (1983) და საქართვ. (1993) სახელმწ. პრემიების ლაურეატი. ავტორი რომანებისა, მოთხრობებისა, კრიტ. და პუბლიც. წერილებისა. 1958 რეჟ. თ. აბულაძემ ჯ-ის სცენარის მიხედვით გადაიღო ფილმი „სხვისი შვილები“. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჯიბლაძე გიორგი ნიკოლოზის ძე (1913–89), ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე, ლიტ-რის კრიტიკოსი, ესთეტიკოსი, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1960), ვიცე-პრეზიდენტი (1980-იდან), სსრკ პედ. მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (1966), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1963). საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1987). მიღებული აქვს ი. გოგებაშვილისა და კ. უშინსკის სახ. პრემიები. ჯ. იყო საქართვ. განათლების (1953–60), საქართვ. უმაღლესი და საშ. სპეც. განათლების (1963–80) მინისტრი. იკვლევდა ქართ. ლიტ-რის, ესთეტიკის თეორ. პრობლემებს.

ჯიქია ვლადიმერ გაბრიელის ძე (1893–1937), რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე, რუს. სამოქალაქო ომის მონაწილე, ჰიდრომშენებელი. 1919–21 იყო პეტროგრადის სამხ. ოლქის სამხ. კომისარი, 1922 – საქართვ. სამხ.-საზღვ. საქმეთა სახ. კომისარი, 1930 – ტრესტ „ზაკენერგოსტროის“ მმართველი, 1932–34 – რიონჰესის მშენებლობის უფროსი, 1934–36 – ტრესტ „საქჰიდროელექტრომშენის“ მმართველი და ხრამჰესის მშენებლობის უფროსი. იყო რეპრესირებული საბჭ. რეჟიმის მიერ.

ჯიქია სერგი სიმონის ძე (1898–1993), აღმოსავლეთმცოდნე, თურქოლოგი, თურქოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, საქართვ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1961). იყო თსუ-ის აღმოსავლურ ენათა და თურქოლოგიის კათედრების გამგე (1936–73), ხოლო 1960-იდან გარდაცვალებამდე – აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის თურქოლოგიის განყ-ბის გამგე. მისი ფუნდამენტური ნაშრომები ეხება თურქ. ფილოლოგიას, ენის ისტორიას და თურქ.-ქართ. ენობრივ კონტაქტებს.

ჯორბენაძე ვიქტორ ნიკოლოზის ძე (1924–98), არქიტექტორი. მუშაობდა „თბილქალაქპროექტში“. მისი ინიციატივით და სახსრებით შეიქმნა „ქალაქური ინტერიერის მუზეუმი XIX საუკუნისა“, რ-იც მისივე სახელობის ქუჩაზე მდებარეობს. აქვეა მისი სახლ-მუზეუმი.

ჯორჯაძე არჩილ კონსტანტინეს ძე (1872–1913), პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ესთეტიკოსი, საქართვ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლიდერი. 1903–05 საფრანგეთში რედაქტორობდა გაზ. „საქართველოს“. 1905, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შექმნა „საერთო ნიადაგის თეორია“. იკვლევდა ხელოვნებისა და საზ-ბის ურთიერთმიმართებას, ხელოვნ. თეორიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პრობლემატიკას. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ჯორჯიაშვილი (ჯოიაშვილი) არსენ პავლეს ძე (1881–1906), რევოლუციონერი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშათა გაფიცვებში, ავრცელებდა რევ. ლიტერატურას. თბილისის მებრძოლი რაზმის გადაწყვეტილებით, ბარიატინსკის (ახლანდ. გ. ჭანტურიას) ქუჩაზე ყუმბარა ესროლა და მოკლა კავკ. სამხ. შტაბის უფროსი გენ. გრიაზნოვი, რისთვისაც თბილისის გუბერნიის ციხეში ჩამოახრჩვეს.

ჯულაშვილი იოსებ ბესარიონის ძე, იხ. ი. ბ. *სტალინი.*

ჰაზირა (ნამდვ. სახელი და გვარი – აბრამ აბრამოვი) (1845–1922), თბილისელი მგოსანი, დაირის დაკვრის ოსტატი, აშუღი. მან თავისი დასტით მთელი საქართველო შემოიარა. ამასთან წერდა პიესებსა და მოთხრობებს.



ქალაქის ერთ-ერთი კუთხე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბალახაშვილი ი., ძველი თბილისი, თბ., 1951.
ბენდიანიშვილი ა., თბილისის საქალაქო თვითმმართველობა (1875–1917 წწ.), თბ., 1960.
ბეჟანიშვილი გ., რუსთაველის პროსპექტი და მოედანი, თბ., 1967.
ბერიძე ვ., XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით. – «ანალები» (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები), ტ. 1, თბ., 1947.
ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება (1801–1917 წლები), I–II, თბ., 1960–63.
ბერიძე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.
ბერიძე თ., ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980.
ბერძნიშვილი მამისა, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში (ქართული დოკუმენტური მასალის მიხედვით), თბ., 1965.
ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ნაწ. 1–2, თბ., 1980–83.
გაბისონია ო., თბილისის ქუჩების ცნობარი, თბ., 2007.
გერსამია თ., ძველი თბილისი, თბ., 1984.
გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, ტფ., 1927.
გრიშაშვილი ი., ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1957.
დოლიძე ლ., გენერლები საქართველოდან, თბ., 2003.
დონდუა დ., საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, ტფ., 1923.
ზარდალიშვილი გ., თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, თბ., 1978.
თბილისი – 1500. საიუბილეო კრებული. პ/მგ რედაქტორი პროფ. ს. ჟღენტი, თბ., 1958.
თბილისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა). რედაქტორი საქართვ. მეცნ. აკადემიის წ.-კორ. ვ. ჯაოშვილი, თბ., 1989.
თბილისი. ენციკლოპედია. მთ. რედაქტორი ა. საყვარელიძე, თბ., 2002.
თბილისის ისტორია, ტ. I. რედაქტორები მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა, თბ., 1990.
თბილისის ქუჩები. ცნობარი – ატლასი. შემდგენელი ნ. იაკობაშვილი, თბ., 1996.
თბილისის ქუჩების 1940, 1955, 1960, 1974, 1986 წლების ცნობარები.
თბილისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალები (გ. ბეჟანიშვილის პირადი ფონდი №156; 1931–94 წწ.).
კარბელაშვილი მ., კინწურაშვილი ს., ჯანბერიძე ნ., თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 1958.
კვირკველია თ., ძველი თბილისი, თბ., 1984.
კვირკველია თ., ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985.
კვირკველია თ., ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში, თბ., 1989.
ლიტერატურული თბილისი. მეგზური. ავტორ-შემდგენელი ბ. კანდელაკი, თბ., 1991.
მანია მ., ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბ., 2006.
მესხია შ., გვრიტიშვილი დ., დუმბაძე მ., სურგულაძე ა., თბილისის ისტორია, თბ., 1958.

მთელი ტფილისი 1925 და 1926 წელს. ცნობათა წიგნი, ტფ., [1926].
საქართველო. ენციკლოპედია, ტ. 1, მთ. რედაქტორი ა. საყვარელიძე, თბ., 1997.
«ტფილისის საბჭოს მოამბე», 1923, №3.
ტყეშელაშვილი ო., თბილისი. მეგზური, თბ., 1977.
ტყეშელაშვილი ო., თბილისის ქუჩები (მოკლე ისტორია), თბ., 1986.
ტყეშელაშვილი ო., თბილისის ქუჩების ცნობარი (ძველი და ახალი სახელდებანი), თბ., 1996.
უკვდავება, ნაწ. 1–2, თბ., 1996–2004.
ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, თბ.–ათენი, 2003.
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მთ. რედაქტორი ირ. აბაშიძე, ტ. 1–11, თბ., 1975–87; სპეცტომი – საქართველოს სსრ, თბ., 1981.
ჯანაშვილი მ., საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი, ქუთ., 1899.
ჯაში ნ., სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1983.
Бадриашвили Н. И., Тбилиси, Тб., 1957.
Большая Советская Энциклопедия. Гл. редактор А. М. Прохоров, т. 1—30, М., 1969—78.
Вейссенгоф С. А., По вопросу благоустройства Тифлиса, Тфл., 1879.
Джавришвили К. В., Тбилиси. Краткий путеводитель, Тб., 1961.
Иоселиани П. И., Описание древностей города Тифлиса, Тфл., 1866.
«Кавказский календарь». 1846–1917. Ежегодник, вып. 1—72, Тфл., 1845–1916.
«Кавказский календарь». Алфавитный список улиц, переулков, проездов и площадей гор. Тифлиса, составленный строительным отделением Городской Управы в 1903 г., Тфл., 1907.
Квирквелия Т. Р., Архитектура Тбилиси, М., 1985.
Путеводитель по Тифлису. Сост. К. Н. Бегичев, Тфл., 1896.
Путеводитель по Тифлису. С планом города и театров. Сост. А. А. Лебедев, Тфл., 1904.
Русский биографический словарь, С.-Пб., 1896–1918.
Сборник сведений о Кавказе, т. 6. Тифлис по однодневной переписи 25-го марта 1876 года, Тфл., 1880.
Справочник по городу Тбилиси, Тб., 1940.
Тифлис и его окрестности. Путеводитель, под ред. И. А. Асланишвили, Тфл., 1925.
Улицы Тифлиса, Тфл., 1926.
Цинцадзе В. Г., Тбилиси. Архитектура старого города и жилые дома первой половины X1X столетия, Тб., 1958.
Чрелаев С. Т., Тифлис в XIX столетии. – «Весь Кавказ», 1903, №1, стр. 53–62.
Чхетия Ш. К., Тбилиси в XIX столетии, Тб., 1939.
Энциклопедический словарь Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрона, т. 1–82, доп. тт. 1–4, С.-Пб., 1890–1907.



ძირითადი შემოკლებანი


აგვ. — აგვისტო, აგვისტოს
აგრ. — აგრარული
ადგილ. — ადგილობრივი
ადმ. — ადმინისტრაციული
ადმ.-ტერ. — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული
ადრინდ. — ადრინდელი
ავტონ. — ავტონომიური, ავტონომიისა
აზერბ. — აზერბაიჯანელი, აზერბაიჯანისა, აზერბაიჯანული
ათ. — ათასი
ათასწლ. — ათასწლეული
აკად. — აკადემია, აკადემიისა, აკადემიური
აკად. — აკადემიკოსი (მხოლოდ გვართან)
ალპ. — ალპური
ამერ. — ამერიკელი, ამერიკისა, ამერიკული
ამიერკავკ. — ამიერკავკასიისა
ანთროპოლ. — ანთროპოლოგიისა, ანთროპოლოგიური
ანტ. — ანტიკური
აო — ავტონომიური ოლქი (სახელწოდებასთან)
აპრ. — აპრილი, აპრილისა
არაბ. — არაბთა, არაბეთისა, არაბული
არქ. — არქაული
არქეოლ. — არქეოლოგიისა, არქეოლოგიური
არქიტ. — არქიტექტორი (გვართან), არქიტექტურისა, არქიტექტურული
აფხ. — აფხაზი, აფხაზეთისა, აფხაზური
აქტ. — აქტიური
აღმ. — აღმოსავლეთი (მსაზღვრელად)
აშშ — ამერიკის შეერთებული შტატები
ახ. — ახალი
ახლანდ. — ახლანდელი
ახ. სტ. — ახალი სტილით (თარიღთან)
ახ. წ. — ახალი წელთაღრიცხვით (თარიღთან)
ბათ. — ბათუმის
ბალნეოლ. — ბალნეოლოგიური
ბერძნ. — ბერძნული
ბიბლ. — ბიბლიური
ბიბლიოგრ. — ბიბლიოგრაფია, ბიბლიოგრაფიული
ბიზანტ. — ბიზანტიელი, ბიზანტიისა, ბიზანტიური
ბიოგრ. — ბიოგრაფიული
ბ-კა — ბიბლიოთეკა
ბოტან. — ბოტანიკისა, ბოტანიკური
ბურჟ. — ბურჟუაზიული
გ. — გარდაიცვალა (თარიღთან)
გაერთ. — გაერთიანებული
გაერო — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
გაზ. — გაზეთი (სახელწოდებასთან)
გამზ. — გამზირი
გამომც. — გამომცემლობა
გამოც. — გამოცემა
განმათ. — განმათავისუფლებელი
განყ-ბა — განყოფილება
გას. — გასასვლელი
გენ. — გენერალი (გვართან), გენერალური
გეოგრ. — გეოგრაფიისა, გეოგრაფიული
გეოლ. — გეოლოგიისა, გეოლოგიური
გერმ. — გერმანელი, გერმანიისა, გერმანული
გვიანდ. — გვიანდელი
გუბ. — გუბერნია (სახელწოდებასთან)
დ. — დაიბადა (თარიღთან)
დამს. — დამსახურებული
დას. — დასავლეთი (მსაზღვრელად)
დაღმ. — დაღმართი
დაწყ. — დაწყებითი (სკოლა)
დეკ. — დეკემბერი, დეკემბრისა
დემოგრ. — დემოგრაფიული
დემოკრ. — დემოკრატიული
დეპარტ. — დეპარტამენტი (სახელწოდებასთან)
დიალექტ. — დიალექტიკური
დიდაქტ. — დიდაქტიკური
დიპლ. — დიპლომატიური
დოგმატ. — დოგმატიკური
დ. პ. — დასახლებული პუნქტი (სახელწოდებასთან)
დრამ. — დრამატული
დსთ — დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
ებრ. — ებრაელი, ებრაული
ევოლ. — ევოლუციისა, ევოლუციური
ევრ. — ევროპელი, ევროპისა, ევროპული
ეთნ. — ეთნიკური
ეთნოგრ. — ეთნოგრაფიისა, ეთნოგრაფიული
ეკონ. — ეკონომიკისა, ეკონომიკური, ეკონომიური
ენათმეცნ. — ენათმეცნიერებისა, ენათმეცნიერული
ენიმკი — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
ერთ. — ერთეული
ეროვნ. — ეროვნული
ექსპერ. — ექსპერიმენტული
ვერტ. — ვერტიკალური
ვეტ. — ვეტერინარიისა, ვეტერინარული
ზ. დ. — ზღვის დონიდან (ციფრობრივ მონაცემებთან)
ზოოლ. — ზოოლოგიისა, ზოოლოგიური
ზოოტექ. — ზოოტექნიკისა, ზოოტექნიკური
თავ-რე — თავმჯდომარე
თარგმ. — თარგმანი, თარგმნილი
თეატრ. — თეატრისა, თეატრალური
თებ. — თებერვალი, თებერვლისა
თეოლ. — თეოლოგიისა, თეოლოგიური
თეორ. — თეორიული
თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თურქ. — თურქეთისა, თურქული
თხზ. — თხზულება, თხზულებათა
იანვ. — იანვარი, იანვრისა
იდეალ. — იდეალისტური
ივლ. — ივლისი, ივლისისა
ივნ. — ივნისი, ივნისისა
იმპ. — იმპერატორი (სახელთან)
იმპორტ. — იმპორტული
ინდოევრ. — ინდოევროპული
ინტენს. — ინტენსიური
ინ-ტი — ინსტიტუტი
ირან. — ირანელი, ირანისა, ირანული
ირონ. — ირონიული
ისტ. — ისტორიისა, ისტორიული
იტალ. — იტალიელი, იტალიისა, იტალიური

კავკ. — კავკასიელი, კავკასიისა, კავკასიური
კათოლ. — კათოლიკური
კანდ. — კანდიდატი, კანდიდატისა
კაპიტ. — კაპიტალური
კაპიტალ. — კაპიტალისტური
კვ. — კვარტალი
კვადრ. — კვადრატული
კლიმ. — კლიმატისა, კლიმატური
კლინ. — კლინიკური, კლინიკისა
კოლხ. — კოლხური
კომ. — კომიკური
კომპ. — კომპოზიტორი
კომპარტია — კომუნისტური პარტია
კომპლ. — კომპლექსური
კომუნ. — კომუნალური
კონსერვ. — კონსერვატორია
კონსტ. — კონსტიტუციისა, კონსტიტუციური
კოოპ. — კოოპერაციისა, კოოპერაციული
კოსმ. — კოსმოსისა, კოსმოსური
კპ(ბ) — კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)
კრებ. — კრებული
კულტ. — კულტურული (საზღვრულთან), კულტურისა
კურ. — კურორტი (სახელწოდებასთან)
კუსტ. — კუსტარული
ლათ. — ლათინური
ლიბერ. — ლიბერალური
ლინგვ. — ლინგვისტიკისა, ლინგვისტიკური, ლინგვისტური
ლიტ. — ლიტერატურული, ლიტერატურა (ბიბლიოგრაფიაში)
ლიტ-რა — ლიტერატურა (ტექსტში)
მაგნ. — მაგნიტური
მათ. — მათემატიკისა, მათემატიკური
მანუფ. — მანუფაქტურისა, მანუფაქტურული
მატერ. — მატერიალური
მატერიალ. — მატერიალისტური
მაქს. — მაქსიმალური, მაქსიმუმი
მდ. — მდინარე (სახელწოდებასთან)
მეგრ. — მეგრული
მედ. — მედიცინისა
მეტროლ. — მეტროლოგიისა, მეტროლოგიური
მექან. — მექანიკური
მეცნ. — მეცნიერებისა, მეცნიერული
მთ. — მთავარი (თანამდებობასთან)
მითოლ. — მითოლოგიისა, მითოლოგიური
მინ. — მინიმალური, მინიმუმი
მინერ. — მინერალური
მის. — მისამართი
მისტ. — მისტიკური
მკრ-ნი — მიკრორაიონი
მოთხრ. — მოთხრობა (სათაურთან)
მონუმ. — მონუმენტური
მოსკ. — მოსკოვი, მოსკოვისა
მოსწ. — მოსწავლე
მოძვ. — მოძველებული
მსოფ. — მსოფლიო
მუს. — მუსიკალური
მუსლ. — მუსლიმანური
მცხ. — მცხოვრები
მწვ. — მწვერვალი (სახელწოდებასთან)
ნაკვ. — ნაკვეთი
ნამდვ. — ნამდვილი
ნატო — ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
ნახ. — ნახევარი (I ნახ., II ნახ.)
ნოემბ. — ნოემბერი, ნოემბრისა
ობსერვ. — ობსერვატორია
ოლიმპ. — ოლიმპიური
ოპერატ. — ოპერატიული
ოპტ. — ოპტიკისა, ოპტიკური
ოპტიმ. — ოპტიმისტური
ორგ. — ორგანული
ორიგინ. — ორიგინალური
ოსმ. — ოსმალეთისა, ოსმალური
ოფიც. — ოფიციალური
ოქტ. — ოქტომბერი, ოქტომბრისა
პათოლ. — პათოლოგიისა, პათოლოგიური
პარლამ. — პარლამენტისა, პარლამენტური
პატრ. — პატრიოტული
პედ. — პედაგოგიკისა, პედაგოგიური
პესიმ. — პესიმისტური
პეტერბ. — პეტერბურგი, პეტერბურგისა
პლასტ. — პლასტიკური
პ/მგ — პასუხისმგებელი
პოლ. — პოლონელი, პოლონეთისა, პოლონური
პოლიგრ. — პოლიგრაფიისა, პოლიგრაფიული
პოლიტ. — პოლიტიკური
პოპულ. — პოპულარული
პრაქტ. — პრაქტიკული
პრივილ. — პრივილეგიური
პრიმიტ. — პრიმიტიული
პროგრ. — პროგრესული
პროვ. — პროვინციისა, პროვინციული
პროსპ. — პროსპექტი
პროფ. — პროფესიული
ჟურნ. — ჟურნალი (სათაურთან)
რეგულ. — რეგულარული
რედ. — რედაქტორი
რევ. — რევოლუციისა, რევოლუციური
რევკომი — რევოლუციური კომიტეტი
რეკონსტრ. — რეკონსტრუქცია, რეკონსტრუქციისა
რელიგ. — რელიგიისა, რელიგიური
რეჟ. — რეჟისორი
რესპ. — რესპუბლიკა, რესპუბლიკისა, რესპუბლიკური
რ-ის — რომლის
რ-იც — რომელიც (მოკლდება ყველა ბრუნვაში)
რ-ებიც — რომლებიც (მოკლდება ყველა ბრუნვაში)
რვაწლ. — რვაწლიანი
რკპ(ბ) — რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)
რ-ნი — რაიონი
რ-ნული — რაიონული
რომანტ. — რომანტიკული
რსდმპ — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
რუს. — რუსეთის, რუსული
რჩ. — რჩეული
ს. — საუკუნე (თარიღთან)
საავტ. — საავტომობილო
საარტ. — საარტილერიო
საბჭ. — საბჭოთა
საერთაშ. — საერთაშორისო
საზ. — საზოგადო, საზოგადოებრივი
საზ-ბა — საზოგადოება (სახელწოდებასთან)

საზღვ. — საზღვაო
საინჟ. — საინჟინრო
საისტ. — საისტორიო
საკავშ. — საკავშირო
სალიტ. — სალიტერატურო
სამართ. — სამართლის, სამართლებრივი
სამედ. — სამედიცინო
სამეურნ. — სამეურნეო
სამეცნ. — სამეცნიერო
სამეცნ.-კვლ. — სამეცნიერო-კვლევითი
სამკურნ. — სამკურნალო
სამოქ. — სამოქალაქო
სამრეწვ. — სამრეწველო
სამშ. — სამშენებლო
სამხ. — სამხედრო
სამხრ. — სამხრეთი (მსაზღვრელად)
სანიტ. — სანიტარიული
სას. — სასულიერო
სას.-სამ. — სასოფლო-სამეურნეო
სასწ. — სასწავლო
საუკ. — საუკუნე, საუკუნის (მხოლოდ შუა საუკუნეებთან)
საქ. — საქართველოს (სსრ-თან)
საქართვ. — საქართველოსი
საქ. კპ — საქართველოს კომუნისტური პარტია
საცხოვრ. — საცხოვრებელი
სახ. — სახალხო
სახ. — სახელობის
სახელწ. — სახელწოდება
სახვ. — სახვითი (საზღვრულთან)
ს.-დ. — სოციალ-დემოკრატიული (პარტია)
სექტ. — სექტემბერი, სექტემბრისა
სვან. — სვანური
სიმფ. — სიმფონიისა, სიმფონიური
სინონ. — სინონიმი
სისტემ. — სისტემატური, სისტემური
სკკპ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია
სომხ. — სომხეთისა, სომხური
სოფ. — სოფელი (სახელწოდებასთან)
სოც. — სოციალური
სოციალ. — სოციალისტური
სოხ. — სოხუმის
სპარს. — სპარსული
სპეც. — სპეციალური
სპი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი
სპორტ. — სპორტული
სს. — საუკუნეები, საუკუნეების
სსრკ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
სტ. — სტატია
სტანდ. — სტანდარტული
სტატისტ. — სტატისტიკისა, სტატისტიკური
სტუ — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სურ. — სურათი
სფსრ — საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა
ტ. — ტომი (წიგნისა)
ტაბ. — ტაბულა
ტემპ-რა — ტემპერატურა
ტერიტ. — ტერიტორია, ტერიტორიული
ტერმ. — ტერმინი
ტექ. — ტექნიკისა, ტექნიკური
ტექტონ. — ტექტონიკური
ტრად. — ტრადიციისა, ტრადიციული
ტრანსპ. — ტრანსპორტი, ტრანსპორტისა
უნივერს. — უნივერსალური
უნ-ტი — უნივერსიტეტი
უცხ. — უცხოური
ფაკ-ტი — ფაკულტეტი
ფარმაკ. — ფარმაკოლოგიისა, ფარმაკოლოგიური
ფედერ. — ფედერაციისა, ფედერაციული
ფეოდ. — ფეოდალური
ფიზ. — ფიზიკისა, ფიზიკური
ფიზიოლ. — ფიზიოლოგიისა, ფიზიოლოგიური
ფიზკულტ. — ფიზკულტურის, ფიზკულტურული
ფილოლ. — ფილოლოგიისა, ფილოლოგიური
ფილოს. — ფილოსოფიისა, ფილოსოფიური
ფ-კა — ფაბრიკა
ფსევდ. — ფსევდონიმი
ქ. — ქალაქი (სახელწოდებასთან)
ქართ. — ქართული
ქართვ. — ქართველი
ქვ. — ქვემო
ქიმ. — ქიმიისა, ქიმიური
ქირურგ. — ქირურგიისა, ქირურგიული
ქ-ნა — ქარხანა
ქრისტ. — ქრისტიანული
ქრონოლ. — ქრონოლოგიური
ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ქუთ. — ქუთაისი, ქუთაისის
ყოფ. — ყოფილი
შდრ. — შეადარე
შეს. — შესახვევი
შნშ. — შენიშვნა
შპს — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ჩრდ. — ჩრდილოეთი (მსაზღვრელად)
ცაკი — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი
ცენტრ. — ცენტრალური
ცკ — ცენტრალური კომიტეტი
ცხრ. — ცხრილი
ძვ. — ძველი
ძვ. სტ. — ძველი სტილით (თარიღთან)
ძვ. წ. — ძველი წელთაღრიცხვით (თარიღთან)
წ. — წელი
წ.-კორ. — წევრ-კორესპონდენტი
წლ. — წლიური
წმ. — წმინდა
ხელმძღვ. — ხელმძღვანელი
ხელოვნ. — ხელოვნებისა
ჯგ. — ჯგუფი
ჰესი — ჰიდროელექტროსადგური
ჰიდროტექ. — ჰიდროტექნიკისა, ჰიდროტექნიკური
ჰორიზ. — ჰორიზონტალური


old metekhi

თბილისის გეგმა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით. 1735.





სქემატური რუკები

როგორ ვისარგებლოთ სქემატურ რუკებზე დატანილი ობიექტების საძიებლით

საძიებელი არის სქემატურ რუკებზე დატანილი ობიექტების ანბანზე გაწყობილი ჩამონათვალი.

სქემატური რუკების გვერდები დაყოფილია უჯრედებად. მათი ინდექსის განმსაზღვრელი ასოები და ციფრები მიწერილია რუკის ჩარჩოსთან.

საძიებელში ობიექტის გასწვრივ აღნიშნულია სქემატური რუკის გვერდის ნომერი, ასო და ციფრი, ანუ ინდექსი იმ უჯრედისა, რომელშიც მდებარეობს ობიექტი (მაგ., თამარ აბაკელიას ქუჩა 78 გ1). უბნების, მოედნების, ბაღების და სხვათა მდებარეობა მოცემულია მხოლოდ რუკის გვერდების მითითებით (მაგ., ავჭალა 1–2,7).

სქემატურ რუკებზე დატანილი ობიექტების საძიებელი

ა

თამარ აბაკელიას ქუჩა 78 ბ1
აბანოთუბანი 92
აბანოს ქუჩა 92 ა2
აბანოს I შესახვევი 92 ა3
აბანოს II შესახვევი 92 ა4
აბანოს I ჩიხი 92 ა3
აბანოს II ჩიხი 92 ბ3
აბასთუმნის ქუჩა 56 ბ2
ალექსანდრე აბაშელის ქუჩა 62 ე6
ალექსანდრე აბაშელის ჩიხი 62 დ6
გიორგი აბაშვილის ქუჩა 99 ა7, 86 ე5
აბაშის ქუჩა 58 ბ5
ირაკლი აბაშიძის გასასვლელი 62 ა4
გრიგოლ აბაშიძის ქუჩა 79 ბ4
დავით აბაშიძის ქუჩა 65 ვ5
ვასილ აბაშიძის ქუჩა 78 ე2
ირაკლი აბაშიძის ქუჩა 63 დ5 – 61 ე4
კიტა აბაშიძის ქუჩა 66 ა3
მემედ აბაშიძის ქუჩა 8 ე6
ჰაიდარ აბაშიძის ქუჩა 41 გ3
გრიგოლ აბაშიძის შესახვევი 79 ბ5
გრიგოლ აბაშიძის ჩიხი 79 ბ5
ვასილ აბაშიძის I ჩიხი 78 ე2
ვასილ აბაშიძის II ჩიხი 78 ე2
ირაკლი აბაშიძის ჩიხი 62 ბ4
მალხაზ აბდუშელიშვილის ქუჩა 80 ა5
მალხაზ აბდუშელიშვილის ჩიხი 80 ა5
გია აბესაძის ქუჩა 79 გ7, 91 გ1
გია აბესაძის I ჩიხი 79 გ8
გია აბესაძის II ჩიხი 91 გ1
სოსო აბზიანიძის ქუჩა 100 ვ3
ხაჩატურ აბოვიანის ქუჩა 91 დ1
აბო თბილელის ქუჩა 91 გ1
რენა აბშანდაძის ქუჩა 79 გ3
ზურაბ აბულაძის ქუჩა 97 ე1 – 98 ა1
თენგიზ აბულაძის ქუჩა 61 ვ1 – 62 გ2
აბუსერისძე ტბელის I გასასვლელი 95 ვ8
აბუსერისძე ტბელის II გასასვლელი 95 ვ8
აბუსერისძე ტბელის ქუჩა 95 ვ5, 107 ვ1
აბუსერისძე ტბელის I ჩიხი 95 ვ8
აბუსერისძე ტბელის II ჩიხი 95 ვ8
აბარის ქუჩა 57 ვ4 – 58 გ3
რაფიელ აბლაძის ქუჩა 43 ბ6, 21 დ8
ადიბენის ქუჩა 66 ე6
აეროდრომის დასახლება 85 – 86, 97 – 98
აეროდრომის დასახლების:
I ქუჩა 97 დ5
II ქუჩა 97 დ2
III ქუჩა 97 გ1
IV ქუჩა 97 გ1, 85 გ7
VI ქუჩა 97 გ1, 85 გ7
VIII ქუჩა 97 ე1, 86 ა8
IX ქუჩა 98 გ1
X ქუჩა 97 ვ1, 86 ა8
XI ქუჩა 98 ა2, 86 ა7
XII ქუჩა 98 გ2, 86 ა7
XIII ქუჩა 98 გ2
XIV ქუჩა 98 გ2, 86 გ7
I ქუჩის I გასასვლელი 97 დ3
I ქუჩის II გასასვლელი 97 გ2
II ქუჩის I გასასვლელი 97 დ2
III ქუჩის I გასასვლელი 97 გ1, 85 გ8
III ქუჩის II გასასვლელი 97 დ1, 85 დ8
IV ქუჩის I გასასვლელი 85 გ8
IV ქუჩის II გასასვლელი 85 გ7
აეროპორტი (საერთაშორისო) 114
აეროპორტის დასახლება 101 – 102
აეროპორტის ტრასა 102 ა4, 114 დ4
ავთანდილის ქუჩა 90 გ1
ავლაბარი 80 – 82, 92 – 94
ავლაბარი Ⓜ 80
ავლაბრის გასასვლელი 80 გ7
ავლაბრის მოედანი 80
ავლაბრის ქუჩა 80 ა6
ავლაბრის შესახვევი 80 გ7
ავლაბრის I ჩიხი 80 გ6
ავლაბრის II ჩიხი 80 გ6
ავტოვაგზალი (ცენტრალური) 106
ავტოვაგზალი „ოკრიბა“ 21
ავჭალა 1 – 2, 7
ავჭალის სასაფლაო 2, 7
ავჭალის ქუჩა 1 ა1
გიორგი ათონელის ქუჩა 79 დ5
გიორგი ათონელის ჩიხი 79 დ4
აკეთის ქუჩა 13 ა8
აკურის ქუჩა 55 ა4
აკურის I შესახვევი 55 გ4
აკურის II შესახვევი 55 გ4
ალექსანდრე ალადაშვილის ქუჩა 80 ე5
ალექსანდრე ალადაშვილის შესახვევი 80 ე5
ალაზნის გასასვლელი 80 გ8
ალაზნის ქუჩა 80 ა7
ალაზნის შესახვევი 80 გ8
ალგეთის ქუჩა 92 გ5
ალექსეევკა 101
ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის გასასვლელი 45 ე3

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ძუჩა 45 გ3 – 46 ა2
ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის I შესახვევი 45 გ3
ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის II შესახვევი 45 დ3
დიმიტრი ალექსიძის ძუჩა 86 ე4
მერაბ ალექსიძის ძუჩა 55 ბ7
ალვანის ძუჩა 80 ა5
ჰეიდარ ალიევის სანაპირო 30 გ3, 64 ვ2
ჰეიდარ ალიევის სახელობის სკვერი 92
ისააკ ალიხანიანის ძუჩა 92 დ1, 80 ე8
ამაღლების გასასვლელი 90 ბ2
ამაღლების ძუჩა 90 ე1
ამაღლების შესახვევი 90 დ2
ამაღლების I ჩიხი 90 ბ2
ამაღლების II ჩიხი 90 ბ2
ამაღლების III ჩიხი 90 ბ2
ამბროლაურის ძუჩა 41 დ7
პეტრე ამირანაშვილის ძუჩა 13 ბ6
შალვა ამირანაშვილის ძუჩა 100 ე6
კონსტანტინე ამირაჯიბის ძუჩა 83 ა8 – 82 ე4
ანაკლიის ძუჩა 57 ბ8
ანანურის ძუჩა 64 გ3
ანაპის 414-ე ძარმული დივიზიის ძუჩა 13 დ3 – 14 დ7
ელეფთერ ანდრონიკაშვილის გასასვლელი 7 ბ2
ელეფთერ ანდრონიკაშვილის ძუჩა 7 ბ2, 1 ბ1
ელეფთერ ანდრონიკაშვილის I შესახვევი 7 ბ1
ელეფთერ ანდრონიკაშვილის II შესახვევი 1 ვ5 – 2 ა2
ელეფთერ ანდრონიკაშვილის III შესახვევი 1 ბ2
ელეფთერ ანდრონიკაშვილის IV შესახვევი 1 ბ1
ელეფთერ ანდრონიკაშვილის I ჩიხი 7 ბ1
ელეფთერ ანდრონიკაშვილის II ჩიხი 1 ვ4
ელეფთერ ანდრონიკაშვილის III ჩიხი 1 ვ4
ელეფთერ ანდრონიკაშვილის IV ჩიხი 1 ე3
ელეფთერ ანდრონიკაშვილის V ჩიხი 1 ე3
ელეფთერ ანდრონიკაშვილის VI ჩიხი 1 დ2
ელეფთერ ანდრონიკაშვილის VII ჩიხი 1 დ2
ელეფთერ ანდრონიკაშვილის VIII ჩიხი 1 დ2
დავით ანდღულაძის ძუჩა 83 ბ8, 95 ბ2
ნიკოლოზ ანთელავას ძუჩა 80 ა2
ნიკოლოზ ანთელავას შესახვევი 80 ა2
ანთიმოზ ივერიელის გასასვლელი 79 ე7
ანტონ კათალიკოსის ძუჩა 79 ბ8
ანტონ კათალიკოსის ჩიხი 79 ბ8
ანა ანტონოვსკაიას ძუჩა 40 ბ7, 52 ბ2
იური ანუას ძუჩა 30 ბ7
ვერიკო ანჯაფარიძის ძუჩა 64 გ2
ზურაბ ანჯაფარიძის ძუჩა 94 დ4
შიო არაგვისპირელის ძუჩა 66 ე5
შიო არაგვისპირელის შესახვევი 66 ე5
შიო არაგვისპირელის ჩიხი 66 ე4
არალეთის ძუჩა 18 ე7
არარატის ძუჩა 80 ა7
არარატის შესახვევი 80 ბ7
დიმიტრი არაყიშვილის ძუჩა 63 ა3 – 62 ე6
დიმიტრი არაყიშვილის II ჩიხი 62 ვ5
არბოს ძუჩა 19 ბ1 – 18 ე1
არბოშიკის ძუჩა 93 ბ4
არგვეთის ძუჩა 45 ე8
ლავრენტი არდაზიანის ძუჩა 30 ბ8 – 29 ვ8
ქრისტეფორე არეშიძის ძუჩა 63 გ3
პეტრე არველაძის ძუჩა 95 ა1, 82 ვ8
ართვინის ძუჩა 66 ე1 – 67 დ1
ართვინის I ჩიხი 67 ბ1
ართვინის II ჩიხი 67 ბ1
არმაზის ძუჩა 80 ბ7
არმაზის შესახვევი 80 ბ8
არსენალი 67
არსენალის მთის ძუჩა 66 ვ5 – 67 ა6
არსენალის ხევი 67
სოკრატ არშბას ძუჩა 42 ბ1
არჩილ მეფის ძუჩა 5 ა5 – 4 დ5
